


# სოსო სიგუა



ქართველი  
პელიტერის ისლორის

III



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
კულტუროლოგიის ინსტიტუტი

## სოსო სიგუა

ქართული კულტურის ისტორია

III

თბილისი - 2018  
გამომცემლობა „საარი“

**ISBN 978-9941-0-8488-1** (ოთხივე წიგნის)

**ISBN 978-9941-8-0067-2** (მესამე წიგნის)

„ქართული კულტურის ისტორია“ ოთხი წიგნისაგან შედგება:

- I. „არქაულ-წარმართული კულტურა“ (ძვ. წ. III ათასწლეული - ახ. წ. IV საუკუნე);
- II. „ქრისტიანულ-ბიბანტიური პერიოდი“ (V-XI სს.);
- III. „რენესანსი და ანტირენესანსი“ (XII-XVIII სს.)
- IV. „სინკრეტულ-ევროპული კულტურა“ (XIX-XX სს.)

**რედაქტორი:** პროფ. რევაზ მიშველაძე

**რეცენზენტები:** პროფ. ნომადი ბართაია  
პროფ. მურმან თავდიშვილი  
პროფ. ავთანდილ სონღულაშვილი

## **წიგნი მესამე**


**რენესანსი და ანტირენესანსი  
(XII-XVIII სს.)**

საქართველო XIII ს. დამდებარებელი

30 რეპორტი ალბომების

— 1 —  
Կայունություն և թշուար XIII և, քաջած  
զամանակուն պատճենների և թշուար

ଭ୍ରମିତୁଥିଲୁ  
ଦୂରକାନ୍ଧିତୁଥିଲୁ ପାହିଲୁ  
ପାହିଲୁ  
ଦୂରକାନ୍ଧିତୁଥିଲୁ  
ଦୂରକାନ୍ଧିତୁଥିଲୁ ପାହିଲୁ  
ପାହିଲୁ  
ଦୂରକାନ୍ଧିତୁଥିଲୁ  
ଦୂରକାନ୍ଧିତୁଥିଲୁ ପାହିଲୁ  
ପାହିଲୁ



ისტორია დროის მოძრაობაა, ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობა, მათი სახელებითა და საგნებით ფიქსირება.

მოძრაობა კი მუდმივი განახლებაა, რაც გულისხმობს განსხვავებასა და მსგავსებას, დავიწყებასა და აღმოჩენას, რესტავრირებასა და გამორჩევას, სესხებასა და გავლენას, კონფლიქტებასა და იზოლირებას უცხო ძალთაგან.

თაობები სტოვებენ სამზეოს და გადადიან აჩრდილების ქვეყანაში. მათი არსებობის კვალი რჩება კულტურის ფორმების სახით, როგორც ცნობიერების მემორიალი და ტრადიციების ნაწილი.

ქართულ კულტურაშიც ასე დასრულდა V-XI საუკუნეთა დიდი და ერთიანი ტიპოლოგიური რკალი, რომელსაც ბიბინგინიმი ვეწოდეთ. გამარჯვებულ ქვეყანას მოეძალა მიწიერი და ცხოვრებისეული ინტერესები, რაც ასკეტიკურ-მისტიკური იდეალების პარალელურად აღმოცენდა და განვითარდა.

ეს იყო ერთდროული მზერა მუსულმანური აღმოსავლეთისა და წარმართული ელადისაკენ, რასაც მეომარ არისტოკრატიას, მის ხორციელს სწრაფვას კარნახობდა ინსტინქტების აღზევება, სიცოცხლის დამკვიდრებისა და განცდის პათოსი.

ასეთმა სულისკვეთებამ შვა საერო მწერლობა – სახოტბო პოემები, „ამირანდარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, დავითისა და თამარის ისტორიკოსთა მაგიანები, „ვირსამიანის“ თარგმანი, „დილარგეთიანი“ (დაკარგულია)...

არისტოკრატიას იტიდავდა კომფორტული ცხოვრება, სიცოცხლით ტკბობა, რომელსაც შეუთავსა მისტიკური იდეალები, როგორც ხილული ქვეყნის გაგრძელება.

ინსტინქტების ინტელექტუალური მოდელირება, სახელმწიფოებრივი წესრიგი, სოციალური იერარქია სტიქიურად წარმოშობდა რენესანსულ მგრძნობელობას და ქრისტიანული ჰუმანიზმი მიწიერი სიკეთით ივსებოდა.

მაგრამ როცა მოიშალა და მოისპონ სახელმწიფოებრივი და მატერიალური ბაზისი, როცა ქვეყანა დაინგრა და დაიშალა, კულტურასაც რეგრესის ქამი დაუდგა.

მხოლოდ არისტოკრატის ვიწრო წრე ინახავდა ტრადიციებს. მათაც თანდათან ჰქარგავდა და უცხო, კერძოდ – მუსულმანური სპარსული კულტურა ესახებოდა იდეალად (მაგ., თეიმურაზ I-ს).

ქრისტიანულ-ბიბანტიური ვექტორი შეცვალა ქრისტიანულ-ეროვნული და მუსულმანურ-სპარსული კულტურების სიმბიოზშა.

ტიპოლოგიურად XII-XVIII საუკუნეების ქართული კულტურა ისევ თავსდება მონოთეისტურ-აბიური კულტურის სისტემაში.

ერთი ნაკადი მოქცეულია სპარსულ რკალში, მეორე აგრძელებს ბიბანტინიზმის ტრადიციებს და გადადის ახლად წარმოქმნილ ნაციონალურ კონტექსტში.

# I. საერო მწერლობა და ხორციელობის

აპოლოგია:

ანტიკური და აღმოსავლური იმპულსები

## 1. ომის პერიოდი

ტაძართმშენებლობისა და მთარგმნელობითი მუშაობის შემდეგ XII საუკუნიდან წინა პლანზე გადმოდის სამხედრო აგრესია.

### მხედრული სული

თუ ადრე სტიმული და ნიმუში იყო ქრისტიანული ბიბანტია, ახლა დამცრობილი კონსტანტინეპოლის იმედი ვერ ექნებოდა ქართველობას, ახლა მთავარი მოკავშირეები ვახდნენ შორეული ჯვაროსნები და მეტობელი ყმადნაფიცი ქვეყნები. სასულფნო-საამიროებად დაშლილ მუსულმანებს დასავლეთიდან დაემუქრა მთავარი საფრთხე და ამიგომ აღარ ეცალათ კავკა-სიისათვის. მხოლოდ დროდადრო მობრუნდებოდნენ, რათა დაესაჯათ ქართველები.

მთელი XII საუკუნე საქართველო ებრძოდა სელჩუკიანებს, ოღონდ უკვე სამღვარს გარეთ ან მონაპირე მხარეებსა და ქალაქებში.

მათგან უმთავრესი იყო დიდგორის, არმირუმის, შამქორის, ბასიანის ბრძოლები. მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად შესაძლებელი გახდა ტერიტორიის გავრცობა და მაპმადიანური სამთავროების დამორჩილება, მათი დახარკვა და ყმადნაფიცობაში აყვანა.

თურქი იყო მთავარი მტერი და მან ხალხს დაავიწყა დამპყრობელი ირანელთა, ხაბართა და არაბთა სახელები.

დავით აღმაშენებელმა სპილენძის მონეტაზე არაბულად ამოკვეთა ბეღლწოდება მესიის მახვილი.

იბრძოდნენ არზრუმის, დვინის, ანისის, ხლათის, შარვანის, რანის, ყარსის, განძისა და დარუბანდისათვის. ბოგაჯერ წარმატებას სცვლიდა დამარცხება.

თურქი სელჯუკები გულადი მეომრები იყვნენ და თუმცა ორი საუკუნე ებრძოდნენ ჯვაროსნებს ანატოლიაში, სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში – მაინც იცლიდნენ საქართველოს და-სასჯელად.

1163 წელს ქართველები დამარცხდნენ თურქელ კოალი-ციასთან ბრძოლაში. თურქებს ეკავათ დემეტრე პირველის დროსაც კი იმიერგაო და ყარსი (კარი). მაგრამ ვერ შეძლეს მოპოვებული წარმატების განვითარება.

თურქებთან მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელი იყო. საქართველოს განსაკუთრებით მცრობდნენ ხლათის სულფანი შაჰ არმენები, ადარბადაგანის სასულფნო, არმორუმის საამირო. ხელიდან ხელში გადადიოდა ღმანისი და ანისი, ურჩობდა განძა და დვინი.

თამარის დროსაც კი, 1205 და 1206 წლებში, დამარცხე-ბულა ქართული ჯარი. მაგრამ ეს მოხდა თავდასხმით ბრძო-ლებში.

ერთი პერიოდი ისე გაძლიერდა საქართველო, რომ არა თუ მოიგერია მუსულმანთა აგრესია, არამედ – თავადაც გა-დავიდა შეტევაზე – ქართველებმა აიღეს თავრიზი და ყაზბინი, მიენდნენ ხორასანამდე.

ეს იყო ბოლო დიდი წარმატება.

ამავე დროს ქვეყანას ისევ სდევდა შიდა კონფლიქტები, როგორც ეკლესიაში, ისე ხელისუფლებაში:

მაგ., გიორგი III-მ უკმაყოფილო ეკლესიას საგადასახადო შეუვალობა მიანიჭა, რაც თვითონვე ჰქონდა გაუქმებული. შემ-დეგ თამარის დროს საეკლესიო კრებამ მოინდომა კათალიკოს მიქაელის გადაყენება. ეს ვერ შეძლეს. მაგრამ ჩამოართვეს მიტაცებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა.

არ ისვენებდნენ „მზაკუარნი იგი ამნაურნიც“ და დიდებუ-ლებიც. მაგრამ არც მეფენი იყვნენ გულმშვიდნი.

დემეტრე მეფემ ძმას – ვახტანგს (ცგატა) თვალები ამოსწვა. შემდეგ შვილმა აიძულა, რომ ფახტი დაეთმო და ბერად შემდგარიყო.

კონფლიქტმა იუეთქა გიორგი მესამის დროსაც, რომელმაც დათრგუნა თრბელების შეთქმულება, თვალები დასთხარა და დაასაჭურისა ფახტის მაძიებელი დემნა დავითისძე, თავისი ძმისშვილი. ასევე დააბრმავეს ივანე თრბელი, სიკვდილით დასაჯეს მამა-შვილი ქავთარ და სუმბატ თრბელები.

საყოველთაოდ ცნობილია დიდებულების ცდა თამარის ძალაუფლების შემცირებისა, როცა „სპარსია“, ე.ი. ტფილისის მმართველი არაბთა უხუცესების („ბერების“) საბჭოს მიმსგავსებით მოინდომეს დაედგათ ისანში კარავი, შეექმნათ პარლამენტისებური სათათბირო, როცა თამარის საქმროდ მოიყვანეს სრულიად უცხო და უცნობი, დევნილი გიორგი რუსი, რისი შედეგიც იყო სამხედრო დაპირისპირება, ახალი პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში.

ეს იყო გიორგი მესამის დროს დემნა ბატონიშვილის გამოგანადგურებულ შეთქმულთა გეგმის გაგრძელება, რასაც ერთვოდა ყაჩაღობა.

ფორმალურად დემნა მართალი იყო და ფახტი მას ეკუთვნიდა, როგორც მეფე დავითის ძეს.

შემდეგაც ხელისუფლება გამოსავალს ეძებდა როგორც ეკლესის რეფორმირებაში, ისე უდერალურ მმართველობასა და ურჩების დათრგუნვაში (მაგ., თვალები დასთხარეს გუბან ტაოელს).

საამისოდ კი საჭირო გახდა ხელისუფლების დანაწილების პროგრამა და უგვაროთა აღზევება. მაგრამ ქვეყნის ერთიანობისათვის, ეკონომიკური ძლიერებისათვის მთავარი იყო სამხედრო წარმატებანი.

120 წელი, XII საუკუნის დასაწყისიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე, მიუხედავად ცალკეული მარცხისა, ქართველთათვის იყო სამხედრო ტრიუმფის პერიოდი, ვიდრე არ შეაჩერეს მონღოლებმა და საბოლოოდ არ გატეხა ჯალალედინმა.

## ტერიტორია

პ. ინგოროვას სიტყვით, 1220 წლისათვის საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია, ყმადნაფიცი ქვეყნების გარეშე, შეადგენდა 227.427 კვ/კმ-ს, მოსახლეობა – 8.250.00 მცხოვრებს.

აქედან საკუთრივ ქართული ტერიტორია იყო 150.152 კვ/კმ, მოსახლეობა – 5.550.000.

ქვეყანა დაყოფილი იყო საერისთავოებად და საუფლის-წელო ერთეულებად, რომლებიც ასევე დიფერენცირდებოდა.

მეფეს ჰყავდა დარგების მიხედვით უსუცესები (მინისტრები), რომელთაგან თამარის დროს ბოგს დაემატა ვაზირის ტიტული. რუსულანმა მათი რიცხვი ექვსამდე გაზირდა.

საქართველოს პროტექტორატები იყვნენ ტრაპიზონის სამეფო და ჩრდილო კავკასიის ქვეყნები – ღუნძეთი (აგარია), ოვ-სეთი, დურმუკეთი (ჩეჩნეთი), ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), სამხრეთით – კარნუ-ქალაქის საამირო, აღმოსავლეთით – შარვან-დარუბანდი;

ვასალური ქვეყნები – განძისა და ხლათის სასულტნოები, ნახჭევნისა და ეზინკის საამიროები.

1210 წლიდან მოხარკენი გახდნენ არდაველი, მარანდი, თავრიზი, მიანა და ბანგანი.

ქართულ ექსპანსიას წინ მიუძღვდნენ მამაცი და გონიერი სარდლები – დავით IV, დემეტრე I, გიორგი III, დავით სოსლანი, მხარგრძელები, ახალციხელები, თორელები –

„დაათრენეს ისარნი სისხლითა და ხმალნი ჭამდეს ხორცია მტერთა მათთასა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“).

ქვეყანას კი განაგებდა „შვიდმნათობიერი“ თამარი – „მზედაუვალი, შუქმომფინარი“.

სამეფო კარი და ელიტა აყალიბებდა რეალობის შესაბამის კულტურას, სადაც იქნებოდა ხოტბა, ომი, გმირი, სატრუთ, ხოლო ასპარეზი – ხმლით დასაპყრობი აღმოსავლეთი.

ხალხი ერად იქცეოდა ომების პერიოდში, როცა თავგანწირვა გამოკვეთს ხელისუფლების ფაქტორს, რომელიც ერთ მთლიანობად კრაგს რელიგიით, სისხლით და ენით მონათესავე ადამიანთა კონფულს, რათა შეძლონ თავდაცვა და აკრესია.

## ალაფი და ხარკი

კულტურას ყველა დროში სჭირდებოდა ეკონომიკური ბაზისი, შემოქმედს – დრო და საარსებო მინიმუმი. მაგრერიალურად უბრუნველყოფილი საბოგადოება იცავდა ადამიანურ ღირსებებს, ავითარებდა ჰუმანისტურ იდეალებს, სრულყოფდა მართვის სისტემას.

ამიგომ იყო ელიტა კულტურის მტარებელი და დამცველი. ეკონომიკური პროგრესი ბრდიდა კულტურის გავრცელების არეალს, ეთიკურ შეგნებას და ამცირებდა დაბალი ფენების ბარბაროსულ ტენდენციებს (მაგ., დიდონი XIII საუკუნეშიც „უხარშავსა ჭამებ“, მრავალი ძმა ერთ დედაკაცს ირთავს, თაყვანს სცემენ „უნიშნო შავ ძაღლს“ – „ისტორიანი და აზმანი“).

ქრისტიანული რწმენის ქადაგება მაშინ იყო მტკიცე და მყარი, როცა საბოგადოებას შეეძლო ამ ნორმებით ცხოვრება. მშიერი და დატაკი ყოველთვის პოტენციური დამნაშავეა და ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად არ სცნობს კულტურისა და რელიგიის მაღალ, ნათელ, კეთილ იდეალებს,

დავითის ღროიდან საქართველო ეკონომიკურადაც ძლიერდებოდა. ამჯერად მაგრერიალური წარმატების საფუძველი იყო ომი, ტერიტორიის გავრცელება, მტერთა ძლევა, რასაც მოპქონდა ნადავლი და ხარკი, რომლის „ნაათალი გლახაკთა“ მიეცემოდა.

ყოველი მოგებული ბრძოლა, აღებული ქალაქი ალაფის წყაროდ იქცა, რასაც უძველეს დროშიც სიამაყით აღნიშნავდნენ მბრძანებლები და მემატიანებები.

ომისა და დაპყრობა-დამორჩილების აუცილებლობა საარ-სებო ინსტიტუტებიდან გამომდინარეობს. მას ვერ ცვლის კაცთ-მოყვარეობის მიღებული და აღიარებული პრინციპები.

სისხლი სისხლისა წილ – ეს ბიბლიური დევიზი შთაბაგო-ნებდა ყოველ დაპირისპირებულ მხარეს, რომ მტრისადმი ყო-ფილიყვნენ სასტიკი და დაუნდობელი. მაგ., მიანის მელიქს ეგო-ნა, რომ ქართველები დამარცხდნენ და ამიტომ იქ დატოვებულ მცველებს ტყავი გახადა და გვამები ძელზე დაკიდა. მხარ-გრძელები რომ მობრუნდნენ, იცრუა, თავრიზს წავიდნენო.

სიმართლე რომ გაირკვა, ქალაქი მოაოხრეს ქართვე-ლებმა და გაძარცვეს. მელიქსა და მის შვილებს ტყავი გახადეს და ცხედრები საყევარზე ჩამოკიდეს.

დავითის მიერ დაწყებული ბრძოლა, რაც გულისხმობდა ბრძოლას თავისუფლებისათვის, თანდათან გადაიბარდა აგრე-სის წყაროთა მოსპობაში.

თავდაცვას ცვლიდა თავდასხმა, როგორც ყველაზე კარგი საშუალება არსებობის შესანარჩუნებლად.

საქართველო უკვე იბრძოდა შარვანში, დვანში, განძაში, არმტუმში, სივნიერში, ანისში, სადაც ქართველებს ისტორიუ-ლადაც არ უცხოვრიათ.

ომის ალაფია და ტყვეებს მოსდევდა მუსულმანური ქვეყ-ნების ყმადნაფიცად აყვანა, მათი დახარკვა, რაც ახალი ომის მიზები ხდებოდა.

ალაფი და ხარკი ქვეყანას დიდ შემოსავალს აძლევდა.

მართალია, უწყვეტ ბრძოლებს უამრავი მეომარი ეწირე-ბოდა, მაგრამ ჰეროიკული სულით იზრდებოდნენ ახალი თაო-ბები, ისინი დგებოდნენ მამების კვალში და მზად იყვნენ სისხ-ლის დასაქცევად, ქვეყნის ძლიერების დასაცავად, როგორც ძველი რომაელები.

ბრძოლა მაინც გარდაუგალი იყო – თუ ქართველი იარაღს არ აიღებდა, მტერი მაინც მოღიოდა დავლისა და ხარკის ასა-დებად, ქალაქების დასაწვავად, მოსახლეობის გასაქლეტად.

დავითის გბას მეტ-ნაკლები წარმატებით აგრძელებდნენ დემეტრე I, გიორგი III, თამარი და მთელი საუკუნის მანძილზე უწყვეტად შემოსული აღაფი და ხარკი დიდ ბაზისს უქმნიდა ეკონომიკას. ეს იყო სისხლით და ათეულ ათასების სიცოცხლით მოპოვებული ბედმეტი ღირებულება.

სიმშვიდისა და ასეთი შემოსავლის პირობებში დაბალი ფენები – გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები, მსახურები, მჭედლები კიდევ უფრო აქტიურად შრომობდნენ კეთილდღეობისათვის, მეტის მისაღწევად, მეტი ქონების მოსაპოვებლად, რაც საგრძნობლად ამცირებდა უპოვართა რაოდენობას („აბნაურისა ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“).

განსაკუთრებული ბრუნვის საგანი იყვნენ ქვრივ-ობლები ანუ ომში დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრები.

ისევ შენდებოდა ფაძლები, ჩნდებოდა ახალი ქალაქები, იბრდებოდა სოფლების რიცხვი, იბრდებოდა მოსახლეობა, გაჰყავდათ არხები და წყალსადენები, აწესრიგებდნენ გზებს, შემოპქნდათ უცხოური საქონელი, ჩინეთიდანაც კი. შენდებოდა სახლები, ბოგან – ხისა, ბოგან – ქვიტკირისა ან კლდისა.

ელიტა ქმნიდა მტკიცე სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რაც ემყარებოდა პატრონ- ყმურ, იერარქიულ ურთიერთობას.

ჯერ მოქმედებდა არაბული სამოხელეო ტერმინები (მაგ., ამირა – ქალაქის მმართველი), როგორც აღრე ირანული (მაგ., მარშაპანი) ან ბიბანგიური (მაგ., პატრიკიოსი), რაც თანდათან შეცვალა ქართულმა ( მაგ., მოურავი, ციხისთავი, უხუცესი).

ცივილიზაციური პროგრესის შედეგი იყო ადამიანთა ურთიერთობის სამართლებრივი განსაზღვრა, იჯარისა და ბეგარის გარკვევა, ყიდვისა თუ სისხლის ეტიკეტი.

სასჯელის ფორმა სხვადასხვაგვარი იყო – სისხლის საფასური დაჭრა-მკვლელობის დროს, ძელშე ჩამოხრმბა ქურდობა-ავაზაკობისათვის, დაღაცისათვის – სიკვდილი, თვალების დათხრა ან დასაჭურისება (თამარის დრომდე).

ქვეყანას ჰყავდა წესრიგის დამცველები, მებაჟები, დანაშაულის განმსჯელები. მეფე სჯიდა ორგულსა და მოღალატეს,

ერთგულებსა და ნამსახურებს აძლევდა ქალაქებს, სოფლებს, დავლის დიდ ნაწილს.

ეკლესია-მონასტრებიც მსახურებითა და მაგერიალურად უბრუნველყოფილი იყო, როგორც შინ, ისე უცხოეთში.

მეფეს ჰქონდა სასახლე (მაგ., თამარს ისანში), რეზიდენცია სხვადასხვა ადგილას (მაგ., თამარს), ფეოდალს – „საჯდომი სახლი“, რაც ნაგებობათა კომპლექსი იყო. ჰქონდა მიწები და ჰყავდა ყმები და მსახურები.

საქართველომ ყველაზე დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია ხორასანის დალაშქვრის შემდეგ.

„გაააზნაურდეს ქვეყნისმოქმედნი (ე.ი. გლეხები) და გადიდებულდეს აზნაურნი“, – გვაუწყებს მემატიანე.

ხარკის ოდენობამ, რაც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო, მიაღწია 75 მლნ დირჟემს (არაბული ვერცხლის ფული). საერთო შემოსავალი საქართველოს მეტი ჰქონდა, ვიდრე და-სავლეთ ევროპის ერთ რომელიმე სახელმწიფოს (ივ. ჯავახი-შვილი, კ. კეკელიძე, კ. ინგოროვება).

კომფორტული ცხოვრების კულტი, სახელმწიფო წესრიგი და იერარქია შეენაცვლა სამღვდელო და ბეციურ იერარქიას (შდრ – „ხელმწიფის კარის გარიგება“).

უკვე მხედრობა უომრად ვედარ ჩერდებოდა.

მახვილი და სისხლი მეტ პატივს იხვეჭდა, ვიდრე ლოცვა და მორჩილება. მაგ., შამქორის ბრძოლის აღაფი ყოფილა 12.000 მონა, 40 ავაზა, 20.000 ცხენი, 7.000 ჯორი, 15.000 აქლემი, აურა-ცხელი ოქრო, ლარი და საჭურჭლე („ისტორიანი და ამმანი შა-რავნედთანი“), ასევე – ჯაჭვი, მუზარადი, ხრმალი („ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“);

ბასიანის ბრძოლის შემდეგ ქართველი მეომრები აღივს-ნენ ოქრო-ვერცხლითა და ჭურჭლეულით. თვლა არ ჰქონდა ცხენ-ჯორებსა და აქლემებს;

შემდეგ არდაველის სულფანმა დაარბია ანისი, 12.000 ქრი-სტიანი სააღდგომო წირვის დროს მოიკლა ეკლესიებში. გა-

მარჯვებული მუსულმანები ალაფითა და ტყვეებით უკან გაბრუნდნენ .

საპასუხოდ თამარის ბრძანებით გაქარია და ივანე მხარგრძელებმა („კაცი გულმხეცი“) მუსულმანური მარხვის დღეებში ხელთ იგდეს არდაველი, სულფანი მოკლეს, 12.000 მუსულმანი მეჩეთებში დახოცეს და აურაცხელი ნადავლითა და ტყვეებით მოიქცნენ დედოფლის წინაშე.

ხოლო ხორასანს ლაშქრობის დროს ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ ჯარმა წინსვლა ვეღარ შეძლო და გამობრუნდა.

ტერიტორიის გავრცობა, სხვებზე აღმატება, ქონების მოხვეჭა, გმირის სახელი და დიდება ცვლილა ადამიანთა ცნობიერებას, ეთიკას, სულიერ ღირებულებებს. ასე მყარდებოდა წონასწორობა ცივილიზაციასა და კულტურას შორის.

არისტოკრატიას ჰქონდა შესაბამისი ყოფითი კულტურა, რაც გულისხმობდა როგორც განათლებასა და ეტიკეტს, ისე ტანსაცმელს, ცხენ-იარაღს, ოქრო-ვერცხლსა და ფერადი მინის ნივთებს.

უცხოეთიდან შემოჰქონდათ, ანდა ნადავლის ნაწილი იყო ირანული და ბიბანტიური ფერადი, ორნამენტირებული ქსოვილები. ასეთივე ტიპის ქსოვილები მზადდებოდა საქართველოშიც. აღაფად წიგნებიც მოჰქონდათ. მაგ., არაბული „წიგნი საქიმო“.

ასევე მზადდებოდა ვერცხლისა და ოქროს საკიდები, სამაჯურები, ყელსაბამები ვარდულებითა და მძივებით, მინანქარის მედალიონები.

ნადიმები და არისტოკრატიული ცხოვრება თხოულობდა შესაბამის ჭურჭელს, ლარნაკებს, სასმისებს, ჯამებს, ფიალებს, რომელთაც ამკობდნენ არწივის მსგავსი ფრინველებისა და ლომების გამოსახულებებით.

ზოგი ფეხიანი იყო, ზოგი – უფეხო. ზოგი ვერცხლისა, ზოგი – მინისა, ან – კერამიკისა.

ერთმანეთში მონაცემებს მწვანე, ყვითელი, ლურჯი ფერები.

როგორც ვთქვით, ბოგი ნივთი ტფილისის კერამიკული სახელოსნოს ნაწარმი იყო, მაგრამ, ალბათ, მეტი წილი – უცხოური, როგორც ვაჭრების შემოტანილი, ისე ომებით მოპოვებული.

მათი უდიდესი ნაწილი განადგურდა შემოსევების შედეგად, ან გაიტანეს დამპყრობლებმა, ბოგიც დაიმსხვრა ან დროს ვერ გაუძლო. ამიგომ შემორჩა მხოლოდ უმცირესი ნაწილი, რაც ვეიჩვენებს თუ როგორი ბრწყინვალებით ცხოვრობდა ქართული არისტოკრატია დავითის დროიდან.

განსხვავებული ვარიაციით ეს აისახა „ვეფხისტყაოსნის“ მეფეთა ცხოვრებაში, მათ ეტიკეტსა და ყოფით ატრიბუტიკაში (იხ. „გმირის იდეალი“).

## 2. საერო მწერლობის წარმოშობა

ასკეტიკურ-მისტიკური კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა და წმენდა წარმართულ მორალსა და შეგნებას, არ ამოწურავდა ელიტისა და მასის ინტერესებს.

ცხოვრება, ბრძოლა არსებობისათვის, ადამიანური ვნებები არყევდა იდეალებს და თვით სამღვდელოთა, ღვთისმსახურთა წრეშიც იწვევდა აღრევას. მასაში კი ისევ ცოცხლობდა წარმართულ-ხალხური ტრადიციები.

საზოგადოების საერო ფენას – სამეფო დინასტიას, დიდებულებს, ერისთავებს, სარდლებს, მეომრებს, მიწის მუშებს თუ ხელოსნებს უფლის დიდებისა და მიღმა სამყაროს გარდა მიწიერი, ამქვეყნიური საზრუნავი, საბრძოლველი და საშრომის უხვად ჰქონდათ.

გამარჯვებულ მხედრობას გაღადებული ცხოვრება იტა-  
ცებდა. მისტიციზმისა და ასკეფიზმის არეალი დავიწროვდა. ტა-  
ძარი ისე იწვევდა კრძალვას, მაგრამ მეფეს და სარდალს  
მდგომარეობის შესაბამისი სასახლე ეწადა, შესაბამისი ატრი-  
ბუტებით და ეტიკეტით, რასაც ისინი ხედავდნენ მუსულმანურ  
ქვეყნებში.

ჯორი კარგი იყო, მაგრამ სჯობდა ცხენი, რომლის ლაგამ-  
აბჯარ-უნაგირს „ხშირად ესხა მარგალიტი“.

საიქიო ცხოვრებას სცნობდნენ, განადიდებდნენ ქრისტეს  
და ბეციურ მხედრობას, თუმცა ამ ქვეყნის დატოვებას ისევ  
ახლდა გლოვა (ერთწლიანი), ვაება და ტყება, ძაბის შემოსვა,  
თმისა და წვერის მოპარსვა, ბნელში ჯდომა. საჭირო ხდებოდა  
მიწიერი არსებობის მოწესრიგება, ვიდრე უფალს მიუვიდოდ-  
ნენ.

## აღმოსავლურ-მაჰმადიანური ფაქტორი

როგორც ვთქვით, მხედრული სულის აღზევება, სიმდიდრე  
და სიახლოვე მუსულმანურ ქვეყნებთან, მათ ყოფასთან, მათ  
ხელოვნებასთან, ცვლიდა ქართველთა ცნობიერებას ანუ –  
ჰეროიკა, ერესი და ეროსი.

ეს ყველაზე კარგად მწერლობაში გამოჩნდა, რომელიც  
სასულიეროს სანაცვლოდ საერო გახდა და მოიცავდა ახლო და  
შორეულ აღმოსავლეთს – არაბეთს, სპარსეთს, ინდოეთს, ხო-  
რებშის...

უკვე ნაკლებად იმიდავთ ბიბანგია, ანტიოქია, ალექსანდ-  
რია, იერუსალიმი, თუმცა სწორედ აქ იბრძოდნენ, აქ იღუპე-  
ბოდნენ ევროპელი ჯვაროსნების ლეგიონები, რათა ესსნათ  
ქრისტეს საფლავი და დაცვათ ქრისტიანები.

ასეთ დროს ქართველობა ჯვაროსანთა ომებს კი არ ასა-  
ხავდა, არამედ – აჩვენებდა აღმოსავლეთის ცხოვრებას („ვეფ-

ხისფეხაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, ექსპან-სიას აღმოსავლეთისაკენ, დაუსრულებელ ომებს მეტობლებთან და ამის შედეგად ძლევამოსილ სამშობლოს (თამარის ისტო-რიკოსები, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“).

თუ ბიზანტიაში საერო მწერლობას, ისტორიოგრაფიას, სა-ტრფიალო და სარაინდო რომანებს საფუძვლად დაედო ანტი-კური ტრადიციები, საქართველოში გრაგამკვლევი და სტიმუ-ლატორი აღმოჩნდა აღმოსავლეთი – არაბული და სპარსული პოეტია.

ფილოსოფიური რენესანსის შემდეგ, XII საუკუნიდან ბი-ზანტიაში იწყება ანტიკური რომანების სატრფიალო, ლირი-კული და გმირული მოტივების აღორძინება (მაგ., თეოდორე პროდრომეს „როდანთე და დოსიკლე“, ევსტათი მაკრემბოლი-ტის „ისმინე და ისმინასი“, ნიკიფა ევგენიანეს „დროსილესა და ქარიკლეს სიყვარული“).

საერო მწერლობა წარმოიშვა სირიაშიც (კ. წერეთელი), რომელსაც მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა გააჩნდა. იგი ფუნქციონირებდა არამეული ენის დიალექტზე, რომელიც VIII საუკუნიდან მხოლოდ ეკლესიას და ლიტერატურას შერჩა.

ევროპა ღრმა მისტიკიზმში იყო ჩაძირული და მოგვიანე-ბით გაუხსნა გრა ცხოვრებას, რაც მოჰყვა ჯვაროსანთა ლაშქ-რობას, არაბული ტრადიციების ათვისებას და ვნებების აზვირ-თებას.

ნიკო მარმა 1899 წელს საერო მწერლობის წარმოქმნის მიზებად სპარსული მწერლობა მიიჩნია, თუმცა შემდეგ ეს თვალსაზრისი უარყო.

ნ. მარის შეხედულება ერთხანს ფართოდ გავრცელდა. იგი მიიღო კ. კეკელიძემაც. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთი შე-ებრძოლა ევროპოცენტრიზმსა და უცხოეთისადმი მიმბაძვე-ლობას, კ. კეკელიძემ შეიმუშავა სასულიერო მწერლობის საე-როში გადაბრდის თეორია, რომ ქრისტიანული მწერლობის წიაღმი მომზადდა ის ენა, ფორმები, სახეები და იდეები, რაც

განავითარა საერო მწერლობამ, თუმცა ისიც შენიშნა, რომ საჭირო იყო რაღაც ნაპერწკალი, „რაღაც სხვა პირობა“.

შემდეგ ეს თეორია გაძაფონდა და ნიკო მარის სპარსული ფაქტორი მიუღებლად მიიჩნიეს (პ. ინგოროვა, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე).

ბოლო დროს ნომადი ბართაიამ ააღორძინა ნ. მარის შესედულება და ახლებურად გაიაზრა საერო მწერლობის წარმომადის პროცესი, რაც სწორად და მართებულად მიგვაჩნია.

როგორც ვთქვით, საქართველო დავითის დროიდან ტოლერანტული ქვეყნა ხდებოდა. ამის გამო მუსულმანობას არავინ ღებულობდა. მაგრამ სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ უცხო რჯულთან თანამარსებობა.

სამეფო სახლის შვილები თხოვდებოდნენ მუსულმანურ ქვეყნებში (მაგ., დავითის თამარი შარვანში, დემეტრეს რუსუდანი ხორასანში, მეორე ქალიშვილი – დარუბანდში, თამარის ნახევარდა – არბრუმში, რუსუდანის თამარი – „გურჯი ხათუნი“ – რუმში). მუსულმანური ქვეყნები იყვნენ საქართველოს ყმადნაფიცები და მოხარკენი, სულტანთა წესის მიხედვით შემთიდეს ათაბაგობა და ვაზირის სახელო.

ყუთლუ-არსლანის ოპოტიციონერი დასელები კარავის დადგმას ცდილობდნენ მუსულმანური ტფილისის ბერების საბჭოს მსგავსად, როცა ქალაქს უკვე აღარ მართავდნენ ჯაფარები.

აღმოსავლეთი გავლენას ახდენდა ქართველთა მართვა-გამგებაბე, კულტურაბე, ცხოვრების წესებე, რაც უფრო აშორებდა ქვეყანას ბიბანგისაგან. მაგ., არაბებისაგან აითვისეს ასტროლოგიური შეხედულებანი, რამლის ჩხრეკა, სამედიცინო სიახლენი, 1206 წელს ქართულად უთარგმნიათ არაბული სამედიცინო ენციკლოპედია.

ტფილისი 400 წელი სარკინობთა ქალაქი იყო, მეტი წილი მოსახლენი მუსულმანები იყვნენ და, ცხადია, გრძელდებოდა არაბულ-ირანული ტრადიციები.

აღმოსავლური ხორციელობის აპოლოგია, ქალისა და სიყვარულის ხოფბა, რაც სპარსული პოეტით გადმოეცა ქართულ კულტურას, გავრცელებული იყო ჩინეთში, ინდოჩინეთში, ინდოეთში, სადაც შიშველი და ეროტიკული ქანდაკებებით ამობდნენ ტაძრებს.

## ანტიკური ასოციაციები

ქართულ საერო მწერლობაში გაერთიანდა ორი ნაკადი - ანტიკურ-წარმართული და აღმოსავლურ-სპარსული და არაბული, რაც არაქრისტიანული აღმსარებლობის გამო ასევე წარმართულად აღიქმებოდა:

ანტიკური – ცოდნის დონეზე, აღმოსავლეთი – სამოქმედოდ.

ელინურ-რომაული კულტურა ქრისტიანული რელიგიის მიერ იყო უარყოფილი. მაგრამ იგი საუკუნეების მანძილზე არსებობდა და მისი დიდი ღირსების იგნორირება შეუძლებელი იყო.

როგორც II წიგნში ვაჩვენეთ, ქრისტიანული ღოგმების ფორმირების პროცესი იოლად არ წარმართულა და ამას არა-ერთი გამოჩენილი მღვდელმთავარი შეეწირა:

ძიება, განმარტება, განსხვავებული ამრი ერესად ცხადდებოდა.

ერესი თავისუფალი აზროვნებისაკენ სწრაფვა იყო, რომელსაც ფიქრი ანტიკისა და ნეოპლატონური კულტურისაკენ მიჰყავდა, აღვიძებდა ეჭვსა და სკეპსისს.

ქრისტიანული ერესი მისტიციზმის სფეროში იყო მოქცეული და რეალური საგნებისაკენ გრა არ გაუკაფავს. სინამდვილე თავად შეადგენდა მისტიციზმის ნაწილს.

ბეციურის პრიორიტეტი ეჭვს არ იწვევდა, არც ღმერთის არამატერიალური ბუნება ან სახარების ტექსტის ჭეშმარიტება.

მაგრამ დრო იცვლებოდა და ძიება გავიდა დოგმატების სფეროდან, როცა ამ დოგმებით აღჭურვილი მოაზროვნე აყენებდა ახალ პრობლემებს (მაგ., სომხურ კულტურაში).

ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, ოღონდ იგი ვერ გადაფარავდა, ვერ შეცვლიდა მთელს კულტურას, როგორც ამას მიიჩნევდა შალვა ნუცუბიძე.

არც კულტურშემოქმედს, არც კულტურის გამზიარებელს არ იყო აუცილებელი სცოდნოდა ფილოსოფიური აზრის მდინარება და მნიშვნელობა. ამიგომ არეოპაგიტიკა და პეტრიწი ვერ იქნებოდა XII საუკუნის თუ შემდგომი დროის ქართული პოეტის „საფუძველი, როგორც თვლიდა „აღმოსავლური რენესანსის“ ავგორი.

პოეტია იცვლებოდა მთელს საზოგადოებასა და კულტურასთან ერთად, რისთვისაც გადამწყვეტი აღმოჩნდა აღმოსავლეთი.

ანტიკა – წარსულიდან, მუსულმანური კულტურა – აღმოსავლეთიდან, რეალური ცხოვრება – თანამედროვეობიდან ავიწროვებდა ასკეტიკურ-მისტიკურ თვალთახედვას თუ ნეოპლატონურ მსოფლგაგებას.

ხალხის წიაღში არსებული წარმართული ნაკადი ვერ იქნებოდა ძლიერი ძალა, რადგან მას, როგორც მდაბიურს, არ სცნობდა არისტოკრატია.

არაბების მიერ აღმოჩნილი ანტიკური მემკვიდრეობა ქრისტიანების მზერასაც ცვლიდა, როგორც მშობლიური ისტორიის მიჩქმალული ნაწილი.

XI საუკუნის ბიბანტიაში აშკარა გახდა მიბრუნება ანტიკური ძირებისაკენ. ეს ყველაზე აღრე გამოჩნდა ფილოსოფიაში, რომელმაც თეოლოგიის გავრცებით ნეოპლატონიზმისაკენ გაიხედა. ნეოპლატონიზმიდან უკვე გამოჩნდა ანტიკური აჩრდილები – პლატონი, არისტოტელე, პომეროსი (ის. II წიგნში – „მანგანის აკადემია და პეტრიწონი“).

ეკლესიაც ნელ-ნელა ცდილობდა შეგუებას ასეთ სახელებთან და სათავისოდ გამოყენებას.

ანგიკა ბერძნული კულტურის ნაწილი იყო და მხოლოდ რელიგიური ნიშნით საკუთარ ისტორიას ვერ გააუქმდნენ. მასთან კონტაქტი სრულად არც არასოდეს გაწყვეტილა. ამისი მაგალითია გრიგოლ ნაბიანზელის შემოქმედება. მაგრამ XI საუკუნიდან კონსტანტინეპოლიში, მანგანის აკადემიაში, როგორც ვთქვით, დაიწყო უფრო მასშტაბური ათვისება შორეული წარსულისა და ამ ინგერესს იზიარებდნენ ქართველი მოაბროვნები (მაგ., იოანე პეტრიწი).

ჯერ ეფრემ მცირემ თარგმნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, შემდეგ – იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსი და ნემესიოს ემესელი. მათი კომენტირება იგივე შესწავლა იყო, ოღონდ თეოლოგიური თვალსაზრისით, მითოლოგიისა და ფილოსოფიის ფართო სპექტრში. ერთი მხრივ – ანგიკის ასეთი რევიზია გრძელდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ – ანგიკური სახელები, იდეები, სახეები იჭრებოდა მოაზროვნეთა ცნობიერებაში და ავსებდა ქრისტიანულ წარმოდგენებს.

ძველი ბერძნული ენა დიდი ხნის მკვდარი იყო. ლათინური ცოცხლობდა მხოლოდ ინტელექტუალთა, მეცნიერთა წრეში. ამიგომ მასა ვერც შესძლებდა მათ ათვისებას. შესაბამისად – იოლი იყო გაფილტვრა და ინგერპრეტირება, მასალისადმი აქცენტების გადანაცვლება, ქრისტიანული განმარტება.

ქართული კულტურაც ნელ-ნელა დაიქსელა ანტიკური ასოციაციებით, შეიქვთ წარსულის სახელებით, რაც გახდა სანიმუშო და სამაგალითო. ანგიკურ ღმერთებს არავინ ღებულობდა, მაგრამ გმირები, ფილოსოფოსები, პოეტები სამზეობე გამოილოდნენ. ზოგს ისინი ქრისტიანობის წინამორბედებად მიაჩნდა, როგორც ძველი აღთქმა.

ქართველთა ცნობიერებაში ქრისტიანულ წარმოდგენებს ერწყმოდა ანგიკური სამყაროს ცოდნა. მაგ., „თამარიანი“ არა-ერთხელ იმოწმებს კრონოსს, ზექსს, აქებს ელინთა შვილების ენამზეობას. მაშინ, როცა მის ავგორს – გრიგოლ ჩახრეხამს-დეს გელათის მონასტერში არსენ იყალთოელის „დიდი სჯუ-

ლისკანონი“ გადაუწერია და ეწადა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ბერად შესვლა (პ. კეკელიძე).

იოანე შავთელი, „კაცი ფილასოფოსი და რიგორი“, რელიგიური მოღვაწე, შენატრის გელათის, როგორც ელადას, რადგან ეს ტაძარი ახალ ათენად იყო განზრახული; მიმართავს კრონისსა და ზევსს, „ათინელთ ბრძენ“ შვილებს, პარმენიდეს, სოფრატს, სოფოკლეს, პერიპატოელებს, ნეოპლატონიკოსებს – პროკლესა და იამვლიხოსს (ბ. დარჩია, მ. თავდიშვილი, ა. ხინთიძიმე ამტკიცებენ, რომ „აბდულმეჟიანი“ დაკარგულია. ხოლო ამ სათაურით მოღწეული პოემა დაწერა XVII საუკუნის მიზროპოლიტმა იაკობ შემოქმედელმა, რომელმაც ხოგბის ობიექტად არჩილ მეფე გამოიყვანა).

„ისტორიანი და ამანის“ ავტორის აზრით, თამარის საქებრად ძალა არ ეყოფოდათ „ულუმპიანებს“, რომ საჭირო იყო „ომიროსი“, ხოლო აქილევსს, სოკრატსა და პლატონს ასახელებს ბიბლიურ და ორანელ გმირთა შორის, პერელოპას – მარიამთან ერთად, ასევე – სამიჯნურო წყვილებს – პოლოპას და იპოდამს, პლატონსა და პერსეფონის.

მემატიანის მიერ ნაჩვენებ ბრძოლის სურათებს აღგას აქილევსისა და „ისქანდირ მაკიდოვნის“ აჩრდილები.

თამარი ისევე სვიანია, როგორც ალექსანდრე, მშვენებით აფროდიტეს ჰგავს, მზეებრი სიუხვით – აპოლონს ანუ სანიმუშოა ანგიკა და არა ბიბანგია.

ავტორისათვის ელინელი ბრძენისა და გმირის სინონიმია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იცნობს „ილიადას“, დავით მეფეს აქილევსა და ახალ ალექსანდრეს უწოდებს. დავითის ომებს ალექსანდრესა და ტროელთა ომებს აღარებს. გელათი კი მისთვისაც „სხუა ათინაა“.

თამარის დროშა არის არა მხოლოდ გორგასლიან-დავითიანი, არამედ – ალექსანდრიანიც.

ალექსანდრეს ლაშქრობას აკავშირებს ჩვენს ისტორიას-თან ლეონტი მროველი. ეს ცნობა მას აუღია, შესაძლოა თარგ-

მნილ ფსევდო-კალისტენეს რომან „ალექსანდრიანი“-დან (III ს.), სადაც კ. კეკელიძის აზრით, საუბარია შუააბიის კავკასიაზე.

აინტერესებდათ წიგნი იმპერატორ იულიანე განდგომილ-ზე, ნიბამის „ისქანდერ ნამე“, ადგენდნენ ფილოსოფიურ კრებუ-ლებს (მაგ., „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“ – XI-XII სს.).

რუსთაველისათვის ავტორიტეტია პლატონი, სოკრატე, დი-ონისე არეოპაგელი, საერთოდ – ბრძენი ათენელები და ნეო-პლატონიკოსები.

თეოლოგიასა და ფილოსოფიაში წარმოქმნილი ინტერესი ანტიკური სამყაროსადმი გადავიდა ისტორიოგრაფიაში, პოე-ზიაში, პოლიტიკურ სიმბოლიკაში.

პლატონი და არისტოფელე სიბრძნის სიმბოლოა, აქილევ-სი და ალექსანდრე – სიმამაცისა, ხოლო ათენი ბრძენთა სამ-შობლოა.

ბიბლიის ცოდნას, ბიბლიურ სახეებსა და სახელებს დაერ-თო ანტიკისაკენ სწრაფვა, რამაც დავიწყებას მისცა ქართველი და ბიბანგიელი მოწამენი, მათგე დაწერილი ტექსტები.

ისინი დარჩა ეკლესიის ანალოგებე (მაგ., მემატიანები აღარ ახსენებენ ძველ საეკლესიო ქართველ მოღვაწეებს, წმინდანებსა და წამებულებს).

მათ ადგილს იკავებდა რეალური, პირობითი და სიმბო-ლური აღმოსავლეთი. მხოლოდ დიონისე არეოპაგელი, თარუმ-ნილი ეფრემ მცირეს მიერ, ახდენდა გავლენას ელიტის ცნო-ბიერებაზე (დიონოსი – ჩახრუხაძე, დიონისე – პეტრიწი, დივ-ნოს – რუსთაველი), როგორც თეოლოგი.

ანტიკა წარსული და ისტორია იყო, მუსულმანური აღმო-სავლეთი – თანამედროვეობა. ორივეს კი ხორციელობის აღდ-გენისაკენ მიპყავდა შემოქმედი, რაც იყო რენესანსული ტენ-დენციების გამოვლენა.

ასკეტიკოსებსა და მისტიკოსებს, რელიგიური კულტის მსა-ხურებს და მათ კულტურშემოქმედებს ეკლესია და მონასტერი ინახავდა, საერთ პოეტებსა და მეცნიერებს – მეფის სასახლე.

ეს ტრადიცია არსებობდა აღმოსავლეთში. მაგ., მუსელმანური ირანის პირველი შაჰინშაჰი აზუდ ად-დოულე (X ს.) რელიგიური რწმენის განურჩევლად მფარველობდა ფილოსოფოსებს, პოეტებს, მეცნიერებს (დ. კაციტაძე). მას ვებირად ჰყოლია ქრისტიანი ნასირ იბნ ჰარუნი.

## არაბული უნივერსალიზმი

VII საუკუნიდან ქართველებს არაბთა იმპერიაში უხდებოდათ ცხოვრება, შრომა და ბრძოლა. ბიბანგია იყო იმედი, სარკინობი – მტერი და ურჯულო. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში არაბთა მყურობელობაში ყოფნა, ქრისტიან არაბებთან ადრევე არსებული ურთიერთობა კულტურაზე მაინც ახდენდა ბეგავლენას.

რელიგიის ბარიერი აკავებდა ამ შემოტევას, მაგრამ არა სრულად, რადგან რწმენას სჭირდებოდა სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა, მახვილით დაცვა.

ბედუინების შთამომავლებმა, მას შემდეგ რაც შექმნეს საკუთარი რელიგია, შექმნეს უბარმაბარი და იმუამად უძლიერესი იმპერიაც, ალაფისა და ხარკის წყალობით ეკონომიკაც განავითარეს, განავითარეს კულტურაც, მეცნიერება და ხელოვნება (მაგ., 636 წელს როცა ქტებიფონი დაანგრიეს და გაბარცვეს, ხელთ იგდეს 900 მლნ დირჰემის დავლა).

როგორც შენიშნავს ვიქტორ ნობაძე, XII საუკუნის ბაღდადში ცხოვრობდა 1,5 მლნ სული. მრავალი სახლი იყო 12-სართულიანი, ჰქონდათ 60000 აბანო, უამრავი მეჩეთი, სასახლე, ბაღი, ბაზარი. შორი მთებიდან ქალაქში მიღებით გამოჰყავდათ წყალი.

ბოროასტრულ ირანს მაპმადის არაბეთი შეენაცვლა. არაბები 300 წელი ბატონობდნენ ირანში.

ბერძნულთან ერთად სამეფო კარისა და ელიტისათვის აუცილებელი გახდა არაბული ენა (ორივე იცოდა დავით აღმაშენებელმა).

ბაღდადი იყო არაბული კულტურის და სახელმწიფოს ცენტრი (762 წლიდან), რაც დაპყრობილი ესპანეთის მეშვეობით სწვდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. შემდეგ მას ქაირო შეენაცვლა.

არაბები გაეცნენ ანტიკურ კულტურას და წინ წასწიეს მეცნიერების არაერთი დარგი, რაც ჩახშობილი ჰქონდა ქრისტიანობას.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მათემატიკამ, ასტრონომიამ და ასტროლოგიამ, მედიცინამ, გეოგრაფიამ, ისტორიოგრაფიამ.

X საუკუნის ბაღდადში არსებობდა 100 წიგნის მაღაზია. არაბებს ჰქონდათ სამი დიდი ბიბლიოთეკა – ქაიროში, ბაღდადსა და კორდოვაში. ქაღალდის გავრცელების შემდეგ კორდოვაში ყოველწლიურად 18000 წიგნი მჩადდებოდა.

ქართული ეკლესია-მონასტრები, როგორც ვაჩვენეთ, არაბეთის იმპერიაში მოექცა. ამიგომ არსებობდა მუდმივი კონფაქტი სარკინობებთან.

არაბები ყურანის თვალთახედვით სწავლობდნენ ანტიკურ ფილოსოფიას, თარგმნიდნენ არისტოტელეს, რაც შემდეგ არაბიზებული სახით გადაეცა დასავლეთს.

ე. ხინთიბიძის აზრით, არაბული ფილოსოფია არის ფოტელური იყო (აღმოსავლეთში – ალ-ფარაბი და ავიცენა, ესპანეთში – ავეროესი და აბუბაცერი)

XII საუკუნიდან არაბული კულტურის ცენტრი ესპანეთშია, საიდანაც იგი უფრო ახდენს გავლენას ქრისტიანულ ევროპაზე, როგორც რენესანსის ერთ-ერთი წყარო.

არაბული ლიტერატურის საფუძველია, ისევე როგორც რელიგიისა – ყურანი, გარითმული პრობით დაწერილი წიგნი.

არაბული კულტურაც ნაციონალური თვალსაზრისით ისე-თივე სინთეზური იყო, როგორც ბიზანტიური.

არაბები დაუცხრომელი მთარგმნელები იყვნენ, თარგმ-ნიდნენ ძველ და ახალ ავტორებს, სხვადასხვა დარგის სამეც-ნიერო წიგნებს.

მათ პოეზიაში დამუშავდა ყასიდისა და ყაზალის ფორმები, დამკვიდრდა ხოგბა და ჰიპერბოლა (მაგ., ალ-მუთანაბი), რით-მის ორმაგი სახეები (აბუ ლალა ალ-მაარი), შემოიღეს სტრო-ფელი დაყოფა.

არაბთა და სპარსთა პოეტების გაცნობამ დახვეწა გარი-თმვის წესი, მელოდიურობა შესძინა რითმას, გამოკვეთა მეტ-რი და სტროფიკა, შესრულების სტილი.

უკუგდებულ იქნა ბიბანტიური ჰიმნოგრაფიული პოეზიის ფორმები, როგორც მისტიკური და არაცხოვრებისეული.

ეს ყოველივე აისახა ჩახრუხაძის „თამარიანში“, სადაც წამოწეულია ფორმა და ტექნიკა, გართულებულია ხოგბის ენა და ჰიპერბოლიზმებას საზღვარი არა აქვს.

ქრისტიანული ბომიერება და მოკრძალება აშკარად დარ-ღვეულია.

ჩვეულებრივ, ყასიდები და ყაზალები იმღერებოდა, რო-გორც გალობდნენ ქრისტიანები ჰიმნებს.

ამიგომ ჰყავდა პოეტიას არა მკითხველი, არამედ – მსმე-ნელი. ბოგჯერ სიმღერას ცვლიდა რეჩიტატივი, წამღერებით კითხვა. წერა-კითხვის მცოდნე ისედაც ძალიან ცოტა იყო.

ტექსტები ხელნაწერებთან ერთად გეპირად ვრცელდებო-და, რაც ხელს უწყობდა ცვალებადობას.

არაბთა შორის საგრძნობი ადგილი ეკავა ქრისტიანულ მწერლობას, რომელსაც ეცნობოდნენ ქართველები (მაგ., თეო-დორე აბუკურას) და თარგმნიდნენ.

ქართულად უთარგმნიათ ასტროლოგიური ტრაქტატი, რო-მელშიც მოდიაქოს თანავარსკვლავედები ქართულად და არა-ბულად არის სახელდებული და მინიატურებით გამოხატული (1188 წლის ხელნაწერი – აკ. შანიძე).

ქრისტიანული რელიგიის გავლენით აღმოცენდა სუფიზმი, რაც განსაკუთრებით XII საუკუნიდან ვრცელდება.

სუფიური სიმბოლიზმი გადავიდა ანდალუშიაშიც (მაგ., იბნ ალ-არაბის პოეტიაში).

შენდებოდა სვეტებიანი და გუმბათიანი მეჩეთები. იყენებდნენ ელინისტების, ირანელებისა და ბიბანტიელების გამოცდილებას, რათა აღაპის სახლი ბრწყინვალე და დიდებული ყოფილიყო; შენდებოდა სასახლეები, რომელთაც ამკობდნენ მომაიკით, რთავდნენ მხატვრობითა და ქანდაკებებით, როგორც ელინელები, თუმცა ისლამი კრძალავდა ადამიანის გამოსახვას.

როცა გადავიდნენ აგრესიიდან თავდაცვით ბრძოლებზე, მაშინ უკვე მეტი ყურადღება მოუქმა ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას, სასახლეთა კეთილმოწყობას, რაც იმიდავდათ ქრისტიან ხელისუფალთ.

არაბების, ირანელების, მათ ტერიტორიაზე მოსახლე თურქი ღოლამებისა და ყარაბანიანების დამარცხებისა და შეგღუდვის შედეგად ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრდნენ მომთაბარე თურქი ოღუზების კაბაკას თუ კინიკის ტომიდან გამოსული სელჯუკების შთამომავლები.

1055 წელს სირდარიისა და არალის ბლვის ველებიდან დაძრულმა ტომებმა დაიპყრეს ბაღდადი.

სალიფამ თოღრულ-ბეგი სულტნად დალოცა და თავშე დაადგა ფეხშიშველა მწყემსს სიმბოლური ორრქიანი გვირგვინი (ვ. გაბაშვილი). თურქ-სელჯუკებმა მიიღეს ისლამი და აითვისეს სპარსულ-არაბული კულტურა, რაც უკავშირდება სულთანის დიდ-ვეზირის სპარსი ნიბაზ ულ-მულქის (ნამდვილი სახელი – აბუ ალი ჰასან ტუსი) მოღვაწეობას, რომელიც მოკლეს ასასინებმა.

## ტფილისი - შარვანი

ჯვაროსანთა მოძალების გამო თურქ-სელჯუკებიც თმობდნენ პოტიციებს, თუმცა ისინი ფანატიკოსი მეომრები იყვნენ

და საქართველოსაც მუდმივად ომის რეგიმში უწევდა არსებობა.

საქართველოს განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა ეროვნებით აღბანურ, თურქულ და ირანულ, კულტურით სპარსულ და რჯულით მუსულმანურ შარვანთან, რომლის დედოფალი იყო დავითის ასული თამარი.

თამარისა და მანუჩარ II-ის ძე აღსართანი (არაბულ-სპარსულად – აბულ-მუხამედფარ მანუჩარ-ახისფანი) ხშირად სტუმრობდა საქართველოს. გიორგი III ჯარითაც ეხმარებოდა მას მცერთა მოგერიებაში (მაგ., 1173 წელს დარუბანდელია წინააღმდეგ). ეს ტრადიცია თამარის დროსაც გრძელდებოდა. შემდეგი შარვანშას ჩამოსვლასაც ახლდა აღლუმი, პურობა და ნადიმი, „იყო სიხარული და გმა მგოსანთა და მოშაითა“, „მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთაობა“ („ისტორიანი და აზმანი“), რადგან ესეც იყო „შინაური და თვისი“.

მგოსანთა შეჯიბრში მონაწილეობდნენ ნიბამი განჯელი (1141-1203) და ხაყანი შარვანელიც (1120-1199), შეიძლება სხვებიც – აბულალა, ფალაქი, ეხსიკეფი...

როგორც აღნიშნავს ნ. ბართაია, როცა ჩვენში ჩაისახა სახოგბო ლირიკა, სპარსული პანეგერიკული პოემია უკვე ორ საუკუნეს ითვლიდა.

სპარსულ ლიტერატურას XII საუკუნეში ჰყავს ხაყანი (აფშალადინ იბრაჰიმ აღი ოღლი) და ნიბამი განჯელი, რომელთა მიღმა დგას აბულ ყასიმ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ და ფახრ ედ-დინ გორგანელის „ვისრამიანი“.

ამ დროისათვის სპარსული კულტურის ცენტრი გადმოდის თურქი მაკმუდის ბრწყინვალე დაბნადან, სადაც „შაჰ-ნამეს“ წერდა ფირდოუსი, შარვანში.

შარვანს მართავდნენ ბაგრატიონთა ნათესავები.

შარვანშა აღსართანმა, რომელიც იყო დავით აღმაშენებლის თამარის შვილიშვილი (და არა შვილი), თამარ მეფის სიყ-

ვარულით „ცნობა-მიხდილმა“ 1188 წელს ნიზამის დაავალა, რომ დაწერა „ლეილმაჯნუნიანი“.

საყანს დედა პყოლია ქრისტიანულფილი, კათალიკოსის ასული, სცოდნია ქართული და ტფილისში გამართულ პოეტურ შეჯიბრშიც მონაწილეობდა.

საქართველოს ცენტრმაც გადმოიწია დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ, ქუთაისიდან – ტფილისისაკენ.

მოხდა ურთიერთდაბლოება, რაც ჩვენს მიერ თარგმანებით უნდა დაწყებულიყო. თარგმანს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობისათვის და იგი, როგორც ჩანს, ახლაც ორიგინალად წარმოედგინათ (მაგ., „ვისრამიანი“).

ქართველთა მფარველობაში მყოფი შარვანი „ისლამური რენესანსის სამშობლო“ იყო (შ. ნუცუბიძე).

ნიზამი განჯელს „ისკანდერ-ნამეში“ გამოყვანილი ჰყავს ქართველთა მეფე მელიქ დავალი (დვალი), რომელიც ირთავს აზერბაიჯანელთა დედოფალ ნუშაბეს.

„ხოსროვ-შირინიანში“ შირინის პროფოგია თამარი, შამირასი – რუსუდანი (შდრ – „ონომასტიკა“).

როგორც აჩვენა მ. თავდიშვილმა, ნიზამი უფრო ავლენს ქრისტიანობის ცოდნას, ვიდრე რუსთაველი (იხ. „ნიზამი და რუსთაველი“), რადგან იგი სუფისტი იყო (გ. გამსახურდიას მტკიცებით, სუფიმზი აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით და არსებითად ფარული ქრისტიანული მიმდინარეობაა).

სუფიმზი სპარსულ პოეტიაში XI საუკუნიდან შევიდა. მას ჰქონდა თავისი შიფრი და ალეგორია: მაგ.: ღვინო და თრობა მისტიკური ექსტაზია, ლოთი – დერვიში, დუქანი – დერვიშთა სალოცავი, ღმერთი – მეგობარი, სიყვარულის ფიალა, მედუქნე, ღვინის გამყიდველი – ანუ პოეტი წერდა ერთს და გულისხმობადა მეორეს.

ასეთი ალეგორია რელიგიურად დასაშვები იყო და ამ ხერხით შემოქმედი პპოვებდა თავისუფლებას. მაგრამ მისი არცოდნა ტექსტს სხვაგვარ გაგებას აძლევდა. მაგ., ასკეტი,

ხორასანის იმამი ომარ ხაიამი მთარგმნელებმა წარმოადგინეს როგორც ღვინისა და ლოთობის აპოლოგეტი (ზ. გამსახურდია), თუმცა ღვინო არასოდეს დაელია, ისევე როგორც ნიგამის.

როგორც ჩანს, ამ შიფრს არც XII-XIII საუკუნეთა ქართველები სცნობდნენ, რაც აადვილებდა მუსულმანური პოეტის მიღებასა და ათვისებას, როგორც ცხოვრებისეული სინამდვილისა.

ხაყანი, რომელმაც გამწარებული სიცოცხლე თავრიბში დაასრულა, აფხაზეთს, მუხრანსა და ნაჭარმაგევს მყედრო თავშესაფრად მიიჩნევდა.

მეტწილად წერდა პანეგერიკულ (მაგ., განადიდებდა აღსართანისა და ყიბილ-არსლანს), ლირიკულ და ფილოსოფიურ ყასიდებსა და ყაბალებს ანუ რომელთა გამოც რუსთაველი ამბობს – „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

ალბათ ასეთი რეპლიკების ან ტფილისში გამართულ მუშაირაზე მარცხის გამო უთქვაში გულგაფეხილ პოეტს:

„ჩემი გულის დარდის მიზეზი დღეთა ჩარხის ტრიალი კი არ არის, არამედ – საქციელი განჯელი ძალისა და ძრახვა რუსთას ვირის“ (იური მარი).

კ. კეკელიძე უარყოფს, მაგრამ აქ უკველად იგულისხმებიან ნიბამი განჯელი და შოთა რუსთაველი (უფრო ვრცლად იხ. „ავტორი და ტექსტი“):

კ. კეკელიძე „ვეფხისტყაოსანს“ XIII საუკუნის 20-იანი წლებით ათარიღებდა.

„ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ცხადყოფენ, რომ XII-XIII საუკუნეთა ქართველები კარგად იცნობდნენ „შაპ-ნამეს“, „ვისრამიანს“, ნიბამის „ხამსეს“, „ინდოთა აღწერილ“ „ქილილა და დამანას“, რაც აისახა კიდევ მხატვრულ აზროვნებაში.

ქართულ კულტურას მუსულმანურთან აახლოებდა არა ერესი, არა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძიება, არამედ – მხედრული და რომანტიკული სული, ისევე როგორც სპარ-

სულს, კერძოდ – შარვანის სკოლას, ქრისტიანობასთან სუფიზმი და ვასალური კავშირი.

საქართველოში ქრისტიანული დოგმები კი არ დასუსტებულა, არამედ – დასრულდა მათი ყოვლისმომცველობა და კულტურის სისტემაში პპოვეს ლოკალური ადგილი.

ამიტომ თავისუფლად შეეძლოთ მიეღოთ, ეთარგმნათ, სანიმუშოდ დაესახათ სპარსული პოეზია, ისევე როგორც ანტიკური კულტურა.

„აბმანის“ ავტორი ასახელებს 12 სამიჯნურო წყვილს, რომელთა უმეტესობა სპარსული კულტურიდანაა.

ასე რომ – პოლიტიკური სიტუაცია, სიახლოვე სპარსულ კულტურასთან, კერძოდ – შარვანთან, ახლობლობა და ნათე-საობა ბრდიდა ურთიერთინგრერესს, წარმოქმნიდა ფიპოლოგიურ მსგავსებას (იხ. „ტიპოლოგიურ-გენეტიკური რკალი“).

მათ მიიჩიდეს საერთო ცხოვრებას, სიმამაცესა და გართობას დანაგრებულ ქართველთა გული და გონი, რომელმაც მოახდინა გარდაქმნა და ახალი მოდელირება იმ სქემებისა, რასაც კ. კეკელიძის ახსნით იძლეოდა ქართული ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა.

მეომარ არის ფოკურატიას ხიბლავდა რომანტიკული სიუჟეტები, დევ-გმირი პერსონაჟები, ომი და სიმამაცე, პოეტური ხოტბა.

განახლდა სპარსული და არაბულ-სპარსული ლექსიკის შემოღინება (მაგ., აბჯარი, ანდაბა, ანდერძი, დარ, დიბა, ბარი, დანა, ფათერაკი, ნარდი, ჩანგი, ბაბარი, მსუბუქი).

სპარსულმა პოეზიამ არათუ ქართულ ელიტაში შეაღწია, მან ადრევე ბლვარი დაუდო არაბთა გავლენას, დაიმორჩილა თურქ-ლამნელები და თურქ-სელჯუკები (მაგ., თავად ნიბაში და ხაყანი ეროვნებით თურქები იყვნენ). საქართველოშიც სპარსი იქცა მუსულმანის სინონიმად, ნაცვლად სარკინობისა (შდრ – ადრეველი გამოთქმა – „სჯულითა სარკინობის“).

როგორც XII-XIII საუკუნეში მოხდა სპარსული პოეზიით სტიმულირება და განახლება, ასეთივე როლი შეასრულა XIX

საუკუნეში ევროპულმა რომანტიზმა, XX საუკუნეში – მოდერნიზმა და ავანგარდიზმა, მარქსისტულმა იდეოლოგიამ.

პრობის სანაცვლოდ დაიწყო პოეზის პეგემონობა, რაც ნორმად აქცია „ვეფხისტყაოსანმა“ და სპარსულმა პოეზიამ.

ქართულ კულტურაში თუ XII საუკუნის დასაწყისში ბაგონობდა ასკეტიკა და მისტიკა, თეოლოგია და ფილოსოფია, პაგიოგრაფიული მეტაფრასტიკა და ჰიმნოგრაფია, საუკუნის დამლევისათვის მოულოდნელად იგი აღივსო ხორციელობის ხოტბით, პოეტური ჰანგებით, მიწიერი სურათებით და ვნებებით, საომარი სულისკვეთებით.

## გაქართულებული ბიბანტიური მოდელები

უცხოური გავლენა, გარედან მოსული სტიმული და შთაგონება მაშინ გამოიღებს შედეგს, როცა მიმღებს აქს მიმღეობის უნარი და შესაძლებლობა, როცა არსებობს შესაბამისი კულტურული სიტუაცია და არსებობენ შესატყვისი სუბიექტები – ტალანტის მქონენი.

ნაპერწკალი ცეცხლს მაშინ ააბრიალებს, თუ თივას დაეცმა, მაგრამ კლდებე თუ დავარდა – სწრაფად და უკვალოდ გაქრება.

ქართულ კულტურას XII-XIII საუკუნეებში უკვე გააჩნდა მდიდარი გრადიციები. ეს იყო მწერლობა, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, კონფაქტები, რელიგიურ-ქრისტიანული ეთიკა, სახელმწიფოს მართვის გამოცდილება.

დავით აღმაშენებლის დროიდან ქართველი მეფეები სამეფო კარბე თავს უყრიდნენ მწერლებსა და პოეტებს, მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ მათ, თავადაც მონაწილეობდნენ შემოქმედებით ცხოვრებაში. მაგრამ არჩევლენ ჰიმნოგრაფიას (დავითი, დემეტრე, თამარი).

როგორც ვთქვით, ასევე ეხმარებოდნენ ეკლესია-მონასტერებს, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ, ხელს უწყობდნენ სწავლა-განათლების განვითარებას, მეცნიერებს, თეოლოგებს, ასტრონომ-ასტროლოგებს.

ტფილისში ასტრონომიული ლაბორატორიაც კი არსებულა.

გავრცელდა სწავლულთა შესატყვისი ტერმინები და ეპი- თეტები – ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, რიტორი, პიირიკო- სი, გრამატიკოსი, „ზენადს მოძრაობის ასურასტანელი ბმნო- ბავ“.

ელიტას გამოეყო ინტელექტუალთა ფენა, რომელმაც მო- ნასტერს სასახლე არჩია, ასკეტურ იდეალებსა და მორჩილ ცხოვრებას – მიწიერი სილამაზისა და სისასტიკის განცდა და ჩვენება.

ბეცისკენ აპყრობილი მჩერა „უთვალავი ფერებით“ სავსე სამყაროსაკენ დაიხარა.

ელიტა და ნაწილობრივ მასაც იცნობდა ბიბლიის თარგ- მანებს, ბიბანგიელ და ქართველ მოწამეთა ტექსტებს, საგა- ლობლებს. ყველა ხედავდა თუ ეკლესიებით როგორ დაიფარა ქართული მიწა.

ჰაგიოგრაფია და პიმნოგრაფია, რომელთა სათავე და მო- დელი ბიბანგიურ კულტურაში იყო, ივსებოდა ქართული სახეე- ბით, სახელებით, მასალით. მწერლობის ენა, ღვთისმსახურების ენა ქართული იყო, თუმცა ბერძნიშმით შეფერილი. იგი მაინც გარდაქმნიდა უცხოურ ნაკადს და მას აქართულებდა.

ამიტომ იყო, რომ კ. კეკელიძემ საერო მწერლობის სა- წყისი დაინახა ეროვნულ ასკეტურ-მისტიკურ მწერლობაში, რომ აյ გამომუშავდა ის ფორმები და სახეები, რაც განავი- თარა საერო მწერლობამ.

ეს იყო ცალმხრივი სიმართლე, რასაც, როგორც ჩანს, თა- ვადაც გრძნობდა.

როგორც ვთქვით, თარგმანიც ორიგინალად აღიქმებოდა და ასე ნელ-ნელა ქართული ენა, ქართული მეტყველება აქარ-თულებდა უცხოურ ტექსტებს, მათ მიერ დამუშავებულ მოდე-ლებს.

მთავარი იყო ენის ფაქტორი, რომელმაც შესძლო ახალი ცოდნის გადმოცემა, ახალი საგნების სახელდება, როგორც ეგ-ზეგეტიკაში, ისე ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში.

ბიბლიური თარგმანები, ბიბანტიური ჰაგიოგრაფიული ტექსტები შეიცავდა მკვეთრ და დასახსომებელ სიუჟეტებს, იმ პოეტიკას, რომელიც ქმნის ლიტერატურას. მათშიც მღელვა-რებდა ომის სული და მოქმედებდნენ ტრაგიკული ბედის პერ-სონაჟები (მაგ., გ. გამსახურდია წმ. გიორგის მიიჩნევდა რუს-თაველის გმირების არქეტიპად).

საგალობლებში გამოჩნდა სალექსო ფორმები, რომელთა განვითარება საფუძვლად დაედო საერო პოეტიას (მაგ., 16-მარცვლიანი მეტრი).

ცხადია, იცვლებოდა ესთეტიკა. მაგ., ღვთაებისა და მოწა-მეთა ქება დაიკავა სუბერენის ხოგბამ, ადამიანის განდიდებამ, ღმერთის სიყვარული – მიწიერმა სიყვარულმა, მისტიკური თავგანწირვა – რაინდულმა ეთიკამ და გმირის კულტმა, ღვთისმშობელი – საფრფომ, ბიბანტია – აღმოსავლეთმა.

საუკუნეების განმავლობაში ბიბლიამ და ბიბანტიურმა მწერლობამ, რომლის უამრავი ნიმუში ითარგმნა, ჩამოაყალი-ბა ქართულ ენაში სიუჟეტის, ხასიათის, კომპოზიციის, თხრო-ბის, სალექსო ფორმის გრძნობა, რაც კარგად გამოჩნდა ორი-გინალურ ტექსტებში.

საერო მწერლობამ ცხოვრების ნაკადი, ადამიანური ვნე-ბები, ფანგაბირებული და ისტორიული რეალიები შემოუშვა კულტურაში. ისინი ჯერ აღმოსავლური იყო. მაგრამ ეს უფრო აძლევდა შემოქმედს თავისუფლებას, რათა ეთქვა, რომ ეს ქრისტიანული და ქართული სამყარო არ არის, რათა მომხდა-რიყო სქოლასტიკასთან შეგუება, თუმცა ცალკეული მღვდელ-

მთავრები „ვეფხისტყაოსანს“ მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ამჯერად აღმოსავლური მოდელები ქართულდებოდა – უკუგდებული ბიზანტიურის სანაცვლოდ.

## რეალური და პირობითი აღმოსავლეთი

რუსთაველის პერსონაჟთა სამოქმედო არეალი არის მუსულმანური აღმოსავლეთი – არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, გულანშარო, მულდაბანბარი, სემიტურ-ინდოევროპული სამყარო (იხ. „დრო და სივრცე“).

პოეტმა უბარმაბარი სივრცე წარმოსახა, წარმოსახა როგორც რეალურად არსებული, ისე ფანტაზით შეთხბული ქალაქები, არა ერთი ქვეყანა ან რომელიმე სამთავრო.

ასევეა „ამირანდარეჯანიანშიც“ – ინდოეთი, ბლვათა სამეფო, ბალდადი, ბალხეთი, დევთა ქალაქი, იემენი, ტილისმათა ქვეყანა, მნათობთა ქვეყანა, ჩინეთი, ხაზარეთი.

უფრო ფანტასტიკურია „თამარიანის“ პოეტ-პერსონაჟის მოგბაურობა. იგი მოივლის სპარსეთს, ერაყსა და ისპაპანს, გურიდების სამეფოს, ჩინეთსა და ხატაეთს, ხაზარეთსა და რუსეთს, საბერძნეთსა და იტალიას, დასავლეთ არაბულ ხალიფათს, ეგვიპტესა და იემენს, მექასა და ბალდადს.

დავითისა და თამარის მემატიანები კი რეალურ ბრძოლებს აღწერენ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, წარმოადგენენ რეალურ გოპონიმებსა და ისტორიულ სახელებს.

როგორც ჩანს, სარგის თმოგველის დაკარგული „დილარგეთიანიც“ აღმოსავლეთს ასახავდა.

„ვისრამიანი“ სპარსული პოეტის ძეგლია და თავისითავად ყოველივე ნათელია. ოღონდ ეს არის არა მუსულმანური, არამედ – ბოროასტრული ირანის ამბავი, რომელშიც სიყვარული განაგებს გმირთა ფიქრებსა და მოქმედებას.

თამარის დროიდან შენელდა ნაციონალიზმის პათოსი და მსოფლხედვას მიეცა ინტერნაციონალური ხასიათი, გამომდინარე აღრევე არსებული ტოლერანტობიდან.

სახელმწიფო სტრუქტურაში შემოვიდა აღმოსავლური ტერმინები – არაბული ვაზირი და ამირსპასალარი, თურქული ათაბაგი, სპარსული ბენარი (ბენპარ), ბეიმი (ბიპიმ), ტახტი და დარბაზი („დარვაზეპ“ – სახლის კარი), პოეზიაში – არაბულ-სპარსული შაირი, არაბული ხოფბა, ფულის ერთული დირქემი.

„ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაონის“ პერსონაჟით სახელები ძირითადად არაბული და ირანულია და ამ ენებით იშიფრება. მაგ., ამირანი არის ამირ-მირანი და არა ბოროლასტრულიდან მომდინარე ხალხური ამირან/არიმანი (აპრი-მანი).

როცა ივანე ათაბაგს თამარმა ამირსპასალარობა შესთავაზა, მან მოითხოვა, რომ თურქი სელჯუკების სულტანთა მსგავსად შემოეღოთ ათაბაგის ტიტული და ესეც მიენიჭებინათ.

ათაბაგი ეწოდებოდა ტახტის მექვიდრის აღმზრდელს.

ქართველები არასდროს მომწყდარან აღმოსავლეთს. მაგრამ ქრისტეს სახელმა ჩვენი წინაპრები ჩამოაცილა ჯერ მაგდევანურ და მითრაისტულ ირანს, შემდეგ დააპირისპირა მუსულმანურ არაბეთთან.

რელიგიური ფაქტორი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ენა და ეროვნება.

ბიბანგიის იმპერია აღმოსავლურ ქრისტიანობას – მართლმადიდებლობას განასახიერებდა. ამიტომ ჩვენს წინაპრთა ცნობიერებაში აღმოსავლეთი ორად განიყო – ქრისტიანულ და მუსულმანურ ნაწილებად. დასავლეთი და დასავლური ქრისტიანობა კათოლიკური იყო.

მაბდეანური ირანიც მუსულმანური გახდა და დაკარგა უძველესი ნაციონალური რელიგია, ისევე როგორც მითრა და მანი.

ანგიოქია, ალექსანდრია, იერუსალიმი, კონსტანტინეპოლი იყო ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ცენტრები.

ჯერ არაბებმა, შემდეგ თურქ-სელჯუკებმა დაიკავეს მცირე აზია, წინააზია და კავკასია.

ბიბანგია სუსტდებოდა და ძლიერდებოდა მუპამედის აღმოსავლეთი. ჯვაროსნების ლაშქრობებმა კიდევ უფრო გააფერმურთალა კონსტანტინეპოლი.

კათოლიკური დასავლეთის ლაშქრობებს არ ემხრობოდა ბიბანგია და კავშირს კრავდა სალადინთან. 1204 წელს კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა, კერძოდ – ვენეციელებმა დაიკავეს. ამას მოჰყვა ქართული ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდა.

როგორც ვთქვით, ბიბანგიის დაცემა-დასუსტებას, ბიბანგიური კულტურის კრიზისს, ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას, მუსულმანურ ქვეყნებთან მუდმივ ბრძოლა – მეტობლობას საბოლოოდ მოჰყვა ინტერესი მათი ახალი, ცხოვრებისეული კულტურისადმი, რაც გახდა ორიენტირი, სტიმული და შთაგონება სამეფო და ინტელექტუალური ელიტისათვის. ქართველობამ ვერც ტრიუმფის დროს ჰპოვა შინაგანი საყრდენი.

„იყო არაბეთს როსტევან“ – ასე იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტი.

„იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განგებიანი“ – ეს „ამირანდარეჯანიანის“ ჰირველი სტრიქონებია.

ნიბამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანის“ დასაწყისი კი ასეთია – „იყო არაბეთს ოდესალაც მეფე არაბთა ძლიერი“.

ახლა „გისრამიანი“ ენახოთ:

„იყო დიდი და მაღალი სულტანი ტუღლურბეგ ქვეყანასა ხორასნისასა და ადრაბადაგანისა“.

ეს აღმოსავლეთის ქვეყნებია და მათი ხსენების სტერეოტიპის იცავენ ავტორები.

მათგან მთავარია არაბეთი და ინდოეთი:

არაბეთი მაპმადის სამშობლოა, ინდოეთი – ირანელების პრასამშობლო.

რამდენიმე საუკუნით ადრე „ბალავარიანის“ უცნობი ავტორიც ასე იწყებდა თავის ტექსტს:

„იყო ვინმე ქვეყანასა პინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა პრქეიიან შოლაიტ, და სახელი მისი – აბენეს“.

ინდოეთი მითოლოგიურ, სიმბარეულ ქვეყნად წარმოედ-გინათ, რომელიც იტაცებდა ფანგაზიას, როგორც პლატონის ატლანტიდა, რომელიც არავის ეხილა.

ალბათ რუსთაველი არ ყოფილა თავის მიერ ოცნებით წარმოსახულ ქვეყნებში. მაგრამ ისე წერს, როგორც უცხოეთის მკვიდრი, მაქსიმალურად ცდილობს თავისი სამშობლოს სურა-თის დანისლვას, თუმცა ენა და ისტორიის გააჩრება მანც სა-ქართველოსთან აკავშირებს.

მისტიურებას სძლევს მშობლიური ლექსისა და ენის სტიქია.

როგორც ჩანს, ქართველი მწერლებიც ერკვეოდნენ რეა-ლური აღმოსავლეთის გეოგრაფიაში, იქ განლაგებული ქვეყნე-ბის თანმიმდევრობაში. ოღონდ მას ავსებდნენ ფანგაზით, ისე-თივე პირობითობით, როგორც იყო ქრისტიანული სასწაული.

არაბებს ჰყავდათ უამრავი მონა ბანგი და ეს ჩანს „ვეფ-ხისტყაოსანშიც“ (მაგ., XI საუკუნის ბახრეინში ჰყოლიათ 30 000 ბანგი და აბისინიელი მონა – დ. კაციგაძე).

„ამირანდარეჯანიანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „თამარიანის“ მემატიანეთა პერსონაჟები სხვადასხვა ერის შვილები არიან, ცხოვრობენ ერთმანეთისაგან დიდად დაცილებულ სამეფოებში. მაგრამ ერთმანეთიან კონფაქტი არ უჭირთ. ინდოელი ტარიე-ლი, არაბი ავთანდილი, გულანშაროელი ფაგმანი, მულდაბან-ბარელი ფრიდონი ენის ბარიერს არ უჩივიან და ერთმანეთს თავისუფლად ესიტყვებიან.

„თამარიანის“ პერსონაჟი მთელ მსოფლიოს მოივლის. მაგრამ არსად ენობრივი პრობლემა არ შეხვედრია და იქ, უცხოეთის ქვეყნებში სახელიც მოუხვეჭია.

ასეთივე არიან ამირანი და ამ დევგმირულ-საფალაგნო რომანის პერსონაჟები, რომლებიც ხმლით და ცხენით სერავენ მთელს აღმოსავლეთს.

არც ტერიფორიის ბარიერი არსებობს მათ წინაშე. ცხენი თითქოს მითოსური პეგასია, რომელიც იოლად სძლევს ათა-სობით კილომეტრს. პერსონაჟები გზასაც იოლად იგნებენ, საკ-ვებსაც იოლად შოულობენ, არც უფელობა აწუხებთ, არც სამოსელის სიძველე.

ავთანდილმა არაბეთიდან წასვლის წინ „წელთა ოქრო შემოირტყა“, რათა ფულით, ცხენით და მახვილით გზა გაეკვ-ლია.

რეალიზმისათვის აუცილებელ ყოფით დეტალებს, აუცილე-ბელ სიბუსტეს ფარავს პირობითობა, რაც პქონდა ყველა დროის ხელოვნებას, ოღონდ – სხვადასხვაგვარად გაგებული და გააბრებული (მაგ., ავტორი არ გვეუბნება რა ერქვათ თი-ნათინის, ნესტანის, ავთანდილის, ტარიელის დედებს).

ასეთი პირობითობა ჰგავს ქრისტიანულ სასწაულს, როცა მაცხოვარს შეეძლო მიცვალებული გაეცოცხლებინა და ეს მორწმუნეს სჯეროდა.

ქრისტიანული სასწაულების სიმრავლე, რომელთაც წარ-მოგვიდგნენ ქართული პაგიოგრაფიული ტექსტებიც, მორწმუ-ნეს რწმენას უძლიერებდა და ისინი დაეჭვების საგანი არ ხდებოდა.

ეს იყო მისგიკური პირობითობა, მისგიკური ჰიპერბოლა.

იგი საერო მწერლობის ტექსტებში შეცვალა ცხოვრებისე-ულმა პირობითობამ და ჰიპერბოლიზებამ. მასში მოექცა მე-ტყველებისა და სივრცის დაძლევის პრობლემა, დროის აღქმა: ამიტომ შემოქმედს არ სჭირდებოდა, რომ სცოდნოდა ინდოე-თის ან არაბეთის რეალური ისტორია, გეოგრაფია ან ცხოვრე-ბის წესი.

რუსთაველისათვის მთელი აღმოსავლეთი მუსულმანურია.

„ქილილა და დამანა“ (ალბათ ნასრ-ულაპის სპარსული პროზაული ვერსია) ცხოველებს ამეტყველებდა და იგავებით იძლეოდა მორალისტურ დასკვნებს (ეს თარგმანი დაკარგუ-ლია), ისევე როგორც „აბდულმესიანი“ (ალ. ბარამიძე, ე. მეტ-რეველი).

ფანგაზირებული აღმოსავლეთის მოხილვა ქრისტიანული სამყაროდან გასვლა იყო. აღმოსავლეთი რეალურად არსებობდა და მისი წარმოდგენა არ ნიშნავდა ქრისტიანული დოგმების დარღვევას. ამიტომ საკსებით შეთავსებადი იყო ქრისტეს რწმენასთან, მითუმეტეს, რომ აქაც მრავალი სექტა მოქმედებდა (მაგ., სუფისტური, აპიური, დერვიშული, ფუთუვეთური, რინდული, ასისინური, შუუბიური, შიიტური), რაც ფერს ჟეზლიდა სუნიტურ ორთოდოქსიას.

## ხორციელობის გაღმერთება

სისხლი, ომი, სიყვარული, ვნებების მიმოქცევა, აბვირთება და დაცხრომა ასკეტიზმით დამზრალ ცნობიერებას წარმოდგინა საერო მწერლობამ. მან რეალური, ცხოვრებისეული სურათები გადმოშალა.

მათ ახლდა ჰიპერბოლიზება, მაგრამ ეს უფრო აძლიერებდა ინტერესს და ადამიანს ამორებდა მიღმა სამყაროს, მისტიკურ იდეალებს.

ამირანი, რამინი, ტარიელი თუ ავთანდილი არაჩვეულებრივ ძალას ფლობენ, სილამაზით მზეს ედარებიან და არავინაა მათი მძლეველი (იხ. „გმირის იდეალი“).

ამირანის რუსთაველის გმირებივით ბრძოლა უჩანს თამა - შად და მდერად, სიკვდილს ისე ეთამაშება, თითქოს მინდორბე ჩოგანს სცემდეს.

არისტოკრატების რომანტიკა და ეროტიკა მდაბიო წრის - ვაჭრის ცოლს ფატმანს სექსში გადაჰყავს.

ერთგულებას, კვდომას და დაგვას იგი უნაცვლებს გარყვნილებას, დალაცს ქმრისა და საყვარლისაღმი.

მეხოტბეთა და მემატიანეთა თამარი და დავითი მეფეები არიან და მათ გასაღმერთებლად ავტორებს ისტორიის სიღრ-

მიღან ამოაქვთ სახე-სიმბოლოები და ასტრალურ მნათობთა თანაბიარად აქცევენ.

ვისი და რამინიც სიყვარულით შეშლილი არიან. ერთი სტოკებს ქმარს – თავის ძმას, მეორე დალაგობს თავის უფროს ძმას. ამის შემდეგ ტანჯვის გზით ჰპოვებენ ბელნიერებას.

საერო მწერლობა ხორცისა და გრძნობის, სისხლისა და ომის ბეიმია, რისი ხილვაც გულს მოუკლავდა გრიგოლ ხანძთელს და უეჭველად დასწყევლიდა ხორციელობით აზვავებულ გმირებს.

მეომარი მეფე და არისტოკრატი, აღვსილი ძალითა და სა-სიყვარულო შმაგი სწრაფვით, იკავებდა ღმერთის ადგილს მიწაზე.

### 3. პოლიტიკურ-კულტურული აპოთეოზი

ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკა და კულტურა, ალაფი და ხარკი, ჯვაროსანთა მიერ შევიწროვებული მუსელმანური სახელმწიფოების დალაშქვრა და ქრისტეს სახელის განდიდება დაუკავშირდა თამარის სახელს.

#### ქართული მესიანიზმი

ბაგრატიონებს ადრევე თვლიდნენ ბიბლიური წინასწარმეტყველის – დავით მეფის ჩამომავლებად. მეფე ისედაც დვითი-ური არსება იყო. თამარისდროინდელმა არნახულმა ბეობამ კი ფანტაზიას შეასხა ფრთები, რაც რეალობისაკენ მიიწევდა:

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ თამარმა დაიკავა ტრაპიზონის მხარე – ჭანეთი და ჩამოაყალიბა ტრაპიზონის იმპერია, სადაც იმპერატორად დასვა ბაგრატიონების ნათესავი, დავით აღმაშენებლის ასულის კაფას შთამომავალი აღექ-

სი კომნენი, ქართულად აღმრდილი, იმპერატორ ანდრონიკეს შვილიშვილი.

მეორე მხრივ – დალაშქრეს ხორასანი და გარშემო ქვეყანას შეუქმნეს ვასალ და ყმადნაფიც სახელმწიფოთა რკალი, როგორც თავდაცვითი ფარი.

საქართველო ემზადებოდა, დაცემული ბიბანგიის სანაცვლოდ რომ აედო მართლმადიდებლური ქრისტიანობის დროშა. იგი ევროპელ ჯვაროსნებსაც ჰპირდებოდა დახმარებას.

ჩახრუხაძე მკვეთრად გამოითქვამს სამეფო კარგებაზე წარმოქმნილ მესიანისტურ კონცეფციას, რომ საქართველო დვითის რჩეული ქვეყანაა (როგორც თვლიდა ქართულ ენას იოანე ბოსიმე X საუკუნეში), რომ იესიან-დავითიანი ბაგრატიონები ჯერ კიდევ დავითის წინასწარმეტყველებით უნდა ყოფილიყვნენ საქრისტიანოს ლიდერები.

პოეტმა თამარი მესიად წარმოსახა, მეორე ქრისტედ, რომელიც უფალმა ქალის სახით მოავლინა, რათა მუსულმანთა-გან ეხსნა საქრისტიანო.

ამიტომ თამარისა და დავით სოსლანის ხოტბა არის არა ჩვეულებრივი პანეგერიკი, არამედ – სახელმწიფოთებრივი იდეალის პოეტიზირება (ალ. ბარამიძე).

„ისტორიანი და აბმანის“ ავტორი უფრო აკონკრეტებს მესიანიზმის იდეას და თამარს აცხადებს წმინდა სამების IV ჰიპოსტასად – „სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ“.

აღმოსავლეთისკენ ლაშქრობის სიმბოლოდ აჩნდა ალექსანდრე მაკედონელის სახელი და გორგასლიან-დავითიანის სამეფო დროშას დაემატა ალექსანდრიანი.

მემატიანის ცნობით, პოეტები აგრძელებდნენ თამარის ხოტბას მისი სიკვდილის შემდეგაც. ქართველებს მიემატენ არაბები, ფრანგები, ბერძნები.

კიდევ ერთხელ აღორძინდა ქრისტიანულ-ეთნიკური მითოსი, მაგრამ ის უკვე რეალობად ცხადდებოდა, რომელსაც მოპქონდა ინტელექტუალური ძლიერების მაჩვენებელი ძეგ-

ლებიც. მითოსს მიეცა მესიანიზმის სახე და იგი კულტურიდან გადავიდა პოლიტიკაში.

პოლიტიკას წარმართავდა „მძლეთა მძლეველი“ მეფე.

მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, რომელსაც როგორც უფროს ძეს, მამისაგან ტახტი მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

ქართველი მეფის სახელისუფლებო ნიშნები იყო – გვირგვინი, შემკული პატიოსანი თვლებით, პორფირი და ფერადი ბისონი (წამოსასხამი და ტანსაცმელი), სკიპტრა, მახვილი, საყდარი (სპარს. ტახტი), წინგასაძღვრლი ჯვარი, ჯვრიანი თეთრ-შინდისფერი დროშა, სასიგლე ბეჭედი (ივ. ჯავახიშვილი).

მეფე ვაზირებსა და უხუცესებს, სამდვდელო იერარქებს, ერისთავებს კრებდა დარბაზობაზე, სადაც განიხილებოდა საქვეყნო საკითხები (შდრ – დარბაზი რუსთაველის არაბეთსა და ინდოეთში).

დარბაზობის განრიგით განსაზღვრული იყო ჯდომისა და დგომის წესები, მოსვლის დრო („ხელმწიფის კარის გარიგება“, XIV ს.).

მეფე ჯდებოდა ოქსინოგადაგებულ ოქროჭედილ ტახტზე დარბაზის თავში, ამაღლებულ ადგილზე და ამბობდა პირველ სიტყვას, წვევის მიზებს აუწყებდა დარბაზს.

ხელმარჯვნივ, ოქროჭედილ სელჩე კათალიკოს-პატრიარქი იკავებდა აღვილს ნაცითა და ბალიშით (სპარსული წესი-სამებრ), ხელმარცხნივ – პირველი ვაზირი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ასეთივე პატივით, შემდეგ – ამირსპასალარი....

ადგილის შეცვლა არ შეიძლებოდა.

ზოგი ჯდებოდა ჩვეულებრივ სკამზე ბალიშით, ზოგი – უბალიშოდ. იერარქიულად დაბლა მდგომნი ფეხზე იდგნენ.

დარბაზს შესაბამისი სივრცე უნდა ჰქონოდა, რომ მოწვეულებს თავისუფლად ეგრძნოთ თავი.

თამარის დროს ვაზირს უნდა სცმოდა სკარამანგი – ბიბანტიური სამოსელი (შდრ. – რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში).

ტახტგე ასვლას მეფეს ტაბარში პირველი ულოცავდა კა-  
თალიკოს-პატრიარქი, შემდეგ – ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირ-  
სპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი...

მონღოლების შემოსვლამდე მეფეს გვირგვინს ადგამს  
ქუთათელი, ხმალს კი არგყამს ლიხთ იმერეთის რომელიმე  
ერისთავი (ივ. ჯავახიშვილი).

შემდეგ ქრება დასავლეთ საქართველოს პრიორიგეტი,  
ისევე როგორც გელათისა, საღაც იმარხებოდნენ მეფეები.

დარბაზობის რიგუალური წესი და ბრწყინვალება ცხად-  
ყოფდა სახელმწიფოებრივ დისციპლინას, იერარქიულ სიმტკი-  
ცეს, რაც ერს უძლიერებდა რწმენას და კრძალვას უფლისა და  
მეფისადმი, მესიანიზმის იდეის რეალობას.

## სპარსოფილური კრიტიციზმი

ასე რომ, ეთნიკურ-ქრისტიანული მითოსი, რაზეც ვწერ-  
დით მეორე წიგნში, სამსედრო ძლიერებამ რეალურ მესია-  
ნიზმად აქცია.

ქართველ მეფეს უკვე სიმბოლურად როდი ერქვა მესიის  
ანუ ქრისტეს მახვილი.

ხოლო ელინოფილური კრიტიციზმი, რომელმაც მოიცვა XI  
საუკუნის ქართული კულტურა, სწორედ კრიტიციზმისა და  
სკეპტიციზმის გამო ქართული ტრადიციებისა და რომანტიკი-  
საღმი, XII საუკუნის მეორე ნახევრიდან, გიორგი III-ს დროიან,  
გადაიბარდა სპარსოფილურ კრიტიციზმში, რაც გამოვლინდა  
მუსულმანურ სამყაროსთან კონტაქტებითა და საერო მწერ-  
ლობით.

მთაწმინდელების, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, არსენ  
იყალთოელის შემდგომ რაღიკალურად იცვლებოდა ქართული  
კულტურა, მთელი მისი სპექტრი, ინტერესები.

ელინოფილებსა და სპარსოფილებს საერთო ჰქონდათ კრიტიციზმი და სკეპტიციზმი კულტურული წარსულისადმი, როგორც სიახლისა და წინსწრაფვის სულისკვეთება (შდრ ისევ – XX საუკუნეში მოდერნისტებისა და ავანგარდისტების უარყოფითი მიმართება კლასიკისადმი).

ომი, ეროვნი, ერესი, სკეპტიციზმი, სიახლის პათოსი, ხორციელობის აპოლოგია წარმოქმნიდა ქრისტიანულ საქართველოში რენესანსულ ხედვასა და მგრძნობელობას.

## ისტორიული მექსიერება

გამარჯვებულ არისტოკრატიას, სამეფო კარს სჭირდებოდა ლეგენდების რესტავრირება, მათ შორის საკუთარი ძირების გამოჩენა, ახალ წარმატებათა ფიქსირება, ხოტბა და შარავანდები.

ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებას“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქეცებს“ მოჰყვა ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, უცნობი მემატიანების, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, უცნობი მემატიანის სვინაქსარული ტიპის ცნობები, თამარის უცნობ მემატიანეთა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“.

მათ ამთავრებს XIV საუკუნის I ნახევარში დაწერილი ასევე უცნობი ქამთააღმწერელის ვრცელი ასწლოვანი მატიანე.

ასე შეიქმნა „ქართლის ცხოვრების“ ანუ ქართველთა წამებისა და ბეობის ისტორია უძველესი დროიდან გიორგი ბრწყინვალემდე ანუ, როგორც ამბობს გიორგი ლეონიძე, „ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს უწოდეს ქართლის ცხოვრება“.

მოვფიანებით, „ქართლის ცხოვრების“ ბოგ ნუსხას წარუმდლვარეს აპოკრიფული ტექსტები:

1. ფსევდო ეფრემ ასურის „განძთა ქვაბი“, რომელიც მო-  
გვითხრობს სამყაროს ისტორიას ქრისტემდე;

2. ედემის აღწერა;

3. სამყაროს ისტორია ადამიდან ნოეს შვილებამდე.

„ქართლის ცხოვრება“ ისევე მნიშვნელოვანი ძეგლი იყო  
ეროვნული ცნობიერებისათვის, როგორც სახარება და „ვეფ-  
ხისტიკასანი“.

იგი ინახავდა და გადმოსცემდა როგორც ქრისტეს რწმე-  
ნას, ისე საბრძოლო სელისკვეთებასა და სიძულვილს მუსულ-  
მანი ავრესორებისადმი.

ამიტომ სჭირდებოდა „ქართლის ცხოვრება“ ყველა ფენას,  
სჭირდებოდათ ყველას დროში.

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერი აღმოაჩინა  
ივანე ჯავახიშვილმა სოფ. ლამისყანაში, ორბელიანების ოჯახ-  
ში.

იგი განეკუთვნება XV საუკუნეს.

## რენესანსული ტენდენციები

აღმოსავლური რენესანსის კონცეფცია, რომელშიც მოიაზ-  
რებოდა ქართული ნაკადიც, მეცნიერებაში შალვა ნუცუბიძემ  
შემოიტანა და სწრაფად გავრცელდა. მას სხვადასხვა კუისით  
შეეხო არაერთი ცნობილი მკვლევარი (ნ. კონრადი, ვ. ჩალო-  
ანი, ალ. ბარამიძე, ვ. ჟირმუნსკი, ა. გაჯიევი, ა. ლოსევი, ნ. ნა-  
თაძე, ე. ხინთიბიძე, ე. მელეგინსკი...).

სადღეისოდ უნდა ითქვას, რენესანსული კულტურის წარ-  
მოქმნა – გავრცელებაში აღმოსავლეთის რენესანსი წინამორ-  
ბედი არ ყოფილა. მაგრამ საქართველოშიც არსებობდა რენე-  
სანსული ტენდენციები, რომელთა ფორმირება მთლიან მოძრა-  
ობად ვერ მოესწრო.

მხედრული სული და ეკონომიკა ქმნიდა საამისო ბაზისს. სტიმულს იძლეოდა მუსულმანურ კულტურასთან სიახლოვე, რაც ამკვიდრებდა ხორციელობის პრიმატს. ეს კი წამოსწევდა ადამიანურ ვხებებს, სიყვარულსა და სექსს, ჰეროიკასა და ომის კულტს, რაინდობის ინსტიტუტს, ააქტივებდა ქალის როლს, რაც კარგად გამოჩნდა ქართულ საერო მწერლობაში, ისევე როგორც, პარალელურ დროში პროვანსელ ტრუბადურებთან, ფრანგ ტრუვერებთან, გერმანელ მინეტინგერებთან.

ქართველი მეფები ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. ამას ცხადყოფს მათი ცხოვრებისა და ბრძოლის წესი, ნიმუშები, ზრუნვა ეკლესია-მონასტრებისადმი.

თამარმა სიკვდილის წინ ქრისტეს შეაველრა თავისი სამეფო და ერი, თავისი შვილები და სული.

სამეფო კარის პათოსი გადაეცემოდა ელიტას, ელიტიდან - მასებს.

საერო მწერლობის ფორმირება თავისთავად იყო მიბრუნება ასკეტიკა-მისტიკიდან ანტიკური სილამაზის კულტისაკენ, პიროვნების თავისუფლებისაკენ, რომლის ნიმუშად ელადა და ათენი ესახებოდათ.

საერო მწერლობაში, ერთი მხრივ, არსებობდა დავითისა და თამარის მემატიანების, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის პატრიოტიკა, ქრისტეს სჯულისადმი თავგანწირვა, ქართველ მეფეთადმი სახოფბო პოეზია, მეორე მხრივ – „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლური ესთეტიზმი.

შემდეგ არაბულმა მუსულმანურმა ფაქტორებმა დასავლეთშიც გააღვიძა მიწიერი და ადამიანური განცდა და ვნებები, რასაც იწვევდა ჯვაროსანთა ლაშქრობები, აღმოსავლეთის გაცნობა, არაბულიდან მომდინარე პროვანსული და ანდალუზიერი ეროვნიკული პოეზია, მავრიტანიული ხელოვნება, ცეკვა და სიძღვრა, ჰუმანისტ მოაზროვნეთა განსჯანი, ანტიკური სამყარო (შ. რევიშვილი).

აქ მთავარი ფიგურები იყვნენ შეყვარებული რაინდი ვაკი და ტრფობის საგანი ქალბატონი. სიყვარულში ერთმანეთს შე-ერწყა მისგიკა და მიწიერი ვნებები. საქართველოში პარლა-მენტარიზმის იდეაც მუსლიმანი ტფილისელი ე.წ. ბერებისაგან მოღილა, რომლებიც საკმაო ხანს განაგებდნენ ქალაქს, რო-გორც ვთქვით.

ხოტბითი ნაკადიც, პანეგერიკი და ჰიპერბოლიზებაც აღ-მოსავლური თვისება იყო, რაც აითვისეს სამეფო კარის მგოს-ნებმა. მას ჰქონდა ქრისტიანულ-ჰუმანური წანამძღვრები მა-რიამ ღვთისმმობლისა და წმ. ნინოს სახით. კათოლიკოს-პატ-რიარქი ნიკოლოზ გულაბერისძე წერდა ქალის ღირსებასა და პატივზე.

მათ გაამითეს და გააღმერთეს ხელისუფალი როგორც მესია.

ეს ხელისუფალი იყო ქალი, იშვიათი ფაქტი ისტორიაში (მაგ., ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, სამგზის დედოფალი რომაელი პლაკიდა), თანაც – მუსულმანური ქვეყნების მებო-ლად.

რენესანსისა და წინაპერიოდის მოღვაწეებმა განადიდეს ქალი, ასკეფიკურ-მისტიკური მწერლობის მიერ დავიწყებული, წამოსწიეს რომანტიკულ-ეროტიკული სიუჟეტები და განცდები.

რესთაველის ქალისა და კაცის თანასწორობის პრინციპი მოქმედებს სამეფო წრეში. ხოლო გაჭართა შორის ქალი ჩაგ-რავს კიდეც ქმარს (ფაფმანი და უსენი).

ქალია არათუ ინდოეთისა და არაბეთის, არამედ ქაჯეთის მმართველიც (დულარდუხტი).

ქართული სახელმწიფოც ფედერალიზმის მსგავს პრინციპ-ზე იყო აგებული – ეთნიკური და კუთხურ-სამხარეო დაყოფით, როგორც რომსა და ბიბანტიაში, ირანსა და არაბეთში.

მეფე იყო არა დიქტატორი ან ტირანი, არამედ ჰუმანისტი. მაგ., თამარმა აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასა-ხიჩრება.

თამარის ლმობიერება და სათნოება გადაეცემოდა ქვეყანას.

შემცირდა ეკლესიის როლი და გავლენა, გაიზარდა დარბაზის მნიშვნელობა, რომელსაც ჰქონდა მკაცრი ეტიკეტი.

იყო ტენდენცია, რომ ეკლესიასა და ხელისუფლებაში დაეწინაურებინათ ღირსეული უგვარონიც.

მონასტრები კენჭისყრით ირჩევდნენ წინამძღვარს.

კვლავაც დაცული იყო რელიგიური და ნაციონალური შემწყნარებლობა, თანასწორობის პრინციპი, რომლის საუკეთესო დასტურია მონოფიზიტი და ქურთულ-სომხური წარმომობის მხარგრძელების აღზევება (ამირსპასალარები იყვნენ სარგისი, ზაქარია, ივანე, ავაგი, ზაქარია II).

ელიტა თავისითავად მიღიოდა შეზღუდულ მონარქიამდე, როცა დარბაზი იქცეოდა კოლეგიური მმართველობის ორგანოდ. მაგ., გიორგი III-მ თამარს ოქროს გვირგვინი დაადგა არა ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, არამედ – პატრიარქის, ეპისკოპოსების, ვაზირთა, სპასალართა და სპასპეტთა „თანადგომით“.

თამარი კიდევ უფრო მეტად ეთათბირებოდა დარბაზს.

ყალიბდებოდა რაინდის ინსტიტუტიც, რასაც ეწოდა „ჭაბუკი“ („ამირანდარეჯანიანი“), „მოყმე“ და „ყმა“ („ვეფხისტყაოსანი“), გაჩნდნენ რინდები, რაც მემთვრალეს ნიშნავს. მაგრამ შეიძლება მოდიოდეს გერმანულ ჯვაროსანთა der Ritter-ისაგან.

კულტურის ახალი ნაკადი – საერო მწერლობა, მართვისა და ცხოვრების წესი, ეთიკა, ტოლერანტობა ერთად წარმოდგენილი ნიშნავდა სწორედ რენესანსის დილას, რომლის მზე მაშინვე ჩააქრეს, როგორც კი ამოვიდა.

## 4. საერო კულტურშემოქმედი

საერო კულტურშემოქმედი მონაწილეობას ღებულობდა მეფე-დიდებულების დღესასწაულებზე, წვეულებებზე, ნადიმებზე, როგორც მეხოვებზე და გამრთობის.

მგოსანი, მსახიობი, მომღერალი, მხატვარი ასე ჰპოვებდა თავის ფუნქციას, რათა ჰქონოდა ასპარეზი, დაეფასებინათ და მიეცათ საარსებო სახსარი.

ხელნაწერზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირმეტყველებას, დეკლამაციას, ორაგორულ ხელოვნებას, რადგან კულტურშემოქმედს უნდა ჰყოლოდა მსმენელი და მაყურებელი. ამიგომ მსახიობის ნიჭიც უნდა მიეცა ბუნებას მისთვის, რათა შესძლებოდა გარდასახვა, მსმენელისა და მაყურებლის მონუსხვა.

აკეტ-მისტიკოს შემოქმედს ეს თვისებანი არ სჭირდებოდა. იგი რწმენით იყო აღვსილი და ემსახურებოდა ეკლესიას, ასრულებდა მღვდელთმთავართა დაგალებებს ან თავად სწყვეტდა, რა დაეწერა, რა ეთარგმნა, რა გადაეწერა, როგორ განედიდებინა უფალი და უფლის საქმენი.

საერო კულტურშემოქმედი ღებულობდა დაკვეთას. იგი თავისი ნებითაც მოქმედებდა, მაგ., როცა თამარის მიცვალებას მოჰყვა ახალი სახოვბო ნაკადი, აკროსტიხული ლექსები, ქებანი, მეებნეთა და მეჩანგეთა შესხმანი, როცა ფლასით შეიმოსა ქვეყანა. მაგრამ დიდ საქმეს სუბერენის თანადგომის გარეშე თავს ვერ გაართმევდა, ვერც აუდიტორიის მობიდვას შეძლებდა. ამის მიხედვით იყვნენ ლხინისა და გლოვის მგოსნები, რომლებიც ფლეიტაზე უკრავდნენ, მდეროდნენ და გალობდნენ თავიანთ ლექსებს.

სამეფო კარი იყო საერო კულტურის ცენტრი, კარგ მგოსნებს ჯილდო ეძლეოდა (მაგ., მეფის ხალათი).

კულტურას ისევ ელიტა ქმნიდა, ისევ ელიტის ინტერესებისათვის, ოღონდ აღრესატი იყო არა ეკლესია, არამედ –

სამეფო კარი, დარბაზი, დიდებულთა წრე, შთაგონების ძალა არა ქრისტე, არამედ – არესი (მარსი) და ეროსი.

როგორც ვთქვით, როცა ნადიმებსა და წვეულებებზე გამოდიოდნენ მგოსნები და მსახიობები, ეკლესიის მსახურები სტოვებდნენ დარბაზს. ეს სჯულისკანონით იყო განსაზღვრული.

სიტყვა, სიმღერა, ალკოჰოლი, ცეკვა ვნებათა აზვირთებას იწვევდა, რაც მიუღებელი იყო ასკეზ-მისტიკოსისათვის, ისევე როგორც ოქრო-ვერცხლის ელვა, სამოსელის ბრწყინვალება და მრავალფერი სუფრა.

მდიდარი და სვიანი სამეფო კარი, ისევე როგორც მისი ვაზირები, ერისთავები და დიდებულები ხშირად მართავდნენ ნადიმსა და წვეულებას, ერთობოდნენ ნადირობით და სანახაობით.

როცა თამარის ხელის მაძიებელი არჩრუმელი მუტაფრა-დინი მოვიდა, თან ახლდა დიდი ლაშქარი, მრავალი დიდებული, ხოჯები და საჭურისები, მონები და მხევლები, მოიყვანეს ავაზები და ტაიჭები, მოიგანეს ბარგი და სიმდიდრე, უამრავი თვალ-მარგალიგი, ლარი და საჭურჭლე.

სამეფო კარი ღირსეულად შეეგება სფუმარს – დასვეს სელის ტახტე, გაუმართეს ნადიმები, მიუყვანეს მუტრიბები (მეჩანეე ქალები) და მოთამაშენი, ანადირეს და გაართეს, მოაწარეს ქართლი, კახეთი და რანი.

აღლუმებზე, ომის დაწყების თუ დასრულების აღსანიშნავად უკრავდნენ ბუკებსა და დაფდაფებს, სპერ-მურებს, რათა საომრად აღკაზმულ ქვეითებსა და მხელრებს, სარდლის მიერ შერჩეული სისტემით განლაგებულთ, ჰქონდათ ჰეროიკული სულისკვეთება, ომის ქინი.

გეიმი, ნადიმი, დარბაზობა, უცხო სტუმრების მიღება ტარდებოდა როგორც სპექტაკლი, ეტიკეტისა და წესრიგის დაცვით, სიმდიდრის ჩვენებით, წინწილთა, მგოსანთა და მუშათოთა თანხლებით, ნადირობით და ბურთაობით.

ასე ხვდებოდნენ სხვებსაც – მუსულმან ამირ-მირმანს, შარვანშებს - აღსართან I-სა და აღსართან II-ს, დავითის შთა-მომავალ ბიბანტიიელ ანდრონიკე კომნენს – მომავალ იმპერატორს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

ასე დიდებით გადაიხადეს თამარის ქორწილი გიორგი რუსთან და დავით სოსლანთან.

ასეთი ბარ-ზეიმით ეგებებოდნენ უთვალავი ალაფით დაბრუნებულ, გამარჯვებულ სარდლებსა და ლაშქარს, როგორც ტრიუმფატორს რომში.

ამგვარი სიტუაცია ედგა ალბათ ივალწინ რუსთაველს, როცა გადმოსცემდა თავის კონცეფციას პოეზიასა და მიხნუ-რობაზე, როცა პოეზიას ჰყოფდა სამ სახედ და ნადიმს ახსე-ნებდა.

პროლოგის განსაზღვრით, მეორე ლექსი ლირიკაა. მისი ავტორი ჰგავს ყმაწვილ მონალირეს, რომელიც დიდ ნადირს ვერ მოჰკულავს, ვერც გულის განგმირავ სიტყვას იტყვის.

მესამე ლექსი კი სალაღობო და გასართობია, სააშიკო და სანადიმო, ამხანაგთა სამასხორ და საქილიკო.

ორივე მათგანი შეეფერება სამეფო კარის დარბაზობებს, ნადიმსა და გართობას, დროსსარებას. მაგრამ რუსთაველს ისინი არ მიაჩნია დიდ და ნამდვილ ხელოვნებად.

ჭეშმარიც პოეზია არის „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“, „სიბრძნის დარგი“, როცა ავტორი ვრცელ სათქმელს მოკ - ლედ გადმოსცემს. ცხადია, ამგვარი პოეზიისათვის ნადიმები და წვეულებანი არ გამოდგებოდა. იქ მას ვერც აღიქვამდნენ, ვერც დააფასებდნენ.

ასეთი პოეზია უნდა იყოს ეპიკური, გადმოსცემდეს სამიჯნურო ამბავს და მელექსეს შეეძლოს „ლექსთა გრძელთა იქმა და ხევა“. ამიტომ ადარებს რუსთაველი შემოქმედს მარჯვედ მობურთალს, გრძელი გზისა და დაბრკოლებათა გადამლახ-ველ მორბენალ ცხენს.

„საღმრთოდ გასაგონი“ ვრცელი ამბის არსი უნდა ყოფილიყო „საბერ“ ტრფობა, ერთისადმი თვითშეწირვა, მისთვის „ყველაკაის“ დათმობა, რაინდული კოდექსი.

არც საღვთო სიტყვა და არც ვრცელი პოემა, პოეტური ოსტატობით შეთხბული, არ იქნებოდა კეთილად და ამოდ მოსასმენი სისხლით, ალკოჰოლითა და სიმღიდრით გაბრუებული ელიტისათვის.

ალბათ ამიტომ პფარავდა ჩრდილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომელსაც, ისევე როგორც კარის სხვა მგოსნებს, უნდა ჰყოლოდა არა მკითხველი, არამედ - მსმენელი.

მოსასმენად კი ლექსი, ხუმრობა და გაშაირება სჯობდა. მსმენელი ბევრი იყო, მკითხველი - ცოტა.

სამეფო კარგე დაფასებული და მიღებული ყოფილან იოანე შავთელი, სარგის თმოვეველი, ჩახრუხაძე, როგორც ადრე ას-კეტ-მისტიკოსები – გრიგოლ ხანძთელი, გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი, იოანე ჰეგრიწი.

საერო კულტურშემოქმედს ჯერ ვერ ექნებოდა ისეთი აღიარება, როგორც უფლის მადიდებელთ, როგორც თეოლოგებს, ჰიმნოგრაფებს, მთარგმნელებს, ფილოსოფოსებს.

ისინი ზეციურ იდეალებს ემსახურებოდნენ, ფაძრებს აუგიდნენ და რთავდნენ, ღვთისმსახურების პროცესს აწესრიგებდნენ.

საერო კულტურშემოქმედი ჯერ მეხოდებე და გამრთობი იყო, როგორც მუტრიბი, მომღერალი, მასხარა, მობურთალი და მუშაითი. მაგრამ ვერ ეტეოდა ამ სივრცეში და ეპიკისკენ სწრაფვით თვალსაწიერს იფართოებდა, როგორც რუსთაველი.

ჯერ მეფეები მხოლოდ ჰიმნებს წერდნენ, მაგრამ XVI საუკუნიდან ითვისებენ საერო კულტურშემოქმედითა ტრადიციებს და თავად თხბავენ ლექსებსა და პოემებს (მაგ., თეიმურაბ I, არჩილი, თეიმურაბ II, ვახტანგ VI), თარგმნიან, ხელს უწყობენ საერო კულტურის განვითარებას, ტექსტების გამრავლებას, შემდეგ – ბეჭდვას.

მეფე ხდება კულტურის ლიდერიც, რომელიც უკვე აღარ წერს საგალობლებს. იგი თავად არის უფლის მეტოქე, არა მხოლოდ მისი ბრძანების აღმსრულებელი – მეფე-პოეტი რუს-თაველზე აღმატებასაც ცდილობს და უხდა, რომ ელიტარული ესთეტიკის კანონმდებელიც იყოს (მაგალითად, თეიმურაშ I, არჩილი, ვახტანგ VI).

XII-XIII საუკუნეთა ბლვარზე მომსდარი გარდატეხა განავ-რცო ქართულმა კულტურამ, რაც ადრე თუ გვიან წარმატებით დასრულებულა სხვა ქვეყნებშიც, როგორც პროგრესის ერ-თადერთი სწორი გზა.

## II. ისტორია და ესთეტიკა: „ვეფხისტყაოსანი“

თამარის ეპოქის მთავარი კულტურული მოვლენა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. მნიშვნელოვანია საერო მწერლობის სხვა ნიმუშები, საინტერესოა ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებანი, გალობანი, ტაძრები და მხატვრობა, ბექა და ბეშქენ თბილიანი, გალობანი, ტაძრები და მხატვრობა, ბექა და ბეშქენ თბილიანი, გალობანი, ტაძრები და მხატვრობა, „ვისრამიანის“ თარგმანი თითქმის ორიგინალურ ძეგლად იქცა. მაგრამ რუსთაველის გარეშე კულტურას გუმბათი არ ექნებოდა.

რუსთაველი ისევე განადიდებს ქართულ ხელოვნებას, როგორც მეფე თამარი – ქართულ სახელმწიფოსა და პოლიტიკას.

ხალხის ფანტაზიამ ეს ორი სახელი ერთმანეთთან დააკავშირა, ერთ დროში მოაქცია, როგორც დიდება ქართული სულიერებისა, რაც, საბედნიეროდ, მართლაც ასე ყოფილა.

თამარისა და რუსთაველის სახელებიდან მოღის ჰუმანისტურ-რენესანსული იდეალების წარმოჩენა და განვითარება, რომელთა გარშემო პოვებენ ადგილს სხვა სახელები და სხვა ძეგლები.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც გადაწერდნენ და იბეჭირებდნენ, უცვლელი სახით ვერ მოაღწევდა. მაგრამ ცვლილება ვერ შეეხებოდა ძირითად სიუჟეტსა და პერსონაჟებს, პოემის საუკეთესო სტროფებს.

ალბათ ინტერპოლაცორი უფრო ამაგებდა სტროფებს, ვიდრე ავდებდა ადრე არსებულს. განსხვავებული წაკითხვანი, ჩანართები და დამატებანი არსებითად ვერ დაარღვევდა ავტორის მხატვრულ აზროვნებასა და კონცეფციას.

# 1. ავტორი და ტექსტი

## ძირითადი პოსტულატები

როცა ვეძებთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობას, უნდა დავიცვათ და გვახსოვდეს რამდენიმე პოსტულატი, რომლებიც გამოგვაწვს ტექსტიდან, როგორც კვლევის საფუძველი:

რუსთაველი პოემის წერის დროს არ შეიძლება ყოფილიყო სასულიერო პირი, რადგან სიმღიდრის, ბრწყინვალე ცხოვრების, მიწიერი ვნებების, ომის და პიროვნული სისასტიკის წარმოსახვა ერებად ჩაეთვლებოდა ან მათდამი ინტერესი არც ექნებოდა ეკლესის მსახურს (შდრ – პეტრე იბერის, გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელების ცხოვრება)...

რუსთაველი ეროსისა და არების პოეტია, არა ასკეტი გან-დეგილი, რომელიც ბეჭედ სენაკში ცხოვრობს, ჯვალო მოსავს და დღენიადაგ მარხულობს.

ვერც სარდალი და მუდმივი ლაშქრობების მონაწილე იქნებოდა, რადგან პოემის დაწერას უცებ ვერ შესძლებდა, მას საკმაო დრო დასჭირდებოდა. ეს კი საქვეყნო საქმეთაგან მოსწყვეტდა.

გარდა ამისა, ასეთ დონემდე მისულს უეჭველად უნდა გაევლო დაოსტატების, სიტყვის დაუფლებისათვის გარჯის წლები, რისთვისაც ვერ მოიცლიდა სარდალი, ერისთავი ან რომელიმე უხუცესი.

ასეთი ძალის შემოქმედი წერაზე ვერც უეცრად აიღებდა ხელს.

ავტორს მიღებული ჰქონია კარგი განათლება, იცნობს არსებულ საამონონო სიტუაციას, იცნობს სასახლეს, სასახლის ეტიკეტს, მეფეთა ცხოვრებას, ომის პროცესს. მეტყველებს როგორც არისტოკრატი, რომელიც მეფისა და ქვეყნის ერთგულებას იცავს და არსებული სოციალური წესრიგის მეხოტეა.

როგორც ჩანს, სცოდნია სპარსული ენა, სპარსული პოეზია (ფირდოჟესი, გორგანელი, ნიბამი), ბიბლია, ქრისტიანული თეოლოგია (მაგ., ფსევდო-დიონისე), ნეოპლატონური ფილოსოფია, გასცნობია ძველ-ქართულ აპოფთეგმების კრებულს.

პოეტი ისეთი ენერგიით წერს რომანტიკულ, სასიყვარულო და საომარ სიტუაციებში, რომ ხანდაბმული ვერ იქნებოდა, შორს მდგარი ეროვნიკისაგან, როცა ემოციებს სძლევს აბრი, გმირს – ბრძენი, სიტყვიერ არტისტიზმს – ინტელექტუალური განსჯა.

წიგნს სიუკეთურ საფუძვლად უდევს თამარის ისტორია, რომელიც პოეტურად არის ტრანსფორმირებული, დანაწილებული, შორს გადატანილი. მაგრამ შიფრი მაინც იკითხება.

ასე ვერ დაწერდა ის, ვინც ახლოს იდგა სამეფო კართან და იქ გამართულ ცერემონიალებში მონაწილეობდა – ეტიკეტი არ მისცემდა ამის საშუალებას. მას შეეძლო ხოტბა, მაგრამ არა დედოფლის პირადი ცხოვრების პოეტიზება, მითუმეტეს – ვნებების გადმოცემა.

ამრიგად, რუსთაველი უნდა ყოფილიყო – არისტოკრატი, საერო პირი, სასახლის ეტიკეტისა და ცხოვრების მცოდნე, ღრმა ერუდიტი, თავისუფალი შემოქმედი, მეხოტბე, პოემის წერის დროს – სიჭაბუკესა და ხანდაბმულობას შორის მდგარი, როცა ერთმანეთს ერწყმის ემოცია, ძალა და გონი (მაგ., 40 წლის ნიბამი განჯელი წერს „ხოსროვშირინიანს“, 47 წლისა – „ლეილმაჯნუნიანს“).

## რეალობის შიფრი

პ. ინგოროვა გაპყვა თამარის ისტორიის ანარეკლს პოემაში, რომ საქართველოც შვიდ სამეფოდ იყო დაყოფილი, როგორც რუსთაველის ინდოეთი, რომ ფარსადანის – ინდოთ მეფის მსგავსად გიორგი მესამესაც გვიან ეყოლა ძე – ასული (გიორგის ერთი ხარჭისაგან ნაშობი გააყოლეს არმრუმის სულ-

განის ძეს მუგაფრიდინს, მეორე რუსუდანი – თამარის მსგავსად მამიდასთან იზრდებოდა, 80 წლის ასაკში აღიკვეცა მონაბეჭნად, რომ თამარი დედისერთაა, როგორც თინათინი და ნებულანი და იკავებს ტახტს, რომ ქვრივი ნესტანის მამიდა დავარი ჰგავს თამარის ქვრივ მამიდა რუსუდანს, სასულტანოდან დაბრუნებულს, ხვარაბმშას ძე – გიორგი რუსს, რომ ფარსადანი და სარიდანი ერთი გვარისანი არიან, როგორც თამარი და დავით სოსლანი, რუსუდანის მიერ აღმზრდილ.

გიორგი რუსის გაძევებას მოჰყვა შიდა სამხედრო დაპირისპირება, ხოლო ხვარაბმშას ძის მოკვლას – ქაოსი, ანარქია და ხატაელთა მიერ ქვეყნის დაკავება.

პოემის მთავარი ინგრიგა ისტორიული ფაქტის გარდასახვაა.

ქალის გამეფება ისედაც უჩვეულო ფაქტი იყო როგორც საქრისტიანოსა, ისე მუსულმანური სამყაროსათვის. ხოლო წარმატებული რომ გახდა – ეს უკვე უფლის სასწაულს ჰგავდა.

ამითომ მკვლევარმა შოთა რუსთაველი ჰერელი ბაგრატიონების დინასტიას მიაკუთვნა, რომელთა საგვარეულო სახელი მართლაც ყოფილა შოთა. მაგრამ რუსთაველი პოეტი იყო და არა ისტორიკოსი. ბუსტი ისტორიის გადმოცემა რომ სდომებოდა, პოემას არ დაწერდა.

პ. ინგოროვას მიერ წარმოდგენილი რუსთაველის ბიოგრაფია სპეციალისტებმა არ მიიღეს, ისევე როგორც სხვა მრავალი ვერსია, რაც დროდადრო წარმოიშობა რუსთველოლოგიაში (მაგ., პოეტის მუსულმანობა. მაგრამ ნამდვილია რეალობის შიფრი).

## ავტორი

საბოლოო მაინც იმაზე შეჩერდნენ, რომ თამარის ეპოქაში „შოთად“ სახელდებული რამდენიმე პირთაგან პოემის ავტორი უნდა ყოფილიყო შოთა მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის აღაპი

დადებული ყოფილა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში (ნ. მარი, ე. მეტრეველი), ჯერ კიდევ ქტიტორის სიცოცხლეში.

გაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფერხთით მუხლმოდრეკილი მოხუცი დიდებულის პორტრეტიც მას მიაკუთვნეს. მითუმეტეს რომ აქვს წარწერა:

„ამის დამხატვავსა შოთას შეუნდონეს ღმერთმან. ამინ. რუს-თველი“ ანუ ეს არის ვედრების კომპოზიცია.

გაერთიანდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის, პოეტ შოთა რუსთველის, პოემაში ინტერპოლატორის მიერ ჩართული რუს-თველის და იერუსალიმური პორტრეტის სახელები, როგორც ერთი პიროვნება, რომელსაც ბიბაზიური სკარამანგი მოსავს.

თუმცა გამოითქვა ეჭვი, რომ არც აღაპი განეკუთვნება XIII საუკუნეს და არც პორტრეტი – მას ათარიღებენ 1643 წლით (კ. კეკელიძე), როცა ჯვარის მონასტრის წინამდღვარმა ნიკიფორე ჩოლოფაშვილმა (ირბახმა) განაახლა ფრესკები.

მაგრამ რესტავრატორი ან ქტიტორი თავისი ნებით ვერ გამოსახავდა საერო პირს დიდი საეკლესიო იერარქების წინაშე (ალ. ბარამიძე).

ტრადიციაც პოემის ავტორად თვლის შოთა რუსთაველს (რუსთველს) და მის სახელს უკავშირებს ჯვარის მონასტერს – დასახელებული კონკრეტული ფაქტების გამო.

ეს ტრადიცია სათუო არ გამხდარა და ამიტომ უნდა მივიღოთ ერთადერთ სიმართლედ – პოემის ავტორი არის შოთა რუსთაველი (რუსთაველი), ცხოვრების პერიოდი – XII საუკუნის II ნახევარი და XIII საუკუნის I ნახევარი.

პოემაში რუსთველი ოთხგან იხსენიება. როგორც არა-ერთი მკვლევარი აღნიშნავს (მაგ., კ. კეკელიძე, პ. ინგოროვა), ეს სტროფები ნაყალბევია, თუმცა ადრევეა დაწერილი და იმეორებს ტრადიციულ გადმოცემას.

არჩილ მეფე თემიტურაბს ათქმევინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა შოთას, არამედ – სხვებს დაუსრულებიათ ანუ დამთავრება ვერ მოუსწრია.

შეიძლება პოეტს არ ჰქონდა ოჯახი, არ ჰყავდა შვილები. მაგრამ იყო საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, მდიდარი ფე-ოდალი და ასეთი მოღვაწის ახლობლებმა მაინც როგორ და-კარგეს მისი სახელი და სამკვიდრო.

## თარიღი

პოემის დაწერის თარიღზეც მრავალი განსხვავებული აზ-რი გამოთქმულა (მაგ., ნ. მარის, ს. კაკაბაძის, პ. ექელიძის მიერ).

არადა – თარიღი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორის ვინაობის ძიება.

ტრადიციულად – „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა თამარის ეპოქაში. თუ თარიღი შეიცვლება, დაინგრევა მთელი რიგი ფილოლოგიური და კულტურულოგიური კონცეფციები.

სადღეისოდ მიღებულია ის აზრი, რომ პოემა შექმნილია XIII საუკუნის დასაწყისში, თამარის დროს, დავით სოსლანის გარდაცვალებამდე.

ამ შეხედულებას მტკიცე საფუძველს უქმნის ხაყანის მიერ „განჯელი ძალლისა“ და „რუსთას ვირის“ მოხსენიება, ე. ი. რუსთაველი ამ შარვანელი პოეტის თანამედროვე ყოფილა და, თუ ერთმანეთს არ იცნობდნენ, ერთმანეთის არსებობა მაინც სცოდნიათ, რადგან ხაყანი მათ თვლის თავისი „გულის დარდის მიზებად“ და არა დროის ცვალებადობას.

ქართული ენის მცოდნე შარვანელი მგოსანი ამას რომ წერდა, მაშინ რუსთაველი არც იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი (ხაყანი გარდაცვალა 1199 წელს).

ხაყანი რუსთაველს სარწმუნოებრივ ნიპილიბმს აბრა-ლებს.

ასეთი ბრალდება პოეტისათვის შეეძლოთ წაეყენებინათ როგორც ქრისტიანებს (რაც მოხდა კიდეც), ისე მუსულმანებს, რადგან არცერთი მათგანის დოგმებს არ იცავდა.

„რუსთას ვირო“ პოეტი ყოფილა, რომელიც ძრახავდა ანუ აკრიტიკებდა შარვანელ თანამოკალმეს. ნიზამიც ასახელებს თავის მეტოქეთა შორის ერთ ქრისტიან პოეტს („ხოსროვ-შირინიანი“, 1180 წ.).

ამ ფაქტებს უნდა დავურთოთ ქვაბისხევის მონასტრის (მესხეთი) XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოუსახავთ ჭაბუკი ფეოდალი, სახელად – „შოთა“ და დედამისი „იავ“ (ნ. ბერძნიშვილი).

ეს შოთა არის ჭიაბერ თორელის ვაჟი, ს. ცაიშვილის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ჭიაბერი 80-იანი წლები-დან 1204 წლამდე მანდატურთუშუცესია.

შოთა, რომლის საგვარეულო საკუთრება რუსთავიც იყო, თითქოს მეჭურჭლეთუშუცესი ყოფილა 1205-1220 წლებში (პ. ინგოროვას მტკიცებით – „მოხუცობის ქამს“).

მაგრამ აქ დაისმის კითხვა – ვაზირის ასეთი პოემა როგორ შეიძლება არ სცოდნოდა „აზმანის“ ავტორს, თავადაც უაღრესად განათლებულ პიროვნებას (შდრ – ფახრ ედ-დინ გორგანელი, „ვისრამიანის“ ავტორი, არ იცნობდა 40 წლით ადრე დაწერილ „შაჰ ნამეს“).

იქნებ „ვეფხისტყაოსანი“ XIII საუკუნის ათიან წლებში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და „აზმანის“ პარალელურად იწერებოდა.

მაგრამ ამ დროს არც თამარია ცოცხალი და არც დავითი. პოემის ტრიუმფალური, საბეიმო ფინალი კი გამორიცხავს მათი სიცოცხლის დასრულებას (კ. კეკელიძის აზრით, სწორედ გლოვის მოტივები ისმის პოემაში).

ამიტომ შოთა მეჭურჭლეთუშუცესი სიბერის ქამს უნდა ყოფილიყო, რაც ასახულია ჯვარის მონასტრის ფრესკაზე (სწორედ ასეთ ვაზირს შენაფერის პოემაში ნაჩვენები საჭურჭლეთა სიუხვე)

„ისტორიანი და აზმანიდან“ ჩანს, რომ რუსთაველს სხვა მნიშვნელოვანი პოემა არ დაუწერია.

თამარის სიცოცხლეში იგი არც ისე აღიარებული და დაფასებული ყოფილა, როგორც იოანე შავთელი და სარგის თმოგველი.

ისტორიული რეალიების ანარეკლი არ იძლევა დათარი-დების შესაძლებლობას. ისინი XIV საუკუნეშიც შეეძლო გამოე-ყენებინათ და შემდეგ დროშიც.

დავით სოსლანის ხენებაც სათუოა – ზოგი ამ სტროფებს ჩანართად თვლის (მაგ., კ. კეკელიძე და პ. ინგოროვა).

ეპილოგიდან I და V სტროფი რომ ინტერპოლაციაა, დღეს საეჭვოდ არ მიაჩნიათ. II და III სტროფები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას (მაგ., „ამითა ვილაყფეთანი“).

ერთი სტროფის გამო კი ეპილოგი არ დაიწერებოდა. ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეპილოგი საერთოდ არ ეკუთვნის რუსთაველის კალამს.

„ვეფხისტყაოსანის“ კვალი XIII-XIV საუკუნეებში, დღემდე მოღწეული მასალების მიხედვით, არა ჩანს.

გამონა კლისი შეიძლება იყოს ერთი მცირე ტექსტი:

სვანეთის ლენჯერის ხატზე წარწერილი ერთსტროფიანი, რითმიანი იამბიკო ამოკითხა ალ. ხახანაშვილმა, შემდეგ – დაბუსტებით პ. ინგოროვამ.

მისი ავტორი ყოფილა ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა და არა ბაგრათ IV-ის მეუღლე ბორენა, ოვსთა მეფის და, როგორც ეგონათ ალ. ხახანაშვილსა და კ. კეკელიძეს.

პ. ინგოროვამ ცხადპყო, რომ იამბიკოს რითმები გამოყენებულია სხვადასხვა ვარიაციით რუსთაველის ოთხ სტროფში ანუ ბორენა ამოლის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან.

ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების პირველ ალუბიად (XIII საუკუნის შუა წლები).

ბორენას იამბიკო იმასაც გვიჩვენებს, რომ პოემის ტექსტი თავიდანვე ლექსად ყოფილა დაწერილი.

რა იყო პოემის უჩინრად არსებობის მიზები, ამისი ახსნა ვარაუდების სფეროს განეკუთვნება.

## მისტიფიკაცია

ავტორად „რუსთველი“ პირველად ფიქსირდება XVI საუკუნის დასაწყისში სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის მიერ.

მას გაულექსავს „როსტომიანი“ და ჩაურთავს დიალოგი ავტორსა, ბავრაფ მუხრანელსა და რუსთველს შორის.

ორი მათგანი სახელებითაც იხსენიება, რუსთველი – არა.

ეს იმას ნიშნავს, რომ სერაპიონმა არ იცის პოეტის სახელი „შოთა“ და ემყარება პოემის პროლოგს, რომელშიც უკვე ჩართული ყოფილა „რუსთველი“.

რუსთაველის სახელად შოთა ვრცელდება 1643 წლიდან, როცა ნიკიფორე ირბახმა თეიმურაზ პირველის მდივანმა, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ძმამ (რომელსაც დაუწერია „ვეფხისფყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება პოემა „ომაინანი“) ლევან მეორე დადიანის მემვეობით განაახლა ეს ტაბარი.

პოემის პროლოგსა და ეპილოგში ნათქვამია, ნათქვამია რამდენიმეგზის, რომ ამბავი პრობად იყო დაწერილი და ესეც სპარსულიდან ყოფილა ნათარგმნი. ეს უპოვია რუსთაველს და ლექსად გარდაუთქვამს, საქმე გაუკეთებია „საჭოჭმანები“ და სალაყბო, ე. ი. გასართობი.

ჯერ კიდევ ვახტანგ VI შენიშნავდა, რომ ასეთი ამბავი სპარსულად არ არსებობს.

ეს დაადასტურა მეცნიერთა კვლევა-ძიებამ, სამმა საუკუნეებ.

მაშასადამე, ფაბულის სპარსულობა მისტიფიკაციაა. იგი არ არის ნათარგმნი, რასაც ცხადყოფს პოემაში ასახული ქართული ისტორიული რეალობაც. ან იქნებ ასე ეგონა ინგერ-პოლაგორს, რომელიც სპარსულს მუსულმანურთან აიგივებდა და დაშორებული იყო თამარის ეპოქას.

მეორე პუნქტიდა ის, რომ ტექსტი ჯერ პრობად ყოფილა დაწერილი და რუსთველს გაულექსავს, წყობილ მარგალიტად

უქცევია (ასევე აცხადებენ ფირდოუსი, გორგანელი, ნიჩამი თავიანთ პოემებშე).

შემდეგ კი ნათქვამია, რომ ნაპოვნი ტექსტი უკვე ყოფილა ობოლი მარგალიტი და ხელიხელ საგოგმანები.

ავტორს მხოლოდ გაულექსავს იგი.

აյ წინააღმდეგობა აშკარაა, რაც გვარწმუნებს, რომ პროლოგ-ეპილოგის შესაბამისი სტროფები ინტერპოლატორის დაწერილია და მიზნად ისახავს მეორე პუნქტის ასევე მისტიფიცირებას.

თანაც – თუ ამბავი სპარსულია, თუ უკვე დაწერილიც იყო, როგორდა უბრძანეს გამლექსავს ან – როდის „მათად საქებრად (ე. ი. თამარისა და დავითის სახოგბოდ) თქმა ლექსებისა ტკბილისა“.

წიგნი ხომ მათზე არ ყოფილა დაწერილი!

ეს კი, როგორც ვაჩვენეთ – არასწორია!

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ორივე მისტიფიცირება ინტერპოლატორის ნახელავია.

როგორც ვნახეთ, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მართლაც არსებობს პოეტი და არისტოკრატი შოთა რუსთველი, ერთდროს – საქართველოს მეჭურჭლეოუბესი.

ეს რომ არა, შეიძლება კიდეც გვეფიქრა, რომ „ვეფხისტყოსანი“ ჯერ პრობად დაიწერა, რომანის ფორმით, ქართულ ენაზე და შემდეგ – XIV საუკუნეში ვიღაც რუსთველმა აქცია პოემად.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ინტერპოლატორი ახდენს ავტორის ვინაობის მისტიფიცირებასაც და მეტყველებს მისი სახელით, როგორც ეპილოგში.

მისტიფიცირების მრავალი ფაქტი იცის ისტორიამ. მაგ., ფსევდო-დიონისე, ფსევდო-ლონგინე, კლარა გამული – პროსპერ მერიმე, გრაფი სეგედი – ჭაბუა ამირეჯიბი...

ხოლო თუ დავუშვებთ, რომ მისტიფიცირება რუსთაველს ეკუთვნის, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ პოეტი ასე ცდილობს ისტორიულ რეალიებთან კავშირის უარყოფას, რომ პოემაში

არ ჩანდეს ქართული სინამდვილე. მაგრამ მაშინ სადღაა „ქება“!

ორივე დაშვებით მისტიფიკაცია ფაქტია, რაც აღმოსავ-ლური ტრადიციის გაგრძელებაა.

მტკიცე საყრდენად იმისა, თუ როდიდან გახდა პო-პულარული, გამოგვადგება პერსონაჟთა სახელების გავრცე-ლების ქრონოლოგია.

ონომასტიკა ასევე ხსნის ზოგიერთ კულტუროლოგიურ და ფილოლოგიურ საკითხს (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკა“).

## ქართული ხედვა

რესითაველის აღმოსავლეთში, არაბეთსა და ინდოეთში, რომლებიც ცხელ ზონას განხეკუთვნებიან, სადაც ლომ-ვეფხვები დააბიჯებენ, – უდაბნოების ნაცვლად უფრო კლდეებსა და გვი-რაბ-ქვაბებს ვხედავთ, ხეები ცამდე არიან აწვდილი, ხოლო სიმწვანე ველ-მინდვრებს მაშინ ედება, როცა ბაფხული (თუ გაბაფხული) იწურება.

ვარდიც მაშინდა იფურცლება, როგორც შავშეთსა და ტაო-ში (შდრ – წმ. ნინო შეძრწუნდა, როცა ჯავახეთში, „ქამსა ბაფხულისასა“, ჩრდილოეთით დაინახა თოვლით დაფარული მთები).

უცხო მოყმის მძებნელ ავთანდილს გმად ხვდება მდინა-რეები, ტყეები, კლდეები, არა უდაბნო და ოაზისი.

მას არ აწესებს მზის ხორშაკი და უწყლობა.

ტარიელის ქვაბი დიდ კლდეშია, რომელსაც წყალი ჩაუდის და დიდი ხეები ფარავს. ისე, რომ ავთანდილს შეუძლია დაი-მალოს, ცხენი კი ხეზე მიაბას.

ქვაბები გავრცელებული იყო საქართველოშიც (მაგ., ვანის ქვაბები – XII ს.), ისევე როგორც კლდეში ნაკვეთი ქალაქები (მაგ., უფლისციხე და ვარძია), როგორც ადრე კაბადოკიაში.

ტარიელი ხოცავს ლომ-ვეფხვს (ლეოპარდს). მაგრამ არ იხ-სენიება სპილო, რომელსაც საომრადაც იყენებდნენ ინდოე-ლები.

ზღვას, ნავებსა და მეკობრე მეომრებს ხშირად ვხედავთ. გულანშარო ზღვისპირა ქალაქია, ზღვათა სამეფოს საბრძანე-ბელი, გენუისა თუ ვენეციის მსგავსი.

„ვეფხისტყაოსანში“ არ იგრძნობა არაბეთისა და ინდოე-თის ცხელი კლიმატი, არ ჩანს არაბეთის ქვიშით დაფარული რუხი ჰორიზონები. მხოლოდ მზე ანათებს დღისითა და ღამით.

გმირთა სისხლი და ცრემლი უდაბნოს კი არ რწყავს, არამედ – კლდეებს დარავს, ქაჯეთის ციხე კლდეებს შორის არის ამართული.

როსტევანის თმების სითეთრე შედარებულია ფიფქის თო-ვასთან.

რუსთაველის „თოვლი“, „ფიფქი“, „დაბრობა“, „თრთვილი“, რაც უფრო ქართული მთიანი მხარის კლიმატს გამოხატავს, მომდინარეობს ითანე პეტრიჭის მიერ თარგმნილი ტექსტე-ბიდან (აკ. გაწერელია).

აღმოსავლეთის ველებისა და უდაბნოების ცხვარი განუ-დევნია მთა-კლდეთა თხას, კრავი და მგელი – თხასა და მგელს.

როგორც ვხედავთ, რუსთაველს ქართული ლანდშაფტი გადააქვს აღმოსავლეთში.

პოემაში სამი ერის შვილის, სამი რაინდისა და მეომრის თავდადებული, უღალატო მეგობრობა და თანადგომაა გადმო-ცემული.

ისინი ერთად სბლევენ ბოროტებას და ჰადესიდან ამოიყ-ვანენ ბნელში დანთქმულ მთვარეს – ნესტანს.

ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის მეგობრობას ნ. მარი ქართული მმაღნაფიცობის ინსტიტუტს უკავშირებდა, გან-საზღვრულს სიტყვით, სისხლითა და ფიც-ვერცხლით.

ფრიდონს რომ ეწვიონენ ტარიელი და ავთანდილი, „ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო გარდაგებულსა“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მხოლოდ მეფის „საჯდომი“ (ტახტი) იყო ოქსინოგადაკრული (ოქსინო – ოქრო-ქსოვილი ხავერდი – სულხან-საბა). საქართველოში მეფე ქვეყანას მართავდა დარბაზის მეშვეობით. ასევეა ინდოეთსა და არაბეთშიც.

ვრცელ მანძილს ავთანდილი სერავს თეთრი ტაიჭით, ტარიელი – შავი მერნით და არა აქლემით. სახედრებითა და აქლემებით დადიან მოქარავნები.

სარიდანი რომ გარდაიცვალა, ტარიელი ერთი წელიწადი ბნელში იჯდა. ასეთივე წესი ჰქონდათ ქართველ მეფე-მთავრებს.

აქაც ქართული რეალიები იჩენს თაგს.

რუსთაველის გმირები მუსულმანები არიან, ყურანს (მუსა-ფი) ეცნობიან, მეჩეთში დადიან (მაგ., ავთანდილი, როცა როსტევანს უნდა გაეპაროს), მოსავთ რიცე, ასახელებენ მექას, ნავროზობას აღნიშნავენ, მუყრებსა და მულიმებს უსმენენ, თუმცა არ იცავენ თავიანთ რელიგიურ დოგმებსა და ნორმებს. ქალები იშვიათად აფარებენ ჩაღრს (აჯიდას).

ავტორის ქრისტიანული მრწამსი შენიბლულია და ვლინდება ცალკეული სპეციფიკური ტერმინების გამოყენებით (მზიანი ღამე, ცისა ძალთა დასი, უკამო ჟამი, სიძე, აღვსება, რომელმან, ერთარსება, უფალი უფლებათა, უცნაური და უთქმელი, კეთილი, ბოროფის არდამბადებელი), ბიბლიური სახეების გარდა-თქმით (კ. კეკელიძე, ვ. ნოზაძე, აკ. გაწერელია, ბ. გამსახურდია, ე. ხინთიძიძე).

624 წელს მუჰამედმა აკრძალა ღვინის სმა და იგი შარბა-თით – მარილიანი წყლით შეცვალა. მიუხედავად ამისა, ლო-თობა ვერ აღიკვეთა.

რუსთაველის გმირები ნადიმზე ღვინოს სფამენ, არათუ ვა-ჟები, ქალებიც კი (მაგ., ფაგმანი და თინათინი). მუჰამედმა კაც-თა და პირუტყვთა დასაჭურისებაც აკრძალა. არც ეს აღთქმა დაუცავთ შიამომავლებს. შესაბამისად, რუსთაველის მონაბანები ხადუმები არიან (არაბ. საჭურისი).

როცა ავთანდილი მეჩეთში ლოცულობს, არ მიმართავს ალაპს ან მაპმადს – უბენაეს ძალას მოიხსენიებს ქრისტიანული სიმბოლოებით, აპოფატიკურ-კატაფატიკური ტერმინებით.

პოეტი იყენებს ანტიკურ ცნებებს იმ სახით, როგორც შემოიტანეს ქართველმა ასკეტ-მისტიკოსებმა ჩვენს მწერლობაში. მაგ., „ნივთი“, „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევპროვივარ სულთა სირასა“, „ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა“ ერთგან გაკრთება „კათალიკოს-მაწყვერელი“, მაგრამ იგი გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს.

ქაჯეთს ღმერთის რისხვას თავს დაატეხს არა ალაპი, არამედ – კრონოსი, ელინელთა ძველი მთავარ-უფალი.

პოეტის აზრით, ავთანდილის ქებას შეძლებს მხოლოდ „ათენს ბრძენთა... ენა ბევრი“.

ალაპი ძველ არაბებში ბეცისა და წვიმის ღმერთი იყო, ისლამში – ერთადერთი ღმერთი, რომელის წინასწარმეტყველია მაპმადი (მუჰამედი). მაპმადის ყურანი კრძალავდა მზისა და მთვარის თაყვანს.

პოემა არ იცავს ამ უპირველეს მუსულმანურ ღოგმას:

ფრიდონისკენ მიმავალი ავთანდილი სიმღერით მიმართავს შვიდ მნათობს – მზეს, რომელიც თინათინს აკონებს, ბუალს, მუშთარს, მარის, ასპირობს, ოფარიდს, მთვარეს.

გულამოსკვნილი აღმოთქვამს „ღექსთა საბრალოთა“, როგორც ორფეოსი და მისი სიმღერით შეძრულია ცა და მიწიერი, ყოველი სულიერი და უსულო.

როგორც გვეუბნება ლეონტი მროველი, იბერიელებს ფარნავაზამდე ჰქონიათ მზისა, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის კულტი.

მათ – გაღმერთებულ მნათობებს, განსხვავებული სახელები ერქვათ ასურულ-ბაბილონურად, ელინურად, ძველქართულად, რაც იქცა შვიდეულის დღეთა სახელებად, გარკვეული კორექტივითა და ვარიაციით – ქართულ, მეგრულ, ჭანურ და სვანურ ენებზე (იხ. პირველ წიგნში – „ასტრალური პრაღმერთები“).

ავთანდილიც მათ შესთხოვს შეწევნას, არა ალაპს, მაპ-მადს ან რომელიმე წინასწარმეტყველს. შეიძლება ეს იყოს ნიბამის „ლეილმაჯნუნიანის“ გავლენა. მაგრამ „აზმანიც“ ხომ „მშვიდმნათობიერს“ უწოდებს თამარ მეფეს. ხოლო „თამარი-ანში“ შვიდი მნათობი ამშვენებს თამარს.

ამიგომ არაბი მიჯნურის მნათობთა ხოფბა-ვედრებაში შეიძლება დავინახოთ ლეონტი მროველის მიერ ფიქსირებული იქერიელთა წარმართული ტრადიციის გამოძახილი.

ქაჯეთის დასალაშქრად გამზადებულ სამ ძმადნაფიცს სწორედ ეს შვიდი მნათობი ფარავს ნათლის სვეტით, არა ჯვარი ან ნახევარმთვარე.

ქაჯიც ქართული სიტყვაა, ქცეული აღმოსავლურ ტოპო-ნიმად (იხ.: „დრო და სივრცე“).

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული ისტორიული რეალობის შიფრს აქვებს ავტორის ქართული თვალთახედვა.

ყველაფერს კი აერთიანებს ქართული სიტყვა და ქართუ-ლი ლექსი, რომელიც ყოველგვარ უცხოურ სახელს, ამბავს, ქცევას თუ რწმენას აქცევს ნაციონალური ცნობიერების ნა-წილად. თვით სიტყვა „ქართული“, პ. კეკელიძის აზრით, გვიან-დელი ჩანართია.

ამდენად არის „ვეფხისტყაოსნის“ გაუცხოების ხერხით და-წერილი ქართული და ორიგინალური პოემა, რომელმაც და-ამკვიდრა მშობლიური ლექსი და აღმოსავლური, ანგიბაზნ-ტიური ესთეტიკა.

## 2. „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკა

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები არა მხოლოდ სამეფო წრეს განეკუთვნებიან და ამ ელიტური სიმაღლიდან უწვდიან ხელს ერთმანეთს, არამედ – ღვთაებრივი ბუნები-

სანიც არიან, რაც ვლინდება სახელების ეტიმოლოგიითა და სიმბოლური გააზრებითაც.

უძველესი დროიდან მეფე გაღმერთებული ბეცის შვილი იყო, რასაც პოემაში მზე ენაცვლება.

## პროტოტიპები

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პროტოტიპების კვლევა უკავშირდება სიუჟეტის საკითხს, პოემაში ისტორიული რეალიების ასახვა-არეკლვას. მაგრამ პროტოტიპი არ არის ერთ-სახოვანი ცნება. ავტორი შეიძლება ამოდიოდეს რეალობიდან, მაგრამ ახდენდეს ფაქტის ლიტერატურისტებას, როცა ოცნებით იცვლება საგნის ხატი. ან შეიძლება ფანტაზიიდან ეშვებოდეს სინამდვილეში და მოდელს სულ უდგამდეს ცხოვრებისეული მოვლენებით.

შეიძლება ერთ პერსონაჟში თავი მოიყაროს რამდენიმე პირის თვისებამ და მათი შერწყმით, სინთეზირებით მივიღოთ ახალი სახე, რასაც ბიოლოგიაში მუტაცია ეწოდება.

სელოვანი არის შემოქმედი და არა ფოტოგრაფი.

როგორც ვთქვით, პოემის სიუჟეტის საფუძველია ისტორიული რეალობა, თამარის ისტორია, რაც ავტორმა დუბლირების პრინციპით გაიაზრა, როგორც განმარტავდა პავლე ინგოროვება.

თინათინი და ავთანდილი ოცნებაა, ნესტანი და გარიელი – რეალობა. პირველი აპოლონური ჰარმონია და წესრიგია, მეორე – დიონისური დისპარმონია და მუდმივი ღელვა.

შესაბამისად თინათინ-ნესტანის პროტოტიპია თამარ მეფე, ავთანდილ-ტარიელისა – დავით სოსლანი, ხვარგმშას ძისა – გიორგი რუსი (ხვარაბმთა დინასტია არსებობას იწყებს 1194 წლიდან), როსტევან-ფარსადანისა – გიორგი III, თამარის მამა, დავარისა – თამარის გამზრდელი მამიდა, ხორასანის სულტანის ქვრივი რუსუდანი („რძალყოფილი დიდთა სულტანთა

შამირამეთი და დელოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათვის თვისადმე მამულად მოყვანებული – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“; „ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული“ – „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, რომელიც აღმოჩნდა მოთავე გიორგი რუსის მოყვანისა და თამარის ნების საწინაღმდეგო ქორწინებისა (პ. ინგოროვა), ასევე – თამარ მეფის მეორედ კურთხევისა.

არათუ რუსთაველს, ნიბამი განჯელსაც კი (1141-1203) „ხოსროვ-შირინიანში“ (1180 წ.) თავისი გმირების პროფონდებად დაუსახავს თამარი (შირინი) და რუსუდანი (შამირა).

ისტორიული რეალიების ფანგაზით გავრცობა-შეკვეცას, შევსებასა და გარდასახვას ერთვის ლიტერატურული მასალაც, ლიტერატურული წყაროები, როგორც ორიენტირი და შთაგონება.

მაგ., მ. თავდიშვილის აზრით, რუსთაველის პერსონაჟთა ლიტერატურული პროფონდიპებია ნიბამი განჯელის პერსონაჟები: ავთანდილისა – ნაუფალი, სალამი და ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, ტარიელისა – ისქანდერი (ალექსანდრე მაკედონელი), ნესტონ-დარეჯანისა – ნესტონ დარჯეპანი (რომელსაც ისქანდერი დევს წარსტაცებს), რამაზ მეფისა – ხატაელთა (თურქთა) ფლიდი ხაყანი...

საილუსტრაციოდ მკვლევარს არაერთი მაგალითი მოაქვს, როცა აჩვენებს კონკრეტულ დონეზე რუსთაველის შემოქმედებით ნათებაობასა და სიახლოვეს ფირდოუსთან და ნიბამი განჯელთან.

## ეტიმოლოგია და სიმბოლიკა

სახელების ეტიმოლოგია, რაც თავისთავად, ტექსტისაგან იმოლირებითაც აფარებს სიმბოლიკას, განიხილეს ნიკო მარმა,

იუსტინე აბულაძემ, ზეიად გამსახურდიამ, მურმან თავდიშვილ-მა.

საქართველოში XI საუკუნისათვის გვარების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული იყო. მაგრამ რესთაველი არჩევს მუსულმანების წესს და პერსონაჟებს აძლევს მხოლოდ სახელს.

საბგასმით აღინიშნება სახელთან ერთად ეროვნება, რაც შეესაბამება დღევანდელი მოქალაქის სტატუსს.

რელიგიას, მაკმადის რჯულს, რომლის მიმდევარიც არიან ინდოელი ტარიელი და არაბი ავთანდილი, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ხოლო ენობრივი ბარიერი სხვადასხვა ერის შვილებს შორის არ არსებობს.

ი. აბულაძის ამრით, ტარიელი არის ირანული დარიელი. ეს სახელი ჰქვია ირანელ ერისთავს, რომელიც გამოგზავნეს საქართველოში და იხსენიება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“.

კ. კეკელიძე მიუთითებს ბიბლიაზე, სადაც დარიოსს დარიელი ჰქვია.

გ. გამსახურდიამ იყი დაუკავშირა ფარ ფუძიდან წარმოქმნილ უძველეს სახელებსა და ტოპონიმებს, ლვთაებებს, საიდანაც წარმოსდგა კაბადოკიური „ტარჭუალა“, რაც ძლევას ნიშნავს. ეს კი სიმბოლურად არის უმამაცესი.

ფუძე თარ გავრცელებული ყოფილა მთელს სემიტურ და ინდოევროპულ სამყაროში. ამასთან ერთად გ. გამსახურდია არ გამორიცხავს, რომ მისი მტკიცება და ი. აბულაძის ერიმოლოგიური ახსნა კავშირშიც კი იყოს ერთმანეთთან, რაც მართებულია.

ტარი-ელ მოხსენებული ყოფილა 1225 წლის ანისის ერთერთ წარწერაში.

ავთანდილსაც აღმოსავლური ძირი აქვს, კერძოდ – არაბული – „ვატანუდინ“, რაც იშიფრება როგორც „სამშობლოს გული“: ვატან (სამშობლო) მრავლობით რიცხვში არის ავტან

(ი. აბულაძე), მეორე ვარიანტით – „სამშობლოს რწმენა“ (დილ/დინ – რწმენა).

ეს სახელი არსებულა ქართულში ასეთი ფორმითაც – „ვათანდილ“ (ი. აბულაძე).

ნ. მარის ახსნით, ხავთან არის ვეფხის ტყავის აბჯარი, დილ – გული, მკერდი.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ნესტან-დარეჯანი არის სპარსული „ნესტო ანდარე ჯეპან“ (ნ. მარი, ი. აბულაძე) – „არ არის ამქვეყნად“ ანუ არაამქვეყნიური (ნ. ბართაია), სიმბოლურად – ულამაზესი.

ფარსადანი სპარსულად არის „ბრძენთაგანი“, შერმადინი – რწმენის სინდისი, როსტევანი – „შაპ-ნამეს“ როსტემი (ქართული ვარიაციით – როსტომი), ნურადინი – არაბულად „რწმენის ნათელი“, ფრიდონი – სპარსული ფაპრიდუნი („საღვთო მადლი“), „შაპ-ნამეს“ ფაპრიდუდინი, ფატმანი – არაბულ-სპარსული „ფაპმატ“ – ცოდნა, გაგება, მიხვედრა (გ. გამსახურდია) თუ ფატიმა – მეკავშირე (მ. თავდიშვილი).

სარიდანს გ. გამსახურდია უკავშირებს სპარსულ სიტყვა ოქროს – სარ/ჩარ. მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ძირი არის ასურული სარრიდუმ, რაც ნ. ხაზარაძის ახსნით ნიშნავს სახელრების გამრეკს.

ალბათ ეს სიტყვა უნდა გავიგოთ როგორც ჯოგის პატ-რონი, სიმბოლურად – მბრძანებელი.

ქართულია თინათინი, რაც ათინათიდან, სარკიდან არეკლილი სხივიდან მოდის და სინათლის ციმციმი და ნათებაა (შდრ – ნათელი, XIII საუკუნიდან ელიტაში შესული სახელი).

თუმცა, ნ. ბართაიას აზრით, მისი საწყისი ფორმა უნდა ყოფილიყო „დინა-დინ“ – რწმენის რწმენა.

გ. გამსახურდია მას უკავშირებს ელინურ ათინას სახელს, სოფიას, ანტიკურ სიბრძნეს, რაც სიმბოლურად არის უსპეტაკესი და უჭკვიანესი.

აქ უჩვეულო არაფერია – ასეთივე ეტიმოლოგიური ახსნა აქვთ სხვა ცნობილ სახელებსაც. მაგ., ადამი, ევა, თამარი, გი-

ორგი, დავითი. შდრ – ნიზამი განჯელის შირინი – ტკბილი, ლეილი – ლამე, მეპინ – ბანუ – დიდი ქალბაფონი, როუშანაქი – ნათელი (მ. თავდიშვილი).

ეს ყოველთვის არც არის ავტორის გამომგონებლობა. ავტორი შეიძლება მნიშვნელობას ანიჭებდეს სახელის წარმომავლობას, ან თავად თხბავდეს მას, იძლეოდეს ახალ ვარიაციას, რადგან სახელი არის ნიშანი და სიგნალი, რომლის აბრობრივი დატვირთვა გადადის სიმბოლოში. მაგრამ ისე, რომ სიმბოლოთა რეალურმა თუ წარმოსახვითმა გამამ არ შეიწიროს მხატვრული სიტყვა.

რუსთაველმა წარმოსახა აღმოსავლური სამყარო, ფანტაზით წარმოიდგინა უცხო ქვეყნები და პერსონაჟებსაც დაანათლა ამ გარემოს შესაბამისი სახელები, რათა იღუბიას მეტი რეალობა შეეძინა, სიმბოლურადაც შეაკავშირა ისინი.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა არაქრისტიანულმა, არაებრაულმა, არაბერძნულმა სახელებმა, რაც უჩვეულო მოვლენა იყო ქართული კულტურისათვის, მნელად, მაგრამ მაინც გაიკვლიეს გბა ქართულ სამყაროში პეროიკული სულისა და ქალის კულტის, სიყვარულის მეოხებით.

ამას ხელს უწყობდა სიტყაცია – მუსულმანური აღმოსავლეთის პოლიტიკურ-კულტურული აგრესია და ჰეგემონია.

## გავრცელების დრო და არეალი

რუსთაველამდე პოემის პერსონაჟთა სახელების მეტი წილი, განსაკუთრებით – მთავარი გმირებისა, უცნობია.

XII საუკუნეშიც ბატონობს ბიბლიურ-ბიბანტიური ონომასტიკა, დაბალ ფენებში – წარმართული (მაგ., თოვლავ, დუდა, მირაინგული, ქვაჩი, ღვთისია, უჩაკოჩი, მღილა, ნავარქაი, ლატკაი, ჯუჯულია, კაკვუონა). ხოლო ირანულ-მაზდეანური

უკვე დავიწყებული იყო (მაგ., ფარსმანი, სერაფიმი, მიპრდაცი), გარდა ვახტანგისა.

ერთ-ერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს ასმათი:

თელეთის წმ. გიორგის ეკლესიის 1002 წლის წარწერაში იკითხება ასმათი, თუმცა ბ. არველაძე მას გვიანდელ ნაყალბევად მიიჩნევს.

XII ს-ში ცნობილია ფრიდონი – შაპ-ნამეს პერსონაჟი და მსახურთუხუცესი აფრიდონი („ისტორიანსა და აზმანში“), XIV ს-ში როსტანი (უამთააღმწერელთან).

„ისტორიანი და აბმანი შარავანდედთანი“ (XIII საუკუნის 10-იანი წლები), რომლის ავტორი დიდ ერუდიციას ავლენს, იყენებს უამრავ საისტორიო და ლიტერატურულ მასალას, მათ შორის – ჩახრუხაძის „თამარიანს“, ასახელებს შავთელს, ასახელებს 12 სამიჯნურო წყვილს თამარის დიდების კონტექსტში, მათ შორის – „ამირანდარეჯანიანის“ ამირანსა და ხორა-შანს (ხორასან – აღმოსავლეთი).

მავრამ არ იცნობს რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს.

არც XIV საუკუნეში ისმის მათი სახელი (მაგ., უამთააღმწერელთან).

მხოლოდ XV საუკუნის II ნახევარში, ვაჰანის ქვაბის კედლის წარწერაში და ბერთის სახარებაზე გაჩნდება რუსთაველის სტრიქონები. მავრამ მანამდე ელიფასა და მასაში უკვე ფიქსირდება პოემის პერსონაჟთა სახელი.

გავეცნოთ ბოგიერთ მონაცემს XI-XVII საუკუნეთა ლოკალში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I-IV, თბ., 1991-2007):

კახეთის მეფე ალექსანდრე პირველის (1457-1503) მეორე მეუღლე იყო თინათინი. თავად ალექსანდრე ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის ძეა.

არაბეთის, ე.ი. შოთას თინათინს ახსენებს „თამარიანის“ გვიანდელი ინტერპოლატორი („ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“).

ალექსანდრეს დედას, გიორგი VIII-ის მეორე მეუღლეს, ერქვა ნესტან-დარეჯანი, რაც აღნიშნულია 1476 წელს.

ასე რომ – მომავალ დედოფალს ეს სახელი დაანათლეს XV საუკუნის I ნახევარში.

დავით X ქართლის მეფის (1487-1523) სიდედრია ყვარყვარე ათაბაგის (ჯაყელის) მეუღლე ნესტან-ჯარი.

1508 წელს ქვათახევის წინამძღვარს ვენახის ნასყიდობის წიგნი დაუწერია ნესტარჯანისათვის.

როგორც ჩანს, იგი გლეხის ქალი იყო.

თინათინი ყოფილა ბარათა ქაჩიბაისძის (XV ს.) დედა და მეუღლესაც თინათინი რქმევია (1447-1459 წლების დოკუმენტით).

აქ უკვე გადავდივართ XIV საუკუნეში.

ალ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ნესტან-დარეჯანი, მეფე ალექსანდრეს მეუღლე, იხსენიება 1397 წლის სიგელში.

XIV საუკუნიდან არსებულა სახელი ავთანდილიც:

გორის მოურავი ავთანდილ ბევდგინისძე იხსენიება 1425 წელს, გლეხი ავთანდილა დოლიაშვილი – 1488 წელს, ავთან-დილაშვილი ქამიერი – 1465 წელს ანუ სახელი უკვე გვარად ქცეულა.

დულანდუხტი (სპარს. დულანის ასული) ერქვა ალექსანდრე I-ის (1412-1442) პირველ მეუღლეს.

ალექსანდრე II იმერთა მეფის (1467-1510) მიერ გელათი-სათვის 1484 წელს შეწირულ გლეხებს შორის არის მესხი ყმა-გლეხი „როსტევანი შვილებით“ ანუ ეს სახელი XV საუკუნის I ნახევრისათვის დაბალ ფენაშიც დამკვიდრებულა.

კახეთის მეფე ლევანს (1511-1574) ჰყოლია ჩოლოყაშვილების სამამულე დავის გამრჩევთა შორის როსტევანი ანუ იგი თავადი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, XV საუკუნის I ნახევარში ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამცხეში როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში ფიქ-სირებულია თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი, როსტევანი, დულანდუხტი.

მანამდე ისინი დოკუმენტებში არ იხსენიებიან.

პოემის ხელნაწერთა გამრავლების პარალელურად უფრო და უფრო მკვიდრდება პერსონაჟთა სახელი (უძველესი ხელნაწერი განეკუთვნება XVI-XVII საუკუნეებთა მიჯნას).

ასევე ჩნდებიან ფრიდონი, ფარსადანი („ამირან-დარეჯანიანიდან“ გადმოსული), სარიდანი და რამაზიც: ფრიდონის სახელს კვლავ ვეცნობით XV საუკუნიდან (მძევალი ფრიდონი).

1580 წლის სვიმონ I-ის წყალობის წიგნში ვხვდებით ფრიდონ სააკაძეს, 1595 წლის სიგელში – გრკონელ ფრიდონ შვილობილაძეს, 1616 წელს – ქორდელ ფრიდონ ჩუბინასშვილს.

ფრიდონ ყორღანაშვილს შვილისათვის ფარსადანი დაურქმევია;

ფარსადან ამირახორი ჩანს 1565-1583 წლების სიგელში;

ცნობილია გიორგი სააკაძის მოდავე ფარსადან ციციშვილი (1619 წ.); გიორგი სააკაძისათვის ვენახი მიუყიდია ფარსადან ჯავახიშვილს (1607 წ.).

ასევე გავრცელებულა გულანშაროს მელიქ-სურხავის სახელი. იგი პოეტს უნდა აედო „შაპ-ნამედან“, რაც სულხანად ქცეულა.

1532-1538 წლის დოკუმენტში ფიქსირდება მცხეთელი სარიდანა; 1634 წელს იხსენიება რუისელი გლეხის სარიდანაშვილის კომლი.

პოემის მთავარ პერსონაჟთაგან სახელი ტარიელი ყველაზე ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. მას არ ღებულობს სამეფო კარი, ბაგრატიონთა საგვარეულო:

1527-1556 წლების დოკუმენტის მიხედვით ხანდაკში უცხოვრია ვინმე ტარიელს.

ტარიელი რქმევია ქართლელ თაბიშვილს (1634 წ.).

თაბიშვილები არიან ავთანდილი და რამაზიც (თაბი მაპმადის ენაზე არაბს ნიშნავს).

1700 წელს ფიქსირდება მმები ფრიდონ, ავთანდილ, ტარიელ, როსტომ და ბექინა იაგულაშვილები (დემურაშვილები).

ისინი ყოფილან სომხითის აზნაურები, როგორც ონომას-ტიკური წრე ცხადყოფს – გაქართველებული სომხები ანუ არა-ქართულ გარემოშიც შესულა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახე-ლები.

საინტერესოა, რომ XII საუკუნის შეაწლებში არსებულა გვარ-სახელი ტარიკასძე, რომელსაც ატარებდა ქვემო გველ-დისელი გლეხი.

ასე რომ – შესაძლებელია ტარიელს ჰქონდეს ქართული ხალხურ-პლებური ძირი, თუ ეს არ არის არაბული ტარიკატ, რაც სუფიმს სკავშირდება (შდრ – მეჩეთი ტარიკ-ხანე დამ-დანში).

კანონიზებულ სახელთა გვერდით ადგილის დაკავება, როცა ძლიერია რელიგიური ფაქტორი, თავისთავად მეტყვე-ლებს თუ როგორი ძალა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“, რომ წიგ-ნიერ თუ უწიგნურ ფეოდალს თავისი ასულისათვის დაერქმია თინათინი ან ნესტანი და იგი ეცნო ეკლესიას.

## სამეფო წრე

არც „ვეფხისტყაოსანის“, არც „ამირანდარეჯანიანის“, არც „ვისრამიანის“ პერსონაჟთა სახელები არ ჰქვიათ ქართველ მეფეებსა და ბატონიშვილებს, ეს მაშინ, როცა არჩევენ თეი-მურაბს, ქაიხოსროს, როსტომს, ლუარსაბს, ერეკლეს, სულეი-მანს, ელმირბას, ხოსროს.

გამონაკლისია რამაზ ბაგონიშვილი (1512-1580), ქართლის მეფე დავით X-ის ძე, ლუარსაბ I-ის ძმა, რომლის ბებიაა ხსენე-ბული სამცხელი ნესტან-ჯარი.

იგი 1580 წელს ბერად აღვეცილა რომანობის სახელით. სახელი რამაზი საკმაოდ გავრცელებულა XVII საუკუნეში.

რამაზისგან წარმოქმნილა გვარი რამაზაშვილი, როგორც ავთანდილისაგან – ავთანდილაშვილი, როსტევანისაგან –

როსტევანაშვილი, სარიდანისაგან – სარიდანაშვილი, მოგვიანებით – ტარიელისაგან – ტარიელაშვილი, ქაჯისაგან – ქაჯაია, დავარისაგან – დავარაშვილი, როშაქისაგან – როშაქაშვილები.

როგორც ითქვა, ნესტან-დარეჯანი და თინათინი ერქვათ დედოფლებს, მაგრამ ისინი არ იყვნენ ბაგრატიონები.

მაგ., ლევან კახთა მეფის (XVI ს.) მეუღლე თინათინი გურიელია. მათ თავიანთი ასულისათვის ნესტან-დარეჯანი დაურქმევიათ.

იყო იყო ქართლის მეფე სვიმონ I-ის მეუღლე.

ასე რომ – პოემის ქალთა სახელები მოგვიანებით დამკვიდრდა ბაგრატიონთა დინასტიაში, სადაც მუდმივად ბაგონობდა თამარის სახელი, ისევე როგორც მთელს ელიტაში.

XV საუკუნიდან ისევ ვეცნობით შოთას (მაგ., ბევდებისძე შოთა – 1412 წ.), რომლისგანაც წარმომდგარა გვარი შოთასძე, შოთასშვილი, ასევე – აშოთანსა და აშოთაძეს (აშოთის ვარიაცია).

ამ სახელს შეუდწევია ბაგრატიონთა წრეში და XVI საუკუნიდან რამდენიმე მუხრან-ბაგონს ჰქვია აშოთან (მაგ., თეომურაბ მუხრან-ბაგონის ძმისწელი – XVII საუკუნის 20-იანი წლები, ბაგრატ ბაგონიშვილის ძე აშოთან – XVI ს-ის I ნახევარი).

შოთა გრიგოლის ძე იყო პერეთის მეფის ძმა XII საუკუნის დასაწყისში, პ. ინგოროყვას აზრით – ბაგრატიონი (მემატიანე სუმბატ დავითისძის ლეგენდური ცნობიდან გამომდინარე).

პ. ინგოროყვას მისი ძმის – მეფე ასათის შვილთაშვილი შოთა მიაჩნია „ვეფხისცყაოსანის“ ავტორად.

XI-XVII საუკუნეთა ღოკუმენტებში ჩვენ ვერ ვპოულობთ დავარის, სოგრატის, ფატმანის, უსამის, როსანის სახელებს.

უსენი „ამირანდარეჯანიანის“ პერსონაჟია.

სოგრატი სოკრატის ვარიაციაა. დანარჩენი რუსთაველის კუთხით ილებაა. არც მასა, არც ელიტა არ დებულობდა მათ, რადგან იწვევდა უარყოფით ასოციაციებს (მაგ., დავარის რო-

ლი, ვაჭართა წრე, ფატიმა ერქვა მუჰამედის ქალიშვილს, როსანი – ქაჯეთის დედოფლის დელარდებეგის ძმისწულს, რომელიც განეზრახათ ნესტანის საქმროდ.

„ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟთა სახელები უცებ ვერ იქნებოდა მისაბაძი და სანიმუშო. მათი გავრცელება და აღიარება უნდა დაწყებულიყო XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია სდევნიდა არაქრისტიანულ ონომასტიკას, რომელსაც ძირი არ ჰქონდა ბიბლიაში, ბიბანტიურ სამყაროში, ვიდრე შეეძლო მუსულმანური ტალღის მოგერიება.

სამეფო და ფეოდალური ელიტა ეკლესიის ნების მორჩილი და დამცველი იყო. ამით თუ ავხსნით, რომ, მაგ., ალექსანდრე I-ის (1412-1442) მრავალ დოკუმენტში ფიქსირებული სახელები-დან მხოლოდ ერთგან გვხვდება ავთანდილი, რომელიც შემდეგ პოპულარული გამხდარა, ისევე როგორც თინათინი და ნესტანდარჯანი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტარიელზე, რომელსაც თითქოს ფაბუ ედო, შეიძლება მეფეებთან დაპირისპირების გამო (როსტყევანი, რამაზი, ხვარაბმშას ძე, ფარსადანი).

პერსონაჟთა ონომასტიკის გავრცელების დრო და არეალი გვიჩვენებს როგორ იმოდებოდა სამეფო-სამთავროების ყოველ ფენაში „ვეფხისტყაოსანის“ პოპულარობა. ეს კი ხელნაწერების სიმრავლესა და დამატებების თხზვასთან ერთად მოწმობს საზოგადოებაზე პოემის ზეგავლენას (შდრ – გრიგოლ რობაქიძის ლონდა, ლამარა, კონსტანტინე გამსახურდიას – თარაში, შორენა, გვანცა, ზვიადი, ვაჟა-ფშაველას – ლელა, მინდია, ბერდია, ვაჟა XX საუკუნეში), ხოლო პროფოტიპები, ეტო-მოლოგია და სიმბოლიკები – ემოციურ-აზრობრივი მნიშვნელობის ერთ-ერთ ასპექტს.

## 3. არქეტიპები და სფილი

### პოლივალენტური ტექსტი

დრმა და დიდი ტექსტი იძლევა მრავალგვარი წაკითხვის შესაძლებლობას. მისი ნათების სპექტრი აღურიცხავია და გვეჩვენება, რომ მთავარია ის, რაც ჩვენ მოვიხელთვთ, რაც ჩვენ აგხსენით.

„ვეფხისტყაოსანსაც“ ყოველი დრო განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს.

მაგ., როცა ბ. გამსახურდია პოემის სიმბოლიკურ-ალე-გორიულად განმარტავს – ეს მეტნაკლებად სწორია. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის „ვეფხისტყაოსანი“.

როცა ხალხი პოემაში ხედავდა გმირობისა და მიჯნურობის მაგალითებს, სატრუიალო განცდებსა და ვნებებს, პერიოკულ სულისკვეთებას, დრამატულ ამბებს, მართალი იყო. მაგრამ ასეთი გაგებაც არ მოიცავს მთელს „ვეფხისტყაოსანს“.

ესეც არის ერთი ასპექტი.

როცა მარქსისტები ეძებდნენ ხალხთა მეგობრობას, კაცისა და ქალის, ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლების იდეებს, ეს ტენდენციური და ცალმხრივი ახსნა იყო. მაგრამ არც ეს იყო მთელი „ვეფხისტყაოსანი“.

ასევეა, როცა პოემას განიხილავენ ესთეტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი თუ პოეტიკური კუთხიდან.

„ვეფხისტყაოსანის“ სიდიადე ბიძგს აძლევს სხვადასხვა მიმართულებას, რადგან მასში ინტუიციურ და ინტელექტუალურ დონეზე კონდენსირებულია ადამიანური გონის უმთავრესი არქეტიპები.

მათი გააქტივება გვიხსნის ტექსტის პოლივალენტურ ბუნებას.

ამიტომ სჭირდებოდათ იგი ყველა დროში, ყოველ სოციალურ ფენაში, რათა ყველას პქონოდა თავისი „ვეფხისტყაოსანი“.

ცალ-ცალკე არც პოეტიკის, არც ესთეტიკის განხილვა არა-ფერს ნიშნავს, რადგან პოემს არავინ კითხულობს მსოფლ-მხედველობის ან პოეტიკური სისტემის გამო.

სელოვნებაში, განსაკუთრებით – პოეზიაში მსოფლმხედ-ველობის საკითხი არც არის არსებითი. მისი კვლევა ნიშნავს ლიტერატურის სფეროდან გასვლას, თანაც – მას ფილოსო-ფოსი უკეთ გამოიკვლევს, ვიდრე ლიტერატორი.

არისტოტელესთან ან ფსევდო-ლიონისესთან მიმართება, მათი ცალკეული შეხედულებების ათვისება და გადმოცემა ისე-ვე უმნიშვნელობ პოეზიისათვის, როგორც რუსთაველის კოს-მოლოგიის ძიება (მაგ, გ. თევზაბის აბრით, რუსთაველი ავ-ლენს სამყაროს აგებულების გეო-ჰელიოცენტრულ სისტემას).

ასეთი საკითხები საინტერესოა ფილოლოგიურ-კულტუ-როლოგიური თვალსაზრისით, რაც ყველაზე სრულად და მას-შტაბურად გაიაზრა ვიქტორ ნობაძემ.

თავისი „განკითხვანის“ სერიალში იგი არ ეხება მხატვ-რულ სისტემას, ლექსის მუსიკას, სიტყვის ესთეტიკას, იმას კი შენიშნავს, ძლიერი და წარმტაცი მუსიკა ხელს უშლის მკითხ-ველს პოემის გაგებაშით – „აბრს ფარავს და აბრი იკარგება მუსიკაში“.

რუსთაველი არ იყო არც თეოლოგი, არც ფილოსოფოსი, თუმცა კარგად იცნობს ამ დარგებს.

რუსთაველი პოეტია და, გამომდინარე აქედან, მთავარია მხატვრული აბროვნება, მისი ძალა, მასალის პოეტური მოდე-ლირება, სტრუქტურულ და აბრობრივ მიმართებათა სისტემა.

ყოველი ცოდნა, ფორმა და სახე უნდა გამოჩნდეს პოეზიის – ლექსისა და მგრძნობელობის სპექტრში, რადგან ასე მოქ-მედებდა თავად ავტორი – ცნობიერად და არაცნობიერად.

ჩვენ გვაინტერესების აბროვნების პროცესის რეკონსტ-რუქცია, რომლის ფონოგრამა არის ტექსტი.

მაგრამ თუ არ გავითვალისწინეთ დროის კონტექსტი და ესთეტიკა, მხატვრული პირობითობა, მაშინ აბსურდად მოგვეჩევნება არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ (როგორც ეს დაემართა რ. სტურუას), არამედ „ილიადაც“, „ენეიდაც“, „შაჰნამეც“, „ლეილ-მაჯნუნიანიც“, „ღვთაებრივი კომედიაც“, „ულისეც“, ბიბლიაც და ყურანიც.

ძველდება და ბერდება ენაც, რომლის განვითარება მუდმივი განახლებაა.

მხოლოდ სპეციალისტები ეცნობიან „ილიადას“, „ენეიდას“, „შაჰნამეს“, „რამაიანას“ ორიგინალში.

ებრაელებმა აღადგინეს ძველი აღთქმის ენა – ივრითი.

მაგრამ აღარ არსებობს ახალი აღთქმისა და ბიბანგინისტური კულტურის ბერძნული ენები.

ბიბანგიასთან ერთად მოკვდა ბიბანგიური ბერძნული.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული ყველას ესმის. მაგრამ ცალკეულ სიტყვებს, ტერმინებს, ცნებებს სჭირდება განმარტება.

## დრო და სივრცე

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახული დრო – სივრცე აღმოსავლეური ესთეტიკის ნაწილია, როცა გარემო და საგნები იითქოს კონკრეტულია, მაგრამ არ არის რეალური.

ამდენად, აბსტრაგირება ფანტაზიას აძლევს საშუალებას, რომ ავტორმა თავისი კონცეფცია თავისუფლად, დამოუკიდებლად გაშალოს (შდრ – „რეალური და პირობითი აღმოსავლეთი“). ამიტომ თხოვს ქრისტიანი შოთა შენდობას წმ. მამებს – მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს.

ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ტექსტის სამოქმედო დრო და პერსონაჟთა მარშრუტი, სახელმწიფოთა რუკა, აღმოსავლეთის გეოგრაფია.

პოემის პერსონაჟები მეფეები არიან, თანაც ისეთი დიდი ქვეყნებისა, როგორიცაა არაბეთი და ინდოეთი. მაგრამ როსტევანი და ფარსადანი ამ ქვეყნების ტახტზე არასოდეს მსხდარან ანუ ისტორიულად არ არსებულან.

არც ბლვათა სამეფოს, მულდაბანბარსა და ქაჯეთს იცნობს ისტორია (შდრ – თეიმურაბ II-ის რეპლიკა – „არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა“...).

„ვეფხისტყაოსანში“ ქვეყნიერება, რაც აღმოსავლეთად არის სიმბოლიზებული, დაყოფილია 7 სახელმწიფოდ:

1. არაბეთი, 2. ინდოეთი, 3. ხაგაეთი, 4. მულდაბანბარი,
5. ხვარაბმი (ხორებმი), 6. გულანშარო (ბლვათა ქვეყანა), 7. ქაჯეთი.

მათ შორის არ იხსენიება ირანი (სპარსეთი), რომლის კულტურით ყველაზე მეტად არის დავალებული, როგორც ხელოვანი, რუსთაველი.

მას ცვლის ხვარაბმი (ხორებმი), როგორც იყო რეალურად XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, ირანის ერთ-ერთი გამარჯვებული ოლქი.

პოეტი მასთან აპირისპირებს ინდოეთს.

ხოლო თურქ ხაგაელთა და მათ მეფე რამაზის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მთელს ტექსტს გასდევს, ისევე როგორც გრძნებული ქაჯებისადმი.

არაბებს კარგად იცნობდნენ ქართველები, იცნობდნენ VII საუკუნიდან, როცა მათ დაიპყრეს კავკასია.

ბერძნულის შემდეგ ელიტაში არაბული ენა იყო მიღებული. ქართველი ეკლესია-მონასტრები მდებარეობდა არაბეთის იმპერიის ტერიტორიაზე (იხ. II წიგნში – „კულტურის ცენტრები“).

ქართველებს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან არაბებთან.

ტფილისი 400 წელი სარკინობებს ეკავათ.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე მხოლოდ 80 წლით ადრე გაათავისუფლა დავით მეფემ იგი. მაგრამ დროს უკვე გაენელებინა ძველი სიძულვილი.

ტფილისში ისევ ძლიერი იყო არაბულ-მუსულმანური ტრადიციები, ისევ ცხოვრობდნენ არაბები.

სწორედ მათ გაუდეს მოდალატურად კარები ჯალალე-დინს.

აქ ტრადიციულად ყოველთვის, XX საუკუნის 60-იან წლებამდე, უმცირესობაში იყვნენ ქართველები.

ინდოეთსაც იცნობდა სასულიერო და საერო ელიტა, როგორც შორეულ, დიდ და მდიდარ სახელმწიფოს.

ჯუანშერის სიტყვით, იქ სამი წელი იბრძოდა ვახტანგ გორგასალი, როგორც სპარსთა შაჰის ერთ-ერთი სარდალი.

ქართველები თარგმნიდნენ „ბალავარიანს“, ინდოთ მეფე აბენესისა და მისი ვაჟის იოსაფაგის ბუდისტურ-ქრისტიანულ ლეგენდას.

ამრიგად, არაბეთისა და ინდოეთის კოორდინატები კარგად იყო ცნობილი და მკითხველ-მსმენელს არ ეუცხოებოდა.

პოემაში სხვა სახელმწიფოები მათთან მიმართებით არის წარმოდგენილი.

მიახლოებით შეიძლება გავიგოთ თუ სად ეგულებოდა პოეტს თავისი ქვეყნები, როგორ მოძრაობენ პერსონაჟები, რა დროს ანდომებენ გზის გავლას.

მაგ., მულდაბანბარი თურქებს ესაბღვრება („აქამდის ბლვარი თურქთაა, მობღვრე ფრიდონის ბლვრებითა“). თურქები არიან ხაფალები. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვნიშნოთ შუა აბიის არეალი. მაგრამ მულდაბანბარი ბლვისპირა ქალაქია. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქალაქი, სადაც იგრძნობა ვაჭართა სიმრავლე, მდებარეობს კასპიის ბლვის პირას, ისტორიული ხორების მეტობლად.

ინდოეთის გეოგრაფია გასაგებია. მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტი გულისხმობს მის ჩრდილო ნაწილს. ინდოეთი ყველა დროში მოიცავდა მრავალ ენას, რელიგიას, ეროვნებას. ამის გამოხატულებაა პოემის შეიდი სამეფო, თუმცა ჩვენ არ ვიცით არცერთი ინდური მდინარის ან ქალაქის სახელი, არ ვეცნობით ბუდისტებს ან ბრაჰმანისტებს, ინდოეთის ღმერთებსა და მეფე-

ებს, არ ვიცით რომელ ენაზე მეტყველებდნენ ტარიელი და ნესტანი.

რუსთაველის ინდოელებიც მუსულმანები არიან ანუ ეს არის ის ტერიტორია, სადაც დღეს პაკისტანი მდებარეობს. სარიდანის სამეფო კი ბლვისპირასაა, საიდანაც ბლვა-ბლვა ნავით იწყებს ტარიელი ნესტანის ძებნას და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოდის ხმელეთზე.

საერთოდ – ბლვა ხშირად ჩანს ტექსტში, როგორც ბნელი და იდუმალი სტიქია.

ქართულში იგი არის ქვეყნების ანუ მონათესავე ტომების, მიწების გამყოფი, ამავე დროს – უცხოთაგან დამცავი (ბლვ-არი, სა-ბლვ-არი. სამანი, სულხან-საბას განმარტებით, სომხურია).

ინდოეთს ესაბლვრება ხორებში, რომელიც 1200-1220 წლებში თითქმის მთელი ირანს მოიცავდა – შუააბიდან არაბულ სამყარომდე. ამიტომ სწრაფად მოდის ხვარაბმშას ძე.

არც არაბეთის დედაქალაქს გვაცნობს ავგორი. პოემაში არ იხსენიება ბალდალი, თუმცა არის სიტყვა „მობალდალენი“, ე.ი. ბალდალიდან მომავალი გაჭრები.

ავთანდილი ტარიელის პოვნის შემდეგ „ფიცხლა სიარულით“ დაბრუნდა თავის სანაპირო ანუ საბლვრისპირა ქალაქში, რომელიც კლდეებით ყოფილა შემობლულელი.

აქედან შერმადინი გააგზავნა თინათინთან.

მან ათი დღის საეპლი სამ დღეში გაიარა ანუ სპასპეცის საბრძანისი დიდად არ ყოფილა დაცილებული არაბეთის სატახო ქალაქისაგან.

თავად ავთანდილი „ლალი“ სვლით ამ გზის დაფარვას ოცდღეს ანდომებს.

არაბეთიდან ინდოეთამდე გზის გასავლელად მექორწილეებს დასჭირდათ სამი თვე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინიც სწრაფად არ ივლიდნენ, არამედ „ლალობითა“ და ნადირობით.

გზა, რომელსაც გადიან პერსონაჟები ნაკლებად არის და-სახლებული (შდრ – შარდენის დროსაც კი ირანის მხოლოდ 1/12 ყოფილა დასახლებული).

მინდორ-ველი ნადირითა და ფრინველითაა საესე, ზღვა – მეკობრებით.

ბლვის სტიქიას ისინი სძლევენ ნავებით. ხმელეთზე მან-ძილს – ცხენით. აცვიათ აბჯარი, კაბა, პმოსავთ რიდე, იარა-ლად აქვთ მათრახი, ფარ-ხმალი და მშვილდ-ისარი, ომში – შუბიც.

მათი ტაიჭი არაბულია, აბჯარი – ხვარასნული, თვალ-მარგალიგი – ბალახშისა და ლაქვარდისა.

ასე გადადიან ერთი სახელმწიფოდან მეორეში, მონა-ცვლეობენ ბლვასა და ხმელზე.

ტარიელი ნესტანის კვალს ეძებდა ბლვასა და ხმელეთზე. ერთხანს მულდაბანზარში აღმოჩნდა. შემდეგ აქედანაც გადაი-კარგა. გადავიდა არაბეთში, სადაც როსტევანს მეომრები და-უხოცა.

არ ვიცით, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე იყო მისი ქვაბი. მაგრამ ალბათ ეს იყო დასავლეთი ირანში, რადგან ავთანდილი ტარიელს უუბნება, ორ თვეში დავბრუნდებით ანუ როსტევანის სამეფოს ცენტრი დიდად დაცილებული არ ყოფილა. გულან-შაროდან იგი ბლვებით აღწევს ტარიელის ქვაბამდე.

ტარიელის სამყოფელი დევთა სახლი იყო, რომლებიც მან დახოცა. მაგრამ 40 ოთახი, სადაც დევებს საჭურჭლე შეენახათ, მხოლოდ მას შემდეგ გახსნეს ტარიელმა და ავთანდილმა, რაც ნესტანის კვალს მიაგწეს.

ტარიელს იქ მოუკლეს დევებმა ბოლო ორი მონა, მათ შო-რის ერთი – დასტაქარი.

როგორც ვთქვით, ტარიელის ქვაბი არ არის მღვიმე. იგი კლდეში ნაკვეთი სასახლეა, კაბადოკიური სტილისა, უფლისცი-ხისა და ვარძიის მსგავსი.

გამარჯვების შემდეგ ტარიელი, ავთანდილი და ნესტანი ქვაბოვანიდან გადადიან არაბეთის მიწაზე ანუ იგი მოსაზღვრედ ყოფილა, ხოლო ცენტრი – სიღრმეში.

ქვაბს როცა მეორედ დატოვებს ავთანდილი და ეძებს ნურადინ – ფრიდონს, სამოცდაათი დღე ბლვისპირს მიუყვება აღმოსავლეთით, როგორც ასწავლა ტარიელმა.

ეს ბლვა კასპიის ბლვაა. იგი ტარიელის ქვაბისაგან ერთი დღის სავალზეა.

ფირდოუსი ასახელებს მულყაბარს, რაც მდელოს თუ ყვავილთ ქალაქს – წალკოფს ნიშნავს ანუ ფრიდონის მცირე, მაგრამ მდიდარი სახელმწიფო, შეუაბიაშია (ერთგან ავტორი წერს – „ქალაქი დიდი მულდაბანზარი“), კასპიის ბლვის აღმოსავლეთით. მულდაბარს იცნობს „თამარიანიც“.

ნესტანი რომ გადაკარგეს, იგი ჯერ მულდაბანზარში აღმოჩნდა, შემდეგ – გულანშაროში.

დავარის მიერ დასახული მარშრუტი კი იქეთკენ მიღიოდა, „სადა ბლვისა ჭიპია“ ანუ არაბეთის ნახევარკუნძულის მსარეს სპარსეთის ყურესკენ, რაც დიდად გაეხარდათ დავალების შემსრულებელ ბანგ მონებს.

ფრიდონმა ავთანდილს ოთხი მონა, აბჯარი, ტაიჭი და „სამოცი ლიტრა წითელი“ გაატანა.

ამის შემდეგ არაბი მოყმე მექარავნებს გადაეყარა, დაიცვა ისინი მეკობრეთაგან და მათთან ერთად შევიდა ბლვათა სამეფოში.

მისი დედაქალაქი გულანშარო სპარსეთის ყურესთან უნდა ვიგულვოთ, სადაც „გამთარ და გაფხულ სწორად“ ყვავიან ფერადი ყვავილები. მასთან ახლოს უნდა ყოფილიყო ქაჯეთი, რაღაც გულანშაროდან გამოქცეული ნესტანი ქაჯეთს მიმავალმა მეკობრეებმა დაიჭირეს და დუღარდუსტს მიპევარეს. გამარჯვებულმა ტარიელმა ეს ქალაქი მელიქ-სურხავს აჩუქა. ალბათ კიდევ იმიტომ, რომ ესაზღვრებოდა.

ნესტანიც ამბობს:

„გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით“.

ფაგმანის გაგგავნილი ორი განგი სამ დღეში მობრუნდა და ნესტანის დაწინდვის ამბავი მოიგანა.

მელიქ-სურხავი ამ გზის გავლას ათი დღე მოუნდა.

მულდანგანგანგარიდან ქაჯეთისკენ მეგობრები ბლვით წავლენ.

იქ ნამყოფი იყო ფრიდონი და გზა იცოდა, იცოდა, რომ ქალაქი კლდეებს შორის იყო მოქცეული, შუაში ციხე აღმართათ.

ციხეს აქვს სამი კარი და სამი გვირაბი, რომელთაც იცავს 10.000 მეომარი.

გრძნეულთა ქალაქი ისევ მიუწვდომელია, როგორც ფანატიკოს ასასინელთა („პაშიში უსუნ“ – პაშიშის მწეველი) ციხე-სიმაგრე ალამუთი („არწივის ბუდე“) ელბრუსის მთებში, ირანის ტერიტორიაზე.

ალბათ ისმაელიტების ეს ბურჯი არის ქაჯეთად წოდებული (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, თ. ნაგროშვილი), რომელიც 1256 წელს აიღეს მონღოლებმა ქართველთა ჯარის მონაწილეობით.

თუ ეს ასეა, მაშინ უფრო ცხადი გახდება რუსთაველის ანგითურქული პოზიცია, ისევე როგორც ანგისპარსული.

ისმაელიტები თურქები იყვნენ, ასასინელები კი – ტერორისტები, ყოველგვარი ბრძანების აღმსრულებელი, თუნდაც სიცოცხლის ფასად (მკელელი ფილავები. ფიდაი – თავგანწირული). ასასინმა ტერიროსტებმა მოკლეს არაერთი ვეზირი (მაგ., ნიბამ ალ მულკი), ხალიფა და სულტანი, მოკლეს ტფილის ყადიც კი (1139 წ.).

მათ კარგად იცნობდნენ ქართველები („აზმანი“, ჟამთა-აღმწერელი), მითუმეტეს – ხორასანის ლაშქრობის მონაწილენი.

სიტყვა „ქაჯი“ საერთოა ქართული და სომხური ენებისათვის.

ქართულში ქაჯი ანთროპომორფული, ბოროტი არსებაა, რომელსაც შეიძლება კონტაქტი ჰქონდეს ადამიანებთან. მას

შეუძლია დღისა და დამის შეცვლა, ქარიშხლის გამოწვევა, ბლვაზე სიარული, გარდასახვა და გაქრობა.

ამიტომ ამბობს რუსთაველი:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,  
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

სომხურ მითოსშიც ქაჯებს ადამიანური წარმომავლობა აქვთ. ისინი აქაც ბოროტი სულებია. ცხოვრობენ მთებსა და კლდეებში. იქ აქვთ სასახლეები.

ხან გარდაისახებიან და ადამიანებს შეერევიან.

სიტყვა „ქაჯი“ უნდა მომდინარეობდეს მეგრული „ქაჩი“-საგან (ქაჩი – უკბანე), რაც როგორც ჩანს, ქცეულა გვარად – ქაჩიბაისძე (შდრ – ბარათაშვილების გვარის დამწყებია დასავ-ლეთ საქართველოდან გადმოსული ბარათა ქაჩიბაისძე).

რუსთაველამდე გურიაში არსებულა ქაჯთა ციხე, იმიერ-ტაოში – ქაჯისციხე.

„ქაჯი“ ჭანებისაგან უნდა გადასულიყო მეზობელ სომხებ-ში, ისევე როგორც ჭანჯი (ბუბი), დიმასქიანი და მამიკონიანი.

პოეტმა ეს ერთადერთი ქართული სიტყვა აქცია ტოპონი-მად და გადაიტანა ირანის ტერიტორიაზე.

გრძელებულთა ქაჯად სახელდებაც მიგვანიშნებს, რომ რუს-თაველი სამხრეთ საქართველოდან ყოფილა და ფანტაზიით მოახდინა მეხსიერებაში ჩარჩენილი სწორედ ამ და არა რო-მელიმე სხვა მსგავსი სიტყვის რეპროდუქციონება.

პირობით აღმოსავლეთში პოეტის მიერ მოხატული სამღვ-რებიც პირობითია და არ არის დაცული გეოგრაფიული ან რი-ცხობრივი სიზუსტე. ამიტომ გამოჰყავს სამ ძმადნაფიცს მხო-ლოდ 300 მეომარი.

საკმარისია ბოგადი წარმოდგენა, რომ ეს არის მუსულ-მანური აღმოსავლეთი, დაყოფილი ნაცნობ და უცნობ ქვეყნე-ბად, რომლებიც მდებარეობენ ერთმანეთის მიყოლებით.

დროის ფაქტორიც პირობითია, ისევე როგორც პერსონაჟ-თა ძალმოსილება და ასაკი, რაბეც თავად ავტორი გვაძლევს მითითებას.

თხრობაში შემოდის მოგონების ასპექტი (ტარიელის, ფრიდონის, ავთანდილის, ფაფმანისა), რაც ავსებს ძირითად, აწმუნოდობს.

წარსულში ავტორი გვაბრუნებს პერსონაჟის მოგონებით, რაც აკავშირებს დრამატულ კვანძებს, სიუჟეტურ ნაკადებს. ავთანდილი სამი წელი ეძებდა უცნობი მოყმის ასავალ-დასავალს, ეძებდა მინდორ-ველად, ტყე-ღრეებში.

ტარიელი ათი წელი იყო ველად გაჭრილი, ათი წელი ახლდა ასმათი.

თინათინი ერთი წლის ასულია ტახტბე, როცა ავთანდილს აგზავნის უცხო მოყმის საძებნელად, შემდეგ სამი წელი ელოდა მიჯნურის დაბრუნებას. ბოლოს კიდევ დაემატა ერთი წელი.

ნესტანი ათი წელი ხადუმი ბანგების თანხლებით გადაადგილდება და სრულიად შემთხვევით, როგორც ტყვე, აღმოჩნდება ქაჯეთში.

ათი წელი დავარის ორივე მონა (არაბ. მუანნა-ტყვე) ბანგი ცოცხალია. ჩანს, მათ ვგა აებნათ და დიდხანს ვერ მივიღნენ ბლვის ჭიბამდე.

ისინი მოკლეს ფაფმანის მონებმა, რაკი სასყიდელით არ დათმეს ნესტანი.

სად იყო ბლვის ჭიბი?

ალბათ, სპარსეთის ყურესთან, არაბეთის ბლვის მიღმა, რომელიც იწყება ინდოეთის ნახევარკუნძულიდან.

ამ ბონაში იყო ედემიც, შუმერ-ბაბილონიც, ბიბლიის ურიც, მუჰამედის მექა და საფლავიც.

სპარსეთის ყურეში ჩაედინება ტიგროსი და ევფრატი. აქვეა გულანშაროც.

როგორც ჩანს, ტარიელიც სპარსეთის ყურესაკენ წავიდა.

ბლვაბე დაქსოცა 160 მოყმე და შერჩა მხოლოდ ასმათი და ორი მონა, შემდეგ ეს ორიც დაკარგა.

„ვეფხისტყაოსანი“ ტოპონიმების სიუხვით არ გამოირჩევა. ქვეყნების გარდა ნახსენებია ედემის ოთხი მდინარე – ევფრატი

და ჯეონი (ამუდარია), დიჯლა (ტიგროსი) და ბისონი (ზოგი ვარაუდით – მტკვარი).

ქრისტიანულ-ბიბლიური თვალსაზრისით ესენია – ნილოსი, იორდანე, ტიგროსი და ევფრატი.

ქალაქებიდან, როგორც ვთქვით, ვეცნობით მულდაბანბარს, გულანშაროსა და ქაჯეთს, ტარიელისა და ავთანდილის ქალაქ-ციხეებს.

ასახული ღროის ლოკალი პოემაში არ მონიშნულა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს არის გეოგრაფიულად აღმოსავლეთი, რელიგიურად – სამუსულმანო.

მხოლოდ ხორებმი გვაძლევს სიგნალს, რომ მოქმედება იშლება XII-XIII საუკუნეთა ბლვარზე, როცა არსებობდა ეს დიდი ქვეყანა, ვიდრე დაანგრევდა ჩინგისყავნი.

პოემაში არ ჩანან მონძოლები.

არც თურქები არიან გადმოსული მცირე აზიასა და ირანში. თუმცა ნათურქები ნაალაფარის მნიშვნელობით იხსნიება.

არაბეთი ისევ ძლიერია, რაც ძველი ღროის გახსენებაა, ვიდრე პოეტის ღროინდელი რეალობა.

წარმოდგენილი დრო-სივრცე არის პოემის სტრუქტურის საფუძველი, რაც აწესრიგებს ფაბულას, სიუჟეტს, ქვეყნების კო-ორდინაციებს, პერსონაჟთა ბიოგრაფიებს, მათ ურთიერთმიმოართებებს.

ჰიპერბოლიზებითა და ესთეტიზმით კი ერთმანეთს ცვლის აბსტრაგირება, პირობითობა და კონკრეტიკა, მაგრამ კონკრეტიკას არ ახლავს სახელდება.

რაც არის სახელდებული, ისიც პირობითია და არა რეალური ან ისტორიული, როგორც პოეტური ბმანების ნისლეული, რასაც საყვედურობდნენ რუსთაველს არჩილ მეფე და მისი მიმდევარი ქართული კონკრეტიკის ავტორები.

## სიუკეტური ძირები

პოემის მთავარი სიუკეტური არქეტიპია დაკარგვა – ძებნა – პოვნის მოტივი (მ. კარბელაშვილი). ძებნა იწყება „ველად გაჭრით“.

დუღლირებული სიუკეტიდან, პირველ ყოვლისა, ეს განეკუთვნება ტარიელის ამბავს, რაც წიგნის დრამატიზმის მოტორია.

თინათინ-ავთანდილის ამბავს არ ახლავს ასეთი სიმბაურე. იგი ავსებს პირველი ისტორიის – ძებნის მონაკვეთს.

ამის შემდეგ შეიძლება გამოვყოთ მეორეული არქეტიპები – მაგ., ხვარაბმის ძის მოკვლა, როგორც დრაკონის მოცილება, რაც მეორდება ჭაშნაგირის ეპიზოდში და სრულდება ქაჯეთის ციხის აღებით.

ნესტანის დაკარგვა საწყისს აძლევს შემდგომ ტრაგიკულ პერიპეტიებს, როგორიც „ილიადაში“ სპარსის მეფის მენელაოსის ცოლის – მშვენიერი ელენეს მოტაცება ტროას მეფის ვაჟის პარისის მიერ, როგორც ძველინდურ „რამაიანაში“ მზის დინასტიის მეფის რამას ცოლის – სიტას მოტაცება რაკშასების (კაციჭამია დემონების) მეფის რაგანას მიერ.

„ილიადაში“ აქაველები ებრძვიან ტროას, სადაც ოცი წელი ცხოვრობს ელენე. ეს არის შეუისძიება. „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთს დალაშქრავენ, სადაც ტყველ იმყოფება ნესტანი. ეს არის გამოხსნა, მოტაცებულის მოტაცება.

ნიბამის ყაისი ლეილის გამო ველად გაიჭრება და მხეცთა შორის ცხოვრობს, როგორც მათი წევრი თუ მეფე.

ქაჯეთის ციხის აღებას ერთვის მოპოვება-მოტაცების არქეტიპი, რაც ძალას უკავშირდება.

პოემა მთავრდება ბედნიერი ფინალით.

სამოთხის გზა გადის ჯოჯოხეთზე, სიკეთის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ტანჯვით, ბრძოლით, სისხლით, მსხვერპლის გაღებით, რასაც გვიჩვენებს ნესტანის პოვნა-მოტაცების პროცესი.

ამ გზას გაივლის არა მგოსანი ყაისი, არამედ – მხოლოდ გმირი, ანუ ტარიელი, რომელსაც ძალუქს დაბრკოლებათა დაძლევა და სავალი გზის გაკაფვა.

8. გამსახურდია რუსთაველის გმირების არქეტიპს წმ. გიორგის სახეში ხედავდა. ეს ქრისტიანული ხედვაა, რაღაც დრაკონის მძლეველი მხოლოდ წმ. გიორგი ხომ არ არის.

საერთოდ, არქეტიპებისა და მოდელების სახელდება ფრიად ჰიონობითია, რაღაც ისინი მუდმივად მეორდება უსასრულო დრო-სივრცეში და ნაცნობ-უცნობ ტექსტებში (მაგ., ფრთიდის „ოიდიპოსის კომპლექსის“ მეტაფორა).

გამარჯვების აღწევს გმირი, როგორც აქილევსი, რომელიც კლავს ტროელთა სარდალს ჰექტორს.

რუსთაველს არა აქვს ნაჩვენები ასეთი დაპირისპირება, ასეთი შეტაკება დულარდუხტის მმისშვილ როსანთან, რომელ-საც უნდათ, რომ შერთონ ნესტანი.

იგულისხმება, რომ მასაც კლავენ.

ქაჯეთი მთლიანად არის ბოროტების საწყისი და სიმბოლო, რომელიც უნდა დაამხოს სამმა ძმადნაფიცმა. მაგრამ იგი საიქიოს ალეგორიაც არის, საიდანაც დროებით მაინც დაიხსნა ორფეოსმა ეერიდიკე.

მანამდე ტარიელმა, როგორც ამირან დარეჯანისძემ, დევები ამოწყვიტა და მათ ქვაბი საჭურჭლითურთ წაართვა.

დევი და ქაჯი ერთმანეთის ვარიაციაა (შდრ – ქვაბში ცხოვრობს ფირდოუსის რუსტემი).

ტარიელის და ავთანდილის ფსიქიკური არქეტიპი გმირია, რომელიც განიყოფა დიონისურ და აპოლონურ სტიქიად. აპოლონი გონება, სინათლე და წესრიგია, რაც აქვს ავთანდილს. დიონისე მბორგავი, მღვრიე, შეუცნობელი ძალაა, როგორც ტარიელი.

მათ ერთმანეთი სჭირდებათ, ისინი სასიცოცხლო წესრიგს და ერთმანეთს აწონასწორებენ. ტარიელი ავთანდილის გარეშე მიმანს ვერ ეწევა, ავთანდილი ტარიელისგან დამოუკიდებლად გმირი ვერ იქნება.

ასე ეძებენ ზღვასა და ხმელეთების ვამეყი და ბეჭმენი დაკარგულ აზრას.

მათ ეხმარებათ მესამე მეფე ლახიჯანი, როგორც ფრიდონი ჩვენს გმირებს (კ. კეკელიძე).

საერთოდ, დაკარგვა— ძიება-პოვნის არქეტიპი დიდად არის ჰოპულარული. აღმოსავლურ ლიტერატურაში თუ ამ არქეტიპი სატრუტო ჩასმული, დასავლეთის კურტუაზულ ლიტერატურაში, ტრუვერებთან და მინეზინგერებთან მას დაერთო გრაალის თასი, რომელშიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი დააგროვა.

ველად გაჭრა, ქვაბში ყოფნა და ნადირთა შორის ცხოვრება ბერ-მონაზენური განდევილობის ვარიაციაა, სადაც ობიექტი შეცვლილია, სადაც ღმერთისა და გლოვა-ხოგბის ადგილს იკავებს სატრუტო, მისი მოვონება.

ზეციურ, მისტიკურ იდეალს ფარავს მიწიერი, ხორციელი, რეალურად არსებული სატრუტო, რომელიც დაკარგულია.

ძიების პროცესმა ტარიელი საგმირო საქმეთა აღსრულებამდე მიიყვანა. მაგრამ თავად ტარიელის ცხოვრებაშიც მეორება დაკარგვა-ძიება-პოვნის არქეტიპი. ეს არის ავთანდილის პოზიციიდან (იხ. „დრამატული კვანძები“).

ტარიელმა 12 მონა-მეომარი დაუხოცა როსტევანს და უკვალოდ გაქრა. აქედან იწყება ძიება. მის საძებნელად სატრუტოს დავალებით სამი წლით მიღის ჭაბუკი მიჯნური.

სატრუტოს დავალების აღსრულება გმირობის ტოლფასია. მაგრამ ტარიელისათვის ავთანდილი მეტს აკეთებს, ვიდრე თინათინისათვის. ის არათუ იპოვის უცხო მოყმეს, არამედ – დაკარგულ ნესტანის კვალსაც მიაგნებს და ეხმარება ტყვეობიდან გამოხსნაში.

ავთანდილმა იპოვა უცხო მოყმე და მოძებნა ნესტანი.

ერთგან ძიების ობიექტია დაკარგული სატრუტო, მეორეგან – დაკარგული უცხო მოყმე.

„ილიადა“ მთავრდება გმირი ჰექტორის ცხედრის დაწვითა და ძვლების დამარხვით, „ვეფხისტყაოსანი“ – ქაჯეთის აღებითა და ნესტან-ტარიელის ქორწინებით.

აյ ჩანს ქალის მოტაცების უძველესი ტრადიციის გამოძახილიც, რამაც მოატანა შეასაუკუნეებამდე. მაგ., ბრძოლით მოიპოვებენ ცოლებს ამირან დარეჯანისძე, ბადრი იამანისძე, სეფედავლე დარისპანისძე, მზეჭაბუკი („ამირანდარეჯანიანი“).

ასე რომ – ტექსტში ერთმანეთს ერწყმის და ავსებს რამდენიმე სახის არქეტიპი, როგორც სიუკეტური, ისე პერსონაჟთა ფსიქიკურ-ქარაქტეროლოგიური, რაც არის საწყისი პირველ-მოდელები, როგორც ანბანი თუ სიტყვა.

## არქეტიპების ჰიპერბოლური გაშლა

არქეტიპების გაშლა არის საგნების ასოციაციური ამოძრავება, მათთვის აბრობრივი ფუნქციის მიჩენა, არაცნობიერის ინტელექტუალიზება, ცნობიერის ფანგაზით შებურვა და გადასახელება.

მოძრაობა კი სიცოცხლეა, ემოცია და მოქმედება.

პირველ რიგში ეს ვლინდება სიტყვების დამორჩილებით, სიტყვებში მოქსეული საგნების ჩვენებით, მათ ფერთა გამოსხივებით.

რუსთაველისათვის აյ მთავარია ჰიპერბოლა, როგორც აღქმის სპეციფიკა. ეს თვისება ნასესხებია არაბული (მაგ., ალ-მუთანაბი) და სპარსული პოეზიიდან (მაგ., ფირდოუსი, გორგანელი, ნიზამი). ასეა „ამირანდარეჯანიანშიც“. მაგრამ, როგორც ვთქვით, ჰერაკლისტის სასწაულსაც და გადადის ფანგასტიკის, ხალხური აღქმით – ბლაპრის სფეროში.

ჰიპერბოლური ხერხი მოხმობილია უჩვეულო სურათის შესაქმნელად, რათა მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი განცვიფრდეს, გაოცდეს და ასე შთაებეჭდოს მეხსიერებაში.

ასეთივე გაზვიადება, ხან ფანტასტიკაში გადასული ახლავს კურტუაზულ ანტიკური ციკლის პოემა-რომანებს, „სიმღერას როლანდზე“, არტურის მრგვალი მაგიდისა და გრაალის თასის რომანებს, რაინდების სამოგზაურო ფათერაკებს, „ტრისტან და იზოლდას“, „პარციფალს“, „ოკასენსა და ნიკოლეთს“, „ნიბულუნგებს“, „ვარდის რომანს“...

რესტავრაციის პერსონაჟებს არ სცილდება მზე და მთვარე. თინათინი მზესაც კი სწუნობს, ტარიელი მზის წილია, ავთანდილი მზისა და მთვარის მსგავსია. ნესტანიც მზის დარია, იმდენად თვალის მოჭრელად ელვარე, რომ როცა ტარიელმა პირველად იხილა, გრძნობა დაკარგა, დაუცა და დაბნდა. ასე დაემართა რამისაც, როცა ანაზღად თვალი მოჰკრა ვისის სახეს.

ქალი ხან მზეა, ხან – მთვარე, ისევე როგორც ვაჟი, სიტუაციისა და განწყობილების შესაბამისად.

ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის სიყვარული არ არის შორით დაგვა. ქალებმა თავად გაუხსნეს გული ვაჟებს და ტრფობა გააბედვინეს, რადგან ისინი მეფის ასულები არიან და იერარქიულად მაღლა დგანან ვაჟებზე.

ტარიელს უხდება ბრძოლა არა სიყვარულის მოსაპოვებლად, არამედ – დაკარგულის დასაბრუნებლად.

პოემაში სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ დრო-ქამის ცვალებადობა მას ვერ ანელებს, ერთისადმი ტრფიალი და ერთგულება უცვლელია. მაგრამ როდია ისე პათოლოგიური, მართლაც სიგიჟედ ქცეული, როგორც არის „ლეილმაჯნუნიანში“.

ჰიპერბოლიზებულია პერსონაჟთა ხვევნა-კოცნა, ფიზიკური ძალა და სიმამაცეც. ხუთი წლის ტარიელი ჩიტივით ითლად კლავს ლომს; ავთანდილი მექარავნეთა დასაცავად მარტო შეებმის მეკობრეებს და თხასავით ამოხოცავს; ქაჯეთის 10.000 გრძნეულ დამცველს ძმადნაფიცები 300 მეომრით სძლევენ; ტა-

რიელმა სრულად ამოწყვიტა ხატაელთა „წინა კერძი რაზმი ორი“ (შდრ – ფირდოუსის რუსეგემმა ერთ ბრძოლაში მოკლა 1.060 გმირი).

განცდის სიძლიერე სიმბოლიზებულია მზის ელვარებით, რაც პერსონაჟში გადმოდის ცეცხლის სახედ, ცეცხლის მოდებად, ცრემლთა ნაკადად, სისხლის მისტერიად, როგორც „ვის-რამიანში“ ან „ლეილმაჯნუნიანში“.

აღმოსავლეთის უსასრულო სივრცეს იოლად სერავენ პერსონაჟები. მათ არც ამინდი, არც ნადირი, არც უცხო მეომ-რები არ აკრიობთ, რადგან არც ისარი, არც მახვილი არ ეკა-რებათ.

დღევანდელი აჩქარებული და ნერვიული დროისათვის არც ასეთი გაზვიადება, არც ასეთი სისხლის ცრემლები, საჭურ-ჭლეთა სიუხვე თუ გულისწავლა ბუნებრივად არ აღიქმება.

ეს, როგორც ძველი დროის, ისე სპარსული პოეტის სპე-ციფიკა, რომელიც რუსთაველმა შეუნაცვლა ქრისტიანულ სას-წაულს, როგორც ცხოვრების სილამაზე – სულთა საუფლოს.

აი, როგორ მიუწერს ვისი რამინს:

„თუ შვილივე ცანი ქაღალდად მქონდეს, სრულად ვარს-კვლავნი მწიგნობრად მყვნეს, დამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, – ადსასრულამდინ იმედი და ნაცვრა ჩემისა მოყვრისა ნახვი-სათვინ მქონდეს, – შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავწერ სურვილსა“.

პოეტმა მარადიული ბეციური სიკეთე მიწაზე გადმოიტანა და სიყვარულის ძალად აქცია, სული ხორცით შემოსა.

საფრთო, რაინდი, ომი ერთმანეთისაგან განუყრელია და ბეაღმტაცი ეპითეტებით, შედარებებით შემკული, რათა ყველა-ფერი უწვეულოდ ბრწყინავდეს, როგორც მეფის სასახლე, საომარი აღკაზმულობა, სიტყვა თუ ქცევა.

ჰიპერბოლა ტექსტში აღიქმება ღვთაებრივ სინონიმად, ღვთაებრივი, რომელიც მიწად არის გადმოსული და ადამია-

ნური გრძნობით აელვებული (მაგ., „მან გაანათლა ქვეყანა, გა-ცუდდეს შუქნი მზისანი“).

ღვთაებრივი – სრულქმნილია და იდეალური, რომელიც კაცთა შორის დავანებულა. მისი აღწერა კაცს არ ძალუდს.

გამოიადების ძალით ეპითეტი იოლად გადადის სიმბოლიკაში (მაგ., ვეფხის, რეალურად – ლეოპარდის ტყავი, ვეფხის მრისხანება, რაც იქცევა ნესტანის სახედ), რეალობა კი – ალეგორიაში (მაგ., ქაჯეთი – ჰადესი).

## დრამატული კვანძები

„ვეფხისტყაოსანი“ მკითხველ-მსმენელს იზიდავდა დრამატული და საინტერესო ამბებით, რომლებიც სიტყვების მსგავსად იყო მწყობრად წყობილი, თავებად, სტროფების და სტრიქონების სახით დანაწილებული და ოთხმაგი რითმით შემოსალტული.

მათ შეაქვთ ჰარმონია თხრობის მდინარებაში.

პოემა იწყება არაბეთის მეფის როსტევანის გაცნობით, სამეფო კარის ცხოვრებით.

თითქოს მთავარი გმირები არიან თინათინი და ავთანდილი, მაგრამ მშვიდ ატმოსფეროს არღვევს უცრად უცხო მოყმე და მის მიერ დაღვრილი სისხლი.

ასეთი დრამატული მუხტი საწყისს აძლევს, როგორც ვთქვით, დაკარგვა-ძებნა-პოვნის არქეფიპს. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ეს არ ყოფილა მთავარი და მას მოჰყვება ინდოეთის ამბავი, ნესტანისა და ტარიელის ტრაგიკული სასიყვარულო ისტორია.

დრამატიზმი გადადის ტრაგიზმში.

სვარაზმის ძის დალატით მოკვლა მძაფრი სიუჟეტური ინტრიგის მაჩვენებელია, რომელშიც მთელი ძალით ვლინდება

დაკარგვა-ძებნა-პოვნის მოტივი, რაც გაშლილია სათავგადა-სავლო ფათერაკებით.

ავტორი ისე მოქმედებს, რომ მკითხველ-მსმენელი მუდმი-ვად დაძაბული ჰყავდეს, მუდამ ინტერესით შეპყრობილი, რასაც ახერხებს ფაბულის ოსტატური გაშლით, სიუჟეტური გა-დასვლებით, ეპისტოლეთა ჩართვით, ფათერაკებისა და ავან-ტიურების ჩვენებით, სიტყვიერი არტისტიმით.

კონტრასტული სიუჟეტური ნაკადია ვაჭრების შემოყვანა, ფაფმანთან ეროვნიკული ურთიერთობა და ნესტანის კვალის პოვნა.

აქ სიუჟეტი კიდევ უფრო იხლართება, იმრდება პოვნის ინ-ტერესი, რასაც აძლიერებს ლოკალური დრამატული კვანძები.

მათი გახსნა ანუ განმუხტვა არის ძიებისა და მოქმედების პერსპექტივა, საფეხურებრივი გადანაცვლება.

პოემის კულმინაციაა ქაჯეთის დამხობა და ნესტანის გა-მოხსნა. აქ მთავრდება ძირითადი ამბავი და შემდეგ მას მო-კვება ბედნიერი ფინალის პერიპეტიები, ქორწილები, ინდო-ეთის გამოხსნა ხატაელთაგან.

ეს აღმოსავლური ესთეტიკის ნაწილია, რომ ტანჯვის შემ-დეგ პპოვონ პერსონაჟებმა ბედნიერება და ეს სიხარული გა-დაეცეს მკითხველ – მსმენელს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (მდრ – „ვისრამიან“ და მისი კელტურ-ბრეგონული ორეული „ტრისტან“ და იმოლდა“, ანტიკური და შუასაუკუნეების ტრაგედიები).

## საგან-სიტყვები და ასოციაციები

პიპერბოლიზმებული საგნები დიადი და უჩვეულოა, რაც ბიძგს აძლევს ხოტბასა და პანეგერიკს. პოეტი ხომ სიტყვაში სახლობს და საგნებს ეხება სიტყვების გარსში.

საგანი მასთან მოდის სიტყვის სამოსელით, რომელსაც აქვს თავისი ჟღერადობა, ფერი და ზომა.

ერთი საგანი მეორეს ემსგავსება ასოციაციური გარდასახვით, ასოციაციური გადასვლებით, რაც ხოგბის ობიექტისადმი ავტორის მიმართებას აჩვენებს.

გარსმოჯარულ სიტყვა-საგანთა სიმრავლეს რუსთაველის ფანგაბია ასოციაციებით ამოძრავებს, რათა გაამკვეთროს უჩინარი ნიუანსები ან ცნობილი გააზვიადოს და განადიდოს.

ეს ხდება შედარება-დამსგავსებით.

შედარების საგნებად კი არჩეულია ლომ-ვეფხვი, ვარდი, ცის მნათობები, პატიოსანი თველები, რაც აღმოსავლურ პოეზიაში ჯერ კიდევ „შაპ-ნამედან“ იყო მიღებული.

ასევე ხშირია საგნის ერთი ნიშან-თვისების გაიგივება მეორესთან, ასოციაციური ცვალებით გარდასახვა, რასაც მეტაფორას ვუწოდებთ.

საგნის დამსგავსება-გარდასახვას მრავალი ნიშან-თვისება ახლავს – ფერი, ზომა, სიჩქარე, განცდა, ძალა, რაც ემორჩილება საერთო აზრობრივ კონსტრუქციას და მოქმედების დინამიკს.

ბეგრებიც იწვევენ საგნებს და მოქმედება მელოდიკური აკორდებით ვითარდება:

„საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად,

ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და

წავე გრძელად“;

„მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

ეს ყოველივე კი არის მოწვდილი წყობილი სიტყვით, რასაც რუსთაველი აგებს ორი სახის 16-მარცვლოვანი მეტრით – 5+3+5+3 და 4+4+4+4, რომელთაც ხალხურ-წარმართული ძირი აქვს. მაგრამ რუსთაველთან მოვიდა ასკეტურ-მისტიკური მწერლობიდან (იხ. მეორე წიგნში – „ქართული ლექსის ფორმირება“).

მას სჭირდებოდა ესთეტიკური დამუშავება, რიტმულ-მელოდიკური სრულყოფა, სახეობრივი არტისტიზმი და სიუჟე-

ტისათვის მორგება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“.

ამიტომ ერთნაირი მეტრული სქემა განირჩევა რიტმიკით, რასაც უზრუნველყოფს შიდა მუხლობრივი განლაგება, აღქმა და მგრძნობელობა.

მეტრული სქემა ერთია ყველა პოეტისათვის, ვინც მას ფლობს. ამიტომ ჭირს რუსთველური ნამდვილი სტროფების განსხვავება ნაყალბევისაგან.

ავტორის ტალანტს წარმოაჩენს საგანთა უეცარი ასოცია-ციური ცვალებადობა, მოულოდნელობის ეფექტი, არნახულის ხილვა, სიტყვა-საგანთა მელოდიკა, რომელთაც აერთიანებს მიკრო-სიუჟეტები.

ამიტომ არის ტექსტი დაყოფილი ცალკეულ თავებად.

ერთი მხრივ, როცა სიტუაცია სტატიკურია, რუსთაველი მას ამოძრავებს და სიცოცხლეს ანიჭებს ასოციაციური გადა-სვლებით, მონოლოგებით, აღწერის მრავალფეროვნებით, სიტყვიერი არგისტიზმით:

„ფიცით გითხოვ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,  
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,  
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო  
დასანთქმარი,

შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“.

მეორე მხრივ – როცა სიუჟეტი მძაფრდება და სიტყვა გა-დადის მოქმედებაში, პოეტი მეტყველებს ლაკონიურად, სხარ-ტად, თითქოს საგნები სტრუქტურის გარსს და სწრაფვის სიგნალებად იქცევიან:

„რა ტარიელს ესე ესმა, მეტად ფიცხლად აიყარა,

ეჯი, სამ დღე წასავალი, ერთსა დღესა წაიარა;

დროშა მისი აიმართა, წინა არა მოიფარა,

აწ ნახეთ, თუ გოლიათი გული ვითა ამაგარა!“

მოქმედების დინამიკა მოითხოვს ბუსტ მეტყველებას, რათა სიტყვა მაქსიმალურად იქცეს საგნად და არც ვიფიქროთ მასზე.

მაგრამ კიდევ უფრო შეუდარებელია პოეტი, როცა გვასმენინებს პერსონაჟის მონოლოგს ან ბარათის ფორმით გადმოსცემს სულიერ განწყობილებას.

ასეთი წერილები მთლიან სისტემაში ჩასმული მოქმედებისა და ემოციის გამაძლიერებელი კვანძებია, რომლებიც ახალ ენერგიას ასხივებენ (მაგ., ავთანდილის ანდერძის მედიგაცია, ნესტანის წერილის სასოწარმკვეთი ლირიზმი).

პოეტის ეპიკური თხრობა, სიუკურურ-აზრობრივი კონსტრუქცია შერწმულია ლირიკულ გზებასა და სინაზესთან. მაგ., როგორ არის განსხვავებული წერილებში ავთანდილისა და ტარიელის ინტონაციები.

სიტუაციის ცვალებადობას, სიწყნარესა და მრისხანებას, მორჩილებასა და შფოთვას თავად სიტყვებიც გრძნობენ და ჩვენამდე მოაქვთ ემოციური ელდა:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!

თუ ეცადო დაყოფასა, ხორცია შენთა სული გაჰყო!

სხვა ჩემებრი ვერა ჰქოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“

ყოველ დროს, საზოგადოებრივ წრეს თავისი სუბ-კულტურა აქვს, რომელიც ქამის გარდასვლასთან ერთად კვდება. იგი ისევე მერყევია და ცვალებადი, როგორც მოდა.

ასეთი იყო რუსთაველის ჰიპერბოლა, პანეგერიკი და ხოგბა, რაც პერსონაჟებსა და მოქმედებას ზღაპრულ იერს აძლევს თანამედროვე თეალსაბრისით, თუმცა ავეორს ღვთებრიობის, გამორჩეულისა და უჩვეულოს ნიშან-თვისებად მიაჩნია.

მითოსური და რელიგიური ტრადიციით, რაც ყველაზე დაუჯერებელი ჩანს, სწორედ ის იყო სარწმუნო, როგორც ღვთაებრიობის ნიშანი (მაგ., ქალწულის მიერ ღმერთის შობა, ცად ამაღლება, ქვესკნელში ჩასვლა, მიცვალებულის გაცოცლება).

მაგრამ არის მარად ადამიანური გრძნობები, რასაც ვერ წარეცხს ვერავითარი მოდა, ქამი და სუბკულტურა. ისინი იცოცხელებენ მანამდე, სანამდის ფეთქავს ადამიანის გული და აზროვნებს გონი. ეს ფერულებელი ძალმოსილება ჩანს რუსთა-

ველის არაერთ სტროფში, ეპიზოდში, მოხოლოგსა და მოქმედების დინამიკაში. მაგ., ავთანდილისა და თინათინის შეყრა, ტარიელისა და ნესტანის დიალოგი, ავთანდილის ანდერძი, ნესტანის წერილი, ლოცვა ავთანდილისა, ხვარაბმელის მოკვლა, ავთანდილისა და ფატმანის გამიჯნურება, ცალკეული სიუჟეტური ხლართები, დინამიკური და ექსპრესიული სტროფები, მოსწრებული აფორისტული სიტყვა-თქმანი (მაგ., „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“, „განგებასა ვერვინ შეცვლის, არსაქმნელი არ იქმნების“, „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“).

როგორც ვთქვით, ასეთი ეპიზოდები და დეტალები ქმნიან პოემის სალექსო, სიუჟეტურ და აბრობრივ კონსტრუქციებს, დაძაბულობის კერებს და განვითარების იმპულსებს.

ჩვენ რამდენიც უნდა ვიმსჯელოთ სიუჟეტზე, პერსონაჟებზე, მხატვრულ კონცეფციასა და იდეებზე, რუსთაველი დიალი არის როგორც ლექსისა და სიტყვის ხელოვანი (იხ. „რუსთაველის ლექსი და სიტყვის ესთეტიკა“).

ძველად ეპიკური ქანრი პოეზიის სფეროს განეკუთვნებოდა. რომანები ლექსად იწერებოდა როგორც საბერძნეთსა და სპარსეთში, ისე ბიბანგიასა და დასავლეთ ევროპაში (მაგ., ქრეტიენ და ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა-რომანები).

„ვეფხისტყაოსანიც“ პოემა-რომანია.

## პათეტიკა და ესთეტიზმი

მეტაფრასტიკა ასკეტურ-მისტიკური მწერლობისათვის იყო ერთგვარი კლასიციზმი, როცა ქვავდება აზრი და ბეიმობს ფორმა, სტილი, ეტიკეტი, პათეტიკა, რაც გადაწვდა „ისტორიანი და აბმანის“ ავტორს.

რუსთაველმა ასეთი პათეტიკური სტილი გამოიყვანა აღ-  
მოსავლური ჰიპერბოლიზმიდან. მაგრამ იგი ასევე ენათესა-  
ვებოდა ბიბლიასა და მეტაფრასულ ტექსტებს – სიტყვის სფე-  
როში (იხ. II წიგნში – „მეტყველების საღვთო პათეტიკა“ და  
„ძველ-ქართული ენის რიტმი“).

საღვთო აზრი, გაღმერთებული გმირები, უხვი და ლალი  
ყოფა, სადაც უნებურად დისონანსი შეპქონდა ეროსს, ასეთივე  
პათეტიკური, ყოველდღიური მეტყველებისაგან დაცილებული  
სტილით უნდა გადმოცემულიყო.

იგი ირღვევა მხოლოდ მაშინ, როცა ტექსტში შემოდიან  
ვაჭრები, ფატმანი, უსამი, უსენი. ისინი ომის უმეცარნი არიან,  
არც მქაცრი მორალი გააჩნიათ, „იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ,  
წააგებენ“ და ასე ცხოვრობენ.

ეს არის მიწიგრი სინამდვილე, რომლის გაჩენა და წამო-  
წევა შენიშნა რუსთაველმა. ვაჭართა წრე ულმობელი და სას-  
ტიკი ცხოვრების ქვედაფენაა, რომელიც პოეტმა ჩართო ძიების  
პროცესში და მას არვუნა კვალის პოვნა.

არაბეთისა და ინდოეთის არისტოკრატიული ცხოვრების  
საპირისპიროა გულანშაროს ყოფა, რომელსაც არ სჭირდება  
პათეტიკა და ესთეტიზმი. ფატმანისათვის უცხოა რუსთაველის  
პრინციპი – „გული ერთსა დააჯეროს“ ან – „მიჯნურობა სა-  
ჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს“, თუმცა ეროსი მასაც გა-  
დაკიდებს ფათერაქს.

პათეტიკაც ისევე გამოდის ჰიპერბოლიზმიდან, როგორც  
ხოტბა, დითირამბი, პანეგერიკი. აქ მათ ენაცვლება პრაქტიკუ-  
ლი, ყოფითი რეალობა.

როგორც ვთქვით, ძველქართულ სალიტერატურო, საეკ-  
ლესიო და სახელმწიფო ენას, როგორც რელიგიისა და სამეფო  
კარის მიერ ფორმირებულს, სდევდა პათეტიკა და რიტმიკა,  
რაც რუსთაველს მემკვიდრეობით გადმოუცა. მას მოარგო აღ-  
მოსავლური, სპარსული პოეტის ესთეტიზმი, ქართული სამეფო  
კარის არისტოკრატიზმი და ასე ჩამოაყალიბა პოეტური მეტყ-  
ველების ფორმა.

ამ ფორმით საუკუნეების მანძილზე დაიმორჩილა ქართული ელიტისა და მასის ცნობიერება, საგრძნობი გავლენა მოახდინა ცხოვრების წესშე, რაინდულ სულსა და ქალის კულტზე, თუმცა, როგორც ვთქვით, ამას ხელს უწყობდა სპარსეთის პოლიტიკური აგრესია და კულტურული ჰეგემონია, სპარსული პოეტის დომინანტობა, როგორც ბოგადი ფონი.

რუსთაველის მიერ დამკიდრებული სტილი განსაზღვრავდა ქართული სიტყვის ესთეტიკას. იგი უარყვეს XIX საუკუნის რეალისტებმა და მასას დაუახლოვდნენ, პლებეური სტილი აითვისეს (მაგ., აკაკი წერეთელი). მაგრამ მოდერნისტებმა (მაგ., გ. ტაბიძე, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია) ისევ აღადგინეს რუსთაველის სტილური არტისტიზმი, სიტყვის ესთეტიკა და ძველქართული მეტყველების ინტონაციები (მაგ., ვ. ბარნოვი).

## 4. სემანტიკური მოდელები

### ღმერთი და საწუთო

პოემა იწყება სიტყვით – „რომელმან შექმნა სამყარო“, სადაც „რომელმან“ მიჩნეულია ქრისტიანული ღმერთის სახე-ლობით შიფრად.

ღმერთმა შექმნა „ბეგარდმო არსნი“ და მიწიერი ქვეყანა კაცთათვის, რომელიც უთვალავი ფერით ელავს.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის უზენაესი ძალა, უფალი უფლებათა, სამღვრის დამსაზღვრებელი, ყოვლის შემოქმედი, სიკეთე და სინათლე, არსთა მხადი, წყალობის მთოველი.

ღმერთი, როგორც განვეხა, ფათერაკი თუ ვარსკვლავთა ეტლი, კაცს მოუვლენს როგორც ლხინს, ისე ჭირს.

როგორც ვიცით, ყველა უძველეს რელიგიაში ღმერთად წარმოდგენილია ბეგა, რომელსაც აქვს 7 გარსი .

ცად არის მიჩნეული ურარტული ხალდი, ბერძნული ზევსი, რომაული იუპიტერი, შუმერულ-აქადური ანუ, ძველარაბული ალაპი, ძველჩინური ლეი-გუნი, ვედური ინდრა, სკანდინავიურ – გერმანული ოდინი, ალფაურ-მონგოლური თენგრი, ებრაული საბაოთი (იხ.: „კულტუროლოგიის საფუძვლები, I. კულტურის გენეგისი“).

ბაბილონელმა ასტროლოგ-ქურუმებმა მარადიული ზეცა დაშალეს 7 მნათობად, რაც ქრისტიანული თეოლოგიით არის ცისა ძალთა დასი, შეედრობანი ცისანი.

ფსევდო-დიონისესთან არის ანგელოსთა 9 დასი, სადაც ვარსკვლავები ქცეულან უსხეულო ზეცის ძალებად („ზეცისა ძალთა ცხრა დასობა“).

ღმერთის სიმბოლო არის მზე, რომლის ნაწილია მეფე, მისი ძე და ასული, რითაც ხაზგასმულია ხელმწიფეთა ღვთაებრივი წარმომავლობა, როგორიც ეს მიაჩნდათ ბაგრატიონებს („მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“, „სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“).

7 მნათობის ანალოგიით იყო მოწყობილი ქვეყანაც, როგორც ღმერთის საუფლო (იხ. „ღრო და სივრცე“).

რაც იყო მზე ცაში, ის იყო მეფე ხმელეთის პირზე.

ყურანი კრძალავდა მზისა და მთვარის თაყვანს (41,37). მაგრამ ბაბილონიდან წამოსული მნათობთა კულტი მაინც გავრცელდა მუსულმანურ კულტურაში, ისევე როგორც მეფის მზიური შარავანდედი (ვ. ნობაძე).

არც ქრისტიანობას სწამდა ასტროლოგია, მაგრამ იგი მაინც ახდენდა ზეგავლენას და ეს გამოვლინდა ნათლის ესთეტიკაში, რუსთაველთან კი – მზისა და მთვარის საღარი პერსონაჟებით, მათი ელვარებითა და შუქთა ფენით.

როგორც ბოლიაქოს 12 ბურჯი, ისე 7 მნათობი ადგენდა სამყაროს სტრუქტურას და განაეკებდა ადამიანთა ბედს.

აპოკალიპსში საგნები 7-ად არის განაწილებული და ვარსკვლავიც 7-ია.

ფირდოუსი ქვეყნიერებას 7 მხარედ ყოფდა, 7 ქვეყნად და სამთავროდ, რაც არის მიწის 7 იყლიმი (სარტყელი, ბონა).

ასევე 7 სამეფოდ ჰყოფენ ნიბამი და მისი გმირები მსოფლიოს. რუსთაველის მსოფლიოც 7 სახელმწიფოსაგან შედგება.

შაპინშაპი 7 მიწის მფლობელია. მის სარტყელს ამკობდა 7 მარგალიგი.

7 მიწის მფლობელია ნიბამის ისქანდერიც (ალექსანდრე მაკედონელი). 7 მაზდეანური კერპის მსახურებით იყო აღმდილი სპარსი მირიანი („ქართლის ცხოვრება“).

მიწიერი 7 იყლიმი შეესაბამება ბეციურ 7 პლანეტას, რომელთაც ხოტბას აღუვლენს ავთანძლილ.

ამ 7 პლანეტას უძველესი ხალხებიც ეცნობოდნენ და ისინი იქცნენ კვირის 7 დღედ (მაგ., ძველი ბერძნები).

ნესტანი ასახელებს 7 ცას, რადგან ისლამს პქონდა 7 ცა.

სინათლის სპექტრი შედგება 7 ფერისგან (მაგ. ლურჯი – ოფარიდი, შავი – სატურნი, წითელი – მარიხი).

მათ შეესაბამება 7 ლითონი (მაგ., მზე – ოქრო, მთვარე – ვერცხლი), ისევე როგორც ოქტავას საფეხურები.

ტარიელი იყო 7 სამეფოდ დაყოფილი ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მეფის სარიდანის ვაჟი.

საქართველოც 7 სამთავროდ მოიხსენიება. მაგრამ როგორც გაარკვია მ. თავდიშვილმა, აქ რეალური 7 კი არა, საკრალური ციფრი იგულისხმება.

ბიბანგიასა და საქართველოში ისწავლებოდა 7 სამეცნიერო დისციპლინა.

7-ის სიმბოლიკა რიცხვითი მისტიკის ნაწილია. იგი იყოფა 3 და 4 რიცხვებად, სადაც 3 სრულყოფის სიმბოლოა (მაგ., რელიგიებში), 4 არის სამყაროს სტატიკური სტრუქტურა, რომელთაც გამოხატავს სეასტიკა და ჯგარი.

ასე რომ ტარიელისა და სარიდანის სამეფო არის ამ საკრალური 7-ის შემადგენელი ნაწილი, VII წევრი.

ამასთან ერთად, პოეტისათვის რაც დიადია, ის არის ღვთაებრივი. მას უპირისპირდება საწუთო ანუ მიწიერი ყოფა, როგორც წარუეპალს – წარმავალი, ეიფორიას – სევდა, სიცოცხლეს – სიკვდილი:

ეს არის სპარსულ ეპიკაში ცნობილი სოფლის მდურვა (ნ. ნათაძე), რაც განვითარდება აღდგენის ხანის მწერლობაში – გამომდინარე რეალობიდან.

სოფელი არის ტანჯვის წყარო, რომელიც ცდილობს პიროვნების თავისუფალი ნების ჩახშობას („ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...“).

საწუთოს დღეთა ბრუნვა ემორჩილება განგებას, ბედის-წერას.

„თუ საწუთომან დამამხოს, ყოვლისა დამამხობელმან“, – ამბობს ავთანდილი. მაგრამ იმასაც იტყვის, რომ მარტოობა არ აშინებს, რადგან იცავს „ცისა ძალთა დასი“.

საწუთო, სოფელი მუხანათია. იგი საგანასავით დაუნდობელია, რომელიც სტანჯავს და აწვალებს ადამიანს, მაგრამ მხსნელად ღმერთი, ღმერთის ძალა ეგულება („მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენვან განაწირსა“).

მარადიული არსებობა კი საიქიოა, სადაც გმირები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს (შდრ – ნესტანი ტარიელისადმი: „მუნა გნახო, მანდვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი“).

ცრუსა და მოდალატესაც ბადებს საწუთო, რომელსაც, როგორც სიბნელეს, სძლევენ მზიანი პერსონაჟები. ეს არის ფარული კონფლიქტიც განგებასა და პიროვნების თავისუფალ ნებას შორის.

უმაღლესი იდეალები – ძმობა, ტრფობა, ერთგულება არის ადამიანობის სინონიმები და ამავდროულად – ღვთაებრივი ნიშან-თვისებანი. ამიტომ არიან რუსთაველის გმირები გაღმერთებული ადამიანები. ეს თითქოს რეალურადაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგან მეფის ღვთაებრივი წარმომავლობა და ბუნება ეჭვს არ იწვევდა პოეტის თანამედროვეთა თვალში.

ამდენად იყო მეფე ხელუხლებელი („ხელმწიფობით შემებრალნეს, ამად ხელი არ შევახე“ – ტარიელი, ანდა – „ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ბედა ხრმალია“, „რაც ღმერთმა ვის რა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“).

ეს ღვთაებრივი ბრწყინვალება უცხო გარემოს, შორეულ ქვეყნებსა და მათ შვილებს ეკუთვნის. ქართველისათვის კი

უცხო საუცხოოა, ე. ი. დიდებული, როგორც ბერძენი – ბრძენი და ჩინელი – ჩინებული, როგორც კიმირ-გიმირი-გმირი, ზნეკე-თილი და სვიანი ვაჟკაცი – რაინდი, ულამაბესი – არა ამქვეყ-ნიური (ნესტანი).

ეს მაშინ, როცა მშობლიურად ქცეული ქრისტე და ჯვარი ხორცის დაშრეტის ემბლემაა, მოთმინება და მორჩილება, მგა-დება მარადიული სასუფევლისათვის, საწურთოს ნარ-ეკლიანი გზის გავლით.

ქართული ელიტის მსოფლგანცდაში ერთ უკიდურესობას – ასკეტურ-მისტიკურს, ცვლიდა მეორე – სენსუალურ-ემოციური, რაც არ მოღითდა წარმართობიდან. მაგრამ ეხმიანებოდა წარ-მართულ მგრძნობელობას, მარად უცვლელ ადამიანურ განც-დებსა და ტკივილებს, რაც რუსთაველმა მოაქცია არისტოკ-რატიულ და ინტელექტუალურ ფორმებში.

საწურთოში წარმოშობილ კონფლიქტებს ადამიანი მი-ჰყავს ომამდე, რაც ძალის დემონსტრირებაა. ამ კონფლიქტებს კი აღძრავს სასიცოცხლო ინსტინქტები, „ვეფხისტყაოსანში“ – სიყვარულის სტიქია, ძველბერძნულად – ერთის.

კონფლიქტების დაძლევის შემდეგ მყარდება ამქვეყნიური იდილია, კომუნიზმის მსგავსი, რაც ქრისტიანთათვის დაივანებს ნაბარეველის მეორედ მოსვლის შემდეგ (შდრ – ვარდისა და ეკლის სიმბოლიკა).

ბიბლიური ესქატოლოგია აითვისეს მუსულმანებმაც.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სამეფოებშიც აღარ არიან გლახაკები, ქვრივ-ობდლები დამდიდრდნენ, ავის მქნელნი და-შინდნენ და თხა და მგელი ერთად სძოვდნენ, იმდენად დიდია მეფეთა გულებეობა და წყალობა, რასაც აღრევე უწერდა ავთანდილი როსტევანს.

## ომი, როგორც სპექტაკლი

რუსთაველისათვის ომის არის ზეიმი და აღლუმი, გმირო-ბის ასპარეზი, სადაც ვლინდება პერსონაჟის სიდიადე.

ამირანდარეჯანისძე მთელს აღმოსავლეთს მოივლის და ისე სძლევს დევ-გმირებს, თითქოს ორთაბრძოლა და შეტაკება სპორტული შეჯიბრი იყოს, თითქოს ფარიკაობდეს ან რინგზე ხვდებოდეს მეტოქეს.

ამირანი არად ავდებს სიკვდილსა და დაღვრილ სისხლს.

რუსთაველმა ასეთი ტრადიცია დახვეწა, ფალავანი რაინ-დად აქცია, რომელიც პირველობისათვის როდი იბრძვის, არა-მედ – მიზნის მისაღწევად, დაბრკოლებათა დასაძლევად ბლვა-სა და ხმელეთზე.

ნესტანისა და თინათინის სახეები ანათებენ მთელს პოე-მას, ანიჭებენ სტრიქონებს სინაზეს, გრძნობებს – სიფაქიზეს, მკლავს – სიმამაცეს.

გაგრამ პერსონაჟები ომს თავს არ არიდებენ და არც მშვი-დობას ქადაგებენ, დიპლომატიასა და სიცყვიერ მორიგებას.

„წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“, – ეუბნება ნესტანი ტარიელს, რადგან რაინდი და გმირი ომმა უნდა გა-მოაჩინოს. ხატაელებთან ბრძოლა, რომლის პერიპეტიები რუს-თაველს ნიუანსობრივი სიმუსტით აქვს წარმოდგენილი, გაბრ-დის ტარიელის სახელს, რადგან ამარცხებს რამაზ მეფეს, და-ხარკავს ხატაეთს და ალაფით ბრუნდება შინ, თავის ქალაქში, რომლის სახელი არ ვიცით, ისევე როგორც არაბეთის მეფის სამყოფელისა. იქედან ნესტანს მოუტანს ყაბაჩას (ლაბადას) და რიდეს (თავსახვევს), რომელსაც ქალი ატარებს 10 წლის შემ-დეგაც ქაჯეთის ციხეში.

პერსონაჟები ომში არ იღუპებიან. მხოლოდ ტარიელი და-იჭრება ხატაელებთან ბრძოლაში, ფრიდონი – ბიძაშვილების მიერ.

იღუპება მასა, რომლის წევრთა სახელები არ ვიცით.

გმირი მუდამ უძლეველია, უძლეველია და მარჯვე ტერო-რის დროსაც, როცა მიპარვით, ეერაგულად პკლავენ უნებლიერ მეტოქეს (ტარიელი, ავთანდილი).

ძველთა რწმენით, სისხლი სულად იყო მიჩნეული ანუ აიგივებდნენ სიცოცხლესთან. ამიგომ სისხლის დაღვრა, დაჭრა,

მოკვლა მოითხოვდა პასუხს – სამაგიეროს გადახდას, როგორც იქცევა ფრიდონი.

სისასტიკე კიდევ იმიტომ იყო აუცილებელი, რომ დანაშაული შემცირებულიყო, ხოლო დაღვრილი სისხლი ხარისხის მიხედვით ფასდებოდა. მაგ., ვახტანგ VI-ის კანონით დიდებულის სისხლის ფასი იყო 15.360 მანეთი, ხოლო გლეხისა – 120 მანეთი.

ტარიელმა მოკლა სტუმარი, სასიძო, მეზობელი სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე, რომლის ფულადი შეფასება შეუძლებელი იყო და ეს უეჭველ ომს ნიშნავდა (შდრ – I მსოფლიო ომი დაიწყო აგსტრია-უხერთის ტახტის მემკვიდრის პრინც ფერდინანდის მოკვლის მიზეზით). მაგრამ მოკლა უსისხლოდ „იგი ყმა“, როგორც მეფის ძე.

ავთანდილის წინაშე ასეთი დილემა არ იდგა. მან მოკლა ჭაშნაგირი და მისი მსახურები, მოაჭრა ბეჭდიანი თითი და საბუთად მიუტანა ფატმანს. ცხედარი კი ზღვაში გადააგდო.

ასე გადაარჩინა ფატმანი უეჭველ სიკვდილს, რაზეც ფიცით დაემუქრა საყვარელი („კაცმან წვერთა მოიბიძნა“).

ხალისითა და თავგანწირვით ებრძვის ავთანდილი მეკობრებს. მაგრამ იგი გონების კაცია და განსხვავებით ტარიელი-საგან ფიქრობს სიკვდილზე:

„ანუ დავჭროც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღესა“.

თინათინის დავალებით უცხო მოყმის საძიებლად მიმავალი ეუბნება შერმადინს:

„არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე“,

„აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა,

ფლასი“.

ომი მისთვის, ისევე როგორც მკლავმაგარი ტარიელისათვის, ზეიმი და გართობაა, თითქოს სანაბადიროდ გამოდიოდეს, როგორც მაშინ, როსტევან მეფეს რომ გაეჯიბრა (შდრ – „ცდების და ცდების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“).

ავთანდილის ბრძოლის შედეგი ის არის, რომ „არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწელი“. ტარიელი კი მგრის ჯარში ისე ნავარდობს, როგორც ქორი გნოლის ჯოგში; ქაჯე-

თის ციხეს რომ მიადგნენ და ომი გამართა – „ველი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“.

ომში მოკლული სიბრალულს არ იწვევს. გამარჯვებულთა ყიფინა ფარავს მომაკვდავთა კვნესას, რადგან, როგორც ამბობს ავთანდილი, „მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.

რუსთაველისათვის ომი ფაქტიურად ერთი გმირის ბრძოლაა.

პერსონაჟთა ძოწისფერი (პურპურისფერი) სამოსელი თუ ერთი მხრივ მეფეთა და დიდებულთა ფერია, მეორე მხრივ – ომისა და სისხლისღვრის ნიშანია.

ინდოეთის დროშა (ავესტაში-დრაფშა) წითელ-შავია, რაც სისხლისღვრისა და სიკვდილის შეჯვარებაა.

ასეთი დროშა არსად ჰქონიათ (ვ. ნობაძე) და პოეტის ფანგაბირების ნაყოფია.

ბრინჯაოს ხანიდან მუდმივი ომების პროცესში ცხოვრობდნენ ხალხები, რაც აიძულებდათ დაეცვათ თავიანთი საცხოვრისი და ქვეყანა, განევითარებინათ თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებანი.

რუსთაველის მიერ დახატული ომის სცენები, ბრძოლის ექსტაზი ესთეტიკულია, როგორც სპექტაკლი. იგი გვავიწყებს ომის საშინელებას და წამოსწევს მხოლოდ ჰეროიკას.

ომი და ტერორი იყო იმ ვნებათაგან განმუხტვა, რომელ-თაც შეეცყროთ ადამიანის სული და სხეული.

გამომწვევი კი არის სიყვარულის სტიქია, როგორც ვთქვით, ოღონდ ისეთი, რაც ტრადიციის კონტროლიდან გამოსულია და თავისუფლებას აკლენს.

ამირები და რაინდები ერთმანეთს ნდობითა და პატივისცემით ექცეოდნენ. მაგრამ ბრძოლის დროს სასტიკი და დაუნდობელი იყვნენ.

ომი მათ წარმოედგინათ როგორც შეჯიბრი და სპექტაკლი, რომელსაც, ცხადია, ახლდა ვერაგობა და მხეცობა, ტყვე-თა წამება, გაყიდვა, დახოცვა, ქალაქების დანგრევა-დაწვა (რ. გრუსე, ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია).

ალბათ ომებისა და შერკინების უამრავი სურათი თვალ-წინ ედგათ მოსე ხონელსა და შოთა რუსთაველს, როცა წიგნებს წერდნენ.

რუსთაველმა თავის მიერ მოხატულ სამყაროში მშვიდობა და პარმონია დაამკვიდრა ძმობითა და სიყვარულით, რომელთაც წინ მახვილი წარუმდღვარა.

ომში სისაფიკე და დაუნდობლობა ახასიათებდა ყველა ქვეყანას, მითუმეტეს – აღმოსავლეთს, მუსულმანურ სამყაროს.

დღევანდველი თვალსაზრისით ისტორიის მოვლენების განსჯა არასწორია. თვით თითქოს ყველაზე კულტურული და განათლებული ქრისტიანი ბიზანტიულები მტერთა მიმართ, უფრო სწორად – დამარცხებულთა მიმართ წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ.

მაგ., იმპერატორმა ბასილი II-მ თვალები დათხარა 14.000 ბულგარელ ტყვეს, ხოლო არაბთა ჩვილ ბავშვებს ქვაბებში ახარშვინებდა.

კონსტანტინე IX-მ დააბრმავა 800 რუსი ტყვე. ხოლო ისააკ II-მ ყველა ტყვე შიმშილით ამოხოცა.

მოსახლეობას ყველა ძარცვავდა, ყველა წვავდა სოფლებსა და ქალაქებს, რასაც მოსდევდა ხალხის შიმშილით სიკვდილი, აყრა და გადასახლება.

ნაწილი მონებად მიჰყავდათ. მსახურებს ასაჭურისებდნენ. ნაწილს ინახავდნენ საკუთარი მეომრების გამოსასყიდლად და გადასაცვლელად.

დამარცხებულთა გვამებს არავინ მარხავდა და მათი ძვლები დიდხანს ეყარა ნაომარ ადგილზე.

არც იმპერატორთა ცხოვრება ყოფილა „ღვთისაგან სვიანი“:

ბიზანტიას ჰყავდა 112 იმპერატორი. მათგან 65 ტახტიდან ჩამოაგდეს. ჩამოგდებულთაგან 44 მოკლეს. 8 ომში დაიღუპა.

მაგ., დავით აღმაშენებლის შვილიშვილ ანდრონიკე I-ს წვერები დააგლიჯეს, კბილები ჩაუმსხვრიეს, თვალი ამოთხარეს, ცალი ხელი მოაჭრეს და ბოლოს ნაკუწებად აქციეს (ვიქტორ ნობაძე).

ცხადია, არაბთა, ბიბანტიელთა ან თურქთა სისასტიკე მაინც ვერ შეედრება ჩინგის ხანისა და თემურ ლენგის ბარბაროსის მასშტაბებს.

ამ ფონზე ხვარაბმშას ძის ან ჭაშნაგირის მოკვლა თავისი დროის კონტექსტში ბის, არც მოულოდნელია და არც იშვიათი ფაქტი, როცა მშვიდობიანობის დროს მოქმედებდა საწამლავი და მახვილი.

ასეთივე კონფლიქტი ნურადინ ფრიდონსა და თავის ბიძაშვილებს შორის, მისი შურისძიება, როცა მათ ხელები დააჭრა, დაიჭირა, „ასაპყარნა“, არ მოკლა, რადგან მეფური სისხლისანი არიან.

ვერაგობა და ღალაფი შერწმული იყო გმირულ სულთან და მეტოქის დაფასებასთან (მაგ., ტარიელის ლმობიერება რამაზ მეფისადმი):

„ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე“.

რაინდული ურთიერთობის არაერთ მაგალითს ინახავს ჯვაროსანთა და მუსულმანთა ომების ორასწლოვანი ისტორია, მახლობელი აღმოსავლეთი.

მაგ., სალადინმა მუსულმანთა უპირველეს მტერს, ავადგყოფ რიჩარდ ლომბულს ლიბანის მთების თოვლში ჩაციებული შარბათი გაუგბავნა განსაკურნავად!

იერუსალიმის რეგენტ რამონდ III-ის პირადი მეგობარი იყო სულთანი სალადინი, ვინც იერუსალიმი წაართვა ჯვაროსნებს.

თურქთა მსედართმთავარმა ბალაკმა ტყვედ ჩაიგდო ბალდუინ II, იერუსალიმის ფრანკთა მეფე. მაგრამ სიცოცხლე შეუნარჩუნა, ხოლო თანამებრძოლი სომხები ცოცხლად გაატყავებინა (ბალდუინს ცოლად სომეხი ჰყავდა).

როცა ჯვაროსნებმა მეფე გამოისყიდეს, ბალდუინმა ამირასთან იქვიფა, რომელმაც ივი სამეფო ტანსაცმლით შემოსა და ცხენიც კი დაუბრუნა.

შემდეგ არაბმა ამირებმა 5 წლის ქალიშვილიც დაუბრუნეს.

ბალდეიინ II-ის ხანაში შეიქმნა ტაძრეულთა და ჰოსპიტალიერთა სამხედრო ორდენები. მალე მათ დაემატა ტამპლიერთა ორდენი.

როცა ბალდეიინ III გარდაიცვალა, თურქების ათაბეგს ურჩიეს, რომ ვითარებით ესარგებლა. მაგრამ მან ქრისტიანების გლოვის დარღვევა არ ისურვა,

რაინდულ კოდექსს განსაკუთრებული სიბუსტით მისდევდა ეგ ვიპტის ქურთი სულთანი სალადინი.

როცა მან იერუსალიმი აიღო, დაიცვა ქრისტეს საფლავი და ქრისტიანები. ისინი გაიყვანა მშვიდობიანად ქალაქიდან და სამგზავრო ფულიც გადაუხადა.

ეს მაშინ, როცა ევროპელმა რაინდებმა თანხის გაცემაზე უარი თქვეს.

არისტოკრატიული ცხოვრების შესატყვისი და შემადგენელი წაწილია ნადირობა, როგორც ვარჯიში და ომისათვის მზადება, და ნადიმი, როგორც ზეიმი („მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“).

რესიტაველის გმირები წადიმზე ღვინოს სვამენ, ერთობიან ბურთაობით, მგოსანთა დაკვრა-სიმღერებით, ცხენოსანთა ას-პარეტობით, მუშაითთა ყურებით (მაგ., ფრიდონს გამზრდელებმა მუშაითობა – აკრობატობა ასწავლეს).

მათ იციან ზვიადი ლხინი, ომი და სიყვარული, თითქოს მნათობნი ჩამოსულან მიწად და ჩამოეტანოთ ვარსკვლავთა ელვა.

## სიყვარულის სტიქია და თავისუფლება

თამარი ისე შერთეს გიორგი რუსს, რომ ამ დევნილ კაცზე არავინ არაფერი იცოდა. თამარიც ყოყმანობდა, არც მას ეხილა მანამდე ეს უცხო ადამიანი.

ნესტანი უნდათ ხან გულანშაროს მეფის ვაჟის, ხან ქაჯთა მეფის ძმისწულის საცოლედ ისე, რომ არცერთ მათგანს ერთ-მანეთი არ უნახავთ.

არც ხვარაბმშას ძე ეხილა ნესტანს, ისე ეწვია უფლისწული ინდოეთს უთვალავი ლაშქრით.

ქალის გათხოვება, მათ შორის მეფის ასულისა, წყდება გარიგებით, სახელმწიფოებრივი ინტერესებით, მშობელთა დასტურით.

არც ქალს, არც ვაჟს არავინ არაფერს ეკითხება.

მათი ცოლ-ქმრობის საფეხველი არ არის მიჯნურობა, სიყვარული, რომელსაც მაღვა უნდა.

სიყვარული პოეტისათვის ბედისწერაა, რომელიც იმორჩილებს პერსონაჟთა გონიერას, შთააგონებს საგმირო საქმეებს და, თუ აუცილებელია – დანაშაულის გზითაც მიჰყავს, როცა მცირე მსხვერპლს უნდა მოჰყვეს დიდი სიკეთე (ფარიელისაგან ხვარაბმშის ძის, ავთანდილისგან კი ჭაშნაგირის მოკვლა).

პერსონაჟთა თავვადასავლები ახლავს მიზნისკენ სწრაფვას. აქ დაბრკოლებათა დაძლევა არ არის დევ-გმირულ ძალია დემონსტრირება, მხოლოდ ძალის კულტი, როგორც ვხედავთ კურტუაბულ რომანებში ან მოსე ხონელთან, ან ბანოვანისადმი ერთგული სამსახური.

„ამირანდარეჯანიანის“ ფალავნებისათვის სიყვარული არც არსებობს – ქალი მხოლოდ სექსუალური სიამოვნებაა.

„ვეფხისტყაოსნის“ მუსულმანი პერსონაჟები სიცოცხლეს სწირავენ საფრფოსათვის – ერთი ქალისათვის. ისინი დროდა-დრო ავლენენ სხვათა მიმართაც ეროტიკულ ცდუნებებს, მაგრამ პოემაში არ ჩანს ჰარემი, მრავალცოლიანობის ინსტიტუცი ან – ინდოეთისათვის ცნობილი მრავალქმრიანობა.

რუსთაველის სიყვარული მთავრდება ცოლ-ქმრობით, როგორც ეს არის მაზდეანურ „ვისრამიანში“ (შდრ – სანსკრიტულად „რამა“ ლამაბს ნიშნავს. ავესტის ენის მიხედვით კი მესაქონლეობის ღმერთია, „ვისი“ – სოფლის თემი), ონსორის „ვამეყ და აბრაში“.

ბიზანტიურ პოემა – რომანებშიც (XII ს.) შეყვარებულები, ოღონდ არა სამეფო ოჯახისა, სძლევენ მრავალ ფათერაკს და ბოლოს ქორწინდებიან (მაგ., ევსტათი მაკრემბოლიტის „ისმინე და ისმინიასი“).

„ვეფხისტყაოსანში“ ქალები ასწრებენ მამაკაცებს და თავად იდებენ ინიციატივას, ამასთანავე – მძიმე დავალებას აძლევენ მათ, რაც სასიკვდილო რისკის შემცველია.

არც ტარიელი და ავთანდილი უთანხმდებიან მშობლებს. ისინიც გულის კარნახით მოქმედებენ, მითუმეტეს, რომ ხელს უწვდიან ქალები მათზე უნეგეშოდ შეყვარებულით.

ასეთი ქცევა თავისთავად არის დრამატიზმის წყარო.

იგი უსისხლოდ აღსრულდება არაბეთში. მაგრამ ინდოეთში დიდი მსხვერპლი მოჰყვება, რადგან გული არ ემორჩილება გონის.

მას აქვს ობიექტური წანამდლვრებიც:

ტარიელი ითვლება ნესტანის ძმად. იგი იშვილა და გაზარდა ფარსადანმა, რომელსაც მექმეკიდრე არ ჰყავდა და მხოლოდ ხეთი იუ ექვსი წლის შემდეგ შობა დედოფალმა ნესტან-დარეჯანი.

ეს ფაქტი იყო დაბრკოლება, რადგან მეფე-დედოფალს ვერც წარმოედგინათ ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურება (შდრ – ვისის ქმრად ითვლება ჯერ მისი ძმა ვირო, შემდეგ – რამინის ძმა შაპი მოაბადი).

გარდა ამისა, ხვარაბმშას მე უკვე მოვიდა და ამ დროს, ნესტანის რჩევით, ერთადერთი გამოსავალი იყო სასიძოს მოკვლა, რათა მცირე სისხლით ჩამოეცილებინათ უცხო მოყმე.

მაგრამ მცირე სისხლს დიდი სისხლი და ტრაგედიები მოჰყვა – „ინდოეთი გარდაქარდა“, ნესტანი და ტარიელი მოსწყდენ სამშობლოს.

ტარიელის მსგავსად იქცევა მოსე ხონელის სეფედავლე დარისპანისძე, რომლის სატრფო – ჭენთა მეფის ასული უნდათ მიათხოვონ არაბთა მეფის შვილს.

სიყვარულის არჩევანი უბედურების მომგანი აღმოჩნდა – უდანაშაულო სიძე შექმნილი სიტუაციის მსხვერპლი გახდა, ისევე როგორც ჭაშნაგირი.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა სამეფო წრეში უფრო აწყდება ადათსა და კანონებს. ისინი ბლუდავენ სუბიექტს და მორჩილებას აიძულებენ, რათა დაიცვან ეტიკეტი მორალისა და სექსის სფეროშიც:

ამიტომ, როგორც აღნიშნავს ვ. ნობაძე, „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული არის არა ნეოპლატონიკური, მიღმური და მისტიკური, სიყვარული ღმერთისადმი, არამედ – რეალური, მიწიერი და ხორციელი.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ძებნა და ტანჯვა მთავრდება ბედნიერი ქორწინებით, რაც რეგულირდებოდა რელიგიის მიხედვით, ყურანიდან თუ ბიბლიიდან გამომდინარე კანონებით.

ბიბანგიური ანუ ქრისტიანული წესი გამორიცხავდა ქორწინებას შორეულ ნათესავთა შორისაც მეექვსე და მემვიდე მუხლამდე.

აკრძალული იყო ქრისტიანის ქორწინება წარმართიან, მწვალებელთან, ეპრაელთან, მუსულმანთან, სულით ავადმყოფთან.

სისხლის აღრევად მიიჩნეოდა ქორწინება ნათლიის შვილთან, ნათლულებს შორის და დამნაშავეს ცხვირს აჭრიდნენ.

ქორწინება დასაშვები იყო 14-15 წლიდან ვაჟებისათვის, 12-14 წლიდან – გოგონებისთვის (რუს-ურბნისის ძეგლისწერით – 12 წლიდან, ასევე – ერეკლე II-ის კანონით, რომაული სამართლით, სომხური მხითარ გოშის სამართლით).

აქ ერეოდა მაგერიალური ინტერესები და კანონი ირდვეოდა ხოლმე.

საქართველოშიც იგივე წესები მეორდებოდა და ამიტომ ფარიელისა და ნესტანის სიყვარული მოსაწონი ვერ იქნებოდა. ხოლო „ვისრამიანში“ და-ძმის ბოროასტრული ქორწინება მხოლოდ დაგმობას იმსახურებდა, ისევე როგორც შაპროს მრავალქმრიანობა და მოაბადის მრავალცოლიანობა.

ეკლესია და ელიტა უარყოფითად ეკიდებოდა მეორედ ქორწინებასაც. მოსე ხონელის ამირანი რომ სამ ქალბე და-ქორწინდა, ეს მუსულმანური წესი იყო, ქრისტიანისათვის – მიუღებელი (დანართი ტექსტებით ჰყავს 60 ცოლი).

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა მოქმედებაც ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ, ისე მუსულმანურ ადათ-წესებსა და დოგმებს.

ისინი თავისუფლებას მიეღინდვიან.

თავისუფლებისაკენ სწრაფვა კი სიყვარულისა და ოჯახის სფეროში კიდევ უფრო მიუღებელი და უცხო იყო მუსულმანურ სამყაროში, სადაც ქალი გაცილებით იჩაგრებოდა.

აკრძალულის დარღვევა კი კონფლიქტია.

კონფლიქტური სიტუაციები ეპიკურ თხრობას სძენს დრა-მატიზმს. მის გარეშე ავტორს რომ აქსახა მხოლოდ თინათინი-სა და ავთანდილის სამიჯნურო, მშვიდი და კეთილად აღსრუ-ლებული სამიჯნურო ისტორია, პოემა იქნებოდა კარგად დაწე-რილი ერთი ჩვეულებრივი ხოტბა. სისხლი და ფანჯვა, რაც გა-მოკვეთს დრამატულ პერიპეტიებს, ასევე წარმომობს გმირს, პერიოკულ ხასიათებს, ქალისა და ვაჟის იდეალებს და გვეუბ-ნება, რომ თავისუფლება აუცილებელი და ბუნებრივი სწრაფ-ვაა, რომ მის მოპოვებას ახლავს სისხლი და მსხვერპლი, რად-გან როგორც ვთქვით, ბედნიერებას ადამიანი აღწევს ფანჯვის გიტით.

ასეთ სიყვარულს, სიძლიერით გონის დამბინდველს თუ გულისხმობდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, როცა სიყვარულს აცხადებდა ავადმყოფობად და მას აძლევდა შტრიხ-კოდს – ფ. 63.9.

სასიყვარულო ეიფორიას კი იწვევს ცილა NGF.

„ვისრამიანის“ სიტყვით რომ ვთქვათ, „მიჯნური მიჯნუ-რობისაგან მთვრალსა ჰგავს“. ხოლო „ლეილმაჯნუნიანში“ სი-გიჟეში გადადის.

სიყვარულს უძველესი დროიდან სნეულებად მიიჩნევდნენ (მაგ., სოლომონის „ქებათა ქებაში“), ისევე როგორც პოეზიას,

როცა პოეტურ შთაგონებას აკავშირებდნენ ნევროზთან და ფსიქოზთან.

როგორც ადრე ვწერდით, სიყვარულის შარავანდედი სექ-სუალურ ლტოლვებს შემოახვია ადამიანის გონია, როგორც ბუნებრივი გადარჩევის სტიქიური პრინციპი და კულტურის ფორმა.

რუსთაველთან სიყვარული არის უეცარი ელდა და არა შე-ჩვევა, თანდათანობითი დაახლოება, უეცარი, როგორც ეროს-ამურის ისარი.

ასე ერთბაშად თვალს სჭრის ნესტანის სილამაზე გარი-ელს, ფრიდონს, მელიქ-სურხავს, დულარდუხეს.

ტარიელი სულაც ძირს დაეცემა, გონს დაკარგავს და სამი დღე იწვა ცნობადაკარგული.

ისტორიულად სექსუალური სიშმაგე შავ ფერს უკავშირდება, რაც ბნელ ძალთა, ხთონური სამყაროს შესატყვისია, სადაც სიცოცხლე ისახება (იხ. „მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა“).

სიყვარულის მიღმა ბიოლოგიური ინსტინქტები, სექსუალური მოთხოვნილება იგულისხმება, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აქტივობა, ფსიქო-ნერვული სისტემის ფუნქციონირება, გულ-სისხლძარღვთა მოქმედება, რაც ყველაზე ძლიერია და ჰარმონიული ახალგაზრდობის ქამს, როცა ტესტოსტერონს ჭარბად გამოიმუშავებს ორგანიზმი.

ტესტოსტერონის მოძალების დროს ირთვება ნერვული უჯრედების თვითგანადგურების მექანიზმი, რაც არღვევს ნერვული სისტემის მუშაობას ანუ ეროსს მივყევართ სიკვდილისაკენ.

ამიგომ პკარგავს ნებელობას სიყვარულით შეპყრობილი ტარიელი, ხოლო ნესტანი ფიქრობს თვითმკვლელობაზე.

მათ სჭირდებათ მესამე პირი, ვინც დააკავშირებს მიჯნურებს, ვინც სიშმაგეს, ნაღველსა და დეპრესიას შეუცვლის გონიერი ქცევით, ინსტინქტებს დაუმორჩილებს აზრის კარნასს.

ავთანდილი შველის ფარიელს, ფარიელი – ფრიდონს, სა-მივენი – ნესტანს ანუ მათი მეგობრობა-სიყვარული იწრთობა

განსაცდელთა გადალახვით, რადგან „მიჯნურობა საჭიროა, მით სიკედილსა მიგვაახლებს“ ანუ სიყვარული ჭირის მომტანია და განგაცდევინებს სიკედილს.

განსხვავებით ბიბაზფიური და სპარსული რომან-პოემები-საგან, დასავლეთ ევროპის კურტუაზულ ლიტერატურაში სიყვარულის ობიექტი მეტწილად და ძირითადად არის არა ქალწული, არამედ გათხოვილი ქალი – Midons და Dame, მეტოვე – რაინდი, რომლის ღირსება კოდირებული იყო ხუთი ლათინური სიტყვის პირველი ასოებით – Miles – დიდსულოვანი, კანონიერად შობილი, უხვი, გამორჩეული, მამაცი (ა. სკრიპნიკი).

პოეტები უმდეროდნენ დალაგს, ცოლ-ქმრული სიყვარულის დარღვევას (ფრ. ენგელსი), რასაც შემდეგ ადვულტერი და-ერქვა.

ამიტომ აღძრავს ევროპის ასოციაციებს როგორც ფატმანი, ისე ზღვისპირა გულანშარო და მულდაბანზარი, ვაჭართა გავლენიანი წრე, რომლის იდეალი და ესთეტიკა არისტოკრატთა მორალის საპირისპიროა.

აյ სიყვარულის სტიქია არის არა ბედისწერა, არამედ – სიამოვნების წყარო, მსუბუქი და წარმავალი, რუსთაველის სიტყვით – სიძვა (მაგ., ფატმანი არათუ ქმარს, საყვარელსაც დალაგობს).

პოეტი ერთ სფეროში აქცევს საწუთოს, სიცრუეს, სიძვას, დიაცს, სატანას.

ვაჭრებს არც ომი შეუძლიათ, არც ერთგულება. ფიცსაც იოლად გატეხავენ (მაგ., უსენი) თუ ასეთი საქციელი სარგებლის მომტანია, რასაც გმობენ პოემის პერსონაჟები. ისინი არც არავის ენდობიან – ფატმანი დავალების შესრულების დასტურად ავთანდილისაგან მოითხოვს ჭაშნაგირის თითზე წა-მოცმულ ბეჭედს, რომელიც ადრე მისი ყოფილა.

ასე მკვეთრად განსხვავდება რაინდი არისტოკრატისა და მდიდარი ვაჭრის ეთიკა, რაც ვლინდება ავთანდილის მიმართებით თინათინისა და ფატმანისადმი.

შესაბამისად – რუსთაველის სიმპათია ეკუთვნის თავისი დროის აღმოსავლეთს, რაინდსა და ქალწულს, ერთგულებასა და სიმამაცეს, თავისუფლებას.

საწუთოს მომჩივან პოეტს სჯერა, რომ ზეციურ ძალთა დასის თანადგომით დაიძლია სიავე და დამკვიდრდა ჰარმონია სახელმწიფოებში, სახელმწიფოებსა და კაცთა შორის.

არსებითად ეს არის დაბრუნება იმ საწყის აღმოსფეროს-თან, რაც სუფევდა მანამ, სანამ ეროსი დაანგრევდა მყუდრო-ებას. მაგრამ მიჯნურობა სიშმაგეა და ის არის სიცოცხლის განმაახლებელი სტიქია, რამაც შეაკავშირა მთელი აღმოსავ-ლეთი.

სიგყვა „მიჯნურობა“ სიყვარულის სინონიმად ქართულში შემოდის ნიბამის ტრაგიკული პოემა „ლეილმაჯნუნიანიდან“, რადგან სიყვარული არაბულში არის „ეშე“, ირანულში – „მევრ“.

„მიჯნური“ კი არის არაბული „შმაგი“, „გიჟი“, რაც არა-ბულ თქმულებაში უწოდეს პოეტ და მგალობელ ყაისს მისი გა-დარევის გამო.

ამ სიგყვას არ იცნობს სპარსული „გისრამიანი“. ქართული თარგმანი კი უამრავჯერ ასახელებს, ისევე როგორც „თამა-რიანი“, „ისგორიანი და აზმანი“, „წიგნი სააქიმოვ“ (XIII ს-ის დასაწყისი), „უსწორო კარაბადინი“ (ვ. ნობაძე).

ქართულში „მიჯნური“ უნდა შემოსულიყო 1188 წლის შემ-დეგ. შესაბამისად ეს ძეგლებიც დაწერილია მაშინ, როცა ჩვენშიც პოპულარული გამხდარა ნიბამის პოემა, ე. ი. 90-იანი წლებიდან თუ XIII საუკუნის დასაწყისიდან.

ამდენად – მიჯნური არის გაქართულებული მაჯნუნი, რომელიც გახელებული სიყვარულის ფორმაა და ამდენად – ღვთაებრივიც.

განსხვავებით ნესტანისა და ტარიელისაგან, ლეილი და ყაისი სიყვარულითა და სიშორით უფრო იტანჯებიან, მაგრამ ვერ ჰპოვებენ ბედნიერებას, რადგან ამას არც ელტვიან ანუ მუდმივი – „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვაა“ (როგორც ეს არის დასავლურ როლანდის საგმირო ეპოსში).

ამიტომ გადადის მათი სიყვარული მისტიკაში სიგიერის ფორმით, ავტორის კონცეფციით – სუფისტურია.

ეს არის რეალობაში ტანჯვა-წამება, რაც გამორიცხავს სექსს და მხოლოდ საიქიოში შეერწყმის შეყვარებულთა სულები ერთმანეთს.

ასეთი არამიწიერი სიყვარული ჰგავს ევროპელი რაინდების მარადქალურ ტრფობას და თავდადებას ქალბატონისადმი, რაც გადაეცა რენესანსულ პოეზიას (მდრ – ალექსანდრ ბლოკის ტრაგიკული სიყვარული თავისი მეუღლის – ლიუბოვ მენდელევასადმი).

XII-XIII საუკუნეთა როგორც აღმოსავლურ, ისე ბიბანტიურ და დასავლურ ლიტერატურაში შემოდის სხვადასხვა ვარიაციით სიყვარულის მოტივი, ქალისა და რაინდის იდეალები.

თითქოს პოეტები ერთმანეთის წიგნებს კითხულობდნენ და ისე წერდნენ, ისე წარმოსახავდნენ რეალურ გრძნობებს, უნაპირო ქვეყნიერებას და გადადიოდნენ ჰიპერბოლასა, მისტიკასა და ფანტასტიკაში.

## გმირის იდეალი

„ვეფხისტყაოსანი“ მეფეთა ცხოვრებას ასახავს, ისევე როგორც ფირდოუსის, გორგანელის, ნიბამის, ონსორის პოემები, ისევე როგორც გილგამეშიანი, „ოიდიპოს მეფე“, ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ვერგილიუსის „ენეიდა“, ძველი აღთქმის ცალკეული წიგნები.

ეს იყო მითოსური ტრადიციის გაგრძელება, როცა ღმერთები გეციდან მიწაზე ეშვებოდნენ მეფეებად, გმირებად, წინასწარმეტყველებად.

ერთი მხრივ – ისინი ადამიანები იყვნენ და ამქვეყნიური ვნებებით ცხოვრობდნენ, მეორე მხრივ – გადმოცემული პქნოდათ დვთაებრივი ძალა, ემოცია და გონი, რომლის ჩვენებას

პოეტები ჰიპერბოლიზმით აღწევდნენ (რუსთაველი: „გაახელ-მწიფა გვირგვინი ბეკით მოსრულმან ბენამან“).

ასე რომ – „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობა რეალურად არის მეფეთა მეგობრობა, საყოველთაოდ მიღებული პოეტური სქემა. ხოლო ქალისა და კაცის თანასწორობა როგორც ხაყანისა და ნიჩამისა, ისე რუსთაველისათვის არსებობს სამეფო წრეში და გამოთქმულია ერთნაირად:

„ვეფხვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

შესაბამისად – გაღმერთებულია არა საერთოდ ქალი, არამედ – სილამაზით მზისა და მთვარის მეტოქე ქალწული – მეფის ასული.

მისგან განსხვავდება დიაცი, ე. ი. მდაბიო, საერთოდ მდაბიური ბნეობა და სიყვარული, რაც მოკლებულია საზეო ანუ ღვთაებრივ აღმაფრენას (ივ. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე).

მასა სამეფო წრის სიყვარულსა და მეგობრობას, სიუხვეს აიდეალებდა, სათავისოდაც მიიჩნევდა და ასე შედიოდა ელიტარული ცხოვრების ანარეკლი ბნელ ქოხებსა და მიწურებშიც.

სალხესაც სამეფო ბრწყინვალება უფრო იზიდავდა, ვიდრე უპოვართა სილატაკე, ან ღვთისმსახურთა ასკეტიზმი და მორჩილება.

მეფე, გმირი და მეომარი, მიჯნური, რომელსაც მზეთუნასავი სატრფო ჰყავდა, მასისა და ელიტის აღტაცებას იწვევდა.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებიც ამიტომ უყვარდათ, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ქართველი არ იყო.

მათ, როგორც არისტოკრატებს, აქვთ სიმდიდრე, ძალა, ცხენ-იარაღისა და ეტიკეტის ცოდნა, როგორც შეჭფერით ახალგაზრდებს – ძლიერი ემოციები.

არც რელიგიით, არც ნაციონალობით არ იზღუდებიან და სამშობლოდ წარმოუდგენიათ მთელი სამყარო.

მაგრამ უფრთხილდებიან თავიანთ სამეფოს, როგორც საკუთრებასა და საბრძანისს.

ნესტანი და თინათინი სილამაზით ერთმანეთს ჰგვანან. ისინი არიან შავთვალა და შავთმიანი, ტანწერწეტები, სახედ – მბისა და ვარდის მსგავსი, თეთრი და ელვარე.

ფატმანიც ლამაზია, ოღონდ – არყმაწვილი, პირმსუქანი და შავგვრემანი.

ტარიელისა და ავთანდილის საქებრად ყველა ეპითეგია მოხმობილი, შესადარებლად – ყოველგვარი ძვირფასი საგანი, მნათობი და პატიოსანი თვლები.

კონკრეტულად – ავთანდილი ტანკენარია, მელნისფერი (შავი) თვალები აქვს და შავი თმები, ბაგე – ძოწი და კბილები თეთრი, ვით მარგალიფი, სახეც – შუქთა მფენი ანუ თეთრი.

ტარიელიც ასეთივეა – ძალად ლომი, თვალად მზე და ტანი მჭევრი, შავთვალა და შავთმება, ბაგე-ვარდი და კბილნი – მარგალიფნი, ღაწვნი – ელვარე, თითქოს ელინურ ქანდაკებას ჩაედგას სული.

დასავლური ესთეტიკით აქცენტირებულია თეთრი სახე, ქერა და გრძელი თმები, თვალები – ლურჯი და ელვარე, ტანი – სწორი და ნაკვთიანი, თითქოს – თლილი.

ვაჟთა სილამაზეს ერწყმის ლომის ძალა და სიმამაცე, ტარიელთან – ემოცია, ავთანდილთან – გონი.

ასაკიც უნდა გავითვალისწინოთ:

როგორც ვთქვით, ტარიელი ათი წელი იყო ველად გაჭრილი და ალბათ 30-ისა მაინც იქნებოდა, როცა ავთანდილს შეეყარა.

ნესტანი ტარიელზე 5-6 წლით უმცროსია.

ასევე უმცროსია ავთანდილი. იგი ჯერ უწვერული იყო, როცა უცხო მოყმე გამოჩნდა. ერთი წლის შემდეგ კი საძებნელად გაემართა.

ფრიდონი ყველაზე უფროსია. ტარიელი მასთან მეგორობას მამა-შვილის ურთიერთობას ამსგავსებს („თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა“, „ვითა შვილი დამადუბა“).

როცა თინათინი ტახტე აჰყავს როსტევანს, იგი უკვე გა-ბრდილი და გაფსილია ანუ ქორწინების ასაკი აქვს.

ტარიელის მამას – სარიდანს, როცა თავისი სამეფო ინდო-ეთს შეუერთა, ფარსადანმა უბოძა ამირბარ-ამირსპასალარის სახელო ტარიელი კი იშვილა, როგორც უმემკვიდრეო მეფემ, რადგან ორივენი ერთი გვარისანი არიან.

მამის გარდაცვალების შემდეგ ტარიელს გადაეცა სარიდანის „სრული საკარგავი“ ანუ თანამდებობა.

ტარიელს ბლვისპირას ბლუდემაგარი ქალაქი აქვს, ისევე როგორც არაბეთის სპასეფ ავთანდილს, ამირსპასალარის ძეს – კლდეთა შორის, ქვეყნის საბდვარბე.

ხუთივე მთავარი პერსონაჟი დედისერთაა, არა ჰყავთ არც და, არც ძმა, რაც ძველ დროში იშვიათი ფაქტი იყო. მაგრამ ეს ერთადერთობაც მათი განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის, ავტორის ჰიპერბოლით – დვითაებრიობის ნიშანია (შდრ – კ. გამსახურდიას დედისერთა პერსონაჟები, მათი ზეკაცური ბუნება და ბედი).

არისტოკრატი გულუხვია და მეომარი, ვაჭარი – მხდალი და ძუნწი (მაგ., ვაჭარმა ტარიელს, ავთანდილსა და ასმათს ცხენი ოქროს ფასად მიჰყიდა, არ აჩუქა, ხოლო არაბმა მოყმებ ვაჭრები დაღუპვისაგან იხსნა). თურქების მოსაბლვრე მულდაბანბარიც ბლვისპირა და ვაჭართა ქალაქია. მაგრამ აქ ისევ არისტოკრატიული ტრადიციები ბაგონობს.

რესთაველის მსახურები და მონები ბანგები არიან, შავი ფერისა. ისინი ასრულებენ მნელ და სარისკო დავალებას, უკავშირდებიან ქაჯთა სამყაროს, ფლობენ გრძნეულებას. ფატმანსაც ჰყავს თავისი ქაჯი მონა ბანგი – „თმაგრძელი, ტანნაბდიანი“, რომელიც მოლს წამოისხამს, უჩინო ხდება და ისარივით სწრაფად აღწევს ნესტანამდე.

უსახური მასა მხოლოდ აღტაცებას გამოთქვამს გმირთა მშვენებით და მათ მახვილს ეწირება.

ისინი არსებობენ გმირთა მსახურებად და წარმოსაჩენად, როგორც ნულთა კრებული, რომელსაც აზრი ეძღვევა მაშინ, როცა წინ დაესმის 1.

პერსონაჟთა გრძნობების სიჭარბე გარეგნულად ვლინდება სისხლის ცრემლებით, გულის წასვლითა და დაბნელით, თავში ცემითა და წვერთა გლეჯით.

ტირიან არა მხოლოდ ფირდოუსისა და ნიმამის, ონსორისა და ხაყანის, არამედ – ჰომეროსის გმირებიც. როგორც გვახსოვს, ცრემლებს ღვრიან ჰაგიოგრაფიული ტექსტების პერსონაჟებიც, რაც არის სულიწმინდის მადლის გადმოსვლა.

ტარიელს ბნედაც მოსდის, რაც ასევე ღვთაებრიობის ნიშანი იყო ანგიკურ ხანაში (მაგ., ბნედა სდევთ ალექსანდრე მაკედონელს, ჰანიბალს, იულიუს კეისარს).

რუსთაველის გმირთა საღვთო ნათელი, ბეციური შუქი და ელვა მოდის როგორც ქრისტიანული მისტიკიდან, ისე აღმოსავლური ასტროლოგიური ცოდნიდან. ასტროლოგით კი ქართველები საკმაოდ იყვნენ დაინტერესებული (მათ შორის – დავით აღმაშენებელი) და თარგმნილნენ ვარსკვლავთმეტყველურ ტექსტებს (მაგ., იოანე პეტრიწი).

ფრიდონისაც ერთი ნახვით შეჰყვარებია ნესტანი და მისგან ცეცხლი მოსდებია. მაგრამ როცა ტარიელის ქცევა და სიტყვა „ჟეცხოდ ეჟეცხოვა“, თავისი გრძნობა რაინდულად უკუაგდო და ნათქებამი ინანა („ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ჩვენ რაინდებს ვუწოდებთ ევროპული კულტურის ანალოგით. მაგრამ რაინდი, როგორც ვთქვით, პოეტის მიერ სახელდება როგორც „გმირი“, „ჭაბუკი“ (სპარს. „ჩაბუკ“), „ყმა“ და „მოყმე“.

თავად „რაინდი“, რომელიც სპარსული რინდიდან (შდრ – გარინდება) მომდინარეობს, მემთვრალეს ნიშნავდა, ეციმოლოგიურად – ცხენის გამხედნავს.

უწესო დედათა მოყვარულმა, მთვრალმა რინდებმა ჩხუბის დროს გიორგი ლაშას მარჯვენა თვალი დაუვსეს, როგორც გადმოგვცემს ქამთააღმწერელი.

ასე რომ – რუსთაველის დროის მეტყველებით რინდი (რაინდი) განსხვავდება ჭაბუკისა და ყმისაგან, რაც შემდეგი დროის ხალხურ პოეზიაში გადაფილა როგორც „კაი ყმა“ (შდრ – ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები).

ისტორიულად რინდი იყო შიიფი სუფისტი, დაკავშირებული ლინიოსთან, დუქანთან და იარაღთან, დარღიმანდიც და თაღლითიც, მამაციც და გარყვნილიც, თავისუფალიც და შფოთის-თავიც.

მეტწილად ეკუთვნოდნენ ვაჭარ-ხელოსანთა ფენას (ვ. გაბაშვილი, ე. ჯაველიძე).

რინდების ერთი ნაწილი სულთანების პირადი მცველები იყვნენ, იცნობდნენ და იცავდნენ სასახლის ეტიკეტს.

მათგან უნდა წარმოქმნილიყო ქართული რაინდი, როგორც ევროპული der Reitter-ის შესატყვისი. საწყისი კი იყო, როგორც ვთქვით, ძველგერმანული der Ritter, ჯვაროსანთაგან მუსულმანების მიერ ათვისებული და ერთ-ერთი სექტის სახელმძღვანელო.

ყოველი დრო იძლეოდა გმირული სულის ახალ ტრანსფორმაციას, ახალ სახელებს, რაც წინ მიუძღვის ადამის მოდგმას.

პერსონაჟებს აქვთ ურიცხვი საქონელი, ჰყავთ ყმანი და მოსამსახურენი. ცხენიც თვალმარგალიტით მოურთავთ. არიან გულუხვნი, უანგარიშოდ და ულევად გასცემენ საბოძვარს, თითქოს თურქთაგან ნააღაფარი იყოს.

სიძუნწე ისევე მიუღებელია, როგორც ღალატი და სიცრუე.

მათ ლად და ნებიერ ცხოვრებას ამღვრევს და არყევს მხოლოდ სიყვარულის ვნება (იხ. ნ. მარის „Рыцарство и культ женщины“).

პერსონაჟთა სამოსელიც – ფერადი, ძვირფასი და ყვავილოვანი, მთლიანად მუსელმანურია, მაპმადის ქვეყნებში მოქსოვილი და შესაბამისი სახელებიც ჰქვია, როგორც განმარტავს ვ. ნობაძე.

მაგ., არაბულია ჯუბა, კაბა (კაბა ეცვათ ტარიელსა და ავ-თანდილს), რიდე (თავსაწვევი, რომელიც ფარავს, სახესა და ბეჭებს, შდრ – მორიდება), აჯიდა (თეთრი ჩაღრი), სპარს. პერანგი (პერპანი), არაბ. – სპარს. ხამი (უხეში ბამბის სამოსელი), სპარს. ფლასი (შავი ბალნის ძაბა) და ნაბადი; ასევე სპარსულია ყაბაჩა (წამოსასხამი), ოქსინო (ოქროქსოვილი ხავერდი – თურქისტანის ოქსუდან, ოქსუ – მდინარე ამუ-დარია), ზები (იგივე ბისონი – ნაზი თეთრი ტილო), ლარი (ირანის ლარისტანიდან – აბრეშუმის ნაქსოვი), ხატაური – ხატაეთიდან, ოქროქსოვილი შარდი – სარდისიდან (ლიდიის სატახტო ქალაქი), ყარყუმი (თეთრი ბეწვი).

დარბაზის მორთულობაც აღმოსავლურია, როგორც გეოგრაფიული გარემოსა და რწმენის შესატყვისი, ისევე როგორც ძვირფას ქვათა სახელები.

მაგ., ფალაურია სტავრა (სირმის ანუ ოქროს ძაფით ნაქსოვი ფარდაგად და საფეხნად), ფარდაგი – კედლის შესამოსელი, სპარს. ნოხი – იატაკის საფეხნი, ბალიში, რომელზეც სხედან.

მაგრამ ყველაზე ძვირფასია არა სტავრა-ფარჩეული, ოქსინი ან ყარყუმი, არამედ – ვეფხის ტყავი.

პოემის მთავარი გმირი ვეფხის ტყავით შემოსილი ჭაბუკია, ვინც სიყვარულის სახელით ველად გაჭრილა, კაცთა და მხეცთა, ქაჯთა და დევთა მძლეველი, ოღონდ სატრფოს დაკარგვით ცნობამიხდილი.

როგორც შენიშნავენ, რუსთაველის ვეფხი დაწინწკლულია და არა ბოლიანი, რაც გვეუბნება, რომ ეს ცხოველი არის ლეოპარდი (პანტერა, ჯიქი).

იგი შეესაბამება მდედრს, ლომი – მამრს.

ვეფხის ტყავს ატარებს ინდოთა ღმერთი შიგაც, ისევე როგორც არგონავტი იაზონი, პომეროსის გილგამეში და ირანელთა პირველკაცი ჰაიომარტი.

ვეფხის ტყავი აღმოსავლური სამოსია, რომელსაც ატარებდნენ რეალურად. აქედან გადადის ლიტერატურაშიც (მაგ., ფირფოსის რუსეგმეთან).

მცირე აზიური ღმერთქალები ლომებსა და ვეფხვებზე არიან ამხედრებული (ჩ. გამსახურდია), მაგ., ფრთოსანი იშთარი. შდრ – წესტანი: „ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“.

ვეფხის ტყავისაგან კერავდნენ სამეფო დროშებს (მაგ., მაზდეანური ირანისა).

განრისხებული წესტანი ტარიელს ვეფხს აგონებს და ამიტომ შემოიხვევს ვეფხის ტყავს და იხურავს ვეფხის ტყავის ქუდს.

ნიზამის ყაისისათვის (მაჯნუნისათვის) ასეთი ასოციაციის აღმძღვრელია შველი და ირემი. შდრ – კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ თამარი ასოცირდება თეთრ შველთან, „დიდოსტატის მარჯვენაში“ შორენა – ავაგასა და ნებიერასთან.

ქართული ყოფისათვის უფრო ბუნებრივი იყო მგელი. ამიტომაც გავრცელდა ფოლკლორში არა ვეფხი, არამედ – მგელი, როგორც სიმამაცისა და დაუნდობლობის სიმბოლო.

ტარიელს სიმბოლო რეალობად ექცევა და როცა ვეფხს ხელით შეიძყრობს, მისი კოცნა მოუნდა. გახელებულ ცხოველს რომ ახრჩობს, სატრფო და მასთან წაკიდება ახსენდება.

ავთანდილი თეთრ ტაიჭებე ზის (თეთრი – იმედი და სიკეთე), ძოწისფრად არის მოსილი (სათნოება და ქველობა, ელიტურობის ნიშანი) და პიროქრო რიცე მოხვეული.

ტარიელის შავი მერანი გლოვის და მწესარების მაუწყებელია. იგი ფრიდონის ნაჩუქარია და ამ ცხენზე იჯდა, როცა ბიძაშვილებმა დაჭრეს.

ერსონაჟთა სახელების სიმბოლიკაზე უკვე ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ (იხ. „ონომასტიკა“).

8. გამსახურდია პერსონაჟთა მიერ დაბრკოლებათა და-  
ძლევას პეროიკულ ინიციაციას უწოდებს და გვიჩვენებს ამ მო-  
დელის სიმბოლურ ცვალებას, როგორც მუდმივად განმეო-  
რებად არქეტიპს.

უარყოფითი პერსონაჟები არიან ინდოეთსა (მამიდა დავა-  
რი) და მულლაბანბარშიც (ფრიდონის ბიძაშვილები).

სრული სიმპათია ეკუთვნით მხოლოდ არაბებს (როსტევა-  
ნი, თინათინი, ავთანდილი, სოგრატი, შერმადინი).

ჩანს, უკვე აღარ ახსოვდათ მურვან-ყრუს, ალ-ყასიმის, ბუ-  
ღა თურქის დამანგრეველი ლაშქრობანი, ჯაფარიდების დინას-  
ტია.

პოემის პერსონაჟები ხომ მათი სიმბოლური შთამომავ-  
ლები არიან.

გარდა ამისა, შვიდივე სახელმწიფო მუსულმანურია. მუ-  
სულმანურ სახელმწიფოთა და სახანოთაგან საქართველოს  
მხოლოდ ომი და უბედურება ახსოვს.

მათ გვერდით არ ჩანს არც კავკასია, არც საქართველო ან  
სომხეთი, არც ერთი ქრისტიანი.

ასეთი ტოლერანტობა, ეროვნული და რელიგიური შემწყ-  
ნარებლობა, რასაც კომუნისტები ინტერნაციონალიზმად ნათ-  
ლავდნენ, რესთაველს დასჭირდა იმისათვის, რათა შეექმნა  
მაქსიმალური ილუზია, რომ წიგნი ნამდვილად „ნათარგმანე-  
ბია“ და მასში გადმოცემულია „ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმ-  
წიფეთანი“ თუ ეს, როგორც ვთქვით, არ არის ინტერპოლატო-  
რის ნახელავი.

ასეც რომ იყოს, ინტერპოლატორი გამოდიოდა წიგნის სა-  
ერთო სულისკვეთებიდან, რომ არ უნდა გამოჩენილიყო ავ-  
ტორის ეროვნება და რელიგიური აღმსარებლობა.

წიგნში მონა-მსახურები არიან ბანგები, დაფალების უსიტყ-  
ვო და თავგანწირული შემსრულებელნი.

მათ ეროვნება არ გააჩნიათ.

რესთაველი გვაცნობს ყვითელ, მონგოლოიდურ რასასაც  
– ესენი არიან თურქი ხატაელები.

ასე რომ – პოეტმა წარმოსახა სამივე რასის, შეიდი სახელმწიფოს, მაგრამ ერთი აღმსარებლობისა და სხვადასხვანაირი ადამიანური ღირსების პერსონაჟები.

ქაჯეთის დამხობა – ეს იგივე ქრისტიანული ლეგენდის გარღვევაა, წმ. გიორგის მიერ დრაკონის დამარცხება.

## 5. ტიპოლოგიურ-გენეტიკური რკალი

ბვიად გამსახურდია შეეცადა, რომ რუსთაველი მოეცილებინა პოეტის თანამედროვე აღმოსავლეთისათვის და სიმბოლოების, არქეტიპების, პარალელების ჩვენებით დაეახლოვებინა ძველინდური, ელინური, მცირეაზიურ-მესოპოტამიური და ქრისტიანული მოდელებისათვის („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“).

ეს ასეც არის თუ გენეტისს წამოვწევთ. მაგრამ მათ არ უარყოფს სპარსული პოეტია.

ასე რომ – ეს მსჯელობა შეიძლება მასზეც გავრცელდეს.

პოემის სიუკეტი, პერსონაჟები და ესთეტიკური მოდელები კი პირველიგში სწორედ სპარსულ პოეტიას ენათესავება.

ამ მიმართულებით, ნ. მარიანან დაწყებული პოემას იკვლევდა არაერთი მეცნიერი. კ. კეცელიძემ საინტერესო პარალელები დაძებნა ფირდოუსთან, ნიზამი განჯელის ხუთწიგნეულთან („საიდუმლოებათა საგანძური“, „ხოსროვ-შირინიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი“, „შვიდი მთიები“, „ისქანდერ-ნამე“, გორგანელის „ვისრამიანთან“, ონსორის „ვამეყ და ეზრასთან“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანთან“, ჩახრუხაძის „თამარიანთან“. ალბათ ბოგო უცხო ტექსტი თარგმნილიც იქნებოდა.

შემდეგ ბ. გამსახურდიამ ყურადღება მიაქცია ძველინდურ ეპოს „რამაიანას“, რომლის ფორმირება დასრულდა II საუკუნეში, მასში მოცემულ არქეტიპებს, სიმბოლოებსა და ალეგორიებს, მათთან „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსება – განსხვავე-

ბას. ხოლო მ. თავდიშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა რუსთაველის მიმართება ფირდოუსთან და ნიბამთან („ფირდოუსი და რუსთველი“, „ნიბამი და რუსთველი“).

მკვლევარმა ცხადყო „ვეფხისტყაოსნის“ ნათესაობა „შაპნამესთან“ და ნიბამის პოემებთან სიუკეტურ-კომპოზიციურ, ფრაზეოლოგიურ და ესთეტიკურ დონეზე, აჩვენა, რომ ეს სიახლოვე არის არა უნებური დამთხვევა და პარალელი, არა-მედ – ტექსტების ნაცნობობისა და გამოყენების შედეგი.

ამას უნდა დაემატოს პერსონაჟთა ონომასტიკა და სამოქმედო დრო-სივრცე, გეოგრაფიული არეალი.

თუ კვლევის შედეგებს გავაერთიანებთ, შეიძლება შემოვხაბოთ ის ტიპოლოგიური რკალი, რომელშიც არის წარმოშობილი „ვეფხისტყაოსანი“.

ეს არის „შაპნამე“, ნიბამის პოემები, „ვისრამიანი“, „ვამეყდა აბრა“, „ამირანდარეჯანიანი“, „თამარიანი“, „დილარგეთიანი“, „აბდულმესიანი“.

ამ კონტექსტში უნდა მოექცეს ინტერპოლატორისა და ნ. მარის თვალსაზრისიც პოემის სპარსულ, ე.ი. მუსულმანურ წარმომავლობაზე, როგორც ტიპოლოგიური რკალის შემადგენელი ნაწილი.

ამასვე მოწმობს პოეტის სპარსული სტილის პორტრეტები, რაც ახლავს ხელნაწერებს და რადიკალურად განსხვავდება იერუსალიმური ფრესკისაგან.

ამ ტიპოლოგიას აქვს თავისი გენეტიკა, რაც ფართო რა-კურსით წარმოადგინა ბ. გამსახურდიამ, როგორც მითოსურ-პოეტური და ფილოსოფიურ-რელიგიური მოდელები, უძველესი მყარი მოცემულობა.

როგორც ვთქვით, ავტორი ქრისტიანია და პქონდა ქრისტიანული ცოდნა. ეს უკვე აღრევე იყო გარკვეული (პ. კეკელიძე, ვ. ნობაძე, აკ. გაწერელია, ე. ხინთიბიძე, შ. ნუცუბიძე), ოღონდ – არეოპაგიტული ინტერპრეტაციით.

ამავე დროს გავლებულ იქნა პარალელები ბიბანტიურ რომანთან და დასავლეთ ევროპის კურტუაზულ ლიტერატუ-

რასთან, რომელსაც არ იცნობდა პოეტი (ალ. ბარამიძე). მაგრამ რაინდობის ინსტიტუტი და ქალის კულტი, არაბულის ზეგავლენა და ჯვაროსანთა ლაშქრობანი, მართალია, სისხლის ღვრით, მაგრამ მაინც აახლოებდა ადამიანებსა და კულტურებს, რომელთა შეხვედრის ფოკუსში დგას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ნ. მარი).

ქართველური ტომები ათასი წელი ან ირანის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ ან ხარჯს უხდიდნენ და ცდილობდნენ ბერძენ-რომაელთა მეშვეობით, ქრისტეს ჯვარით გასხლეომას.

იბერია კულტურის სპექტრითაც ირანის ორბიგაში იყო მოქცეული. შემდეგ ბიბანტინიზმი ბატონობდა, რეალობაში – არაბეთი.

არაცნობიერში კონდენსირებული ისტორიული წარსული სწორედ აღმოსავლური ნიშნებით გაცოცხლდა და გარდაისახა.

შვიდასი წლის შემდეგ რუსთაველმა ააღორძინა ძველი ტრადიცია, რათა ისევ ირანის კულტურის ათვისებით შეეცვალა ბიბანტიური ასკეტიკა და მისტიკა, იამბიკო და რიტმული პოეზია, შეეცვალა რეალური ვნებებითა და ცხოვრების სურათებით, აღმოსავლეთის უსაბღვრობით.

ასე დაამკვიდრა ქართული ლექსის კანონიკა, სიტყვის ესთეტიკა, გმირისა და მიჯნურის იდეალი, რომან-პოემის უანრი და კონსტრუქცია.

### **III. ასკეტიკა და მისტიკა: არეალის შემცირება (XII-XIII სს)**

იოანე პეტრიშვილისა და არსენ იყალთოელის შემდეგ ქართულ ეკლესიას არ ჰყოლია დიდი მოაზროვნე-მოღვაწეები, ვიღრე ანგონ I-მდე.

კათალიკოს-პატრიარქები და სხვა მღვდელ-მსახურები, ბერების და მღვდელების კონფიგურაცია ასრულებდნენ ღვთისმსახურებას, ავრძელებდნენ რელიგიურ ტრადიციას. მაგრამ ახალს არაფერს ქმნიდნენ.

#### **კონსერვატიზმი**

რელიგიური ძიება, რასაც მოსდევდა ერესი და განკვეთა ეკლესიიდან, საქართველოში არ ყოფილა.

თითქმის გაქრა ჰაგიოგრაფია, შესუსტდა ჰიმნოგრაფია, შენელდა ჰიმნოგრაფია აქტივობა. საგალობელთა ავტორი მეფები გადმოსცემდნენ საკუთარ სულიერ განწყობილებას.

ცხადია, მათ არ უცდიათ არც რეფორმა, არც საგალობელთა ახალი რეპერტუარის შექმნა, მითუმეტეს, რომ უკვე ჩამოყალიბებულია წირვა-ლოცვის თანმხლები საკითხავები, ჰიმნები და გალობანი.

ეკლესია მიღიოდა კონსერვირებისა და ღრმა სქოლასტიკის გზით, როცა ფორმალობად იქცეოდა უფლის დიდება.

ამისი მიზები, როგორც ვთქვით, იყო მხედრული სულის ბეობა. მაგრამ არსებობდა მეორე ფაქტორიც – აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებშიც კონსერვატიზმი გაბატონდა.

აღარც კონსტანტინეპოლი იძლეოდა ახალ იმპერატორს.

ქართულ ეკლესიას არ ჰქონია დაპირისპირება რომის პაპ-თან, თუმცა ლათინებმა დაიპყრეს კონსტანტინეპოლი.

1240 წელს რუსუდანმა მიიღო ფრანცისკანელთა ორდენის მისიონერები. მათ დააფუძნეს თავიანთი მონასტერი. შემდეგ დომინიკანელებიც შეუერთდნენ ფრანცისკანელებს და 1328 წელს სმირნადან ტფილისში გადმოიტანეს საეპისკოპოსო კათედრა (არსებობდა 1507 წლამდე).

გიორგი ლაშას სურდა ჯვაროსანთა ომში მონაწილეობა. რომის პაპთან მიმოწერა ჰქონდათ რუსუდანს, ივანე ათაბაგს, პატრიარქს, დემეტრეს, გიორგი მეხუთეს (მიქელ თამარაშვილი).

მართლმადიდებლობას არ ჰყავდა ისეთი ფიგურა, როგორიც იყო კათოლიკე თომა აქვინელი, ისეთი მისტიკოსები, როგორიც იყვნენ გრაალის თასის მაძიებელნი, მრგვალი მაგიდის რაინდები და არტურის რომანების შემოქმედნი, დანტესებური ვიზიონერები, არ ჰქონდათ ბერულ-მხედრული ორდენები ანუ აკლდათ გამომგონებლობა, განვითარების პათოსი.

პატრიარქები ცვლიდნენ ერთმანეთს და აგრძელებდნენ დამკვიდრებულ ტრადიციას. შედარებით გამორჩეული ყოფილან ნიკოლოზ გულაბერიძე (XII ს.) და არსენ ბულმაისიმის ძე (XIII ს.).

კონსერვატიზმი არსებულის დაცვასა და შენარჩუნებას ნიშნავდა.

მაგ., ეკლესიისა და არისტოკრატიისათვის მსახიობობა, ცეკვა-სიმღერა, გასართობ ლექსთა თხზვა, გაშაირება დაბალი ფენების თვისება იყო.

შდრ – ამავე დროის ჩინეთში ასეთი რამ ისევე სამარცვინო იყო, როგორც პროსტიტუცია.

შუსულმანობა კრძალავდა მამაკაცის ცეკვას, ადამიანის გამოსახვას, ისევე როგორც ალკოჰოლს, თუმცა არ იცავდნენ ამ წესს.

ეკლესია კულტურული აქტივობის ავანგარდში აღარ იდგა. ამიტომ ბიზანტიასა და საქართველოში ტაძართმშენებლობაც

შენელდა. იგი ისევ ლიდერი გახდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ანტონ პირველის დროს.

დასაწერი დაწერილი იყო, ასაშენებელი – აშენებული.

მაგრამ ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა ისევ არსებობდა, ტაძრებიც შენდებოდა, კედლებიც იხადებოდა, ბიბლიის ტექსტებსაც გადაწერდნენ. ოღონდ სათარგმნელიც აღარაფერი დარჩა.

ეკლესიამ გააძლიერა სამისიონერო მოღვაწეობა.

ქართველი მღვდელმსახურები ჩრდილო კავკასიელთა შორის რწმენის განმტკიცებასა და გაქრისტიანებას ავრძელებდნენ, იქ აშენებდნენ ეკლესიებს, პქონდათ ეპარქიებიც.

მოღწეულია ცალკეული წარწერებიც.

ცდილობდნენ სომებს მონოფიზიტთა მოქცევასაც. თარგმნიდნენ ქართულიდან სომხურად (მაგ., იოანე პეტრიჭის, იოანე დამასკელს, იოანე სინელს, „ქართლის ცხოვრებას“).

ამისათვის იყენებდნენ სომებს დიოფიზიტებს. ერთ-ერთი ასეთი მწიგნობარი ყოფილა სიმეონ ხუცესმონაზონი.

ქრისტიანული სულით იყო გამსჭვალული ელიტა. ჯერ საერო-საბისტორიო მწერლობას არ ეკავა ის ადგილი, რომელსაც დღეს ვაკუთვნებთ. იგი მაშინ ჩანდა, როგორც ერთ-ერთი შენაკადი.

ასკეტიკა და მისტიკა წარსულისაკენ იყო მიქცეული, საერო მოტივები კი – მომავლისკენ მიმართული.

მასაც, ელიტაც, გვაროვნული თუ ინტელექტუალური, კვლავაც ქრისტეს რწმენით იბრძებოდა, რომელმაც დაასრულა კულტურული და იდეოლოგიური ფორმირება.

იგი ტრადიციად იქცა, რომელსაც შეებარდა ხალხურ-წარმართული წარმოდგენები და დღესასწაულები.

ფორმალურად ისევ ეკლესია იყო კულტურის კოორდინატორი. ასე სცნობდა მას მეფე და მეფის დარბაზი, რაც, როგორც ვთქვით, სახელმწიფოებრივი იერარქიით იყო დადგენილი.

მაგრამ რეალურ და მოქმედ ძალას იქცა საერო კულტურა, რომელმაც წამოსწიდ გალანტის ფაქტორი, ავტორის როლი და მნიშვნელობა, ფანტაზია და გამომგონებლობა.

შემდეგ, მონღოლთა ბატონობის პერიოდში, როგორც არა-ბობისა და თურქობის კამს, ისევ მოიცა ძალი ეკლესიამ, რომელიც ამაგრებდა ნაციონალურ ცნობიერებას, როგორც სქოლასტიკა და კონსერვაციზმი – თავად ეკლესიას.

მწიგნობაროთუხუცეს-ჭყონდიდელის დავალებით უთარგმნია კარნუ ქალაქიდან წამოღებული არაბული „წიგნი სააქი-მოვ“ და ქართული მასალებით შეუვსია ხოჯაყოფილს.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა აფხაზეთის კათალიკოსი, რომელიც ქუთათელთან ერთად იყოფდა ინსიგნიებს.

შემდეგი პატივი პქონდა იშხნელს.

თოხთა მონაბოთა შორის იყო ჩარიცხული გელათის მოძღვარობისავარი, რომელსაც დარბაზობაზე მეფე ნოხის პირთან ეგებებოდა.

იერარქიულად შემდეგი ადგილი ეკავათ მაწყვერელს, ან-ჩელს, მტბევარს, გოლგოთელს, გარეჯელს...

ყოველი ქართველი მეფე ზრუნავდა ეკლესიებზე, როგორც შინ, ისე გარეთ, ეხმარებოდნენ გაძართმშენებლებს, მონასტრებს აფინანსებდნენ, აძლევდნენ მამულებს.

მაგ., თამარ მეფემ გამოჰყო 200 000 ოქროს დინარი, რათა სალადინისაგან გამოესყიდა ზოგიერთი ქართული ეკლესია. მაგრამ უარი მიიღო.

XII საუკუნიდან ჩაცხრა მთარგმნელობითი მუშაობა, ნაკლებად იწერება პაგიოგრაფიული და პიმოგრაფიული ტექსტები, რაც დაიწერა – მათი ღირსებაც უმნიშვნელოა.

ეკლესიაში უფრო მეტი ყურადღება მიექცა ათვისებას, შესწავლას, ცოდნა-ეფიკეტის გადაცემას, სკოლებსა და მდვდელ-მსახურების პრაქტიკას, ტექსტების გადაწერა-მორთვას, ლი-

თონზე კვეთას, ტაძრების მოხატვას ანუ ცივილიზაციურ ფაქტორებს.

## ტაძარი და სასახლე

XII საუკუნიდან ძველი ინტენსივობით აღარ შენდება ტაძრები, რადგან, როგორც ვთქვით, ელიტის ინტერესი საერო-საომარი მიმართულებით გადაიხარა.

ახლა ამ რწმენის ციტადელებს სჭირდებოდა მოვლა, რესტავრირება, შეესება.

ძველი ტაძრები ისევ ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას (მაგ., ბიჭვინთა, იშხანი, სვეტიცხოველი, გელათი).

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში მაინც აშენდა ბოგი ისეთი ეკლესია, რომელთაც მოაღწიეს დღემდე და არქიტექტურული თვალსაზრისითაც საინტერესოდ ითვლება. მაგ., იკორთა (1172), ბეთანია (XII ს.), ქვათახევი (XII ს.), ახტალა (XII-XIII სს.), ერთაწმინდა (XIII ს.), ყინწვისი (XII-XIII სს.), მეტეხი (1289-1293 წწ.).

ესენი სამთავრისის ტიპის ტაძრებია (შ. ამირანაშვილი).

როგორც შენიშნავენ სპეციალისტები, რელიეფის შესაბამისად ცალკეულ კუთხეებში შენდებოდა განსხვავებული კონსტრუქციის, მხატვრული მორითულობის ტაძრები (მაგ., აფხაზეთში, იმერეთში, ქართლში, ჯავახეთში), როგორც ადრე შავშეთსა და ტაოში.

ხუროთმოძღვრის ხელოვნებას ავლენდა არამხოლოდ ნავების სისტემა, გუმბათის ყელის სიმაღლე, ან სარკმელთა სიმრავლე, კონქი და აფსინდა, არამედ – ჩუქურთმების წნული, ორნამენტები, მცენარეული მოტივები და ფანტასტიკურ ცხოველთა გამოსახულებანი, რელიეფური ქანდაკებანი.

როცა შენელდა სატაძრო მშენებლობა, პოლიტიკურმა სიტუაციამ წამოსწია საერო არქიტექტურა – სასახლეები, ციხე-

სიმაგრეები, საცხოვრებელი სახლები, შესაბამისი ინტერიერი-თურთ.

ისინი დრომ, ომებმა და ხანძარმა თითქმის მოსპო, განსხვავებით ტაძრებისაგან (მაგ. გეგუთი, ნაჭარმაგევი, ისნის სა-სახლე).

მეფეთა, ფეოდალთა, ერისთავთა სასახლეები მეტწილად ორსართულიანი იყო, ეს მაშინ, როცა მუსულმანურ ქალაქებში შენდებოდა მრავალსართულიანი შენობები (მაგ., ბაღდადში).

პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისა იყო, მეორე სართული – ძირითადი საცხოვრისი, დარბაზებით, სარკმლებით, ტერაცებით. ხურავდნენ მოჭიქული აგურით.

ხის სვეტები მოჩუქურითმული იყო, ასევე – კარები და ბჭე.

XII-XIII საუკუნეებში კლდეში გამოუკვეთავთ ვარძის სა-მონასტრო ანსამბლი, რომელშიც „120 საცხოვრებელი კომპ-ლექსის 420 სათავსოა“ (გ. გაფრინდაშვილი).

მისი სიგრძე 500 მეტრია და შედგება 13 სართულისაგან. აქვს როგორც წყალსადენის ტრასა, ისე შიდა წყარო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ქალაქის კედლებსა და გოლოლებს, ციხეებს, ხიდებს, მათ სიმტკიცეს (მაგ., ხერთვისის, აწყურის, თმოვგის ციხეები).

აյ მთავარი იყო სიმაგრე, რათა მგერს იოლად არ შესძლებოდა დაწყრევა. მაგ., ჯალალ-ედინი დიდხანს იდგა ტყილი-სის გარშემო, ვიღრე ადგილობრივმა არაბებმა მგერს ქალაქის კარები არ გაუღის (კამთააღმწერელის სიტყვით – „სპარსთა“, მაგრამ, როგორც ვთქვით, მაშინ სპარსი მუსულმანის სინონიმი იყო. ხოლო ტყილისში არაბები ცხოვრობდნენ).

მათ წინასწარ მოკლეს ქალაქის დაცვის ერთ-ერთი ხელ-მძღვანელი მემნა ბოცოსძე.

ეს იყო ქართველთა ტოლერანცობის შედეგი.

ტფილისი ჯერ ჯალალ-ედინმა გაძარცვა და ააოხრა, შემდეგ რუსულანის ბრძანებით ქართველებმა დაწვეს.

ხის სახლებს იოლად ედებოდა ცეცხლი. ცეცხლის გარეშეც დრო მათ სწრაფად სპობდა და აუცილებელი ხდებოდა მუდმივი განახლება, რაც იწვევდა არქიტექტურულ ცვლილებებს.

ქვიტკირის შენობა უფრო მტკიცე და, შესაბამისად, კონსერვაციული იყო. იყი გაცილებით დიდხანს ინახავდა თავისი დროის ხუროთმოძღვრების ნიშნებს. მაგრამ მცერი სწორედ მათ ეცემოდა და ანგრევდა (მაგ., აღარ არსებობს თამარის ის-ნის სასახლე).

ფაქტიურად, სასახლე იგივე ციხე-სიმაგრე იყო, თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც არ იყო ისე მდიდრულად ნაგები და მორთული, როგორც მუსულმანი სულტანებისა და ხანების სასახლეები.

აღმოსავლური დეკორი, ფერადი და ყვავილოვანი ჩუქურ-თმები, მობაიკა, ორნამენტები, შადრევნები და ბაღები მათ ნაკლებად ჰქონდათ.

ნანგრევების სახით შემორჩა გეგუთის საზამთრო სასახლე, აგებული გიორგი III-ის მიერ.

მისი საერთო ფართი ყოფილა 1700 კვ.მ., დარბაზისა – 200 კვ. მ.

სამშეილდის ნაქალაქართან არქეოლოგებმა მიაგნეს ნადარბაზევს, თამარის ერთ-ერთ სასახლეს.

მას სამჭიდვრიანი მაღალი გალავანი ერტყა, ნაშენი ანდებიფ-ბაზალტის ქვითა და კირით (გ. ლომთათიძე).

ნაქალაქარად ქცეულან დმანისი, კუხეთის რუსთავი (1265 წელს გაანადგურეს მონღოლებმა), უჯარმა, ჯავახეთის ახალქალაქი.

მცხეთა ადრევე სოფელი იყო.

ტფილისში დაანგრიეს დედაციხე.

მრავალი სოფელი ნასოფლარი გახდა, განადგურდა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რუსუდანის თაოსნობით აშენებული გუდარების მონასტერი.

ამ დროს უშენებიათ ხვამლის, ბეთლემის, თრეხვის სახიზარი ქვაბები.

ქალაქებს ჰქონდათ წყალგაყვანილობა, აბანოები, სახელოსნოები, კრამიგით დახურული სახლები, სასაფლაოები, კოშკიანი გალავნები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ქვევრები, დერგები, ხელსაფქვავები, ღოქები, ჯამები, ხელადები, ოქროს, ვერცხლის, მინის, კერამიკის საგნები (გ. ლომთაბ-თიძე), შრომისა და ბრძოლის იარაღები.

ასეთი აყვავებული ქვეყანა, მასვილითა და ჯვარით დაცული, თანდათან ნანგრევებად იქცა.

## ფრესკული მხატვრობა

დავითისა და დემეტრეს დროს „მეფის მხატვარი“ ყოფილა თევდორე. იგი სვანეთში მიუწვევიათ და იქ რამდენიმე ეკლესია მოუხატავს (იფრარი, ნაკიფარი, კვირიკესა და ივლიტას ეკლესია).

ეს არის ბიბლიური სიუჟეტები, „ვედრების“ კომპოზიცია, „ათორმეტი დღესასწაული“.

გამოუსახავთ მხედრებიც – წმ. გიორგი და წმ. თევდორე. ისინი კლავენ დიოკლეტიანესა და გველეშაპს.

შთამბეჭდავია მიცვალებული ქრისტეს, მგლოვიარე დვითისმშობლისა და იოანეს, მწუხარე ანგელოსების სახეები (შ. ამირანაშვილი).

სვანეთშივე უდვაწია მხატვარ მიქაელ მაღლაკელს. მას 1140 წელს მოუხატავს მაცხვარიშის ეკლესია, გამოუსახავს დემეტრე პირველისათვის სვანი ფეოდალების მიერ ხმლის შებმაანუ მეფედ კურთხევა (ვ. ბერიძე).

ამ პერიოდის ქართულ მხატვრობასაც მიიჩნევენ ბიზანტიურის განშტოებად. მაგრამ სპეციალისტები პოულობენ ორიგინალურ ნიუასებს, რაც ვლინდება ემოციურობასა და დახვეწილ ფორმებში.

ამ მხრივ გამორჩეულია თევდორეს მოხატულობა, ორნა-  
მენტები, მეტი ცხოვრებისეული ელემენტები და ნაკლები ასკე-  
ტიზმი.

ასევე საინტერესოა უცნობი ხელოვანის მიერ შესრულებუ-  
ლი გელათის მობაკა, რომლის ცენტრში დგას ღვთისმშობელი  
ყრმითურთ, ასევე – მთავარანგელოზი მიქელი და გაბრიელი.

ასეთი მოდელი ბიზანტიიდან გადმოიტანეს და იგი აით-  
ვისეს ქართველმა მხატვრებმა.

განსაკუთრებით ხშირად, გამომდინარე საეკლესიო კანო-  
ნიკიდან, მხატვრები მიმართავდნენ „ათორმეტი დღესასწაუ-  
ლის“ ციკლის კომპოზიციებს. მაგ., ახტალის ტაძრის ფრესკებში.

აქ გამოუსახავთ ქართველი წმინდანებიც – შიო მღვიმე-  
ლი, ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი ათონელები,  
დავით აღმაშენებელი.

ასევე საინტერესოა ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის მხატვ-  
რობა. ისინიც იმეორებენ ცნობილ ბიბლიურ კომპოზიციებს.  
მაგრამ ურთავენ მეფეთა სურათებს. მაგ., თამარ მეფე გამოხა-  
ტულია ვარძიაში, ბეთანიაში, ბერთუბანში, ყინწვისში.

ვარძიის ფრესკაზე გიორგი III და თამარი ჩანან მთელი  
ფანით, სამეფო სამოსელით. მათ თავზე დაფრენს ანგელოსი,  
რომელსაც ხელთ უპყრია გვირგვინი.

ისინი დგანან მჯდომარე წმ. მარიამის წინ, რომელსაც  
კალთაში უბის ჩვილი იესო (1184-1186).

თამარს ხელთ უპყრია ვარძიის ტაძრის მოდელი, აცვია  
მამაკაცის, მამამისის ანალოგიური სამოსელი, მოხატული, გა-  
ნიერი, დაშვებული ფეხსაცმლის ჭვინთამდე, თვლებით შემკუ-  
ლი. მამაშვილს წელთან მოხვეული აქვთ ფართო ლორი, ბი-  
ბანგიური კეისრების მსგავსად.

თავი თრიყეს შებურვილი აქვს, ხელები – წინ გაშვერილი,  
ვეღრების პოზაში.

ჩანს, თამარი პირმსუქანი ყოფილა, მამაზე გაცილებით და-  
ბალი.

ყინწვისის ფრესკაზე ვხედავთ გიორგი III-ს, თამარსა და გიორგი ლაშას (1207).

აქაც ვეღრების კომპოზიციას ვეცნობით.

თამარს გვირგვინი ადგას.

ეს სამეული – პაპა, შვილი და შვილიშვილი – ჩანს ბეთანიაშიც, ჩრდილოეთის კედელზე.

ვარძის კედლებზე დაუხატავთ ღვთისმშობელი ჩვილითურთ, მიქელი და გაბრიელი, ბიბანტიელი წმინდანები, მათ შორის – იოანე ოქროპირი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი.

შ. ამირანაშვილის ანალიზის მიხედვით თადებსა და კედლების ნაწილს ფარავს ახალი აღთქმის ციკლის 14 კომპოზიცია – „ხარება“, „ქრისტეშობა“, „მირქმა“, „ნათლისდება“, „ფერიცვალება“, „ლაბარეს აღდგინება“, „იერუსალიმში შესვლა“, „საიდუმლო სერობა“, „ფერხთა ბანა“, „ჯვარცმა“, „ჯოჯოხეთის წარტყმევნა“, „სულიწმინდის მოფენა“, „ღვთისმშობლის მიძინება“.

მათ ერთვის დღე განკითხვისა და მეორედ მოსვლისა.

ცალკეულ წმინდანთა შორის გამოსახულია წმ. ნინოც.

თუ აღრე ჯვარცმა წარმოგვიდგენს ცოტხალ ქრისტეს, თვალგახელილს და მას მარიამი ევედრება, ამჯერად ძე ღვთისა უკვე მკვდარია. ღვთისმშობელი დასტირის მიცვალებულ შვილს და ანგელოსების გლოვობებს ანუ ძლიერდება ადამიანური ფაქტორი.

როგორც შენიშნავს შ. ამირანაშვილი, მხატვარი ითვალისწინებს რელიეფს, მთების ჰეიზაქს, ხატავს რეალურად არსებულ ხეებს.

ბეთანიის მხატვრობა გაცილებით დაბიანებულია. მაგრამ აქაც განირჩევა მრავალი ბიბლიური სიუჟეტი, წმინდანთა გამოსახულებანი, მოციქულნი, წინასწარმეტყველები, მღვდელმთავრები, ცნობილი ქართველი დიდებულები – გიორგის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე მამა-შვილი – სუმბატ და ლიპარიტ ორბელები.

სუმბააგს გაძრის მოდელი უპყრია ხელთ. იგი აიძულეს აქ ბერად შემდგარიყო. ლიპარიგი ირანში გაიქცა.

როგორც ვთქვით, აქვე არიან გიორგი III, თამარი და გიორგი ლაშა.

ბეთანიის მხატვრობა შესრულებული ყოფილა დავით სოს-ლანის გარდაცვალების შემდეგ, ამ ყოფილი მანდატურიუხუცესის სუმბაატის, ბერობაში – სვიმონის დაკვეთით.

ასევე დაზიანებულია ყინწვისის მხატვრობაც.

აქაც იგივე ბიბლიური სიუჟეტებია, წინასწარმეტყველთა, ანგელოსთა, მღვდელმთავართა, მოციქულთა, წმინდანთა გამოსახულებანი.

საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობა ღვთისმშობელს, ღვთისმშობელს ჩვილითურთ, ჩვილის განბანებას, მირქმას და ნათლისდებას, ღვთისმშობლის დაბადებას, ფაძრად მოყვანასა და მიძინებას.

ქრისტეს ჯვარცმიდან სისხლი ჩამოდის. იგი უკვე მკვდარია და მას ვლოვობენ ღვთისმშობელი და იოანე მოციქული.

საყოველთაოდ არის ცნობილი ყინწვისის ანგელოსი მაცხოვრის აღდგომიდან.

ფაძრის კედლებზე ჩანან ქართველი წმინდანებიც – დავით გარეჯელი, იოანე ბედაზნელი, ნინო კაბალოკიელი...

ვედრების პოზაში გამოუსახავთ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანგონ გლოხისთავის ძე.

როგორც აღვნიშნეთ, ასევე ვედრების პოზაში დგანან გიორგი III, თამარი და გიორგი ლაშა, ქრისტეს პირდაპირ.

ბერთუბნის მხატვრობაც (1213-1222 წწ.) ასეთივე ბიბლიურ კომპოზიციებს იმეორებს, რომელთა რიცხვი საქმაოდ ბევრია.

აქ არის თამარის მეოთხე, კველაბე გვიანდელი გამოსახულებაც, გვირგვინოსან ლაშასთან ერთად.

ერთ ფრესკაზე დავით გარეჯელის მოწაფე ლუკიანე ირმებს წველის. დანარჩენი ოსტატურად შესრულებული სახარების სიუჟეტებია.

XIII საუკუნის 30-იან წლებში შერგილ დადიანის შეკვეთით მოუხატავთ ხობის ბაზილიკა. წარმოდგენილია იოანე ნათლის-მცემლის „ცხორების“ ციკლი. იგი მთავრდება „თავის მოკვე-თით“.

იქვეა ქტიფორები – ცოლ-ქმარი შერგილი და ნათელა, შვილები – ცოგნე და თამარი.

მხატვრები როგორც კედლებს, თაღებს, სვეტებს, კარებს, სარკმელთა ჩარჩოებსა და ბჭეს, ისე აფორმებდნენ კანკელსაც, მის ფილებს.

კანკელი საკურთხეველს გამოჰყოფს შიდა ინტერიერისა-გან. იგი იმეორებს ჩვენთვის ცნობილ ორნამენტებს, სიუჟეტებ-სა და პერსონაჟებს (მაგ., საფარისა, შიომღვიმისა, ხოვლესი, ურთხვისა).

როგორც ვხედავთ, მხატვარს ეკლესია აძლევდა ასპარეზს, აძლევდა შეკვეთას, ურჩევდა სიუჟეტებს, მათ განლაგებასა და თანმიმდევრობას. მხატვრის ორიგინალობა ვლინდებოდა ფე-რებში, ადამიანის ფიგურისა და გამომეტყველების ხატვაში.

მეფეთა ფრესკებში ვერაფერს შეცვლიდა – სიბუსტე უნდა დაეცვა.

საეკლესიო ნორმები მდგრადა შემოქმედის ფანტაზიას. მაგრამ სწორედ ეკლესის კედლებმა შემოინახა მხატვრების ნამუშევრები, თუმცა გააქრო ავტორთა სახელები.

ქართველი და არაქართველი მხატვრების მიერ იყო გა-ფორმებული ის ეკლესიებიც, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს უცხოეთის მიწაზე (მაგ., ჯვარის მონასტერი იერუსა-ლიმში).

ქართულ ხელოვნებას გავლენა ჰქონია კიევისა და ჩერნი-გოვის არქიტექტურაზე, ნოვგოროდის ფერწერასა და ხელნა-წერთა გაფორმებაზე, როგორც ადრე შენიშნავდნენ რუსი ავ-ტორები.

## ლითონზე კვეთა

ლითონზე კვეთა, ოქრო-ვერცხლის დამუშავება, როგორც გვახსოვს, არცერთ ეპოქაში არ შეწყვეტილა. ოქრომქანდა კებლები აფორმებდნენ ჯვრებს, თვალმარგალიტებს. ისინი ჯვარუმის გარშემო იყო განლაგებული.

ასეთი იყო ივანე დიაკონის მიერ შესრულებული მარტვილის ფაძრის წინგასაძოლი ჯვარი, სვანური ვერცხლის ჯვარი, სადგერის ჯვარი, მესტიის ჯვარი (რომელმაც გამოუსახავთ წმ. გიორგის ცხოვრების ცხრა კომპოზიცია), დავით აღმაშენებლის ჯვარი, თამარის გულსაკიდი ჯვარი.

ბოგ მათგანზე უკვე ვისაუბრეთ. მაგ, ხახულის კარელტე.

ახლა ორიოდე სიცყვით შევეხოთ ბექა და ბეშქენ თპიბარების ხელოვნებას, რაც დღესაც დიდ ინ ტერეს იწვევს.

თპიბარი ნიშნავს ოპიბელს (- არ კოლხური სუფიქსია, შეესაბამება ქართული - ელ) ანუ ისინი კლარჯეთიდან ყოფილან ანდა – ოპიბის მონასტერში მოღვაწეობდნენ. ცხოვრობდნენ თამარის ხანაში.

ბეშქენის შემოქმედებიდან მოღწეულია მხოლოდ ბერთის სახარების მოჭედულობა (ზომა – 22,5 X 17 სმ): ფეხშიშველა იესო გის საყდარზე. გრძელი სამოსი შემოხვეული აქვს. მარცხენა მუხლზე წიგნი – ბიბლია უდევს და მას ეყრდნობა. მარჯვენა წამოუწევია და თითების მოძრაობა გამოხატავს მეტყველების პროცესს.

მარჯვნივ დგას მარიამი ვედრების პოზაში.

ასევეა გამოსახული იოანეც, მაგრამ უფრო თავდახრილი. მოოქროვილ ვერცხლის ყდას ამკობს წარწერები და ოთხივე კუთხის მხარეს – ჩუქურთმები, ვაზის ფოთლების მსგავსი.

მეორე ნაწილი ჯვარუმაა.

საოცარი სიბუსტით არის გამოკვეთილი იესოს სხეულისა და საყდრის დეტალები, მარიამისა და იოანეს ხელები.

ბექას შემოქმედებიდან მოღწეულა წყაროსათვის ოთხ-თავის მოჭედილობა და ანჩისხატის მაცხოვრის ხატი.

როგორც არკვევს შალვა ამირანაშვილი, ოქრომქანდაკე-ბელს ანჩისხატის მაცხოვრის ჩარჩო მოუჭედავს 1184-1193 წლებში.

წყაროსთავის ოთხთავის მოჭედილობაც ისეთივე კომპოზიციაა (1195 წ.), როგორიც ბეშქენისა – „ჯვარცმისა“ და „ვეღ-რებისა“.

ერთ მხარეს არის საყდარზე მჯდომი იესო, ფეხზე მდგარი მარიამი და იოანე, მეორე მხარეს – ქრისტეს ჯვარცმაა.

დიდად შთამბეჭდავია ანჩისხატის მაცხოვრის ჩარჩოში ორნამენტები, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის ფიგურები, მათი პლასტიკა და სიმსუბუქე, ჯვარცმის სცენა.

ამავე დროს დაუმზადებიათ ფხოფრერის (სვანეთის) მაცხოვრის ხატის ჩარჩო, ტბეთის სახარების მოჭედილობა.

XI საუკუნეს განეკუთვნება არსენ გვამბავაიძის წმ. გიორგის ჭედური ხატი (ნაკიფარის ეკლესია).

შ. ამირანაშვილი ქართულ ჭედურ ხელოვნებაში გამოჰყოფს სამ სტილურად განსხვავებულ სკოლას – ესენია: ოპიტური, ტბეთური და გელათიური (ხახულის ხატის მოჭედილობა, გელათის მაცხოვრის ხატის მოჭედილობა – დავით ნარინის დროისა).

## ხელნაწერთა დასურათება

გამორჩეულ ხელნაწერთა წიგნს უკეთდებოდა გამძლე ყდა, რათა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ გაცვეთილიყო და დაეცვათ. ვერცხლის მოჭედილი გარეკანი სწორედ ასეთი იყო. მას არა მხოლოდ გამძლეობა, არამედ სილამაზეც უნდა ჰქონდა.

არც ეს კმაროდა. მხატვარი უნდა გამოსულიყო ტექსტიდან, რათა გაღმოეცა მისი არსი.

სახარება-ოთხთავი სწორედ ის წიგნი იყო, რომელიც ყველა ეკლესიას უნდა ჰქონოდა. ამიტომ ხელნაწერთა გამრავლებას დიდი ყურადღება ექცეოდა.

როგორც ვთქვით, ტექსტის თარგმნა ერთი პრობლემა იყო, რაც ქართველებმა აღრევე შეძლეს, თუმცა ტექსტის მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად ხდებოდა ხელახლა გადათარგმნა ან კორექტირება. ამიტომ კანონიკური წიგნებიც იძლევა ვარიაციულ სახესხვაობებს.

მეორე პრობლემა იყო კარგი ხარისხის მასალა (პერგამენტი, ეტრატი, ქაღალდი). მას დროისათვის უნდა გაეძლო, რათა ნესტეს, ხშირ გადაფურცვლას არ დაეძენძა.

მესამე პრობლემა იყო კარგი კალიგრაფი. ასოები ისე უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომ მკითხველს იოლად გაერჩია. ამიტომ ჰგავს ასომთავრულის თუ ნუსხა-ხუცურის ტექსტები არა გადაწერილს, არამედ – გამოკვეთილს.

მათგან განსხვავდება მხედრული, რომელიც უფრო გაკრული ხელით იწერებოდა, თითქოს ნაჩქარევად, სახელდახელოდ. მაგრამ შემდეგ აქაც გამოირჩა ჩუქურთმოვანი ხელნაწერი.

მეოთხე პრობლემა იყო ტექსტის დასურათება, ფერების გამოყენება, მინიატურებით შემკობა. ეს იყო თვალსაჩინოების ეფექტი, რომელშიც გადმოღირდა ეკლესიის კედლებიდან ფრესკები და ასე აგრძელებდნენ საეკლესიო ტრადიციას, ასე იცავდნენ სიტყვისა და სურათის შესაბამისობას.

როგორც კალიგრაფი, ისე მხატვარი პროფესიონალი უნდა ყოფილიყო, თავისი საქმის მცოდნე. სხვანაირად მათ ეკლესია თავის საქმეს არ ანდობდა.

ამიტომ მზადდებოდა ხელნაწერი და წიგნი როგორც ხელოვნების ნიმუში. ცხადია, ეს როგორც იყო. მზადდებოდა ერთი ეგზემპლარი და მას საკმაო დროს ანდობე ბდნენ.

განსხვავებით საერო ტექსტისაგან, ამ წიგნების გადაწერა-  
გამრავლებას, მათ განაწილებას თუ ოსტატთა შერჩევას ეკ-  
ლესია ხელმძღვანელობდა, ისევე როგორც ტაბართმშენებლო-  
ბას.

რომ არა ასეთი ზრუნვა და გარჯა, კულტურის ძეგლები  
აღრევე დაიღუპებოდა.

XII-XIII საუკუნეებშიც გრძელდებოდა წიგნების გადაწერა  
და გამრავლება, მაგრამ არა ძველებური ინტენსივობით.

ეს პროცესი ისევე შენელდა, როგორც ტაბართმშენებლო-  
ბა.

ამ დროს გადაწერილი ალავერდის, ჯრუჭის (II), ლარგვი-  
სის, მოქვის თთხთავები გამოირჩევა კახონიკური სიუჟეტების  
ორიგინალური წარმოდგენითა და ფერადოვნებით. მაგ., დღე  
განკითხვისა და ეგვიპტედ ლტოლვა.

საინტერესოა გრიგოლ ნაბიანზელის ტექსტში ჩართული  
გამაფხულის სურათი (XII ს.) – აყვავებული სეები, ლომბე გა-  
დამჯდარი წმინდანი, მიწის ბარვა, კორდი, მწყემსი და სალა-  
მური, მოქვის თთხთავის (1300 წ., მხატვარ-კალიგრაფი ეფრემი,  
დამკვეთი – დანიელ მთავარებისკოპოსი) საზედაო ასოები,  
ცხოველთა, ფრინველთა, მცნარეთა ფიგურები.

აյ მისტიკურ აბსტრაქციას ცვლის ცხოვრებისეული კონკ-  
რეტიკა, ოღონდ ისევ ძველებური პირობითობით, როცა საგნე-  
ბი ისეა წარმოდგენილი, რომ რეალური კავშირი არ ჩანდეს.

ასეთივე სტილით არის შესრულებული ის 132 მინიატურა,  
რომელიც ჩართულია XIII საუკუნის ფსალმუნების (დავითნის)  
ტექსტში. დავით მეფის, გედეონის მხედრობის, იოსებ მშვენი-  
ერის თუ აბესალომის სურათები ისეთივე შთამბეჭდავია, რო-  
გორც მთის, მდინარისა თუ ბლვის ტალღების სტილიზება.

როგორც შენიშნავს შ. ამირანაშვილი, მხატვარს მინიატუ-  
რები დაუხატავს ქართული ლანდშაფტის, ეტიკეტისა და რეა-  
ლობის მიხედვით. რელიგიურ თემატიკაში შეეტანია საერო  
მხატვრობის ნიშნები, რაც ენათესავება აღმოსავლურ მინიატუ-  
რებს.

ალბათ იმიტომ, რომ ტექსტი გადააწერინა რესულანის ასულმა თამარმა (გურჯი ხათუნი), რომელიც იყო იკონის სულტანის მეუღლე.

მას საქართველოდან წაუყვანია მოძღვარი, მწიგნობარი, ოქრომჭედელი, მხატვარი.

ეს მხატვარი უნდა ყოფილიყო აინ-უდ-დოვლა, რომელსაც თამარმა დაახატვინა ჯელალ ედინ რუმის პორტრეტი.

აინ-უდ-დოვლა ამ ქრისტიანის მუსულმანური სახელია და იგი ქართველი იქნებოდა. ალბათ ის იყო დავითის მინიატურების მხატვარი, რომელმაც თავის ნამუშევრებში შეაერთა ქრისტიანული მოტივები აღმოსავლურ სფილთან.

მუსულმანი დავითის არ დაასურათებდა.

წიგნის მხატვრული გაფორმების ტრადიცია ბიბანტიაში ჩამოყალიბდა. ქართველი მხატვრები სწავლობდნენ კონსტანტინეპოლში ან ამ ქალაქიდან ჩამოჰქმნდათ მზა მინიატურები.

როგორც ვთქვით, ხელნაწერებს ამზადებდნენ უცხოეთის ქართულ მონასტრებში და იქედან აგზავნიდნენ საქართველოში ან იქვე ინახავდნენ (იხ. II წიგნში – „კულტურის ცენტრები“).

სახარების გაფორმების კანონიკაც ბიბანტიიდან გადმოიყარეს (მაგ., ჯვარი, ოთხი მახარებელი, მათი მაკურთხებელი ქრისტე, ათორმეტი დღესასწაულის სცენები).

თვეები განიმარტებოდა სიმბოლური სურათებით. მაგ., ივნისი – პურის მკა, იანვარი – ღრეობა, თებერვალი – ნაბლიანი ცეცხლის პირას.

საყოველთაოდ ცნობილია ასტროლოგიური ტრაქტატის შვილდოსანის მინიატურა: კენტავრი – ლომისტანიანი გვირგვინოსანი მშვილდ-ისარს ესვრის თავის ღრაკონად ქცეულ კუდს, რომელიც ჩაყლაპვით ემუქრება.

ეს მინიატურა გამოიყენეს „Бессознательное“-ს ოთხომეულში, როგორც ცნობიერთან არაცნობიერის კონფლიქტის ხატი.

გელათურ თოხთავში, რომელიც ათონზე გადაუწერიათ, ჩართულია 259 მინიატურა, ჯრუჭის მეორე თოხთავში – 334.

ტექსტების ილუსტრაციებში უფრო და უფრო შემოდის ცხოვრებისეული სურათები (მაგ., ჯრუჭის სახარებაში შამფურ-ზე თევზს წვავს ქალი).

151 მინიატურას შეიცავს მოქვის სახარება.

ფრესკები, მინიატურები, ლითონის პლასტიკა უკვე შეიცავს იმ ცხოვრებისეულ ნიშნებს, რაც ასე სრულად გაიშალა საერო მწერლობაში.

ბოგჯერ კალიგრაფი მხატვარიც იყო. მაგ., ჯრუჭის მეორე სახარება გადაუწერია მიქაელს და მინიატურებიც მას ჩაუხატავს. ასეთივეა უფრემი (მოქვის თოხთავი).

P.S. კალიგრაფიული ხელოვნება საოცრებამდე მიიყვანა ევროპაში გიგასის კოდექსის, ე.წ. ლუციფერის ბიბლიის გადამწერმა (XII ს.).

უბარმაბარი წიგნი დაწერილია ლათინურად და შეიცავს ძველ და ახალ აღთქმას, სამონასტრო კანონებს, სამედიცინო და ოკულტურ რჩევებს, ბიბლიის პერსონაჟთა ბიოგრაფიებს.

310 გვერდი გადაუწერია ერთი კაცს, ერთი მელნით შეცდომების გარეშე, სტამბურის მსგავსად ერთნაირი გრაფიკის ასოებით.

წიგნი ჩასმულია ხის ყდაში და იწონის 75 კვ-ს ანუ აღემატება ჩვენს გულანებს (დაცულია სტოკოლმში).

მის დამზადებას დასჭირდა 160 ვირის ტყავი.

წიგნში ჩართულია ლუციფერის ილუსტრაცია, რომელსაც მთელი გვერდი უკავია.

## სიტყვიერი ტრადიცია

იოანე პეტრიწი ნეოპლატონიზმის მეშვეობით იცავდა ქრისტიანობას, არსენ იყალთოელი სჯულისკანონს თარგმნი-

და და დოგმატიკონს ადგენდა, რომელშიც შეჰქონდა არაბი ქრისტიანის თეოდორე აბუკურის ანტიმაპტიანური სტატიები.

ქრისტიანისა და მუსულმანის პოლემიკის წარგვიდგენს ქართველი მამა ქრისტოდელე (XII ს.).

იოანე საბანისძე ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ებრძოდა მუ- ჰამედის რჯულს. ქართველი ჰაგიოგრაფები განადიდებდნენ სარკინობთაგან წამებულ ქრისტიანებს (დავითი და კონსტანტინე, მიქელ-გობრონი, არჩილ მეფე, კონსტანტი კახი).

მეფეები წერდნენ საგალობლებს (დავით IV, დემეტრე I, თამარი).

ბერები და პატრიარქები თარგმნიდნენ (მაგ., ნიკოლოზ გულაბერისძეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებელი), თარგმნიდ- ნენ კირილე ალექსანდრიილისა და ენოს დაბელის ეგზიგეტი- კურ თხზულებებს, ბასილი დიდის დოგმატიკურ ტრაქტატებს, ილაშქრებდნენ მონოფიზიტი სომხების წინააღმდეგ (ქართვე- ლებს ზეპირი პაექრობაც ჰქონდათ სომხებთან ბავრაფ IV-ის, დავითის, თამარის დროს).

არსენ ბერს, დავით აღმაშენებლის მოძღვარს, შეუდგენია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, დავითის ორი ანდერძი, გადაუმეტაფრასებია „ნინოს ცხოვრება“, უთარგმნია ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“, თეოდორე სტოდიელისა და მეო- რედ მოსკოვის გალობანი (კ. კეკელიძე).

იოანე ანჩელმა მოაჭედინა თამარის დროს ანჩისხაფი და დაწერა გალობანი ანჩისხატისანი.

კ. კეკელიძე მემად თვლის არსენ ბერს, ნიკოლოზ ქუთა- თელს, ანგონ ქუთათელს, ვინც გვირგვინი დაადგა თამარს, იოანე ანჩელს, რაც წარმოუდგენელია თითქმის ასწლოვანი ქრონოლოგიური ინტერვალის გამო.

გრძელდებოდა წმინდანთა, მახარობელთა და მოციქულთა აპოკრიფების თარგმნა, კრებულების შედგენა, როგორც ვთქვით – წიგნების გადაწერა, შემკობა და გამრავლება.

კათალოკოს ნიკოლოზ გულაბერისძეს დაუწერია „საკი-  
თხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათო-  
ლიკე ეკლესიისა“, სადაც წმ. ნინოს სახით წამოსწევდა ქალის  
ფაქტორს; შეუთხბავს საგალობლები, უთარგმნია ეგზიტიკურ-  
დოგმატიკური თხზულებანი.

კათალიკოს არსებ ბულმასიმისძეს (XIII ს.) დაუწერია სა-  
გალობლები. იგი რუსუდანის თანამედროვე ყოფილა, პეტრი-  
წის სტილის ჰიმნოგრაფი, რომელიც იცავდა საეკლესიო სქო-  
ლასტიკას.

აჭარელ აბუსერისძე ტბელსაც უწერია საგალობლები, გა-  
ნუმარტავს ასურული კვინკლოსი. მაგრამ გაცილებით საინტე-  
რესოა „სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“.

ტბელის გამოთვლებით, 1396 წელს მოხდებოდა მეორედ  
მოსვლა და ქვეყნის აღსასრული დადგებოდა.

პეტრე გელათიელს განმეორებით უთარგმნია იოანე სინე-  
ლის კლემაქსი (XIII ს.), მაკარი მესხს – იოანე რუფუსის „პეტრე  
ქართველის ცხოვრება“ ასურულიდან, რომელიც შემდეგ გა-  
დააკეთა პავლე დეკანოზმა (აკ. გაწერელია).

საეკლესიო მწერლობა განუხრელად იცავდა მართლმადი-  
დებლურ ორთოდოქსიასა და სქოლასტიკას, უფლის რწმენით  
ბრძიდა ახალ თაობებს, ებრძოდა მოძალებულ მუპამედის  
რჯულს.

XII საუკუნეში დაუწერიათ „დავით და კონსტანტინეს  
მარტინობა“, XIII-ში, ჯვარის მონასტერში – „ცხოვრებად  
წმიდისა ლუკა იერუსალიმელისა“, XIV-ში – „ცხოვრება წმი-  
დისა ნიკოლოზ დვალისა“.

ლუკა იყო მუხა აბაშიძის შვილი, ერთხანს – ჯვარის მო-  
ნასტრის წინამძღვარი. მას არაბებმა თავი წარკვეთეს და  
ცეცხლში დაწვეს – მონასტრის დაცვის გამო.

ორივე ტექსტი სვინაქსარული რედაქციითაა მოღწეული (კ.  
კეკელიძე).

XII საუკუნეშიც გაუგრძელებიათ კიმენური ტექსტების მეტაფრასირება. მაგ., შიო მღვიმელის ცხოვრება, სერაპიონ ზარბელის ცხოვრება, არსენ ბერის ნინოს ცხოვრება, თეოფილე ხუცეს-მონაბონის ილარიონ ქართველის ცხოვრება.

როგორც ვთქვით, XIII საუკუნეს განეკუთვნება ბორენას ერთსტროფიანი იამბიკო ღვთისმშობლისადმი („რომელმაც ეგე ეგას მიუტდე ვალი“).

საეკლესიო ქადაგებანი, ენკომიები და ეპიტაფიები სტენოგრაფების მიერ იწერებოდა ან თავად ავტორები ადგენდნენ და აფორმებდნენ, რათა მრევლის დამოძღვრა იოლად შესძლებოდათ.

X საუკუნეში გამოჩენილი პომილეგიკოსი იყო იოანე ბოლნელი, რომლის 12 ქადაგება გამოსცა მოსე ჯანაშვილმა.

დიდი სჯულისკანონის გარდა უთარგმნიათ სხვა საეკლესიო პრაქტიკული მოთხოვნების ტექსტები (მაგ., მარხვათა შესახებ).

საერო სამართალთან ერთად მოქმედებდა საეკლესიო სამართალი, რაც სჯულისკანონიდან გამომდინარე, ეფუძნებოდა ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს (მაგ., რუსურბნისის კრების „ძეგლის-წერა“).

მოგვიანებით შეადგინეს „საკათალიკოზო კანონები“ (XVI ს.).

ლიტურგიულ პრაქტიკაში კანონიკურად ითვლებოდა გორგი მთაწმინდელის თარგმნილი „კურთხევანი“, რომელიც შეიცავს 126 სტატიას.

ქართული ცნობილერების საყრდენი ისევ იყო სახარება, ქრისტეს რწმენა, ეკლესია, საეკლესიო დღესასწაულები.

ამ დოკუმენტების საპირისპიროდ უცებ მოევლინა ქართველობას „ამირანდარეჯანიანი“, „გისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „დილარგეთიანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „ქართლის ცხოვრება“, „ქილილა და დამანა“, შესაძლოა – „ლეილმაჯნენიანიც“.

მხოლოდ ხორციელობის აპოლოგია როდი გამოიწვევდა ღვთისმოსავთა შეცბუნებას, არამედ ისიც, რომ მეხოფბეთა მიერ გაღმერთებულია მეფე თამარი – მიწიერი არსება, რომ საერო წიგნების პერსონაჟები არიან ქრისტიანობისა და სამშობლოს მტერი მუსულმანები, რომ სამოქმედო სივრცეა არა ბიბანგია, არამედ – აღმოსავლეთი, რომ ვრცელდებოდა სიცოცხლის, რომანტიკისა და პერიოკის დამამკვიდრებელი იდეები და მოტივები.

ქართული კულტურის განყოფასა და პროგრესს წერტილი დაუსვა მონღოლთა ბატონობის ასწლეულმა.

აღმაფრენას მოჰყვა დეპრესია, პროგრესს – რეგრესი.

## **IV. ორიენტირისა და სტიმულის დაკარგვა: სამასწლოვანი კრიზისი**

### **1. სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა (XIII ს-ის 20-30-იანი წლები)**

შეიძლებათობიერი თამარ მეფის ნააღმდევი სიკედილით (1210 თუ 1212 წ.) დასრულდა აღმავლობის პროცესი, რაც დაიწყო VIII საუკუნის ბოლოდან – ითანე საბანისძის, გრიგოლ ხანძთელისა და აშოთ კურაპალატის, ტაძრის უჩინო მაშნებლების, მთარგმნელების და კალიგრაფების, მღვდელმთავართა მიერ.

მწვერვალი აღმოჩნდა XIII საუკუნის 10-იანი წლები. ქართველთა რეგრესს მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი – ჩვენ ვაბრალებთ დამარცხებას ჯებე-სუბუდაისთან და ჯალალედინთან ანუ საგარეო აგრესიას.

ამ აგრესიამ მხოლოდ გამოააშკარავა შინაგანი, ფარული კრიზისი, რომელსაც შეეპყრო სამოგადოების ფენები.

ცხადია, გიორგი ლაშას ფაქტორიც მნიშვნელოვანია.

რაც უნდა ვამართლოთ იგი, რომ თითქოს ძველ თაობას უპირისპირდებოდა, რომ თავისუფლებას მიეღინდოდა, ფაქტია, რომ ვერ შეინარჩუნა სამხედრო ძლიერება.

(მაგ., 2014 წელს ტრაპიზონის იმპერია იკონის სულტანის ვასალი აღმოჩნდა)

მას არ უცდია ახალი დიდი ლაშქრობა, არ დაუწყია არც რეფორმა. მეფობის ცხრა თუ თორმეფი წლის განმავლობაში, ვიდრე გამოჩნდებოდნენ მონდოლები, ეწეოდა არა თავდადებული მეფის, არამედ – თავისუფალი მოქალაქის ცხოვრებას, რომელიც მონაწილეობდა ლოკალურ ბრძოლებში.

ველისციხელი ქალის სასახლეში მიყვანა, რინდებთან დროსგარება, რაც მისთვის ტრაგიკულად დამთავრდა, უარი

ცოლის შერთვაზე, დაპირისპირება დიდებულებთან არ იყო მეფური საქციელი.

ასე შეიძლება ეცხოვრა კულტურშემოქმედს. მაგრამ არა სახელმწიფოს მეთაურს. მაშინ პირველი პირის ქცევა, მოქმედ ება, შეხედულებანი განსაზღვრავდა ქვეყნის მდგომარეობას.

მეფის თავისუფლება გადაეცა მასებსაც. ისინიც მიეჩვივნენ განცხრომით ცხოვრებას. თითქოს მტერი არ ჩანდა და არც იყო საჭირო მუდმივი მობილიზება და მზადყოფნა.

„განძღვს და იშუებდეს, უწესოებად მიღრკეს სიძვათა და მთვრალობათა შინა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ბედა არა ყოფის ღირსნი და აწ კარსა ბედა მყოფნი“ (კამთააღმწერელი. პ. მურადიანისა და კ. გრიგოლიას აზრით, იგი იყო აწყურის ეპისკოპოსი – მაწყვერელი).

ეფყობა, სამეფო კარს ბენდოვანი წარმოდგენა ჰქონდა აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებზე, ხორებმელებისა და მონღოლების ბრძოლებზე.

ბოგი წერს, ქართველებს მონღოლები ქრისტიანები ევონათო. ეს არ იყო ტყუილი. მონღოლების ტომების ერთი ნაწილი (მაგ., კერაიგები და ნაიმანები) იყვნენ ნესტორიანელი ქრისტიანები. ქრისტიანი ცოლები ჰყავდათ ჩინგიზ ყავნის ვაჟებს.

ჰულაგუ ყაენს, ჩინგიზის შვილიშვილს, დედა და ორი ცოლი ჰყავდა ქრისტიანი.

როცა ბაღდადი აიღეს, მისი ბრძანებით ხელი არ ახლეს ეკლესიებსა და ქრისტიანებს, თუმცა ქალაქს 17 დღე ძარცვავდნენ.

მონღოლთა მთავარი ღმერთი კი იყო მარადიული ბეცა – თენგრი, რაც წამოჰყვათ აღფას (თურქ. – მონღ. – ოქროსი) მთებიდან და კერულენის ნაპირებიდან.

ასევე სცნობდნენ სულებსა და მიწის ღვთაებას, შამანების მაგიურ ძალას.

ჩინგიზ ყაენმა ყველა რელიგიას თავისუფლება მიანიჭა, რაც იყო სახელმწიფო პოლიტიკის.

კანონს ემორჩილებოდა ყველა, მათ შორის – ყაენიც. ყაენს ყურულთაი ირჩევდა (ჯ. უებერფორდი).

60 წლის თემუჩინი უბარმაბარ იმპერიას ფლობდა – სისხლით და ბრძოლით გააერთიანა მონღოლთა ტომები, დაიპყრო ცენტრალური და შეა აზია, 1214 წელს აიღო პეკინი, გაანადგურა ხორებმი არნახული სისასტიკით.

თავად ჩინგიბს სხაგდა ფუფუნება, ცხოვრობდა სადად და უბრალოდ. თავის წარმატებების მიზებად მზერთა უნიათობას და მარადიული ბეცის წყალობას მიიჩნევდა.

„რაიმე განსაკუთრებული ნიჭით არ გამოვირჩევი“ – ამბობდა იგი.

აგიაში ერთბაშად იშვა უდიდესი და უძლიერესი იმპერია.

ქართველები ასეთ დროს დებულობდნენ დამარცხებული ჯვაროსნების წინადაღებას და ემზადებოდნენ სალაშქროდ მათ დასახმარებლად. ლეგენდაც კი ვრცელდებოდა ისევ ძლევამოსილ პრესვიტერზე, რომელიც ინდოეთიდან მოემართებოდა.

შეიძლება აქ ძველ ლეგენდას ჩაეხლართა ჩინგის ყაენისა და გიორგი ლაშას სახელები, როგორც ჯვაროსანთა მხსნელნი მუსულმანთაგან.

პოლიტიკური რეალობა არასწორად იქნა შეფასებული. ეს არ იყო მხოლოდ მეფის ბრალი. ელიტაც თვითდამშვიდებას შეეცყრო.

6. ბერძენიშვილის აზრი, რომ თითქოს გიორგი ლაშა ხელისუფლების ცენტრალიზებას ცდილობდა და ეს იწვევდა კონფლიქტს, სწორი არ უნდა იყოს. იგი იქცეოდა თვითნებურად და ეს არ მოსწონდათ დიდებულებს, სამეფო კარს, სარდლებს, რის გამოც არაერთხელ ბოდიშიც მოიხადა.

ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა ულტიმატუმიც კი წაუყენეს თუ ბოროტ კაცთაგან არ განდგებოდა, ისინი მეფეს არ დაიცავდნენ, გვერდით არ დაუდევებოდნენ.

გიორგი ლაშა გულადი და მამაცი მეომარი იყო, მაგრამ არ ჰქონდა დავით აღმაშენებლისებური სახელმწიფოებრივი

აზროვნება და ასკეტიზმი. განცხრომა, ნებიერი ცხოვრება და თვითნებური ქცევა ერჩია სავალდებულო ეტიკეტის დაცვას.

არც ახალი, ძლიერი იდეა პქონდა ვინმეს, რითაც შემოიკრებდა ზედაფუნასა და მასებს. თითქოს ასეთი რამ გაჩნდა ჯვაროსნებისადმი დამარცხების სახით. მაგრამ ეს იყო რომანტიკული იღუზია, ისევე როგორც თამარისდროინდელი მესიანიზმი, და ვერ ითვალისწინებდა აღმოსავლეთში წარმოქმნილ სიტუაციას, საშინელ საფრთხეს.

მონღოლები კი მოიწევდნენ. მათ განდევნეს მუჰამედი, გაანადგურეს ხორებმი, დამარცხეს მისი მამაცი ძე ჯალალ-ედინი. ხორებმშაპის მდევარი სამი დუმანი (30 000 მეომარი) ჯებეს, სუბუდაისა და თოლაჩარის სარდლობით საქართველოს მოადგა.

მონღოლები 1219 წელს შეიჭრნენ ხორებმის ტერიტორიაზე, ხოლო აზერბაიჯანში გამოჩნდნენ 1220 წლის დეკემბერში.

შეიძლება დროის ამ მოკლე მანძილზე ქართველებს ვერც გაეკარი რა მოხდა აღმოსავლეთში. ამიტომ უძლეველი მონღოლების წინააღმდეგ გამოიყვანეს მხოლოდ 10 000 მებრძოლი.

ცხადია, დამარცხდნენ, დამარცხდნენ ერთი თვის შემდეგაც, იანვრის თვეში.

მთავარი, მესამე ბრძოლა მოხდა ხუნანის ველზე, 1221 წელს დეკემბრის თვეში.

გიორგი ლაშამ გამოყვანა 60 000 მეომარი.

ქართველთა ჯარის ნახევარი გაწყდა – დაიღუპა 30 000 მებრძოლი. დაიჭრა გიორგიც და ალბათ ამ ჭრილობის მიზეზით გარდაიცვალა ერთ თვეში, 18 იანვარს.

შემდეგ ქეყეანას მართავდა რუსუდანი, ჯარს მიუძღვდა ივანე ათაბაგი (მხარგრძელი). ამ დროს ქართველები ყიფჩა-დებთანაც დამარცხებულან, თუმცა რევანში მალე აუდიათ.

შემდეგ გაძარვეს ქალაქი ბელაპანი. მაგრამ დამარცხდნენ სომხეთში, ციხე-სიმაგრე სურმართან და ვერც განხა აიღეს.

ქართველთა სამგბისი წაგება მონღოლებთან, რაც რუსუდანმა გამარჯვებად მონათლა, რაკი მაშინ მონღოლები არ

შემოსულან საქართველოში და შემახა-დარუბანდის დარბევის შემდეგ გადავიდნენ კავკასიონის მიღმა, სავსებით ბუნებრივი იყო.

ქართველი მოლაშქრენი ვერ შეეღრებოდნენ ცხენზე გაზრდილ მონღოლებს, ქართველი სარდლები – ჯებესა და სუბუდაის, რომელმაც შემდეგაც მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი.

ისინი უებრო მოისარნი იყვნენ, ასევე შეუდარებელნი – მანევრირების დროს. ომში ებმებოდნენ ორი ცხენით.

ჭამდნენ ყველაფერს, რისი დაღეჭვაც შეიძლებოდა, როგორც წერს ერთი ფრანცისკანელი ბერი.

პურის გემო არ იცოდნენ. ცხვარი, თევზეული, ცხენის ხორცი და კუმისი იყო მათი მთავარი საკვები.

შიმშილობის დროს ცხენს ფეხის ძარღვს უხსნიდნენ და სისხლს სვამდნენ. ცხვრის ხორცსაც თითქმის უმაღლდნენ, რომელსაც უნაგირქვეშ ინახავდნენ.

ბრძოლის დროს იცოდნენ ჩასაფრება, მოულოდნელი უკუქცევა და უეცარი შემობრუნება.

ჰყავდათ ოთხი გამორჩეული სარდალი – ჯებე, სუბუდაი, ყუბილაი და ჯელმე, როგორც ამბობდნენ ჩინგიზი და ჯამუხა – ოთხი ქოფაკი, კაცის ხორცით გამოკვებილი.

ირთავდნენ გარდაცვლილი მამის ცოლებსაც, გარდა საკუთარი დედისა.

მონღოლებმა ჩინეთსა და ხორებმში ლაშქრობით იშოვეს და აითვისეს საბრძოლო ტექნიკა, ჩამოიყვანეს მრავალი ხელოსანი, ჩამოაყალიბეს დისციპლინირებული, მკაცრად რეგულირებული ცხენოსანი ჯარი, ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა.

თავიანთ გზაზე ანგრევდნენ და სპოდნენ ყველაფერს, იბრალებდნენ მხოლოდ მათ, ვინც უომრად ნებდებოდა (მაგ., ჰერათში მოკლეს 1 600 000 კაცი).

ნიშაბურთან ბრძოლაში ისრით განგმირეს ჩინგიზ ყაენის სიძე. საპასუხოდ მისი ქალიშვილის ბრძანებით მოსპეს ყველა მოქალაქე, ყოველი სულდგმული – ძაღლი და კატაც კი.

დაღუპულთა რიცხვმა 1 750 000-ს მიაღწია.

ბამიანის ველზე მოკლეს ჩინგიზის შვილიშვილი, ჩაღაფას ძე. ყაენის ბრძანებით აქაც დახოცეს ყველა მოქალაქე.

ხორებმის შაჰს ორჯერ მეტი მეომარი ჰყავდა, მაგრამ ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, მხოლოდ მისი ძე ჯალალ ედინი აგრძელებდა შეუპოვარ ბრძოლას.

ალბათ ქართველთა ჯარის ძირითადი ნაწილი უკვე დაღუპული იყო მონღოლებთან და ყივჩაღებთან ომებში, როცა გამოჩნდა დევნილი ჯალალ-ედინი.

ბრძოლა გაიმართა სომხეთის ტერიტორიაზე, სოფელ გარნისთან, 1225 წლის აგვისტოში.

ივანე ათაბაგი, რომელიც უკვე ხანდაგმული ყოფილა, როგორც სარდალი, ვერ შეედრებოდა ახალგაზრდა ჯალალ-ედინს, ვინც ჩამოყალიბდა მონღოლებთან სასტიკ ომებში და ზოგჯერ ამარცხებდა მათ კიდეც (მაგ., ქაბულთან, ისპაჰანთან).

ქართველებს ჰყოლიათ 60 თუ 30 ათასი მეომარი, ჯალალ-ედინს – 100 000-მდე.

ხორებმელებმა ისარგებლეს ქართველთა ლოდინით, ყოყმანითა და დაუდევრობით. უეცრად დაესხნენ თავს და დახოცეს 20 000 მეომარი. ქართველებმა დაკარგეს ორი სარდალიც – ივანე და შალვა ახალციხელები.

შემდეგ დალაცით აიღეს ტყილისი და სასტიკად დაარბიეს ქალაქი, წაიღეს მთელი ქონება, რაც ასი წლის მანძილზე იყო დაგროვილი.

რუსუდანის ქმარი – მოღის ედინი, რუმის სულთანის ვაჟი, რომლისგანაც დედოფალს შეეძინა თამარი და დავითი, ჯალალ-ედინს ეახლა და ისევ გამუსულმანდა.

შემდეგ ჯალალ-ედინსაც უღალაფა და კვლავ მოიქცა ქრისტეს რჯულზე!

ქართველები მესამეჯერაც დამარცხდნენ ბოლნისთან გამართულ ბრძოლაში, ამჯერად ყივჩაღთა ღალაგის მიზებით.

ჩვენს წინაპრებს არც ჯალალ-ედინის დამარცხების შანსი ჰქონდათ. მასაც თავგანწირული მეომრები ჰყავდა და თან – რიცხობრივად გაცილებით მეტნი.

გარნისთან ივანე ათაბაგს უწევდა განახევრებული ლაშქრით ომი; ტფილისი ღალატით დაეცა; ბოლნისთან კოალიციური ლაშქარი გამოვიდა, რომელიც ბრძოლის წინ დატოვეს ყივჩაღებმა.

ქართველთა საბრძოლო რესურსი ამდენი დამარცხების შედეგად წლიდან წლამდე ილეოდა. მეტი მობილიზება ქვეყანას არ შეეძლო. მარცხს ახლდა სალაშქრო ცხენებისა და საბრძოლო იარაღის დაკარგვა, შიშის გრძნობა, საომარი სულისკვეთების დაქვეითება, ჯარის შემცირება.

როცა ჩინგიზ ხანი შეესია ხორებშის, მან 15 წლიდან 60 წლამდე ყველა მამაკაცის მობილიზება გამოაცხადა. ასე შეკრიბეს 200 000 მეომარი.

ეს იმას ნიშნავდა, რომ მონღოლი ტომები მამაკაცებისაგან დაიცალა, რადგან ყოველი მონღოლი მეომარი იყო, როგორც მომთაბარე, მკვიდრი ცხოვრების არმცოდნე.

ისინი არ იყვნენ მიწის მუშაკი ან ხელოსნები, არ ჰქონდათ ქალაქები, სახლები, ებო და მიწა. წერა-კითხვა ჩინგიზ ხანმაც კი არ იცოდა.

მათი სახლი იურტა (კარავი) იყო, რომელსაც სწრაფად აშლილნენ და ცხენებით და ფორნებით გარბოლნენ დედა-წულიანად.

რიცხვმრავალი ქართველობა ასეთი წესით არ ცხოვრობდა და და პროფესიონალი მეომრებიც ცოტა დარჩა.

სახელდახელოდ წვეული ლაშქარი კი ვერ უმკლავდებოდა ჯალალ-ედინისა და ჩინგის ყაენის მებრძოლებს, მათ ბარბაროსულ სისასტიკეს და გამბლეობას.

გარდა ამისა, ქვეყანას არ ჰყავდა ღირსეული სარდალი, დავით სოსლანისა და ბაქარია მხარეების მსგავსი.

დასრულდა ხუთსაუკუნოვანი აღმასვლის პროცესი.

ხვარაგმშას ძე მალე დაიღუპა. მაგრამ ახლა კავკასიისა-კენ მოიწევდნენ უგედეის – ჩინგიზ ხანის ვაჟის, ახალი ყაენის დუმანები ჩორმალანის სარდლობით.

ისინი იბრძოდნენ ქვეყნიერების ოთხივე მიმართულებით და ყველგან წარმატებით.

1235 წლიდან, მცირე შეტაკებების შემდეგ, მონღოლთა სელში გადავიდა საქართველოს ციხე-ქალაქები.

დაიწყო ყვითელი რასის ბატონობის ასწლეული.

გენერალური ბრძოლა არ გამართულა. ეს უკვე აღარც შეეძლოთ ქართველებს, რომც მოენდომებინათ, მაგრამ არც ასეთ დაპირისპირებას ექნებოდა აზრი.

სჯობდა ის, რაც მოხდა – ქვეყანა ნაკლები სისხლისა და ნგრევის ფასად ჩაბარდა მონღოლებს.

ასე შეინარჩუნეს ავტონომიური მმართველობა, სამეფო დინასტია და მმართველობის სტუქტურა, მოსახლეობა, ეკონომიკა, რელიგია, თუმცა უნდა ეხადათ ხარკი (50 000 პერპერა) და მიეღოთ მონაწილეობა მონღოლთა დაუსრულებელ ომებში (ცხრა კომლიდან ერთი მამაკაცი, სულ – 90 000 მეომარი).

ნგრევისა და სისხლისღვრის არც შემდეგ ჰქონია დიდი მასშტაბი (შდრ – სფალინის მიერ ტოტალური მობილიზება, რეპრესიები და ტერიტორიების დაკარგვა).

თითქოს ქვეყანას შეეძლო კულტურის განვითარება. მაგრამ რატომდაც ეს არ მოხდა. პოლიტიკურმა მარცხმა კულტურასაც დამბლა დასცა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა რეგრესი და დეპრესია, რაც გაგრძელდა მთელი სამასი წელი.

ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მონღოლები განსხვავებით არაბთა და სპარსთაგან, არ იყვნენ კულტურშემოქმედნი. ისინი არ ქმნიდნენ, მხოლოდ იპყრობდნენ და ანგრევდნენ. ქართველები კი ამთვისებლები იყვნენ.

არაბების მსგავსად, მხოლოდ მოგვიანებით, როცა დაასრულეს დაპყრობითი ომები, დაიწყეს ცივილიზაციურ მონაპო-

ვართა გათავისება (მაგ., ჩინგის ხანის შვილიშვილმა ყუბილა-იმ, ჩინეთის იმპერატორმა, იუანის დინასტიის ფუძემდებელმა).

მონღოლთაგან შეუთვისებიათ ქართველებს ცალკეული სიტყვები – ულუსი, დუმანი, ყურულთაი, იურტა, ულუ (დიდი, უფროსი), ნარინი (თხელი, უმცროსი), ურდო, ურუხი (გვარი, სულხან-საბა – ხვასტაგთ გვარი), ნოინი, ნუქერი, ხანი, ყაჯი, დამდა, ქეშიკი (მცველი), სიბა, ჯამაგირი, ულუფა, ელჩი, ულა-ყი...

ქართული სახელმწიფო ჩაერთო მონღოლურ სტრუქტურა-ში, ბრძოლებსა და ინტრიგებში. დამპყრობელი არ სდევნიდა ქრისტიანობას, ეკლესიას, ქართულ ენას, ქართულ ადათ-წე-სებს, იცავდა ბაგრატიონთა დინასტიას.

## 2. სახელმწიფოსა და კულტურის დაშლა

ეამთააღმწერელი შენიშნავს, მონღოლებს ქართველები თათრებს ეძახდნენ, თავად კი მოღოლად იწოდებოდნენ („უცხოენა, უცხოსახე, უცხოცხორება“, „კაცნი ვინმე საკვირ-ველნი“).

აღმოსავლეთი საქართველო იოლად, თითქმის უბრძოლ-ველად დაიმორჩილეს. დასავლეთში კი არ გადასულან.

მონღოლებმა სათარეშოდ და საძოვრებად აქციეს ქართუ-ლი ტერიტორია თავიანთი ულუსისა და ჯოგებისათვის.

რუსუდანმა დახმარება სთხოვა რომის პაპს. მაგრამ უარი მიიღო.

1242 წელს დედოფალი დაუბავდა მონღოლებს: ერთი მხრივ – ბათო ყაენს, მეორე მხრივ – აღვილობრივ მთავარ-სარდალს.

როგორც ვთქვით, ქართველებს დაეკისრა ხარაჯის გადახ-და და ჯარის გამოყვანა მონღოლთა დაპყრობითი ომებისათ-ვის.

რუსუდანი ტფილისში გადმოვიდა, მისი ძე დავითი (ნარინი) კი ჯერ რუსეთში ბათო ყაენთან, შემდეგ – ყარაყორუქში გაგზავნეს მანგუ ყაენთან დასამტკიცებლად.

საქართველო ოვა დუმნად დაიყო.

მათ ქართველი ფეოდალები მეთაურობდნენ, რომლებიც მონღოლ ნიონებს დაუმორჩილეს.

მონღოლები დაუსრულებელ ომებში იყვნენ გახვეული. ქართველებიც მუდმივად ლაშქარში იყვნენ. გარდა მსხვერპლისა, ქვეყანა დაუცველი იყო. ეს შენიშნეს თურქებმა და ორჯერ ააოხრეს სამხრეთი საქართველო.

მამაკაცთა 20% ყოველწლიურად საომრად გაპყავდათ.

უკმაყოფილო ფეოდალებმა სცადეს შეთქმულება, რაც მარცხით დასრულდა. შეთქმულნი დაღუპვისაგან იხსნა ცოგნე დადიანის სიცრუემ და თავდადებამ (1246 წ.).

მონღოლებს ვერ წარმოედგენათ ასეთი მტკიცე ტყუილი და შეთქმულები გაანთავისუფლეს.

ამავე პერიოდში გარდაიცვალა რუსუდანი და ყარაყორუქში ქართველთა მეფებად დაამტკიცეს დავით რუსუდანის ძე (ნარინი) დასავლეთში და დავით გიორგის ძე (ულუ) – აღმოსავლეთში.

დავით ულუმ ურდოში ცოლად შეირთო მონღოლი ჯიგდა ხათუნი, რომელიც მალე გარდაიცვალა. შემდეგი ცოლები იყვნენ თის ალთუნი, გეანცა – ავაგ ათაბაგის ქვრივი, კახაბერ რაჭის ერისთავის ასული.

და ბოლოს – მონღოლი ესუქანი.

გვანცასთან შეეძინა დემერკე, თავდადებულად წოდებული.

1254 წელს მონღოლებმა აღწერეს საქართველო. დაბეგრეს თითქმის ყველაფერი, მაგრამ გაათავისუფლეს დვთისმსახურები, მოხუცები, ქალები და ბავშვები.

გადასახადებს ქართველებმა „სათათრო“ შეარქვეს.

არსებობდა 14 სახის გადასახადი.

1295 წელს, მას შემდეგ, რაც ჰულაგუს შთამომავლებმა ის-ლამი მიიღეს, დაწესდა არამესულმანთათვის სულადი გადასახადი ჯიბია (მალე გააუქმეს).

როგორც ვარაუდობენ, მაშინ საქართველოს მოსახლეობა ხუთ მლნ-ს შეადგენდა (გამომდინარე მონდოლთა აღწერიდან).

შემდეგ გადასახადები ბუსფლებოდა, ემატებოდა, თორებ არაფერი აკლდებოდა. თავს იჩენდა კორუფციაც, მოხელეთა თვითნებობა.

დავით ულუ შვიდი წელი იბრძოდა თავისი ჯარით ალა-მუთიან, ბალდადთან, ეგვიპტის წინააღმდეგ, რაც მარცხით დასრულდა. იდგა სიბასთან, დარუბანდში, რასაც გადაჰყვა კოდეც.

სხვებთან ერთად ქართველებიც ძარცვავდნენ უმდიდრეს ბაღდაცს, ხალიფას საბრძანისს, ძარცვავდნენ ერბინკსა და რუმს.

როგორც აღნიშნავს ქამთააღმწერელი, ქართველებმაც იშოვეს უამრავი ოქრო და ვერცხლი, ლარი და სამოსელი, ცხენი და აქლემი.

თავად ქართველები ითხოვდნენ, რომ ომში მეწინავენი ყოფილიყვნენ.

საერთოდ მთელი ძალით იბრძონენ მაშინ, როცა მფარველი ან მბრძანებელი ეგულებოდათ, რაც მათ მხნეობასა და აღმაფრენას ჰმაგებდა (მდრ – ქართველი მამლუქები, ქართველთა ბრძოლა ოსმალეთის, ირანის, რუსეთის, საბჭოეთის იმპერიების განსაღიძებლად).

დავბრუნდეთ XIII საუკუნეში.

ომებს დიდი მსხვერპლი მოსდევდა და ეს იწვევდა მოსახლეობისა და დიდებულების უკმაყოფილებას.

1259 წელს დავით ნარინი აუჯანყდა მონღოლებს, 1260 წელს – დავით ულუ.

დავით ულუს მხოლოდ 8 000 მეომარი ჰყავდა (სარდალი სარგის ჯაყელი), მონღოლებს – 20 000, რომელთაც შველდნენ ქართველი მთავრებიც.

მეამბოხები დამარცხდნენ.

არღუნ-აღამ შეიპყრო გვანცა დედოფალი და დემეტრე. დედოფალი ოქროს ურდოში გააგზავნა. იქ გვანცა ბლვაში ჩა-ახრჩვეს.

მოკლეს ამირსპასალარი ბაქარიაც.

უმეფოდ დარჩენილ აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიუ-რად სომეხი დიდვაჭარი შადინი განაგებდა.

დავითი შეურიგდა მონძოლებს, რომლებმაც იგი სარგის ჯაყელთან ერთად გაგზავნეს ჰულაგუ ყაენთან.

იქ სიკვდილი ელოდათ. მაგრამ ამ დროს ჩრდილოეთიდან გადმოვიდა ბერქა ყაენი და ჰულაგუმ ქართულ ლაშქართან ერთად გვერდით დაიყენა ორივე ბრალდებული.

ამის შემდეგაც ქართველებს მუდმივად უხდებოდათ ხარ-კის გადახდა, ომებსა და ინგრიგებში მონაწილეობა, რასაც შე-ეწირა დემეტრე II-ის სიცოცხლე.

მონძოლური ცხოვრების წესი ნელ- ნელა მკვიდრდებოდა (მაგ., დემეტრე II-ს სამი ცოლი ჰყავდა, ასევე – სადუნ მანკა-ბერდელს. დავით ულუმ ცოლი მეოთხედ შეირთო. დიდებულები შვილებს მონძოლურ სახელებს არქმევდნენ – ხუთლუ, აღბუდა, სადუნი, ბაადური, ჯვებე, ბექა).

მონძოლითა ურდომ საძოვრებად, საბამთრო და საბაფხუ-ლო ყიშლადებად აქცია ამიერკავკასიის ტერიტორია, სადაც გადაბადილდებოდა მათი ულუსი.

მიწებს ეუფლებოდნენ სპარსელები, სომხები და ებრაე-ლები.

მდიდრდებოდა ეკლესია, რომელიც დროდადრო მეფესაც ედავებოდა, რაკი ყაენს მიეცა დაცვის იერლაყი (სიგელი).

თითქმის შეწყდა ეკლესიათმშენებლობა.

მთავრები და დიდებულები ცალ-ცალკე ამყარებდნენ კავ-შირს დამპყრობლებთან, სამფლობელოს იფართოებდნენ, ცდი-ლობდნენ რეალური ძალაუფლების მოპოვებას ან მეფისაგან განრიცებას (მაგ., ერგასლან ბაკურციხელი, ელიგუმ თრბელი,

მესტუმრე ჯიქური, თორლვა პანკელი, სარგის ჯაყელი, სადუნ მანკაბერდელი).

ფორმალურად საქართველო მონდოლთა ვასალი ქვეყანა იყო. მაგრამ რეალურად მეფეს არავითარი მოქმედების საშუალება არ ჰქონდა, არც სავაზიროს.

მეფეებიც ჩართული აღმოჩნდნენ მონდოლთა კონფლიქტებსა, ინტრიგებსა და შიდაომებში. მაგ., ოქროს ურდოს ყაენ ბერქასთან ბრძოლებში, რომელიც საქართველოშიც შემოიჭრა, დაანგრია და მოსპო ქალაქები – უფლისციხე, რუსთავი, ხორნაბუჯი, ხუნანი.

თვალდაც აქ გარდაიცვალა – გარეჯის მთებში.

შემდეგ უფლისწულმა თეგვედარმა ილაშქრა დიდი ჯარით, დედაწულიანად, ცხენების რემითა და ცხვრების ფარათი, ჰულაგიანთა შესამუსრად; გაძარცვა შავშეთ-კლარჯეთი და აჭარა (განძეულობით დაუტვირთავთ 300 აქლემი და 150 ურემი), ქართლი ააოხრა.

მაგრამ საბოლოოდ სძლია აბალა ყაენმა და დაატყვევა.

იგი უკვე მუსულმან ახმედად წოდებული, მონდოლური წესისამებრ მოკლეს ხერხემლის გადამსხვრევით.

ამ დროს მონდოლთა იმპერია თოხად იყო გაყოფილი: ჩინეთის მხარე ეკავა ყუბილას, რუსეთი – ბათოს შთამომავლებს, წინააზია – ჰულაგიანებს, ცენტრალური აზია – მანგუს მემკვიდრეებს.

ფაქტიურად მონდოლთა დახმარებით მეფისგან განაწყენებული ათაბაგი და ამირსპასალარი სარგის ჯაყელი დამოუკიდებელი გახდა. ბალვაშების სეპარატიზმის ახალი მემკვიდრე გამოუჩნდა.

სამცხეს ჭანეთიც შეუერთდა, ტერიტორია ხასინჯუდ გამოცხადდა და უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა.

აქედან დაიწყო ამ მხარის საქართველოსგან ჩამოცილება, რაც ტრაგიკულად დასრულდა მომდევნო საუკუნეებში.

ასეთი შედეგი მოჰყვა დავით ულუს ეჭვიანობასა და მალემრწმენობას.

ამ მიზეზით დაიღუპნენ მესტუმრე ჯიქური და ბასილ მწიგნობართუხუცესი. დაპატიმრებულ სარგისსაც სიკვდილი ელოდა, მონღოლთა ყაენს რომ არ ეშველა.

ბექა სარგისის ძეს შეუდგენია ახალი სამართლის კანონები – „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“, რაც გააგრძელა აღბუღამ.

როცა მეფემ, დავით დემეტრეს ძემ, ბექა ჯაყელი ტფილისს მოიხმო, განდიდებულმა მთავარმა მეფის ბრძანება ყურად არ იღო.

ინგრიგებში მონაწილეობდა დავით ნარინიც, რაკი დასავლეთ საქართველოში არ იყვნენ მონღოლები. იგი უკავშირდებოდა ეგვიპტის სულთანს და მასპინძლობდა ოქროს ურდოს უფლისწულ თეგუდარს; კარგი ურთიერთობა პქონდა ტრაპიზონის სამეფოსთან, თუმცა შემდეგ ომი მოჟედა.

ამის გამო ქართველთა დახმარებით მონღოლებმა სამჯერ სცადეს ნარინის შეპყრობა, სამივეჯერ – წარუმატებლად (მოთავე კახაბერ კახაბერიძეს თვალები ამოსწვეს, ცალი ხელ-ფეხი მოკვეთეს, შვილები ქვეყნიდან გაასახლეს).

საქართველო უკვე სამ ნაწილად იყო გაყოფილი.

დავით ულუს შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველი იყო სადუნ მანკაბერდელი (დემეტრეს არასრულწლოვანების გამო), მხარგრძელების ყოფილი ყმა-აბნაური, რომლის ძესთან კონფლიქტი გახდა დემეტრე II-ის (თავდადებულის) დაღუპვის მიზეზი.

სადუნის ერთ-ერთ ცოლად პყავდა დემეტრეს და თამარი, მომავალი ყაენის არღუნის რძალყოფილი.

დემეტრე სიკვდილით დასაჯეს მოვაკანში 1289 წლის 12 მარტს. მას თავი მოჰკვეთეს. დაასაფლავეს მცხეთაში.

ხუტლუ ბუღას წინადადებით (სადუნის ძე) ყაენმა მეფედ დაამტკიცა ნარინის ძე ვახტანგი და ცოლად შერთო თავისი და ოლჯათი.

უამრავი ქართველი დაიღუპა 1276, 1280, 1281 წლებში ეგვიპტესთან ომებში. მონღოლები სამივეჯერ დამარცხდნენ.

დიდი მსხვერპლი ახლდა ოქროს ურდოსთან ბრძოლებსაც, რომელიც დარუბანდიდან იჭრებოდა და განადგურებით ემუ-ქრებოდა ილხანთა სამეფოს (ბერქა ყაენი, თეგუდარი).

ყაენები სწრაფად იცვლებოდა და დამარცხებულთა მხარეს მდგომთაც სიკედილი ელოდათ.

ასე მოსპეს ჯუვეინების უძლიერესი და უმდიდრესი გვარი.

ასეთი შიდაბრძოლის შემდეგ დავით VIII-ც იხმეს ილხანებმა. მან არ გაიმეორა დემტერეს შეცდომა და მთიულეთში გაიქცა. ურჩ მეფეს ებრძოდნენ ქართველი თავადებიც.

მონღოლებმა ააოხრეს ქართლი. მეფე მაინც ვერ შეიძყრეს. ქვეყანა განადგურდა, ხალხი დაიმშა.

ამას, მონღოლთა მოქმედებით, დაერთო მეფეთა სიმრავ-ლე, რათა დავით VIII ასე გაენეიტრალებინათ.

მეფის ჯარს კვლავ უხმეს ეგვიპტესთან საომრად, ასევე – სამცხელებს. ამჯერად სარდალი იყო ვახტანგ III.

დამასკოსთან და გილანთან ისევ გაწყდა უამრავი ქართველი, ლაშქრის 4/5.

ამ ქაოსით ისარგებლეს ოსებმა და ახლა ისინი შეესივნენ ქართლს და გორი დაიკავეს.

მათ მეთაურობდნენ ქართლში გამრდილი ფარეჯანი და ბაყათარი. ისინი მონღოლთა მხარდაჭერით მოქმედებდნენ.

მათი დედა ლიმაჩავი, ნათესავები, მოლაშქრენი, ბერქა ყაენისგან დევნილი, შეითარა და ქართლში დაასახლა დავით VII-მ.

ასე ვერაგულად მოექცნენ ოსები ქართველებს.

გახშირდა ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა, მამულში მი-ვარდნა, თავდასხმა, შურისძიება, მიცვალებულის საფლავიდან ამოთხრა, რაც კულტურული დაქვეითებისა და მხეცობისაკენ უკუქცევის ნიშანი იყო.

გავრცელდა მეკობრეობა და ქურდობაც.

მეფეს განუდგნენ მთიელები, სვანები და დვალები.

ეკლესიის ავტორიზებული ეცემოდა – „იყო მღვდელმთა-ვარი მღვდელი ლალ-ამპარგავან, ანგარ-ბოროფისმყოფელ, უწესო“.

კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი ტახტიდან გადადგა.

უფრო ადრე ბასილ მწიგნობართუხუცესი უჯარმელ-ჭყონ-დიდელი იმსხვერპლა ეკლესიის მსახურების ინტრიგებმა:

დააბრალეს, რომ თითქოს მისი საყვარელი იყო დედო-ფალი ესუქანი.

განრისხებულმა დავით ულუმ ვაბირთა უპირველესი შუა ქალაქში ძელზე დააკიდებინა.

როგორც საქართველოს ქალაქები, ასევე დაკნინდნენ ანი-სი, დვინი, ხუნანი, შამქორი, განძა, ბარდავი. მაგრამ მონოლ-თა წყალობით უკეთ იყო სამცხე, არგაანი და არგანუჯი. შემ-დევ საშინელმა მიწისძვრამ დააქცია ციხეები და საყდრები სამცხეში. დაზიანდა სვეტიცხოველიც.

საქართველოს შემოსავალი 4-ჯერ შემცირდა თამარის დროსთან შედარებით.

ასეთ პირობებში, 1314 წელს მეფედ დაამტკიცეს გიორგი V, დავით VIII-ს ძმა, დემეტრე თავდაღებულისა და ნათელა ჯა-ყელის ვაჟი.

გიორგის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ილხანებთან, კერ-ძოდ – დიდ ემირ ჩობანთან. მასთან ერთად მთელი წელი ეომებოდა აჯანყებულ ბერძნებს ანუ რუმის სულფანს.

ყაენ აბუსაიდისა და ჩობანის განკარგულებით 1317 წელს გიორგი V-ს ნება მისცეს გაერთიანებინა მთელი საქართვე-ლო სამცხესთან ერთად.

ცენტრალიზებული საქართველო სჭირდებოდათ ილხანებ-საც, რათა ითლად შესძლებოდათ მეტი სარკის აკრეფა და ჯარის გამოყვანა, რათა ასე აელაგმათ თავკერძა ფეოდალები და თვითმარქებია მეფეები.

გიორგიმ ერისთავები მოიწვია კახეთს, ცივის დარბაზო-ბაზე და ყველანი გაწყვიტა, გორიდან გააძევა ოსები და ჩაკეტა ჩრდილოეთის კარები.

დარბაზს მიაღებინა 46-მუხლიანი „ძეგლის დადების“ კანონი, რითაც დაარეგულირა მთიელებს შორის და მათთან ურთიერთობა (მაგ., მეფის მოხელე აბნაურის მკვლელობის საბლაური იყო 12 000 თეთრი, „პეროვანისათვის“ – 1 200 თეთრი).

მისივე დახმარებით მოიპოვეს ქართველებმა ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე: როგორც თვლიან სპეციალისტები, ერთ კომპლექსში ერთიანდება გოლგოთა, ქრისტეს საფლავი და აღდგომის ეკლესია.

1327 წელს აბუსაიდ ყაენმა მოაკვლევინა თავისი გამჩრდელი ჩობანი. გაულიტეს მისი შვილები და მომხრეები.

საფრთხე გიორგისაც დაემუქრა.

მეფემ ისარგებლა სიცუაციით და მონღოლთა ჯარები, ზოგი – ძალით, ზოგი – მოლაპარაკებით, გაიყვანა საქართველოდან.

ამავე დროს დაიშალა ილხანთა სახელმწიფო. იგი შეიწირა გაუთავებელმა თმებმა, შიდაბრძოლებმა, ლოთობამ და პროსტიტუციამ.

საქართველო ხარკს მაინც იხდიდა.

1336 წელს ეს ყოფილა 1 202 000 დინარი, რუსუდანის დროინდელი შემოსავლის მეოთხედი და XIII საუკუნეში დაწესებული ხარკის ნახევარი (ბ. ლომინაძე).

გიორგიმ 1329 წელს დაიკავა ქუთაისი, როცა იქ გარდაიცვალა მიქელი, ხოლო 1334 წელს – სამცხე. 1341 წელს „ლაბთა“ დახმარებით დაამხეს ტრაპიტონის ქვრივი დედოფალი და ტახტი დაიკავა მონაბონყოფილმა ანა-ხუფლუმ, რომელიც მალე დაახრჩვეს.

ანა-ხუფლუ იყო გიორგი ბრწყინვალის დეიდაშვილი, ალექსანდრე II კომნენის ასული, ბექა ჯაყელის შვილიშვილი.

მეფემ 1338 წელს განჯასთან დაამარცხა შემოჭრილი აბერბაიჯანის მმართველი ჰასან ქუჩუკი. დაიმორჩილდა რანი, ყარაბაღი და შარვანი. ასეთ წარმატებათა გამო უწოდეს გიორგის ბრწყინვალე.

ისევ დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა.

ტფილისი კვლავ ერმრავალი გახდა (ივ. ჯავახიშვილი).

დაარსდა კათოლიკური კათედრალიც.

განახლდა ქართული მონეტების მოჭრა ქართულ-არაბული წარწერით. გიორგაულის თეთრი მოჭრეს ყაბან-ყაენის მონეტის მიბაძვით (დ. კაპანაძე).

დასავლეთი საქართველოში იჭრებოდა ტრაპიზონული ვერცხლის „კიორმანეული“. მანამდე მონღოლური მონეტები მზად-დებოდა ახალციხეში, ყარალაჯში, დმანისში, ანისში.

აღდგა კონტაქტები ბიზანტიასთან, ტრაპიზონთან, ევვიპტის სულთანთან, რომის პაპთან, იერუსალიმის მონასტრებთან.

ამ დროს იწერება ქამთააღმწერელის „ასწლოვანი მაფიანე“, ასევე ანონიმის „ხელმწიფოს კარის გარიგება“, რომელიც აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.

ქვეყნის პროგრესი საგრძნობლად შეამცირა როგორც ჩობანიდების შემოჭრამ, ისე შავმა ჭირმა, რომელიც ჩრდილოთიდან – ოქროს ურდოდან შემოსულა საქართველოში.

1366 წელს მან დედოფალიც კი იმსხვერპლა.

ალბათ მაშინ დიდად შემცირდა ქართული მოსახლეობა. აღდგენა ვეღარ მოესწრო, ისე დაიწყო თემურ ლენგის ლაშქრობები.

ინფექცია გადაჰქონდათ მოქარავნეებს, მებრძოლებს, სავაჭრო ნივთებს, ტანსაცმელს, მკბენარებს, იარაღს, მღრღნელებს.

შეწყდა ვაჭრობა და კონტაქტები.

მთელი აღმოსავლეთი საშინელმა ეპიდემიამ მოიცვა. მაგ., ჩინეთის მოსახლეობა 123 მლნ.-დან 65 მლნ.-დე შემცირდა.

ასევე მოხდა წინა აზიაში, ევროპაში.

საქართველოში მონღოლთა ბატონობა ფორმალურადაც დასრულდა 1357 წელს, როცა შეწყდა მონღოლური ბედწერილობით ფულის მოჭრა და საქართველო აღარ იხსენიება მთხარეების სიაში (დ. ლენგი).

მაშინ საქართველოს მეფე იყო დავით IX (1346-1360).

მაგრამ ქვეყანას სიმშვიდე და სიწყნარე დიდხანს არ ღირსებია.

საქართველოს ძლიერება საბოლოოდ დასცა თემურ ლენგის რვაგბისმა დამანგრეველმა ლაშქრობამ (1386-1403).

ეს უბარმაზარი იმპერიის შემქმნელი ყაენი არც გამხდარა – იგი მთავარსარდლად დარჩა, რომელსაც ყველაფერი სამარყანდისაკენ მიჰქონდა.

მისი სისასტიკის მაჩვენებელია თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი:

როცა ისპაპანში აჯანყება ჩაახშო, მეომრებს უბრძანა, რომ მოკვეთილი თავები მოეწანათ.

შეგროვდა 70 000 თავის ქალა და მათგან ჯარისკაცებს მინარეთები ააშენებინა.

ეს გათურქებული მონღოლი, წერა-კითხვის არმცოდნე, თავს ჩინგიზ ხანი შთამომავლად მიიჩნევდა და ცდილობდა მონღოლთა იმპერიის აღდგენას, ებრძოდა ოქროს ურდოს, თოხთამიშს, რომელმაც ამიერკავკასიის გავლით დალაშქრა ირანი, იბრძოდა შუაბიასა და მცირეაბიაში.

თემურ ლენგი საქართველოს თვლიდა თოხთამიშის მოკავშირედ და უნდოდა ჩრდილოეთის კარების ჩაკეტვა,

როცა ხელი იგდო ბაგრატ V (1360-1393), ის და მისი გარემოცვა აიძულა, რომ მიედოთ ჰანიფისტური მუსულმანობა, რომელიც ჰეგავლა ქრისტიანობას.

ომებში დაიღუპნენ გიორგი VII და კონსტანტინ I.

ერთხანს ალექსანდრე პირველმა (1412-1442) კვლავ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, დანგრეული ციხე-ქალაქები და ტაძრები, გაკაფული ბალ-ენახები, გაუკაცრიელებული ადგილები.

მაგრამ მას შემდეგ, რაც შავ-ბატკანიანმა თურქმანმა ჯეპან შაპა სასტიკად დაარსია სამშვილდე (სამშვილდეში 1664 ქართველის მოჭრილი თავისაგან მინარეთი აუგია) და ტფილისი, ტახტი დატოვა და ბერად შედგა.

ქვეყანას აღარ ჰქონდა ის მხნეობა და საომარი სულისკეთება, რაც გამოიჩინეს თემურ ლენგთან ბრძოლებში.

ჩაქრა იმედის შუქურაც:

1453 წლის 29 მაისს კონსტანტინეპოლი აიღეს ოსმალებმა. ქრისტიანებმა იერუსალიმის შემდეგ ეს უძველესი კულტურის ცენტრიც დაკარგეს, ორივე დაკარგეს სამუდამოდ.

ოსმალებთან ბრძოლაში დაიღუპა გიორგი VIII-ის სასიძო, ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე XI.

1461 წელს ტრაპიზონიც დაეცა.

ოღუშ-ოსმალების ასეთ ტრიუმფს ისევ მოჰყვა ათაბაგ-ჯა- ყელების სეპარატისტული მოქმედება.

ყვარყვარე ჯაყელმა დაატყვევა გიორგი VIII.

1466 წელს მეფე კახეთში გადავიდა და იქ ახალი სამეფო ჩამოაყალიბა.

ქეთაისში გამეფდა ბაგრატი, რომელმაც ერთხანს ქართ- ლიც დაიკავა.

ცალკე წავიდა საბედიანო. მას ეჭირა მთელი ბლვისპირეთი ცხუმ-ბათუმის ჩათვლით.

სამცხე-საათაბაგოს მეფის ინსტიტუტი არ შემოუღია. მაგ- რამ დამოუკიდებელი გახდა, რასაც ასი წლის შემდეგ შეეწირა კიდეც (შდრ – დღევანდელი აფხაზეთი).

XV საუკუნეში ჯაყელების ტერიტორია შეადგენდა 34 000 კვ. კმ-ს (შოთა ლომსაძე).

ბალმოცემული ათაბაგები ოსმალებსაც არ ეპუებოდნენ. მაგ., 1491 წელს ყვარყვარე 30 000 ლაშქრით გამარცვა ერზე- რუმი და მოხარკედ აქცია.

ჯაყელები არც საქართველოს დაშლამდე ემორჩილებოდ- ნენ მეფეს.

ისინი გრძნობდნენ საფრთხეს. მაგრამ ბეცი პოლიტიკის გა- მო მარტოდმარტო აღმოჩნდნენ უძლიერესი იმპერიის პირის- პირ.

ათაბაგები ფაშებად იქცნენ და ასე შეინარჩუნეს საბრძა- ნისის დიდი ნაწილი.

საქართველოს სამეფო საბოლოოდ დაიშალა და ასე დაქუცმაცებულს უნდა გაეძლო ოსმალეთისა და სპარსეთის უდლიერესი იმპერიებისათვის.

დაქუცმაცება-რღვევამ გამოიწვია საყოველთაო ეკონომიკური დაუძლეურება, ურთიერთშეღლი, სამეფოთა დაპირისპირება. მაგ., ქართლს თავს ესხმიან იმერეთის მეფე ალექსანდრე II და კახეთის მეფე ავგიორგი, მამის მკვლელი და ძმის თვალთა დამთხრელი.

იგალიელი მოგზაურები შენიშნავენ, რომ აფხაზეთი წარმართობისაკენ მიქცეულა, სამეგრელოში სიღარიბე და უვიცობა გაბატონებულა, ასევე მომხდარა იმერეთშიც.

მოსახლეობა ძარცვა-მეკობრეობით ირჩებდა თავს.

ტფილისიც გაღატაკებულა.

მხოლოდ კახეთში ყოფილა შედარებით უკეთესი მდგომარეობა.

კონფლიქტებს აძლიერებდა მუსულმანთა შემოსევები (მაგ., ჯეპან შაპის, უზუნ ჰასანისა და იაყუბ ხანისა, შავ-ბატკნიანი ყარა-იუსუფისა).

XV საუკუნის დამლევს ისევ იფეთქა შავმა ჭირმა.

ასეთ დროს მაინც ეხმარებოდნენ უცხოეთში მონასტრებს. მაგრამ იქაც უკიდურესად გაუარესდა ვითარება – ქართველებმა დაკარგეს ქრისტეს საფლავის კლიტე.

ერთი მონაბონი წერს, ათონის ქართველთა მონასტერი დაგლახავებულია, დაძველებულია და ბლუდე-სენაკები თითქმის დაქცეულათ (ივ. ჯავახიშვილი).

XV საუკუნის ბოლოს ქართლის სამეფო დარბაზმა სცნო საქართველოს დაშლა და მეფეებმა ათაბაგ-ჯაყელთან ერთად ხელი მოაწერეს საბავო ხელშეკრულებას, დააწესეს ურთიერთსაბლვრები (ვ. გუჩუა), თუმცა ფორმალურად შეინარჩუნეს მეფეებმა პომპებური ტიტულატურა („მეფეთ-მეფე“, „ორსავე ტახტის გამაერთიანებელი“ და ა.შ.).

სამეფოთა შიგნით კი ამოძრავდნენ სამთავრო-სათავადოები.

1535 წელს იმერთ მეფე ბაგრატ III-მ დაამარცხა და დაატყვევა ყვარყვარე III, მაგრამ მოღალატე თავადთა (მაგ., ოთარ შალიკაშვილი) და ოსმალთა დახმარებით აღადგინეს სამცხე-საათაბაგო და ჯაყელების დინასტია.

### 3. რუსული ორიენტირი

საქართველოს არ ჰქონდა იმდენი ეკონომიკური, სამხედრო და ადამიანური რესურსი, რომ გაეგრძელებინა მუდმივი ომები.

შექმნილი სიგუაციიდან გამოსავალს რეგიონები სეპარატიზმი სედავდნენ. თვითთნებობას და განდგომას ქართველები ისედაც ჩვეულნი იყვნენ, რადგან, როგორც ამბობს დავითის მემატიანე, ორგულ არს ბუნება ქართველთა.

სეპარატიზმის იწვევდა ძალაუფლების ფაქტორიც, თუმცა ბაგრატიონთა შარავანდედი არ აძლევდათ საშუალებას, რომ ყოველი კუთხე მინისამეფოდ ქცეულიყო.

გამარჯვებას მოჰქონდა ცენტრალიზმი, დამარცხებას – სეპარატიზმი. ეკლესიაც იშლებოდა. ცალკე წავიდნენ მაწყვერელი და ქუთათელი.

ვერც შეჩვენება სჭრიდა, ვერც შეგონება.

საქართველოშიც ის მოხდა, რაც მომხდარა ყველა სახელმწიფოში.

იმპერიები იქმნებოდა და იშლებოდა. წვავლენი ქალაქებს, ანადგურებდნენ კულტურის ძეგლებს, ხოცავდნენ ადამიანებს.

სისასტიკის ფანგაბირებას საბდვარი არ ჰქონდა, ისევე როგორც ძალაუფლების ბოროტების კვერთხად ქცევას.

საქართველო მუდმივად ჰკარგავდა ტერიტორიებს, ადამიანებს, კულტურის ძეგლებს, რწმენას. ერთ მოძალადეს ცვლიდა მეორე. მაგრამ ერთი მტერით იგერიებდა მეორეს და ასე აგრძელებდა არსებობას.

ქრისტიანობა იყო იდეოლოგიური იარაღი დამპყრობელ-თა წინააღმდეგ, რომელიც ყურანითა და ნახევარმთვარით მოდიოდა.

ხალხის ცნობიერებაში მუსულმანი ისევ გაიგივდა მცერ-თან, როგორც ეს იყო არაბობისა და თურქობის დროს.

ტოლერანტობა ახალ რეალობასთან შეუთავსებელი იყო.

მაშინ საქართველოს მხესნელის ხაფად ბიბანტია ეგულე-ბოდა. როგორც ვხედავთ, ხანგრძლივი ძიების შემდეგ ევრო-პატე გულგატეხილმა მეფეებმა მართლმადიდებელ რუსეთს მი-აპყრეს მჩერა, რომელიც ისედაც მოიწევდა კავკასიისაკენ:

1491 წელს კახთა მეფე ალექსანდრე I აგზავნის ელჩებს რუსეთის მთავარ ივანე III-სთან.

დაიწყო სამასწლიანი ვედრება რუსეთისადმი, რომლის მსგავსი არ ჰქონიათ ბიბანტიის მიმართ.

#### 4. კულტურის გაკუუმი

როგორც გვახსოვს, კიმერიელებისა და სკვითების შემო-სევებს ქართველურ ტომებში მოჰყვა დიდი მიგრაცია და ბნე-ლი ოთხასწლეული.

ასევე მოხდა არაბთა შემოსვლის დროიდან – შიდამიგრა-ცია და საუკუნენახევრიანი ვაკუუმი.

ასე მოხდა ამჯერადაც – მონდოლთა ბატონობიდან დაიწ-ყო კულტურის კრიზისიც. დამარცხებულ ქართველ ხალხს ერთ-ბაშად წაერთვა შემოქმედების უნარი და მხოლოდ დროდა-დრო, პრაქტიკული აუცილებლობით თუ იჩენდა თავს (მაგ., სამართლის დარგში).

ჩაქრა შთაგონება და აღარ იყო სტიმული.

ელიტა ინერციით ინახავდა ძველ ტრადიციებს და ისინიც ხელიდან ეცლებოდა მუდმივ ომსა და ქაოსში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბევრი რამ დაიკარგა. ეს მართლაც ასე იქნებოდა. მაგრამ ტაძრები მაინც ხომ მოაღწევდა. თუნდაც ნანგრევების სახით.

როგორც ვნახეთ, საქართველოში მოსახლეობაც საქმაოდ იყო. ეკლესიას ხომ მონღოლებმა შეუვალობა მისცეს. დიდაბნაურნიც თავს კარგად ვრძნობდნენ. ყოფით, სულიერ და სააზროვნო კულტურას ისევ მეფე, ეკლესია და არისტოკრატია ინახავდა.

ომებში წყდებოდა ხალხის მასა. დატაკდებოდა გლეხი, რომელიც არც იყო კულტურშემოქმედი და ათვისებაც უჭირდა.

ხარკის მთავარი სიმბიმე მას აწვა, ისევე როგორც ქვეყნის დაცვის.

ინტელექტუალური ელიტა ისევ ღვთისმსახურთა და საერო არისტოკრატიის წრიდან გამოდიოდა, რომელიც თავადაც ირყეოდა.

ხოლო XV საუკუნეში ყველაზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა როგორც კულტურულად, პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად.

გაუქმდა მწიგნობართუხუცესის სახელოც.

ვაზირი კარგავს ძველ მნიშვნელობას.

ირლევა სახელმწიფოს იერარქიული სტრუქტურა, არა მხოლოდ ეკონომიკა ან საბღვრები.

თითქმის ყველგან დაიკარგა უცხოეთში ეკლესია-მონასტრები. ახლა მათ იერუსალიმი ემატებოდა.

შემდეგ დასავლეთის კათალიკოსი სტოვებს ბიჭვინთას და ქუთაისში გადმოდის.

გაწყვერელი ცალკე იწევს და მცხეთას ეურჩება.

გარეგან ძალთა დაწოლა მომეტებულად აჩენს შიდა ბბარებს, რასაც მოსდევს კედლების ჩამოქცევა.

როგორც ვთქვით, უძველესი დროიდან ქართულ კულტურას ჰქონდა ქალური ხასიათი. იგი იღებდა, არტისტულად იაზრებდა, ავითარებდა. მაგრამ თავად არ იძლეოდა საწყისს, რომლის გადანერგვა და გადატანა სხვა რომელიმე ერს მოესურვებოდა.

ასე იყო ყოველ დროში. ბოლოსაც, როცა წარმოიშვა საერო მწერლობა, უცხოს ფაქტორი იყო სტიმული და შთაგონება.

მონღოლები ასეთ სტიმულს ვერავის მისცემდნენ, თუმცა, როგორც ვნახეთ, ქართველებმა ზოგი რამ მათგანაც ისესხეს.

შინაგანი საყრდენი ელიტას არ აღმოაჩნდა. გარეთა სტიმულები არ არსებობდა. ვაკუუმს წარმოშობდა ის მძიმე სიტუაცია, რომელშიც სახელმწიფო ჩავარდა.

არც გიორგი ბრწყინვალის, არც დავით IX-ის, არც ალექსანდრე I-ის დროს, როცა ქვეყანას დაეტყო აღმავლობა, კულტურაში არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა. შეიძლება, ვერც მოესწრო.

როგორც ჩანს, ელიტა არც იცნობდა თუნდაც სპარსულ პოეტიას. ამიგომ მისთვის შეუმჩნეველი გახდა ომარ ხაიამის, ჯელალ ედინ რუმის, საადის, ჰაფეზის, ჯამის სახელები (შედრ – ამ დროს თავრიზის ბიბლიოთეკა ითვლიდა 60 000 წიგნს. მათგან 1 000 იყო ყურანის ხელნაწერი).

შთამაგონებელი წყარო ვერც შინაგანი, ერთვნული ტრაგედიები ვერ გახდა. ეკლესიაც დაბნეული იყო და მხოლოდ არსებულის შენარჩუნებას ან ქონების გამრავლებას ცდილობდა.

ასე გაგრძელდა XVI საუკუნის ბოლომდე, ვიდრე სამეფო-სამთავროებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ დაიწყეს მოქმედება თავის გადასარჩენად, თუმცა სრული იზოლირება ახალისის საფაშოსთანაც კი არ ყოფილა.

XIII საუკუნიდან ევროპამ კულტურის ყოველ სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწია. არქიტექტურა, მხატვრობა, მწერლობა, მუსიკა, თეატრი ქმნიდა ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს.

ცხადია, ქართველობა მათ არ იცნობდა.

იცნობდნენ მხოლოდ ევროპელ მოგზაურებს, კათოლიკე მისიონერებს. ომებში გახვეულ ქვეყანას არც ექნებოდა ინტერესი თუ რა ხდებოდა შორეულ დასავლეთში.

ზოგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონსტანტინეპოლის დაცემას. რეალურად ეს არ იყო ხელისშემშლელი ფაქტორი.

ქართველები არც მანამდე იცნობდნენ რომანულ და გოგიკურ ხელოვნებას, იტალიურ ფერწერას, დანგეს, პეტრარკას ან ბოკაჩიოს, ნიბელუნგებს ან თქმულებას როლანდზე.

კონსტანტინეპოლის დამხობას უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ერთხანს გიორგი მეფე ცდილობდა ევროპასთან კავშირში ანგითურქული კოალიციის შექმნას. თითქოს რომის პაპიც აქტიურობდა. მაგრამ, ალბათ, კათოლიკურ დასავლეთს დიდად არ ანალიზებდა მართლმადიდებლობის ცენტრის დაცემა.

ვენეციელებმა და ჯვაროსანმა რაინდებმა ხომ ერთხელ დაიპყრეს კონსტანტინეპოლი. რელიგიური დაპირისპირებაც ხელს უწყობდა მეპმედ II-ს, რომ ეს ქალაქი სტამბოლად ექცია, აია სოფია – მეჩეთად.

დასავლეთი შორს იყო. მაგრამ უფრო უცნაურია ის, რომ სპარსული კულტურაც უცნობი რჩებოდა. შეიძლება იმიტომ, რომ დამარცხებულ სახელმწიფოში მუსულმანური ფაქტორი ქმნიდა ბარიერს. გამარჯვებულისათვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ელიტას აღარ ჰქონდა შემოქმედებითი რესურსი, სწრაფ-ვის ორიენტირი. იყი ჰერაკლიტ უკომპასო გემს აბობოქრებულ ოკეანეში. მასა სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, ელიტა – მამულებისათვის.

მიწისძერებით, ომებით, ეპიდემიებით ქალაქები ნაქალაქარებად იქცეოდა, სოფლები – ნასოფლარად, ტაბარი – ნატაძრალად, ვენახი – ნავენახარად.

რაც გადარჩა, ისიც დაკნინდა და დაჩიავდა.

როგორც ჩანს, XV საუკუნის 30-იან წლებში ამიერკავკასიაში დიდი შიმშილობაც ყოფილა. მაგ., თოვმას მეწოფელის ცნობით, 1431 წელს სომხეთში კანიბალიზმიც კი გავრცელებულა. კანიბალიზმის მსხვერპლი გამხდარა 1 000 კაცი.

ჭამდნენ ძალებს, კატებს, ვირებს, კაცთა გვამებს, საკუთარ ვაჟებსა და ასულებს.

ძნელია თქმა, რამდენი იყო საქართველოს მოსახლეობის რიცხვი. ალბათ იგი 5 მლნ-დან 3-3,5 მლნ-მდე დავიდა.

როცა მეტმედე II-ის წინააღმდეგ ქრისტიანებმა სცადეს ან-ტიოქემალური კოალიციის შექმნა, გოორგი VIII-ს გამოჰყავდა 40 000, სამეფოელო-აფხაზეთის მთავარს – 10 000, ყვარყვარე ჯაყელს – 20 000 ცხენოსანი მეომარი.

յի արև 70 000 մյոմարո.

ამას დაემატებოდა გურიის მთავრისა და ანაკოფიის ერის-თავის ჯარები, ტრაპიზონის მეფის 30 000 მეომარი და 30 კა-ტარება.

ამდენ მებრძოლს მონღოლებიც კი ვერ კრებდნენ.

შეიძლება რიცხვი გაზვიადებულია. მაგრამ ამას ასახელებენ ხელისუფალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს უფრო სანდო თუ არა, მიახლოებით მაინც წარმოგვიდგენს რეალობას.

რომელიც გავანახევროთ მეომართა რაოდენობა, მათი რიცხვი 60 000 მაინც აღწევს.

ასეთი ჯარი ნებისმიერ მზერთან ბრძოლას შეძლებდა.

ეს კი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა საქართველოს ტერი-  
ტორიაზე ჯერ კიდევ საკმაოდ ყოფილა, მიუხედავად ომებისა,  
ეპიდემიებისა და შიძმილისა.

თუნდაც 60 000 მეომარს ხომ სჭირდებოდა იარაღი, ცხენი, სურსათი, გ.ი. მაინც არსებულა კვონომიკური პოტენციალიც.

ასე რომ – ქართველთა მარცხის მიზეზი ყოველთვის რიცხვმრავალი მტერი როდი იყო.

როცა უგუნ ჰესანი შემოესია ქართლსა და სამცხეს 40 000 მეტრით, წინააღმდეგობა ვერ გასწიეს. დამპყრობელმა ბავი-სათვის მოითხოვა 16 000 ლუკატი.

ქართველებს გადახდა გაუჭირდათ.

ეს მაშინ, როცა 20 წლით ადრე გიორგი VIII თავის ქალიშვილს, რომელიც დანიშნება ბიბანტიის უკანასკნელ იმპერატორზე, მზითევში აფანდა 56 000 ლუკატს და ყოველწლიურად მისურმდა 5 000 ლუკატს (ივ. ჯავახიშვილი!).

ჩანს, რომ ქვეყანა სრულ კოლაფსში ჩავარდნილა უკვე.

ასე დამდეპველი აღმოჩნდა სახელმწიფოს დაშლა, რომელიც დროებით შეაჩერა ალექსანდრე I-მა.

თემურ ლენგთან საშინელმა ბრძოლებმა ქვეყანა დაბგარულ გოლოლს დაამსგავსა.

ცხადია, თემურ ლენგს ქართველები ვერ დაამარცხებდნენ. სხვებთან კი შეეძლოთ გამარჯვება. მაგრამ აღარ ჰქონდათ ორგანიზების უნარი, ვერ კრებდნენ მეომრებს. არ სჭრიდა ქრისტეს, მეფისა და სამშობლოს იდეა.

იდეის უქონლობა კი იწვევდა დეცენტრალიზებას, განკერძოებას, შუღლსა და კონფლიქტებს (შდრ – სსრკ-ის ბედი).

თემურ ლენგს გმირული შემართებით ებრძოდნენ ბაგრატ V და გიორგი VII, ჯარის შეკრებაც შეძლეს, მაგრამ თავს იჩენდა ისტორიული ნაკლი – „ომისა სიფიცხლე და ადრე სიმაშურალე“, რაც არ ჩანდა მაშინ, როცა იბრძოდნენ უცხო და ძლიერ ლაშქართან ერთად.

ემოციური აფეთქება ჰყოფნიდა ხანმოკლე ბრძოლებს. ომს კი სჭირდება არა მხოლოდ სიმამაცე, არამედ, ასევე, საბრძოლო ხელოვნება, მოულოდნელობის ეფექტი, ძალთა განაწილება, ტექნიკა და მეომართა სიმრავლე (შდრ – როგორ აიღო თემურ ლენგმა ბირთვისის მიუდგომელი ციხე).

შინაგანი უილაჯობა, დეპრესია და ეგოიზმი გამოვლინდა კულტურის დაცემითაც, რადგან სულიერება აღარ იწვევდა აღმაფრენას.

მსხვერპლის გადება უაბროდ ეჩვენებოდათ.

თავს მაშინდა იცავდნენ, როცა მტერი მის ქალაქსა და ციხეს დაეცემოდა.

ცენტრალიზმი უნდა დაეფუძნოს ძალას ან ძლიერ იდეას, როგორც თავის დროზე იყო ქრისტიანობა ბიბანგისათვის, ან კომუნიზმი სსრკ-სათვის.

ქართველობას არც ერთი გააჩნდა და არც მეორე.

ამიგომ ამდენი მეომრის მყოლი ქვეყანა რამდენიმე წელიწადში დაიშალა, დაიშალა უცხო ძალის გარეშე.

ასეთი მყიფე და სუსტი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფო-ებრიობა, რომელმაც თავისი ენერგია ამოწურა თემურ-ლენგ-თან ომებში.

## 5. გადარჩენილი ნაშთები

რა შეიქმნა XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან XVI საუკუნის შუა ხანამდე – ეს სრულად ჩვენ არ ვიცით.

აღვრიცხოთ ის, რაც გადარჩა.

XIII საუკუნეში, დემეტრე თავდადებულის დროს, აუშენებიათ მეტები და წელრულაშენი, წმ. საბას ეკლესია საფარაში, XIV საუკუნეში – ბარბშა და გერგეტის სამება.

საისტორიო მწერლობას განეკუთვნება უცნობი ჟამთააღმწერელის ასწლოვანი მატიანე. როგორც პ. კეპელიძე შენიშნავს, ავტორს სცოდნია ბერძნული და მონღოლური ენები, ავლენს საკმაო ცოდნას, კარგად აფასებს პოლიტიკურ სიტუაციებს, წერს ხაგოვანი ენით.

თხრობა მთავრდება ილხანთა ყაენის აბუსაიდის გახტები ასვლითა და გიორგი V-ს ურდოში წასვლით, სადაც ჩობანის დახმარებით მისცეს „ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარი საქართველოსანი“.

ჰაგიოგრაფიის ქანოში დაუწერიათ ლუკა იერუსალიმელ-სა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, მაკარი მესხს სირიულიდან უთარგმნია პეტრე იბერის ცხოვრება.

განსაკუთრებული აქცივობა ჩანს სამართლის დარგში, რაც ურთიერთობათა მოწესრიგებით იყო განპირობებული.

ეს არის ბექას, მისი შვილიშვილის აღბუღას, გიორგი ბრწყინვალის („ძეგლის დადება“) კანონმდებლობა, „ხელმწიფის კარის გარიგება“, „მეფის კურთხევის წესი“, „წესი ერის-თავთა და მთავართა დადგინდებისა“, „განგება ვაჰანის ქვაბთა მონასტრისა“ (XIII ს.).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით არათუ მეფის სასახლის, დარბაზობისა და სავაზიროს სხდომის წესი ან ვა-ბირთა და უხუცესთა ფუნქციებია ბუსტად განაწილებული, არა-მედ – ეტიკეტით ისიც არის განსაზღვრული, მეფე ცხენბერ რომ შეჯდება, მათრახი ვინ მიაწოდოს, პურობიდან ან სავაზირო-დან დამით გამოსულ რომელ ვაზირს გზა ვინ და რამდენი მაშ-ხალით გაუნათონ, მეფე ცხენიდან რომ გადმოვა, პირველი ვინ მივიდეს, დარბაზობაზე ვის ერტყას ხმალი, უკაგმავ მეფესთან ვისა აქვს და როდის შესვლის უფლება...

ხელნაწერთა გადაწერა და წიგნთა შედგენა გრძელდე-ბოლა. არსებობდა სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ძველადვე ცნობილ საგნებს.

ლარგვისის მონასტერში „პარაკლიფონი“ გადაუწერია და მოუხაფავს ავგარობ ბანდაისძეს.

მასვე შეუდგენია ქსნის ერისთავების საგვარეულო მატია-ნე „ძეგლი ერისთავთა“.

მამის ხელობა გაუგრძელებია გრიგოლს – მას ეკლესია მოუხაფავს და ხატები შეუმკია.

მონღოლთა წყალობით ეკლესიამ შეძლო სკოლების შე-ნარჩენება – მარტო ქურმუხის სამთავარეპისკოპოსოში XIV საუკუნის დასაწყისისათვის შვიდი სკოლა არსებულა (კ. კეკე-ლიძე).

XV საუკუნის ბოლოს გამა ფანასკერტელ-ციციშვილს შე-უდგენია სამკურნალო წიგნი – კარაბადინი,

სპეციალისტების აბრით, იგი მედიცინის ღრმა ცოდნას ავ-ლენს (მ. სააკაშვილი, მ. შენგალია).

გამა გაოდან გადმოსულა ქართლში. მისი წინაპრები იყვ-ნენ ასპანისძენი. უწევდათ ბრძოლა თმოვველებთან, მხარ-გრძელებთან, თორელებთან, ჯაყელებთან, როგორც ძლიერ ფეოდალებს.

ათაბაგის მიერ განდევნილთა შორის იყო გამა ფანასკერ-ტელიც, შემდეგში – მეჭურჭლეთუხუცესი, ქტიფორი და მწიგ-ნობარი (ნ. შოშიაშვილი).

XV-XVI საუკუნეთა მიჯნას განეკუთვნება ვაჰანის ქვაბთა მონასტრის წარწერები, სალექსო ფრაგმენტები (შ. ონიანი).

ისინი წაუწერიათ მონაზონ ქალებს – ანა რჩეულიშვილს, თუმიან გოჯიშვილს, ხვარამბეს, გულქანს.

ავტორები, ალ. ბარამიძის სიღყვით, განიცდიან „ვეფხის-ტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „როსტომიანის“ გავლენას.

ფიქსირებულია, როგორც ვთქვით, რუსთაველის სტრიქონები.

მონაზონ ქალებს შერჩენიათ საფრფიალო გრძნობები, ახსენდებათ მიჯნურები, რომელთაც ისინი განგებამ დააშორა.

ბოგი ღვთისმშობელს ეველრება, ბოგი საფრფოს კოცნას ნაფრობს.

მეტი წილი ლექსები შაირით არის დაწერილი. მაგრამ საინტერესოა, რომ ანა რჩეულიშვილს გამოყენებული აქვს მანამდე უცნობი მეტრი  $-4 + 4 + 4$ , რაც მხოლოდ XX საუკუნეში ვრცელდება (მაგ., სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში):

„მე შენ სახელ ხსენებასა სადა ღირს ვარ,

კურთხეულ ხარ დიდებულო ღმრთობის ხატო“.

300 წლის განმავლობაში არც ქართულ პოეზიაში, არც პროზაში თითქმის არაფერი დაწერილა.

ახსნაც კი ჭირს ასეთი ტოფალური დაცემისა, მითუმეტეს „ვეფხისტყაოსნისა“ და ვისრამიანის „შემდეგ.

მხოლოდ XVI საუკუნის I ნახევრიდან იწყება „შაჳ-ნამექს“ ცალკეული ამბების გადმოკეთება, ჯერ პროზით, შემდეგ – ლექსად.

XIV საუკუნიდან წყდება ტაძართმშენებლობა. ხდება მხოლოდ დაზიანებული ტაძრების შეკეთება (მაგ., სვეტიცხოვლისა).

გამონაკლისი იყო სამცხე.

კედლის მხატვრობიდან გამოყოფენ უბისის მონასტრის დამიანეს მიერ შესრულებულ ფრესკებს (XIV ს.), დამიანეს მხატვრულ ოსტატობას.

ასევე აღნიშნავენ წალენჯიხის ტაძრის, ლიხნის, ნაბახტევ-ვისა და სორის მხატვრობას, როგორც რელიგიურ, ისე ქიო-ტორთა ფრესკებს.

წალენჯიხის ტაძარი ბიზანტიულს მოუხატავს (შ. ამირანა-შვილი), რომელსაც ჰყოლია ქართველი თანაშემწენი – მახა-რებელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა.

XVI საუკუნით თარიღდება დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის მთავარ ტაძარში.

გრძელდებოდა ბიზანტიური ფრესკული ხელოვნების ტრა-დიციები. მაგრამ განსხვავებულად მიაჩნიათ სამცხე-საათაბა-გოს მონასტრების მხატვრობა (გარბმა, საფარა, ჭულე).

გარბმაში გამოუსახავთ ქტიტორები – მთავარი ჯაყელე-ბი, სარგისი და მისი ძე ბექა, შვილიშვილები – სარგისი და ყვარყვარე.

საფარისა და ჭულეს ტრადიციულ-რელიგიური მხატვრო-ბაც XIV საუკუნეს განეკუთვნება.

ასევე შეუნარჩუნებიათ ხელნაწერთა მინიატურებით შემ-კობისა და ლითონზე პლასტიკის ხელოვნება.

ერთ-ერთ ქართულ-ბერძნულ ხელნაწერში ჩართულია 417 მინიატურა.

ეს ყველაფერი განეკუთვნება XIV საუკუნეს.

ოქრომჭედლობა სამცხეში XV საუკუნეშიც გაგრძელდა. მაშინდელია ოქროთი დაფერილი და ვერცხლით მოჭედილი ჩხარის (სადგერის) ხატი.

გამოსახულია თორმეტი საუფლო დღესასწაულის ციკლი, ცხენოსანი გიორგი, იხსენიებიან საერთ პირები, დეკანოზი მმე-ბი შოთაძენი.

ავტორია მემნა ოქრომჭედელი, რომელსაც პქონია სხვა ნამუშევრებიც.

ცხადია, ყველაფერი ვერ მოისპობოდა, რადგან არსებოდა ეკლესია, სამეფო ხელისუფლება, არსებობდა ქართულენოვანი მოსახლეობა, რომელსაც გადმოეცემოდა ისტორია და ლეგენ-დები, როგორც ზეპირად, ისე წერილობით. შენარჩუნებული

იყო უამრავი ხელნაწერი, ორიგინალური თუ თარგმნილი, არქიტექტურული ძეგლები, მხატვრობა, ოქრომქანდაკებლობის ნიმუშები, სიგელ-გუჯრები (XI საუკუნიდან).

მაგრამ მიმქრალი იყო შემოქმედებითი იმპულსები, მინავლებული – შთაგონება. ცალკეული ფაქტები ვერ ცვლის სამასწლოვანი დაქვეითება-დაცემის პანორამას, რომელიც ბაგრატიონთა ხელისუფლების, ქვეყნის კრიზისის პარალელურად იხატებოდა.

შეიძლება ითქვას, კულტურა უფრო იყო რეგრესირებული, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

## 6. უცნობი დასავლეთი

სამასი წლის ვაკუუმის შემდეგ საერთ მწერლობა ხელმეორედ უნდა წარმოქმნილიყო. ეს მაშინ, როცა დასავლეთში უკვე დაწერილია დანგეს „დვითაებრივი კომედია“, ბოკაჩოს „დეკამერონი“, პეტრაკას კანცონები და სონეტები, სერვანტესის „ღონ კიხოტი“, შექსპირის ტრაგედიები, უკვე შექმნილია უდიდესი იტალიური, ფრანგული და გერმანული არქიტექტურის შედევრები, საერთოდ – რენესანსის კულტურა, აღმოჩენილია ამერიკა, დაწყებულია მისი კოლონიზაცია, გარს უვლიან დედამიწას, დადგენილია სამყაროს პელიოდუნგრული სისტემა, ირლავევა კათოლიკური ეკლესია, ბრიალებს ინკვიტიციის კოცონები, შენდება ქალაქები და სასახლეები და ფიქრობენ სოციალურ თანასწორობაზე; ფილოსოფოს-მისტიკოსები ჭვრეტენ სამყაროს, ჩამოყალიბდა თეატრი და ოპერა, ერთმანეთ-საც ხოცავენ, ანგრევენ და აშენებენ (მაგ., ასწლოვან ომში ინგლისელები და ფრანგები).

ეს კათოლიკურ-პროტესტანტული დასავლეთია.

თუ კურტუაბული (საკარო) ლიტერატურის ნიმუშებს აღემატებოდა „ვეფხისტყაოსანი“, თუ ბიზანტიურის შემდეგ საეკ-

დესიო მწერლობაც თვალსაჩინო იყო, XVI საუკუნის ბოლოს ქართული კულტურა ინერციით ცოცხლობდა.

300-მა წელმა დამღუპველად იმოქმედა და იმდენად დიდი აღმოჩნდა ჩამორჩენა, ისე ძლიერ მოსწყდა ქრისტიანულ და-სავლეთს საქართველო, რომ ეს დღემდე ვერ დაიძლია.

XVI საუკუნის დამლევისათვის მხოლოდ კათოლიკე მისიონერებს თუ იცნობდა საქართველო ან ცალკეული მონარქების სახელი თუ სმენოდა რომელიმე მონარქს. და ამიტომ, როცა დაიწყო რესტავრაცია და გამოღვიძება, იდეალად წარმოჩნდა სპარსული კულტურა, პოლიტიკაში – ლავირება ოსმალეთსა, სპარსეთსა და რუსეთს შორის.

## V. აღდგენის ორიენტირი:

### სპარსული ესთეტიკმი

#### 1. კულტურის დეფორმირება

XVI-XVII საუკუნეებში ქართული კულტურა გადაარჩინეს ბაგრატიონებმა (თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II, ვახტანგ VI, ერეკლე II, ანგონ I), მათ ნათესავთა წრემ (მაგ., სულხან-საბა თრბელიანი), სამეფო კარმა და ეკლესიამ.

#### ბაგრატ ბატონიშვილი

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფიგურაა ბაგრატ ბატონიშვილი (XV ს-ის 80-იანი – XVI ს-ის 50-იანი წლები), ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505) ძე, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის შვილიშვილი.

მას დაუწერია ანგიმაპმადიანური, ანგიშიიტური ტრაქტატი – „მოთხრობა სჯულთა ულმრთოთა თათრისათა“ (ბორის დარჩია).

იგი გიორგი XI-ის ბრძანებით გაულექსავს მიტონპოლიტ იაკობ შემოქმედელს XVII საუკუნის დამლევს.

თამარ მეფის შემდეგ ქართველ მეფეებსა და ბატონიშვილებს კალმისათვის არ ეცალათ. ბაგრატს კი კალამთან ერთად მახვილიც უჭრიდა. იგი სარდალი იყო და ერთ-ერთ ბრძოლაში შეიძყრო კახთა მეფე ავგ-გიორგი და მოკლდ თუ მოაკვლევინა.

ავ-გიორგის ღალატით ჰყავდა მამა მოკლული, ხოლო ძმისთვის თვალები დაეთხარა.

იგი არც ამის შემდეგ ისვენებდა და ქართლში დათარუშობდა.

ბაგრატმა მოითხოვა და საუფლისწულოდ მისცეს მუხრანი, სადაც ციხე-სიმაგრე აიშენა.

ჰყავდა ხუთი შვილი – ვახტანგი, ერეკლე, არჩილი, აშოთანი და დედისიმედი, რომელიც ქაიხოსრო ათაბაგმა შეირთო.

ბაგრატი ბერად აღიკვეცა, ისევე როგორც დედამისი და მამამისი – ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505), რომლის დროსაც დარბაზმა ოფიციალურად სცნო საქართველოს დაშლა.

ბერად აღიკვეცილან ბაგრატის ძმებიც – ქართლის მეფეები დავით X და გიორგი IV.

კიდევ ერთი ძმა – მელქისედეკი კათოლიკოსი იყო.

ბაგრატის შვილიშვილია ქეთევან წამებული, აშოთანის ასული, ვინც ფხოველებთან ბრძოლაში დაიღუპა, თეიმურაბ I-ის დედა.

ბაგრატის შვილის ვახტანგის შვილიშვილია ქართლის მეფე ვახტანგ V შაპნავაბი.

ბაგრატი იწყებს ბაგრატიონთა სამწერლო ტრადიციასაც. ეს მამაცი სარდალი, ღვთისმოსავი, შემოქმედი, მეცენატი სერაპიონ საბაშვილმა გაასაუბრა რუსთაველთან, „როსტომიანის“ თარგმანში. ალბათ თარგმანი მისი ინიციატივით შესრულდა.

ასე რომ – ბაგრატ ბაგრიონიშვილი აძლევს სათავეს როგორც რესტავრირებულ მწერლობას, ისე ქართლ-კახეთის მეფეთა და კულტურის მოღვაწეთა გენეალოგიას.

## ამასის გავი

1555 წელს ამასის გავით ამიერკავკასია გაიყვეს ოსმალეთმა და ირანმა, ორმა აგრესორმა იმპერიამ.

პირველს ერგო იმერეთი, გურია, სამეგრელო და დასავლეთი სამცხე, მეორეს – აღმოსავლეთი სამცხე, ქართლი და კახეთი.

აბერბაიჯანს სპარსეთი დაეუფლა, ხოლო სომხეთი გაინაწილეს.

250 წელი საქართველო ამ შემოხატულ წრეში ტრიალებდა. მხოლოდ ამ სივრცეში შეეძლო საბლვრების კორექტირება. დარღვევის ცდა ისჯებოდა.

ორივე აგრესორი სცნობდა ბაგრატიონთა დინასტიას, მათ მმართველობას ქართლსა, კახეთსა და იმერეთში, ხოლო მაპ-მადიან ჯაყელებს – ახალციხის (ჩილდირის) ფაშებად (შოთა ლომსაძე).

ვალის (მოადგილის) ტიტული ეძლეოდა ქართლის და ზოგ-ჯერ კახეთის მმართველებს, ბაგრატიონთა ქართლის შტოს.

ბავის დარღვევას მოსდევდა ახალი ომი, რაც ორი საუკუნე გაგრძელდა და შეწყდა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა მესამე აგრესორი – რუსეთი.

ამასის ბავით დაწესებული საბლვარი თითქმის უცვლელი დარჩა, თუმცა დიდი სისხლი დაიღვარა.

საქართველოს ერთიანობის იდეას წერტილი დაესვა და ფაქტიურად დაკანონდა სამეფო-სამთავროები. მათ ლიდერებს ძალა რომც ჰქონოდათ, დიდ სახელმწიფოთა ნებას ვერ შეცვლიდნენ, როგორც ეს მოხდა 1790 წელს, როცა ერეკლემ უარი თქვა სამეფო-სამთავროების გაერთიანებაზე.

ოსმალეთმა დაიპყრო და შეიირთა ტრაპიზონი, აჭარა, ლაზეთი, სამცხე-საათაბაგო. დაიწყო ქართველთა უძველესი საცხოვრისის გათურქების პროცესი.

ბაგრატიონების, გრიგოლ ხანძთელის, შოთა რუსთაველის მიწა, ქართული ეკლესია-მონასტრები ოსმალეთმა მიიღაცა.

დაპყრობილ ქართულ მიწებზე ჩამოყალიბდა ტრაპიზონისა და ჩილდირის (ახალციხის) საფაშოები.

ახალციხის საფაშოს მეტწილად მართავდნენ მაპმადის რჯულზე მოქცეული ჯაყელები. ისინი მონაწილეობდნენ ქრისტიანული სამეფო-სამთავროების დარბევა-აწიოკებაშიც.

ფოთის, ქუთაისის თუ სხვა ქალაქების ციხეებშიც მაპმადიანი ქართველები იდგნენ და გაპყავდათ ტყვეები მონათა ბაზრებზე.

ქართული ტერიტორიების ნაწილი შევიდა ერმორუმისა და ყარსის საფაშოებში, რომელებიც ასევე დაპყვეს სანჯაყებად.

დანაწილება ემყარებოდა ძველქართულ აღმინისტრაციულ დაყოფას (ქ. ჩხარტიშვილი).

ამ საფაშოებიდან პირველობდა ერმორუმი.

ოსმალებს ჰქონდათ უაღრესად მოწესრიგებული და დიფერენცირებული აღმინისტრაციული, სამხედრო, საგადასახადო და სოციალური სისტემები.

ოსმალეთი XVI საუკუნეში, სულეიმან ბრწყინვალის დროს (1526-1566) გადაჭიმული იყო ალექსანდრე ეგვიპტემდე, ბელგრადიდან ირანამდე.

მაშინ სტამბოლი მსოფლიოს უძლიერესი იმპერიის ცენტრი იყო. იგი დაახლოებით იუსტინიანეს ბიზანტიის ტერიტორიას მოიცავდა.

ქვეყნის სათავეში იდგა სულთანი (ფადიშაპი), ოსმანის შთამომავალთა დინასტია, რომლის საკუთრება იყო მთელი სახელმწიფო.

ყოველი ახალი სულთანი ხოცავდა თავის ძმებსა და ნახევარმებს, ჰარემში დაბადებულებს.

მათი დედები ქრისტიანები იყვნენ, უცხო ეროვნებისა, ტყვე-მონები (მაგ., სულეიმან ბრწყინვალის დედა ყირიმელი თათარი იყო, მთავარი ცოლი – ყირიმელი სლავი ალექსანდრა, ჰარემში – ჰიურემი), აღმბრდელები – მონა ქალები და საჭურისები.

სულთანს მხოლოდ ოსმალოსთან შეეძლო ქორწინება, რომელიც ვერ იქნებოდა ჰარემის წევრი.

საფაშოებს მართავდნენ და დიდი პოსტები ეკავათ გამაპმადიანებულ ქრისტიანებს, აღარც ქონებას ჰქონდა მნიშვნელობა.

მთავარი იყო ნიჭი, ერთგულება, მართვისა და შესრულების უნარი.

შეცდომა სიკვდილს ნიშნავდა.

რამდენიმე ფაშას პყავდა უფროსი ფაშა სარდალი – სერას-კირი, რომელიც იყო ვებირი და ვალი (სულთანის მოადგილე).

ახალციხის (ჩილდირის) ფაშებს, როგორც მონაპიროეთ, XVIII საუკუნიდან ჰქონდათ სამი თუდი და ვებირადაც ითვლებოდნენ.

„თუდი ანუ ბუნჩუკი ნიშნავს ძეის კონას, რომელიც თურქების ძველ ტოტემურ ემბლემას წარმოადგენდა. მოოქროვილი ბირთვით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე მიმაგრებული ძეის ასეთი კონა იყო ოსმალების სახელმწიფო ალამი, ღროშა“ (ბ. სილაგაძე).

ოსმალები გამაპმადიანებული უცხო ტომის ხელით და გონით მართავდნენ იმპერიას.

შემდეგ მართვის ასეთი მოდელი აითვისეს ყიზილბაშებმა. ამიგომ იყვნენ ქართველები ისპაპანის ტარულები, ყულარადარები, ირანის ჯარების მთავარსარდლები. მეფე-ვალებს ეძლეოდათ ჯამაგირი და მამულები ირანში. ოღონდ უნდა მიეღოთ ისლამი.

ქართლის მმართველი, რომელსაც ჩვენ მეფეს ვუწოდებთ, რეალურად იყო ვალი (შაპის მოადგილე).

კახეთის მმართველს ასეთი მაღალი სფატუსი არ ჰქონდა, არც იმერეთისას.

ოსმალეთი გაცილებით მკაცრად იცავდა თავის რელიგიურ მოთხოვნებს, ვიღრე ირანი. მხოლოდ კათოლიკებს ეპურობოდა სფამბოლი ლმობიერად.

როგორც ოსმალეთმა, ისე ირანმა შექმნა ზუსტი ადმინისტრაციულ-იერარქიული სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ემორჩილებოდა ერთ ხელისუფალსა და ერთ რელიგიას.

შაპიცა და სულთანიც სასტიკად სჯიდნენ მოღალატეს, განდგომილს, ეჭვმიტანილს. მიუხედავად ამისა, არც ირანსა და არც ოსმალეთში არ ილეოდა შიდაკონფლიქტები და კარიერისტული ინტრიგები.

ქვეყანას აერთიანებდა არა ეროვნული ფაქტორი, არამედ – რელიგია (მაკმადიანობა) და სამხედრო აღმინისტრაცია, იერარქიის პრინციპი.

ჩრდილოეთი ეკავათ ადილებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ოსებსა და დაღესტნელებს, აღმოსავლეთით შაქი და შირვანი ირანშა დაიმორჩილა, რომელსაც მართავდნენ სეფიანი ყიბილ-ბაშები – თურქული ტომები („წითელთავიანები“).

სომხური სახელმწიფო არც მაშინ არსებობდა.

ყიბილბაშებმა თანდათან მიიღეს სპარსული ენა და სპარსული კულტურა, აღადგინეს და გააძლიერეს ირანის სახელმწიფო.

ირანის ტერიტორია ევფრატიდან ამუდარიამდე იყო გაშლილი.

სეფიანების საწყისია დერვიშული წრე, სეფევიეს ორდენი, სამშობლო – არდებილი.

დერვიშული საძმო იქცა რელიგიურ-რაინდულ ორდენად, როგორც ეს იყო კათოლიკურ ეკროპაში (მაგ., ტევტონები, ტამპლიერები).

აფარებდნენ 12 იმამის პატივსაცემად 12 წითელი გრაგნილის ჩაღმას (დ. კაციფაძე).

სეფიანი შეიხების ლიდერობით შეკრებილი თურქული ტომები თავიან თავს უწოდებდნენ მიურიდებს, დერვიშებს, სუფიებს.

მათ გააერთიანეს საქართველოზე გაცილებით უარესად დაშლილი ირანი. პირველი შაპინშაპის ტიტული მიიღო ისმაილმა, მეორე იყო შაჰ თამაზი (1524-1576).

ქართული სამეფო-სამთავროები მაკმადიანურ რკალში მოექცა. გრძელდებოდა ურთიერთშეღლი და შიდაბრძოლები. ჩნდებოდა ახალი მოდალატეები (მაგ., ოთარ შალიკაშვილი, შადიმან ბარათაშვილი, ქაიხოსრო ბარათაშვილი, დაუთ ხანი – სიმონ I-ის ძმა, სააქიმო წიგნის „იადიგარ დაუდის“ შემდგენი, როსტომ ხანის ძმა, სიმონ ხანი – დაუთხანის შვილიშვილი, ყორდანაშვილი). მაგრამ არც გმირები ილეოდნენ (ლუარსაბ I,

სიმონ I, თეიმურაზ I, დავით ჯანდიერი, ქეთევან წამებული, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი, რომელიც მარაბდის ომში ქართველთა მხარეს იბრძოდა);

1590 წლის ბავით ოსმალები დაეუფლნენ ამიერკავკასიას. მაგრამ შაპ-აბასმა აღადგინა ამასის ბავის პირობები, რაც და-დასტურდა 1612 და 1739 წლებშიც.

XVI საუკუნეში, როცა განაწილდა ამიერკავკასია, დროე-ბითი მშვიდობის პერიოდი ჩამოდგა.

აღორძინდა კახეთი, შემდეგ – როსტომ ხანის დროიდან – ქართლი, სამეგრელო – ლევან დადიანის მთავრობის დროს.

ქართველები ჩართული იყვნენ მსოფლიო სავაჭრო სისტემაში.

მორჩილება სულის მოთქმის საშუალებას იძლეოდა, დაპი-რისპირება ანგრევდა ქვეყანას. მაგრამ მორჩილებას მოჰყვე-ბოდა გადაგვარება, წინააღმდეგობას – ნაციონალური სულისა და რწმენის შენარჩუნება.

ორივე მათგანი საჭირო იყო, ისევე როგორც ლავირება იმპერიებს შორის (შდრ – თეიმურაზის ურჩობა და როსტომ ხა-ნის შემგუებლობა). მაგ., ლევანი და ალექსანდრე – კახეთის მეფეები არ ებმებოდნენ შიდაბრძოლებში, ნაკლებად ეხმარე-ბოდნენ ქართლს, არჩევდნენ ვასალურ ურთიერთობას ხან ოს-მალეთან, ხან – ირანთან.

ამიტომ შეინარჩუნეს მშვიდობა, ეკონომიკა, მომრავლდა ხალხი, მოშენდა სოფლები და ქალაქები (მაგ., გრემი, ბაგემი).

თურმე სანადირო ადგილებიც აღარ დარჩა და ამის გამო უთქვამს ალექსანდრე II-ს, ნეტავი აოხრდებოდეს კახეთი, რომ მექნეს სანადირო ადგილებით (ვახუშტი).

ასე იცხოვრა კახეთმა საუკუნებე მეტ ხანს, ვიდრე შაპ-აბასმა არ გაანადგურა აყვავებული სამეფო ანუ აუსოულა ნატვრა ალექსანდრეს (მანამდე, 1605 წელს, გამაპმადიანებულ-მა კონსტანტინემ, შვილმა მოჰკლა იყი და ძმა გიორგი. ხოლო მოჭრილი თავები შაპ-აბასს გაუგზავნა).

**ლავირებაც დროებითი ფანდი იყო (შდრ – გიორგი სააკაძე და თეიმურაბ Ⅰ).**

მხოლოდ იარაღით ერთიანი საქართველოც კი ვერ შე-  
ძლებდა ოსმალეთის ან ირანის დამარცხებას.

ირანის ოთხ თუ ხუთ ვალს შორის გურჯისტანის ვალი,  
რომელსაც ჩვენ მეფეს ვეძახით, მესამე ადგილს იკავებდა  
არაბისტანისა და ლურისტანის შემდეგ.

შემცირდა ქალაქების რიცხვი. ქალაქებს სტოკებდნენ მო-  
სახლენი. მაგ., ქუთაისში 1650 წელს ცხოვრობდა 1 000 კომლი,  
1673 წელს – 200 კომლი.

ტფილისიც დაპატარავდა. შედარებით აქ ცხოვრება აღდგა  
როსტომ ხანის დროიდან, ოღონდ სომხებისა და თათრების  
მეშვეობით.

1700 წელს ტფილისში ცხოვრობდა 20 000 სული. მათგან  
მხოლოდ 2 000 ანუ 10% იყო ქართველი (ივ. ჯავახიშვილი).  
ამის გამო წარმოიშვა პიბრიდული ქალაქერი კულტურა (შდრ  
– ამ დროს ისპაპანში ცხოვრობს 600 000, ლონდონში 300 000).

ქალაქში არსებობდა 200 სავაჭრო დუქანი, მრავლად იყვ-  
ნენ ხელოსნები. ისევ იძენდა აღმოსავლურ ძველ სახელს აქა-  
ური აბანოები, რომლებიც როსტომს განუახლებია.

სამეფო-სამთავროებში გაუთავებელი ომებისა თუ დროე-  
ბითი მშვიდობიანობის პერიოდში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი,  
ბრინჯი, ფხალი, ფეტვი, ლორი, თბილი, ცერცვი, ხილი, ყურძენი,  
უვლიდნენ საქონელს, ფუტკარს, ცხენებს. XVII საუკუნიდან შე-  
მოდის სიმინდი.

არსებობდა შიდა სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები,  
მათ შორის – სამცხესთან, ოსმალეთთან, ირანთან.

არასტაბილურ სამეფო-სამთავროებში სწრაფად იცვლე-  
ბოდა პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, იცვლებოდა  
იმის მიხედვით, რამდენად დალაგდებოდა ურთიერთობა სტამ-  
ბოლთან, ისპაპანთან.

ცალკე ახალციხის ფაშა ჯაყელები აქტიურობდნენ, ცალკე  
– ლევები, რომელთაც სათარეშოდ გაიხადეს ქართლ-კახეთი.

ლეკები იტაცებდნენ ქალ-ვაჟებს, გადაპყავდათ ახალ-ციხეში ან დაღესფანში და ჰყიდდნენ.

ასეთი ძარცვა-რბევით, მაპმადიანური ცენტრების წაქეზე-ბითა და დახმარებით ირჩენდნენ თავს.

მონათვაჭრობა დიდად სარფიანი საქმე გახდა.

ამასის ბავმა ქართული სამეფო-სამთავროები დაამგვანა იმ შველს, რომელიც უყუჩდება ნადირის კბილებს, რათა ტკივი-ლი არ იგრძნოს. მაგრამ ხელ-ნელა სისხლისაგან იცლება და კვდება.

## ქართველები ოსმალეთსა და ირანში

ოსმალეთს, მეცაცრი კონფრონტისა და ფედერალიზმის მსგავს პრინციპზე აგებულ იმპერიას, ქმინდნენ და იცავდნენ ყოფილი ქრისტიანები. მაგ., იანიჩრების პროფესიული ჯარი გამაპმადიანებული ქრისტიანებისაგან შედგებოდა (XVIII საუკუნეები).

მხოლოდ ერაყის (ბალდადის) ფაშას ჰყავდა 15 000 იანიჩარი. ქართველმა მამლუქებმა, რომლებიც თითქმის უცვლელად მართავდნენ ამ ქვეყანას 1749-1831 წლებში, მათი რიცხვი 30 000 ათასამდე აიყვანეს. XVIII საუკუნეებიდან იანიჩარს ცოლ-შვილი არ უნდა ჰყოლოდა, სახლი არ უნდა ჰქონოდა.

ქართველები იანიჩრებად არ აპყავდათ, ყოველ შემთხვევაში არ ავალდებულებდნენ (ბ. სილაგაძე).

სულეიმან ბრწყინვალეს ჰყავდა 12 000 იანიჩარი. შემდეგ მათი რიცხვი 100 000- მდე ავიდა.

შენარჩუნებულ იქნა მამლუქთა ინსტიტუტი, რომელიც ასევე ქრისტიანი ტყვე-მონებისაგან შედგებოდა.

ამის გარდა შეეძლოთ 150 000 მეომრის გამოყვანა.

საფაშოები, მაგ., ახალციხისა, სფამბოლთან შეთანხმების გარეშეც იწყებდნენ ლოკალურ ომებს თავისი მეომრებით.

დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში მაჰმადიანები ისხდნენ, აკონტროლებდნენ ტერიტორიას, გაჰყავდათ ტყვე-მონები ბლვით და ხელს უწყობდნენ სავაჭრო საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

დახარკული ჰყავდათ მოსახლეობა.

მაგ., იმერეთს უნდა მიეცა სულთანისათვის წელიწადში 80 ქალ-ვაჟი, გურიას – 46, სამეგრელოს – 70 000 საქენი ანუ არ-შინი ტილო (ბ. სილაგაძე) და ა.შ.

ერთ-ერთი სულთანი ბრძანებებში აღნიშნავს, რომ გურიელი გადასახადენს ბუსფად იხდის, ჩვენი მეგობარია და დავეხმაროთ (1657 წ.).

ნადირ-შაპის დროს ქართლსა და კახეთში დაბეგრეს ყოველი ძირი ვაზი და ბალში ხეც კი.

სალხს არც საჭმელი ჰქონდა, არც ფანსაცმელი და თავის გადარჩენას საცხოვრისის მიტოვებით და სხვა მხარეში გადახვეწით ცდილობდა (შარდენი).

როგორც მონღოლები, ისე ოსმალებიც და ირანელებიც ინარჩუნებდნენ ბაგრატიონთა დინასტიას, ქრისტიანულ ეკლესიას, აღმინისტრაციულ დაყოფას. მაგრამ მეფეთაგან მოითხოვდნენ ქრისტეს უარყოფას, ბეგარას და სამხედრო თანადგომას.

ამასთან ერთად აჭრიდნენ ტერიტორიებს. მაგ., ოსმალეთ-მა შეირთა ლაზეთი, აჭარა, სამცხე.

შაპ-აბასმა ქართლს ჩამოაცილა ლორე-დებედა, კახეთს – საინგილო. სამაგიეროდ, მეფეებს მაღალი ხელფასი დაუნიშნა.

ლორე-დებედაში ჩამოასახლა ბორჩალოს ტომის ყიზილბაშები, რამდენიმეგზის ააოხრა კახეთი და ქართლი, ირანში გადასახლა ასეულ ათასობით ქართველი, ისევე როგორც მანამდე აჰყარა სომხები და თანამოძმე აზერბაიჯანელები.

მაშინ გადასახლებულ ქართველთა შთამომავლების ნაწილი დღესაც ცხოვრობს ფერეიდანის სოფლებში.

ქართლსა და კახეთში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქრისტიანი და მაპმადიანი მეფეები, ოსმალური და ყიზილბაშური გარნიზონები.

მიუხედავად ირანის სამხედრო ძლიერებისა, იგი შემოსავლით 10-ჯერ ჩამორჩებოდა საფრანგეთს, ტერიტორიითა და მოსახლეობით კი აღემატებოდა.

გახშირდა ტყვეებით ვაჭრობა, ქალ-ვაჟების გაყიდვა. შემდეგ ამას დართო ლეკიანობა, ოსების თავდასხმები, რომელთაც ამოწყვიტეს ბერთ ჯავა (შდრ – დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“).

შავიბდვისპირეთში, სფამბოლში, ოსმალეთის მონათა ბაზრებზე ჩრდილოკავკასიელებთან ერთად იყიდებოდნენ ქართველი ქალ-ვაჟები. ისინი საკმაოდ უნახავს სულხან-საბას მოგბაურობის ქამს.

ლამაზი გოგონა დირდა 20 ეკიუ, კაცი – 15, ქალი – 12 და ბავშვი – 3-4 ეკიუ (შარდენი).

ჩრდილოელებს მცირე საარსებო რესურსი პქონდათ და თავს ძარცვა-რძევით, ადამიანთა გატაცებითა და გაყიდვით ირჩენდნენ. ასე აქსებდნენ ოსმალების მონათბაზრებს.

ბოგი გაქცევით შველოდა თავს (მაგ., დავით გურამიშვილი) ან ქრისტიანი გამოისყიდდა (მაგ., ანთიმოზ ივერიელი), არადა – ელოდათ იანიჩარის, მამლუქის, საჭურისი მსახურის ბედი.

ბღვაზე აფხაზი მეკობრები თარეშობდნენ, ციხეებში მაკმადიანი ქართველები ისხდნენ.

ყოველწლიურად სამეცნიელოდან იყიდებოდა 2-3 ათასი გლეხი (შარდენი ასახელებს 12 000-ს) ანუ ქვეყანა საკუთარი სისხლით იკვებებოდა.

ყირიმიდან გაპყავდათ 20 000 მონა-ტყვე.

ბოგი მშობელი, შიმშილით სიკვდილს რომ გადარჩენოდა, საკუთარ შვილს ჰყიდდა.

გახშირებული ყაჩაღობა-მეკობრეობის შიშით ოსმალებიც კი იძულებული იყვნენ ევლოთ ბლვითა და ხომალდების მთელი

არმადით. მაგ., შარდენი სტამბოლიდან გამოჰყოლია 80 გემი-საგან შემდგარ ეკიპაჟს.

ეკლესია ებრძოდა მონათვაჭრობას.

განსაკუთრებით აქტიურობდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლი (1696-1742). მაგრამ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა, რადგან ეს იყო შემოსავლის წყარო.

თუ გონიერებასა და ერთგულებას გამოიჩენდა რომელიმე მონა-ტყვე, მას აწინაურებდნენ. ასევე ექცეოდნენ ყოფილ ქრისტიანებს.

მაგ., ოსმალეთის ჰყოლია 17 ქართველი დიდვებირი (მურად ქასაბი), დღევანდელი გაგებით – პრემიერ-მინისტრი.

ქართველი მამლუქები დიდხანს მართავდნენ ეგვიპტესა (მაგ., აბრამ შინჯიკაშვილი) და ერაყს (მაგ., დაუდ ბოჩოლა-შვილი-მანველაშვილი, მისი სიმამრი სულეიმან ბუიუქი).

ქურთი სალადინი, რომელმაც დაამარცხა ჯვაროსნები და შევიდა იერუსალიმში, ქმნის ეგვიპტის სახელმწიფოს, თავის დინასტიას, რომელიც ვერ დაამარცხეს ვერც ჰულაგიანებმა, ვერც თემურ ლენგმა.

ეგვიპტეში ეყრდნობოდნენ მამლუქთა სამხედრო ძალას. ასე იყო მაშინაც, როცა ეგვიპტე ოსმალთა იმპერიის ერთ-ერთი ოლქი გახდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში მას განაგებდა მარტყოფიდან გატაცებული იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი (1735-1815), რომელსაც მიმოწერა ჰქონდა ერეკლე II-სთან, დედასთან და მარტყოფის ეკლესიის ასაგებად ფულიც გამოუგზავნია.

ცოლი ქართველი ჰყავდა და ქართულად ლაპარაკობდა ქართველ მამლუქებთან.

1798 წელს ნაპოლეონთან ომის დროს მამლუქთა არმიას სარდლობდა ორი ქართველი – იბრაჰიმ ბეი და მურად ბეი. დევნილმა იბრაჰიმმა სიცოცხლე სუდანში დაასრულა.

ბაღდადის ქართველმა ფაშა სულეიმან ბუიუქმა (დიდი) ჩა-მოაყალიბა ქართველ მამლუქთა 4 000-კაციანი გვარდია (XVIII საუკუნის 80-90-იანი წლები).

სულეიმანს ცოლიც ქართველი ჰყავდა.

მისი სიძე იყო დაუდ მანველაშვილი, რომელიც 15 წელი მართავდა ერაყს. ჰქონდა მიმოწერა დედასთან, ძმებთან, ეხმარებოდა მათ. ერთხანს ეწადა ერაყის ჩამოცილება პორტასა-გან.

შავმა ჭირმა და სტიქიურმა უბედურებამ დაამარცხა ეს ურჩი ქართველი. სულთანისაგან თითქოს სიკვდილი ელოდა. მაგრამ გადარჩა და შემდეგ გახდა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ანკარის ფაში, მედინაში მაჰმადის საფლავის ბედამხედველი. მიიღო ხალიფას ტიტული. დამარხეს ხალიფა ოსმანის აკლდამის პირდაპირ.

ქართველი მამლუქები ებრძოდნენ ნაპოლეონს, ირანის შაპს, მონაწილეობდნენ შიდა ომებსა და კონფლიქტებში, ვიდრე მოსპობდნენ ამ ინსტიტუტს, დამყარებულს მონათვაჭრობაზე.

ქართველები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ ირანის პოლიტიკასა და კულტურაში (მაგ., როსტომ სააკაძე, მისი ძმა ალიყული, გიორგი სააკაძე, როსტომ ხანი, ალავერდი ხანი და მისი შვილები დაუდი და იმამყული, მანსურხანი ბარათაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე, გიორგი XI, მხატვარი სიაუში, მინიატურისტი ჯაბადარი).

როსტომ ხანმა (ხოსრო მირზა) დასვა ირანის ტახტზე შაპ-სეფი, შაპ-აბასის შვილიშვილი (1629-1642).

იგი იყო ისპაპანის მოურავი და შაპის გვარდიის სარდალი – ყულარადასი. შაპი მას ხან მამას, ხან ძმას უწოდებდა.

როსტომ ხან სააკაძე კი ირანის ჯარების მთავარსარდალი იყო (სიკვდილით დასაჯა შაპ-აბას II-მ 1642 წელს).

კათოლიკე იოსებ ქართველი (აბესალამაშვილი) შეესწრო ტრაგიკულ სცენას, როცა დამარცხებულმა შაპ ჰუსეინმა თავისი ხელით დაადგა გვირგვინი 24 წლის ავღანელ მეამბოხე მირ მაჰმუდს.

ეს ფაქტი იოსების აღწერით გახდა ცნობილი ევროპაში.

დაშლილი, დამარცხებული, დაბეგრილი და ურთიერთ-ბრძოლით გატანჯული ქვეყანა, რომელიც იცლებოდა მოსახ-ლეობისაგან, მაინც იღწვოდა კულტურისათვის. მაგრამ არ ჰყოფნიდათ ასპარეზი და კარიერას იკეთებდნენ მაჰმადიანურ სამყაროში.

## ჯაყელების სამცხე-საათაბაგო

გათურქებული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე გაუქმდა 14-ივე ეპარქია. ჯაყელების გვარი გამაპმადიანდა და ამ პირობით დარჩნენ ფაშებად.

საფაშოს პქონდა 24 სანჯაყი (24 000 კვ. კმ). მათაც მაპმა-დიანი ქართველები განაგებდნენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი კარგა ხანს ინარჩუნებდა ქრისტიანობას და კონფაქტებს ქარ-თულ სამეფო-სამთავროებთან.

ასეთივე იყვნენ ჯაყელებიც. მაგ., სულხან-საბა ორბელია-ნის მეორე ცოლი თამარი იყო ასლან ფაშას ასული, ირანის ქრისტიანი დედოფლის ელენეს ძმისშვილი (შ. ლომსაძე).

მაგრამ სტამბოლი შეურიგებელი იყო მართლმადიდებლო-ბის მიმართ და ყოველნაირად ცდილობდა ქრისტიანული კვა-ლის წაშლას.

კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩაცივდნენ ქართველები ტრა-პიტონის, ერზრუმის, ყარსის საფაშოებში.

აյ მხოლოდ ლაზებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა, მაგრამ დაკარგეს ქართული.

ფაშები და სანჯაყ-ბეგები უფრთხილდებოდნენ თავიანთ თავს, მემკვიდრეობით სახელოს, ქონებას და მტკიცედ იცავდნენ ოსმალურ კურსს, ყურანსა და მეჩეთს.

მაგ., როსტომ ფაშამ (1644-1659) ხატებს მოხსნა თვალ-მარგალიგი, ერთად მოაგროვა ხაფები, სახარების ხელნაწერები, სხვა წიგნები და დაწვა (შდრ – „გრიგოლ ხანძთელის კლარჯეთი“).

ბოგი ცდილობდა გადაერჩინა წიგნები, ჭედურობის ნიმუშები, საეკლესიო ნივთები და გადაპქნოდათ ქრისტიანულ მხარეში ან ყიდვები.

მანამდე, როცა ჯაყელები სეპარატისტობდნენ, აქ ისევ გრძელდებოდა კულტურული ცხოვრება. გადაუწერიათ XVI საუკუნის დასაწყისში სახარება და დავითისი, ტბელ აბუსერისძის კალენდარული ტრაქტატი.

წიგნები მოუხატავთ და მოუჭედავთ. შემდეგ, ოსმალთა შემოსევის დროსაც, აქ ისევ ყოფილან მწიგნობრები, კალიგრაფები, მხატვრები (მაგ., სოილ კოპაძე), მგალობლები. XVI საუკუნის ბოლოს გარდაიცვალა ახალგაზრდა მზეჭაბუკ ჯაყელი, რომელსაც სცოდნია თურქული, სპარსული, არაბული, ყოფილა მწიგნობარ-მგალობელი და რიცორი.

იმერეთისა, ქართლსა და კახეთში გამორბოდნენ დვთის-მსახურები, გადმოჰქონდათ საეკლესიო ქონება. მაგრამ ირანის შაჰისაგან დევნილი ქართლელი და კახელი მოღვაწენიც თავს აფარებდნენ ახალციხის (ჩილდირის) ფაშას (მაგ., გიორგი სააკაძე, თეიმურაზ I, გიორგი XII). ბოგიც სტუმრობდა (მაგ., მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი).

სულთანს თეიმურაზ I-სათვის მამულებიც კი მიუცია გონიოსა და ახალციხეში – ანგიირანული პოზიციის გამო.

მარაბლის ომში ქართველების მხარეს იბრძოდა ახალციხის ქრისტიანი ფაშა მანუჩარ III ჯაყელი.

ჯავახეთიდან გამოქცეული ერთი მესხი – თამაზ თორაშვილი სოლომონ I-ის კანცლერიც კი გახდა.

ამ დროს შეუდგენიათ მესხური მაციანის ქრონიკა, რომელიც ვახუშტის სიტყვით ხუთ ნაწილად იყოფოდა.

ეს იყო ჯაყელთა დინასტიისა და გენეალოგიის მაჩვენებელი საბუთი, რითაც სარგებლობდნენ ქართველი ისტორიკოსები (მაგ., ვახუშტი, სწავლულ კაცთა კომისია).

ახალციხელ ხოჯა ოსანათ ტერ-იოანეს დაუწერია „საისტორიო მისიონერული დღიური“ (1763-1809 წლები), რომლის სამი ეგზემპლარია მოღწეული.

იოანეს მამა ვაჭარი ყოფილა, თავად კათოლიკურ ეკლესიას ემსახურებოდა ანუ აშკარაა მრწამსის, ეროვნების, მსახურების აღრევა.

იგი აიძულეს ახალციხე დაეტოვებინა. ერთხანს ქუთაისსა და ჩხარში უცხოვრია. იქ სომხებს დაუბეტლებიათ და სოლომონს იმერეთიდან გაუძევებია. ახალციხეში დაუჭერიათ, გამოუსყიდიათ.

შემდეგ მეფეტპრე გამხდარა, ბოლოს – ახალციხის კათოლიკეთა ვიკარი (თანაშემწერ).

იოანე მთელი სიცოცხლე წერდა თავის ქრონიკებს. იცოდა ენები, იყო კალიგრაფიც, კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელიც, მკურნალ-დასტაქარიც. იცნობდა ედუარდ ტოტლებენს, ალექსანდრე ბატონიშვილს, სოლომონ I-ს.

მისიონერებს წესად ჰქონდათ დღიურების წერა. იოანეც ამ ტრადიციას იცავდა და ამიტომ შემოუნახავს მის ნაწერს მრავალი ფაქტი, რაც დღეისათვის საინტერესოა.

კათოლიკები ცდილობდნენ ახალციხეში თავიანთი გავლენის გაფართოებას. მაგრამ ეს ჭირდა, რადგან ქართველებს ქართულ ენაზე მეტყველებასაც კი უკრძალავდნენ, მეჩეთებში მხოლოდ თურქულს ასწავლიდნენ.

ქრისტიანს, თუნდაც კათოლიკეს, არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა. გარდა ამისა, მათ შერჩათ მხოლოდ სომხური, ხოლო ლათინური ჩაკვდა, რადგან ევროპელებს აღარ უშენებდნენ.

ამას მოსდევდა დენაციონალიზება, რომლის მაგალითია იოანე ხუცესი – გასომხებულ-გაფრანგებული ქართველი მოღვაწე, ვისთვისაც გვარიც კი შეუცვლიათ.

მაგ., ასპინძის ომში ფაქტიურად ერთმანეთს ებრძოდნენ მაკმადიანი და ქრისტიანი ქართველები. ხოლო ოსმალები და რუსები მაყურებელი იყვნენ.

განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდნენ სომები კათოლიკები, რათა ქრისტეს სახელით გაესომხებინათ მაკმადის მოძულე ქართველები.

როგორც ვხედავთ, ჯაყელების საფაშოში XVI საუკუნიდან დავიწყებას მიეცა უმდიდრესი ქრისტიანული ტრადიციები, წიგნები, ეკლესია-მონასტრები. აქაური ქართველები საერთოდ მოწყვდნენ სულიერებას, როგორც ქრისტიანულს, ისე მუსულმანურს. კულტურშემოქმედნი გადაშენდნენ და ხელთ შერჩათ მეჩეთი და ყურანი.

## პერსპექტივა

გამაპმადიანების გარეშეც ელიტა ჰკარგავდა ნაციონალურ ბუნებას, ითვისებდა ოსმალური და ირანული ცხოვრების წესებს, მათ კულტურას, ენას. ზოგი მაპმადის რჯულსაც ღებულობდა.

ოსმალების მიერ დაპყრობილი ქვეყნები იხდიდნენ ხარაჯას – შემოსავლის ერთ მეხუთედს, რაც ნაწილდებოდა უამრავ სახეობად.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ახალციხე, როგორც მონაპირე საფაშო, აღარაფერს უხდიდა სტამბოლს. შემოსავალი ვილაიეთს ხმარდებოდა.

რომ არა შემოსევები, ხალხის აყრა, დახოცვა, ნგრევა და მსხვერპლი – შეიძლება ქართველობა საერთოდ გადაგვარუბულიყო, გაეზიარებინა ალბანელების ბედი.

სიძულვილი წარმოშობდა დაპირისპირებას, დაღვრილი სისხლის მდინარე ჰყოფდა მაპმადიანებსა და ქრისტიანებს.

აგრესორებს მხოლოდ ცალკეული ლიდერები უწევდნენ წინააღმდეგობას (მაგ., ლუარსაბ I, სიმონ I, თეიმურაზ I, ერეკლე II, გიორგი სააკაძე), რაც მასას რწმენას უნარჩუნებდა.

ოსმალებმა აღწერეს, დაპყვეს სანჯაყებად და დაბეგრეს სამცხის რეგიონი, რაც აღრიცხულია გურულისგანის ვილაიეთის დავთრებში (დიდი დავთარი გამოსცა ს. ჯიქიამ).

ასეთ სიტუაციაში ქართული ელიტის ინტელექტუალური ნაწილისათვის სანიმუშო აღმოჩნდა ისევ სპარსული კულტურა,

რადგან ოსმალებს თითქმის არაფერი გააჩნდათ სულიერების სფეროში.

ამასის ბავით შემოსაზღვრულ სივრცეში შეიძლებოდა სიცოცხლის შენარჩუნება, ეკონომიკის აღდგენა, ფიქრი კულტურაზე.

მისი დარღვევის ყოველი ცდა სასტიკად ისჯებოდა (მაგ., კონსტანტინე მირბას შაპ-აბასმა რუსეთისადმი ერთგულების ფიცის გამო მოაკვლევინა მამა და მმა).

დენაციონალიზმის პროცესს აკავებდნენ ბაგრატიონი მეფები, ეკლესია და ცალკეული მოღვაწენი, დაბალი ფენები – სოფლების მოსახლენი.

ზოგი მმართველი (მაგ., როსტომი და ერეკლე პირველი) თუ ეკონომიკას ხელს უწყობდა, ნერგავდა სპარსული ცხოვრების წესს, სპარსულ სამოხელეო ტიტულატურას (მაგ., მსახუროუსუცესი შეცვალა ყორჩიბაშმა, მანდატუროუსუცესი – ემიკა-დაბაშმა, ხუროთმოძღვარი – სარაიდარმა და ა.შ.).

როსტომმა ირანიდან გფილისში ჩამოასახლა ყარაბოდელები და კინგოები. ესენი იყვნენ სპარსელები, თათრები და სომხები. მაგრამ ახალი მეჩეთები არ აშენებულა. ეს აკრძალული იყო შაპ აბასის დროიდან.

ვახტანგ V აიძულეს, რომ თავისი დედობილი მარიამ დედოფალი შეერთო ცოლად, შვილების დედა კი გაეშვა. მეფევალებს ამტკიცებდა ისპაპანი.

როგორც წერს ვახტანგი ბატონიშვილი „შეერიათ ქართველთა განცხოობა, სმა-ჭამა ყიბილბაშური, სიძვა, მრუშობა, ვიღრე სოღომიაღმე, ტყუვილი, ხორცო-განსვენება, უგვანი კეპლუცობა“ (შდრ – ხელნაწერთა მინიატურებზე აღბეჭდილი ქალური მანერების წვერმოპარსული, წვრილ და გრძელულვაშა მამაკაცები, ფეხმორთხმით მჯდარი).

საყურე ადრევე იყო მიღებული (იხ. სარგის და ბექა ჯაველების ფრესკა საფარის წმ. საბას მონასტერში).

ხელნაწერებში მხედრული ასოებიც, მათი მოსაზულობა და გადაბმა, დახლართული ხელრთვა, განსხვავებით გამოკვეთი-

ლი ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცურისაგან, იხრებიან სპარ-სული ორნამენტული ანბანისაკენ.

ქვეყნის აღდგენა ხდებოდა დენაციონალიზების ხარჯზე.

როსტომი და ვახტანგი დაიმარხნენ ყუმში, ირანში და არა ქართლში.

იმ დროს, როცა ჰყვაოდა ევროპული აზროვნება, კულტუ-რისა და შემეცნების ყოველი სფერო და ათასწლოვანი გამყინ-ვარების შემდეგ კაცთა გონმა დაიბრუნა დაკარგული მგრძნო-ბელობა, დაიბრუნა ადამიანი, რომი და ათენი, პროგრესის მა-გისტრალს აცდენილი ქართველი მოაზროვნენი ფირდოუსისა და ნიჩამის არეალში ტრიალებდნენ, მათი რესტავრირებით ანელებდნენ ასკეტიკას, გაზღაპრებულ აღმოსავლეთში ცხოვ-რობდნენ.

მაშინაც, როცა გამოჩნდა ევროპული კონტურები, განმა-ნათლებლურ იდეებს, დიდაქტიკასა და ცოდნის აპოლოგიას, ხოგბასა და ქებას შერჩნენ.

ცალკეული ცდები ვერ ცვლიდა საერთო მდინარებას.

ცხოვრება და გადარჩენის ინსტიქტები არც იძლეოდა სხვაგვარი ფიქრის, განსჯისა და ოცნების საშუალებას.

ფაქტიურად XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში აღად-გინეს „ამირანდარეჯანიანი“ რუსთაველის სალექსო სისტე-მით. „ვეფხისტყაოსნის“ იდეალები, ჰეროიკა და რომანტიკაც ამ ჭრილში დაინახეს და მათ დააშენეს აღმოსავლურ-სპარსული, მაპმადიანური კულტურა.

ამავე დროს ისევ გრძელდება ბიბლიური ეპიზოდების გარ-დასახვა, ისევ შემოაქვთ ქრისტიანული სახეები.

ეს იყო სიმბიოზიც, ანტირენესანსიც, ნაციონალური და კულტურული გადარჩენის პერსპექტივაც.

XVI-XVIII საუკუნეთა ქართულ კულტურაში გამოიყოფა სამი სტილურ-აზრობრივი ნაკადი: სპარსოფილური, ნაციონა-ლური და ასკეტიკურ-მისტიკური. მათ შორის იყო დაპირისპი-რება. მაგრამ არსებობდა ასეთი მობაიკა ერთი ავტორის შე-მოქმედებაშიც (მაგ., თეიმურაბ I-თან, სულხან-საბასთან, ბესიკ-

თან, დავით გურამიშვილთან) რომელიმე მათგანის უპირატესობით.

ასკეფიკურ-მისტიკური იდეოლოგიურად ერწყმოდა ნაციონალურს და ორივე უარყოფდა სპარსოფილურ ტენდენციას (შდრ – თეიმურაზი – „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეტიზი, მინარანიდა“).

მაპმადიანობა და გრიგორიანელთა მომძლავრება ქართულ ეკლესიას ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ არ ეცალათ ერებიკოსთა, წარმართთა თუ ცალკეულ განდგომილთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს მაშინ, როცა კათოლიკური დასავლეთი რწმენის სიწმინდის მოტივით სჯიდა მრევლს.

## 2. ქართულ-სპარსული სიმბიოზი

### რუსთაველისა და ფირდოუსის ტრადიციები

ქართული საერო მწერლობის აღდგენა იწყება „შაპნამეს“ თარგმანებით, რომლებიც ჯერ პრობაული იყო, შემდეგ – პოეტური.

ფირდოუსის „შაპნამე“ ისევე აერთიანებდა ირანელებს, როგორც ჰომეროსი – ბერძნებს, ძველი აღქმა – ებრაელებს, რუსთაველი – ქართველებს.

სპარსული ენა და კულტურა, მათი უმდიდრესი ტრადიციები სანიმუშოდ რჩებოდა, თუმცა ირანმა სახელმწიფოებრიობა და თავისი რელიგია დაკარგა VII საუკუნეში, არაბთა შემოსევის შედეგად.

ფაქტიურად, XVIII საუკუნებმდე, ქერიმ-ხანამდე, ირანს მართავდნენ უცხოფომელები, არაირანელები – არაბები, თურქ-სელჯუკები, ჰულაგიანი მონდოლები, თემურიდები, ოღუშები, ყიზილბაშები.

მხოლოდ მცირე ხანს, X-XI საუკუნეეთა მიჯნაზე, არსებობდა ბუიდების და სამანიდების დინასტიები. მათაც ვერ გააერთიანეს მთელი ირანი (მაგ., ცენტრები იყო თავრიზი და ბუსარა).

მაგრამ უცხოგომელები იცავდნენ და ავითარებდნენ სპარსულ ენასა და კულტურას, აგებდნენ მეჩეთებსა და მავზოლეუმებს, ზრდიდნენ ქალაქებს, სამხედრო ძლიერებას, ეწეოდნენ დაუსრულებელ ომებს ალაფისა და ხარკისათვის.

ბრძოლებს უამრავი მსხვერპლიც ახლდა. მაგრამ ქვეყანას შველოდა მაპმადის რჯული, რომელსაც აღიარებდნენ შუაბიიდან შემოსული თურქები და მონღოლები.

ამიტომ დინასტიების ცვლა, ხელისუფალთა დაპირისპირება, ცალკეული ოლქების გამოყოფა, მუდმივი დაშლა-გაერთიანება, მუდმივი შიდა და გარე ომები ირანს ისე გადაჰქონდა, რომ ინარჩუნებდა ენასა და კულტურას, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაში რჩებოდა (დღესაც ირანში მხოლოდ 35%-ია სპარსელი).

IX საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი სპარსული ენა – ფარსი, რომელზედაც დაიწერა ფირფოუსის (934-1025) „შაპნამე“, 120 000 სტრიქონისაგან შემდგარი ჰეროიკულ-რომანტიკული ეპოპეა. იგი გადმოგვცემს ფოლკლორსა და სასანიანთა „ხოდაი ნამაქჩე“ („სამეფო წიგნი“) დაყრდნობით ირანელთა ისტორიას არაბების შემოსევამდე, დეპუნების გმირულ წარსულს.

ქართველები ევროპისაგან მოწყვეტილი იყვნენ. მონღოლები, თხმალები, თურქული ტომები თავადაც სპარსულს აღიარებდნენ. ამიტომ მიმართეს სპარსულ კულტურას, მის უპირველეს ძევლს, რომელიც აჩვენებდა მაზდეანურ პერიოდს, არა მაპმადიანურ ყოფა-ცხოვრებას.

როგორც ვთქვით, ცალკეული ეპოზოდები პროტად გადმოუდიათ. XVI საუკუნიდან კი დაუწყიათ გალექსვა.

აქ დიდი მნიშვნელობა იქონია რუსთაველის ტრადიციამ, „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც თანდათან იპყრობდა მასისა და არისტოკრატის გულისყურს.

„ვეფხისტყაოსნიდან“ „შაპნამემდე“ მისვლა, მისი გაცნობა და გადმოცემა სავსებით ბუნებრივი იყო, რაღაც ორივე პოემა ერთ ტიპოლოგიურ რკალშია მოქმედები.

ამიტომ გამოიყენა პირველმა გამლექსავმა სერაპიონ საბაშვილმა (კედელაურმა) რუსთაველის ლექსის მეტრი-შაირი, ფირფოუსის ორგაეპედი კი აქცია კატრენულ სტროფად ანუ აიღო არა ორმაგი, არამედ – ოთხმაგი რითმა.

გადმოკეთება-თარგმანის ასეთი პოეტიკური მოდელი და ესთეტიკური კრედო ბატონობდა XIX საუკუნემდე, ვიღრე არ დასცილდა აღმოსავლეთს საქართველო.

რუსთაველის პოპულარობას აძლიერებდა შექმნილი პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია, ირანელთა ვასალობა, მათი ენისა და კულტურის ცნობადობა, საერთ არისტოკრატის მუდმივი კონფაქტი ირანელებთან, სპარსულის ცოდნა, საერთო ესთეტიკა.

XVI-XVIII საუკუნეთა ქართული პოეტია წარიმართა რუსთაველის ლექსისა და სიტყვის სრული ჰეგემონობით. მან თავის სივრცეში მოაქცია ფირფოუსიც, რომლის სტრიქონები აღიქმება „ვეფხისტყაოსნის“ მიმსგავსებად თუ გაგრძელებად.

სერაპიონ საბაშვილს კიდევ ამიტომ ჩაურთავს ტექსტში გაბაასების სტრიქონები რუსთაველთან.

როგორც ვთქვით, მას არ სცოდნია პოეტის სახელი.

თითქოს დეკანოზი სვიმეონ შოთასძე თავს მიიჩნევს რუსთაველის შთამომავლად, ე.ი. მან იცის, რომ რუსთაველს შოთა ერქეა. ეს ფაქტი უცნობი იქნებოდა სერაპიონისათვის, თანაც დეკანოზი გამოკვეთილად არაფერს ამბობს.

სვიმეონი ცხოვრობდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში, სადგერში, ბორჯომის მახლობლად (ალ. ბარამიძე). მას მოუჭედავს წმ. გიორგის ჯვარი და რუსთაველური ლექსით დაუწერია მისი ქება (ილ. აბულაძე, ქრ. შარაშიძე, ტრ. რუხაძე).

სერაპიონი იყო ქსნის ხეობის გრემის თავი და ხევისბერი (კ. კეკელიძე), დაახლოებული სამეფო კართან, კონსტანტინესა და ბაგრატიან.

უცხოვრია XVI საუკუნის I მესამედში, სვიმეონამდე.

ასე რომ, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ.

სერაპიონს უთარგმნია „როსტომიანი“ „ზაალის შობით ლორასპამდის“. მისი შრომიდან შემდეგ ცალკე გამოჰყვეს ბე-ჟანისა და მანიუეს ამბავი და „ბეჟანიანის“ სახელით ბევრჯერ გამოსცეს ტფილისში.

„როსტომიანი“ დაუმთავრებია ხოსრო თურმანიძეს. მასვე გადმოუდია „შაპ-ნამეს“ დასაწყისი – ზაალის შობამდე, რომელსაც „ფრიდონიანს“ უწოდებს კ. კეკელიძე.

სერაპიონს უსარგებლია პრობაული თარგმანით, ხოსროს – სპარსული ტექსტით (XVI საუკუნის მეოთე ნახევარი).

„როსტომიანიც“ დიდად პოპულარული იყო, თუმცა მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა. იგი თავისუფალი თარგმანია, რომელშიც შეტანილია ქრისტიანული ელემენტები.

თარგმანისათვის „ჩალხი გაუკრავს“ ფარსადან გიორგი-ჯანიძეს (XVII ს.), თუმცა იგი მაინც დარჩა რუსთაველის მიბაძვად.

ეს იყო რესტავრაციის დასაწყისი, რომელმაც აჩვენა, რომ საერო მწერლობამ ორიენტირო აიღო სპარსულ პოეზიაზე, რომ მას ღებულობდა რუსთაველის ლექსით, როგორც ამ პოემის ესთეტიკის, პიპერბოლის, ჰეროიკისა და რომანტიკის გაცრციბას.

მაგრამ ქართველი პოეტები არ მიმართავდნენ ხაიამს, საადს, ჰაფეზს, რუმს ან ჯამის. ყურანის ხსენებას კი ტაბუ ედო.

მათი მშერა ტრიალებდა ფირდოუსისა და ნიბამის ესთეტიკურ-თემატიკურ სამყაროში, მათ მიერ მოხატულ სივრცეში.

თარგმნიდნენ შაპ-ნამეს მიბაძვით დაწერილ „უთრუთიან-საამიანს“, როგორც პრობით, ისე ლექსად (გამლექსავი ბარძიმ ვაჩნაძე), „ზააქიანს“ (მამუკა თავაქარაშვილი), „ბარზუ ნამეს“, რომელიც სპარსულში მოცულობით „შაპ ნამეს“ აღემატება

(ხოსრო თურმანიძე), „საამნამეს“, „ბაამიანს“ (პროგად), „სირინობიანს“, „ყარამანიანს“, ძირითადად პროტით (სარდალი დავით ორბელიანი).

რუსთაველის გავლენით თარგმნიდნენ პოემებს, ეპიკურ ეპოსს და არა ლირიკას. აინტერესებდათ საგმირო ამბები, სასიყვარულო ისტორიები, აღმოსავლელ მეფეთა ცხოვრება.

„ვეჭხისფყაოსანი“ პირდაპირ არ ასახავს ქართულ რეალობას, არ ახსენებს ქართულ ტოპონიმებს, ქართული ისტორიის ფაქტებს. ამიტომ ასეთ ხედვას, ასეთ ხატვას შეესაბამებოდა აღმოსავლურ-სპარსული ეპოსი, რომელსაც აქართულებდა ენა და რუსთაველის ლექსი, სიტყვის ესთეტიკა.

ითარგმნებოდა, როგორც ვთქვით, პროტითაც, რომელსაც ტრადიცია ჰქონდა „ვისრამიანში“. მაგრამ მთავარი იყო ლექსად, თანაც 16-მარცვლოვანი მეტრით და კატრენული სტროფით გარდათქმა, ოღონდ სიბუსფის გარეშე.

ამ პერიოდში გაულექსავთ „ვისრამიანი“ (არჩილ მეფე) და „ამირანდარეჯანიანიც“ (სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები) ანუ, როგორც ამბობდა სულხან თანიაშვილი, ყურს ლექსს უპყრობდნენ, ხოლო „ამბის წიგნები ძეს ავად“.

ამისი ერთ-ერთი მიზები, გარდა სპარსული პოეზიისა და რუსთაველის ბეგავლენისა, იყო ისიც, რომ წერა-კითხვა ცოტამ იცოდა. ხოლო ლექსის წარმოთქმა უფრო ითლი იყო, ვიდრე პროტისა.

პროტის ტექსტის დამახსოვრებაც ჭირდა, ზეპირცოდნაზე რომ არაფერი ვთქვათ.

სპარსულ პოეზიაში ყურადღება არ ექცეოდა ორიგინალურ ფაბულასა და სიუჟეტს, პერსონაჟთა სახელებს, თემატიკას, პრობლემატიკას.

მთავარი იყო სიტყვისა და ლექსის ხელოვნება.

ამიტომ ლექსის თხზვა იყო შეჯიბრის ასპარეზი, ვინ უკეთ იტყოდა. როგორც მსახიობები ასრულებენ როლებს, ვთქვათ, ოტელოსი ან ჰამლეტისა, ასრულებენ ინდივიდუალური ტემპერამენტი, მოძრაობებით, ხმით, ისე პოეტები თავიანთ ნიჭს

ავლენდნენ მოცემული სქემის გაცოცხლებით, დასაზღვრულ რეალში.

შესაბამისად – შეითხბა მრავალი „ლეილმანჯუნიანი“, „ხოსროვშირინიანი“, „ვარდბულბულიანი“. თითქოს ორიგინალობა ნიშნავდა ამ შეჯიბრისაგან თავის არიდებას, საკუთარ უძალობას.

ქართველი მესიტყვენიც ასეთ პროცესში ჩაერთვნენ.

## ნიბამი განჯელის რადიუსში

როგორც ადრე ასკეტ-მისტიკოსები გატაცებითა და თავდადებით თარგმნიდნენ ბიბანგიურ ტექსტებს, ბიბლია-სახარებას, ასეთი ენთუზიაზმით ამჯერად გადმოჰქონდათ სპარსული პოემები.

მაგრამ თუ რელიგიურ ნაშრომებში ცდილობდნენ სიზუსტის დაცვას, რადგან საქმე ეხებოდა რწმენას, ამჯერად ტექსტებს თავისუფლად ეპყრობოდნენ, ავრცობდნენ, ამოკლებდნენ, შეპქონდათ ცვლილებები.

ბოგჯერ სპეციალისტებს უჭირთ გარკვევა (მაგ., თეომურაბ I-თან), ტექსტი ორიგინალურია თუ თარგმნილი.

ეს გამოწვეულია სპარსული პოეტის კანონიკით, როცა შემოქმედება ცხადდებოდა შეჯიბრად, სახითად, კონკრეტული თემის ვარიაციად.

ქართველ ავტორებს ფირდოუსის შემდეგ ნიბამი განჯელზე გადაუტანიათ ყურდება და უთარგმნიათ მისი პოემები.

„სპარსული ენის სიტყბომან მასურვა მუსიკობანი“ – წერდა მეუე პოეტი თეომურაბ I, რომელმაც მთელი სიცოცხლე ირანთან ბრძოლას შეალია და შეაწყვიფა თავისი ოჯახი.

იმასაც შენიშნავდა, რომ „მძიმეა ენა ქართველთა“.

ეს მხოლოდ თეომურაბ პირველის აზრი არ იყო, რასაც ცხადყოფს სპარსული პოეტის თარგმნების სიმრავლე და ორი-

გინალური ტექსტების სიმცირე, სიმცირე როგორც რაოდენობით, ისე მოცულობით.

სამეფო-სამთავროები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული მაპმადიანებთან, ირანელებთან და ოსმალებთან, მაგრამ კულტურით მათი გავლენის სივრცეშიც ნებაყოფლობით ექცეოდნენ, ქრისტე სწამდათ, მაგრამ მაპმადის პოეზიას ეწაფებოდნენ.

ეს უცნაური ქართულ-სპარსული სიმბიოზი, ერთი მხრივ – გადარჩენისათვის ბრძოლის შედეგი იყო, მეორე მხრივ – თავად სპარსული პოეზიის ჰეროიკაში ჰპოვებდნენ მაპმადიანთასთან ბრძოლის სტიმულსა და რესურსს.

ბიზანტია შეცვალა ირანმა.

მაგრამ ბიზანტია ქრისტიანობის ფორპოსტი იყო, ირანი – მაპმადიანობისა, რომელიც ყველა ურწმუნოს (გიაურის) განადგურებას მოითხოვდა.

ასე ბრძანებდა ყურანი.

ასე მოუწოდებდა ცაბაოთიც ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს.

თარგმანების მეორე ტალღა ნიბამის პოეზიის არეალია.

შარვანშა აღსართან მეორის დაკვეთით დაწერილი „ლეილმაჯნუნი“, როცა იგი უნუგეშოდ იყო შეყვარებული თამარ მეფებე, საქართველოშიც მაშინვე ჰპოულარული გამხდარა.

ეს ინტერესი ჩანს „ვეფხისტყაოსანშიც“.

კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ეს პოემაც უნდა ეთარგმნათ ქართველებს იმ დროს.

„ლეილმაჯნუნიანის“ მრავალი ვარიაციაა ცნობილი, მათ შორის – ამირ ხოსროვისა და აბდურაპერან ჯამისა.

როგორც აღნიშნავენ, თეიმურაზ I-ს გადმოუკეთებია XVI საუკუნის მიწურულის პოეტის შეის საადის ვარიანტი, რომლის საწყისია ნიბამი განჯელი.

„ხოსროვშირიანიანისათვის“ აუღიათ ხოსრო დეპლევის ვარიანტი (ალ. ბარამიძე), უთარგმნიათ პროზით XVII-XVIII

საუკუნეთა მიჯნაზე. ნიგბამის „ხამსეს“ (ხუთწიგნეულის) ერთორთი ნაწილია „ბარამ-გურიანი“ (გური – კანჯარი სპარსულად) ანუ „შვიდი მთიები“.

ამ პოემის მრავალი ვარიანტი არსებობს, ზოგი ცნობილი, ზოგი უცნობი ავტორისა.

ტექსტი გადმოგცემს ბარამ ერანის ხელმწიფის (420-438) ამბავს თუ როგორ შეირთო შვიდი ცოლი (როგორც გვახსოვს, იგი სასტიკად ეპყრობოდა ქრისტიანებს).

ესენია – ინდოთ, თურქთა, ჩინთა, ხაფაელთა, რუსთა, ბერძენთა, ფრანგთა ანუ შვიდთა იყლიმთა მეფეების ასულები.

ჩინელი მხატვარი მანი ყოველი ცოლის შერთვის შემდეგ ბდაპარს უყვება ბარამს შესაბამისი ფერთა სიმბოლიკით.

შემდეგ ირანს ჩინეთის მეფე შემოესია და დარღიმანდი მეფე იძულებული გახდა ქეიფი და დროსტარება შეეწყვიტა.

ბოლოს დაამარცხა ხაყანი, გავიდა სანადიროდ და კანჯარს გაეკიდა. კანჯარი გამოქვაბულში შეიმაღა, შიგ შეჰყვა ბარამიც და გაუჩინარდა.

პოემა უთარგმნია ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილს 1655-1656 წლებში, სიკვდილის წინა ხანებში.

კ. კეკელიძის აზრით, თარგმანი კომპილაციური ხასიათისაა – ცალკეული ეპიზოდები აუღია ნიბამის, ასაღის, ნავოის ტექსტებიდან და ასე შეუქმნია „ბარამგურიანის“ ქართული ვარიანტი, რუსთაველის საგრძნობი გავლენით.

სპარსულიდან უთარგმნიათ, ასევე „იოსებზილიხანიანი“, რომლის საწყისია ფირდოუსთან. მოღწეულია ორი ვარიანტი. პირველი მომდინარეობს ჯამისა თუ მისი მიმბაბველებისაგან (გ. ჯაკობია, ალ. გვახარია). მეორის ავტორია თეიმურაზ I, რომელსაც აუღია არა ერთი რომელიმე ავტორის ტექსტი, არამედ – მოუცია ისეთივე ვარიაცია, როგორიც იყო მიღებული სპარსულ მწერლობაში.

ნაკლებად მნიშვნელოვანია „ბარამგულანდამიანი“, „ბარამგულიჯანიანი“, „მიჯნური ბადე“. მაგრამ საინტერესო

ისაა, რომ უკვე რუსთაველის გავლენას ერთვის თეიმურაბ პირველის გავლენაც.

თეიმურაბ I-ის შთაგონება სუფისტური სიყვარული, სპარსული პოეზია, მისი თემატიკა, პრობლემატიკა და მუსიკალობა იყო. როგორც ჩანს არჩილის „გაბაახსებიდან“, იგი რეალურადაც ეფოქტურდა რუსთაველს, მაგრამ, ცხადია, ვერ შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ მაგნიტური არედან გაღწევა.

XVIII საუკუნიდან ქართველები სცილდებიან ფირდოუსსა და ნიბამი განჯელს, სპარსულ ლირიკას და ფორმალიზმის ჩიხში ექცევიან.

## სპარსული თემატიკა

ქართველი პოეტები მთელი XVI საუკუნე და XVII ს-ის და-საწყისში თარგმნა-გადმოკეთებით არიან გატაცებული, მონაწილეობები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შევსებაში, წერენ გაგრძელებებს, ბოლოს – გაგრძელებათა გაგრძელებას „ომანიანს“, რომლის ავტორია სარდალი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ნიკიფორე ირაბახის ძმა.

იგი ეჭვიანმა თეიმურაბ პირველმა მოაკვლევინა, ისევე როგორც ქართლის მაქმადიანი მეფე სიმონ II და თავისი სიძე ბურაბ არაგვის ერისთავი (თავი შაჰს გაუგბავნა).

თარგმნა-გადმოკეთება ქართველთა უძველესი ტრადიცია იყო. სასულიერო მწერლობის მხოლოდ მცირე ნაწილია ორიგინალური.

ასეთ განმანათლებლურ მისიას ჰქონდა გამართლება და მნიშვნელობა გარკვეულ ზღვრამდე. იგი ნიშნავდა სხვათა გამოცდილების ათვისებას, ინტელექტუალური ელიტის ინფორმირებას, ინტერესების აღძვრას.

მაგრამ ხანგრძლივ დროში ადუნებდა შემოქმედებით სულს, აჩვევდა პასიურობას, მგა სქემებით ოპერირებას.

მხოლოდ თეიმურაზ I-მა (1589-1663) დაუდო ბლვარი თარგ-მანებით გატაცებას. იგიც ამოღიოდა რუსთველური და სპარსული ტრადიციებიდან. მაგრამ უკვე ცდილობდა არა იმდენად თარგმნა-გადმოკეთებას, არამედ – სპარსული თემატიკის დამუშავებას, ისეთ შეჯიბრში მონაწილეობას, რაც სპარსულ პოეზიაში იყო მიღებული.

ამიტომ მისი პოემები – „ლეილმაჯნუნიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, რომელთაც კ. კეკელიძე გადმოკეთებულად მიიჩნევს, უფრო არის სპარსული თემატიკის ქართულ ენაზე დამუშავება, ირანული კულტურის ტრადიციების გადმოტანა და შერწყმა რუსთაველის ტრადიციასთან.

ამიტომ კონკრეტულ დედანს ვერ პოულობენ სპარსულ ლიტერატურაში. მართალია ავტორი ასახელებს მოლა აჯას, ამბობს, რომ ვიწყებ „თარგმანობას“. მაგრამ არაფინ იცის, ვინ იყო ეს მოლა. თანაც პოეტი აქ თარგმანში უნდა გულისხმობდეს სწორედ დაუსწრებელ პოეტურ მუშაირაში მონაწილეობას.

ასე რუსთაველის ინტერპოლაცორიც ამბობს, რომ ესე ამბავი სპარსულია და მე გავლექსეო. მაგრამ არ ვეჯერებთ.

თანაც თავისი პოემებში თეიმურაზი ურთავს ქართულ მასალას, მაგ., „იოსებბილიხანიანში“, რუსთაველის ვინაობას, „ვეფხისტყაოსნის შინაარსს.

„იოსებბილიხანიანის“ დედანიც უცნობია, ეს მაშინ, როცა ამ პოემის სხვა რედაქციას, ანონიმი ავტორისას, საფუძვლად დასდებია ჯამის ვარიანტი (კ. კეკელიძე, გ. ჯამბურია).

„ლეილმაჯნუნიანის“ ტექსტში ნათქვამია, ამ ამბავს შიხ სადის დავეცილებით. XVI საუკუნის ბოლოს მართლაც არსებულა პოეტი შეიხ საადი, რომელსაც ამ სათაურის პოემა დაუწერია.

მაგრამ „დავეცილები“ აქ გაჯიბრებას ნიშნავს, არა მიბაძვა-გადმოკეთებას. გარდა ამისა, პოემაში შესულია ქრისტიანული ელემენტები და ანტიმაპმადიანური პათოსი.

ამრიგად, უნდა ჩავთვალოთ, რომ თეიმურაბის ამ პოემებს არა აქვს კონკრეტული წყარო და ისინი თავისუფალი ფანტაზი-რებაა სპარსულ მასალაზე და ერთგვარი გაჯიბრებაა სპარს პოეტებთან.

სპარსული თემატიკის დამუშავება, ისევე როგორც თარგმ-ნა-გადმოკეთება, გავრძელდა XIX საუკუნემდე. მაგრამ პარა-ლელურად, იმავე თეიმურაბის შემოქმედებაში გამოიყო ორი-გინალური ნაკადიც.

ეს არის „გაზაფხულშემოდგომიანი“, „სიტყვა სწავლისა“, „ქეთევანიანი“, ლირიკული ლექსები, მაჯამები და ანბანთქე-ბანი, რაც შეადგენს კრებულს „მაჯამა“.

სვეგამწარებული მეფის ლირიკაში, განსხვავებით სპარსუ-ლი თემატიკისაგან, ძირითადია სოფლის სამდურავი, საწუთ-როს კილვა, რასაც ჯერ კიდევ რუსთაველი უჩიოდა:

„მოვკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზედ მხეცნი მოაწივე“. „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ,

მე მქენ დასადაგე?

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგვ,  
დამიკარგე ძე, ასული, მმა, არ ვიცი და სად აგე?

სხვა ნაყოფი, მათებრ ტურფა, რა აშენე და სად აგე?“

ასეთ სტრიქონებში სპარსულ ესთეტიზმს ენაცვლება პი-როვნეული ტრაგედია, რომელიც ქართლ-კახეთის კატასტრო-ფის ნაწილია:

თეიმურაბმა რამდენიმეჯერ დაკარგა ტახტი. იყო ღრმად ქრისტიანი, სპარსულის მეხოტბე და მაკმადის მოძულე, დედა ქეთევანი წამებით მოუკლა შაჰ აბასმა. დაასაჭურისა ვაჟები – ალექსანდრე და ლევანი (ერთი შეიშალა, მეორე გარდაიცვა-ლა), მოუკლა და, ასული, მესამე ვაჟი – დავითი როსტომთან ბრძოლაში დაეღუპა, მეორე ასულს ქმარი (ზურაბ ერისთავი) თავად მოუკლა, შემდეგ დარეჯანი ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1639-1660).

ეს ქართველი კლეოპატრა, ძალაუფლებისათვის მებრძო-ლი დედოფალი, ბოლოს შეირთო ვახტანგ ბაგრატიონ-ჭუჭუ-

ნაიშვილმა და მცირე ხნით დაუბრუნდა ტახტს. მაგრამ მალე ისიც მოკლეს.

თეიმურაბი კარგი სარდალიც იყო და ჯარს თავად მიუძღვდა ომში. მაგ., წიწამურთან დაამარცხა შაპ-აბასის ცნობილი სარდალი ალი-ყული-ხანი, ბაზალეთთან – გიორგი სააკაძე, ქალეთთან წინ აღუდგა თავად შაპ-აბასს, ამოხოცა შემოსეული ლეკების რაზმები, დაარბია ბარდა და ყარაბალი, კახეთიდან გააძევა მმართველი სელიმ-ხანი.

დამარცხდა მარაბდაში ისა-ხან ყორჩიბაშთან, შემდეგ – დიდოელებთან და ლეკებთან, საბოლოოდ – როსტომ ხანთან.

მთელი სიცოცხლე ებრძოდა და ეურჩებოდა ირანის შაჰებს, სთხოვდა დახმარებას ევროპას, თხმალეთსა და რუსეთს. ბოგჯერ ისპაპანთანაც პოულობდა საერთო ენას, შვილიშვილიც გააგზავნა მოსკოვში – ერეკლე, მომავალი ნაბარალი-ხანი (რომლის შვილად მიაჩნიათ იმპერატორი პეტრე I), თავადაც ჩავიდა თეთრ დედაქალაქში. მაგრამ, ბოლოს ბერად შემდგარი, ეახლა შაპს, რომელმაც იგი დააპატიმრა და ასტრაბადის ციხეში აღესრულდა – „დადუმდა ენა რიგორი“ (არჩილ მეფე).

პოლიტიკურად თეიმურაბი იყო ცენტრალური ფიგურა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, თუმცა მის მოქმედებას ხშირად აღძრავდა ეჭვი, ამბიცია და ინგრიგები.

ასეთი ტრაგიკული ბედის მონარქმა კულტურაშიც დიდი წვლილი შეიტანა, როგორც პოეტმა, რომელმაც მთარგმნელობა-გადმოკეთების მეთოდი შეცვალა ორიგინალური შემოქმედებით და ამისათვის თავადაც მიმართა რუსთაველის ლექსსა და ესთეტიკას, შემოიტანა ლირიკის ქანრი და სალექსო ფორმები.

როგორც ჩანს, ლექსები და პოემები უწერია ტრაგიკული ისტორიების ინტერვალებში – 30-იან წლებში კახეთში და 50-იან წლებში – იმერეთში.

თეიმურაზის ანგილიანულ პოლიტიკას აწონასწორებდა მაპმადიანი, ხარჭის ნაშობი როსტომი, სპარსოფილი და ისპა-ჰანის ერთგული (1565-1658).

ეს 60 წლის კაცი ყიზილბაშთა ჯარის ერთ-ერთი სარდა-ლია მარაბდასა და ქსანთან ბრძოლებში, შემდეგ – ისპაჰანში ტარულა და ყულარადასი (შაჰის გვარდიის სარდალი, 10 000-იანი ღულამთა კორპუსი, დაკომპლექტებული გამაპმადიანებუ-ლი ქართველებისა და სომხებისაგან).

ამიტომაც დაიმარხა ერთი ალავერდში, მეორე – ყუმში (ირანი).

როსტომი სპარსული ცხოვრების წესის მიმდევარი იყო. სპარსულად აღმრღველი. მაგრამ ხელს უწყობდა ქართლის მო-შენებას, ეკონომიკის აღდგენას, კულტურას. მაგ., მისი მეუღლე იყო მარიამი, ლევან დადიანის და, რომლის სახელს უკავშირ-დება „ქართლის ცხოვრების“ გადაწერა და დახმარება ეპ-ლესია-მონასტრებისადმი.

1648 წელს, როცა საბოლოოდ დამარცხდა თეიმურაზი, როსტომს შეეძლო კიდევ შეპყრობა. მაგრამ ეს არ ინდობა და თეიმურაზის მეუღლის ხორეშანის თხოვნით გჩა მისცა იმერეთისაკენ, სიძე-ქალიშვილთან, უფეშქაშა 500 თუმანი და ათხოვა 500 ცხენ-ჯორი!

როსტომის კურსის წყალობით ქართლი ელირსა მშვიდო-ბას.

შეიქმნა კულტურისათვის საარსებო პირობები.

ეს გზა გააგრძელეს ვახტანგ V-მ, გიორგი XI-მ, ერეკლე I-მა, ქაიხოსრომ, ვახტანგ VI-მ 1723 წლის კატასტროფამდე.

მაგრამ მუდმივი ომები, შემდეგ – როსტომის სპარსოფი-ლური ტენდენციები აძლიერებდა საერო მწერლობას და ინტე-რექს უკარგავდა საღვთო წიგნებს, ტრადიციულ სულიერებას.

ეს შეუნიშნავს თეიმურაზს:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“.

მათ ადგილს იკავებდა მაპმადიანურ-სპარსული ლიტერა-ტურა.

არც არჩილის დროს იყო უკეთესობა:

„სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით, საშაიროს ინახევდნენ სტავრის ბუდით ან ნახლობით“.

ეს „საშაირო“ კი იყო სპარსულიდან თარგმნილი და გადმოკეთებული პოემები, დაწერილი რუსთველური ლექსით.

ამიტომ კიდევ უფრო ძლიერდებოდა ინგერესი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისადმი“, რომელიც აერთებდა ლექსს, საერო მოტივებსა და აღმოსავლურ სამყაროს.

აღმოსავლური თემატიკა პრობამაც აითვისა, როგორც XII საუკუნეში.

მართალია, ლექსი უფრო აინგერესებდათ. მაგრამ იგავარაკები, ალევორია, მორალისტური შეგონებანი, სენტენციები და აფორიზმები პრობით ან ლექსნარევი თხრობით უფრო მარჯვედ გადმოიცემოდა.

საქართველოში კარგად იცნობდნენ ასეთი ხასიათის წიგნებს, თხრობის მოდელს, როცა მოცემულია საერთო ფაბულა, საერთო კომპონტიციური ჩარჩო. მასში ჩართული პერსონაჟები ავითარებენ ძირითად ამბავს, მაგრამ სიუჟეტს ტვირთავენ იგავური ჩანართებით, რომელთა მეშვეობით გადმოგვცემენ ძირითად აბრს, ამბიდან გამომავალ სიბრძნეს, რაც უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთსტრიქონიანი აფორიზმები.

ასე იყო დაწერილი „ქილილა და დამანას“ ანუ „ანვარი სოპაილის“ ვერსიები. ეს ტექსტი ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში აინგერესებდათ ქართველებს. ხოლო სპარსული კულტურისა და მმართველობის მოძალების ქამს კიდევ უფრო დაიახლოვეს.

ასეთი ტიპის მოდელზეა აგებული ანონიმის „რუსუდანიანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუესა“.

„რუსუდანიანი“ თორმეტი კარისაგან შედგება, რომელიც მოიცავს თორმეტი ხელმწიფის ამბავს, თორმეტ სადევგმირო, სათავგადასავლო ბლაპარს.

გმირინის ქვეყნის ერთ დიდებულს აფთვიმიანეს ჰყავს თორმეტი ვაჟი. ბოლოს, ნაფრობდა და ეყოლა ასულიც. მას

რუსუდანი დაარქვეს, რომელსაც ცოლად ირთავს მანუჩარი, იამანელი ქრისტიანი მეფის ვაჟი.

ეყოლათ სამი ძე და ერთი ასული – როდამი.

ქვეყანაში ამ დროს სპარსელები ბატონობდნენ, რომლის მეფე თავისთან დაიბარებს მანუჩარს, შემდეგ – როდამსა და ფრიდონს.

სასოწარკვეთილ რუსუდანს ძმები მორიგეობით უყვებიან ზღაპარს და ასე ანუგემებენ.

მანუჩარს იამანეთის მეფედ აბრუნებენ. ქმრის ლოდინში რუსუდანი კვდება. შემდეგ ბრუნდება მანუჩარიც.

„რუსუდანიანის“ აღმოსავლური წყაროები დაადგინა ალ. ბარამიძემ, მათ შორის „შაპ ნამეს“ ქართული ვერსიებიცაა.

წიგნი, კ. კეკელიძის აზრით, დაწერილია XVII საუკუნის 60-იან წლებში, ვამიყ დადიანის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა სვიმონ მეფის ასული ელენე.

სულხან-საბა თრბელიანის „სიბრძნე სიცრუისაც“ აღმოსავლურ სიუკეტებს ემყარება. მასაც აქვს ბდაპრული ჩარჩო, შეიცავს 100-ზე მეტ იგავ-არაკს, ასევე – აფორიზმებსა და სენტენციებს.

აქაც მეორდება შაბლონური სიუკეტი – მეფე ფინებს დიდ-ხანს არ ჰყავდა შვილი. შემდეგ შეეძინა, დაარქვეს ჯუმბერი. მას ბრდის ახალგაზრდა ლეონი, ბრდის სპარგანული წესით.

მეფეს ჰყავს ვებირი სედრაქი და საჭურისი რუქა.

რუქა მეფესთან აბებლებს გამზრდელს, სედრაქი კი იცავს. მათ შორის პაექრობა იმართება იგავ-არაკებით, რომელიც ავსებს თხრობას. ასევე იგავებით კამათობენ ფინები, ლეონი და ჯუმბერი,

მიუხედავად რუქას მონდომებისა, მეფე კმაყოფილი დარჩება ლეონის გარჯით.

„სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკებს, როგორც ნაჩვენები აქვს კ. კეკელიძეს, საწყისები აქვს აღმოსავლურ ლიტერატურაში – „ათასერთი ლამეში“, „პანჩატანგრაში“, „ქილილა და და-

მანაში“ და სხვა ტექსტებში ანუ ესეც არქეტიპული მოდელების აშკარა ვარიაციაა.

ასე რომ – ორივე პრობაული ტექსტი, როგორც „რუსუდანიანი“, ისე „სიბრძნე სიცრუისა“ ტიპოლოგიურად აღმოსავლურ, კერძოდ – სპარსულ არეალს განეკუთვნება. მაგრამ ამ სივრცეში სულხან-საბა ლაკონიური და სადა თხრობით, იყავთა მიზანდასახულობით, მათგან გამომავალი ამრით აღწევს ორიგინალობას ანუ ამბავი მოვონილია, ტყუილია, მაგრამ მისგან გამოფანილი დასკვნა – სიბრძნე.

ეს ორი წიგნი მაშინ, როცა რუსთაველის ტრადიცია და ლექსი ბატონობდა, პოპულარული გამხდარა, ისევე როგორც „ყარამანიანი“.

არჩილ მეფისა და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება გვიჩვენებს იმ კულტურულ პროცესს, რომელიც იწყებოდა აღმოსავლეთში. მაგრამ თანდათან, ქართული სინამდვილის მოთხოვნილებით, ქართული ცნობიერების გათვალისწინებით, სფორცებდა სპარსულ სამყაროს, მაპმადიანურ გარემოს და ინაცვლებდა ქრისტიანული რუსეთ-ევროპისაკენ.

ორივე მათგანმა სიცოცხლე დაასრულა მოსკოვში და იქვე დაიმარხა.

ასევე რუსეთში აღესრულნენ თეიმურაბ II, დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, რუმინეთში – ბესიკ გაბაშვილი.

XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთი ჩრდილოეთმა შეცვალა.

## სალექსო ფორმები

XVI საუკუნეში, როცა ლიტერატურა თავიდან გახდა დასაწყები, პოეტური თხზვის უნარი გააღვიძა რუსთაველმა და ორიენტირიც დასახა. ამიტომ მიმართავდნენ არა ჩახრუხაულ-

შავთელურს, მათი რთული გარითმვის სისტემას, არამედ – შაირსა და კაფრენულ სტროფს, კეთილხმოვან რითმებს.

ასე გაგრძელდა თეიმურაბ პირველამდე, რომელმაც, როგორც ვთქვით, გააფართოვა ქართული ლექსის დიაპაზონი.

შემდეგ პოეტებმა რუსთაველს დაუმატეს თეიმურაბის სახელი და კიდევ უფრო გამარდეს სალექსო ფორმები და კომპონენტები, ოდონდ ეს ისევ წარიმართა სპარსული პოემის გავლენით, მიბაძვით, მისი ტრადიციების ათვისებითა და ფორმალიზებით.

სალექსო მეტრი დაარღვიეს ბესიკმა და დავით გურამიშვილმა.

ბესიკმა შემოიგანა 14-მარცვლიანი საზომი, რომელიც იმდენად მოერგო ქართულ პროსოდიას, რომ 16(8) და 10(20) მარცვლოვანიან ერთად შექმნა ქართული ლექსის ძირითადი მეტრიკა.

დაბრუნდა ჩახრუხაულის მეტრიც, რომელიც დ. გურამიშვილმა დაშალა, ისევე როგორც კატრენული სტროფი („ქაცვია მწყემსში“), თუმცა ძირითადად ერთგული დარჩა რუსთველური შაირისა (ჩახრუხაული, შავთელური, ფისტიკაური, ძაგნაკორული ერთი მეტრის ვარიაციებია).

ბესიკმა განამტკიცა კანტი-კუნტად გაელვებული 7-მარცვლოვანი და 11-მარცვლოვანი საზომები:

„ვაი, საბრალო აირა,

ხმადამთვრალო აირა“...

„შაშში შაშვნი შავ გალიას შემსხდარნი“.

პოეტებმა სცადეს მრავალფეროვნების შეცანა სტროფის სტრუქტურაში. როცა იყი განალაგეს სხვადასხვა საზომებით, რათა აკადემიზმი შეეცვალა ცოცხალ, დინამიკურ რიტმიკას.

ამასთან ერთად, შემოიგანეს ორგაეპედი, რომლითაც არის დაწერილი „შაჲ ნამე“ და ხუთგაეპიანი სტროფები.

ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ საუკეთესო ნიმუშებს და არა მკვდარ, ფორმალურ ექსპერიმენტებს.

არჩილი, იოსებ სააკაძე, ვახტანგ VI, თეიმურაზ II ნაკლებად იძლეოდნენ პოეტურ სიახლეს. ისინი მისდევდნენ რუსთაველსა და თეიმურაზს. მხოლოდ ბესიკმა და დავით გურამიშვილმა დაარღვიეს ეს ტრადიცია.

ბესიკ გაბაშვილი (1750-1791) უფრო ლირიკოსი იყო და ამიტომ შეეძლო მეტი ვარიაციების მოცემა, ვიდრე ეპიკოსს. დავით გურამიშვილი (1705-1792) უკრაინაში ცხოვრობდა, მოწყვეტილი იყო ქართულ რეალობას, ცოცხალ მეტყველებას.

მისი ფიქრებისა და ოცნებების მასაზრდოებელი ინტელექტუალური წყაროები იყო ბიბლია და ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ურთავდა რუსულ-უკრაინულ ხმებს, რაც ხან წარმატებული იყო (მაგ., „ბუბოვკა“ – 4+4+4+2) ხანაც – წარუმატებელი (მაგ., „ქაცვია მწყემსის“ მეტრი და სტროფი).

რუსულ-უკრაინული ხალცური სიმღერების მელოდიკა, მათი გადმოგანა ქართულ ვერსიფიკაციაში თავისთავად ცვლიდა სტროფსა და საზომს. თუმცა, როგორც ვთქვით, დ. გურამიშვილი უფრო მტკიცედ და მყარად გრძნობს თავს რუსთველურ სისტემაში.

აქ მისი ორიგინალობა ვლინდება თემატიკის შეცვლით, სპარსული მოდელის უარყოფით, ისტორიულ-რეალური მასალის შემოგანითა და განსხით, სამშობლოს ტრაგედიით ჩვენებით, ფიქრით სიკვდილსა და სიყვარულზე, უფალსა და სიცოცხლეზე, მისციკითა და სევდით, სოფლის სამღურავით, დიდაქტიკით.

ბესიკმა შაირის გარდა, როგორც ვთქვით, გამოიყენა სხვა საზომებიც – 7, 8, 10, 11, 14 მარცვლოვანი. მაგრამ თვით სტროფის შიგნითაც რითმების განლაგებით, ხან მიჯრითი რითმებით, ხანაც – შიდარითმებითა და მათი სიხშირით შეცვალა კატრენი. მაგ., „სევდის ბაღი“ დაწერილია რვატაეპედი სტროფითა და რვავე მიჯრითი რითმით.

ასეთი ცდები ჰქონდათ მამუკა ბარათაშვილსაც, „ნარგიზოვანის“ ავტორსაც. მაგრამ არ ჰყოფნიდა პოეტური ძალა მათ დასამკვიდრებლად.

ბესიკის სალექსო თემები იყო სევდა, სიყვარული, პატრიოტიკა, მათი ვარიაციები, გადმოცემული დიდი ოსტატობითა და კულტურით, მეტწილ – მწიგნობრული ენით, ანგონ I-ის ესთეტიკიდან მომდინარე სტილით. მაგრამ მუსიკალობა, მრავალური რიტმი და რითმების კომბინაცია ახდენდა მარტივი მასალის კომპენსირებას (მაგ., „ტანც ტანც ტანც“).

მანვე შემოიტანა სპარსული პოეზიიდან მუხამბაზისა და მუსტამბაზის რთული ფორმები.

მუხამბაზი შეიცავს ხუთი სტროფს, შიდა რითმებით (მაგ., „ცრემლია ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით“), რომელიც გასდევს ყველა სტრიქონს.

ყოველი სტროფი შედგება ხუთი ტაეპისაგან. პირველ სტროფს აქვს ხუთი გარე რითმა (ზოგჯერ შიდა რითმებიც – „ტანც ტანც ტანც“), რაც გადადის II, III, IV, V სტროფების V ტაეპში და ასე კრავს ლექსის კომპოზიციას.

ამღერებული ლექსი პოეტმა შეანელა 14-მარცვლოვანის (5+4+5) მძიმე რიტმიკით, რაც მეტ-ნაკლები კორექტივით მიიღო ქართულმა პოეზიამ.

მუსტამბაზიც ასეთივე აგებულებისაა, ოღონდ იგი ოთხ-სტროფიანი და ოთხტაეპიანია (მაგ., „ბულბული მოდის მწუხარებით“).

ბესიკი პოპულარული პოეტი იყო. მისი არისტოკრატიზმი, გამოხატული ენასა, პოეტიკურ სისტემასა და მგრძნობელობაში მისაღები იყო ელიტისათვის, მაგრამ არა მასისათვის.

გასას, ტფილისურ დაბალ ფენას, პიბრიდულ კულტურას უფრო შეეფერებოდა საიათნოვს მარტივი, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ლექსები და ჰანგები.

ბესიკი ელიტის პოეტია, საიათნოვა – მასისა.

პირველი არისტოკრატია, მეორე – პლებე.

პირველი ქართველია, მეორე – ინგერნაციონალური პიბრიდი, რაც გაიაზრეს და განავითარეს არაქართველმა თბილი-სელმა ვაჭრებმა, ხელოსნებმა, მომღერლებმა და პოეტებმა (იოსეებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე).

მეტრულ-სტროფული კომბინაციით გამოირჩევა უცნობი ავტორის ლირიკული პოემა „ნარგიზოვანი“ (XVIII ს.), რაც არ გაიბიარეს მომდევნო თაობების პოეტებმა.

თეიმურაბ I-მა აღადგინა მაჯამა-ომონიმური რითმა, როცა ერთნაირი სიტყვებით გაღმოიცემა განსხვავებული აზრი და ისინი ერთმანეთს ერთიმება.

ასეთი გარითმვა, რასაც ზოგჯერ მიმართავენ რუსთაველი და მეხოტბენი, მეტყველებს პოეტის ოსტატობაზე, ლექსისა და სიტყვის დაუფლებაზე, მაგრამ იშვიათადაა ეფექტური.

მეტწილ იგი ტექნიკური სიტყვათთამაშია, რომელსაც ეწირება გრძნობა და აზრი. სპარსელებს ამ ხერხით პოემებიც კი უწერიათ.

იგივე ითქმის ანბანთქებაზე, რომელიც შემოაქვს თეიმურაბ I-ს.

იგი იწერება ა ასობგერიდან და მთავრდება ჰაეთი. აქაც არის ვარიაციები, ზოგი ვრცელია, ზოგი – მოკლე. ზოგან ყველა სიტყვა მისდევს ასოთრივს, ზოგან – სტროფები იმეორებენ, ან – ტაქტები.

ესეც ოსტატობის დემონსტრირებაა, რაც ლექსს აქცევს რებუსად და იწირავს როგორც ენას, ისე აზრსა და გრძნობას.

ანბანთრივი აქ ლექსის კომპოზიციური ჩარჩოა.

ასეთსავე ფორმალურ ოსტატობას მოითხოვდა აკროსტიხი, რომელიც ჰიმნოგრაფიიდან მოდიოდა, და ზმები, რომლებიც ტექსტში იყო ჩასმული და უკიდურესად ართულებდა აღქმას (მაგ., ბესიკის „ნარდბედ ზმები“ და „ჭადრაკზედ ზმები“).

თეიმურაბმა შემოიტანა გაბაასების უანრიც, რასაც სპარსულ ლიტერატურაში მუნაბარე ერქვა (დ. კობიძე), არაბულში – მაკამა. გავრცელდა ქებანი (მაგ., თეიმურაბ II-ის „ხილთა ქება“).

ასეთ ფორმალიზმს საბოლოოდ ჩიხამდე მიჰყავდა პოეტი და შთაგონებას უცვლიდა ტექნიკური სიტყვათქანგლიორობით.

ეს კი საყოველთაო შემოქმედებითი კრიტისის დასტური იყო.

## არქიტექტურის სახეცვლა

შაპ-აბასის დროს უზარმაშაპარ ქალაქად იქცა ისპაჰანი, თითქმის ხელახლა აშენდა და არქიტექტურულად დამშვენდა (ქუჩები, პარკები, არხები, მეჩეთები, ხიდები, მოედნები, სასახლეები, შადრევნები).

ირანის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ საეკლესიო არქიტექტურაშიც კი შეიჭრა (გ. ჩუბინაშვილი).

თლილი ქვა შეცვალა აგურმა.

ფიგურულად წყობილი აგურით ამკობენ ფასადებს, სარკმლებს, კარებს.

აგურს ადრეც იყენებდნენ. მაგრამ ამჯერად იგი გაბატონდა და მხატვრული დეკორის ფორმადაც იქცა.

ასე აუგიათ ნინოწმიდის თთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.), ანჩისხაგის სამრეკლო (1675 წ.).

ირანული გავლენა ეფყობა გრემის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოსების ეკლესიას (1565 წ.), კახთა მეფის დევანის მიერ აშენებულს (შ. ამირანაშვილი), ასევე – აბანოებს, საცხოვრებელ სახლებს.

ასეთი ყოფილა როსტომის სასახლე, შემკული კედლის მხატვრობით, რომელიც აღწერა შარდენმა. კედელზე ერთგან გამოსახული ყოფილა ფირდოუსის როსტომის ბრძოლა რქიან დევებთან.

ეს შენობა დღეს არ არსებობს. შემორჩა მხოლოდ აბანო, შემდეგში ბარაფხანად ქცეული.

მდიდრულად და სპარსული სტილით ყოფილა მორთული თეიმურაბ პირველის სასახლეც გრემში, ლევან მეორე დადიანისა – ზუგდიდში.

ვახტანგ V-ის მტკვრისპირა სასახლე ფრანგ არქიტექტორებს აუგიათ, მაგრამ ალბათ ისიც სპარსული სტილისა იქნებოდა.

რუსი ელჩები აღნიშნავენ (1650-1652), რომ იმერეთის მეფის რიონისპირა სასახლე საკმაოდ დიდი ყოფილა და მოხატული.

ლევან II დადიანის სასახლე ბუგდიდში, რომელიც გარე-დან შემკული ყოფილა ირმის რქებითა და ტახის კბილებით, დახატული აქვს პატრი კასტელს.

XVI-XVIII საუკუნეებში გრძელდება რესტავრაციები, შე-კეთება, აღდგენა, როგორც ტაძრების, ისე სასახლეებისა და ციხე-სიმაგრეებისა, ზღუდეებისა და გალავნებისა, რომელთაც დამპყრობელი ანგრევდა ხოლმე.

როგორც ვწერდით, ბევრი ისე მოისპო, შეუძლებელი ყო-ფილა აღდგენა. დამპყრობელს არც ქართული, არც სპარსული სტილი არ აინგერესებდა.

ფეოდალთა საცხოვრებელი სახლები იყო ორსართულია-ნი, მრავალოთახიანი, ოთხფერდა, კრამიფით გადახული.

აღარც ვახტანგის, აღარც ერეკლეს სასახლეები გადარ-ჩენია ნგრევასა და ხანძარს. მხოლოდ დარეჯან დედოფლის სასახლის ნაწილი და აივანი არსებობს ავლაბარში, რომელიც მტკვარს გადმოჰყურებს.

გადარჩა ნარიყალა, მეტები, სიონი, ანჩისხატი, ლურჯი მო-ნასფერი, სხვა ეკლესია-მონასტრები, რომლებიც გაფანგული იყო მთელს საქართველოს ტერიტორიაზე.

მხოლოდ ბაგრატის ტაძარი დაინგრა. იგი სტილიზებული სახით აღადგინეს რამდენიმე წლის წინათ.

ბევრი გაპარტახდა (მაგ., უფლისციხე, ვარძია, დავით-გარე-ჯა). ბევრმაც კარგად გაუძლო განსაცდელს (მაგ., სვეტიცხოვე-ლი, ალავერდი, გელათი, მარტვილი, ხობი), ცეცხლსა და მი-წისძვრას.

ტფილისში დღესაც დგას სომხური ეკლესიები, მეჩეთი და სინაგოგა, საკმაოდ მოვლილი და დაცული.

სამხრეთ საქართველოში, თურქეთის ტერიტორიაზე კი – მიტოვებული ხანძთა, ოთხთა ეკლესია, იშხანი, ოშკი, ბანა, პარხალი, ხახული, ლაზეთში – სუმელას მონასტერი.

მათ არ შეხებია სპარსული გავლენა.

## ილუსტრირების სპარსული სტილი

ირანში XVI საუკუნიდან ჰყვაოდა მინიატურის ხელოვნება. მაგ., საუკეთესოდ ითვლება ფირდოუსისა და ნიზამის წიგნების დასურათება.

არსებობდა თავრიზის, ბუხარის, ისპაჰანის სამხატვრო სკოლები.

ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა კალიგრაფიულ ოსტატობას.

ირანულის გავლენით არის გაფორმებული საერო მწერლობის ხელნაწერები („ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“, „ვისრამიანი“, „როსტმიანი“, „იოსებ-ზილიანიანი“).

ქართველი მინიატურისტები, განსხვავებით საეკლესიო მწერლობისაგან, გამომდინარე შინაარსიდან, აგრძელებდნენ ირანელ მინიატურისტთა ტრადიციებს და პერსონაჟების გარეგნობას, სამოსელს, გამომეტყველებას ამსგავსებდნენ უცხო გარემოსთან.

ცნობილი ქართველი მინიატურისტები და მხატვრები იყვნენ ირანში სიაუში (XVI ს.) და ალი-ყული-ჯაბადარი (XVII ს.).

მათი ზოგი ნამუშევარი XX საუკუნეში გამოტანილი ყოფილა საერთაშორისო გამოფენებსა და კონგრესებზე (შ. ამირანაშვილი).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ილუსტრირება, ტექსტში ჩართული მინიატურები განეკუთვნება XVII საუკუნეს.

შ. ამირანაშვილი მათ სამ ჯგუფად ჰქონდა.

მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებში ნაკლებად იგრძნობა სპარსული ზეგავლენა (1646 წ.). მაგრამ ხელნაწერების მეტი წილი, გამოსახული პერსონაჟები, ლანდშაფტი, კომპოზიცია აფარებს ირანულ ხასიათს.

ზოგან მინიატურა თავისუფალი ჩანართია და არ გამოდის ტექსტიდან, ეს იქნება ნადირობის სცენები თუ მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები.

საერთოდ „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები სტილიზებულია. სტილიზებულია ირანული გარემოსა და მანერის შესაბამისად.

ბოგი მხატვარი ქართველი არც უნდა ყოფილიყო.

მამუკა თავაქარაშვილის ხელნაწერში ჩართულია რუსთაველის პორტრეტი, რომელიც უძველესად მიაჩნიათ.

დანარჩენი მისი ვარიაცია. იგი მკვეთრად განსხვავდება იერუსალიმური, მოხუცი ვაზირის პორტრეტისაგან.

მამუკა თავაქარაშვილს პოემის ტექსტი გადაუწერია და დაუსურათებია ლევან II დადიანის დაკვეთით, როცა სამეგრელოში ცხოვრობდა, როგორც ტყვევი.

რუსთაველთან ერთად ტექსტში მოთავსებულია ლევანის პორტრეტიც.

„ვეფხისტყაოსნის“ უამრავ მინიატურას, შესრულებულს სპარსული სტილით, არ მოუცია მონღოლური ტიპაჟი. პერსონაჟთა სახე ევროპეიდულია, თუმცა, როგორც ვთქვით, მოძრაობა, სამოსელი, ანგურაჟი, მანერები ირანულია.

აღსანიშნავია ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა თრბელიანის მიერ თარგმნილი „ქილიოლა და დამანას“ ილუსტრაციები (139 ჯგუფი, 805 მინიატურა).

ისინი მოთავსებულია პეტერბურგულ ხელნაწერში.

მაგალი თოდეას, ტექსტის გამომცემელს მიაჩნია, რომ მინიატურების ავტორია ორი ქართველი და ერთი რუსი.

შეუსრულებიათ სპარსული სტილის დაცვით.

ერთ ნახატზე სულხან-საბა თარგმნილ წიგნს გადასცემს ვახტანგს, მეორეზე – ვახტანგი მას მიართმევს თამარ მეფეს.

ყველანი ფეხმორთხმით არიან გამოსახული.

აღმოსავლური სტილის ორნამენტები და სიუკეტები გამოჩნდა ქართული ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიაშიც.

ხალიჩა და ნოხი სასახლის განუყრელი ატრიბუტი იყო, განსაკუთრებით – მაპმადიანთათვის.

მოხატული ხალიჩებიც ისევე პოპულარული იყო, როგორც მინიატურები.

ასე ერწყმოდა ერთმანეთს ქართული და სპარსული სტილი და თვალთახედვა. იქმნებოდა სპარსული კულტურის ქართული ვარიანტი, რომელსაც არ დებულობდა ეკლესია, მაგრამ უძალობის გამო არჩევდა ტოლერანტობას.

როგორც სწერდა თეიმურაზ I რომის პაპს ქართულ ეკლესიაზე, „მფრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები, არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს“ (მ. თამარაშვილი).

ასეთი სიმბიოზის მაგალითი იყო თავად თეიმურაზ პირველის ცხოვრება და შემოქმედება.

XVIII საუკუნეში დიდად დაქვეითდა ირანის კულტურა და ხელოვნება, რაც პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგი იყო.

ირანი აღარ იძლეოდა შთამაგონებელ იმპელსებს.

## პათეტიკა და ორნამენტალიზმი

პათეტიკა უძველესი დროიდან ქართული ენის თვისება იყო, რაც მომდინარეობდა ქურუმთა მეტყველებიდან და გადაეცემოდა ელიტას, როგორც საბეო, ღმერთიდან მომდინარე და ღმერთისაკენ მიმავალი დიდება, განსხვავებული ყოფითი სიტყვიერებისაგან.

ეს თვისება კარგად მოერგო ღვთისმსახურების პრაქტიკას, ქადაგებას, გალობას, ბიბლიასა და ჰაგიოგრაფიის დრამატიზმას და ტრაგიზმს, ასევე – საომარ შემართებას, მუდმივ შფოთვასა და დელვას, სიკვდილის მოლოდინს, თავგანწირვას.

ამის მიხედვით იხვეწებოდა ენა, ეს სპეციფიკური ნიშანი განსაზღვრავდა კომუნიკაციასა და ექსპრესიას.

პათეტიკა პარალელს პოულობდა ბერძნულსა და სპარსულშიც, სადაც ანალოგიური სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრად ვლინდებოდა.

ტრაგედიაც ამიტომ ითვლებოდა ხელოვნების უმაღლეს ქანრად, ხოლო კომედია ასახავდა მდაბიოთა განწყობილებებს, ყოველდღიურ ყოფას, სინამდვილის სურათებს.

პათეტიკას სჭირდებოდა შესაფერისი გარემო, ატრიბუტები და ანტურაჟი, სხვამხრივ, იგი იქნებოდა კონტექსტიდან ამოვარდნილი, რეალობისათვის უცხო, ხელოვნური და კომიტის გამომწვევიც კი.

რესთაველიდან პათეტიკას დაერთო ორნამენტალიზმი, რაც უკვე სპარსული ხელოვნების თვისება იყო. ქრისტიანულ მისტიკას არ სჭირდებოდა ყვავილოვანი, არტისტული, ფერადი სტილი.

თითქოს ამას ჰგავს მეტაფრასტების ენა და პეტრიწის რთული სტილი. მაგრამ აქ ამრის მრავალსახეობა, სიტყვაუხვობა ან ამრის ძიებაა, რაც ისევ პათეტიკის წრეში გრიალებს.

ხოლო სპარსული ენის, მიზიაფურების, ჩუქურითმების, მხატვრობის, არქიტექტურის, სამკაულებისა და იარაღების გაფორმების ორნამენტები თავისუფალი პოეტიზირებაა, ცხოველური და მცნარეული დეკორის სტილიზება, გამოყოფა და ჰიპერბოლიზება, როცა ზეიმობს გარეგნული ბრწყინვალება, ფერი და ხაზები.

პოეტიაში ამას შეესაბამება პოეტიკური ფორმალიზმისაკენ სწრაფვა, მეტაფორუების, ეპითეტების, შედარებების სიმრავლე, სიტყვის რიტმიზება, რითმებით პარმონიზება და მუსიკალობისაკენ სწრაფვა, სიტყვებით თამაში.

ასეთივე ტენდენციას ავლენდა „ვისრამიანის“ პროზაც. აქ რაციონალურ განსჯას, მკაცრ სტილს, ამრისა და მოქმედების გამოკვეთას ენაცვლება ორნამენტებით დაბურვა, იგავი და სენტენცია, აფორიზმი და პარაბოლა.

მხოლოდ XVIII საუკუნიდან, დავით გურამიშვილიდან იწყებს შემოსვლას ეკონომიკური, განსჯითი და ცოცხალი მეტყველება, როგორც ევროპული რაციონალისტური აზროვნების ნიშანი.

### 3. კულტურის აგრესია

ჩვეულებრივ, ხშირად ცდილობენ, რომ კულტურა გაჰყონ პოლიტიკისაგან, ან – განათლება, ან – სპორტი.

მაგრამ აგრესიულ სახელმწიფოს, დიდა და ძლიერს, მოაქვს თავისი იდეოლოგია, რელიგია, შეხედულებათა სისტემა.

ისინი მშვიდობიანობის დროსაც იპყრობენ და თრგუნავენ სუსტ და მცირე ერებს, ძალდატანების გარეშეც.

ყიბილბაშები ქართველებს, გარდა მეფეებისა, არც მაპმადიანობას აძალებდნენ, გამონაკლისის გარდა არც ბერ-მონაბ-ვნებს ხოცავდნენ, არც ეკლესიებს არბევდნენ, არც იმას მოითხოვდნენ, თარგმნეთ სპარსი პოეტები, მათ მიბაძეთო.

მაგრამ დიდი კულტურის სიახლოებები თავისთავად იმდიდავ და ქართველ ავტორებს, „სპარსული ენის სიტყოთს“ აწონას-წორებდა ეკლესია და რუსთაველის ლექსი, რომ მთლად სპარსულად არ დაეწყოთ წერა.

ქრისტიანობის ფაქტორიც იცავდა ქართველობას. მაგრამ რუსთაველი აძლევდათ მიმართულებას და თეიმურაბ I-იც კი, თუმცა აღიარებდა სპარსულის პრიმატს, თუმცა ბავშვობიდანვე კარგად იცოდა სპარსული, არ უცდია ამ ენაზე ლექსების წერა.

გასხვავებით XVI-XVII საუკუნეთა ქართველი პოეტებისა-გან, XX საუკუნის დასაწყისში არაერთი ქართველი პოეტი ლექსის თხზვას იწყებდა რუსული ენით, რუსულ ენაზე და შემ-დეგ უბრუნდებოდა ქართულს.

ეს მაშინ, როცა მხოლოდ ასი წელი იყო გასული რუსეთის შემოსვლიდან და ევროპასთან არსებობდა კულტურული კონტაქტები.

გაცილებით დახშული იყო სივრცე და არჩევანი აღრეული საუკუნის მოღვაწეებისა. მაგრამ სწორედ ქრისტემ, ბაგრატიონთა დინასტიამ და ოჯახის შეუნარჩუნეს ენა და ლექსი ქართველებს.

შეიძლება დროთა მანძილზე ესეს დაეკარგათ, როგორც დაემართათ ალბანელებს. მაგრამ როგორც მაშინ გამოჩნდა დავით IV, ისე ამჯერადაც პოლიტიკურ-კულტურული კურსი შეცვალა ერეკლე II-მ და ქართველობა იხსნა ასიმილირების და დენაციონალიზმის პროცესისაგან.

აქეთკენ მიპყავდა ქართველობა სპარსულ კულტურას, სპარსული ენის სიტყბოსა და მუსიკას, რომელთა უკან ჩანდა მახვილი და ნახევარმთივარე.

ქართულ კულტურას ეძალებოდა უცხო ლექსიკა – სპარსული და თურქული, უცხო სახელები, რაც სწორედ პოეზიის მეშვეობით მკვიდრდებოდა ქართულში.

მაგ., „შაჰ-ნამესავან“ შემოსულა „როსტომი, ბურაბი, მერაბი, გიფი, გოლერძი, ბეჟანი, ბაალი, თეიმურაბი, უშანგი, ფრიდონი, მანუჩარი, ნოდარი, რევაზი, ქაიხოსრო, ლუარსაბი, აფრასიონი (აფრასიონი), როდამი, ქეთევანი“ (აღ. ბარამიძე).

ისინი ავიწროვებდნენ ქრისტიანულ ონომასტიკას, ტოპონიმიკას, ლექსიკას, ან – სდევნიდნენ, წიგნებიდან გადადიოდნენ ელიფასა და მასაში, რასაც განამტკიცებდა პოლიტიკური აგრესია, კონფაქტები, ერთიანი სივრცე, რომელშიც ვერ აღწევდა სხვა სხივი.

ესთეტიზმი და ჰიპერბოლა, აღმოსავლური ტიპოლოგია თავად სპარსულ პოეზიაში იწვევდა კრიზისს. უკვე იქაც ამოიწურა სტიმული და შთაგონება.

წარმოიშვა შტამპი და კლიშე, რომელთა ვარიაციას არ პქონდა პერსპექტივა.

გემოთ ხსენებულ თქმულებათა გარდა, ზოგი გადმოუკეთებიათ, ზოგი უთარემნიათ – „ფირმალიანი“ (გამლექსავი ფეშანგი ფაშვიბერტყაბე, რომლის ტექსტი დაკარგულია. შემორჩა

პროგაული ვარიანტი), „ზალუმჯანიანი“, „მირიანი“, „ჩარდავ-რიშიანი“, „ვარშაყიანი“, „სპილენძისქალაქიანი“...

ასეთი ბლაპრული, საგმირო და სამიჯნურო თხზულებანი, დაწერილი რუსთველური კანონიკით, ვრცელდებოდა დაბალ ფენებში, განსაკუთრებით – ტფილისის ჰიბრიდულ გარემოში და მოაგანეს XX საუკუნის 20-იან წლებამდე (იოსებ გრიშაშვილი).

მათ XIX საუკუნიდან უარყოფდა ინტელექტუალური ელიტა. ისინი გაჰყვა მაპმალიანური, სპარსულ-თათრული კულტურის აგრესიას და თავისთავად მიღიოდა დევრადაცია-გაქრობის გზით – ახალი კულტურულ-პოლიტიკური რეალიების გამო.

## **VI. კულტურა და ხელისუფლება: ნაციონალური ტენდენციები**

### **1. კულტურშემოქმედი და გარემო**

XVI საუკუნიდან საბოლოოდ იყოფა სასულიერო და საერო მწერლობა. მათ სხვადასხვა ინტერესები აქვთ. „შაპ ნა-მეს“ მთარგმნელი ან „ვარდბულბულიანის“ ავტორი ეკლესიის მსახური ვერ იქნებოდა, ეკლესიის მსახური სატრფიალო და სა-სიმღერო ლექსებს არ დაწერდა.

#### **სწრაფვა დიფერენცირებისა კენ**

დროს, უცხოეთთან, უცხო კულტურებთან სუსტ, მაგრამ არ-სებულ კონტაქტებს მოჰქონდა ხელვის დიფერენცირება, ცოდ-ნის განვითარება, რაც წარმოშობდა ახალ-ახალ დარგებს, უან-რებსა და ფორმებს.

ასე მოხდა, როცა გამო ფანასკერზელ-ციციშვილი ადგენდა თავის სააქიმო წიგნს, დაუდ ხანი – „იადიგარ დაუდს“ (დავი-თის მოსაგონებელი).

მედიება – ექიმი, ექიმბაში, დასტაქარი, შემლოცველი ყველას აინტერესებდა, საზოგადოების ყოველ უენას, რომელ-საც უწევდა ბრძოლა პიოდემიებთან, ათასგვარ დაავადებას-თან, რომელსაც სჭირდებოდა ომში მიღებული ჭრილობების მოშუშება (შდრ – რუსთაველი).

ასევე ყოველთვის აქტუალურია ადამიანთა ურთიერთო-ბის, ნახყიდობის თუ დანაშაულის კვალიფიცირება, მათი მო-წესრიგება.

მეფის, თავადის თუ მთავრის სიგელი რაღაც სამართლებ-რივ საფუძველზე იწერებოდა. დროის მდინარება, ახალი რეა-

ლიები არღვევდა ძველ ნორმებს და მათ მუდმივი განახლება ესაჭიროებოდა, შეფარდება სინამდვილესთან.

მხოლოდ ადათ-წესებით მოქმედება ვერ ამოწურავდა და ვერ განსაზღვრავდა ახალ ურთიერთობებს.

არეულმა და სისხლიანმა დრომ წამოსწია ასეთი პრობლემები – ადამიანთა გატაცება და ტყველებით ვაჭრობა, ეკლესიების ძარცვა, უკანონო ქორწინებები, მკვლელობათა გახშირება, ყმების გაქცევა.

ამ საკითხებს არეულირებდა „საკათალიკოსო კანონები“. შეუდგენიათ XVI საუკუნეში ქართლის კათალიკოს მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონ I ჩხეტიძის დროს იმერეთში მოწვეული კრების საფუძველზე.

კიდევ უფრო დიფერენცირებული ხდებოდა სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი, საქმის აღმვრა და დანაშაულის კვალიფიცირება, სასამართლო პროცესი, სამძებრო პროცესი, ჯარიმის ოდენობა იერარქიის მიხედვით.

ისევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიცს, ხატჩე დაფიცებას.

ისევ არსებობდა ორდალიებიც – „ღვთის სამსჯავრო“, როგორც მთელს ევროპაში (მაგ., მდუღარით გამოცდა და ორთაბრძოლა).

ვინც გაუძლებდა სატანჯველს – ის იყო მართალი.

ვახტანგ VI-მ (სჯულმდებელმა) შეადგინა სახელმწიფო და აღმინისტრაციული სამართლის წიგნი „დასტურლამალი“.

ასევე მნიშვნელოვანია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, 1790 წლის „ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“.

ცალკეულ საკითხებს აწესრიგებდნენ ვახტანგ ბაგონიშვილის, დავით ბაგონიშვილის, სხვა მოღვაწეთა სამართლებრივი აქტები.

მათ საფუძველზე დგებოდა მეფე-მთავრების სიგელ-გუჯრები, რომლებიც კონკრეტულ საკითხს არეგულირებდნენ.

დროთა მანძილზე ისინი იცვლებოდა და ახალი ხელისუფალი განაახლებდა ხოლმე.

ერის ისტორიულ მეხსიერებას ინახავდა წარსულზე ნაშრომები, რაც ერთი მხრივ – იცავდა ქართველთა ერთიანობის იდეას, მეორე მხრივ – ასახავდა რეალურ პროცესებს, კონკრეტულ პირთა დვაწლს, თავგანწირვას, დალატსა და ორგულობას მეფის, ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე, გადასცემდა გმირობის მაგალითებს თანამედროვეებსა და შთამომავლობას.

გრძელდებოდა „ქართლის ცხოვრების“ გადაწერა-გამრავლებაც (მაგ., მარიამ დედოფლის დავალებით), ახალი პერიოდის შესწავლა და დამუშავება.

სენია ჩხეიძემ დაწერა „ცხოვრება მეფეთა“. იგი მოლარეთუხუცესი იყო და თან ახლდა ქართლის უფლისწულებს შპის კარგება, მონაწილეობდა ირანის ომებში.

ვახტანგ VI-მ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელმაც გამართა, ნაწილებად დაჰყო ტექსტი და შეაგსო.

მათ გააგრძელეს „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ როგორც შენიშნავენ, იფარვლებოდნენ ქართლის ისტორიით მეტწილად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტაშვი ბაგონიშვილის (ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (იყი, როგორც „ქართლის ცხოვრების“ IV ტომი, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა).

მან შემოიტანა თხრობისა და კვლევის პროცესში საისტორიო გეოგრაფია და კარტოგრაფია, სხვა მომიჯნავე მონაცემები.

ვახტაშვი თავის ნამრობს რუსეთში წერდა და ხელი მიუწვდებოდა ევროპულ რუკა-ატლასებზე, სამეცნიერო ნაშრომებზე.

ამავდროულად რუსულიდან უთარგმნია მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო და დაურთავს თავისი კომენტარები.

ფარსადან გორგიჯანიძემ შეადგინა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1695 წლამდე.

მანვე თარგმნა მუსულმანთა სამართლის წიგნი „ჯამიაბასი“ და შეადგინა ქართულ-არაბულ-საარსული ლექსიკონი.

როსტომ ხანის წინადაღებით 1656 წელს იგი შაჰმა დანიშნა ქართლის მეფის შეთავსებით თანამდებობაზე –ისპაპანის ტარულად, ოღონდ გამაჰმადიანების შემდეგ.

40 წელი ფარსადანი ემსახურა ირანის შაჰებს. მას ჰქონდა დრო და პირობები, რათა გასცნობოდა სპარსი ავტორების ნაშრომებს, გაღმოეცა თავისი თვალით ნანახი, გაღმოეცა საკუთარი დაკვირვებებიც.

ქართულ ისტორიოგრაფიას აგრძელებს პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა“, დავით ბაგონიშვილის, ბაგრატ ბაგონიშვილის, იოანე ბაგონიშვილის, ნ. დადიანის ნაშრომები.

ტიმოთე გაბაშვილს შეუდგენია ლიხთ-იმერეთის რუკა კონკრეტული პუნქტების აღნიშვნით.

მწერალს, მღვდელმთავარს, ექიმს, კანონმდებელს თუ ისტორიკოსს წარმოშობს სკოლა. სკოლა აძლევს ცოდნას, რომლის გარეშეც უკვე შეუძლებელი იყო როგორც მართვა და ლიტერგია, ისე სპეციფიკური საკითხის დამუშავება.

დროს მოქანდა დიფერენცირების, დანაწევრების, დაკონკრეტების აუცილებლობა. ეს პროცესი რენესანსის შემდეგ გაბატონდა ევროპაში.

რენესანსი ანტიკურობის აღდგენა იყო ახალ რეალობაში და გამოსვლა რელიგიის სფეროდან. შემდეგ ინგელექტი, ადამიანის მაძიებელი გონი ისწრაფვოდა ყველა მიმართულებით – ბეცისკენ, ახალი ხმელეთისაკენ, ბლვებისკენ, ბუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ახალი სფეროებისაკენ.

უნივერსალიზმს სძლევდა კონკრეტული ხედვა, დაკვირვება და ნიუანსების მიგნება.

## კულტურული დისბალანსი

XVI საუკუნიდან აშკარა ხდება კულტურული დისბალანსი ქართლ-კახეთისა, სამცხესა და დასავლეთი საქართველოს შორის, არა მხოლოდ სოციალური, არამედ – გეოგრაფიული თვალსაზრისითაც.

მიზები იყო გათიშულობა და პოლიტიკური სიტუაცია.

სამცხე ოსმალეთმა შეიერთა და თანდათან გაამაპმადიანა, რასაც მოჰყვა ქრისტეს უარყოფა და ქრისტიანული კულტურის დავიწყება.

ოსმალეთი არ იყო სპარსელთა ან არაბთა მსგავსად კულტურულად ძლიერი სახელმწიფო. იგი ავითარებდა სამხედრო ძალას და იარაღით კრავდა იმპერიას.

სამცხის ქართველობამ ძველი დაკარგა და ახალი ვერაფერი შექმნა, მხოლოდ აითვისა ისლამი.

დასავლეთი საქართველოშიც იგივე სიტუაცია არსებობდა. ეკონომიკური ჩამორჩენა, ოსმალთა თარეში, ტყვეთ სყიდვა, ურთიერთშედლი კულტურის პროგრესის საშუალებას არ იძლეოდა.

როგორც ვთქვით, ოსმალები ამ მხრივ სტიმულს არ იძლეოდნენ. ამიტომ კულტურის ცენტრებიც ინაცვლებდა ქართლ-კახეთისაკენ.

მათი მეფეები აღარ იმარხებოდნენ გელათში. ის კი არა, ერთიანი საქართველოს ბოლოსწინა მეფე ვახტანგი და მისი მეუღლეც ბანაში დაუკრძალავთ.

საკათალიკოსო ბიჭვინთიან გადმოდის ქუთაისში.

ქალაქებში, სადაც ოსმალები ისხდნენ ციხეებში, ცხოვრება ქვეითდება, მცირდება მოსახლეობა (მაგ., ქუთაისში).

იმერეთის მეფეს არც მთავრები ემორჩილებიან, არც თავისი ფეოდალები.

ერთხანს მხოლოდ ლევან II დადიანი ინარჩუნებდა კულტურის საჭეს, დებულობდა კათოლიკე მისიონერებს, რუს ელ-

ჩებს, თავის კარზე ინახავდა ქართველ მწერლებს, ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე (მაგ., აღადგინა იერუსალიმის ჯვარის მონასტერი).

თითქმის წყდება ეკლესიათმშენებლობა, მათი შეკეთება, შესუსტდა მთარგმნელობითი და კალიგრაფიული მუშაობა. აღარ ჩანან მწერლები, მხატვრები, ქრება მეცნიერული ინტერესები.

ასეთ დროს ქართლ-კახეთში, მიუხედავად უფრო დიდი ნგრევა, რბევა და მსხვერპლისა, ვითარდება კულტურა, ვითარდება სპარსული კულტურის შთაგონებით და ასკეტიკა-მისტიკის შენარჩუნებით, რაც თანდათან წამოსწევს ნაციონალურ სულიერებას.

კონსტანტინეპოლის, ანტიოქია-იერუსალიმის სანაცვლოდ ახლა კულტურის ცენტრები ყალიბდება რუსეთში, სადაც სიცოცხლე დაასრულა სამმა ქართველმა მეფემ, არაერთმა პოეტმა და მოღვაწემ.

ისტორიული ავბედითობა აჩენდა პოლიტიკურ ემიგრაციას და ქართველები აარსებდნენ თავიანთ კოლონიებს, ეკლესია-მონასტრებს მოსკოვში, რუსეთის ცენტრითიაზე.

სამხრეთი შეცვალა ჩრდილოეთმა, მზე და სიცხე-თოვლმა და ყინვამ.

მრავალგზის ხვეწნა-მუდარას რუსთ ხელმწიფისადმი შედეგი არ მოჰქონდა. მაგრამ იგი იფარებდა, სარჩო-საბადეველს აძლევდა ქართველ ემიგრანტებს.

მათი ლიდერები იყვნენ არჩილი და ვახტანგ VI.

არჩილმა მრავალგზის დაკარგა ტახტი როგორც კახეთში, ისე იმერეთში და საბოლოოდ რუსეთს მიმართა.

პეტრე I-საგან ნაღალატევი ვახტანგ VI-ც 1200 მხლებელ-თან, მთელს ქართულ არისტოკრატიასთან ერთად მოსკოვის გზას დაადგა.

ვახტანგის პოლიტიკური გათვლა მცდარი აღმოჩნდა და ეს დიდი კულტურულტრეგერი, დაფასებული ირანის შაჰისაგან, სასტიკად დამარცხდა.

ოსმალებმა და ირანელებმა ქვეყანა ააოხრეს.

ქართველი მეფე-დიდებულები გადაიხვეწნენ რუსეთში და თან წაიღეს ქართული კულტურა. ეს დიდი დანაკლისი იყო, თუმცა აღდგენა მოხერხდა, როცა ქართლი და კახეთი გააერთიანა ერეკლე მეფემ.

ამას ვერ ვიტყვით სამცხე-საათაბაგობე, სადაც ოსმალთა ბატონობამ და მაპმადის სჯულის დამკვიდრებამ ქართული კულტურის ამ უძველეს კერას გული ამოაცალა. იქ ყველაფერი შეჩერდა და გაიყინა.

ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ მაპმადიანური ქართული კულტურა არ არსებობს – იგი მხოლოდ ქრისტიანულია.

საქართველოს სამეფო-სამთავროები დროდალო თავს აღწევდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისსაც და კულტურული აღმშენებლობის სიმპტომებიც ჩნდებოდა.

ასე იყო XVI და XVIII საუკუნეების კახეთში, XVII საუკუნის I ნახევრის სამეგრელოში, ლევან II დალიანის (1611-1657) დროს. იგი სასტაცი, ულმობელი და პატივმოყვარე მთავარი იყო, ებრძოდა იმერეთის მეფეს, შარვაშიძეს, გურიელს, კავშირებს აბამდა სულთანთან, რუსეთთან, ირანის შაპთან (მისგან ჯამაგირსაც იღებდა), ქართლის სამეფოსთან (როსტომის მეუღლე მარიამი ლევანის და იყო), ცოლს ცხვირს აჭრიდა და ცხვირმოჭრილ ქალს სიმამრს – შარვაშიძეს უგზავნიდა. მაგრამ იყო ლვოისმოშიში, ეკლესიებზე მზრუნველი როგორც შინ, ისე გარეთ (მაგ., იერუსალიმის ჯვარის მონასტერისა), ხელს უწყობდა კულტურის განვითარებას (მაგ., მის კარბე მოღვაწეობდნენ ტყვედ აყვანილი მამუკა თავაქარაშვილი, რომელმაც 1646 წელს გადაწერა და დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“ და ბარძიმ ვაჩნაძე. მათ აქ გალექსეს „საამიანი“ და „ზააქიანი“).

ასე იყო ქართლში, როგორც ვთქვით, როსტომ ხანის დროიდან.

იმერეთს თავს აფარებდა თეიმურაზ I, იქ წერდა პოემებსა და ლექსებს.

მართალია, მისი აუდიტორია თითქმის არ არსებობდა. მასამ კი არა, თავადების დიდმა ნაწილმაც არ იცოდა წერა-კითხვა. მეფე ნადიმებსა ან შეკრებებზე თავად ხომ არ წაი-კითხავდა თავის ნაწილებს.

გარდა ამისა, თეომურაზის პოეზიის სპარსოფილური ნაწი-ლი ისედაც უცხო იქნებოდა იმერეთის, პირობითად რომ ვთქვათ – ელიტისაგან.

ქართლსა და კახეთს კი ბოლო 15 წელი მოწყვეტილი იყო.

ასე რომ – იგი წერდა სევდის გასაქარვებლად, უამური ქა-მის მოსაკლავად, თანაც – უკვე ხანდაბმული.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან იმერეთი ქაოსმა და ანარქიამ მოიცვა. ბედიბედ იცვლებოდნენ მეფეები, ბოგს აძე-ვებდნენ, თვალებს თხრიდნენ ან კლავდნენ.

ქუთაისში კულტურისა და აღმშენებლობისათვის არ ეცა-ლათ.

განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ენების ცოდნამ. დიპლომატებსა და ვაჭრებს მათ გარეშე საქმის წარმართვა არ შეეძლოთ.

ადრე თუ საკმარისი იყო თურქელი და სპარსული, ახლა მათ დაერთო რუსული და ფრანგული.

ბერძნული უკვე აღარც ღვთისმსახურებს არ აინტერესებ-დათ.

სოლომონ პირველის დროიდან ქუთაისში ისევ გამოჩნდ-ნენ ინტელექტუალები. გადმოდიოდნენ ახალციხიდან (მაგ., თა-მაბ თომაშვილი, ტერ-იოანე) და ტფილისიდან.

აქ ჰპოვა თავშესაფარი ერეკლეს მიერ გაძევებულმა გაქა-რია გაბაშვილის ოჯახმა, ვინც დაპირისპირებული იყო ანგონ I-თან.

მდივანთუხუცესი ბესიკი ელჩის ფუნქციასაც ასრულებდა ირანსა და რუსეთში. მისი ერთი ძმა თსე სახლთუხუცესი იყო, მეორე – ანგონი მდივან-მწიგნობარი.

ერეკლესა და სოლომონს შორის დაბაბული ურთიერთო-ბის გამო ბოგი სხვაც გადიოდა ქუთაისში (მაგ., გიორგი ყულა-

რაღასის ვაჟი პოეტი ელიმბარ ერისთავი, ანა დედოფლის ბიძა).

ერეკლეს ოჯახს განეკუთვნებოდნენ სოლომონ I-ის შემდგომი მეფეები – დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე (სოლომონ II).

კულტურშემოქმედნი ყველგან შემოკრებილი არიან მეფე-მთავრების კარის გარშემო და მეხოტბეთა ტრადიციასაც აგრძელებენ (მაგ., ბესიკი).

ადრე თუ მეფეები ზოგჯერ საგალობლებს დაწერდნენ და თავიანთ რელიგიურ განცდებს ავლენდნენ, XVII-XVIII საუკუნის მეფეები და ბატონიშვილები აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურულ ცხოვრებაში, წერდნენ, თარგმნილნენ (მაგ., თეიმურაბ I, მამამისი დავითი, თეიმურაბ II, არჩილი, ვახტანგ VI, გორგი XI, დაუდ ხანი, ვახტანგი ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი...), ასევე – ფეოდალები – ორბელიანები (მაგ., სულხან-საბა, მისი ძმები, დავით სარდალი), ჩოლოყაშვილები (მაგ., ქაიხოსრო და ნიკიფორე), გაბაშვილები (მაგ., ბესიკი, ტიმოთე), ბარათაშვილები (მაგ., მამუკა).

დიდი თეოლოგი და კულტურის მოღვაწეა კათალიკოსი ანგონ I ბაგრატიონი, მაჭმადიანი მეფე იესეს ძე, ერეკლე მეორის ბიძაშვილი (მაგ., თარგმნიდა სახელმძღვანელოებს, ადგენდა „ღვთისმეტყველების“ ოთხომეულს).

ტფილისის მიტროპოლიტი იოსები წერს საისტორიო პოემა „დიდმოურავიანს“.

პატარა და ღატაკი სამეფო-სამთავროს კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ფაქტორს, მის თანადგომასა და ბრუნვას.

დიდ ქვეყანას ასეთი გასაჭირი არ აღვას – მოსახლეობა თავად უზრუნველყოფს და იცავს თავის კულტურას, სტიქიურად აძლევს როგორც სტიმულს, ისე საარსებო მინიმუმს.

შემოქმედის თავისუფლებას განსაზღვრავს მასისა და ელიტის მოთხოვნილებაც.

ომისა და შუღლის ქარცეცხლში გახვეული სამეფო-სამთავროები ბარბაროსობისაკენ უკუიქცეოდნენ, როგორც ეს ხდებოდა მთიან რეგიონებში, თუ ხელისუფლება არ იბრუნებდა ეკლესია-მონასტრებზე, წიგნებსა და ხელნაწერებზე, ციხე-ტაძრებსა და ქალაქებზე.

საბედნიეროდ, ამ პროცესში ჩართული აღმოჩნდნენ მეფეები, ბაგონიშვილები, ფეოდალები, მღვდელმთავრები, რამაც კრიმისი გადაატანინა კულტურას, რაც არ მოხდა XIV-XVI საუკუნეებში.

შემოქმედს ხომ თავისი შრომით, გარდა სუროიმოძღვრისა და ოქრომჭედლისა, არსებობა არ ჟეებლო.

სასულიერო მწერლობას იფარავდა და ინახავდა ეკლესია, რომელიც უფრო აღმოჩნდა დაცული მტერთა ხელყოფისაგან, ვიდრე ქალაქები, სასახლეები და ციხე-სიმაგრეები.

არისტოკრატია, სამეფო წრე ქმნიდა ელიტარულ კულტურას, რომელიც განსხვავდებოდა მასის კულტურისა და ყოფითი ინტერესებისაგან. თუმცა დროდადრო ხდებოდა თანხვედრა.

მარიამ დედოფალი, გიორგი XI, ვახტანგ VI იყვნენ კულტურობები, შემდევ – ერეკლე II და ანგონ I.

როგორც ვთქვით, მარიამმა გადააწერინა „ქართლის ცხოვრება“, შემდევ „ვეფხისტყაოსანი“ (ბეგთაბევ თანიაშვილისა), იაკობ დუმბაძე (შემოქმედელს) გააღექსინა ბაგრატის ანგიმაჰმადიანური ნაშრომი.

გიორგი XI-მ დაავალა სულხან-საბა ორბელიანს, თავის მამიდაშვილს, რომ დაეწერა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელსაც უწოდა „სიტყვის კონა“.

ქართული ეკლესია-მონასტრები ისევ რჩებოდა კულტურის ცენტრებად (მაგ., გელათი, სვეტიცხოველი, ბედია, ალავერდი, ცაიში, წილკანი, ხობი, მარგვილი). მაგრამ უკვე მთავარი იყო მეფეები, სამეფო კარი, ხელიუფლება.

ტფილისი თუმცა პიბრიდული ქალაქი იყო (ქართველები, გასომხებული ქართველები, სომხები, თურქ-თათრები, ებრაელები), როგორც სამეფო ცენტრი მაინც ინარჩუნებდა ლიდერის

სტატუსს, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის დროს, როცა აქ სტამბა მოწყო.

ტფილისში XVII საუკუნეში წიგნთსაცავიც დაარსდა.

მიუხედავად მაჰმადიანთა გარემოცვისა, საშინელი რბევა-აწიოკებისა, მოსახლეობის მუდმივი შემცირებისა, დენაციონა-ლიზების პროცესისა, აურაცხელი მსხვერპლისა, ლეკთა თარე-შისა, ქართული კულტურა ძლიერდებოდა, ავითარებდა ცოდ-ნის სხვადასხვა სფეროს, აგრძელებდა მთარგმნელობით, აღმ-შენებლობით, შემოქმედებით მუშაობას, იცავდა ქრისტიანობის პრინციპებს.

სწორედ მეფეთა ძალისხმევით, ქრისტიან მეფეთა აქტივო-ბით დაიწყო სპარსოფილურ-ქართული სიმბიოზის დაძლევა. მართალია, იგი შემდეგაც განაგრძობდა არსებობას და მოა-ტანა XX საუკუნემდე. მაგრამ უკვე დაღმა უშვებოდა და გამო-ხატავდა ჰიბრიდული ტფილისის დაბალი ფენების განწყობილე-ბასა და ინტერესებს (იხ. ი. გრიშაშვილის „საიათოვა“ და „ძვე-ლი ტფილისის ლიტერატურული ბოპერა“).

ხოლო ბაგრატიონების პირადმა ცხოვრებამ, პირადმა ტრაგედიებმა, თავგანწირვამ მისცა სტიმული სიტყვის ოსტა-ტებს, რომ უარეყოთ სპარსოფილური ესთეტიზმი, აესახათ ნა-ციონალური ტენდენციები, გაღმოეცათ ის იდეალები, რასაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდნენ.

პოეზიაში პატრიოტიკისა და ნაციონალური სულის შემო-საფანად დიდი მნიშვნელობა პქონდა ქეთევან დედოფლის წა-მებას შაჰ-აბასის მიერ, მარტყოფის, მარაბდის, ქსანის, ბახ-ტრიონის ბრძოლებს.

ამ ახალი ტენდენციების სათავესთანაც დგას თეიმურაბ პირველი (პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“), რაც სპარსუ-ლი ესთეტიზმის პარალელურად არსებობს ერთი ავტორის შემოქმედებაშიც (მაგ., იმავე თეიმურაბიან).

## 2. ძიების პროცესი და კონტრკულტურა

XVII საუკუნის 20-იან წლებამდე ქართული ლიტერატურა ქართულ რეალობას მოწყვეტილია. იგი ჰეროიკის მაგალითებს ეძებს „ვეფხისტყაოსანში“, „შაჺ ნამეში“, სპარსულ სინამდვილეში, რაც ჩვენთვის აბსტრაქტული ესთეტიზმია, ხოლო სპარსელებისათვის თავისი სამყაროა.

### ქართული თემატიკა

თითქოს კულტურა და პოლიტიკა გათიშულად წარმოუდგენიათ, რომ ერთი იყო აგრესის მოგერიება, მეორე – ხელოვნება და ესთეტიზმი. ისინი გათიშულად არსებობდა თეომურაბ I-სათვისაც კი, ვიდრე არ შესძრა დედის ტრაგედიამ, რომელსაც კათოლიკური დასავლეთიც კი გამოეხმაურა (მაგ., გერმანელი გრაფიუსის ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კაფარინა“).

სარდალი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი წერდა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება „ომანიანს“. მაგრამ არ ასახავდა იმ ტკივილებს, იმ ბრძოლებს, რაც თავად ჰქონდა გადატანილი თუნდაც ლეკებთან (ღალატით მოაკვლევინა თეომურაბმა, რომელსაც შაჺ აბასმა უთხრა, ქეთევანის შერთვა უნდა ცოლად და კახეთისა და დაღესტანის სათავისოდ დაჭერა).

ხელოვნება უნდა ყოფილიყო თამაში და გართობა, ან – გადმოეცა რელიგიური გრძნობები.

მაგრამ სასტიკი ცხოვრება ფანტაზია იღუზიებს და მწარე სინამდვილე აიძულებდა კულტურშემოქმედს, რომ ოცნებებს შელეოდა და ნაკლები ეფიქრა სულთა საუფლობე. სინამდვილე გაგებულ იქნა როგორც ისტორიული რეალობა.

მაგ., 1614-1617 წლებში შაპ-აბასთან ბრძოლაში განადგურდა კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი. „ასი ათასამდე მტერს შეაკვდა. ორასი ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი, რომელნიც ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს“ (გ. ჯამბურია).

მათ ადგილზე კი ჩაასახლეს მომთაბარე მაჭმადიანები.

1920 წელს შაპ აბასმა დაასაჭურისა თეიმურაზის ვაჟები, 1622 წელს სიკვდილით დასაჯა ქართლის მეფე ლუარსაბი, 1624 წელს კი ათი წლის ტყვეობის შემდეგ საშინელი წამებით მოკლა ქეთევანი, რომელმაც უარი თქვა მაჭმადიანობაზე.

შემდეგ იყო მარტყოფი, მარაბდა და ბაზალეთი.

თეიმურაზს პოემა დაუწერია 1625 წელს.

ქეთევანი ისეთი რწმენით ეწამა, როგორც შუშანიკი. მისი თავგანწირვა სამაგალითოდ დარჩა შთამომავალთა მეხსიერებაშიც.

თეიმურაზი ნატურალისტური სიზუსტით გამოსცემს წამების პოლიცეს. ურთავს თავის განცდებს („მე ავაბაკი, შემცოდე, ახლოს არ ვიყავ, ვინანი, მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამადვარ ცრემლთა მდინარი“), ახსენებს დედის უკანასკნელ სიტყვებს:

„ჩემსა შვილსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ბედა“.

ქეთევანის წამება უცხოელთაგან პირველმა აღწერა პიეტრო ლელა ვალემ, რომელსაც ცილად ჰყავდა დედოფლის მოახლე ქართველი ტყვე ქალი თინათინ წიბა.

თეიმურაზის პოემას მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ (მღვდელმონაბონი კოშმანი, გრიგოლ დოდორქელი, ღიმიტრი ბაგრატიონი). მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამის შემდეგ ქართველი პოეტები მიუბრუნდნენ თავიანთ ისტორიას, სინამდვილეს, დაიწყეს რეალური სურათების ხაფვა ან მეფეთა ხოტბა:

ვახტანგ V-ს ეძღვნება „შაპნავაზიანი“ (ავტორი ფეშანგი ფაშვიბერტყამე – ხითარიშვილი, ცხვირმოჭრილი, კარის მე-

ლექსე), რომელიც საკმაოდ სუსტად არის დაწერილი, არის სახოგბო, მაგრამ შეცდომების შემცველი (კ. კეკელიძე).

ასეთი რამ მეხოტბეს არ უნდა მოსვლოდა, მითუმეტეს, რომ დაუწერია ვახტანგის სიცოცხლეში.

მნიშვნელოვანი პოემაა არჩილ მეფის „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“.

პირობით საუბარსა და კამათში მეფე და პოეტი ერთმანეთს უმტკიცებენ თავიანთ უპირატესობას, გადმოსცემენ თავიანთ ცხოვრებას, რაც უკავშირდება ქვეყნის ისტორიას.

ცხადია, უფრო საინტერესოა თეიმურაზის ისტორია, რომელსაც პოეტი უკეთ იცნობდა, ვიდრე რუსთაველის ქამი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მატიანების მიხედვით არის დაწერილი და ისტორიული პროცესების მონაწილედ გამოყვანილია რუსთაველი.

თეიმურაზის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს არჩილი არის ისტორიკოსიც, რომელიც თავად კრებს ფაქტებს და მათ განარჩევს.

პოემა დაწერილია XVII საუკუნის 80-იან წლებში.

თვით ავტორის კითხვა თუ „ვინ დასცემს“ ან გაჯიბრება რუსთაველთან სადღეისოდ ნონსენსია. მაგრამ მაშინ, ეფუბა, თეიმურაზი მეორე რუსთაველად წარმოედგინათ და მათ შორის განსხვავებას ნაკლებად ხედავდნენ. შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ მეფე იყო თეიმურაზი და აქედან გამომდინარე – აღმატებულიც უნდა ყოფილიყო.

არჩილი მკვეთრად არ ამბობს, მაგრამ უპირატესობას მაიც რუსთაველს ანიჭებს, რაც ჩანს თუნდაც ცნობილ სტრიქონებში:

„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემთე შენობს“, „საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაპქუსს“.

ისე ისტორიულად, ქართულ მწერლობას რუსთაველის შემდეგ თეიმურაზი ჰყავდა, რომელმაც ერთი მხრივ, აღადგინა მთარგმნელებთან ერთად რუსთაველის ტრადიციები, მეორე

მხრივ – შემოიგანა ის სიახლეები, რაც არ ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“.

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ გიორგი სააკაძის გამართლების ცდა – იგი მაშინ გამცემლად და მოღალატედ იყო მიჩნეული.

მართალია, არჩილი თავის წიგნში წარმოაჩენს სააკაძის დირსებას, მაგრამ ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ დამკვიდრდა მისი მოღალატედ შერაცხვის ტრადიციაც, რასაც ამაგრებდა არაერთი სხვა ფაქტი, თუმცა მისი გმირობა მარტყოფსა და მარაბდაში აბათილებდა ძველ ცოდვა-დანაშაულს.

გიორგი სააკაძე როცა განდიდდა, თეიმურაზი ეჭვმა შეიპყრო და მისი მოკვლაც მოიხდომა, რასაც მოპყვა საომარი დაპირისპირება.

გიორგის თუმცა საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა, მაინც დამარცხდა ბაზალეთთან.

პოემის მიხედვით, თეიმურაზი სააკაძეს ბრალად სდებს მეუე ლუარსაბას დაღუპვას, რომელიც მოურავის დის ქმარი იყო.

გიორგი ამბობს მონოლოგს თეიმურაზის წინაშე და გად-მოშლის თავისი დრამატული ცხოვრების სურათებს (თავად იოსები სააკაძის ნათესავი ყოფილა, მოუკლავთ არაგვის ერის-თავის მეთოფურებს დუშეთთან).

იოსებ ტფილელს არჩილის მითითებით დაუწერია „დიდ-მოურავიანი“, ალბათ უფრო სწორედ რომ გაეგო თუ ვინ იყო ეს წინააღმდეგობრივი, ტრაგიკული პიროვნება, „განგების გრკალში“ (ვ. ბარნოვი) მოქსეული ქართველი კორიოლანოსი (გრ. აბაშიძე).

გიორგი სააკაძეს მომდევნო საუკუნეებშიც ჰყავდა არა-ერთი როგორც მხარდაჭჭერი (მაგ., ვაჟა-ფშაველა, სტალინი), ისე მოწინააღმდეგე (მაგ., ივ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია).

„დიდმოურავიანი“ დაწერილია არჩილის „გაბაასების“ შემდეგ:

ასევე საისტორიო თემატიკას განეკუთვნება „კათალიკოს-ბაქარიანი“ (ავტორი მღვდელი იესე ტლაშვაძე).

ამ პოემაში გადმოცემულია ტფილისის დაქცევა და დომენტი კათალიკოსის წასვლა სფამბოლში, იქ მისი ხებიერი ყოფა, შეხვედრა სულთანთან.

პოეტები ლექსად წერდნენ ქართლის ცხოვრებას.

დომენტი კათალიკოსად დასვა მისმა ძმამ ვახტანგ VI-მ. იგი განათლებული კაცი ყოფილა, მაგრამ ჰქონია საღვთო პირისათვის უცხო და მიუღებელი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ.

როცა დიდხანს გაჭიანურდა ვახტანგის ქართლის მმართველად დამტკიცება, დომენტიმ, კათალიკოსმა კაცმა, გამოიქვა სურვილი, მე მივიღებ მაჰმადიანობას, თუ მეფედ დამამტკიცებთო!

როცა კათოლიკე მისიონერები მოედვნენ ქართულ სამეფო-სამთავროებს, როცა გაირკვა, რომ კათოლიკეებს მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ სულთანი და შაპი, ვიღრე მართლმადიდებლებს, დომენტი მზად იყო მრევლი კათოლიკობაზე მოექცია!

როცა ვახტანგმა ქართლი დატოვა და მოსკოვის გზას დაადგა, დომენტიმ სფამბოლში წასვლა არჩია, თუმცა რუსეთს კარგად იცნობდა:

გზად ოთანე ოქროპირისა და ბასილი ამასიელის საფლავები მოილოცა, სფამბოლში კი სულთანს შეხვდა, იერუსალიმის პატრიარქს დაუახლოვდა, თევზაობდა, სეირნობდა, ნავით დაცურავდა! მეფობას ვერც ამჯერად ეწია ავანტიურისტი.

პოემა „ვახტანგიანი“ გადმოსცემს ქართლის მეფის რუსეთში გადასახლების ისტორიას, უფრო ვრცლად, ვიღრე მემატიანე (ავტორი – ვახტანგის მხლებელი ოფია ფავლენიშვილი).

ბესიკ გაბაშვილის პოემებია „რუსის ბრძოლა“ და „ასპინძისათვის“ (დავით ორბელიანზე დაწერილი). ასევე პატრიოტული გულისტკივილითაა გამსჭვალული ლექსი „სამძიმარი“, ლევან ბატონიშვილის სიკვდილზე თქმული.

ბესიკი სიყვარულის მგოსანი იყო, მაგრამ ბედმა არგუნა ტფილისის დატოვება და ქუთაისში გადასვლა, შემდეგ – მრავალწლიანი დიპლომატიური მისია, რაც დასრულდა იასაში (რუმინეთი) გარდაცვალებით (1791 წ.).

დავით გურამიშვილის (1705-1792) „დავითიანის“ მთავარი ნაწილი 20-30-იანი წლების ქართლის ტრაგედიის გადმოცემაა, რომელსაც უერთდება ავტორის დრამატული ბიოგრაფია (ლეკ-თაგან დატყვევება, გაქცევა, მოსკოვში მისვლა, რუსეთის ომებში ყოფნა, პატიმრობა მაგდებურგის ციხეში, დამკვიდრება მირგოროდში).

ამ ნაწილს მკვლევარებმა „ქართლის ჭირი“ უწოდეს.

ყველა პოემა, რაც დავასახელეთ რუსთველური ლექსით – შაირითა და კატრენული სტროფითაა დაწერილი, გამოხატავს ქვეყნისა და პიროვნებათა ტრაგედიას, რეალურად არსებულ მოღვაწეთა ბიოგრაფიას, რითაც უპირისპირდება სპარსოფილურ ესთეტიზმსა და ამკვიდრებს ნაციონალურ ეპოსს, ნაციონალურ თემატიკას, ისტორიზმს, როგორც ეს არის ფირდოუსის „შაჰ ნამეში“.

ვახუშტი ბაგონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ პატრიოტიკის მეცნიერული ჩვენებაა.

სპარსული თემატიკისა და ესთეტიზმის წიაღიდან იშვა ნაციონალური ტენდენციები, როგორც კონტრკულტურა.

### „მართლის თქმის“ პრინციპი

რეალობიდან მომდინარე საისტორიო თემატიკამ, როცა მოძლიერდა ეს ნაკადი, ეჭვქვემ დააყენა სპარსოფილური ტენდენცია, ზღაპრული მოტივები, უცხო ქვეყნების ამბები, უცხო ესთეტიკა.

კრიტიკა რუსთაველსაც გადაწვდა.

ახლა „ვეფხისტყაოსანს“ ორი მხრიდან აკრიტიკებდნენ – ერთი იყო საეკლესიო-კლერიკალური პოზიცია, რასაც გამოხატავდნენ ანგონ I და ტიმოთე გაბაშვილი, მეორე – პატრიოტულ-შემოქმედებითი. თუმცა ყველა სცნობდა მის სიდიადეს.

მიუხედავად ამისა, რუსთაველის ლექსი და მხატვრულ სახეთა სისტემა დაუძლეველი იყო და მხოლოდ ბესიკმა შეუნაცვლა მას, როგორც ლირიკოსმა, ახალი საზომები და სტროფიკა.

რუსთაველის არტისტიზმი კი მისთვისაც სანიმუშო იყო.

როგორც ვთქვით, რეალობა, ისტორიის პოეტიზების აუცილებლობა, მაკმადიანური ირანის გამუდმებული შემოსევები წარმოშობდა ამ ახალ ტენდენციას.

სიმართლესა და ცხოვრებას უნდა შეეცვალა უცხო თემა-ტიკა და ბლაპრული რომანტიკა, სპარსული ესთეტიზმი.

პირველად ეს აბრი გამოუთქვამს ჩვენდა გასაოცრად თეიომურაზ I-ს („ნუ მკითხავთ ზღაპრად შეთხმულსა, ამ უსარგებლო თქმულებსა“). შემდეგ – ფეშანგი ფაშვიბერტყფაძეს თავის „შაჰნავაზიანში“, ხოლო განავითარა არჩილ მეფემ (1647-1713).

ფეშანგი პოემას იწყებს რუსთაველთან თუ მის ინტერპოლატორთან პოლემიკით:

„ესე ამბავი იწყების ქართუელთა სელმწიფეთანი“ ანუ უპირისპირდება „უცხოთა ხელმწიფეთა“ ამბავს, სპარსულსა და ნაფურარს, ოცნებით წარმოსახულს.

შემდეგ იხსენებს რუსთაველსა და მის პერსონაჟებს, სერაპიონსა და მის გარდათქმულ „როსტომიანს“, თეიმურაზ მეფეს, აქებს მათ მელექსეობას და გაოცებულია თუ რატომ გადაპყვნენ უცხო ისტორიებს, არარსებულ პირთა ქებას.

შემდეგ „მართლის თქმის“ პრინციპის დამცველი და ქადაგი არჩილი შენიშნავდა, მხოლოდ ერთხელ გადავუხვიე ამ გზას და რუსთაველთან თეიმურაზი გავაბაასეო, ე.ი. წარმოსახა არარეალური სინამდვილე.

მაგრამ სწორედ ეს პოემა აღმოჩნდა მისი უმთავრესი ნაშრომი და არა დიდაქტიკა და მართლის თქმა.

ქართული კულტურისათვის რესთაველი, ფირდოუსი და ნიბამი, მათი სამყარო იყო ერთგვარი კლასიციზმი, როგორც ევროპაში – ანტიკა. ამიტომ დროს აქაც მოჰქონდა მისი დარღვევის აუცილებლობა.

17 წლის არჩილი მამის მსგავსად გამაჰმადიანდა, იწოდა ნაბარ-ხანად და იმერეთის სანაცვლოდ მიიღო კახეთი, რომელსაც 11 წელი განაგებდა. შემდეგ იმერეთში გადავიდა, სადაც მისი ტახტზე ასვლა-ჩამოგდება იმდენად ხშირი იყო, რომ ტრაგი-კომიკური ხსიათი მიიღო.

საბოლოოდ მოსკოვში პპოვა თავშესაფარი, სადაც დააარსა პირველი ქართული კოლონია ვსეხსევიაფსკოე („ვსეხსენწეა“).

მის სამეფო კარზე მოღვაწეობდა არაერთი ემიგრანტი ქართველი სწავლული, ხოლო ვაჟი – ალექსანდრე დაიახლოვა და დაიმევობრა პეტრე I-მა.

ცხადია, არჩილს „მართლის თქმა“ დღევანდელი რეალიზმის მნიშვნელობით არ ესმოდა. იგი ამოდიოდა სინამდვილი-დან და ამიტომ უარყოფდა „ზღლორულსა“ და „ტყუილს“, მათ უპირისპირებდა „ნამდვილ ამბავს“ (რ. ბარამიძე).

ასევე არ მოსწონდა ხოგბა, ქება და დითირამბი ანუ ისეთი პოემები, როგორიც იყო ფეშანების „შაჰნავაზიანი“ – მამამისის განდიდება.

„მართლის თქმა“ – ეს იგივე ისტორიული თემატიკის სწორი პოემიზება იყო, გადაჭარბებისა და სიცრუის გარეშე:

„კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანა ჭრელადა“, – შენიშნავდა და ამიტომ ცდილობდა, რომ გაერკვია თუ ვინ იყო გიორგი სააკაძე და ამასვე ავალებდა იოსებ ტფილელს.

ასევე უარყოფდა მაჯამებით გატაცებას, უაზრო ფორმალიზმს და „მართლის თქმის“ პრინციპის მიხედვით აყალიბებდა თავის ესთუტიკას, რომლის ამოსავალი იყო ქართული სინამდვილე.

ამავე დროს სწორედ მან შემოიგანა ე.წ. „ჩარხებ მბრუნავი ლექსი“, რასაც თავის დამსახურებად მიიჩნევდა.

არჩილის აზრით, შემოქმედი დაკვეთით არ უნდა წერდეს, მას უნდა ამოძრავებდეს შინაგანი მოთხოვნილება, შეეძლოს აბრის განვითარება, ფორმის სრულყოფა, მელოდიური ლექსის წერა, როგორც ჭირის, ისე ლხინის ასახვა, მშობლიური ენის დაცვა:

„მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“, – აცხა-დებდა იგი ანუ მისთვის მიუღებელი იყო თემურაზის გატაცება სპარსული ენით და ასე ათქმევინებდა მეფე-პოეტს:

„მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული“.

მაგრამ ეს სპარსოფილი მგოსანი ქრისტიანობას, „საღვთო სწავლას“ აიდეალებდა, კიცხავდა რუსთაველს და ენას უწუნებდა:

„დამოდა სთქვი, შემოიდე ჯავახური ენა მძიმე“,

„რაც ენაა ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა“.

რუსთაველისა და თემურაზის კამათში ავტორმა გამოკვეთა თავისი პოზიცია, თავისი ესთეტიკა და თითქოს გვითხრა, რომ სწორედ იგი იყო მართალი ანუ ფარულად თავის უპირატესობას გვიჩვენებდა. ეს იყო სპარსულზე ქართულის აღმაგება.

ცხადია, ესთეტიკური სიახლე, თეორიული განსჯა არ არის ხელოვნება თუ არ მოხერხდა მისი განსხვეულება.

თეორიულად უარყოფდა არჩილი „ნატყუარს“, მაგრამ როგორც პოეზი, წერდა რუსთაველის ძლიერი გავლენით.

მიუხედავად ამისა, კულტურაში გაჩნდა ახალი ტენდენცია, რაც მეტ-ნაკლებად გაიზიარეს მომავალმა თაობებმა.

მაგ., თემურაზ II ჰკილავდა რუსთაველს, „დაშვრა ტყუ-ილზედ“: „არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა, არცა ტარიელ კაცს ერქვას, გიწოდებია ძალადა! არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლფიქალადა, ვერც პპოვებთ ავთანდილსაცა მის ეშყით დანამდინარებადა“.

სამაგიეროდ, არჩილის „მართლის თქმის“ მიხედვით, გატაცებით აქებდა პეტერბურგელ ბარბარა ბუტურლინას და ამ

ქებას ასმენინებდა რუსთაველს ანუ თავადაც ფანგასტიკის სფეროში გადადიოდა.

ამავე დროს თარგმნიდა იგავ-არაკია კრებულს „თიმსა-რიანს“.

პოლიტიკური, რელიგიური, ესთეტიკური გაორება არეული დროის მიზები იყო.

დავით გურამიშვილისათვისაც „მართლის თქმა“ ერთ-ერთი მთავარი პრინციპია:

„მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,  
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ამიტომ დავითი ხან აქებს, ხანაც – აკრიტიკებს ვახტანგ VI-ს, თავის მფარველს, ქართული ემიგრაციის პატრონს, ვინც ერთდროულად ირანის შაპს, თურქთა ხონთქარს და რუსთა ხელმწიფეს ერთგულებას ეფიცებოდა,

ყოფილმა მეომარმა კარგად იცის, რომ ეს შეუძლებელი იყო და მხოლოდ ბიანის მომტანი. პოეტი შვილს, ბაქარ ბაგონიშვილს ათქმევინებს – „რაბედაც მიღდა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარეო“ ანუ ქართლის დაქცევაში ვახტანგის წვლილ-საც ხედავს, ვინც ვერ გაერკვა პოლიტიკურ სიტუაციაში.

იმ დროს, როცა ავღანელი მირ მაპმუდი ისპაპანს იღებდა, სადაც დაიღუპა ვახტანგის ძმა როსტომი – შაპის გვარდიის სარდალი, თავადაც ირანის დიდმოხელე რუსეთან კრავდა კავშირს, რათა შაპი დაემხოთ.

იღუბიები სწრაფად გაიფანგა და პეტრეს მიერ მოტყუებული ვახტანგი სასტიკი რეალობის პირისპირ მარტო აღმოჩნდა.

გაინც ვახტანგ VI დიდი იმედი იყო ემიგრანტებისათვის, რაც უფრო გამოჩნდა მისი სიკედილის შემდეგ, როცა ქართველები დაფანგეს, მოუწოდეს ან შესულიყვნენ რუსთ სამსახურში ან შინ, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“, – წლების შემდეგ დაწერს გულმოკლული პოეტი.

როცა დავით გურამიშვილი წერდა თავი წიგნს მირგოროდში, 15-20 ემიგრანტი თუ ეყოლებოდა განმსჯელი, მაგრამ

მისდევდა შინაგან ხმას, რათა ეთქვა მხოლოდ სიმართლე, სი-მართლით გადმოეცა „ქართლის ჭირი“.

მართლის თქმა დაუკავშირდა მორალის სფეროს, დიდაქტიკას, აღზრდას, რათა სიცრუისა, ილუბიებისა და ოცნებებისაგან განთავისუფლებულიყვნენ მომავალში მაინც.

## დიდაქტიკა და ცოდნის პოლოგია

„ცოდნა თან სდევს მცოდნელსა“, – გვეუბნება დავით გურამიშვილი. იგი უხილავი, საუნჯეა, ხელით ვერ მიეკარები, ვერც მოიპარავ, ვერც წაართმევ ვინმეს.

ახალმა დრომ წამოსწია ცოდნის აუცილებლობა, რაც მოჰქონდა აზროვნებისა და ტექნიკის განვითარების. ამას უფრო ხედავდა დავით გურამიშვილი, რომელსაც მოევლო მოსკოვი, ასტრახანი, რუსეთის, პოლონეთისა და გერმანიის ქალაქები, ენახა იქაური გზები, სახლები, სასახლეები, ტაძრები, ნივთები.

ქონებას დრო ანიავებდა, მუდმივი ომების დროს იკარგებოდა ოქრო-ვერცხლი, ინგრეოდა და იწვებოდა სასახლეები, იხოცებოდა ხალხი.

მაგრერიალური ქონება უნდა შეეცვალა სულის საუნჯეს, ცოდნას, რომელიც პატრონს მუდამ თან ახლდა და ვერავინ წაართმევდა. ცოდნით კი ისევ აღადგენდა იმას, რაც უნდობარმა ქამმა წაართვა, გაამრავლებდა, რაც გააჩნდა,

ასეთი წარმოდგენა ქრისტიანული მრწამსის, პირველმოწამეთა შეხედულების გამოვლენაცა. დავითი კი ღრმად მორწმუნე კაცი იყო, არა მხოლოდ ქართლის ჭირზე, არამედ – სიკვდილ-სიცოცხლეზეც მოფიქრალი, სოფლის ამაოების მხილველი.

ამიტომ მოუწოდებდა პოეტი ახალგამრდებს სწავლისა და ცოდნის შეძენისაკენ, რომ დაეძლიათ საწუთოოს ბედ-უკუდ-მართობანი. იგი ყრმისადმი მკაცრ მოპყრობასაც დასაშვებად

თვლიდა, რადგან ცოდნის შეძენა გულისხმობდა აღზრდასაც, ფრადეციების ათვისებას, საზოგადოებრივი ეტიკეტის შეთვისებას ანუ ძალდაგანებას ინსტინქტურ ლტოლვებზე.

ამას ამბობს მრავალჭირგამოვლილი, სამშობლოდაკარგული, ორგზის ნატყვევარი, ცალთვალა და მხარმოტეხილი მოხუცი ჰიპოხონდრიკი.

მოსკოვსა და პეტერბურგში ქართველი ემიგრანტები, დავითის მეგობრები და ნაცნობები ცოდნას ეუფლებოდნენ, სწავლობდნენ, თარგმნიდნენ, თავადაც ქმნიდნენ, ეცნობოდნენ ევროპის მიღწევებს.

ცხადია, იქ უფრო დიდი და ვრცელი იყო ასპარეზი, ვიდრე საქართველოში. დავით გურამიშვილი, მრავლის მნახველი და გადამტანი, ქვეყნის პროგრესს ცოდნის შეძენაში, სწავლა-განათლებაში, აღზრდის მკაფრ სისტემაში ხედავდა.

დავით გურამიშვილის თვალსაზრისს ჰქონდა საფუძველი ქართულ კულტურაშიც, სულხან-საბა ორბელიანისა და არჩილის შემოქმედებაში, მათ ნააბრევში (სულხან-საბა და არჩილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ).

როგორც ისტორია არ იყო ზღაპარი და გამოგონილი, ისე ცოდნა და დიდაქტიკა სჭირდებოდა რეალურ ცხოვრებას, პრაქტიკას.

ეს იყო ამქვეყნიური სიბრძნე და გამოცდილება, ცოდნის დაცვა და გადაცემა, დაშენებული ქრისტიანულ სულიერებაზე.

სულხან-საბა როგორც „სიტყვის კონის“, „სამოთხის კარის“, „სწავლანის“, „სიბრძნე-სიცრუისას“, „მოგბაურობა ევროპაში“-ს ავტორი, როგორც „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი, მწერალი-ენციკლოპედისტია. იგი ფართო და დიდ ერუდიციას აყენებს ბნეობის, სწავლა-აღზრდის, დიდაქტიკის სამსახურში.

ეს არის განმანათლებლური მიმართულება, რამაც შემდეგ დროში ევროპა მოიცეა (ვოლტერიანობა, ენციკლოპედისტები).

„სიტყვის კონი“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია. მას ავტორი მთელი სიცოცხლე ადგენდა, კრებდა სიტყვებს,

განმარტავდა ძველი ტექსტებისა და თანამედროვე მეზყველების მიხედვით.

მართალია, თავად ამბობს, რომ ქართულის მეტი სხვა ენა არ ვიცოდიო, მაგრამ ცალკეული პირების დახმარებით შეაღგინა და „სიტყვის კონას“ დაუმატა ქართულ-იგალიური, ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული ლექსიკონები.

ბოგ სიტყვას სულხან-საბა ურთავს შენიშვნას, სხვათა ენააო.

ამ წიგნზე უთქვამს გიორგი XI-ს: „კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყვე“. ბოგი რუსთაველსაც კი ადარებდა ავტორს. ვახტანგ VI-ის სიტყვით, „ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი“. წიგნზე მუშაობა დაასრულა მოსკოვში, სიკვდილის წინა დღეებში.

„სიტყვის კონა“ გვიჩვენებს ამ სამასი წლის განმავლობაში რა დარჩა და რა დაიკარგა ქართულ მეტყველებაში. ბოგი სიტყვა დრომ უარყო, ბოგსაც მნიშვნელობა შეუცვალა. მაგრამ ძირითადი ნაწილი კვლავაც ქართული ენის ბირთვია.

„სამოთხის კარი“ და „სწავლანი“, „წამებანი წინასწარმეტყველთანი“, სხვა ლიტერატურულ-კანონიკური ტექსტები რელიგიური ხასიათისაა.

„სამოთხის კარი“ კათოლიკური შინაარსის საქრისტიანო მოძღვრებაა. ამიტომ ანგონ კათალიკოსმა, ერთხანს თავადაც კათოლიკემ, მას უწოდა „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“.

სწავლა-ქადაგებათა ერთი ნაწილი ცალკე კრებულად არის გაერთიანებული და მას უწოდეს „სწავლანი“.

ეს არის 46 ქადაგება გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოს ბერ-მონაბონთა წინაშე თქმული, გადაუწერია მოსკოვში საბას ძმას ბოსიმეს (ჰ. კეკელიძე).

„მოგზაურობა ევროპაში“ – ამ პირობითი სათაურით სახელდებული ტექსტი ავტორის უცხოდ ყოფნის, ევროპიდან მობრუნების დღიურია.

პირველი ნაწილი დაკარგულია.

სულხან-საბას, მეფეთა ნათესავსა და ახლობელს, მწერალ-სა და ბერ-მონაბონს თითქოს მშვიდად უნდა ეცხოვონ. მაგრამ დროის მსახურალი ხელი მასაც უბნევდა გზას, რაც ახლდა კრი-ზის ული სიტუაციიდან გამოსავლის ძიებას.

დებულობდა კათოლიკობას, შემდეგ უარყოფდა, მიღიოდა მონასტერში, შემდეგ საერო ცხოვრებაში ებმებოდა. ყოფნა მოუხდა ისპაპანში, რომში, პარიზში, მოსკოვში, წერდა, თარგ-მნიდა, ადგენდა ლექსიკონს, ქადაგებდა და ასე ცდილობდა, რომ კულტურა არ ყოფილიყო მხოლოდ პოეტია ან – საეკლე-სიო წირვა-ლოცვა.

ისპაპანში ხანგრძლივად ყოფნის ქამს ვახტანგ VI-მ თარ-გმნა იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“, მისი „ან-ვარი სოპაილის“ რედაქცია, დაწერილი ვაიზ ქაშიფის მიერ XV საუკუნეში.

მისი სამშობლო ინდოეთია. შემდეგ დაუმუშავებიათ ფა-ლაურ (საშუალო სპარსული) ენაზე, უთარგმნიათ სირიულად (ალ. ბარამიძე).

იგავ-არაკები, მათი დიდაქტიკურ-მორალისტური დასკვნე-ბი ჩასმულია სიუკეტურ ჩარჩოში, გამომდინარეობს ცხო-ველთა ალევორიული მოქმედება-მეტყველებიდან (აზავერები – შუთურბა და მანდაბა, ტურები – ქილილა და დამანა, ლომი).

შდრ – კეთილ ქილილასა და ბოროტ დამანას „სიბრძნე სიცრუისას“ ვებირი სედრაქი და საჭურისი რუქა.

ვახტანგის ტექსტი სტილურად დაამუშავა სულხან-საბამ, პოეტური ნაწილი გალექსა და გააწყო რუსთველური ლექსით.

როგორც შენიშნავს ალ. ბარამიძე, „ქილილა და დამანა“ იძლეოდა პრაქტიკული ცხოვრებისათვის აუცილებელ და საჭი-რო ენციკლოპედიურ ცოდნას.

განსხვავებით ვახტანგისაგან, საბამ არ იყოდა სპარსული. ამიტომ მისთვის მთავარი იყო არა თარგმანის სიბუსტე, არა-მედ – ტექსტის ქართული ქდერადობა. შესაბამისად, ცვლიდა და ასხვაფერებდა ვახტანგის ბწყარედს (მაგ., ე.წ. „ქალის“ ტექ-სტი).

ვახტანგის მოღვაწეობაში მთავარია კულტურტრეგერობა. როგორც პოლიტიკოსმა კაფასტროფით დაასრულა კარიერა, როგორც შემოქმედი და განმანათლებელი, ტრიალებდა სპარსული კულტურის წრეში (მაგ., თარგმნა ულუღ-ბეგის (თემურლენგის შვილიშვილი) ასტრონომული წიგნი „ზიჯი“, ამასთანავე – ქრისტიანული ალეგორიით განმარტავდა „ვეფხისტყაოსანს“, დმერთისკენ სწრაფვას.

„ქილილა და დამანას“ გარდა თარგმნა დიდაქტიკურ-მორალისტური ქეი-ქაუსის (XI ს.) „ყაბუს-ნამე“ (თარგმანში – „ამირნასარიანი“), როგორც პროტად, ისე ლექსად.

სულხან-საბასა და ვახტან VI-ის განმანათლებლურ-აღმზრდელობითი პოზიცია ამოდის არჩილის შემოქმედებიდან, რომელმაც შემოიფანა დიდაქტიკური, მორალისტური, ეთიკური პრობლემები (მაგ., „საქართველოს ბნეობანი“).

სენი „მართლის თქმის“ პრინციპის ნაწილი იყო. ავტორი იდეალად წარმოიდგენდა განსწავლულ, მორალურად სრულ-ყოფილ, ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანს.

ასეთი უნდა ყოფილიყო არისტოკრატი. მაგრამ პოეტი ავრცობს თავის თვალსაზრისს და საერთოდ ავრცელებს ყველა წოდებაზე.

დამრიგებლობითი საუბარი, სიკეთისა და ბნეობის ქადაგება, მათი აუცილებლობა აღძრა საზოგადოების დეკადანსმა. ხოლო წოდებისა და ქონების გეერდით გამოჩნდა ცოდნის აპოლოგია, რაც დიფერენცირებულია ბრდილობის, ადამიანთა ურთიერთობის, აღმრდის წესებით.

ბნეობის, ცოდნის, სიკეთის საფუძველი კი არის „სამღვთო შიში“, „ღვთის შიში“, რაც ვახტანგ VI-მ საღვთო ტრფიალად გაიაზრა.

არჩილის კონცეფცია სულხან-საბამ და ვახტანგმა გაპყვეს – მათ აიღეს დიდაქტიკა და არა „მართლის თქმა“.

მათ ისევ გააგრძელეს სპარსული თემატიკა, ბლაპრული და გამოვლილი სამყაროს პოეტიზირება,

დავით გურამიშვილმა კი აღადგინა არჩილის თვალსაზრისი, განავრცო „ღვთის შიშის“ ალექორია და მას დაურთო სიკვდილთან პოლემიკა, ერთი მხრივ, ბუკოლიკურ-ყოფითი ცხოვრების სურათები, მეორე მხრივ, გააერთიანა ღმერთი და მწყემსი (გამომდინარე ევროპული სიუკეტებიდან).

ცოდნის აპოლოგია სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა – ვახუშტი ბატონიშვილი სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას, მამუკა ბარათაშვილი – პოეტური თხბვის წესებს („ჭაშნიკი“), თარგმნიდნენ სხვადასხვა სახის წიგნებს რუსულიდან, თარგმნიდნენ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას.

ცოდნა გაგებულ იქნა როგორც ჭკუა, პრაქტიკა, ცხოვრების მოწყობა.

პარალელურად ახალი ძალით აღორძინდა თეოლოგია, რაც დაუკავშირდა კათალიკოს ანგონ I ბაგრატიონის (1720-1788) სახელს (ვახტანგ VI-ის ძმისშვილი, ერეკლე II-ის ბიძაშვილი).

იყო იყო მთარგმნელი, კომენტატორი, შემდგენი, ორიგინალური ტექსტების ავტორი, სახელმწიფო და სალიტერატურო ენის კანონიბატორი (იოანე პეტრიწის გავლენით).

თუმცა ენები არ იცოდა, რუსულიც სუსტად სცოდნია, მაგრამ მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ღვთისმეტყველების სფეროში. მაგ., „ღვთისმეტყველება“ ოთხ ტომად, დოგმატიკურ-პოლემიკური „მზამეტყველება“, მიმართული სომეხ მონოფიტთა წინააღმდეგ. მას დიდად აფასებს კ. კეკელიძე, როგორც „განსაცვიფრებელი ერუდიციით“ დაწერილს.

ეს წიგნი აქტუალურიც იყო, რადგან სომხები დაუცხრომად ქადაგებდნენ თავიანთ რწმენას და ცდილობდნენ ქართველთა გადაბირებას, რასაც აღწევდნენ კიდეც.

შეასწორა კონდაკი, პარაკლიტონი ბერძნული დედნის მიხედვით, თთუენი – სლავური ტექსტიდან გამომდინარე. შეადგინა საგალობლები თითქმის ყველა ქართველი წმინდანისათვის.

საისტორიო ქანრს განეკუთვნება „წყობილსიტუაცია“, „მოკლე ისტორია საქართველოსი“, „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“, კვინტოს კურციოსის ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის თარგმანი. შეადგინა ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებული „მარტინიკა“.

სკოლისათვის დაწერა „ღრამაფიკა“ და „რიგორება“.

ანგონი არ თანაუგრძნობდა სომხურიდან წიგნების თარგმნას (მაგ., პროკლეს ხელმეორედ გადმოლებას). იგი, როგორც თეოლოგი, ფილოსოფიასაც კარგად იცნობდა.

ანგონი სამჯერ იყო ნამყოფი რუსეთში, ერთხანს მოღვაწეობდა ვლადიმირისა და იეროპოლის მთავარეპისკოპოსად. ესეც ხელს უწყობდა მის ევროპულ ინტერესებს, ისევე როგორც პირველკათალიკოსობის ღროს კათოლიკური მრწამსის აღიარება.

ანგონს ენების მცოდნე არაერთი კონსულტანტი ჰყავდა და მისთვის ცხადი გახდა თუ როგორ ჩამორჩებოდა ქართული აზროვნება ევროპულს.

უთარგმნია ბაუმაისტერის „ლოდიკა“, „მეტაფიზიკა“ და „საზღვარი ფილოსოფიისა“, ვოლფიუსის „ფიზიკა“. თავადაც დაწერა ორიგინალური ნაშრომი „სპეკალი“.

ანგონ I-მა როგორც მღვდელმთავარმა და მოაბროვნებ მთელი სკოლა შექმნა ქართულ კულტურაში, რომლის გავლენამ მოაგანა ილია ჭავჭავაძემდე.

როგორც გვეუბნება კორნელი კეკელიძე, მისი მოწაფეები იყვნენ „მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, კათალიკოსი ანტონი მეორე, გაიობ და დავით რექტორები, ამბროსი ნეკრესელი, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, იოანე თსეშვილი, მიხეილ თბილელი, არქიმანდრიტი გამალიელ თსყოფილი, ღევრასი სამთავრელი მაჭავარიანი, გაბრიელ ჯვარის დეკანიზი, ტრიფილე არქიმანდრიტი“....

ანგონის თანამედროვენი იყვნენ ბაქარია გაბაშვილი, ტიმოთე გაბაშვილი („მიმოსვლას“ ავტორი), ფილიპე ყაითმაზა-

შვილი, დოსითეობ ჩერქეზიშვილი, ანგონი ცაგარელ-ჭყონდი-დელი, ალექსი მესხიშვილი...

ისინი კათალიკოსის თანამდგომნი იყვნენ, გარდა ბაქარიასი.

მანამდე უდვაწია კათალიკოს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს, რომელიც აგრძელებდა პაგიოვრაფიას, უკვე მივიწყებულს.

არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგონიშვილი, ანგონ I, ბესიკ გაბაშვილი, დავით გურამიშვილი ცოლის აპოლოგეტები არიან, რომელიც იწყება სპარსული სამყაროდან. შემდეგ, პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად, თანდათან სცილდებიან მას და გადადიან რუსულ-ევროპულ კულტურაზე.

## სოფლის სამდურავი

სოფელს ემდურებოდა, საწუთოს უჩიოდა რუსთაველი, რომელიც არავინ იცის სად გადაისროდა ადამიანს. მას მხოლოდ ღმერთის იმედი უნდა ჰქონოდა.

თუ რუსთაველის მზიურ პერსონაჟებს გულს უკლავდათ სოფლის ბრუნვა, რა ჰქონდათ გასახარელი თეიმურაბს ან არჩილს, ვახტანგს ან დავით გურამიშვილს – ან პირად ცხოვრებაში, ან საქვეყნო სარბიელზე.

ისინი მხოლოდ მსხვერპლს, იმედების გაცრუებას, უნუგეშო ყოფას ხედავდნენ. მუხთალი ქამი სპობდა ოცნებებს და ეს უფრო უძლიერებდათ ურვას. ამიტომ ადარებდნენ საწუთოს საფანას. ასევე იქცეოდნენ სპარსი პოეტებიც.

ლიტერატურას ყოველთვის ახლდა სევდა-კაეშანი, ამაოების განცდა დაწყებული გილგამეშის ქამიდან. ეკლებიასტეს ეჭვი გულს უხრავდა მოაზროვნე თაობებს. მაგრამ ამჯერად

საჭირო არ იყო ფილოსოფიური განსჯა – დრო მათ თვალწინ  
ამხობდა ყველაფერს.

მათი სევდა არ იყო გამოგონილი, არტისტული პოზა.

თეიმურაბი მრავალგვარი ვარიაციით წარმოაჩენს „სოფ-  
ლის სამდურავს“, თავის პირად ტრაგედიას, სოფლის მუხტოლო-  
ბას.

მაგ., „მე ვხედავდი ლხინსა ჩემსა სრულად

ჭირთა გადაცვლითა.

იმ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,  
მივემსგავსე მე ფრინველთა, იგ მხარ-ბოლო დანაცვინთა,  
მედებოდა ცეცხლი ცხელი, ვიწვებოდი მსგავსად ცვინთა“;  
„მოვკვდე, მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე“.

არჩილ მეფისთვისაც სოფელი ცრუა და მიუნდობელი, მაგ-  
რამ მის გარეშეც შეუძლებელია არსებობა:

„სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსნებია“.

ვახტანგ VI-ის ლექსების უმეტესობა უმიგრაციაშია დაწე-  
რილი, რაც კიდევ უფრო უძლიერებდა მეფე-პოეტს კაეშანს:

„რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,  
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი, და, განი, და...

ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიურძე და სივრცე, განი, და...

ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე მმა და დანი, და...“

ბოგჯერ პოეტი თავისთავსაც ჰკილავს, რომ მხოლოდ  
საწუთო როდია ავის მომტანი, რომ მან თავად აღმოფხვრა  
ვარდი, ბაღში რომ ედგა.

ვახტანგ VI-ისათვის საწუთო „მუხტალია“, სოფელი „და-  
უნდობელი“, რომელიც აგონებს სიძვის დიაცს.

არც თეიმურაბ II, ვახტანგის სიძე, ემადლიერება სოფელს.  
მისთვისაც სოფელი ცრუა და ყოვლის დამშლელი.

სოლო ბესიკისათვის მთელი ქვეყანა „სევდის ბაღია“.  
სოფლის ბრჭყალებმა მის ბედსაც „უსწორა კილო“.

პოეტისათვის სოფელი ეშმაკის ბლუდეა, ცრუ, დრკუ,  
მრუდი, ცუდი.

ამიტომ ამბობს ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში:

„ჰაერი ცივ-ნამიანი,  
ჩემთვის აღარა დღიანი,  
მას ვშორავ გულსევდიანი,  
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი!  
თავმოხრით ვნახე იანი,  
სხივნი ჰკლებოდეს მზიანი“.

ბოგჯერ სევდის საწყისი მიჯნურია, მაგრამ მეტწილად  
ნაღველს აღძრავს სოფლის ბრუნვა, რაც პოეტს სიკვდილს ანა-  
ტრებინებს.

საიათნოვა, სამენოვანი აშუღი, სადა ლექსების ავტორი,  
ჯერ მღვდელი და შემდეგ ბერი, გამოწყობილი შავი კაბით და  
შავი ქოშით თითქოს ხალისიან, სასიმღერო ლექსებს წერდა,  
საფრფოს განადიდებდა. მაგრამ მის სტრიქონებშიც თავს იჩენ-  
და დარდი, ნაღველი, კაეშანი:

„საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოვია,  
მინდა გული ბედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია“.

ერთმანეთს რომ ვუდარებთ ბესიკსა და საიათნოვას,  
თვალში საცემია ენობრივი განსხვავება. ბესიკი წერს რთული,  
ანგონ კათალიკოსის მიერ დანერგილი სტილით, არისტოკრატიული კანონიკით, სალექსო ტექნიკის სიზუსტით, ხოლო ავ-  
ლაბრელი მგოსანი – ნათელი, გასაგები ენით, მარტივი ფორ-  
მით, მეტრისა და რითმის დარღვევით.

სოფლის სამდურავი დავით გურამიშვილმა კონკრეტული  
სფეროდან ფილოსოფიურ აბსტრაქციაში გადაიგანა, მისტიციზ-  
მით შემოსა და სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგად აქცია.

პოეტმა ისარგებლა როგორც ბიბლიით, ისე უკრაინაში  
გავრცელებული სიკვდილ-სიცოცხლის ცილობით.

დავით გურამიშვილს სიკვდილი წარმოდგენილი ჰყავს  
მჭლე კაცად, ვინც ცელს იქნევს.

პოეტი ასევე ეკამითება საწუთოს, რაც საბოლოოდ გო-  
დებაში გადადის – „ვაი, საწუთო, ცრუთ სოფელო“, „რად მშვა  
დედამან, შავმა ბედამან“.

სული შვებას ჰპოვებს რელიგიურ მისტიკაში, ბიბლიური ეპიზოდების თხზვაში, ღვთისმშობლისადმი ვეღრებაში, ქრისტეს დიდებაში („დიდება მოიმინებასა შენსა, უფალო იესო“).

დავითი მეომარი, საერო კაცი იყო, ვინც სიბერეში შეეფარა უფლის სახელს. საწუთოსთან და სიკვდილთან ცილობამ გაუძლიერა ინტერესი და სიყვარული უფლისადმი, ქრისტიანული მოტივებისადმი.

სოფლის სამდურავი გადაეცათ ახალი თაობის პოეტებს, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოსა და რუსეთში, ბატონიშვილებს, ე.წ. გარდამავალი ხანის მოღვაწეებს, თუმცა მათ ვერ შეძლეს ფორმალიზმის დაძლევა და ვერ აჩვენეს ვერც ძლიერი მგრძნობელობა, ვერც ორიგინალური ამრი.

## საეკლესიო მხატვრობა

მაპმადიანობის ბერბის ქამს ეკლესია ინარჩუნებდა ავტონომიას, ქრისტეს სახელს ისევ განადიდებდნენ, განამტკიცებდნენ თავისუფლების რწმენას.

ისევ აგრძელებდნენ მღვდელმსახურებას, წერას და თარგმნას, უვლიდნენ ტაძრებს და ამკობდნენ ფრესკებითა და ხატებით, როგორც შორეულ საუკუნეებში.

შემორჩენილი მხატვრობა ეკლესიის კედლებზეა განფენილი. ამიტომ ისინი იმეორებენ ბიბანტიურ-ქართულ ტრადიციას. მათ ვერ შეცვლიდა მაპმადიანურ-სპარსული სტილი.

ქართველებს ისეთი კარგი მხატვრები ჰყოლიათ, რომ თურქთა მიერ ოკუპირებულ ბერძნულ მიწაზეც იწვევდნენ.

მაგ., ათონის ივერთა მონასტერი XVI საუკუნის ბოლოს მოხატა მონაბონმა მარკობიმ. ერთ-ერთ კედელზე ქციტრებთან ერთად თავისი თავიც გამოსახა.

გრძელდებოდა გელათის მონასტრის კედლების სურათებით შევსება. XVI საუკუნის ბოლოს იგი მოუხატავთ აფხაზების

კათალიკოსის ევლემონ ჩხეტიძის დაკვეთით და იმერეთის მეფე-დედოფლის გიორგისა და თამარის ქვითორობით.

სამივენი ერთად არიან გამოსახული.

XVI საუკუნეში ხელახლა შეუმკიათ გელათის მთავარი ტაძარი. შემდეგ ეს სამუშაო გაუგრძელებია კათალიკოს ზაქარია ქვარიანს.

გელათის მხატვრობა მოიცავს ტრადიციულ ქრისტიანულ სქემებს, სიუკეტებსა და პერსონაჟებს. მღვდელმთავრებისა და ქტიორების, ქრისტესა და მახარებლების მოტივებს.

მაშინ მოუხატავთ ხობისა, ახალი შუამთის (კახეთი) და გრემის ტაძრები, რომლებშიც სჭარბობს დვთისმშობლის აკათისტო, ტაბაკინის ბაზილიკა (ზესტაფონთან) „ველრების“ დიდი კომპოზიციით (შ. ამირანაშვილი).

წალენჯიხისა და ხობის ტაძრები მოუხატავთ ლევან II დადიანის დაკვეთით და ქტიორობით. კედლებზე გამოხატული არიან ლევანი და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი, შვილები, წინაპრები, ნათესავები.

1681 წელს კათალიკოსმა ნიკოლოზ ამილახვარმა, გივი ამილახვრის ძმამ, ნაწილობრივ მოახატვინა სვეტიცხოველი (მხატვარი გრიგოლ გულჯავრის შვილი).

მხატვრობა მოიცავს ტრადიციულ ქრისტიანულ სიუკეტებს.

სამთავისი განუახლებია გივი ამილახვარს (რესტავრაცი- რი ეპისკოპოსი მელიგონი). მის კედლებზე შემორჩენილია XI საუკუნის არაბული წარწერა.

რესტავრაციონებისა და მხატვრების სიმცირის გამო ქართველები რუსებსაც სოხოვდნენ დახმარებას. მართლაც, რუსებს ელჩებთან ერთად მხატვრებიც გამოუგზავნიათ – 10 მხატვარი, 4 დურგალი, 1 სარკმელთა ოსტატი (შ. ამირანაშვილი).

ერთი მათგანი ქართლის დედოფლის, მარიამის მკაცრი ზედამხედველობით ხატავდა, ალბათ, იმიტომ, რომ ფრესკებს არ ჰქონოდა რუსული სახე.

რუსებს არაერთი ტაბარი მოუხატავთ ქართლსა და კახეთში.

გარდა ოსტატების სიმცირისა, არც იმდენი თანხა ექნებოდათ მეფეებს (მაგ., თეიმურაშს), რომ შესძლებოდათ დროით, ძარცვა-რბევით წარეცხილი და ფერწასული ფრესკების აღდგენა ან ახლის შემატება.

საერო მხატვრობა სასახლის კედლებს ამკობდა და მათ დაქცევასთან ერთად ნადგურდებოდა.

შემორჩენილია მხოლოდ ლაშთხვერის (ზემო სვანეთი) ეკლესიის, კედელზე – მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ სიუკეტი – ცხენოსანი ამირანის ბრძოლა გველეშაპთან (წმ. გიორგის ვარიაცია), მის გვერდით – ასევე ცხენოსნები ბადრი, სეფედავლე და უსუპი.

საეკლესიო წიგნებს ისევ ამკობდნენ მინიატურებით.

ამჯერად არც მათ ემჩნევა სპარსული გავლენა. მაგრამ განყოფა მაინც ხდება. ერთი ნაწილი, კერძოდ – დასავლეთ საქართველოში შესრულებული, განიცდის ევროპულ ანუ კათოლიკურ გავლენას.

იგი XVI საუკუნეს განეკუთვნება (შ. ამირანაშვილი).

ავგორს ერთგან დავითის ებანის მაგივრად ვიოლინო გამოუსახავს. ზოგან იერუსალიმის პეიზაჟს ქართული ლანდშაფტი ენაცვლება, თუმცა ავგორი სინას მთას, წმ. ეკატერინეს მონასტერს გვაცნობს.

შეიძლება ეს გავლენა არც იყოს – არ არის გამორიცხული მხატვარი რომელიმე იფალიელი მისიონერი ყოფილიყო, რომელიც მიჰყვებოდა მშობლიურ ტრადიციებს. ასეთივეა გურიის გულანი (XVI ს.).

მხატვრობისათვის მიუმართავს დავით გურამიშვილისაც, რომელმაც თავად დაასურათა „დავითიანი“ და თავისი პორტრეტიც შიგ ჩახატა – ხელაპყრობილი, „სოველი და ნაწვიმარი“ (ს. ჩიქოვანი).

ტექსტი და ნახატები ერთმანეთს ავსებენ.

წმინდანთა „ცხორების“ სვინაქსარულ რედაქციაში (XVII ს.) გამოუსახავთ ისე წილკნელი, ილარიონ ქართველი, პეტრე

იბერი, მიქელ-გობრონი, გრიგოლ ხანძთელი, არსენ იყალთოელი, დავით გარეჯელი.

გულანების შესამკობად მიღებული ყოფილა ვრცელი სქემა, რომელიც მოიცავდა ძველ და ახალ აღთქმის, აკათისტოსა და ცხოვრების სიუკეტებსა და პერსონაჟებს.

ყანჩაეთის გულანი (1674) შეიცავს 60 მინიატურას; ანჩის-სატის გულანი (1681 წ.) გადაუწერიათ და დაუსურათებიათ საბასა და მიქაელს (ნიკოლოზ ამილახვრის ბრძანებით).

XVIII საუკუნიდან მინიატურებს ცვლის ხეზე შესრულებული გრავიურები და მათი ბეჭდვა.

ისევ ცოცხლობდა ლითონზე კვეთის ხელოვნება, მეტწილად – დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთში ესეც სპარსული ორნამენტების მიხედვით სრულდებოდა.

აქციურობდნენ ლევან დადიანი, აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია, იმერეთის მეფეები, რათა ოქროსმექანდაკებლებს და-ემზადებინათ მეტი ხატი, მოეცათ რთული კომპოზიციები, რაც კედლის მხატვრობას ჰქონდა.

ბოგაძ აქაც იგრძნობა ევროპული ხელოვნების გავლენა.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან მომრავლდნენ ქვითხურონი და მხატვრები. მხატვარ ნიკოლოზ აბხაზს მოუხატავს ანანურის ეკლესია და სხვა ტაძრები, იობ მხატვარს – აჭის წმ. გიორგის ხატი, გრიგოლს უმუშავია შემოქმედის მონასტერში (ვ. ბერიძე).

რაჭაში, სამეგრელოში, ქართლში, კახეთში გრძელდებოდა კედლების მოხატვა, წიგნების გადაწერა და მინიატურებით მორთვა.

საეკლესიო მხატვრობა უკავშირდება ტაძრების განაპლება-აღდევნას, რომლის ნაკლებობას აღრე უჩიოდნენ და „გა-ლაგოზს“ ეძებდნენ.

ასევე შესაკეთებული იყო ციხე-სიმაგრეები, ქალაქების გა-ლაგნები, სასახლეები, საცხოვრებელი სახლები, რაც გადაურჩა ომიანობას, ცეცხლსა და რბევას.

1753 წელს აიგო ბარაკონის ეკლესია რაჭის ერისთავის როსტომის მიერ, 1777 წელს აღადგინეს იმერეთის ვარძიის მო-

ნასტრის სამრეკლო, შემოქმედის ციხე და გელათის წმ. ნიკო-ლობის ეკლესია შეაკეთეს, სიღნაღს და თელავს გალავანი შემოავლეს, ნინოწმინდის ეკლესის ებოში სასახლე ააშენეს, ტფილისში – დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი – საჩინო, გაა-მაგრეს მეტები და ნარიყალა, რესტავრირებულ იქნა როსტო-მის სასახლე, რომელშიც ერეკლე II ცხოვრობდა (ვ. ბერიძე).

ერთმანეთის უკავშირდებოდა არქიტექტურა და მხატვრობა, ორივე კი – ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ეკო-ნომიკა – პოლიტიკას.

ქვეყნის ძლიერებას მოსდევდა კულტურული აღმშენებლობა, დაქვეითებას – დაცემა და ხანაც სრული რეგრესი (მაგ., სამცემში).

მშვიდობიანობის პერიოდში სწრაფად იმრდებოდა მოსახლეობა, ვითარდებოდა ეკონომიკა, სწრაფად იცილებდა ქალაქი და სოფელი ომის ნახაძრალის კვალს, ისევ მოდიოდნენ მისიონერები და ვაჭრები, ისევ აღადგენდნენ უცხოეთთან დაწყვეტილ კავშირებს.

დრომ კვალი დაამჩნია ისტორიულ მეხსიერებას. დავიწყებას მიეცა მრავალი მოღვაწის, შემოქმედის (მაგ., რუსთაველის), სავანის სახელი.

იერუსალიმში მყოფი ტიმოთე გაბაშვილი გაოცებული ამბობს, ასე უმეცარი როგორ ვართო, რატომ აქამდე არავინ მოვიდა აქო, როგორ დავივიწყეთ ყველაფერიო – „ჰოი მე, რა დიდის უგუნურებით არს ნათესავი ჩვენი“ („მიმოსლვა“).

ტიმოთეც „ხილულს“ აღწერდა, იშველიებდა ზეპირ და წერილობით წყაროებს.

როგორც „მართლის თქმა“ და დიდაქტიკა, ისე ეკლესია და თეოლოგია „ვეფხისტყაოსნის“ გადაფასებისაკენ იყო მიმართული, რათა კულტურას პქონოდა განვითარების პერსპექტივა.

## რუსთაველის დაძლევის ცდები

დიდი ხელოვანი დიდ გავლენას ახდენს კულტურაზე, მას პბაძავენ, მას მიჰყვებიან, მას ედავებიან. ამიტომ იგი როგორც არის ახალი საფეხური, ისევეა შემაფერხებელი.

ეს განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა ძველ დროში.

რუსთველმა თავის მაგნიტურ ველში მოაქცია ქართული პოეზიური სიტყვა, თავისი გზითა და ესთეტიკით წაიყვანა პოეტები, თავისი მეტრი და სტროფიკა მოახვია მათ.

მხოლოდ ახალ დიდ ხელოვანს ძალუმს ძველი ტრადიციის დარღვევა და სიტყვის სხვაგვარი მოდელირება.

ამისათვის საჭიროა ერის ფსიქიკაში დაგროვდეს უცნობი ნიუანსები და არაუნდინერი ინფორმაცია, რომელსაც გამოავლენს შემოქმედი, რაც პოეტისათვის სიტყვიერი მოცემულობაა.

დეკლარაციულად რუსთაველის დაძლევასაც ბევრი ცდილობდა. მაგრამ განცხადება, კრიტიკა, უარყოფა არაფერს ცვლის (შდრ – თეიმურაზ I – „ლექსი ჩემი სჯობს“...).

როგორც ვწერდით, რუსთაველის გავლენა იწყება XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ელიფაში მკვიდრდება პოემის ონომასტიკა, თავდაპირველად – ნესტან-დარეჯანისა და თინათინის სახელები.

არაქრისტიანული სახელები რომ მიეღოთ, მას უკვე უნდა პქონოდა გარკვეული ტრადიცია, მოწონება, სიყვარული.

ონომასტიკის გავრცელება რუსთაველის მეტი გავლენის ნიშანია, რაც პოეზიაში გამოიხატა XVI საუკუნის დასაწყისიდან.

ამის შემდეგ 300 წელი რუსთაველი არის უცვლელი პეგამონი ქართულ მწერლობაში. მან წარმართა პოეტების მზერა სპარსული სამყაროსაკენ, ფირდოუსისა და ნიბაში განჯელისაკენ.

დიდ ავტორიტეტს სტიქიურადაც მიჰყვებიან ახალი თაობები. მაგრამ ყოველ ხელოვანში ცოცხლობს მეამბოხეც, რომე-

ლიც ებრძვის გრადიციასა და ავტორიზეცს, რადგან მიაჩნია, რომ თავად არის ახალი სამყაროს დამწყები.

კრიტიციზმი, ნიპილიზმი, პროფესტის გრძნობა უფრო მქდა- ვნდება დეკლარაციულად. შემოქმედებითად კი ავლენს უნარი, ტალანტი, თხზვისა და მიგნების ნიჭი.

ყველა ხელოვანს ჰგონია, რომ ასეთი თვისებანი თითქოს მას დაანათლა განგებამ და არა ვინმე სხვას.

რუსთაველს უჯიბრება თეიმურაზ I, მაგრამ ვერ გამოდის მისი ლექსის ტყვეობიდან; ედავება არჩილი, რუსთაველის ეს- თეტიკას უპირისპირებს მართლის თქმას, ისტორიზმს, კონკრე- ტიკას, მაგრამ ამაოდ.

ესეც იყო დეკლარაცია.

როგორც პოეტი, არჩილი შოთას მიმბაძველია.

სხვებს ამდენიც არ შეეძლოთ. იოსებ ტფილელი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ინგერპოლატორები, მთარგმნელები თავს ვერ აღწევდნენ რუსთაველის ლექსის მომნუსხველ ძალას.

ვახტანგ VI ცდილობს ეკლესიასთან შეაგუთს რუსთაველი, ქრისტიანული ხედვა გამოუძებნოს და პოემის მიზნურობას აღეგორიულად განმარტავს, როგორც საღვთოს.

ქრისტიანულ ეკლესიას ეს სარწმუნოდ არ ეჩვენა და შეე- ცადა სწორედ რელიგიური თვალთახედვით პოემის უკუგდე- ბას.

ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, ცალკეული მღვდელმთავ- რები სცნობენ რუსთაველის სიბრძნეს, მაგრამ ბოროტ სახელს, მუსულმანურ გატაცებას არ აცილებენ, ქრისტიანობის გამრყვ- ნელს უწოდებენ: „ამაოდ დაშვრა, საწეს არს ესე“ (ანტონ I), „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა“ (ტიმოთე გაბაშვილი).

უცნობი ინტერპოლატორებიც აძაგებდნენ პოემას, „სპარ- სულია“, სულს არას არგებსო.

როცა „ვეფხისტყაოსანი“ პოპულარობით „სახარებას“ აჭარბებდა, მაპმადიანობის ბეობის ქამს, ეკლესიის აქტივობა ბუნებრივი იყო.

შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც გაენადგურებინათ, როგორც გადმოგვცემს პლატონ იოსელიანი.

ინკვიტიციისა და პროტესტანტობის მცოდნე ყოფილი კათოლიკესაგან ეს მოუღოდნელი არც უნდა ყოფილიყო.

ევროპასთან მიმართებით ასეთი ფაქტები, სადაც ეკლესია სასტიკი და შეუბრალებელი იყო ერეზიკული წიგნებისა და ერეზიკოსების მიმართ, არც უცნაურია და არც დაუშვებელი (შლი – ჰუგენოტების გაქლება საფრანგეთში 1572 წელს. მარტო ერთ, ბართლომეს დამეს პარიზში მოკლეს 3000 ჰუგენოტი; დიდმა ინკვიტორმა დომინიკელმა ტორკვემადამ ესპანეთში ცოცხლად დაწვა 10 000-ზე მეტი ე.წ. მწვალებელი).

გარდა ამისა, ანგონი ავგორია პოლემიკური ანგიმონთ-ფიტიცური წიგნისა – „მზამეტყველება“.

რუსთაველის საერო ავტორიტეტს ანგონის საეკლესიო ავტორიტეტი დაუპირისპირდა, რაც პოეტურ ასპექტში შეუძლებელი იყო. ამიტომ იდეოლოგიას უნდა ეთქვა სიგყვა.

პოეზიაში ეს სცადეს ბესიკმა და დავით გურამიშვილმა. მაგრამ „დავითიანის“ ავტორი მაშინ იმარჯვებდა, როცა რუსთაველს მიჰყებოდა და მას ურთავდა არჩილის სიმართლის იდეას.

მხოლოდ ბესიკმა შეძლო დისტანცირება რუსთაველისაგან 14-მარცვლოვანი ლექსით, ლირიკითა და ახალი სპარსული სალექსო ფორმებით. მაგრამ ესთეტიკა, არტისტიზმი, ტრფობის იდეალი მაინც რუსთაველის სამყაროში კეტავდა.

ერთხანს რუსთაველის დაძლევა სცადეს დიდაქტიკით, მორალური სენტიციურით, აღმრდის სისტემის ჩვენებით, რათა ცოდნის აპოლოგიას გადაეფარა ტრფობის რომანტიკა.

მაგრამ ჰეროიკა და რომანტიკა ელიფასაც იტაცებდა, მასებსაც იმორჩილებდა და მათი უკეთესი გამომთქმელი ვერავინ აღმოჩნდა.

ამრიგად, ქართული პოეტური სიტყვაც ბევრს ეცადა, რომ დაეძლია რუსთაველი, შეენელებინა მისი გავლენა.

ასეთი შემოქმედებითი ძიება, აზრობრივი დაპირისპირება მარცხით დამთავრდა. რუსთაველს მკითხველი არ აკლდებოდა, ლექსსა და გმირებს – მიმბაძველები. ღვთისმსახურებიც გადაწერდნენ და ავრცელებდნენ პოემას და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო დამორჩილდა პარნასი „ვეფხისტყაოსანს“. კონფრკულტურა ჯერჯერობით ვერ იმარჯვებდა.

მხოლოდ ახალ დროს, ახალ ესთეტიკას, ახალ ხედვას უნდა შეეჩერებინა რუსთაველის ტრიუმფი და ზეგავლენა, რაც კულტურას უსპობდა წინსვლის პერსპექტივას.

კლასიცისტურად გაგებული ევროპეიბმის გამო ანგონ I, მისი სამი სფილის თეორია უპირისპირდებოდა ხალხურ მეტყველებას, რუსთაველის ენას და სანიმუშოდ მიიჩნევდა იოანე პეტრიწის მწიგნობრულ სფილს, როგორც ელიტისათვის მისაღებს, როგორც რელიგიურს, ინტელექტუალურსა და არქაულს.

### 3. საღვთო ენა – კონსოლიდირების ბაზისი

მეტაფრასტიკიდან იწყება ქართულ მწერლობაში ენის გართულება, შეგნებული დაცილება ყოფითი მეტყველებისაგან, რათა სიტყვას ჰქონოდა საღვთო პათეტიკა (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერიძე).

ს ტენდენცია ყველაზე მეტად განავითარა იოანე პეტრიწიმა. ფილოსოფია და თეოლოგია თავისითავადაც რთულია. მისი სფილიბებული ენა კიდევ უფრო ძნელად მისაწვდომს ხდიდა აბრს. მაგრამ უპირისპირდებოდა არაბულ და თურქულ ბარბარიზმებს.

ასეთი სფილი მიიღო ელიტამ, მიიღო მეტ-ნაკლები კორექტივით. მაშინაც სისადავე, სიმარტივე მიიჩნეოდა მდაბიურ თვისებად. ამიტომ მეფეები, მეხოდეები, მემატიანეები, სამღვდელონი წერდნენ რთული სინგაქსური კონსტრუქციებით.

ეს ტენდენცია ყველაზე კარგად ჩანს „ისტორიანსა და აზ-მანში“, რაც არც მომდევნო საუკუნეებში შეცვლილა. იყო გა-დასწვდა სიგელ-გუჯრების ენასაც.

ენაში უფრო მეტად შემოძიოდა უცხო ლექსიკა, ვიდრე ხალხური. ეს, ერთი მხრივ – გამართლებულიც იყო, რაღაც ლექსიკა ახლად გაჩენილი საგნების სამოსელი იყო და საგანს მოჰყვებოდა.

ლექსიკურ შემოტევას ვერავინ შეაჩერებდა, მითუმეტეს – ავბედობის ქამს. მაგრამ სინტაქსი რომ არ მარტივდებოდა, ეს უკვე მწიგნობართა ინიციატივას ნიშნავდა.

ქართული ენის ისტორიაში ზოგი სამ პერიოდს გამოჰყოფს, ზოგი – ორს. ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსანი“ ითვლება ახალი ტენდენციის საწყისად.

არასპეციალისტებს მისი სრული გაგება დღეს უჭირს. მავრამ ასე არ იქნებოდა წინა საუკუნეებში, როცა ხელოვნურად ინარჩუნებდნენ მწიგნობრულ ენას, როგორც არისტოკრატიულსა და საეკლესიოს, მიახლოებულს უფლის სიდიადესთან.

რუსთაველის შემდეგ სალიტერატურო ენა არ გამარტივებულა, ხოლო XVIII საუკუნეში კიდევ უფრო გართულდა, როცა ანტონ კათალიკოსმა აღადგინა პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სტილი.

ანტონი, როგორც ყოფილი კათოლიკე და რუსეთში ნამ-სახური, სხვებზე უკეთ ერკვეოდა ევროპული კულტურის ტე-დენციებში.

მაშინ რუსეთის ელიტაშიც კლასიციზმი ბატონობდა (მაგ., ლომონოსოვი). კლასიციზმის სტილი, ბუალოს „პოეტური ხე-ლოვნება“ ენაში განასხვავებდა სამ დონეს და უსაბამებდა ქან-რებს. მაგ., ტრაგედია იწერებოდა მაღალი სტილით, კომედია – დაბალი სტილით, მდაბიური ენით, ყოველდღიური მეტყველე-ბით.

ეს ეპოქის სტილიც იყო, რაც ვრცელდებოდა ეტიკეტე, ელიტის ჩატმის მოღაბე, მეტყველებაზე და დღეს ბიბილ-პიპი-ლებად აღიქმება.

არისგოკრატი ყოველთვის განირჩეოდა მდაბიოსაგან როგორც გარეგნული ატრიბუტიკით, ისე მანერებით, მეტყველებით, ქცევის წესებით.

ასეთი კონსერვატიზმი, ერთი მხრივ – ენას განაშორებდა მღვრიე, ყოფითი, ლაბილური მეტყველებისაგან, მეორე მხრივ – უნარჩუნებდა სიმტკიცეს, ნორმის მნიშვნელობას, როგორც დიალექტების გამაერთიანებელს.

ეკლესია როგორც ლიტერატურულად, ისე ენობრივად ძველი, უცვლელი, მყარი კონსტრუქციების ერთგული იყო.

უცხო კულტურის, ლექსიკის, ბარბარიზმების შემოჭრა შეიძლებოდა ასე უფრო იოლად მოეგერიებინათ.

გარდა ამისა, ენობრივ სისტემას, სააზროვნო, ესთეტიკურ და პოეტიკურ მოდელებს სჭირდება დახვეწა და სრულყოფა, რასაც აკეთებს დრო და ტალანტი.

სამეგრელოსა და სვანეთშიც, სადაც მასა არ მეტყველებდა ქართულ ენაზე, მღვდელმსახურება იყო ქართული, ზოგიერთი ცნობით, მთავრები და მადალი ფენა მეტყველებდა ქართულად, მიწერ-მოწერაც იყო ქართულ ენაზე და ვრცელდებოდა ქართულენოვანი ტექსტები.

ქართული ასოები თითქმის სრულად გამოხატავენ ქართულ ბგერებს, რაც იშვიათია სხვა ენებში. ჩვეულებრივ, მეტყველება უფრო პროგრესირებადია, ვიდრე საეკლესიო და სალიტერატურო ენა. ამიტომ მათი კონსერვატიზმი იწვევს ცოცხალი პროცესისაგან დაცილებას.

ასეთი რამ ქართულ ენაში მცირე მასშტაბით შეიმჩნევა და ამიტომ დღესაც გვესმის „შუშანიკის მარტვილობა“.

XVI-XVIII საუკუნეებშიც იცვლებოდა ლექსიკური ფონდი და სემანტიკური ბაზისი, სპარსულ კულტურას შემოჰქონდა ახალი საგან-სიტყვები, ყოფას ეძალებოდა თურქული ლექსიკაც, განსაკუთრებით – სამოხელეო (მაგ., ტარულა, ყულალარა-სი, ყილიჯყორჩი), გეოგრაფიული, სამედიცინო, რელიგიური ტერმინები.

XVIII საუკუნიდან რესული ენაც ჩაერთო პროცესში. რესულიდან დაიწყეს სახელმძღვანელობის, რელიგიური ტექსტების თარგმნა. ასევე აუცილებელი გახდა სამხედრო ლექსიკის ათვისება. ტექნიკის განვითარება ენაშიც აისახებოდა. ქართული ამ პროგრესს ვერ მიჰყვებოდა და ამიტომ უნდა შემოეფანათ უცხო სიტყვები, როგორც ნეოლიტიზმი, უარგონი, ბარბარიზმი, რომელთაც დრო გაცხრილავდა, ზოგს დატოვებდა, ზოგს უკუაგდებდა, მოუძებნიდა შესატყვისს.

მაგრამ თვით ძველი სიტყვებიც იცვლიდნენ სემანტიკას (მაგ., მორი, კუბო, ცხედარი) და ახალ რეალობას ერგებოდნენ.

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ დროის კონტექსტი, პოლიტიკურ-კულტურული სიტუაცია, რათა გავიაზროთ და დავაფასოთ ანგონის რეფორმა.

პოლიტიკური ძნელებეფობის უამს, როცა სახელმწიფო რამდენიმე საუკუნე დამლილი იყო, ენას მაინც უნდა შეენარჩუნებინა ერთიანობა, როგორც კულტურის ბაზისს, რათა მომავალში შესაძლებელი გამხდარიყო ქვეყნის აღდგენა.

ეს შეეძლო მხოლოდ ეკლესიას, რომელიც ფუნქციონირებდა ყველა რეგიონში და მეტყველებდა ღვთაებიდან მომდინარე ენით (მაგ., ლაზეთში მღვდელმსახურების ენა ბერძნული იყო)..

ძველი ტექსტები ამ ერთიანობის საფუძველი იყო, ახალი კი – დმრთიშვილების პროცესი, თუმცა დასავლეთს თავისი კათალიკოსი ჰყავდა, აღმოსავლეთს – თავისი.

ცოცხალ კონტაქტებს შეინარჩუნებდა ელიფა, რომელსაც ექნებოდა როგორც სამეტყველოდ, ისე სამწერლოდ ანგონის მიერ დამუშავებული მოდელი. ეს იქნებოდა ნაციონალური კონსოლიდირების ბაზისიც – ქრისტიანული ღმერთის საფუძველზე.

მასა, ცალკეული კუთხეები, რომელთაც პქონდათ თავიანთი ენა და დიალექტი, ამ ენით ვერ იმეტყველებდნენ. მაგრამ გააერთიანებდათ ისევ ეკლესია, ქრისტე, საერო ელიფა.

ასევე მნიშვნელობა პქონდა ნათესაურ კავშირებს. მაგ., როსტომის მეუღლე მარიამი იყო ლევან II დადიანის და.

დადიანთა ასულები შეირთეს სოლომონ I-მა და ერეკლე II-მ.

თეიმურაბ I-ის ასული ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფე ალექსანდრეს, შვილიშვილი ჯერ იმერთა მეფეს, უსინათლო ბაგრატს, შემდეგ – არჩილს, ვახტანგ VI-ის თამარი – თეიმურაბ II-ს, სამცხის ათაბაგის ასული თამარი – სულხან-საბა ორბელიანს.

ესეც კონსოლიდირებისაკენ იყო მიმართული.

ქვეყნის დაშლა ყველგან იწვევდა დიალექტების მომრავ-ლებას, ენის განტოტვას (მაგ., გერმანიაში), ბოგჯერ – კვდომა-საც (მაგ., ბიზანტიის ბერძნული, სპარსული ფალაური, ლათი-ნური).

ხანგრძლივი დროის მანძილზე იმოლირებას და განყოფას შეიძლება დიალექტი ენად ექცია (მაგ., სვანური, მეგრული და ლაზური, ირანული, რომანული, სლავური, გერმანული ენები).

ასე რომ – ჯერ იშლება სახელმწიფო, სუსტდება საეკლე-სიო კავშირები, ხალხები სცილდებიან ერთმანეთს, რისი გამო-სატულებაცაა ენის დიალექტობრივი დიფერენცირება.

ამას კი მოჰყვება კუთხეთა ურთიერთგაუცხოება, ცხოვრე-ბის წესის განსხვავება.

მასა სტიქიურად ელტვის ენობრივ განკერძოებას, ელიტა – ერთიანობას, უცხოურის გადმონერვებას.

ამდენად ენიჭებოდა ანგონ კათალიკოსის მწიგნობრულ ენას, კლასიცისტურ სტილს, პრაქტიკულ და თეორიულ მოღვა-წეობას კუთხეთა, სამეფო-სამთავროთა ერთიანობის ფუნქცია.

ელიტის ნაწილმა, როგორც დამხმარე საშუალება, იცოდა უცხო ენები (მაგ. თეიმურაბ I-მა და ვახტანგ VI-მ – სპარსული). ასევე ფლობდნენ უცხო ენებს მწიგნობრები, ისინი, რომელთაც ოსმალეთსა და ირანთან პქონდათ ურთიერთობა ან იქ ცხოვრობდნენ.

ადრე ეს იყო ბიზანტიური ბერძნული, ახლა – სპარსული. მომავალში მათ ადგილს დაიჭერს რუსული, სადღეისოდ – ინგ-ლისური.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო თურქული.

ბოგ გამოჩენილ მოღვაწეს (მაგ., სულხან-საბასა და ანტონ I-ს), სუსტად ან თითქმის არ სცოდნიათ უცხო ენები, ეს მაშინ, როცა ტფილისში ქართულზე მეტად ისმოდა სომხური, თურქული (თათრული) და სპარსული სიტყვები და ჰანგები.

ქართული შესატყვისის მოძებნა ჭირდა ან შეუძლებელი იყო.

ენა ივსებოდა ოსმალური და სპარსული სიტყვებით, ბარბარიზმები აძვებდა ხმარებიდან ქართულსაც. მხოლოდ სინტაქსი, სიტყვათწარმოების ქართული წესი უცვლიდა ფორმას უცხო სიტყვებს ან ამახინჯებდა.

რაღვან მწიფნობრობის საფუძველი იყო ეკლესია, ოსმალური და სპარსული კალკები არ იყო მიღებული ისე ჭარბად, როგორც თავის დროზე ბიბანგიური ბერძნული.

ტფილისის მეტყველება იყო სავსე სპარსული, თურქული, სომხური სიტყვებით. მოსახლეობის სიჭრელე, ქართულის სიმცირე და უცხოურის სიმრავლე ენაშიც ირეკლებოდა და არყევდა მის მდგრადობას. ბარბარიზმები და დიალექტები შლიდნენ ენას.

პოლიტიკურ ორიენტირს ერთვოდა კულტურული ორიენტირი. საქართველო არ წარმოშობდა ახალ საგნებს – იგი დებულობდა მათ ლექსიკიანად. რაც წარმოიქმნებოდა, იყო მდაბიური და ყოფითი, დიალექტური, სინონიმური, ენისათვის არამთავარი.

ეკლესია აკავებდა ოსმალურ და სპარსულ ენობრივ აგრესიასაც, რაც კულტურის ნაწილი იყო.

ამ მოძალებულ ტენდენციას დაუპირისპირა ანტონ კათალიკოსა მეტაფრასტების, მთარგმნელების, ფილოსოფოსების სტილიზებული საღვთო ქართული, როგორც ანტიდიალექტური, ქურუმთა ენის მსგავსი.

იგი დაეყრდნო სასულიერო მწერლობას, როგორც მღვდელმთავარი, და არა „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ენა უფრო უახლოვდებოდა სასაუბრო მეტყველებას.

ანგონმა კლასიცისტური სამი სტილის თეორია მოარგო შექმნილ სიტუაციას, რადგან არ შეეძლო ჰიბრიდული მეტყველების შეცვლა, ან დებინგტეგრაციის შეჩერება. ამიტომ XI-XII საუკუნეთა კულტურითა და ევროპეისტული ხედვით ჩამოაყალიბა არისტოკრატიული და სააზროვნო ენა, რომელსაც უნდა უკუეგდო უცხოური აგრესია და მდაბიოთა ლაბილური მეტყველება (შდრ – გიორგი ერისთავის კომედიების ენა XIX საუკუნის შეა წლებში, როგორც ტფილისური ჰიბრიდის ენობრივი პორტრეტი).

არისტოკრატიამ, ეკლესიამ, მწერლობამ ანგონის სამი სტილის თეორია ეროვნულად სცნო და აითვისა იგი, როგორც ნაციონალური და კულტურული კონსოლიდირების საღვთო საფუძველი, როგორც სპარსული ესთეტიკმის კონტრკულტურა.

## 4. წიგნი, სტამბა, სკოლა

### ცოდნის მატერიალიზება

დავითისა და თამარის საქართველოში ვახტანგ VI იქნებოდა განათლების კარგი მინისტრი, ერეკლე II – თავდაცვისა.

მაგრამ მათ ბედმა ქვეყნის პირველობა არგუნა.

ერთს – მცირე ხნით, მეორეს – 54 წელი.

მაგრამ პაპა-შვილიშვილმა, ორივემ, ქვეყანას კატასტროფა მოუტანა.

ორივეს თვალი მოსჭრა ჩრდილოეთის ციალმა.

მანამდე კი თავდადებით იღწვოდნენ ქვეყნის ძლიერებისათვის, კულტურისა და ეკონომიკისათვის.

ხედავდნენ, რომ ქართლი დიდად ჩამორჩებოდა ოსმალეთს და ირანს. ალბათ ევროპაზეც ექნებოდათ წარმოდგენა, მცირეოდნი მაინც. ბევრი რამ არც იცოდნენ, თუნდაც ინკვიტიციის ჯოჯოხეთი,

რენესანსის ეპოქაში ჩვენთვის შეუმჩნევლად ჩაიარა. როგორც ვთქვით, არქიტექტურა, ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა დიდად გასცილდა ბიბანტიურ მიღწევებს.

მეცნიერების, ცოდნის, განათლების დარგებს კულტურა მიჰყავდა ცივილიზაციისაკენ. ტექნიკა ავითარებდა სამხედრო საქმეს.

შემოვიდა თოფი და ზარბაზანი.

მშვილდისარი გადააგდეს. ცხენი და ხმალი კიდევ დიდხანს შერჩათ მეომრებს. მაგრამ წამოიწია გემთმშენებლობა. ხომალდების მეშვეობით ავანგრიურისფი მეტყვაურები სძლევდნენ თკეანის სტიქის, იპყრობდნენ და ითვისებდნენ ახალ კონტენტს – ამერიკად წოდებულს.

შემოდიოდა ევროპისათვის უცნობი კულტურა, წეს-ჩვეულებანი, სხეულებანი, სიმინდი და კარგოფლი, ლობით და პომიდორი.

მისიონერთა და კომერსანტთა მეშვეობით ვახტანგს, ანგონსა და ერეკლეს ეცოდინებოდათ, რომ ევროპაში დაიწყეს წიგნის ბეჭდვა, გამოიყენება, რომ კალიგრაფებს ცვლილ და სფამბა.

ოსმალეთი და ირანი, მაჰმადიანური სამყარო დიდი ხნით აცდა ამ მაგისტრალს და ისინი ნელ-ნელა იმობდნენ პოზიციებს, აღარ შეეძლოთ სამხედრო და ეკონომიკური კონკურენცია კათოლიკურ ევროპასთან.

ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ ევროპულ-რუსული ცოდნისა და გამოცდილების, განათლების ათვისებას, თარგმნიდნენ სახელმძღვანელოებს (ვახტანგიც კი), რელიგიურ ნაშრომებს, ესტრაფეოდნენ ცოდნის მატერიალიზებას, თუმცა რაც დორო გადიოდა, ჩამორჩენა კიდევ უფრო მატულობდა.

ომებით, განვების ექსპლუატაციით, ტერიტორიების დაპყრობით, შრომის რაციონალიზებით, ცოდნისა და ტექნიკის განვითარებით ევროპა სასწაულს ახდენდა.

## კათოლიკე მისიონერები

ოსმალეთი და ორანი ლოიალურად იყვნენ განწყობილი კათოლიციზმისადმი, რადგან იყო იყო ევროპის იდეოლოგია. ევროპასთან კი სჭირდებოდათ კარგი ურიერთობის შენარჩუნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთი გამოჩნდა.

ოსმალები ორჯერ მიადგნენ ვენას, მაგრამ ორივეჯერ უკუაქციეს. ამის შემდეგ პრიორიტეტი გახდა სავაჭრო კავშირები (განსაკუთრებით – ვენეციასთან).

სგამბოლი დარწმუნდა, რომ იარაღით ვერ სძლევდა და-სავლეთ ევროპას. ამიტომ შეაჩერა ექსპანსია.

რომის ჰაპის მიზანი იყო როგორც ძველი, ისე ახალი სამყაროს მოსახლეები მოექციათ კათოლიკურ რწმენაზე. ამიტომ ყველგან გზავნიდნენ მღვდლებს, აფინანსებდნენ, ხელს უწყობდნენ, რათა თავიანთი მოღვაწეობით მიეზიდათ მართლმადიდებლები, მაპმადიანები, წარმართები. მათ კომერციას შეუთავსეს მისიონერობა.

ამავე დროს სწავლობდნენ იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობდნენ, ეცნობოდნენ ხალხისა და ხელისუფალთა ადათ-წესებს, ებმარებოდნენ მათ, აძლევდნენ გონივრულ რჩევებს, აცნობდნენ ევროპულ სინამდვილეს, ცხადია, პროპაგანდისტული მიზნით – მხოლოდ ნათელ მხარეს (მაგ., შარდენი, არქანჯელი ლამბერტი, პიეტრო დელა ვალე, ქრისტოფორ კასტელი, პიეტრო ავიგაბილე, ჯუზეპე ჯუდიჩე, ლუი გრანჯე...).

ლამბერტს 20 წელი უცხოვრია საქართველოში, კასტელი – 26 წელი. კასტელის ალბომში 570 ნახატია – მეფე-მთავრები. ქალები, სოფლის სცენები, ცხოველები, ნაგებობები.

ისინი არაფერს იტყოდნენ ინკვიტიციის საშინელებაზე, რომის ცალკეული პაპების, სხვა მღვდელმთავრების გარყვნილ ცხოვრებაზე, ბართლომეს დამეტე, დომინიკელთა მიერ ჯადოქრებსა, კუდიანებსა და ეშმაკის მიმდევართა ნადირობის გამო, წამებასა და სასჯელზე.

მისიონერებმა გაახმაურეს დასავლეთში ქეთივან დელფილის ტრაგედია.

მისიონერებს დებულობდნენ და პატივს სუემდნენ მეფე-მთავრები ჯერ კიდევ რუსუდანის დროიდან. განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდათ თემიურაბ I-თან, ლევან II და-დიანთან, იმერთა მეფე ალექსანდრესთან. ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს ჰქონდა მიმოწერა რომის პაპთან (XV ს.).

ისინი შენიშნავდნენ, რომ სამეგრელოში ნათლობის წესი დაკარგული ჸქონიათ. თავად ნათლავდნენ ბავშვებს, მკურნალობდნენ ავადმყოფებს (მ. თამარაშვილი).

ბოგმა მათგანმა შეისწავლა ჩვენი სინამდვილე, აღწერა და დახაგა იგი. ისინი კარგად ხედავდნენ ხალხის დუხჭირ ყოფას, მეფე-მთავართა უძლურებას, მაპმადიანთა ძალმომრეობას და ქართველებს ურჩევდნენ, რომ მიეღოთ პაპის სჯელი (მ. თამარაშვილი).

ეს შეუმსუბუქებდათ ცხოვრებას და თავს დააღწევდნენ რელიგიურ ჩაგრას. ბოგმან ამ ქადაგებას (მაგ., სამხრეთ საქართველოში) ჰქონდა ეფექტი და მართლმადიდებლები დებულობდნენ კათოლიკობას, სწავლობდნენ მათ მიერ გახსნილ სკოლებში.

ასევე აქტიურობდნენ სომები გრიგორიანელები. მათაც ჰქონდათ გარკვეული შეღავათები. ქართველები ეწერებოდნენ გრიგორიანელობაზე და თანდათან სომხებოდნენ.

მთნოფიბიცი ქართველი სომხად იწოდებოდა, კათოლიკე – ფრანგად. კათოლიკე ეროვნებას მაინც არ კარგავდა. თვით კათალიკოსსაც კი, დომენტის, გამოუთქვამს სურვილი მრევლის კათოლიკად მოქცევაზე.

კათოლიკე იყვნენ ერთი პელხან-საბა ორბელიანი და ანგონ I, რის გამოც აუგანელი პირობები შეუქმნეს ბერებმა. ანგონს კათალიკოსის პოსტიც დაატოვებინეს და იძულებული გახადეს რუსეთს შეხიბვნოდა (ებრძოდა ზაქარია გაბაშვილი – ბესიკის მამა).

კათოლიკე მისიონერები იყვნენ ევროპული კულტურის ელჩები. მხოლოდ ისინი აკავშირებდნენ ქართველებს დასავლეთან, მაგრამ კათოლიკობას მაინც ეჭვით უყურებდნენ და ეს აუსსნა კიდეც რომის პაპს თემიტურაშმა ერთ წერილში.

მათ ქართველ მღვდელმსახურებზე უფრო ებრძოდნენ სომხები და ბერძენები და მოითხოვდნენ, რომ დაეტოვებინათ საქართველო.

როგორც კათოლიკე მისიონერები აღწერდნენ ჩვენს ცხოვრებას, ისე ქართველი ელჩები თუ პილიგრიმებიც აღწერდნენ უცხოეთს, თავიათი ხეტიალსა და მოგზაურობას.

მაგ., სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, იონა გელევანიშვილის „მიმოსვლა“, რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ (მოღწეულია რუსულად).

კათოლიკებს შეღავათს აძლევდნენ ოსმალები და ამიგომ ნაწილობრივ გავრცელდა რომის ოჯული დაპყრობილ სამცხე-ში. თემიტურაზ II-მ კი მათ ეკლესია წაართვა და ქართლიდანაც გააძევა.

სულხან-საბა სწორედ კათოლიკობის გამო მიიღეს რომის პაპმა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-მ (ორჯერ).

მისი ელჩობა, ვახტანგის გეგმა და მიმოწერა ევროპელებთან მოგივირებული იყო მისიონერთა მიერ, რომელთაგან ერთ-ერთს გაჰყვა შორეულ დასავლეთში სულხან-საბა.

ამ ელჩობიდან არაფერი გამოვიდა. მაგრამ დაიწერა „მოგზაურობა ევროპაში“ და „სიცყვის კონის“ ქართულ-იტალიური ნაწილი.

ახალციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელდა კათოლიციზმი. სხვაგან კი ფეხი ვერ მოიკიდა. მართლმადიდე-

ბლები რუსული კურსის მომხრენი იყვნენ. ისინი უარყოფდნენ როგორც მაპმადს, ისე რომის პაპს, თუმცა, როგორც ვთქვით, კათალიკოსმა დომენტიმ მოსკოვს წასვლას სტამბოლი არჩია.

## ქართველი მისიონერები

შემდეგ ქართველებსაც გაუჩნდათ მსგავსი მისიონერობის სურვილი. მათ გააგრძელეს თამარის დროიდან შეწყვეტილი ჩრდილოკავკასიის გაქრისტიანების პროცესი, როცა ქართლ-კახეთმა სული მოითქვა.

1745 წელს შეიქმნა ოსეთის სასულიერო კომისია, რათა ჩრდილოეთში ისევ აღედგინათ ქრისტიანობა, გაეხსნათ სკოლები.

პირველი სკოლა გახსნილა მოზღვეული, სადაც ოსური სახელმძღვანელოების არქონის გამო სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ქართველი მეფეები, ანგონ I დაინტერესებული იყვნენ ოსეთში განათლების შეტანით. იქაურ იოანე იალღუბისძეს უსწავლია გარეჯასა და ტფილისში.

იგი ქართულიდან ოსურად თარგმნიდა, თარგმნიდა ქართული ანბანის გამოყენებით.

იოანე იალღუბისძე არის ოსური დამწერლობის დამწყები.

ერეკლეს კარგზე მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანელი პოეტები მოლა ვიდადი და მოლა ვაგიფი, აშუღი საიათნოვა.

მათ შემოქმედებაში ქართულ თემატიკას საგრძნობი ადგილი უკავია.

არეთინა საიათნოვა ტფილისელი სომეხი იყო, რომელიც წარმატებით წერდა ლექსებს აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზეც (ქართული ასოებით).

საიათნოვას ქართული ლექსები ქართული პოეზიის ნაწილია, მისი ერთი ტენდენციის მაჩვენებელი, რაც შეესაბამება ანტონ კათალიკოსის მესამე – მდაბიურ სტილს.

## პირველნაბეჭდი წიგნები

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) სახელს უკავშირდება.

იგი 1626 წელს გააგზავნა ევროპაში თეომურაზ I-მა, რაღაც ქართლ-კახეთი, რომელმაც გადაიგანა უმძიმესი ბრძოლები, მოსახლეობის დიდი დეპორტაცია, მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ირანს.

თეომურაზს ქრისტიანული ეფროპის იმედი ჰქონდა.

ნიკიფორე სამ თანმხლებ პირთან ერთად ჯერ მესინაში ჩავიდა, შემდეგ გადავიდა ესპანეთში და იქიდან მობრუნდა რომში.

იგი ევროპაში დარჩა სამი წელი.

1629 წელს სამისიონერო საბოგადოება „პროპაგანდა ფილებ“ რომში გამოსცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ლიტანია ლაურეტანა“. იქვე დაამბადა ქართული შრიფტები – ნუსხური და მხედრული – ერთმა გერმანულმა ნიკიფორეს დახმარებით (გამოიყენეს მხოლოდ მხედრული). პოლიტიკური მისითა არ დაინტერესებულან. მაგრამ სარწმუნოებრივმა საკითხმა მაშინვე მიიქცია ყურადღება, რასაც მოჰყვა ამ წიგნების სწრაფი გამოცემა.

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ შეადგინეს ნიკიფორე ირბახმა და სტეფანო პალინიმ, რომელმაც დაბეჭდა იგი.

ნიკიფორემ მიიღო კათოლიკობა და ასევე მოითხოვეს თეომურაზის მოქცევაც. ამის შემდეგ შეიძლებოდა მსჯელობა დახმარებაზე. მანამდე მეფე კათოლიკურ ლიტერატურას უნდა გასცნობოდა.

წიგნები კი დაიბეჭდა იმიტომ, რომ საქართველოშიც გავრ-ცელებულიყო. ტირაჟიც საკმაო ყოფილა: როგორც ჩანს, „ქართული ანბანი“ – 1000 ცალი.

ისინი მისიონერებს უნდა ჩაეტანათ საქართველოში.

„პროპაგანდა ფილეს“ სტამბა სხვადასხვა ენაზე ბეჭდავდა ასეთი სამისიონერო ხასიათის წიგნებს. ქართულმაც მათ რიცხვში პეოვა ადგილი. იტალიელებმა საქართველოში გამოგზავნეს ფრანგების მარია მაჯო სხვა მისიონერებთან ერთად. იგი ცხოვრობდა ქართლში, სამეგრელოში, გურიაში, რათა ქართული შეესწავლა.

მანამდე აქ ყოფილა მისიონერი ანგონიო ჯარდინა, რომელსაც ძალიან კარგად სცოდნია ქართული.

მაჯოს „ქართული გრამატიკა“ დაიბეჭდა რომში 1643 წელს (მეორედ – 1670 წელს) და მარი ბროსემდე იყო ევროპაში ერთადერთი წიგნი ქართული ენის შესახებ (ჯუანშერ ვათეიშვილი, არნოლდ ჩიქობავა).

როგორც ვიცით, თეიმურაზმა არ მიიღო კათოლიკობა და მოსკოვს მიაპყრო მზერა. ნიკიფორე კი იერუსალიმს გაემგზავრა და ერთხსანს იყო ჯვარის მონასტრის წინამდევარი.

რომშიც აღარ გააგრძელეს ქართული წიგნების ბეჭდევა.

ევროპაში წიგნების ბეჭდვა პირველად გუტენბერგმა დაიწყო 1445 წელს. მას შემდეგ ბეჭდვის ტექნოლოგია სწრაფად გავრცელდა, რაღაც იგი გულისხმობდა ტირაჟირებას. ხელნაწერი კი ერთი ეგზემპლარი იყო და მის დამზადებას საკმაო დრო სჭირდებოდა. უნდა შეერჩიათ სათანადო მასალა, კალიგრაფი, მხატვარი.

წიგნის ბეჭდვას მოჰყვა გამოცემაც, რაც საქართველოში დაიწყო მხოლოდ 1819 წელს, საკმაოდ გვიან.

ჩინელები გაცილებით ადრე – IX საუკუნიდან ბეჭდავდნენ წიგნებს. ქალალიც დიდი ხნით ადრე გამოიგონეს. მაგრამ ეს სიახლე მაშინ ვერ დამკვიდრდა.

არადა – წიგნი არის საფუძველი კულტურის შენახვისა და გადაცემისათვის, სწავლა-აღმრდისათვის.

აღმოსავლეთის ქვეყნები გვიან დაინტერესდნენ წიგნების ბეჭდვით. მაგ., რუმინეთში თუ ანთიმოზ ივერიელმა დაარსა სტამბა XVII ს-ის 90-იან წლებში, თურქეთში შეუქმნიათ 1727 წელს, ერაყში – 1829 წელს ისევ ქართველს – დაუდ-ხან მანველიშვილს, მამლუქად გაყიდულს.

წერა-კითხვის მცირე მცოდნე მასასა და ელიტას წიგნი არ სჭირდებოდა. მაგრამ ერთეულები ახალი ცოდნის შემოგანით და მატერიალიზებით ცდილობდნენ ქვეყნის დაწინაურებას.

ყიზილბაშები მოითხოვდნენ პოლიტიკურ მორჩილებას. ისინი არ სდევნიდნენ ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას, ქართულ კულტურას, მეფის ოჯახს, დიდებულებსა და მღვდელმთავრებს.

ამ მხრივ ქართლი უფრო იყო პრივილეგირებული.

თუ როსტომი სპარსული ცხოვრების წესს ავრცელებდა, ამას ისპაპანი მიესალმებოდა. მაგრამ არ აძალებდა.

ამიტომ არც ვახტანგ VI-ს ხელს არ უშლიდა, რომ სტამბა მოეწყო, წიგნები ებეჭდა და ემრუნა ქართული კულტურის განვითარებისათვის, ეკლესია-მონასტრებისათვის.

მაგრამ ხელისუფალი მკაცრად ისჯებოდა, და მასთან ერთად ქვეყანაც, როცა იყი ცდილობდა ირანის პოლიტიკური ორბიტიდან გასხლომას ან პიროვნულ ურჩობას (მაგ., ალექსანდრე II, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II).

ქართული ელიტა, სიტუაციის შესაბამისად, ეძებდა გადარჩენისა და ხსნის გზას. ამიტომ ქანაობდა მაპმალიანობასა და ქრისტიანობას შორის, კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის, სპარსულ ესთეტიზმსა და ქართულ თემატიკას შორის, ისპაპანსა, სტამბოლსა და მოსკოვს შორის.

## ვახტანგ VI-ის სტამბა

როგორც ვხედავთ, პირველი ქართული წიგნები არ და-ბეჭდილა ქართულ სტამბაში, არ დაბეჭდილა ქართველის მიერ და საქართველოში.

მისიონერთა კეთილგანწყობილება მაღე შეიცვალა, რად-გან მათ მიზანს ვერ მიაღწიეს – ვერ გადმოიბირეს მართლმა-დიდებლები, მეფე თეიმურაბი.

ქართლსა და კახეთში წიგნის ბეჭდვის მოთხოვნილება არ არსებობდა, რადგან ბაგონობდა სპარსული ხელისუფლება და სპარსული კულტურა, რომელიც ჯერ არ იცნობდა წიგნის ბეჭ-დვის ტექნოლოგიას.

როსტომის გბას აგრძელებდა ვახტანგ V შაჰნავაზი, რომ-ლის ვაჟმა არჩილმა ერთხანს აგარა მაჭმადიანური ჩალმა, ვიდრე მეფობდა კახეთში.

ომებითა და დეპორტაციით განადგურებულ კახეთს ახალი უბედურება დააგეხსეს – შაჰებმა მასობრივად ჩამოასახლეს თურქელი ტომები – ელები, რათა მომხდარიყო ამ კუთხის ასიმილირება.

მხოლოდ 1659 წლის კახეთის აჯანყებამ, რომელსაც ხელ-მძღვანელობდნენ ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა ერისთავი, ელიბარ და ბიძინა ჩოლოფაშვილები, დააქცია ახლად აშენე-ბული ბახტრიონის ციხე და გაწმინდა ქვეყანა ჩამოსახლებული ელებისაგან.

80 ათასი თურქმენიდან ნაწილი დედა-შვილებიანად ამო-ხოცეს, ნაწილი გაიქცა.

ასე დასრულდა კახეთის ნახევარსაუკუნოვანი რბევა-აწიო-კება. აჯანყების სამი მოთავე დაიბარეს ისპაპანში და სიკვ-დილით დასაჯეს (შალვა, ბიძინა და ელიბარი). ხოლო ზაალი ვახტანგ V-მ მოაკვლევინა თავის დისშვილებს – ზაალის ძმის-წელებს.

კახეთში მაინც არ შეწყვეტილა გასპარსელების ის პროცესი, რაც ქართლში დაიწყო როსტომ ხანმა.

ასე გაგრძელდა 1744 წლამდე, ვიდრე შაჰმა არ აღადგინა ქრისტიანი ვალების – მეფეების დამტკიცების ტრადიცია.

მამა-შვილი თეიმურაზ II და ერეკლე II დაეუფლნენ ქართლსა და კახეთს. ერეკლე იყო ბაგრატ ბაგონიშვილის (XVI ს.) შთამომავალი როგორც მამის, ისე დედის ხაზით ანუ აერთიანებდა ბაგრატიონთა ქართლურ და კახურ შტოებს (ერეკლე ერქვა ბაგრატის ერთ-ერთ ვაჟს).

ავდანთავან დარბეულ და შინაბრძოლებით დადლილ ირანს ადარ შეეძლო ძველებური კონტროლი და მართვა.

ქართლსა და კახეთში, რომელთაც ჰყავდათ სულიერ ლიდერად ანგონ I, განახლდა ბრუნვა კულტურაზეც.

ეს ასევე მოხდა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო მასშტაბით დაიწყო ამ ორი კუთხის ეკონომიკური და კულტურული განვითარება, მიუხედავად მუდმივი რყევებისა და ლეკითა თარეშისა (შდრ – სიცყვა წა-ლეკ-ილი).

ამას ხელს უწყობდა კონტაქტი არჩილისა და ვახტანგისა რუსეთში, მოსკოვში დაარსებული ქართული კოლონიები, იქ მოღვაწე ქართველობა, მათგან მომდინარე სიახლენი.

მათი შთამომავლები გარუსდნენ (მაგ, პავლე ციციანოვი – შემდეგში კავკასიის მთავარსარდალი), გარუსდნენ ნებაყოფლობით ჩასულნის (მაგ, ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი), მაგრამ ძლიერდებოდა რუსთან კავშირის იდეა.

რუსეთი კი დროს ელოდა, რათა საქართველოს სამთავრო-სამეფოები უსისხლოდ მიეღო.

თუმცა ომები ჰქონდა ოსმალეთთან და ირანთან, კავკასიის საკითხში მაინც არ ცდილობდა მათ გადიზიანებას, რასაც არ უფიქრდებოდნენ ქართველი ხელისუფალნი. ისინი რელიგიურ ინტერესებს გადაჭარბებით აფასებდნენ, ალბათ, სავარაუდო ნათესაობის ფაქტორსაც.

ვახტანგ VI-მ ისარგებლა როსტომ ხანის მიერ სპარსო-ფილობით მოპოვებული შედარებითი სიმშვიდით და კულტურას მიანიჭა პრიორიტეტი, როცა იყო ქართლის ჯანიშინი.

ქართველები სისხლს ისევ ღვრიდნენ ირანისათვის, კვდებოდნენ ავლანეთში (გიორგი XI, ქაიხოსრო), განაგებდნენ ისპანასა და შაპის გვარდიას, ხანაც – მთელს არმიას და ასე ყოდელობდნენ მშვიდობას.

ვახტანგმა სწორედ ამ სიტუაციით ისარგებლა.

მისი მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ქართული სტამბის დაარსება ტფილისში, ქართული წიგნების, ძირითადად – სასულიეროსი და ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა.

მისი ქართლიდან გაქცევის შემდეგ სტამბა განადგურდა და შეწყდა წიგნების ბეჭდვა, რაც ბაგონიშვილებმა გააგრძელეს მოსკოვში.

მანამდეც არჩილ მეფემ მოსკოვში დაბეჭდა „დავითინი“ 1705 წელს.

ვახტანგი ფართო მასშტაბის განმანათლებლურ მოღვაწეობას ეწეოდა. ეწადა, რომ ქართლშიც დაემკვიდრებინა ის ცოდნა-განათლება, რაც რუსეთიდან ევროპის ათინათით აღწევდა.

ბოგჯერ ეს ისეთ უცნაურობამდე მიდიოდა, როგორიც იყო მეფე-პოეტის მიერ სპარსულიდან კოსმოგრაფია-გეოდეზიის სასწავლო სახელმძღვანელოს თარგმნა და შემდეგ გამოცემა.

ასევე უთარგმნია ასტრონომიულ-გეოგრაფიული წიგნი – ნასირ თუსელის „სტროლაბის სასწავლო წიგნი“, შეუდგენია „წიგნი ბეთების შეგზვებისა და ქიმიის ქმნისა“.

დაინტერესებულა ფიზიკის, ქიმიის, ოპტიკის, მედიცინის საკითხებით.

ასეთი ფართო ინტერესი, რასაც ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის“ კომენტირება, კანონთა კრებულის „დასტურლამალის“ და „ქართლის ცხოვრების“ ახალი ფორმირებისათვის „სწავლულ კაცთა“ კომისიის შედგენა, სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვა, ლექსების თხზვა, „ქილილა და დამანასა“ და „ათ-

ვებირიანის“ თარგმნა, ვახტანგ VI-ის ფართო კულტურულ ხედ-ვას გვიჩვენებს.

გვიჩვენებს, რომ მეფეს უნდოდა განმანათლებლური მუშა-ობით ქართლშიც დაენერგა ის ცოდნა, რომელსაც არ იცნობდნენ ქართველები, პრაქტიკულად გამოყენებინათ იგი.

მაგრამ არ ჰქონდა საკმარისი ინტელექტუალური ბაზისი ასეთი ვრცელი ხედვის რეალიზებისათვის.

ეს გაცილებით უკეთ შეძლეს მისმა ვაუმა ვახტიმი, რო-მელმაც დაწერა მნიშვნელოვანი წიგნი საქართველოს ისტო-რიასა და ისტორიულ გეოგრაფიაზე და სულხან-საბამ – „სიტყვის კონის“ სახით.

მათი წარმატება სპეციალიზებისა და ერთი მიმართულების მუდმივი შრომის შედევი იყო.

ვახტანგს პოლიტიკაშიც პატრიოტიზმი ამოძრავებდა, რაც კატასტროფით დასრულდა.

სულხან-საბას ევროპაში გაგზავნა, ქართველი ელჩის მი-ბანი ვახტანგ VI-ის არასწორ პოლიტიკურ ხედვას გვიჩვენებს.

მისიონერების რჩევით ვახტანგი ფულს ელოდა ევროპისა-გან. ამ ფულით თავს გამოიხსინდა. სამაგიეროდ, ქართლი მიი-ღებდა კათოლიკობას. ამ ნიშნით შეარჩია კათოლიკე სულხან-საბა, თავისი ნათესავი.

სამწუხაროდ, ვახტანგის ოცნება და საბას მისია რწყილისა და ჭიანჭველას იგავს ჩამოჰყავს.

ვახტანგმა არ მიიღო მაპმადიანობა, თუმცა ბაგრატიონები სხვაგვარად ტახტს ვედარ ეუფლებოდნენ, ელოდა სულხან-სა-ბას ჩამოსცლას.

ირანში ამის გამო დაყოვნდა 4 წელი.

ამავე დროს იყო ირანის ჯარების სპასალარი და შაპისა-გან პქონდა ნაბოძები თავრისი და ბარდა.

ბოლოს მაინც იძულებული გხდა ჩალმა დაეხურა.

ასე რომ – მეფის სურვილსა და ინტერესს არ ახლდა სათა-ნადო ერუდიცია და გააზრების უნარი როგორც კულტურაში, ისე – პოლიტიკაში.

გავიხსენოთ დავით გურამიშვილის შენიშვნა:

„მეფე იყო და ბრძანებდა, იქმნოდა, რასაც იტყოდა“.

ვახტანგს აკრიტიკებდა მისი ვაჟი ბაქარიც, რომელიც ირანისათვის კრიტიკულ და ტრაგიკულ დღეებში იყო შაპის გვარ-დის უფროსი.

მას ადრე პქონდა შეცვლილი რჯული.

იგი მოუწოდებდა მამას, რომ დაეცვა ისპაპანი. ეს გააძლიერებდა ბაგრატიონებს. სხვა დამხმარე ძალა შაპის არ პყავდა და დაემხო კიდეც.

მაგრამ ვახტანგ VI-ს საჯაროდ პქონდა ფიცი დადებული, რომ არასოდეს მიეშველებოდა შაპის, რომელმაც აუკრძალა დაღესგნის დალაშქვრა და ჭარის შემოერთება.

ამ ფიცმა დაღუპა ვახტანგიც და ქართლიც.

დავუბრუნდეთ სტამბის საკითხს.

ვახტანგ VI-მ სტამბის გამართვა მოახერხა ვლახეთის მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის დახმარებით (1750-1716).

მისი სახელი და მოღვაწეობა ამ დროისათვის ქართლში ცნობილი ყოფილა. იგი XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან რუმინეთში ბეჭდავდა წიგნებს რუმინულ, ძველ სლავურ, არაბულ და ბერძნულ ენებზე.

დაუარსებია თთხი სტამბა და დაუბეჭდავს 64 წიგნი.

ანთიმოზი ბავშვობაში გაიტაცეს ოსმალებმა. სტამბოლში გამოიყიდა იერუსალიმის პატრიარქმა, რომელმაც მისცა განათლება ნიჭიერ ყმაწვილს.

ანთიმოზმა ისწავლა აღმოსავლური, დასავლური და კლასიკური ენები. აღრევე აუთვისებია სასტამბო საქმეც და სწორედ ამის გამო ვლახეთის მმართველმა მიიწვია.

ანთიმოზი იყო, გარდა მესტამბისა და ეკლესიის მსახურისა, მწერალი-ქადაგი, გრავიორი, მსატვარი, პოლიტიკოსი.

იგი თავისი მინაწერებით და იღუსტრაციებით ამკობდა გამოცემულ წიგნებს, ხეზე კვეთდა ჩუქურთმებს და მათ ურთავ-და მონასტრის კარებსა და სარკმლებს („ანთიმოზის მონასტერი“).

ანთიმოზმა დაამკვიდრა რუმინული ენა ღვთისმსახურებაში. არ იკმარა კულტურულ-რელიგიური მოღვაწეობდა და სათავეში ჩაუდგა ანგიოსმალურ მოძრაობას, იბრძოდა რუმინეთის დამოუკიდებლობისათვის.

ამის გამო ვლახეთის მთავრის ბრძანებით, ოსმალთა მოთხოვნით, დირსება აპყარეს და შეიძყრეს. გაამწესეს სინას მთის ეკატერინეს მონასტერში, მაგრამ გზაში მოკლეს იანი-ჩარებმა.

ასე ტრაგიკულად ამთავრებდნენ უცხო ქვეყნის სამსახურში შებმული ქართველები ცხოვრებას ისპაპანში, სფამბოლში, ქაიროში, ავდანეთში, ერაყში, კონიაში, მოსკოვში, სადაც ბრწყინვავდა მათი ნიჭი და უნარი.

ანთიმოზმა ქართლში გამოგმავნა თავისი მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი. მისი ხელმძღვანელობით გამართეს სფამბა და ჩამოასხეს მხედრული და ხუცური შრიფტები.

პირველად „სახარება“ დაიბეჭდა, 1709 წელს.

სფამბისათვის სპეციალური სახლიც აუგიათ ანჩისხატსა და სიონს შორის.

ვახტანგის სახარების ერთი ეგზიმპლარი ანთიმოზისათვის გაუგმავნია, რომელმაც ოქროს ყდაში ჩასვა წიგნი და მიართვა ვლახეთის მმართველს (გ. ლეონიძე).

ვახტანგის სფამბაში 1709-1712 წლებში დაბეჭდილა 17 წიგნი, ძირითადად – რელიგიური.

ტექსტებს წინასწარ სწავლობდნენ და აზუსტებდნენ, ვიდრე დაბეჭდავდნენ.

ასევე დიდი სარედაქციო მუშაობის შემდეგ გამოიცა „ვეფ-ხისტყაოსანი“ 1712 წელს. მაშინ ტექსტი მრავალი ხელნაწერის სახით არსებობდა, ზოგს ემატებოდა ყალბისმქნელთა სტრიქონები და გაგრძელებანი.

თითოეულის ყოველ კალიგრაფს შეჰქონდა ცვლილებანი, ზოგს – მეტი, ზოგს – ნაკლები, ენობრივი თუ პოეტური. ერთ-ერთ ინტერპოლატორს – ნანუჩა ციციშვილს ჰკილავს არჩილ მეუე.

ასეთივე ინტერპოლაცორები იყვნენ „მესხი მელექსე“ (შე-იძლება პროლოგისაც), სარგის თმოვეელი, იოსებ ტფილელი – „დიდმოურავიანის“ ავტორი.

მეცნიერები დიდხანს კამათობდნენ, ვახტანგმა გამოცემას საფუძვლად რომელიმე ძველი, მოკლე ხელნაწერი დაუდო თუ თავად მოვცა კრიფიკულად დადგენილი ტექსტი.

მეფემ წიგნს დაურთო ლექსიკონი და განმარტება („თარგ-მანი“), რომელშიც საღვთო აღეგორიით ახსნა რუსთაველის მიჯნურობა, რათა ასე შეეგუებინა ეკლესის მოთხოვნილებებისათვის, რომელსაც აფრითხობდა კათოლიკური და მონოფი-ზიტური ერესი (მაგ. პეტრე იბერი ამოილეს წმინდანთა სიიდან), ისევე როგორც ურჯულო მაჰმადიანთა სწავლანი.

წიგნის ბეჭდვის დროს ვახტანგი უკვე ისპაპანში იყო. ალ-ბათ ამიტომ მოხდა, რომ მეფეს კომენტირება გაუკეთებია ვრცელი რედაქციისათვის, დაუბეჭდავთ კი – მცირე (აკ. შანიძე). კ. კეკელიძის აზრით, ტექსტის რედაქტირება ეპუთვნის მიქაელს, სფამბის გამმართველს.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემამ გააღიზანა კლერიკალები.

სხვა იყო, როცა კერძო პირები გადაწერდნენ საერო ფექსეს, ხოლო მეფე რომ ბეჭდავდა არაქრისტიანული შინაარ-სის საერო პოემას, მიუღებლად მიაჩნდათ.

გარდა ამისა, როცა ანგონ I-ის ლიდერობით გაძლიერდა თეოლოგიურ-განმანათლებლური მუშაობა, რუსთაველი ქმნი-და დაბრკოლებას.

მის პოემას უფრო კითხულობდნენ და იზეპირებდნენ, ვიდ-რე ანგონის იამბიკოთი გამართულ „წყობილსიტყვაობას“.

იდეოლოგია ყოველთვის სასტიკი იყო ერესისა და უცხო შეხედულებათა მიმართ, თავისითავს აყენებდა მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ცალკეულ დიდ მოღვაწეთა მაღლა (შდრ – კომუნისტური იდეოლოგია და კულტურა, ნაციონალ-სოციალი-ზმი და კულტურა).

## ტექსტები და კალიგრაფები

ნაბეჭდი წიგნი ჯერ კონკურენციას ვერ გაუწევდა ხელით გადაწერილს, უამრავ სასულიერო და საერო ხელნაწერს, რომელთაც დაუცხრომლად ამრავლებდნენ კალიგრაფები.

გადაწერის პროცესი ხელოვნებას გაუთანაბრეს შრიფტის მოხაზულობით, მინიატურებით, სტრიქონთა განლაგებით, ჩუქურითმებით.

წიგნის ტირაჟირება არ იყო აუცილებელი, რადგან ქვეყანას მცირე ჰყავდა წერა-კითხვის მცოდნე.

ძველ ხელნაწერებს, ბუდეში ჩასმულთ, ერთეულები კითხულობდნენ და იცავდნენ, უფროთხილდებოდნენ, გადასცემდნენ შთამომავლობას.

ტექსტები მაინც ზიანდებოდა. ფურცლები იცრიცებოდა და იკარგებოდა. მაგრამ მონასტრები საუკუნეების განმავლობაში გადაწერდნენ რელიგიურ ტექსტებს და მათ არა მხოლოდ საცავებში ინახავდნენ, არამედ – გადასცემდნენ მოქმედ ეპლესიებს, რელიგიურ ცენტრებს, ეპარქიებს. მაგ., ცნობილი კალიგრაფი ყოფილა მონაბონი მაკრინე – ერეკლე ნაბარილი-სალის ასული.

საერო ტექსტებში, მაგ., „ვეფხისტყაოსანში“, შეჰქონდათ ცვლილებები. ასეთი თვითნებობა დაუშვებელი იყო საეკლესიო მწერლობაში, მითუმეტეს ბიძლია-სახარების მიმართ. აქ არ ჭრიდა მოწონება-არმოწონება.

მდიდრულად გაფორმებულ, ლამაზად გადაწერილ და კარგ ყდაში ჩასმულ წიგნს მშითევშიც აფანდნენ, რაც ელიტარულ ოჯახს მიჰყვებოდა თაობების მანძილზე. ძირითადად ეს იყო სასულიერო ლიტერატურა (მაგ., სახარება, დავითნი, პარაკლიტონი, უამნი, მარხვანი, დაუჯდომელი).

„გარეშე“ წიგნთაგან სახელდებულია „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომიანი“, კარაბადინი, „ბაბაზიანი“, „დარეჯანიანი“.

სამონასტრო თაბუნები აგრძელებდნენ მუშაობას. აქციუ-  
რობდა ისეთი მერყევი კათალიკოსიც კი, როგორიც იყო დო-  
მენტი.

უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა კათალიკოსი ბესარიონ  
ბარათაშვილ-ორბელიშვილი, პოლემისტი, პომილეტიკოსი და  
ჰაგიოგრაფი.

მას დაუწერია რაქდენ პირველმოწამის, არჩილ მეფის, ისე  
წილკნელის, ლუარსაბ მეფის, ბიძინა, შალვა და ელიზბარის  
მარტვილობანი.

განსაკუთრებით უპირისებირდებოდა მოძალებულ ლათინ-  
თა სჯულს (პოლემიკური თხბულება „გრდემლი“).

მისი მოწაფეა ტიმოთე გაბაშვილი, ანგონ I-ის თანამოაბრე.

ძნელია თქმა, წიგნებს რამდენად კითხულობდნენ, მაგრამ  
არისტოკრატიას, ისევე როგორც სამღვდელოებას, ჰქონდა  
მათი შეძენის სურვილი.

მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბდა მესხიშვილთა ცნო-  
ბილი საკალიგრაფო სკოლა.

იესე ბარათაშვილს ჰყოლია 30 შეგირდი-გადამწერი.

იყვნენ ცალკეული პროფესიონალი კალიგრაფებიც.

„საწიგნეები“ ჰქონდათ როგორც ეკლესია-მონასტრებს,  
ისე მეფეთა და ფეოდალთა სასახლეებს. აქ ინახავდნენ ხელნა-  
წერებს, სიგელ-გუჯრებს, წიგნებს. მკითხველი თითო-ოროლა  
იქნებოდა, მაგრამ წიგნი კრძალვას იწვევდა.

საერო პირებიც აძლევდნენ დაკვეთას, იხდიდნენ საფა-  
სურს, რათა კარგ კალიგრაფს წიგნი გადაეწერა.

სტამბა ტფილისში აღადგინეს 1749 წელს, ხოლო 80-იანი  
წლებიდან განაახლეს და სრულყვეს.

შემდეგ სტამბა კერძო პირებმაც გახსნეს. სახელმწიფო  
კონტროლიდან გამოსვლამ გზა გაუსსა ერბაცლიტერაცურას,  
რამაც წალეკა წიგნის ბაზარი XIX-XX საუკუნეთა ტფილისში.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ქართული წიგნები იბეჭდე-  
ბოდა მოსკოვში, პეტერბურგში, ტფილისში, ქუთაისში, მობდოკ-  
ში.

პარალელურად გრძელდებოდა ხელით გადაწერა, ხელნაწერთა შემკობა და მოხატვა. მაგრამ მომავალი პქონდა სტამბას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტირაჟირება.

ტექნიკა სცვლიდა ხელით შრომას, რომელიც აიაფებდა გარჯას, ავრცობდა არეალს.

## სკოლა და წიგნი

წიგნი, ხელნაწერი თუ დაბეჭდილი, სჭირდებოდა სკოლას.

წიგნების სიმრავლე აიოლებდა სწავლა-განათლების პროცესს. უკვე მხოლოდ ერთეულებს როდი პქონდათ ცოდნის მიღების საშუალება.

უფრო ძველად, როგორც გვახსოვს, ეკლესია-მონასტერი იძლეოდა განათლებას, ან – მეფის რეზიდენცია, ფეოდალთა სასახლეები.

ამათ სკოლა პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან კონტინგენტი უაღრესად მცირე იყო, სწავლება – არარეგულარული, საგნები – შემდეგული.

მთავარი იყო მარტივი ანგარიში, ღვთისმეტყველება და წერა-კითხვის ცოდნა.

XVII საუკუნის 60-იან წლებში ტფილისში კათოლიკე მისიონერებმა გახსნეს სკოლა. მათი მიზანი იყო კათოლიკური სულით ახალგაზრდობის აღზრდა (მოგვიანებით იგი დახურა თეომურაბ II-მ).

სკოლაში ჯერ 25 მოსწავლე ყოფილა, შემდეგ მათი რიცხვი 50-მდე ასულა (მ. თამარაშვილი).

მათ სკოლები გაუსწიათ გორსა და ქუთაისშიც.

ეკლესია-მონსატრები ისევ იყო სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები. როგორც ვთქვით, მათ პქონდათ წიგნთ-

საცავები (მაგ., მცხეთის საკათალიკოსო ბიბლიოთეკაში ინახებოდა 7000 წიგნი. იგი 1795 წელს მთლიანად განადგურებულა).

ზოგი ფეოდალის შვილი უცხოეთში მიღიოდა ან კათოლიკე მისიონერები აგზავნიდნენ იტალიაში.

ქვემო გურიაში გიორგი IV გურიელის ბრუნვით სკოლა გაუხსნია პიმენს, სინოპში გაყიდულ თუშს, რომელიც ბერძენ არქიეპისკოპოსს გამოუსყიდია. მაგრამ, როგორც ჩანს, ამას არ მოჰყოლია დიდი ინტერესი და პიმენი ქართლში გადავიდა.

უნდა ვთქვათ, რომ ასეთ სკოლებს არ აღებრდია არცერთი ცნობილი პირი, პოლიტიკოსი, ხელოვანი თუ კულტურის მოღვაწე (შდრ – სულხან-საბა და ანგონი თავად შენიშნავდნენ, რომ მხოლოდ ქართული სცოდნიათ, თეიმურაზ II თავისთავს „უსწავლელს“ უწოდებს, დავით გურამიშვილი უჩივის „სწავლის სიმოკლეს“, „უწოდებას“, საიათნოვას წერა-კითხვა მხოლოდ ქართულად შეეძლო).

ერეკლეს მეფობის ქამს ანგონ I-ის მონდომებით უფრო მკვიდრი საფუძველი შეექმნა სწავლა-აღმზრდას.

1755 წელს ტფილისში, ანჩისხაგის ეზოში გაიხსნა სასულიერო სემინარია (რექტორი – ფილიპე ყაითმაზაშვილი), 1758 წელს – თელავში.

თელავის სემინარია შემდეგ გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად ანუ მიეცა საერო ხასიათი.

რექტორი იყო ჯერ გაიომბი, შემდეგ – დავითი (მესხიშვილი).

სკოლებს სახელმწიფო აფინანსებდა. მაგრამ ეხმარებოდნენ კერძო პირებიც.

საჭირო გახდა სახელმძღვანელოები და ანგონიც აგრძელებდა ბიძამისის – ვახტანგ VI-ის ტრადიციას, თარგმნიდა ან თავად წერდა შესაბამის წიგნებს.

ასევე გაიხსნა კერძო სასწავლებლებიც.

გელათშიც ისევ გრძელდებოდა სწავლა-აღმზრდის პროცესი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ენების ცოდნას. გარდა სპარსულისა და იურქულისა, აუცილებელი გახდა რუსულისა და ფრანგულის ცოდნა.

მისიონერები, კომერსანტები, ელჩები, სამეფო-სამთავროთა კონტაქტები ერთმანეთთან, სუბერენ სახელმწიფოებთან, დიპლომატია და პერსპექტივის ძიება ააქტივებდნენ როგორც ენების, ისე დარგების ცოდნის საჭიროებას (მაგ., მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს მოუკლია ლამის მთელი მართლმადიდებლური სამყარო – პეტერბურგიდან იერუსალიმამდე).

აღმოჩენის ერთ-ერთი ფორმა იყო გაძიძავება: ფეოდალებთან და ეპისკოპოსებთან – მეფის შვილებისა, გლეხებთან – თავადთა და აზნაურთა.

ვაჟები მეტწილად სწავლა-კითხვას გულს ვერ უდებდნენ, მხედრულ საქმეს იმიზებებდნენ და უფრო ქალები ეტანებოდნენ წიგნს და თავიანთ ცოდნას გადასცემდნენ შვილებს.

მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, მეფე-მთავრები და ფეოდალები მაინც კარგად ცხოვრობდნენ. სწორედ ამიგომ არ ჩაკვდა ქართული კულტურა, შეინარჩუნეს წიგნისადმი ინტერესი, რელიგიური გრძნობები, ეტიკეტი და ეთიკა.

დენაციონალიზებისა და დეკრადაციის პროცესი დროდადრო იცვლებოდა აღმავლობით, რაც პიროვნულ ფაქტორს უკავშირდებოდა. ეს მოხდა იმერეთში სოლომონ I-ის, ქართლ-კახეთში – ერეკლეს მმართველობის დროს.

ერეკლეს მოღვაწეობას კულტურის სფეროში განამტკიცებდა ანგონ I. ქვეყანას არ უწევდა დიდი მასშტაბის ომები. მხოლოდ ლევაბანობა, ლევების წვრილი და ხშირი თარეში, როგორც კრაბანების კბენა, ძნელი მოსაგერიებელი გახდა.

თითქოს კულტურის მატერიალიზებას შეეძლო ქვეყნის და-მოუკიდებელი არსებობა, ცივილიზაციურ უპირატესობათა მიღწევა.

## VII. ევროპეიზმის სიმპტომები: მოსკოვი – მესამე რომი

### 1. პოლიტიკიდან კულტურისაკენ

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ქართველმა მეფეებმა თვალი მიაპყრეს ქრისტიანულ რესეტს, რომელმაც 1480 წელს საბოლოოდ დაამხო თათრების ხანი და კავკასიისაკენ მოიწვდა.

ჩრდილო კავკასიაში ფეხს იკიდებდა ისლამი. იქ ქართველებს უკვე ისედაც არ მიუწვდებოდათ ხელი. სამხრეთი და აღმოსავლეთი ოსმალეთისა და ირანს ეკავათ.

დასავლეთით, შავი ზღვიდან ოსმალური გემები შემოდიოდნენ. როგორც ვთქვით, დაშლილ ქვეყანას აღარ ჰქონდა საარსებო არც ენერგია, არც სტიმული.

### მფარველის ძიება

ასეთ დროს ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის გამოჩენა იმედის სხივს აჩენდა და ამ ილუბიას წაეპოვინენ ქართველი მეფეები,

პირველად ეს ნაბიჯი გადადგა კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა 1491 წელს.

შემდეგ ალექსანდრე II-მ ფიციც დადო რუსეთის ერთგულებაზე.

XVII საუკუნიდან რუსეთის ფაქტორი კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლა უკვე იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარიც კი, რომელიც ირანელთაგან ხელფასს ღებულობდა, ცდილობდნენ რუსელი გზის მოძებნას.

გარდა სამხედრო ძლიერებისა, რუსეთი მიიჩნეოდა ბიზანტიის მემკვიდრედ, ქრისტიანული მართლმადიდებლობის ლიდერად.

1472 წელს ივანე III-მ შეირთო სოფიო პალეოლოგი, დაღუპული იმპერატორის ბიძაშვილი და მიიღო გერბი – ორთავიანი არწივი.

ეს იყო იმისი სიმბოლური ნიშანი, რომ მესამე რომი მოსკოვი გამხდარიყო.

ამ იდეას სულ უდგამდა სამხედრო წარმატება, ტერიტორიის გავრცობა, მონღოლ-თათართაგან განთავისუფლება.

1547 წელს ივანე IV მრისხანე (1533-1584) გამოცხადდა რუსეთის პირველ მეფედ. ხოლო მოსკოვის ეკლესია – უპირატესად სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, თუმცა ეს მალე გადაათქმევინეს, რასაც მოჰყვა ნიკონის დამხობა და სტარობრიიადელების გაჩენა. პეტრე I-ის შემდეგ ეს მოძრაობა სლავიანოფილობაში გადაიზარდა.

1589 წელს მოსკოვის მიზროპოლიტი გახდა პატრიარქი.

მოგვიანებით, პეტრე პირველმა გააუქმა პატრიარქის ტიტული და შემოიღო წმინდა სინოდი.

რუსები თვლიდნენ, რომ ბიზანტია უფალმა დასაჯა ფლორენციის უნიის გამო. ხოლო თავად სწორედ რწმენის სიმტკიცისათვის მიიღეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ბიზანტიისა და ფრაპიტონის აღსასრული ქართველებისათვის ღვთის რისხვა და უფლის სასტიკი განაჩენი იყო.

რწმენისა და ქვეყნის გადარჩენა ამიტომაც დაუკავშირეს რუსეთს. თუმცა თეთრი ხელმწიფე არ ჩქარობდა და ქართველების საუკუნოვან ვედრებას, რომ ჯარით შესულიყო საქართველოში, მხოლოდ მცირე საჩუქრებითა და დაპირებებით პასუხობდა.

ქართველ მეფეებს არც ამჯერად ჰქონდათ სწორი გეოპოლიტიკური წარმოდგენა, არ იცოდნენ ძალთა თანაფარდობა, რომ ქრისტეს გამო არც ევროპა, არც რუსეთი სისხლს არ დაღვრიდა, რომ რუსეთს მაშინ უეჭველი მარცხი ელოდა ოს-

მაღლეთისა და რუსეთისაგან (მაგ., მარცხდებოდნენ პოლონე-ლებთან და შვედებთან ომებში).

ილუბია რეალობად იქცა სამასი წლის შემდეგ, მაგრამ არა ქართველთა სასარგებლოდ, როცა მოსკოვმა კავკასიონს გად-მოაბიჯა.

რუსეთი არ სცნობდა არც ქართველ მეფეებს, არც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და სწორიც იყო როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით:

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას არ აღიარებდა კონსტანტინეპოლი და მისი მემკვიდრე „მესამე რომი“ მოსკოვიც ამავე თვალსაზრისს იცავდა.

ქართველი მეფე-მთავრები კი არ იყვნენ დამოუკიდებელი, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ – საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. ისინი ან ოსმალეთ-ირანის დასმული მოხელენი იყვნენ და ზოგი მათგანი ხელფასსაც იღებდა, ან – ხარქის უხდიდნენ და ემორჩილებოდნენ. ცხადია, მათ მეფეებად არც სტამბოლი ღებულობდა, არც ისპანებანი.

გიორგი XII თავად აბარებდა თავის სამეფოს ჯერ ირანს, შემდეგ – რუსეთს, რათა ტახტი ფორმალურად მაინც შეენარჩუნებინა.

რუსეთი პირობითად აღიარებდა ბაგრატიონთა დინასტიას, ვიდრე ეს პოლიტიკურად სჭირდებოდა. იგი ნელ-ნელა მოიწვევდა სამხრეთისაკენ და ავრცობდა თავის ტერიტორიას, რასაც მოჰყვა არაერთი ოში ოსმალეთითან და ირანთან.

რაც შეეხება ეკლესიას, იგი არც გეორგიევსკის ტრაქტატითაა აღიარებული. ამდენად – არ არის სწორი, როცა ამბობენ, რუსეთმა ავტოკეფალია გააუქმაო.

საქართველოში ევროპეიმმის სინათლე შემოჰქონდათ ჯერ კათოლიკე მისიონერებს, შემდეგ – პეტერბურგს, რომელიც პეტრე პირველის დროიდან თავად ესწრაფვოდა დასავლურ სამყაროს.

## გეორგიევსკის ტრაქტატის ილუზიები

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიაში, ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება.

ტექსტს ხელი მოაწერეს გენერალმა პ. პოტიომკინმა, ქართველმა თავადებმა ი. მუხრანსკიმ და გ. ჭავჭავაძემ.

ხელშეკრულება რაგიფიცირებულ იქნა პეტრებურგსა და ტფილისში.

გეორგიევსკის ტრაქტატი ასეთ გამოუვალ სიტუაციაში – რუსთ მფარველობა, დინასტიის შენარჩუნება, სამცხე-საათაბაგოს დაბრუნების აღიქმა, შიდა მართვის დამოუკიდებლობა ერეკლეს პოლიტიკის წარმატებად ჩანდა.

მაგრამ პეტერბურგი იმიტომ დებდა ხელშეკრულებებს, რომ შემდეგ დაეხია ისინი.

რუსეთი უკვე დიდი იმპერიული გამოცდილების, დიდი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის ქვეყანა იყო.

იგი ყოფილი არა კავკასიონი, რაც მას ორ ქვეყანასთან მუდმივ ოშე უქადა.

გეორგიევსკის ტრაქტატი ამასის გავის დარღვევას ნიშნავდა. ამიტომ მას ერჩია ისევ ბალკანეთიდან ეომა ოსმალეთიან. ეს მოსწონდათ ევროპის ხელმწიფოებს, ანექსირებულ ქვეყნებს და რუსეთსაც მხოლოდ ოსმალეთიან უწევდა ბრძოლა მოძმე სლავების განთავისუფლებისათვის.

კავკასიაში კი მას უმატებოდა ირანი.

პრაგმატიკოს რუს პოლიტიკოსებს რაგომ უნდა დაეხარჯათ რესურსი, გაეწირათ თავისი ჯარისკაცები თუ რაიმე სარგებელს არ მოელოდნენ.

ამიტომ იყო, იმპერატორ ეკატერინეს ინსტრუქციის შესაბამისად, ტოტლებენსა და სუხოტინს მხოლოდ არევ-დარევა რომ შეპქონდათ კავკასიის ფრონტებზე.

პოლიტიკა არ სცნობს ემოციებს ან რელიგიურ მისტიკას.

გეორგიევსკის ტრაქტატამდე ერეკლეს კარგი ურთიერთობა ჩამოჟყალიბდა ისპაპანთან და სფამბოლთან.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჩავარდა ანტონ კათალიკოსის საელჩო მისია პეტერბურგში.

თავად მაპმადიანურმა ქვეყნებმაც შეარბილეს აგრესია, რათა ქართლ-კახეთი რუსეთს არ მიმხრობოდა. სფამბოლი თითქოს თმობდა იმერეთს ერეკლეს სასარგებლოდ. ასე ეზვენებოდა სოლომონ I-ს.

მაგრამ რუსეთი კავკასიონს იყო მომდგარი და ისევ შეძლო ერეკლეს მოხიბვლა და შეთქმულებით დაშინებაც.

ერეკლემ კიდევ ერთხელ იცვალა კურსი.

გეორგიევსკის ტრაქტატს რეალურ შედეგად ის მოპყვა, რომ ქართლ-კახეთმა მტრად მოიკიდა როგორც სფამბოლი, ისე ისპაპანი.

რუსეთი არ ჩქარობდა და ელოდა სიტუაციის სათავისოდ შეცვლას. ერეკლე ისევ ტომის ბელადივით დასდევდა მოთარეშე ლეკებს, მაგრამ ომარ-ხანმა ისე დალაშქრა და გაძარცვა ქართლ-კახეთი, რომ რუსთა მოიმედე ერეკლემ მოგერიება ვერ შეძლო. ამიტომ ისევ სფამბოლს მიმართა და 1786 წელს მასთან ხელშეკრულებაც დაღო, რათა ლეკების თარეში მაინც აღეკვეთა. ომარ ხანს კი ჯამაგირი დაუნიშნა (თვეში 500 მ.).

ეს კი ქართველთა მეფეს ტრაქტატის მიხედვით ეკრძალებოდა.

ერეკლე რუსეთ-ირან-ოსმალეთის ინტერესთა ჭიდილის სფეროში უფრო მეტად მოექცა, ვიდრე ვახტანგ VI.

პეტერბურგის სამეფო კარი, ჩრდილო კავკასიის სარდლობა კარგად იცნობდა ქართლ-კახეთის მდგომარეობას, ხედავდა მაპმადიანთა აგრესიას, ერეკლეს შეცდომებსა და სიბერეს, ქვეყნის დაუძლეურებას (მაგ., მოსახლეობა 350 000-დან 200 000-მდე შემცირდა).

1800 წლისათვის ქართველი სამეფო-სამთავროების მოსახლეობა იყო 675 000, ტფილისში ცხოვრობდა 20 000, აქედან – 7000 ქართველი და 10 000 სომები.

პეტერბურგი ისევ ჰქონდებოდა ტფილისს სესხს, მაგრამ არ აძლევდა, სხვადასხვა მიზეზით არც სამხედრო დახმარებას უწევდა, მტრებს კი უმრავლებდა.

ასეთ დროს რეალურად გამოჩნდა სამეფო-სამთავროთა გაერთიანების პერსპექტივა.

## ერთიანობის იდეის კრახი

განმანათლებლური მუშაობა, სკოლა და წიგნი, კონგაქტი მებობელ სახელმწიფო ორგანიზაციან, რუსეთის ფაქტორის გაძლიერება და ოსმალეთ-ირანის დაუძლურება ბრდიდა პატრიოტულ ინტერესებს, ეროვნულ შეგნებას და დაისვა ქართულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების საკითხი.

ერთიანობის იდეა ცოცხლობდა ელიტაში, ეკლესიაში, ენაში.

ქართველ მეფეთა წარმატების მეოხებით ისევ გაცხოველდა ტერმინი „საქართველო“ (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი). გაჩნდა „ივერია“ და „ივერიელნიც“. მაგრამ უფრო იხმარებოდა კუთხურობის აღმნიშვნელი ცნებები – მეგრელი, იმერელი, კახელი, სვანი (შდრ – სულხან-საბა: „ქლურტული – მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკუთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი“).

პრაქტიკულად ხანგრძლივ გათიშვას მოჰყვა გაუცხოება, ენობრივი განტოტვა, მეტყველების შეცვლა (შდრ – როგორ უწონებდა გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომ ურჩი გურულების სისხლში გაავლო ხმალი).

გამაერთიანებელი ფაქტორი ისევ ქრისტეს ჯვარი და ბაგრატიონთა დინასტია იყო, რომელთაც სცნობდნენ და აღიარებდნენ.

ახალციხის საფაშოს ჯაყელები მართავდნენ. ისინი დროდადრო იჩენდნენ ინტერესს ტფილისისადმი, ზოგჯერ წყვეტდნენ ქართველთა რბევას.

მაგრამ ყოფილი სამცხე-საათაბაგო და აჭარა უკვე მაპმა-დიანური იყო და მათი მჩერის შეცვლა შეუძლებელი ჩანდა.

ჭანეთი არასდროს ყოფილა ერთიანი საქართველოს წევ-რი. იქ ქართული არ იყო საურთიერთო ენა, არც მღვდელმსა-ხურებისა.

1753 წელს სოლომონსა და ერეკლეს შორის გაფორმდა სამხედრო კავშირი. შემდეგ ორივენი რუსებს აპყრობდნენ მზე-რას. სოლომონი ახალციხის ფაშასა და ოსმალებს ებრძოდა, ერეკლე – ლეკითა ბელადებსა და მოთარეშე რაზმებს.

ორივეს დიდი იმედი ჰქონდა ედუარდ ტოფლებენისა, თუმცა მოლოდინს გულისგატება.

ანგონი განამტკიცებდა ერეკლეს ლიდერობას, ქართველ-თა შორის პირველ და სრულიად საქართველოს მეფედ ახსე-ნებდა.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატმა გამოაფხიზლა მაპმა-დიანები. მათ იგრძნეს, რომ კარგავდნენ ამიერკავკასიასაც.

სამეფო-სამთავროებში კი მოსალოდნელმა საფრთხემ და რუსთა სიახლოვემ ერთიანობის რწმენა გააძლიერა.

ამასთან ერთად იმერეთიც ისევ ეძებდა რუსეთისკენ გზას (ბერივ გაბაშვილის ელჩობა პოფილმკინთან).

იმერეთის გახტი უნდა დაეკავებინა ერეკლეს შვილიშვილს, სოლომონ I-ის ძმისშვილს, 17 წლის დავით არჩილის ძეს (შე-დეგში – სოლომონ II), რომელსაც თავის მემკვიდრედ აცხადებდა სოლომონ I.

იმერეთის თავადთა უმრავლესობა, ქუთათელი და გაენა-თელი ერეკლეს სიხოვანენ იმერეთის შეერთებას.

ამავე აზრისანი იყვნენ გურიელი და დადიანიც.

როგორც ვთქვით, ახალციხის ფაშაც ქართლისაკენ იხრე-ბოდა – სულეიმან ჯაფელი, რომელსაც ცოლად პყავდა გაგუ-რულებული შალიკაშვილის ასული (შოთა ლომსაძე), მაგრამ რუსეთან კავშირის გამო ლეკებს შველოდა და აქებებდა.

ერეკლემ პირადად ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა და დარ-ბაზს გადასცა განსახილველად.

დარბაზმა მხარი დაუჭირა იმერეთის შემოერთებას. მაგრამ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგენიც – მეფის სიძემ იოანე მუხრან-ბატონმა განაცხადა, ჩვენ ჩვენთვის ვერ მოგვივლია, ხომ ჰყავს იმერეთს პატრონი, აგერ არის ერეკლეს შვილიშვილიო.

გაერთიანებას ემხრობოდნენ ანგონ II, ჭაბუა ორბელიანი, დავით სარდალი, სოლომონ ლიონიძე, ბაქარია ანდრონიკა-შვილი.

მოწინააღმდეგეთა დასს აქებებდა დარეჯან დედოფალი (დადიანი).

სამდღიანი თათბირის შემდეგ ერეკლემ არ მიიღო დარბაზის გადაწყვეტილება, დაუჯერა ცოლს და შვილიშვილი ტახტზე იარაღით აიყვანა – თითქოს არ შეეძლო ამასის გავის დარღვევა (ამ დროს ოსმალეთის სულთანია სელიმ III, დედით ქართველი).

1790 წლის ივნისში გაფორმდა მხოლოდ ტრაქტატი, რომლის ძალითაც აღიარებდნენ ერეკლეს უპირატესობას, გეორგი-ევსკის ტრაქტატს და ერეკლეს ანდობლნენ რუსეთთან მოლაპარაკებას.

1791 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დაიდო იასის ზავი, რითაც არსებითად არ შეცვლილა ქართულ სამეფო-სამთავროთა მდგომარეობა.

ერეკლემ დაკარგა ქვეყნის გაერთიანების შანსი.

ალბათ ასაქსაც ჰქონდა მნიშვნელობა. 70 წლის მეფეს უკვე აღარ შეეძლო ძველი ენერგიით ბრძოლა. თან – არ იცნობდა ამ რევიონს.

ამიტომაც დაუჯერა დედოფალს, იმერეთი ხომ ისედაც ჩვენია, იქ სოლომონი იმეფებსო!

შეიძლება ერეკლეს სიფრთხილე და უარიც სწორი იყო – ის სედავდა რეალობას, ჩვენ შორიდან, ჩვენი რწმენა-განწყობით ვმსჯელობთ:

სამეფო-სამთავროებში მოსახლეობის რიცხვი 5-ჯერ იყო შემცირებული, ეკონომიკა – გაჩანაგებული, მფერი – ყოველი მხრიდან მოძალებული.

ასეთი გაერთიანება რომც მომხდარიყო, დროებითი იქნებოდა, რადგან არ გააჩნდა მტკიცე საყრდენი არც შიგნით, არც გარეთ.

ერთიანობაზე უარის თქმის შემდეგ რა პერსპექტივა უნდა ჰქონოდა სამი ვეშაპის რეალში მოქცეულ ქვეყანას, დაშლილს და დანაწევრებულს...

საბოლოოდ პოლიგიკასა და კულტურაში დამარცხდა როგორც ოსმალური, ისე ნაციონალური ორიენტაცია.

ხანგრძლივი რყევისა და დაბნევის შემდეგ რუსეთიდან და ევროპიდან მიღებული იმპელსებითა და სტიმულით უნდა აღგენილიყო დათორგუნული ნაციონალური სულისკვეთება.

გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლების დაცვა და შესრულება არ შეღიოდა იმპერიის ინტერესებში.

ეს იყო მათთვის დროებითი პირობა, განმრახვის საბურველი.

ერეკლე გადაჭარბებით აფასებდა ქრისტიანობის ფაქტორებს და ასე მიენდო პეტერბურგს, ისევე როგორც ვახტანგ VI.

ამან მოადუნა ქართველთა ყურადღება და გამარდა მაპ-მადიანთა აგრძელა, რომელიც თითქოს მიძინებული ჩანდა.

საბლვარი არ ჰქონდა ლეკითა რაზმების თარეშს (მაგ., ჯერ კიდევ 1754 წელს, ხუთი თვეში 52-ჯერ შემოჭრილან – ი. ალიმ-ბარაშვილი).

რუსეთი ამზადებდა და ელოდა ქართველთა დამარცხებას და ეს მოხდა კრწანისთან 1795 წლის სექტემბერში.

ერეკლე თითქოს კარგად იყო მომზადებული ომისათვის. მაგრამ აღა-მაპმალ-ხანი მანევრს ვერ მიუხვდა და მოტყუვდა. მოტყუვდა თანამებრძოლთა მხრიდანაც, რუსეთისგანაც.

ამას დაერთო ტფილისელ სომეხთა ღალატი და მოხუცი მეფე სასტიკად დამარცხდა.

ქალაქი უკანასკნელად აოხრდა და გადაიწვა.

გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები დაირღვა და მათი აღსრულების იმედი აღარც იყო. ამას დაერთო იმპერატორების ცვლილება პეტერბურგში – გარდაიცვალა ეკატერინე II, მოკ-

ლეს მისი ძე პავლე (ქართველი იაშვილის მონაწილეობით) და ტახტე ავიდა ალექსანდრე I.

რუსეთმა უსისხლოდ შეიერთა ქართული სამეფო-სამთავროები. მხოლოდ სოლომონ II აგრძელებდა განწირულ ბრძოლას და საბოლოოდ ლტოლვილმა ტრაპიზონში ჰპოვა განსასვენებელი.

ახალ ფაბაში შევიდა რუსეთის ომები კავკასიაში, ჩრდილო კავკასიელებთან, ოსმალებთან, ორანელებთან, რაც გაგრძელდა და ნახევარ საუკუნებზე მეტხანს.

რუსეთმა მოიგანა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უდელი, მაგრამ მოპყვა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის შექიც, ამ სივრცეში ქვეყნის რეალური გაერთიანების იმედი.

ქართველებს იმედი სწრაფად გაუცრუვდათ – რუსეთმა კოლონიად აქცია ქართული სამეფო-სამთავროები, რასაც მოპყვა აჯანყებათა კოცონები. ახალი სისხლი და მსხვერპლი.

## რუსულ-ევროპული არეალი

ოსმალეთისა და ორანის პარალელურად XVII საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო ქართველთა ემიგრაცია რუსეთში.

პირველი ნაკადი იყო არჩილის კოლონია მოსკოვში. არჩილი ახალგაზრდობაში მაპმადიანი გახდა და ასე მიიღო ტახტი ქახეთში. შემდეგ მრავალგზის სცადა იმერეთში ფეხის მოკიდება. აღმდევებას მოსდევდა დამხობა, წასვლა ახალციხესა და რუსეთში, მობრუნება, ისევ ცდა და მარცხი.

ოთხგზის დამხობილი არჩილი 100 თუ 150 ოჯახითურთ საბოლოოდ დასახლდა მოსკოვში. მას მისცეს მიწა სოფ. ვსეხსვიაფსკოეში, რომელიც შემდეგ ქალაქის შემაღვენლობაში შევიდა.

აქ ააშენა სასახლე და ეკლესია, მოაწყო სკოლა და სტამბა, პეტრე I-ის დახმარებით, რომელიც მისი ვაჟის – ალექსანდრეს უახლოესი მეგობარი იყო (თეიმურაბ I-ის შვილი შვილები).

ალექსანდრე აღრევე დამკვიდრდა რუსეთში. იგი პეტრეს ახლდა ევროპაში ცხოვრების დროს. პეტრემ დანიშნა რუსეთის არტილერიის პირველ ფელდექებმაისტერად (გენერლად).

1700 წელს შვედებთან ბრძოლის დროს, ნარვასთან, ტყვედ ჩავარდა და, მიუხედავად იმპერატორის დიდი ცდისა, არ გაათავისუფლეს (კარლოს XII-მ მოითხოვა 10 კასრი ოქრო, რაზეც თავად ალექსანდრემ იქვა უარი). მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაუშვეს და გზაში გარდაიცვალა. ალექსანდრეს მიერ თარგმნილი დიდაქტიკური „გესტამენტი“ 1739 წელს მოსკოვში დაიბეჭდა. პოლფავასთან კარლოს XII-ის საბოლოო დამარცხების აღსანიშნავი ბანკეტი პეტრემ გადაიხადა მოსკოვში, დარეჯან დედოფლის სასახლეში.

ბაგრატიონებთან მეგობრობის გრადიციამ შესაძლებელი გახადა ვახტანგ VI-სთანაც დაახლოება (ვახტანგი იყო არჩილის ძმის შვილი).

შემდეგ, როცა პეტრეს მიზეზით ვახტანგმა ქართლი დაკარგა, მეფე 1200 (თუ 1400) მხლებლით რუსეთში გადავიდა.

იმპერატორის კარმა ისინი ღირსეული პატივით მიიღო. პეტრე მალე გარდაიცვალა. მაგრამ არც მის ცოლსა და შვილს, შემდგომ მმართველებს არ შეუცვლიათ კეთილგანწყობა.

ვახტანგის უბარმაბარი ამაღლა მატერიალურად უბრუნველყვეს, ხოლო თავად მეფესა და მის შთამომავლებს 1792 წლამდე სამონასტრო შემოსავლიდან ყოველწლიურად ეძლეოდათ 24 000 მანეთი, 16 ტ ფქვილი, 8 ტ შვრია, 600 ტ თივა, 1606 მ. შეშა (კ. კეკელიძე).

სამხედრო დახმარება ვერ მოხერხდა. რეალურად ეს არც იყო შესაძლებელი და გულგატებილი მეფე ასტრახანში გარდაიცვალა, 1737 წელს (აქვე დაასაფლავეს თეიმურაბ II-ც).

ქართველ ემიგრანტთა მეორე დიდი ნაკადიც გაიფანგა იმპერიის სივრცეში. მოსკოვში კი დარჩა ქართული ქუჩები.

სანამ არჩილი და ვახტანგი რუსეთში წავიდოდნენ, მანამდე აქ 15 წელი ცხოვრობდა თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, დავითის ძე ერეკლე (რუსულად – ნიკოლაი), შემდეგში – ნაბარალიხანი, თავისი ასკაციანი ამაღით.

იგი იყო მეფე ალექსი მიხეილისძის ხელისმომკიდე, როცა მან იქორწინა ნაფალია ნარიშკინაზე. ერეკლეს გაურთულდა ურთიერთობა რუსთ მეფესთან და მან დატოვა მოსკოვი და ისპაპანს მიმართა.

გოგი თვლის, რომ პეტრე იყო ერეკლე ბატონიშვილის უკანონო შვილი, რაც იცოდა მომავალმა იმპერატორმა და ამიტომაც ჰქონდა კარგი ურთიერთობა ბაგრატიონებთან.

მაგ., პეტრეს მიმოწერა ჰქონდა არჩილთან, ატყობინებდა ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს. ერთხელ კი ვსესვიაგსკოეშიც ჩააკითხა (ალ. ბარამიძე), მისცა დონის მონასტერი, სადაც დაასაფლავეს მრავალგზის დამხობილი ქართველი მეფე.

არჩილის ცოლი იყო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ქეთევანი, ერეკლე I-ის და ანუ გამოდის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი და პეტრე I იყვნენ მამიდაშვილ-ბიძაშვილი.

მოსკოვში არჩილი აღარ ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი სტამბამ და მწიგნობრობამ გაიტაცა. პეტრეს ხელშეწყობით გამართა ქართული სტამბა, დაბეჭდა „დავითინი“, რომლის შრიფტი ამსტერდამში დაამზადებინა, ბიბლიის ტექსტი შეავსო არაკანონიკური ისო ბირაქისა და მაკაბელთა წიგნებით, რომლებიც სლავურიდან თარგმნა. არჩილის სასახლის კარიბე მოღვაწეობდა არაერთი ქართველი სწავლული. 1743 წელს არჩილის მასალით ისარგებლეს ბაქარმა და ვახტანგიმ და გამოსცეს ბიბლია.

ქართველი ემიგრანტები ეცნობოდნენ რუსულ და ევროპულ კულტურას, სწავლობდნენ რუსულ და ევროპულ ენებს და თანადათან მათთვის უცხო ხდებოდა სპარსულ-თურქული ტრადიციები.

ევროპული ცოდნა-განათლება, მწერლობა და განათლება, ეტიკეტი, სამხედრო და სამოქალაქო სამოსელი, ტაძრები და სასახლეები მათთვის მიმზიდველი და სანიმუშო ხდებოდა.

ასელები თხოვდებოდნენ რუს ვაჟებზე, ვაჟები ირთავდნენ რუს ქალებს. დაოჯახება ხდებოდა იერარქიის დაცვით, ქონების მიხედვით. თაობათა მანძილზე ეს პროცესი დასრულდა გარუსებით.

ემიგრანტები გაიფანტნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (მაგ., დავით გურამიშვილს ყმა-გლეხები და მიწა მისცეს დღევანდელ უკრაინაში, მირგოროდში), შევიდნენ სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში.

გოგმა ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა. მაგ., პეტრე ბაგრატიონი იყო ინფანტერიის გენერალი, დაახლოებული იმპერატორ ალექსანდრე I-ის ოჯახთან, მისი დის საყვარელი.

ვახუშტი და ვიორგი მონაწილეობდნენ მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. გენერალი იაშვილი იყო იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობის მონაწილე.

ქართველი გენერლები და პოლკოვნიკები ებრძოდნენ ოსმალეთს, პრუსიას, ირანს, შვედეთს, ნაპოლეონს, ერთგულად ემსახურებოდნენ რუსთ იმპერატორს.

პოლიტიკაში ხელმოცარულ ქართულ ემიგრაციას ან კულტურაში უნდა ეცადა ბედი, ან ჩართულიყო იმპერიის სახელმწიფო ცხოვრებაში.

ვსეასვიათსკოე არჩილის შემდეგაც, დარეჯანის შემწეობით, იყო კულტურის კერძა და ქართველთა თავშესაფარი. იყი განსაკუთრებით გაძლიერდა ვახტანგის ჩასვლის შემდეგ. ვახტანგს სასახლე ჰქონდა პრესნიაზე, სოფ. ვოსკრესენსკოეში (დარეჯანი და ვახტანგი ბიძაშვილები იყვნენ).

ვახტანგი აქ ეწეოდა შემოქმედებით და მთარგმნელობით მუშაობას. მისი დავალებით გაულექსავს „ჯიმშედიანი“ მამუკა ბარათაშვილს და დაუწერია „ლექსის სწავლის წიგნი“ – პოეტიკური ნაშრომი.

ემიგრანტები ეცნობოდნენ ევროპულ ცხოვრებას მაშინაც, როცა მათი პუსართა პოლკი ებრძოდა პრუსიის ჯარებს, როცა მოქმედებნენ ევროპის ტერიტორიაზე.

არჩილისა და ვახტანგის საქმიანობა გააგრძელეს ბაქარ, ვახუშტი და გიორგი ბაგრატიონებმა, დაბეჭდეს თერთმეტი სქელფანიანი წიგნი.

შემდეგ ქართული კულტურის კერა გაჩნდა ასტრახანშიც, ვლადიმირშიც, კრემნიჩუგშიც, მოზღვებშიც. ასეთ მუშაობას დროებითი და ლოკალური სახე ჰქონდა, რადგან ახალი თაობები უკვე აღარ იყვნენ ქართველები. მაგრამ XVIII საუკუნეში აქ ათვისებულ იქნა რუსულ-ევროპული კულტურა, ცოდნა და გამოცდილება, რასაც ეტიარებოდნენ საქართველოდან დროებით ჩასული პირები.

ემიგრაციამ წარმოშვა ცალკეული მნიშვნელოვანი კულტურშემოქმედნიც (მაგ., ვახუშტი ბატონიშვილი, დავით გურამიშვილი), რაც იქცა ქართული ევროპეიბმის ნაწილად.

ქართველები ხედავდნენ ირანის კულტურულ ჩამორჩენას და ევროპის პროგრესს, სიახლესა და ძლიერებას.

დასავლეთი და რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურითაც პასუხობდა ქართველთა ინტერესებს.

ევროპეიბმის მოძალების შედეგად ვრცელდებოდა სენტიმენტალიზმი და კლასიციზმი (ალ. კალანდაძე), რუსობიზმი და ვოლფერიანელობა (ლ. ასათიანი), ზოგი მსჯელობს ბაროკოზეც (გ. გაჩეჩილაძე), ითარგმნებოდა სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელები.

ქართული სპარსოფილური აფშოსფერი ივსებოდა ევროპული კულტურის აჩრდილებით (უფრო ვრცელად იხ. IV წიგნში).

პოეზიაშიც კი (მაგ., ბესიკოიან) ჩნდებოდა ევროპული ტერმინები და სახელები. ჯერ ისევ ძლიერი იყო აღმოსავლური ტრადიცია. მაგრამ ჩაისახა ახალი ტენდენცია, რაც მთლიან მიმართულებად აქცია რუსეთთან შეერთებამ, ახალმა რეალობამ.

რუსეთსა და საქართველოში მაშინ ევროპულ სიახლეს მრავალი ესწრაფვოდა (მაგ., ანგონ I, ბაქარ ბატონიშვილი, გაიობ რექტორი, ალექსანდრე ამილახვარი).

გაჩნდა ქართველთათვის ახალი დარგი – დრამატურგია, რომელიც გააბასების განვითარებაა.

ჩამოყალიბდა გიორგი ავალიშვილის (1769-1850) კლასიცისტური თეატრი. თავადაც წერდა, თარგმნიდა, დგამდა კომედიებს. მას რუსეთში ჰქონდა განათლება მიღებული და იქ აითვისა თეატრისა და დრამატურგიის ტრადიციები.

ეს იყო განმანათლებლური მუშაობა, რაც მომავალში იქცეოდა ბაზად მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის (მაგ., დავით გურამიშვილის ძმას, ილუმენს, სტამბის მცოდნე ქრისტეფორეს შეუდგენია და გამოუცია პეტერბურგში 1737 წელს წიგნი ლოცვებით).

მრავალი მოღვაწე დაუღალავად შრომობდა, წერდა, ბეჭდავდა, თარგმნიდა, ცოდნას ავრცელებდა. მაგრამ ემიგრანტთა წრეში მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილმა და დავით გურამიშვილმა შექმნეს დიდი მნიშვნელობის თხზულებანი, მხოლოდ ისინი გასცდნენ განმანათლებლურ სივრცეს.

ამჯერად, პოლიტიკური ემიგრაცია, მანამდე კათოლიკე მისიონერები ქართულ ელიტას აცნობდნენ ევროპულ ცხოვრებას, კულტურას, მეცნიერებას, პოლიტიკას, ხოლო ლიტერატურას – ნაკლებად (დ. ლაშქარაძე).

## 2. დინასტიის დასასრული

გიორგი XII გარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს. მემკვიდრე – დავით ბატონიშვილი პეტერბურგს უნდა დაუტაციურდნენა. მაგრამ რუსეთმა გამოსცა 18 იანვარს პავლე I-ის მანიფესტი, რომლითაც იგი იერთებდა ქართლ-კახეთის სამეფოს.

იგივე გაიმეორა 12 სექტემბერს ალექსანდრე პირველის მანიფესტმა, რომ ეს ხდებოდა არა ტერიტორიულის გასავრცობად, არამედ – ქართველთა გადარჩენის მიზნით.

გაუქმდა ბაგრაიგიონების ათასწლოვანი დინასტია.

შემდეგ მოადგნენ იმერეთს, სოლომონ II-ს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს, სვანეთს.

ყველაზე სუსტი მმართველი სწორედ მაშინ ჰყავდა ქართლ-კახეთის, რომელიც ქვეყნის მომავალზე კი არა, ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობდა.

1801 წლის 11 მარტს პეტერბურგის სენატმა გენერალ-გუბერნატორად დანიშნა კიორინგი, სამოქალაქო გუბერნატორად – გარუსებული ორბელიანი. მმართველი გახდა, ნაცვლად დავით ბაგონიშვილისა, გენერალი ლაზარევი (ლაზარიანცი).

იმპერია ცდილობდა ანექსია კანონის ფარგლებში მოექცია, რომ თითქოს იგი მხოლოდ ქართველ მეფეთა ნებას ასრულებდა.

ასე დამთავრდა სამასწლოვანი ნატვრა და ხვეწნა-მუდარა.

1799 წლის 26 ნოემბერს რუსთა ჯარი იმიტომ შემოვიდა, რომ აქედან არასოდეს გასულიყო.

მეფე, ეკლესია, 10 000 მოსახლე, ქალი და კაცი, ბარბეიმით, ბარბაზნების სროლით, ბარების რეკვით, თეთრად შემოსილი შეეგება თეთრი ხელმწიფის ეგერთა პოლქს.

1800 წლის 7 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარმა (სარდლები – ლაზარევი და იოანე ბაგონიშვილი) სასტიკად დაამარცხა ავარიელი ომარ-ხანი, ვისაც ერეკლე ვერ უძკლავდებოდა. ბრძოლა მოხდა სოფელ კაკაბეთიან.

ომარ ხანის მხარეს იბრძოდნენ ალექსანდრე, იულინ და ვახტანგ ბაგონიშვილები. კოალიცია შედგებოდა 17 000 მეორისაგან.

ამიტომ ხალხი მანიფესტის გამოქვეყნებით არ შეშფოთებულა, აღშფოთებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რადგან იყვნენ „ოსმალნი პირაშეკმულნი ვეშაპებრ და სპარსი მბრდღვინავ

ლომებრ და ლეკნი განმვივნებულ მგლებრ კბილ-მოღრჭენით“ (ერეკლე II).

ელიტაც და მასაც მორჩილებით შეხვდნენ განაჩენს, რადგან რუსი შემოვიდა არა ცეცხლით და მახვილით, არა ნახევარ-მთვარითა და მოლას ყმუილით, არამედ – ქრისტეს სახელითა და ქადაგებით.

მხოლოდ მაშინ დაიწყო აჯანყებების სერია, როცა ყველამ თავის ზურგებ იგრძნო რუსული მათრახის სიმწვავე.

გაჩნდა ჯერ ფოილისის, შემდეგ – ქუთაისის გუბერნია.

სოლომონ II-ის ცდას შედევი არ მოჰყოლია, ციხეც იწვნია და ლომლვილის მწარე ბედიც.

ეს უკანასკნელი მეფებაგრაფიონი 1815 წელს გარდაიცვალა გრაპიტონში, ქართველთა უძველეს და დაკარგულ მიწაბე.

დაიწყო ბაგრატიონების გასახლება რუსეთში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სომხები. მათ უნდოდათ კავკასიაში ლიდერის ფუნქციის დაკავება და ქართველთა ჩანაცვლება.

ამიტომ სომებთა კათალიკოსმა იოსებ არღუთინსკიმ პირველმა დალოცა რუსების შემოსვლა.

ბაგრატიონები მორჩილად დაჰყვნენ რუსების ნებას, მითუმეფეს, რომ პეტერბურგში ელოდათ კარგი პირობები, მაღალი ხელფასი, კომფორტი, პატივისცემა.

მხოლოდ გიორგი XII-ის მეუღლე, დედოფალი მარიამი არ შეეცეა ოკუპანტთა ძალადობას და როცა უხეშად შეეხო გენერალი ლაბარევი (ლაბარიანცი), მუცელში მახვილი ჩასცა.

მარიამიც და ბაგრატიონთა ოჯახიც რუსეთს გაასახლეს, აუკრძალეს საქართველოში ჩამოსვლა.

მათ მისცეს კარიერული წინსვლის საშუალება იქ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო და კულტურის სფეროში. მაგრამ შეუცვალეს გვარი და ასე გაჩნდნენ გრუბინსკები და იმერეტინსკები.

აწ ორი საუკუნე ქართველებს სფამბოლისა და ისპაპანის სიცხის სანაცვლოდ პეტერბურგის, მოსკოვისა და ციმბირის სუსხი ელოდათ.

შუასაუკუნეებშიც მეფე განასახიერებდა ხალხისა და უფლის წებას. იგი ღმერთის ჩამომავალი იყო, მირონცხებული და ხელუხლებელი, ქვეყნის იმედი, ქვეყნის ფარი და მახვილი.

ამიტომ წერს რუსთაველი:

„ვინაც მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან“.

მეფეს თავისი საბრძანისი თავის სახლად წარმოედგინა, რომლის დასაცავად სიცოცხლეს სწირავდა.

ბაგრატიონებიც უფლის წებითა და ხალხის თანადგომით იცავდნენ და მართავდნენ ქვეყანას.

IX საუკუნიდან, აშოგის დროიდან, ისინი განაგებდნენ სამთავროებს, სამეფოებს, ერთიან საქართველოს.

დინასტიები ყველგან იცვლებოდა, ტახტს სტოვებდნენ სასანიდები, სეფიანები, ოსმანები, რომანოვები, ჰაბსბურგები, ბურბონები, ჰოპენცოლერები, მაგრამ მათი მმართველობა არ ყოფილა ასე ხანგრძლივი.

გოგი ბაგრატიონებთან აკავშირებს ფარნავაზიანთა სახლს და ქართლის ერისმთავრებს არაბობის ხანაში (მაგ., პ. ინგოროვა).

ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობა ირწმუნა ხალხმა და ამიტომ მეფე ხელუხლებლად მიიჩნეოდა.

არცერთი ქართველი მეფე ქართველ ხალხს არ დაუმხია, არ მოუკლავს. მამისმკვლელები, მმათა და ნათესავთა მკვლელები ისევ ბაგრატიონები იყვნენ (მაგ., კონსტანტინე მირზა).

მეფეს ეურჩებოდნენ და ებრძოდნენ ბაღვაშები თუ ჯაყელი ათაბაგები. მაგრამ მეფე მათაც არ მოუკლავთ და არ გასჩენიათ დინასტიის შეცვლის იდეა.

გიორგი სააკამე როცა შეება თეიმურაზს, მას თავად კი არ ეწადა ტახტზე ასვლა, არამედ – იმერეთიდან მოიწვია ალექსანდრე გიორგის ძე და იგი დაუპირისპირა კახთბაგონს.

ბაგრატიონებს, ქრისტიანება თუ მაპმადიანს, სცნობდნენ სულთანი და შაპი. მხოლოდ რუსეთმა გაუქმა მეფობა და დინასტია.

ქართველი დედოფლებიც გამოირჩეოდნენ რჯულის, სამშობლოს, ოჯახის ერთგულებით, კულტურისადმი დიდი ყურადღებით, ღვთისმოსაბობით (მაგ., ვახტანგ გორგასლის დედა სპარსი საგდუხტ დედოფალი, მარიამ ბიზანტიის დედოფალი, ბაგრატ III-ის დედა – აფხაზეთის დედოფალი გურანდუხტი, სომები მარიამი – ბაგრატ IV-ის დედა, თამარ შარვანის დედოფალი, თამარ მეფე, თამარის დედა ოსი ბურდუხანი, გიორგი II-ის დედა ბერძენი ელენე, ბაგრატ V-ის მეუღლე ანა დედოფალი, ბაგრატ მეფის ასული, ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლე დედისიმედი, ათაბაგ ყვარყვარე I-ის ასული დედოფალი დედოფალი ნათელა, თინათინ კახეთის დედოფალი, მარიამ ქართლის დედოფალი, ქეთევან წამებული, ერეკლე I-ის ასულები ელენე და მაკრინა, ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯან დედოფალი).

ბაგრატიონებმა განუზომელი ენერგია შეალიეს ქვეყნის დაცვას, გაიღეს უდიდესი მსხვერპლი, დაღვარეს ყველაზე მეტი სისხლი ქართველ დიდებულთაგან.

მათ სახელს უკავშირდება ყველა დიდი გამარჯვება, ისევე როგორც მარცხი. მაპმადიანი ბაგრატიონებიც ქვეყნის, ეკლესიისა და კულტურის ინტერესებზე ფიქრობდნენ.

ბაგრატიონებმა წარმოშვეს უნიჭიერესი მმართველები, სარდლები, მღვდელმთავრები, პოეტები, მეცნიერები, წამებულები.

მათი სახელი და მოღვაწეობა განუყორელია ქართული კულტურისაგან, ქართველი ხალხის ჯვარცმისაგან.

ასეთის დინასტიის აღსასრულით დასრულდა ძველი საქართველოც.

ბოლოსდაბოლოს ყველაფერი მთავრდება ამქვეყანაზე. საუკუნეების შემდეგ აღვილია მსჯელობა, არჩევანისა თუ დამარცხების განსჯა, ვინ რა შეძლო და რა ვერ შეძლო.

ქართველმა ხალხმა, ელიტამ და მასამ სიყვარულით შემთხვევა უდიდესი გვარი, არ გასჩენია სიძულვილის გრძნობა და დამხობის სურვილი, მას მიჰყვებოდა, მისთვის იხოცებოდა და მასთან ერთად ზეიმობდა.

### **3. ქართველის ბუნება და სახელმწიფო**

პირველ წიგნში ვწერდით თუ როგორი ხასიათი და ბუნება ჰქონდათ ქართველურ ტომებს (იხ. „ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები“). 1000-1500-2000 წლის შემდეგაც იგივე თვით-სება შერჩა ქართველ ხალხს, რადგან იგი არ შეცვლილა ანთ-როპოლოგიურად, ენობრივად, ფსიქიკურად, ტერიტორიულად.

არ შეცვლილა ისტორიული კონტექსტიც:

ქართველებს მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა გადარჩენისათვის, ქვეყანას ეუფლებოდა უცხო ძალა, რომელიც ადგილობრივს აღემატებოდა როგორც კულტურით, ისე ცივილიზაციურად.

ირანი, რომი, ბიზანტია მოდიოდნენ თავიანთი რელიგიითაც, რომელიც სდევნიდა წარმართულ ღვთაებებს, ლოკალურ ღმერთებს – არ ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ.

ქრისტიანობამ კულტურულად მოაწესრიგა და გააერთიანა ქართველური ტომები. მაგრამ ცივილიზაციურად, სახელმწიფოებრივად ეს შეუძლებელი გახდა. სახელმწიფოს არქონა ხასიათსა და ფსიქიკაზე აისახებოდა. ჯერ ბიზანტია და ირანი იყოფდნენ ქართულ ტერიტორიებს, შემდეგ არაბები. არაბთა ლაშქრობა არ ჩანს ისეთი დამთრგუნველი, როგორც შემდეგი დროის მაჰმადიანებისა.

მხოლოდ ცისფერთვალა და ქერათმიანმა მურვან-ყრუბ დაანგრია და სრულიად დაიმორჩილა კავკასია.

ბუდა თურქისა და აბულ-ყასიმის ლაშქრობანი დაიწყო არა ქართველთა, არამედ – სკპარაგისტების – ტფილისელი ამირას და სომეხთა მეფის სუმბატ ბაგრატუნის წინააღმდეგ (მაგ., ბუდამ მოკლა ამირა საპაკი. მაგრამ დამარცხდა ამირას მოკავშირე კახელებთან ბრძოლაში).

ბუდა თურქმა გადაწვა არა ქართული, არამედ – არაბული ტფილისი.

გადამწყვეტი ფაქტორი იყო ქართველთა მცირერიცხოვნობა და ცივილიზაციურ-ტექნიკური ჩამორჩენა. მხოლოდ გულადობა, ერთეულთა სიმამაცე, თავვანწირვა ბედის ბორბალს ვერ შეაბრუნებდა.

როგორც ვთქვით, ქართული სახელმწიფო ვერ სძლევდა ჯალალედის, მონღოლებს ან თემურ-ლენგს.

დემოგრაფიულად მხოლოდ XII საუკუნისათვის შეიცვალა სიტუაცია. ასე რომ ერთი ასწლეული გაგრძელებულიყო, მოხდებოდა ახალი ტერიტორიების ათვისება და მოსახლეობის მკვეთრი ზრდაც.

თავდაცვითი ომები ამხელს შინაგანი ენერგიის სიმცირეს. მხოლოდ აგრესია ავლენს ძალას, რაც შეიძინეს ქართველებმა მუსულმან თურქ-სელჯუკებთან წარმატებულ ომებში.

მაშინაც არაერთხელ დამარცხებულან, მაგრამ ამას კატასტროფა არ მოჰყოლია, რადგან სხვის მიწაზე იბრძოდნენ.

მოსახლეობის სიმცირეს, ტერიტორიულ ნაკლებობას ერთვოდა ტექნიკური აღჭურვილობისა და საომარი სტრატეგიის უკმარობაც.

ეს არც ექნებოდათ, რადგან სახელმწიფო თავდაცვაზე აგებდა სტრატეგიას. ომს, თარეშსა და თავდასხმას ერჩიათ ქრისტიანული სათხოების გამოჩენა, წირვა-ლოცვა, გალობა და წიგნების თარგმნა, უფლის დიდება. მაგრამ ლომს არ აინტერესებს – რას ფიქრობს მასზე ცხვარი.

მაპმადიანები ალაპის სახელით მოდიოდნენ და სპობდნენ ქრისტიანებს. მათ ორასი წელი არ შეწყვიტეს ომი ჯვაროსნებთან და მაინც გაიმარჯვეს.

ორივე მხარეს ამოქმედებდა რელიგიური ფანატიზმი.

თაობები იმბრდებოდნენ ქრისტიანებისადმი სიძულვილის, შურისძიების სულისკვეთებით. ამ ომებმა მისცა საშუალება დავითისა და თამარის საქართველოს, რომ მაპმადიანთათვის მეორე ფრონტი გაეხსნათ. მაშინაც არ უცდიათ დიდი მასშტაბის ლაშქრობა.

ქართველი მეფეები ნაკლებად ერკვეოდნენ გეოპოლიტიკაში, რაც იყო ქვეყნის კაფასტროფის მიზეზი (გიორგი ლაშა, რუსუდანი, სიმონ I, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II); დავით აღმაშენებელს შეცდომა დიდგორის ომის ფასად დაუჯდა, როცა მან ჯვაროსან ბალდუინის თხოვნით დალაშქრა აშორნია; თეიმურაზ I-ს, როცა კარგი ურთიერთობა ჰქონდა შაპ-სეფთან, მოულოდნელად შეიჭრა ჯერ განჯაში, შემდეგ – ყარაბახში, რადგან ეგონა, რომ ოსმალეთი, რუსეთი, ქართული სამეფო-სამთავროები გარედან, უნდილაძეები შიგნიდან დაამხობდნენ ირანელთა ტახტს.

ქართველს ომის ექსტაზი, საომარი სულისკვეთება მოკლედროით, იმპერიად ეუფლებოდა და არ შეეძლო ხანგრძლივი ბრძოლის გამართვა.

ეს შენიშნული ჰქონდა თემურ-ლენგს.

მიზეზი ისიც იყო, საქართველოს ჰყავდა სახალხო ლაშქარი, დროებით შეკრებილი ჯარი. მეომრები მომენტალურად იკრიბებოდნენ მოახლოებული სასიკვდილო საფრთხის წინ.

დავითი ხედავდა, რომ მიწას მიჯაჭვულ ქართველს არ შეეძლო დიდი ხნით ოჯახის მიგოვება. მომთაბარე ცხენზე იყო გამოიყენებოდა დედა-წულიანად, ცხვრებით, ცხენებით და აქლემებით.

მათი შეკავება უჭირდა მშრომელ და დვთისმოსავ კაცს.

ამიტომ ჩააყენა ქვეყნის სამსახურში დავითმა ყიზჩალთა ჯარი. მეფეებს ხშირად გამოჰყავდათ დაქირავებული ჩრდილოკავკასიელებიც. მაგრამ ამას ფული სჭირდებოდა.

ლეკები ერეკლესთვისაც იბრძოლებდნენ თუ გასამრჯელოს მიღებდნენ. ამას აკეთებდა ახალციხის ქართველი მაპმადიანი ფაშა და მათი მეშვეობით აწიოკებდა ქრისტიანებს.

ასეთი სიტუაცია, საუკუნეების მანძილზე უცხოთა უდელი, ხან მძიმე და გამსრესი, ხანაც – მსუბუქი აძლიერებდა ინდივიდუალიზმის, განკერძოების, თავისთავადობის ტენდენციებს.

გიორგი III-ისა და თამარის მეფობის უამს აღაფს მაინც იყვნენ დახარბებული მეომრები. შემდეგ დამარცხებებმა ეს ინტერესი მოსპო, ისევე როგორც შურისძიების გრძნობა.

როგორც ფეოდალი, ისე კერძო პირი დამოუკიდებლად ცდილობდა გადარჩენას, ხელისუფლების გარეშე, რაც იყო და-ლატის გზა.

კოლექტივიმზი, ქვეყნის ერთიანობა ცივილიზაციური ჩა-მორჩენის გამო ისედაც მნელი იყო. მობილიზება ჭირდა – ეს უფრო შეეძლოთ მომთაბარე, ველებზე გაზრდილ ტომებს, რო-მელთაც ომის ხელოვნებაც აითვისეს.

რთული გეოგრაფიული გარემო, მთები და მდინარეები, ტყეები და კლდეები აფერხებდა კონტაქტებს. მტერსაც უჭირდა ამ უგზო გზებზე ლაშქრობა და ბრძოლა.

უერთდალები მტერთან დაბავებას არჩევდნენ, რითაც შლი-დნენ ცენტრალიზმს. ამას მოსდევდა განდგომა, ღალატი, დენა-ციონალიზმი.

ისიც გასაკვირია, საუკუნეების მანძილზე როგორ შერჩა ქართველს ბრძოლის უნარი – ამდენი დამარცხების შემდეგ. ცალკეული წარმატება მაინც აჩენდა იმედს, ინფორმაციის სიმ-ცირკ და ქრისტეს ჯვარი მხნეობას ჰმატებდა მებრძოლს.

მასამ კარგად არც იცოდა – ვის ებრძოლა.

დროთა მანძილზე ისევ უცხო იყო სანიმუშო. ასეთი გრძნობა ხელს უშლიდა დაპირ ისპირების პერსპექტივას.

„თათარიც ჩვენი მმა არი“, – ამბობს ერთი ხალხური ლექსი. ასეთი ჰუმანიზმი მხოლოდ მორჩილებას ნერგავდა. როცა მაჰმადიანი ქალაქებს წვავდა, ხალხს ხოცავდა, გადარ-ჩენილთ ირანში ასახლებდა – მსგავსი ქადაგება არ იყო რეა-ლობის განცდის შედეგი.

თამარის დროსაც კი ქართველები უეცრად მოექცნენ მაპ-მადიანური სამყაროს, მაპმადიანური სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ. სახელმწიფო წესრიგი – ტიტულატურა, სამოსი, ცხოვრების წესი, ნადიმი და განცხრომა საარსულ-მაპმადია-ნურ რეალობას ჰგავდა.

ბიზანტიური ატრიბუტიკა, ასკეტიზმი, ტერმინები და სახე-ლები იცვლებოდა. შემოღიოდა ახალი საგნები და ლექსიკა.

ასევე ხდებოდა მონღოლთა, თურქთა, ყიშილბაშთა ბატონობის პერიოდებში. ქართული ქალური ხასიათი სწრაფად იცვლიდა ფორმას ახალი ყალიბის მიხედვით, ასევე – კულტურაც.

ამგვარი ლაბილობა ხელს უწყობდა გადარჩენას:

ცადაწვდენილი მუხის ტოტები ქარში იოლად იმსხვრევა, მაგრამ სძლებს მიწაზე გართხმული რბილი ბალახი.

უცხოსადმი პატივისცემა, უცხოს გაიდეალება ნიშნავდა საკუთარი ნაწარმის, კანონის, სიტყვის იგნორირებას.

ქართველი ვერ ეგუებოდა კანონს, წესრიგს, დისციპლინას, რადგან ეს ასოცირდებოდა უცხოურთან, ძალად მოგანილთან.

ამიგომ ჩნდებოდა ამბივალენტური მიმართება – გარეგნულად უცხოსადმი მორჩილება, შინაგანად ნაციონალური სიამაყე, ზეიადობა და ტრაბახი (შდრ – ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი იგალიელი ჯუსტის ლექსი „ბედნიერი ერი“). ყველა დროში ქართველი მფარველს ეძიებდა, ოღონდ ისეთს, ვინც მას რჯულსა და ენას, მიწასა და ოჯახს არ წაართმევდა.

ასეთი არ ჩანდა, ექსპერიმენტები კი გრძელდებოდა.

ჩვენს სასახლებლოდ სისხლის დაღვრას არავინ აპირებდა.

მორჩილი ქალური ხასიათი გადავიდა კულტურასა და ცივილიზაციაშიც. ჩვენ ვიყავით არა ახალი აზრის ან ფორმის შემოქმედნი, რომელსაც სხვა მიიღებდა და გაიზიარებდა, არამედ არტისტები, როლების შემსრულებლები, უცხო მოდელის გამქართულებელნი.

თუ ქართველი წარმატებას აღწევდა ბიზანტიასა, ირანსა, თურქეთსა თუ რუსეთში, მან იცოდა, რომ იცავდა დიდი ქვეყანა.

ეს ქვეყანა იყო კვარცხლბეკი, რომლიდანაც ჩანდა მისი უცხო ნატურა, ინდივიდუალური ნიჭი, მისი მახვილი.

ასეთი მდგომარეობა წარმოშობდა ნაკლები ტანჯვითა და შრომით, ნაკლები სისხლის დაღვრით კომფორტული ცხოვრების ან ძალაუფლების ნების რეალიზების შესაძლებლობას.

პროცენტულად საქართველოს ჰყავდა ყველაზე მეტი თავადი და აბნაური, ბერი და ღვთისმსახური, პეტნდა უამრავი ეკლესია და მონასტერი. კომფორტის მოყვარე თავადაბნაურები ჰყიდვები მეტობლებს, ახლობლებს, შვილებსაც კი, თმობდნენ ასულებს. ქურობა, მაგ., ცხენისა, იქცა ვაჟაცობის საზომად (შლი – აკაკის „გამზრდელი“).

კარგი ცხოვრების მიღწევა ერთია, მეორე – მისი შენარჩუნება. ომში მოსალოდნელი იყო როგორც ქონების, ისე თავის დაკარგვა. ხოლო კომფორტიმი, შემგუებლობა, დათმობა ნიშნავდა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენას.

ამიგომ XVII საუკუნეში სფიქსურად დაისახა ქართველთა წინაშე ორი გზა – მაჲმადიანი როსტომ მეფისა და ქრისტიანი თეიმურაზ I-ისა. ასეთი გაორება მუდამ სდევდა ჩენს ისტორიას.

თეიმურაზის მუდმივი ბრძოლები, შეურიგებლობა განუზომელი მსხვერპლის მომტანი იყო და ქვეყანას სრული ამოწყვეტით ემუქრებოდა.

ხოლო როსტომის დათმობა, მორჩილება ზრდიდა ეკონომიკას, მოსახლეობას, კულტურას. ამასთან ერთად ეს ნელი პროცესი გადავარებას მოასწავებდა. ტკბილი შეამი ფსიქიკას უმტკიფნეულოდ ცვლიდა.

ქვეყანას კი სჭირდებოდა ორივე გზა, ოღონდ მონაცემლით, სიცუაციის შესაბამისად. ძალმოცემულ ხალხს შეეძლო ებრძოლა, ხოლო განადგურებული არსებობასაც შეწყვეტდა.

ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, განკერძოება წარმოშობდა კონფლიქტებს, შედლს, ღალატსა და ვერაგობას, სპობდა სახელმწიფოებრივ შეგნებას.

როგორც ამბობდა არჩილი –

„ასე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ, განა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოდ ვინ იმდერეთა“.

მეფის ცენტრალიზმი მორჩილებას მოითხოვდა, იერარქიულ წესრიგს, რასაც არ სცნობდა თავგასული ფეოდალი, სამცხეს ათაბაგი, არაგვის ერისთავი თუ ოდიშის დადიანი.

უამრავ ერთეულად იყო დაშლილი გერმანია. მაგრამ ენამ, კულტურამ და მხედრულმა სულმა შეაკავშირა ისინი.

მუდმივი შიში, საფრთხე, გათიშვა, დამარცხების სიმწარე, ამბაფრებს მფარველის მოთხოვნილებას, ილევა შინაგანი რესურსი და არ არსებობს ახალი აღმგზნები იდეა, რომელიც შეა-ერთებს გაყოფილ სამეფო-სამთავროებს.

აյ უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფაქტორს, რომელიც შეა და ახალ საუკუნეებში სისასტიკით თრგუნავდა მტერს და ჰკრავდა სეპარატულ ტენდენციებს.

მაგრამ მეტოქეებიც ასეთივე ინდივიდები იყვნენ (შდრ – დღეს საქართველოში 220 პარტია, რუსეთში – 48, აშშ-ში – 32, ჩინეთში – 12, საფრანგეთში – 23, გერმანიაში – 37, დიდ ბრიტანეთში – 33, იაპონიაში – 12).

მაშინაც ასეთი ერთობა და წარმატება დროებითი და ეფემერული იყო. ირლვეოდა და იშლებოდა იმპერიები, სახელმწიფოები, ყველგან შეღლი და ძალადობა ბატონობდა.

ძალას ძალა უნდა დაპირისპირებოდა, რომელსაც აორკეცებდა და აათკეცებდა ტექნიკური სიახლე. მაგ., ერეკლე მეფემ ტფილისში დაიწყო ბარბაზნების ჩამოსხმა. მაგრამ ჯერ ისევ ხმალი, ცხენი და აბჯარი იყო მთავარი საჭურველი.

ბლვა ქართველისათვის არც ამჯერად არსებობდა. ბლვიდან მხოლოდ მტერს მოელოდა. მაგრამ მთა იყო თავშესაფარი, კლდეები, ხეები და ტყეები.

დამპყრობელი იოლად სძლევდა ციხე-სიმაგრეებს, იღებდა თითქოს დაცულ ქალაქებს. მაგრამ მთიანეთს თავს არიდებდა.

კულტურა მხოლოდ მაშინ იქმნებოდა, როცა იგი იარაღით დაცული იყო. სხვა მხრივ ყოველი ინტელექტუალური წარმონაქმნი გაიზიარებდა ვახტანგ VI-ის სფამბისა და ერეკლეს თეატრის ბედს.

მხოლოდ ეკლესიები იყო შედარებით ხელუხლებელი დამპყრობელთაგან. ამიგომ გადარჩა უამრავი რელიგიური წიგნი და ხელნაწერი. ხოლო ციხე-სიმაგრე და სასახლე პირველ რიგ-

ში ეცემოდა. საბედნიეროდ, მეჩეთების მშენებლობას თავად ოსმალები და ირანელები კრძალავდნენ.

რელიეფმა, რელიგიამ, მტრულ სახელმწიფოთა რკალმა, მუდმივმა ნერევამ და სისხლისღვრამ ქართველს არ მისცა საშუალება, რომ მოეხდინა სახელმწიფო ეპიფანია კონსოლიდირება, ეროვნული სიამაყე რეალობად ექცია და ხელთ აეღო ლი-დერის დროშა.

ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიაც იფიტებოდა, იზრდებოდა კულტურულ-ცივილიზაციური ჩამორჩენაც, არ იცვლებოდა შიში და საფრთხე და ასეთ დროს მართლმადიდებელი რუსეთი გადარჩენის ილუზიას სახავდა, რასაც მოჰყვებოდა შესვენება და მილეულ ძალთა გააქტივება.

კულტურა კი იყო გარეგნული გამოვლენა ერის ფსიქიკის, ტემპერამენტის, ხასიათისა და სახელმწიფო ეპიფანიის მდგომარეობისა.

### VIII. მასობრივი კულტურა: ტრადიციები და წეს-ჩეულებანი

მღვდელმსახურება, ლოცვა, გალობა, ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, მჭევრმეტყველება, მორალი სულიერი კულტურაა, წიგნი, სტამბა, ეკლესია, ჯვარ-ხატები – მატერიალური.

მატერიალურში სულიერს ერწყმის ცივილიზაციის მონაბოვარი, რაც ერთიანდება ადამიანთა ყოფით კულტურაში.

ყოფითი კულტურაც განიყოფა სასულიეროდ და საეროდ.

სასულიერო კონსერვაციული და საუკუნეთა მანძილზე ურყევი იყო, საერო – მერყევი, მეზობელ სახელმწიფოთა გავლენის მტარებელი, თავადაც ცვალებადი.

საერო კულტურაც იშლებოდა ელიტარულად და მასობრივად. ელიტარული სულიერსა და სასულიეროში ვლინდებოდა, ბრწყინვალებით იმოსებოდა, ატარებდა ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც მასისათვის მიუწვდომელი იყო. ამიტომ ეტანებოდა უცხოურს.

ელიტა იყო ნიმუში და მაგალითი მასისათვის, რომელიც ცდილობდა სამეფო კარიდან, დიდებულთა სასახლიდან, ეკლესიიდან წამოსული სინათლისა და არტეფაქტების ათვისებას, უცხოურის მორგებას, ორიგინალურის შექმნას, ერთეულის გამრავლებას.

საერო ელიტა და ეკლესია მუდმივად იძლეოდა ორიენტირს კულტურისათვის, როგორც გზაგამკალავი შუქურა. მას იზიარებდა მეტ-ნაკლებად ყველა ფენა, კეთხე და თაობა.

სასულიერო და საერო მწერლობის, ტაძრებისა და ციხე-სიმაგრეების, ფრესკებისა და ეპიგრაფიების, შრომისა და ბრძოლის იარაღების, ყოფითი ინვენტარისა და სამკაულების, სულთა მატიანეების, სიგელ-გუჯრებისა და მინიატურების, სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ლექსიკის მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ XII-XVIII საუკუნეთა ქართული სინამდვილის სურათები, რა ჰქონდათ, რას მოიხმარდნენ, როგორ ცხოვრობდნენ.

მართალია, ეს უფრო ეხება ელიტას, მაგრამ მასის კულტურაც ირეკლება.

უჩინარი დაბალი ფენა, ღარიბი და ჩაგრული, რომლის წევრთა სახელი არ ჩანს ისტორიაში, ყველაზე მეტ სისხლს ღვრიდა ქვეყნის გადასარჩენად, ყველაზე მეტს შრომობდა, ყველაზე მეტად იტანჯებოდა და მხოლოდ ოცნებაში თუ იყო ბედნიერი.

## 1. მასის ყოფა-ცხოვრება

მასა ერის ბაზისი იყო, რომლის სიმრავლე, ძალა, ენერგია, თავგანწირვა, შრომისა და ბრძოლის უნარი ქვეყანას აშენებდა და იცავდა.

ამ პროცესს წარმართავდა ელიტა, ამღევდა ფორმასა და მიმართულებას. იყი იყო პროგრესის წყარო, რომელიც სულიერთან ერთად მაგერიალურადაც მაგალითს იძლეოდა.

ცხოვრების საერთო წესს განსამღვრავდა ხელისუფლება და ეკლესია, რელიგია, მღვდელმსახურთა თაობები, რომელთა ნათელი მოიცავდა ელიტას, მაგრამ ნაკლებად წვდებოდა მასას, რომელიც ინახავდა სიბნელეს, არქაულს, წარმართულს. დროთა მანძილზე მათაც ჰკარგავდა, მაინც რჩებოდა ანარეკლი, რაც ერწყმოდა ქრისტიანულს.

ყოფითი კულტურა, ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური რეალობაც იცვლებოდა, მშვიდობიანობისა და აღმავლობის უამს – სასიკეთოდ, ხოლო ომებს, უცხოთა მიერ ჩაგვრას, სიღაფაკეს მოჰქონდა რეგრესი, მორალური, ეკონომიკური დაცემა.

დაბალი ფენები კარგავდნენ სულიერებას, კარგავდნენ ცივილიზაციურ მონაპოვრებს და სასიცოცხლო ინსტინქტები უკუაქცევდათ ბარბაროსობისაკენ.

მხოლოდ ელიტას ეჭირა კულტურის დროშა, ელიტა ესწრაფვოდა ცივილიზაციას, მაშინაც, როცა ლერწამივით ირყეოდა.

ამიტომ არის ერთმანეთისგან განსხვავებული მასის კულტურა და ელიტის კულტურა, მასობრივი კულტურა და ელიტარული კულტურა (შდრ – არჩილის „საქართველოს ზეობანი“, თემურაბ II-ის „სარკე თქმულთა“).

ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური ყოფა გვიჩვენებს თუ როგორ უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს. ოღონდ შეუძლებელია განისაზღვროს ევოლუციის ეტაპები, როცა მცირეა დოკუმენტური მასალა (ვრცლად იხ.: „ქართველები“, თბ., 2016).

მაგრამ ერთი რამ აშკარაა – ყველა სფეროში ჩვენ ვაწყდებით უცხოურის გავლენას, ბიზანტიურის თუ სპარსულის კვალს. გარკვეულ ზღვრამდე ეს აუცილებელიც იყო, რადგან ეს ქვეყნები წარმართავდნენ კულტურას. მათგან იმოლირება რომც მოეხერხებინათ, ასეთი პერმეტიტი იქნებოდა კულტურისაგან მოწყვეტა, როგორც ეს მოხდა აფრიკულ, ამერიკულ და ავსტრალიურ ტომებში.

ინდივიდუალობის შენარჩუნების ფაქტია ის, რომ იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი აქვს ქართული პოლიფონია და ქვევრის ღვინის დაყენების წესი, ქართული ანბანის სამივე სახე.

## სახლის ანტურაჟი

ადამიანს ცხოვრებისათვის მრავალი აუცილებელი ნივთი სჭირდება. ელიტა მათ ხელოვნების ნიმუშად აქცევდა. მასისათვის კი მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება პქონდა.

შესაბამისად, ყოველ დროში იყვნენ მჭედლები და ოქრომჭედლები, მეთუნეები და მეჭურჭლეები, ხარაბები და თერმები, დურგლები და კალატობები, მხატვრები და კალიგრაფები...

ისინი თავიანთი ამქარს აყალიბებდნენ. პყავდათ შეგირდები, რომელთაც გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას.

ოქრომჭედელი (იუველირი) ელიტას სჭირდებოდა.

ოქროს ნაკეთობანი საქართველოს მრავალ ქალაქში მჩადალებოდა. მათ მეტწილად ქალები ატარებდნენ.

ოქრო-ვერცხლით ამკობდნენ ტანსაცმელს, ცხენს, უნაგირს, ჩიბუხს, კოვზებს, ფიალებს, ბაღიებს, საეკლესიო ნივთებს.

ქალების სამკაულები, ყელსაბამები, ძეწკვები, ბეჭდები უძველესი ღროიდანვეა ცნობილი.

რკინა და სპილენძი განკუთვნილი იყო შრომისა და ბრძოლის იარაღებისათვის.

ცივად კვერვას, დნობას, წრთობას ასევე უძველესი ტრადიცია ჰქონდა ქართველურ ტომებში.

სამჭედლო არსებობდა ყველა სოფელსა და ქალაქში, რომელსაც თავისი სპეციფიკური ტექნოლოგია გააჩნდა, რათა რკინას ზე ეცვალა, ადამიანის მოთხოვნას დამორჩილებოდა.

ოქრო-ვერცხლისაგან ფუფუნების საგნები და სამკაულები მჩადალებოდა, რომელსაც ფაქიზი და ბუსტი ხელოვნება სჭირდებოდა.

სპილენძი გამოიყენებოდა სამჩარეულოს სხვადასხვა სახის ჭურჭლეულისათვის, ისევე როგორც კერამიკა.

მათაც ისე აფორმებდა კარგი ხელოსანი, რომ პრაქტიკულ-თან ერთად ესთეტიკური ღირსება ჰქონოდა.

მრავლად ჰქონიათ ლანგრები, თეფშები, ფიალები, ტაფები.

სუფრას, სანალიმოს თუ საქორწილოს, აკურთხებდა ღვთის მსახური ანუ ლხინის მონაწილე პურით, ღვინით და ხორცითაც ღმერთს უკავშირდებოდა, არა მხოლოდ სიტყვით, ლოცვა-გალობით.

ორნამენტებით ისევ ამკობდნენ თიხის ნაკეთობებს. მათაც თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში ამჩადებდნენ.

მოჭიქული ჭურჭელი ცნობილი იყო ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან, ასევე – აგური, კრამიგი, შორენკეცი, წყალსადენის მილები.

ღვინის კულტურას სჭირდებოდა ქვევრები, ხელადები, ფიალები, სხვადასხვა ბომის ჭურჭელი.

საქართველო ხე-ტყის ქვეყანაა და ქვიტკირზე მეტად იყო გავრცელებული ხის სახლები, ხის ნაკეთობანი, განსაკუთრებული – დასავლეთ საქართველოში, ხის ავეჯი და ხის ჭურჭლეული.

ოჯახებს ხით ხურო და დურგალი ემსახურებოდნენ, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი სამუშაო იარაღები.

სახლის აგება-აშენება ერთი იყო. მაგრამ იგი უნდა გადაეხურათ, ეშვებათ ისლი, ყავარი ან კრამიტი. შემდეგ ოთახებად დაეყოთ, მოეფანათ ავეჯი და ლეიბ-საბნები, ბალიშები, სამჩარეულოს ჭურჭელი, რათა ცხოვრება შესაძლებელი ყოფილიყო.

მაპმადიანებთან მებობლობა ხელს უწყობდა ნოხისა და ხალიჩის გავრცელებას. მათი დამზადების ტექნოლოგიის განვითარებას, რაც აისახა მრავალფეროვან, დეტალიზებულ ლექსიკაში.

ჯერ კიდევ იაკობ ხუცესი და ლეონტი მროველი ახსენებენ კილიკს, რაც ყოფილა ქვესაგდები ანუ ნოხი.

ნოხებსა და ხალიჩებზე მქონელები გამოსახავდნენ მცენარეულ და გეომეტრიულ ფიგურებს, ასერალური სიმბოლიკის ორნამენტებს, ბორჯდალს, ჯვარსა და ჩიტს, სვასტიკას (ნ. გაჩავა).

ფერებითა და ფიგურებით რიტმიზებული ხალიჩებით რთავდნენ სახლის კედლებს, ნოხებს იყენებდნენ საფენად და საგებად, აგანდნენ მზითევეში.

ქსოვდნენ ბამბის, მაგყლისა და აბრეშუმისაგან, შეღებილი ძაფებით. მქსოველს მხატვრის თვალი, ფერთა შეხამების უნარი და ესთეტიკური გემოვნება უნდა ჰქონოდა, რათა დაუცვა პროპორციები და მიეღო სასურველი ფიგურები და ხაზები.

სპარსული ხალიჩები გაცილებით მეტ ხაზებსა და ფერთა გამას შეიცავდა, ევროპული გობელენები – სრული მხატვრობა იყო, რაც მქსოველ-ხელოვანისაგან უდიდეს სიზუსტეს, შრომასა და ოსტატობას მოითხოვდა (ლუდმილა კიბალოვა).

როგორც გვიჩვენებს სულხან-საბას „სიტყვის კონა“, შეძლებულ ოჯახებს, თავადებსა და მეფე-მთავრებს ჰქონდათ

ავეჯი – სკამი (სელი), სავარძელი, მერხი, საყდარი (ტახტი), ლოგინი (ფეხებიანი ფიცარი), ბანდუკი (კიდობანი), ორნამენტებითა და ფიგურებით მორთული, ჯირგვალი (კარადა), ტაბლა (ფიცარის ფეხებიანი სუფრა), ტაშტი, ბალიში (თავსადები), საგებელი, საფენი (გასაშლელი), მაგიდა (მაღალი სუფრა ფეხიანი)...

დასავლეთ საქართველოში სკამს ცვლიდა კველა (ჯირკო).

დავით გურამიშვილი ახსენებს შგაქუნს (საბანი).

სახლს ჰქონდა კერა – მუგუზლის თავის სადები.

კედლის მხატვრობა, რაც სასახლეებს ამშვენებდა, ომისა და ხანძრის დროს ნადგურდებოდა. ხალიჩა და ნოხი კი გადაჰქონდათ, ისევე როგორც ავეჯი.

ელიტა ყველა დროში კარგად ცხოვრობდა.

ქართველ დიდებულებს უყვარდათ კომფორტი, ნებიერი ცხოვრება. მხოლოდ სამდვდელონი და ბერ-მონაბვნები იცავდნენ ასკეტური ცხოვრების წესს.

იმერეთის მეფე ალექსანდრეს, თეიმურაბ I-ის სიძეს, როგორც რომის პაპის მისიონერები იუწყებიან, მდიდრულად მორთული სასტუმრო თთახი ჰქონია, სპარსული ნოხები ეგო, შადრევნები მოქმედებდა, თავადაც ძვირფასი სამოსელი ეცვა (დახაგული ჰყავს კასტელს).

ცხენი ჰყოლია ოქრომკედითა და თვალმარგალიტით მოკაზმული.

კასტელის ერთ-ერთ ნახატზე ტახტზე მჯდომი მეფის გვერდით ძაღლი დაყუნტულა.

მას და ლევან დადიანს ერთნაირი გრძელი, მაღალსაყელოანი, უმკლავო ლაბადა აქვთ მოხურული.

ცხენზე ამხედრებულ ლევან დადიანს, ვახტანგ გურულს, თეიმურაბ I-ს გრძელი შები უკავიათ. მათ ჩალმას და ჩაფხუტს გრძელი თუღი ამკობს.

აცვიათ მაღალყელიანი, ქუსლებიანი ფეხსაცმელი.

როცა როსტომმა კახეთი დაატოვებინა თეიმურაბ პირველს, ათხოვა 500 ჯორ-ცხენი, რათა კახია მეფეს თავისი და მხლებელ პირთა ქონება იმერეთში გადაეტიდა.

როცა რუსთ ხელისუფლებამ ხარჯებისა და მსახურთა შემცირებისაკენ მოუწოდა ვახტანგ VI-ის მეუღლეს, რუსუდანს, ქვრივი დედოფალი გაოცდა, მხოლოდ 46 მსახური დავიტოვე, მეტი რა ვქნაო!

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დეფალურად არის აღნიშნული დიდებულთა ფუნქცია, რასაც უზრუნველყოფნენ შესაბამისი ოდენობისა და ცოდნის მსახურები.

ეს ტრადიცია, მიუხედავად ქვეყნის სიღაფაკისა, მომდევნო დროშიც შენარჩუნებულა.

როგორც ვთქვით, მოსკოვში წასულ ერეკლე ბატონიშვილს, არჩილ მეფეს, ვახტანგ VI-ს რიცხვმრავალი ამალა ახლდათ.

ალბათ ასე მიღიოდნენ ყარაყორუმში, თავრიზში, ისპაკანში, სფამბულში.

მაგ., ვახტანგ V 1000-კაციანი ამალით გაემგზავრა ისპაკანში.

სასახლის კულტურის ანარეკლი აღწევდა გლეხის ქოხამდე და ისიც ცდილობდა შეეძინა აუცილებელი ნივთები, მოეწყო ებო-კარი, მოევლო მცენარისა, საქონლისა და ფრინველი-სათვის, შემოეხაბა მიკრო-სამყარო.

ბაროკოსა და როკოკოს სტილის ავეჯი ქართველებს არ ჰქონიათ, არც შესაბამისი ფუმფუშა სამოსელი, გარმონისებრი საყელო, პარიკები და გამაშები, დაშნები და ფრიალა ლაბადები.

## კვების სისტემა

კვების სისტემაც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. მასზე მოქმედებდა რელიგია, რელიეფი, ჰავა, სებონი.

მაგ., მოსე ებრაელებს ასწავლის რისი ჭამა შეიძლება, რისი – არა და ამას სისტემურ სახეს აძლევს.

ასევე იყვნენ ქრისტიანები და მაპმალიანები. მაგ., ქრისტიანი არ ჭამს ძაღლის ან ვირის ხორცს, მაპმალიანი – ღორის ხორცს, ბუდისტი – ძროხის ხორცს.

XVI საუკუნიდან, ამერიკის გაცნობის შემდეგ შემოვიდა მრავალი ისეთი პროდუქტი, რაც ჩვენი მენიუს განუყრელი ნაწილია (მაგ., პომიდორი, კარტოფილი, სიმინდი).

როცა გიორგი XII-ს მიუყვანეს ინდაური, მეფე შეწებდა. ღმერთო, მომკალი და ამის ხორცს ნუ მაჭმევო!

ძველ დროში ხორცი იყო მთავარი საკვები, ძირითადად – ცხვრისა. მომთაბარე ფომები პურეულს არ მოიწევდნენ, არც ჭამდნენ (მაგ., მონლოლური ტომები).

რელიგიები აწესებდნენ მარხვა-ხსნილის, საკვების მიღების გრაფიკს. ეს ხალხური დიეტაც იყო, სეზონისა და დროის მიხედვით.

ქართველებიც იყენებდნენ მცენარეულ საკვებს. ეს იყო ფხალეული (ნედლი და მოხარშელი) – ჭინჭარი, ჯიჯილაყა, ისპანახი, ბალბა, სატაცური, სვინტონი, არჯაკელი, კომბოსტო...

საკვების შესაკმაბად და სუფრაბე უხვად ჰქონდათ მწვანილეული (ქინძი, ოხრახუში, ომბალო, ტარხუნა, ხახვი, ნიორი, ქონდარი, წიწაკა, მიხაკი).

გავრცელებული იყო ძირხვენები (სტაფილო, ბოლოკი, ჭარხალი, თალგამი, კომბოსტო, მიწავაშლა), ხილკენკროვანები (პანტა მსხალი, მაჟალო, შინდი, ქოლო, მაყვალი, მარწყვი, მოცვი, კუნელი, ასკილი, მოცხარი).

მაინც ძირითადი საკვები თევზეულთან და ხორცთან ერთად იყო ჰური და ღვინო. ქართველებს მოეპოვებდათ ხორბლეულისა და ყურძნის მრავალი სახეობა (ივ. ჯავახიშვილი).

ეს მრავალსაუკუნოვანი მკვიდრი ცხოვრების შედეგი იყო, ხოლო მწყემსები, მესაქონლეები ადგილს იცვლიდნენ, სეზონურ საძოვრებზე გადიოდნენ.

ხორბლის, ქერის, სიმინდის საფქვავად მუშაობდა წყლის წისქვილები, შეძლებულ ოჯახებს ჰქონდა ხელსაფქვავიც (სკობუ).

ხორბლეულისაგან ამზადებდნენ მრავალი სახის ხმიადებს, სიმინდისაგან – ღომსა და მჭადს, ყურძნისაგან – შავ და თეთრ ღვინოებს, ცხოველური ნაწარმისაგან – ხორცს, რძეს, ყველს, მაწონს.

ხორცს ხარშავდნენ, ცეცხლზე შამფურით შეწვავდნენ (მწვადი), მიირთმევდნენ როგორც მშრალად, ისე წვნიანის სახით.

ჭამდნენ ცხვრის, ხარ-ძროხის, ღორის, ქათმის, ბატის, იხვის, თხის ხორცს. ნადირობდნენ ჯიხვზე, ტახზე, ირემზე, შველზე, კურდღელზე, ფრინველებზე (მაგ., ხოხობი, მწყერი), თევზაობდნენ ტბებსა და მდინარეებზე.

ზოგი საკვები ადგილობრივი წესით მზადდებოდა, ზოგი – უცხოეთიდან იყო შემოსული (მაგ., ბობბაში, ხაშლამა, ყაურმა, ხინკალი).

ხინკლის წინაპარი იყო მონღოლური ბუჟი, რომელიც ჩინელებისაგან შეითვისეს მონღოლებმა.

უძველესია მწვადის კულტურა, შეუცვლელი საკვები მომთაბარე ტომებისათვის, მეომრებისა და მოგბაურთათვის (შდრ – ნადირობა „ვეფხისტყაოსანში“, ავთანდილის მიერ ორბის ჩამოგდება, ქვაბში მწვადს შესწვავენ ავთანდილი, ტარიელი და ასმათი, შემდევ ბლვის პირს თხას მოკლავენ და შეწვავენ ძმადნაფიცები),

სამწვადე ხორცს გარეცხვა არ სჭირდებოდა.

როგორც გხედავთ, ვიღრე შემოვიდოდა რუსული და ევროპული კერძები, ქართველებს საკმაოდ მრავალფეროვანი მენიუ ჰქონიათ.

## სამოსი

ქართული ტრადიციული სამოსი ღროსიან ერთად იცვლებოდა. ელიტა ატარებდა უცხოურს ან მიმსგავსებულს. მასა

იცავდა წინაპართაგან გადმოცემულს, რომელსაც თავად ამზადებდა.

ამ მხრივ მასა კონსერვატიული იყო, განსაკუთრებით – მთაში (სვანეთი, რაჭა, ხევი, ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი).

ქალს ეცვა კვართისებური ჯუბა-ჩოხა, ორნამენტებით შემკული საგულეთი, თავზე ეხურათ კუჭურა, მხრებზე ებურათ და თავზეც ჰქონდათ მოხვეული დიდი მანძილი, ფერხი ეცვათ გრძელი წინდა და ნაქსოვი ფეხსაცმელი – ჩითა.

ფშავში ქალის შალის სამოსელს ჯუბა-ფაფანაგს ეძახდნენ. თავსაკრავზე ბემოთ ებურათ აბრეშუმის თავშალი – ჩიქილა, ფერადად მორთული. ფეხზე პაჭიჭები, გრძელი წინდები, ქალამნები ან ჩუსტები.

გამორჩეული იყო ორიგინალურად ნაქსოვი ხევსურული ტალავარი, ხალიჩის მსგავსი.

რაჭაში გავრცელდა გრძელი და საკინძეჩახსნლი პერანგი, ნაქსოვი ფეხსაცმელი, საგულე ახალუხი, ჩიქილა, სარტყელი და წინსაფარი.

სვან ქალს სცმევია გრძელი პერანგი, ახალუხი, კაბა-ჩოხა, ორნამენტული გულისპირით. თავსაბურავი იყო თავშალი.

დაახლოებით ასეთივეა მოხვევა ქალის სამოსიც, ოღონდურო მოქარგული ცხოველური ფიგურებით.

ქსოვილი იყო შალისა, რომელიც დაზგაბე იქსოვებოდა, გამოიყენებოდა როგორც შალის, ისე აბრეშუმის ფერადი ძაფები. ძაფებს მცენარეული ნაყენით ღებავდნენ.

ქალს მანძილი უნდა ხურებოდა, კაცს – ქუდი.

ტანსაცმლის ნაქარგები ორნამენტული კომპოზიციისა და ჯვრებისაგან შედგებოდა. მას კერპულს ეძახდნენ, ალბათ წარმართული ნიშნების გამო. ჰგავს უძველეს ფრესკებზე არსებულ ქართულ სამოსელს.

ქალს გრძელი თმები და ნაწინავები უნდა ჰქონდა, კაცს – წვერ-ულვაში. ულვაში ღირსების სიმბოლო იყო, ისევე როგორც ქუდი.

ქუდიც მრავაგვარია. მაგ., ფაფახი, ჩალმა, სვანური ქუდი, ბერის კუნკული, ჩაბალახი, თუშური ნაბდისა.

ქალწულს ქალისაგან განასხვავებდა იალქანისებური მან-დილი (ივ. ჯავახიშვილი).

თავსაბურავი იძლეოდა რელიგიურ, სოციალურ და ეროვ-ნულ განსხვავებასაც.

გლოვის ნიშნად ატარებდნენ შავ სამოსს.

XVIII საუკუნეში ფიქსირებულია ჩოხა-ახალუხი, რომელიც აცვიათ სოლომონ პირველსა და სოლომონ მეორეს, იმერთა მეფეებს.

მას ჩერქეზული ჩოხა ერქვა.

უმველესი სამოსი იყო კვართი (ჯუბა-პერანგი). შდრ – ქრისტეს კვართი). ელიფას სხვაგვარად ეცვა (მაგ., ვაბირის ბი-ბანგიური სკარამანგი, მეფეების ირანული, ბიბანგიური ძოწის-ფერი და სპარსული ფიგურული, მრავალფერი სამოსი).

ქართველი ქრისტიანი მეფეები იმოსებოდნენ ბიბანგიელი კეისრების მსგავსად.

გვირგვინი ძვირფასი ქვებით ჰქონდათ შემკული.

ფეხსაცმელი ეცვათ ჭვინტიანი, მაღალყელიანი, უქუსლო (შემდეგ – ქუსლიანიც), წითელი ტყავის ფარსიკონი.

ატარებდნენ დიადემით გაწყობილ ბისონს. ბისონის ქვეშ ეცვათ პერანგის მსგავსი ჰოდირი.

სამოსის მიხედვითაც ერთმანეთისაგან განირჩეოდა მეფე, დიდებული, ღვთისმსახური, გლეხი, ხელოსანი, ვაჭარი, ქრის-ტიანი და მაპმადიანი.

განსხვავებული იყო ყოველდღიური, სადღესასწაულო, რიტუალური, სამგლოვიარო, საქორწინო ტანსაცმელი.

XVI საუკუნიდან საქართველოში მკვიდრდება სპარსული და ოსმალური სტილი. შემდეგ მათ ემატება ჩრდილოკავკასიურიც.

სამღვდელოებას, ბერ-მონაბენებს, კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს სპეციფიკური სამოსელი ეცვათ, რაც იყო ყოველ-დღიური (შავი) და სადღესასწაულო (ოქროსა და ძოწისფერი).

მართლმადიდებელი, განსხვავებით კათოლიკესაგან, წვერს ატარებდა.

საეკლესით სამოსი და ატრიბუტიკა ნაკლებად იცვლებოდა (მათგვე ვისაუბრეთ II წიგნში და აღარ გავიმეორებთ).

ტანსაცმლის დასამზადებლად იყენებდნენ სელის, ბამბის, კანაფის, აბრეშუმის, მაგყლის ქსოვილებს.

მათ რთავდნენ ფერადი ბოლებით, ჭადრაკული სახეებით, გეომეტრიული, ცხოველური და მცენარეული ორნამენტებით, ჯვრებითა და ბორჯლალოებით, ძვირფასი თვლებით.

ქსოვილებს ფერს აძლევდნენ საღებავებით, რისთვისაც იყენებდნენ სხვადასხვა მცენარის ფოთლებს, ქერქებს, ნაყოფს.

ფერები არ ხუნდებოდა და სიახლეს ინარჩუნებდა.

როგორც ვთქვით, ქსოვდნენ ხაოიან და უხაო ხალიჩებს, ფარდაგებს, საფენ-საგებლებს, ჯეჯიმებს. მათაც ამ კობდნენ ფერადი ორნამენტებით, ცხოველთა გამოსახულებებით.

დართვა, ქსოვა, ტანსაცმლის დამზადება ოჯახებში ხდებოდა. მაგრამ ელიფას ჰყავდა პროფესიონალი მკერავები, რომლებიც ასრულებდნენ დაკვეთასა და მოთხოვნას.

მაგყლის თელვით გამოჰყავდათ ნაბდები, ქუდები, საფენები, ქეჩა და თექა. საუკუთესო იყო კრაველი – ბატქის მაგყლი (ნ. გაჩაგა).

ნაბდებიც იყო უსახო ერთფეროვანი და ნაჭრელებიანი – ფიგურების დართვით.

მამაკაცის, ერისკაცისა თუ ღვთისმსახურის სამოსი უფრო უხეში იყო, ვიდრე ქალისა.

სეგონურ ტანსაცმელს ურჩევდნენ შესაბამის ქსოვილს. როგორც დღეს არსებობს პალტო, ლაბადა, პიჯაკი, პერანგი, ისე იყო დიუვრენცირებული სამოსი სიგრძე-სიმოკლის და ფუნქციის მიხედვით (მაგ., წინდები, ყაბალახები, პაჭიჭები, საცვლები). ეცვათ ტყავის ბეწვიანი სამოსიც (ხაზიდი, კვერნა, ყარყუმი, ყარსაღი), ტყავკაბა და ტყავპუჭი.

მქსოველები მეტწილ ქალები იყვნენ, ისევე როგორც მკერავები. ხელრთვა ყველა ქალს უნდა სცოდნოდა, ასევე – რეცხვა, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, სუფრის გაშლა.

ქვედა საცვალი შარვალს ჰგავდა. ქალისას საწმერთული ერქეა. როგორც გვახსოვს, პეტრე პირველმა ბოიარებს ბრძანებით ჩააცვა ქვედა საცვალი, ასევე მათ ქალებს. ხოლო კაცები აიძულა წვერი მოეპარსათ.

მასაზე ძალდატანება არ გავრცელებულა.

გამორის სამოსელი თბილი უნდა ყოფილიყო. ასეთი იყო ტყაპუჭი. ტყავი ქარ-წვიმისა და სუსსისაგან იცავდა სხეულს.

ხმარობდნენ წამოსასხამ ქურთუკებსაც.

ეცვათ თასმებიანი ქალამნები, გრძელბეწვა ნაბადს ატარებდნენ, ყელბე ეხვიათ ყაბალახი. ღართი ერქეა საწვიმარ ნაბადს.

ბარის მოსახლეთა სამოსელი ნაკლებად არის ცნობილი. არის სტოკრაფია უფრო ეფანებოდა სპარსულ და თურქულ სამოსელს. მაგ., ვახტანგ VI-ის ან ერეკლე II-ის ტანსაცმელი.

კასტელის ნახატებზე ჩანს თუ როგორი ყოფილა ქართველი გლეხისა და თავადის მორთულობა.

ცხადია, არის სტოკრაფი უფრო კოხტა და მორგებულ სამოსელს ატარებდა, ვიდრე გლეხი, რომელიც ვერც დაკერებულსა და გაუსწებულზე იტყოდა უარს.

მამაკაცს ლაშქრობებსა და ნადირობაში სჭირდებოდა უხეში და გამძლე სამოსელი, წვიმაგაუმტარი, რაც ტყავისაგან ან თექისაგან მშადდებოდა.

არის სტოკრაფი ქალები ფერადი, მოქარგული და მოხატული გრძელი აბრეშუმის კაბებით ორთვებოდნენ. კაბა ფარავდა ფეხსაცმელს, ხელებს, ყელს (შდრ – თამარ მეფის გამოსახულებანი).

## საჭურველი

მამაკაცს სამოსის უფრო ვრცელი სპექტრი ჰქონდა, რაღაც იყო იყო მეომარი და მონადირე, მოგზაური, ხელოსანი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საჭურველს, აბჯარს, იარაღს, რომელიც იყო საძგერებელი და თავდასაცავი.

ესეც იცვლებოდა დროის მიხედვით, როგორც ეს ხდებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთ ეკროპაში.

საომარი ტექნიკის განვითარება და ათვისება წარმატების საწინაღო იყო.

ქართველურ ტომებს, საქართველოს, სამეფო-სამთავროებს მუდმივად ომების გადატანა უხდებოდათ.

ამიტომ საჭურველი აუცილებლად უნდა ჰქონოდათ. ისიც ისევე მრავალფეროვანი იყო, როგორც სხვა ქვეყნებისა, აგრესორი სახელმწიფოების.

აქ იყო ლითონის საბადოები, იარაღებს ამზადებდნენ ბრიზაოს, რკინისა და ფოლადისაგან.

შეასაუკუნეებში ქართველები იყენებდნენ შუბს, ლახვარს, ლახტს, მშვილდისარს, შურდულს, არგანს, ჩუგლუეს, ხმალს, მახვილს, დანას, ხანჯალს (ირანული ხანჯალი – XVIII ს-დან).

თავს იცავდნენ ფარით, ჯაჭვის პერანგით, ბეგთარით. თავზე ეხურათ მუბარადი, ჩაჩქანი, ჩაფხუჭი, ჩაბალახი.

ერთი პერიოდი, ვიღრე ცეცხლსასროლი იარაღი გაჩნდებოდა, ცხენიც შეჯავშნული ჰყავდათ.

შემდეგ შემთღვევის თოფ-დამბაჩა, აბგა ტყვიებით, საპირის-წამლე, კაჟი, ბარბაზანი (ქვემეხი).

საგორველ ლოდებს ციხე-სიმაგრიდან ან მადლობიდან უშვებდნენ ძირს, კედლებს ანგრევდნენ ფილკავანით.

მებრძოლთა საგზალი იყო მშრალი ხორცი, შაშხი, ჩირი, ჩურჩელა, გამხმარი ჰური.

სახალხო ლაშქარი რამდენიმე დღეში იშლებოდა, ხოლო მეფის ან მთავრის გვარდია მუდმივი ჯარი იყო.

საქართველოს, განსხვავებით ირანისა და ოსმალეთისაგან, არ შეეძლო მუდმივი ჯარი პყოლოდა, გამოეკვება იგი და დაუბინავებინა (დავითისა და თამარის შემდეგ ერთხანს მორიგე ჯარი ლეკთაგან თავის დასაცავად შექმნა ლეონ ერეკლეს ძემ).

ესეც ქართველთა დამარცხების მიზებია მარაბდის ომში:

სააკაძემ იცოდა, რომ გაშლილ ველზე ვერ შეებმებოდა ცხენოსან ყიზილბაშებს. ამიტომ ისაფრებდა ტყეებს, კლდეებს, უგბო რელიეფს.

მაგრამ თეიმურაბმა, რომელიც სარდლობდა ლაშქარს, ისიც იცოდა, რომ გლეხების მასა რამდენიმე დღით იყო წამოსული.

მას დიდხანს ლოდინი არ შეეძლო. არც სურსათი ეყოფოდა, არც მოთმინება და შეიძლება დაშლილიყო.

ამიტომ მეფის მოწოდებით სწორედ ველზე შეებნენ რიცხვ-მრავალ მტერს – სისწრაფისა და მობილობის იმედით.

XIII საუკუნიდან შემოსულა მოხრილი ხმლები.

სხვადასხვაგვარი იყო ფარები, ხმლები, მშვილდ-ისრები, შუბები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები. მაგ., ხმალი იყო სწორი, მოხრილი, ნახევარმთვარისებური (გორდა). მას ერქვა ფრანგული, დავითფერული, გველისპირული, ხვარასნული...

ჯერ კიდევ ხალიბები რკინაში ურევდნენ მარგანეცს, რათა ფოლადი კიდევ უფრო მტკიცე და ბასრი ყოფილიყო.

ქართველები საკმაო ოდენობით ამზადებდნენ იარაღს, ამბიდებდნენ თითქმის ყოველ ქალაქში. მაგრამ უხვად შემოდიოდა ნაალაფარი იარადებიც.

მეომრებს ჰქონდათ იტალიური, ფრანგული, გერმანული, სპარსული, დამასკური ხმლები.

ხმალ-ხანჯალს, ქარქაშს რთავდნენ ორნამენტებით.

მეომარის კიდურებს იცავდა საწვივე, საბარკულე, ხელსაცვამი, ჯაჭვის შარვალი და პერანგი.

ევროპელებმა ცეცხლსასროლი იარაღი XIV საუკუნეში გამოიგონეს, რომელსაც საწყისი არაბებთან და ჩინელებთან ჰქონდა.

თოფი საქართველოში იხსენიება XV საუკუნის 80-იანი წლებიდან. თავდაპირველად იყო იყო ფითილიანი, კაჟიანი, გორგოლაჭიანი.

საქართველოში იარაღებთან, თოფ-დამბაჩებთან და ხმალ-ხანჯლებთან ერთად ამზადებდნენ დენთს, თოფის წამალს.

ერეკლემ გახსნა ბარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც მაპმად-ხანმა გაანადგურა.

იარაღის სიმრავლეს სჭირდებოდა მეომართა სიმრავლე, რაც არ ჰყოფნიდა დაშლილ ქვეყანას. გარდა ამისა, საჭირო იყო იარაღის ფლობა, რაც უკეთ შეეძლო პროფესიონალ ჯარისკაცს, იანიჩარსა და მამლუქს. ასევე აუცილებელი იყო კოლექტიური ბრძოლის სტრატეგია და გაქტიკა, საომარი ხერხების გამოყენება, ომის სცენებით ფანგაზირება.

ნაპოლეონის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ერთი მამელუკი ყოველთვის ერეოდა ერთ ფრანგ ჯარისკაცს, ხუთი თანაბრად იბრძოდა, ხოლო ათი მამელუკი მარცხდებოდა ათ ფრანგთან, რადგან ევროპელებმა დანერვეს ბრძოლის კოლექტიური სტილი.

ინდივიდუალური ოსტატობა არ იყო საკმარისი.

დიდი სარდლები ავლენდნენ დიდ საომარ ხელოვნებას, რითაც ხდებოდა სიმცირის კომპენსირება, სუსტი წერტილის პოვნა.

ქართველები იბრძოდნენ ჯიქურ, ფიცხლად, სწრაფად, ხანაც – ყერადლებას აღუნებდნენ (მაგ., გარნისთან და მარაბ-დასთან) ან მოღალატეც გამოაჩნდებოდათ (მაგ., ჯალალედინთან ტფილისის დაცვისას და კრწანისის ომში).

ამრიგად, XII-XVIII საუკუნეებში ქართველთა სამოსი და საჭურველი პასუხობდა დროის მოთხოვნებს. ომში თუ მარცხ-დებოდნენ – გათიშულობის ან იმის გამო, რომ არ ჰყავდათ ისეთი სარდლები, როგორიც იყვნენ ჩინგის ხანი, ჯალალე-დინი, სუბუდაი, თემურ ლენგი.

## ოჯახის სტრუქტურა

XII საუკუნიდანაც საქართველოში ტრადიციული, უკვე კარგა ხნის წინათ ფორმირებული საოჯახო სისტემა არსებობდა, რომლის სათავეში იდგა მამა.

მას ემორჩილებოდნენ ცოლი და შვილები.

შვილთა სიმრავლის გამო ოჯახი იყოფოდა. ეს უფრო იოლი იყო მაღალი ფენებისათვის. მასას უჭირდა ეკონომიკურად (შდრ – როცა ბაღდადი აიღეს მონდოლებმა, დავით ულუს მეომრები ნაძარცვ თქმოს ყრიდნენ ქარქაშში, ხმალს კი ამტკრევდნენ და სახელურით ფარავდნენ; მკვდარს მუცელს უფატრავდნენ, შიგ თქმოს ყრიდნენ და ასე ფარულად გამოჰქონდათ). ომის ალაზი ყველას ვერ გასწვდებოდა. ამიტომ არჩევდნენ დიდი ოჯახის შენარჩუნებას.

ასე უფრო ხერხდებოდა შრომის ორგანიზება.

გაყრას ახლდა ქონების განაწილება.

ასეთი დიფერენცირება, ვთქვათ, ოჯახში, სადაც ხუთი ვაჟი ცხოვრობდა, მეტად მძიმე იქნებოდა.

გარდა ამისა, ომებში იღუპებოდნენ მოლაშქრენი. მათი ოჯახი, ახალგაზრდა ცოლი და მცირეწლოვანი ბავშვები უპატრონოდ რჩებოდნენ, თუმცა შეძლებისამებრ მეფე, ეკლესია, ფეოდალები მოწყალედ ექცევოდნენ.

დიდი ოჯახი კი, რომელსაც ასაკობრივი და სქესობრივი იერარქიის მიხედვით განაგებდა დიდი პაპა, უხუცესი (სვანეთი – ქორა მახვში), იოლად სძლევდა დანაკლისსა და დაბრკოლებას.

მაგრამ დიფერენცირება გრძელდებოდა, დიდი პაპა, ქორა მახვში თუ ხევისბერი კვდებოდა და ვრცელი სანათესაო, სხვა-დასხვა თაობა გაყრის აუცილებლობის წინაშე დგებოდა.

აღწერა ხდებოდა კომლების მიხედვით (მაგ., მონდოლების მიერ), რომელიც იყო დიდიც და პატარაც.

ოჯახის სტრუქტურა იყო სახელმწიფოს უჯრედი, რომელიც ბრდიდა ახალ თაობას და გადასცემდა ტრადიციულ-ქრისტიანულ ცოდნას, ბნეობას, ეტიკეტს.

სისხლით ნათესაობა ყველა დროში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

ოჯახში წესრიგს, ასაკობრივ, სქესობრივ, ძალისმიერ იერარქიას, ფუნქციების დანაწილებას ზოგჯერ მაინც ახდლა შიდაკონფლიქტები, რაც წარმოშობდა გაყრის აუცილებლობას.

მას ვერც ავტორიტეტული, დაფასებული, გონიერი მამა აჩერებდა.

ქალის გათხოვება გარიგებითა და მშობლების დასტურით ხდებოდა, ოღონდ – ერთი სოციალური წრის შიგნით. მაგ., გლეხი დიდებულის ასულს ვერ შეირთავდა, დიდებული გლეხის ან ვაჭრის ქალს არ მოიყვანდა.

მეტწილად მეფე ქორწინდებოდა უცხო მეფის ასულზე ან მოჰყავდა თავისი გვარის ქალი (მაგ., ბავრაგიონებს).

XVII-XVIII საუკუნეებში ამ წესის დაცვაც ძნელდებოდა (მაგ., როსტომის ცოლი იყო მარიამ დადიანი, ერეკლე II-ისა – დარეჯან დადიანი. თავად ერეკლეს დედა იყო თამარ ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ასული).

ქართველი პრინცესები მიჰყავდათ შაჰებს, მათ ნათესავებს და ჰარამხანას ავსებდნენ (მაგ., თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, ვახტანგ V-ის ასულები).

ადრე ბიბანგიაში თხოვდებოდნენ (მაგ., მარიამი, ორგბის დედოფალი, დავით ალმაშენებლის მამიდა, კატაი – დავითის ასული), ან – მუსულმანურ შარვანსა (მაგ., დავითის ასული თამარი) და დარუბანდში (მაგ., დემეტრეს ასული), ხორასანსა (თამარის მამიდა რუსულდანი) და ერმარეუმში (თამარის ნახევარდა), რუმში (რუსულდანის თამარი-გურჯი ხათუნი)...

ქალები, როგორც ვთქვით, ადრეულ ასაკში თხოვდებოდნენ. მშობლების ჩარევის გარეშე ქორწინება გამნელდებოდა, რადგან მკაცრი ეთიკური კონტროლის პირობებში ქალ-ვაჟებს

არც ჰქონდათ ერთმანეთის გაცნობის, ნახვისა და დაახლოების საშუალება.

შემდეგ გაჩნდა მაჭანკალი, რომელიც მოარიგებდა ოჯახებს, აკავშირებდა ქალ-ვაჟს, აცნობდა პირობებს (მაგ., მზითე-ვისა).

არსებობდა შვილად აყვანის წესიც.

მრავალშვილიანობას, მეტწილად დაბალ ფენებში, იწვევდა ის, რომ ქალებს არც შეეძლოთ მუცლის მოშმა. ეს სარისკო და სახიფათო იყო. მრავალშვილიანობა სწრაფად აღადგენდა სა-სიცოცხლო ბალანსს.

გარდა ამისა, ოჯახს მუშახელი სჭირდებოდა. კომფორტი მათ არ იცოდნენ და ფუფუნებას არც არავინ დაეძებდა.

ელიფაში იშვიათად იყო მრავალშვილიანობა (ერთ-ერთი გამონაკლისია ერეკლე II, რომელსაც უამრავი კანონიერი შვი-ლი ჰყავდა). სამეფო ოჯახი, თავადი და დიდებული გაურბოდა ქონების დანაწილებას, შემდგომ დაყოფას.

ამას აღწევდა სექსის შებდევით (შდრ – ვიორგი XII).

მოღალატე ცოლი სასტიკად ისჯებოდა. ქალს უნდა დაეცვა ოჯახის ღირსება. ამას მოითხოვდა ეკლესია და მნეობაც.

ოჯახის სტრუქტურას, რომელიც ერთცოლიანობას უფუ-მნებოდა, ბოგჯერ ცვლიდა გარემო (მაგ., მონღოლების დროს), პოლიტიკური სიტუაცია (მაგ., ვახტანგ V-მ ცოლად შეირთო როსტომის მეუღლე მარიამი), სოციალური პრინციპი (დინას-ტიური ქორწინება).

თავისუფალი სიყვარულით ოჯახი იშვიათად იქმნებოდა, შდრ – როგორ წინააღმდეგობას აწყდება ნესტანისა და ტა-რიელის სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“.

აღმოსავლური და მაპმადიანური მრავალცოლიანობა ქარ-თველებმა არ მიიღეს. ისინი ისედაც კარგად მრავლდებოდნენ.

მუდმივი ომიანობა, ქვრივთა სიმრავლე ბიძგს აძლევდა პროსტიტუციას, ოღონდ არა იმ მასშტაბით, როგორც ეს იყო რესეთსა და ევროპაში, ან იუნდაც ჰულაგიანთა ირანში.

ლოთობაც ყოფილა პრობლემა, რასაც გმობდნენ იოანე ბე-დაბნელი (VI ს.), იოანე ბოლნელი (X ს.), სულხან-საბა (XVIII ს.).

ტრადიციული ცხოვრების წესს მაინც არყევდა მაჰმადიანური გარემოს სიახლოვე, როცა ცოლის გვერდით ელიტარულ წრეში ჰყავდათ საყვარლები (მაგ., უკანონო შვილები ჰყავდა ვახტანგ VI-ს. ხარჭისნაშობი იყვნენ დავით ულუ და როსტომ მეფე).

უკანონო შვილის უფლებები სოციალურად იზღუდებოდა. ეკლესია იცავდა მორალს, ოჯახის სიწმინდეს, ქალის ღირსე-ბას.

შეზღუდული იყო ცოლ-ქმრის გაყრა.

ქორწინებას (ჯვრისწერას), ნათლობას, დაკრძალვას განა-გებდა ეკლესია, მღვდელი და მღვდელმთავარი.

როგორც განათლება, ისე ოჯახი, პიროვნების მორალი ეკლესიის ხედვისა და ბრუნვის არეში იყო მოქცეული, რაც მათ აკავშირებდა უფალთან, უფლის ნებასთან, ქრისტესთან, მაგ-რამ არა ისეთი სიმკაცრით, როგორც ეს იყო ვრიგოლ ხანძთე-ლის დროს.

ადამიანთა ურთიერთობას, ქონების საკითხს, კონფლიქ-ტებს, მემკვიდრეობას, სოციალურ იერარქიას აწესრიგებდა სა-მართალი.

კანონსა და სამართალს ძველ საქართველოში დიდი ყუ-რადღება ექცეოდა, თუმცა ხშირად არღვევდნენ და თვითნებურ ცხოვრებას არჩევდნენ.

პოლიტიკურ ინგრიგებს, ხელისუფალთა ძალმომრეობას, ასეთ დროს გამოჩენილ დალაცსა და მკვლელობას კანონი ვერ არეგულირებდა.

ზნეობაც ირღვეოდა. არც ძარცვა-გლეჯა შეზღუდულა. თუმ-ცა ძალადობას და ავად მოქცევას ყველა გმობდა.

არეულ, მშფოთვარე, დაჩაგრულ და ღატაკ ქვეყანაში სა-მართალს არ ჰქონდა მკვიდრი საფუძველი. ამიგომ მოქმედებ-და ადათი – შერისძიება.

ოჯახები სოციალური წრის მიხედვით ამყარებდნენ ერთ-მანეთთან ურთიერთობას. ეს იყო იერარქიული, სისხლითი, მოყვრობითი, სამსახურებრივი, რელიგიური, ხელოვნური (მაგ., ძმადნაფიცობა, მეჯვარეობა, ნათელმირონობა).

თითოეული მათგანი რთულ სისტემას აყალიბებდა.

ამ წეს-ჩვეულებას მობარდი ოჯახში ითვისებდა, ისევე ინსტინქტურად, როგორც მეტყველებას.

აქ მნიშვნელოვანი იყო დედის როლი.

მშობლებისადმი პატივისცემას განამტკიცებდა ეკლესია, ასევე – წინაპრებისა და ნათესავებისადმი.

ქორწინება, ქალის გათხოვება, რძლის შემოყვანა ოჯახის მომავალს უკავშირდებოდა, სიცოცხლის გაგრძელებას, ქონების გადაცემას.

ბიოლოგიური ინსტინქტების რეალიზებას, ქალისა და ვაჟის შეერთებას რთული ეტიკეტი განსაზღვრავდა.

მას გლეხი ვერც დაიცავდა. მაგრამ ქორწინების რიტუალი, მისი მომზადება, გამართვა ნიუანსობრივად იტოტებოდა და ივ-სებოდა ელიტარულ წრეში (მაგ., მზითევი, სუფრა, ჯვრისწერა).

ყველაფერი წვრილმანამდე იყო გაანგარიშებული.

დაბალ ფეხებს პქონდათ ეტიკეტის მარტივი, სტიქიურად შემუშავებული ფორმები. იქ მობარდი შრომის პროცესში იმზდებოდა, ელიტა უფლებოდა საბარძლო ხელოვნებას, ცოდნას, მაღალი წრის წეს-ჩვეულებებს.

წარმოიქმნებოდა ნათესაური ქსელი, როცა თითქმის ყველა თავადი ერთმანეთს უკავშირდებოდა ან თუნდაც გლეხი და აზნაური.

ასეთი სიახლოვე სიმყარეს აძლევდა ურთიერთობებს და კონფლიქტიც ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

ოჯახი და ნათესაური სისტემა საფუძვლად ედებოდა სოციალურ კულტურასა და სახელმწიფოს (მაგ., ერთმანეთის ნათესავები იყენებს ქართლის ბაგრატიონები, ორბელიანები, ბარათაშვილები და დადიანები, ბაგრატიონები და აბაშიძეები, ბაგრატიონები და გურიელები, ადრე – ჯაყელებიც).

## პიგიენა

ადამიანს მთელი სიცოცხლე უწევდა გარჯა და ბრძოლა საკვების, სასიცოცხლო პირობების მოსაპოვებლად, ეპიდემიებისა და სწრეულებების დასაძლევად.

ამიტომ აუცილებელი იყო პიგიენის ნორმების დაცვა. მაგ., ფფილისში უძველესი ღროიდან ფუნქციონირებდა აბანოები, რაც განთქმული იყო მეზობელ ქვეყნებში, ეს მაშინ, როცა ჩინგის ხანამდე მონღოლები სიკვდილით სჯიდნენ მას, ვინც ტან-საცმელს გარეცხავდა ან ტანს დაიბანდა.

მთაში ქალი მშობიარობისა და მენსტრუაციის ღროს ოჯახისაგან იზოლირებული იყო.

ასე უფრო ხერხდებოდა პიგიენის დაცვა.

მოსახლეობა იყენებდა მდინარის, წყაროს, წვიმის, ჭის წყალს, როგორც საბანაოდ, ისე ჭურჭლისა და სამოსის გასარეცხად, საკვების მოსამზადებლად.

განსაკუთრებით აუცილებელი ყოფილა ფეხისა და თავის დაბანა (შდრ – ქრისტემ ფეხი დაბანა თავის მოწაფეებს), თმის მოვლა.

საამისოდ პქონდათ გობი და ტაშტი.

ქალები სახის მოსართავად იყენებდნენ სარკესა (მიჭური-ფანი) და ნაირგვარ ფერუმარილს. კაცისათვის წვერ-ულვაში და ქუდი სინდის-ნამუს უკავშირდებოდა, ქალისათვის მანდილი და გრძელი თმა.

თმას მეტწილად ოქროსფრად და წითლად იღებავდნენ (გვირილის ყვავილითა და ინით, მთაში – საქონლის შარდი-თაც).

მთაში, გამთარში, სადაც წყალი ჭირდა, განბანგას არავინ ეშურებოდა.

საქართველოში ფეხსალაგი ფიქსირდება პირველი საუკუნეებიდან, ფიქსირდება სოფლებში, ქალაქებში, მონასტრებში.

XIII საუკუნის „წიგნი სააქიმოი“ მას უწოდებს „ავხანას“, სულხან-საბა – „ავხანა-სანეშტეს“, რომელიც პქონდათ ეზოში, სახლისაგან მოშორებით.

პიგიენას გაცილებით უკეთ იცავდა ელიტა, ვიღრე მასა, თუმცა უჭირდათ. მაგ., ევროპაში ებრძოდნენ მკბენარებს, რომელთაც ინფექცია გადაპქონდათ (ბაღლინჯო, ტილი, რწყილი).

თურმე თვით ისეთი სისუფთავის მოყვარული დედოფალი, როგორიც იყო ეკატერინე მედიჩი, სამ თვეში ერთხელ ბანაობდა! ბანაობას ერიდებოდნენ, სხეულისათვის მავნედ მიაჩნდათ.

პარიზში როცა შემოიღეს დამის ქოთანი, რაც თითქოსდა კომფორტის ნიშანი იყო და ენაცვლებოდა საპირფარეშოს, მთელი ქუჩები ყარდა, რადგან სიბინძურეს პირდაპირ ქუჩაში აქცევდნენ. ტუალეტის ქაღალდი XVIII საუკუნემდე არ არსებოდა.

ქალაქებში შებზუდული იყო საპირფარეშოების რიცხვი, კანალიზაცია და წყალგაყვანილობა. შესაბამისად, ძნელდებოდა ტანსაცმლის გარეცხვა და ბანაობა.

ასე იქნებოდა საქართველოშიც, მეტ-ნაკლები სოციალური კორექტივით.

ამ მხრივ უკეთესად იყო საქმე ტფილისში, რომელსაც პქონდა გოგირდოვანი ცხელი წყლის აბანოები და მდინარე მტკვარი.

აქ მტკვრის წყალს სასმელად იყენებდნენ, დაპქონდათ მე-თულუხებებს.

პიგიენა და ეტიკეტი, ისევე როგორც სამოსელი და ცხენიარალი, გარეგნულადაც ერთმანეთისაგან განასხვავებდა ერთი რჯულისა და ერთი ეროვნების სოციალურ ფენებს.

## 2. მასის სულიერი კულტურა

### თამაში და სახიობა

ეკლესია ელიტისათვის ცეკვა-თამაშს, სახიობას, ბერიკაობას კრძალავდა. ადამიანი ერთსახოვანი, მართალი და ერთგული უნდა ყოფილიყო. ეკმარათ გალობა, სიმღერა მდაბიოთათვის დაეთმოთ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, მხედრობის აღზევება ახალ ტენდენციებს წარმოშობდა და ნადიმებს, ნადირობას ახლდა ცეკვა-თამაში, ლექსთა შეჯიბრი, მსახიობური გარდასახვანი.

XII საუკუნეში უკვე იყიან პოლოს თამაში (ცხენბურთი). იგი დაუხატავს კასტელსაც ანუ ახალ საუკუნეებშიც მისდევდნენ.

რესთაველი ახსენებს მობურთალსა და მოედანს, ჩოგანს.

თამაშობანი ახლდა ბავშვის აღზრდას – გართობა, ხტომა, ცოცვა.

თამაშობა გადაღიოდა სახიობაში, ცეკვა-სიმღერაში და ასეთი გართობით ყრმა იძენდა სიმარდეს, სისხარფეს, მოქნილობას.

შემდეგ ამათ ერთვოდა ცხენითა და იარაღით ვარჯიში, ქალებში – ხელსაქმის, ქსოვის, ქარგვის, ძაფის გამოყვანის ათვისება.

რიკ-ტაფელა, შურდული, ბურთაობა ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. საბავშვო გასართობი თამაში ყოფილა „ნიშხა ნიშხა ბარბალუკა“, როცა ერთი ხელჩაკიდებული გუნდი წყვეტდა მეორე გუნდს და ატყვევებდა ბარბალუკას.

განსაკუთრებით სჭირდებოდა ვაჟებს ამტანობის, გამძლეობის ჩვევების გამომუშავება, ვოგონებს – დედოფალას თამაში, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მინიატურული ოჯახური გარემო. ასეთი გართობა მოგარდში აღრეული წლებიდანვე ავითარებდა დედობის ინსტინქტებს.

გავრცელებული თამაშები იყო ჭიაკონისა, ლამპრობა, თაგვობანა, ჩიტი-ფაფაობა, ლიდშნალი, მწყემსობანა, ჭიდაობა, დოღი... .

წერა-კითხვის უცოდინარი მასა ერთობოდა ზღაპრებით, ლეგენდებით, შაირ-სიტყვაობით, კაფიებით. ორი პირი ერთმანეთს ლექსად ეკამათება და აქ ავლენს თავის საზრიანობას, იუმორის გრძნობას, რომანტიკას, საგმირო სულისკვეთებას.

ხალხური ცეკვა-თამაშები, დღესასწაულები პრა-სპექტაკლებია, თეატრისა და დრამატურგიის საწყისი.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქართულ კულტურას ემატება დრამატურგია, რაც იყო ბაასის ქანრის მოდიფიცირება, და თეატრი, არა როგორც ხალხური სახიობა, არამედ – პროფესიულად ორგანიზებული. ერეკლეს სასახლის კარის მსახიობთა უფროსი ყოფილა მაჩაბელი, მესაბანდრე, რომელიც კრწანისის ბრძოლაში დაღუპულა.

ხუმარებიც ივივე მსახიობები იყვნენ.

ახლა ვნახოთ „სიტყვის კონა“ (XVIII ს-ის I მეოთხედი).

თამაშობას სულხან-საბა სანახაობად მიიჩნევს და გამოყოფს მის რამდენიმე სახეობას. ესენია – ასპარეზობა, მღერა, ფუნდრუკი, ხუნტრუცი, როკვა და შექსევა.

ასპარეზობა სპორტული შეჯიბრია, მღერა – სამორინოთა თამაში, ფუნდრუკ-ხუნტრუცი – ქალ-ვაჟთა თამაშ-გართობა, როკვა – ცეკვა და ბუქნა ებანისა და ფანდურის თანხლებით, შექსევა – მარჩიელობა-მკითხაობა.

ცალკე განიხილავს სახიობას, ეს არის საკრავთხმოვანება, გალობა და სიმღერა, მუსიკა.

გალობა არის ღვთისმეტყველებითი „ტკბილად თქმული მადლობა“, ავაჯიანი შეწყობით (ავაჯი – „ხმა მომაღლო გრძელი“), ღიღინი – საამო ხმის თქმა.

საკრავებიდან დასახელებული და განმარტებული აქვს – ნესტვი – ნახვრეტიანი საკრავი, ნაღარა, სამბიკი, დუმული, სპერმური და სპილენჭური.

სამორინედ იხსენიებს მენარდეთა სახლს, მორინეს უწოდებს ნარდის, ჭადრაკის, განჭაფას თამაშს (მღერას), ხოლო მორი არის „მამაკაცის ასო სარცხვინელი“ ანუ სამორინე დღევანდელი გაგებით ყოფილა ბორდელი და კაბინო.

მთვრალის სამეძაო ტრუიალებათა აღმძვრელი ხუმრობა-მასხარაობა, სიმღერა და როკება არის სიღოდა, კერპთა მიმართ შეწირვა – ბორვა, თიაგრო (თეატრი) – სამღერელ-საროკავი ზღუდემოვლებული ადგილი, სადაც, აგრეთვე „სტანჯავდნენ მოწამეთა“.

მასხარი (ხუმარი) არ აქვს განმარტებული.

როგორც ჩანს, სუფრაზე, ნადიმზე იყო არა სადღეგრძელო, არამედ – ლოცვა (ლალოცვა), რაც არის „ღვთისა მიმართ აღსვლა“, ვეღრება და თხოვნა უფლისადმი, ღღესასწაული – უფლის სავეღრებელი დღე. მაგრამ იყო სიტყვა – მზეგრძელი, დღეგრძელის სინონიმი.

დალოცვის დროს სიტყვის მთქმელი ფეხზე იღგა და ქუდი მოხდილი ჰქონდა (იხ. კასტელთან).

როგორც რუსთაველი, ისე სულხან-საბაც ასახელებს ჩოგანს – საბურთალ კავს. ბურთი მრგვალი მეშია, მეში – ცუდი სამოგვე; მოგვი – ჩექმა.

სულხან-საბა არ იხსენიებს პოლოს (ცხენბურთი), რაც გავრცელებული იყო დავითის დროსაც კი. მაგრამ თვით სპარსული ჩოუგან ნიშნავს ცხენბურთს.

თამაში, გართობა, სახიობა, ცეკვა-სიმღერა ადამიანის ნეპრობთაგან განმუხტვა და ახალი ძალით აღვსება იყო.

## გეპირი სიტყვა

რაც ფიქსირებული არ არის წერილობით წყაროებში ან თუ არქეოლოგია არ გვაწვდის ცნობებს, მნელია მოვაქციოთ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში.

ეს მითუმეფეს ითქმის ბეპირსიგყვიერებაზე, ხალხური ცეკვისა და სიმღერის კონკრეტულ მაგალითებზე. შეიძლება ბევრი მათგანი შეიცვალა, ბევრმაც ვერ მოაღწია. მათი დათარიღება, ისტორიულ ეპოქასთან მისადაგება, თუ არ არსებობს რაიმე მონაცემი, მხოლოდ გონიერაჭკვერეტით – მეტისმეტად სათუოა (მაგ., როდის შეიქმნა „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ ან „ჩაკრულო“ და „მრავალეამიერი“ ან ცეკვის სახეობანი).

არადა – როკება, ჰიმნები, მითები, სიმღერები, სისხლიანი და უსისხლო რიტუალები სათავეს იღებს ტოტემისა და ტაბუს უძველესი კამიდან. ისინი იცვლებოდა, ბოგი ქრებოდა, შემოდიოდა ახალი, მაგრამ თავად პროცესი ცოცხლობდა მასებში, ცოცხლობდა მითოსურ და ისტორიულ ეპოქებში.

ხალხური პოეზია მაინც ინარჩუნებდა, ალბათ გარკვეული დროის მანძილზე, ისტორიის ანარეკლს, ისტორიულ სახელებს. მაგ., ლექსები ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე („თამარ დედოფალო“, „თამარ მეფე და ხონთქარი“), შალვა და ივანე ახალციხელებზე, ნუგბარ და ბურაბ ერისთავებზე, ბახტრიონის გმირებზე, ერეკლე მეფეზე, სოლომონ მეფეზე.

ალბათ ამ ლექსებს თანამედროვე თხზავდა, რაც შემოინახა ხალხის მეხსიერებამ. ბევრი დაიკარგებოდა, ბოგი რამ შეიცვლებოდა.

ხალხს უყვარდა გმირი, როგორც ქვეყნის ფარი და მახვილი, სტულდა მტერი და მოძალადე, უყვარდა საფრფო. მათგეთხმავდა ლექსებს, ან იმ საგნებსა, მოვლენებსა და ადამიანებზე, რომელთაც ხედავდა, რაც მოსწონდა ან არ მოსწონდა, თავის ვარამსა და სიხარულს ლექსად აღმოთქვამდა.

ბოგი ლექსი საგმირო იყო, ბოგი – საფრფიალო ან საქილიკო და სალალობო, ბოგიც – ფიქრიანი, საწუთოს დარღით სავსე (მაგ., ხოგაის მინდია).

სახალხო მთქმელები ისტორიკოსები ან კარის მგოსნები არ იყვნენ, რომ ყოველი ფაქტი აღენუსხათ, ყველა მეფე შეემკოთ (მაგ., ხალხური ლექსი არაფერს ამბობს დავით აღმაშენებელზე, მარაბდის, ბასიანის ან დიდგორის ბრძოლებზე).

გოგი ლექსი შეიძლება მითოსური დროიდანაც მოღიოდეს (მაგ., „მზე და მთვარე“, „ლილე“, „მზე შინა და მზე გარეთა“) ან ისტორიის სიღრმიდან (მაგ., ლექსები ლაშარბე, გუდანსა და სახმაფბე, ლომისსა და იახსარზე).

ძნელია თქმა ამირანის ციკლის ლექსები როდინდელია, ძველი წელთაღრიცხვისა თუ მოსე ხონელის გავლენით შეთხ-ბული.

გმირის იდეალი ყოველთვის არსებობდა. ამიტომ მეომარი მუდან იყო ღირსებით შემოსილი. მათზე ლექსები უფრო მთამ შემოინახა (სვანეთი, ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი), ისევე რო-გორც მონადირეებზე.

გოგ ლექსში ისტორიული ავტედითობა ჩანს (მაგ., „მანდ რომ ქალა დავიკარებე“, „ის მამაძალლი ლეკები“, „ტირიან თუ-შის ქალები“, „წოვეთში გიგის ციხეო“). განსაკუთრებით ხში-რია ლეკებსა და ქისტებზე, მათთან ბრძოლებზე შეთხბული შაირები, კონკრეტულ გმირებზე (მაგ., „ბაღათერა ჯაბუშანუ-რი“, „თორლვა“, „ხოხობბედ“, „ქიბბარაული“).

ისტორიულ რეალობას ასახავს „შემომეყარა ყივჩაღი“. ეს ლექსი აღბათ XII საუკუნეში შეითხბა. XV და XVI საუკუნის მეოსანი ყივჩაღს რაფომ მოიგონებდა, თვალწინ ისედაც უხვად ედგა საგმირო თუ სამწუხარო ფაქტები.

„გარაის ლაშქრობა ქისტებზე“ მაშინდელია, როცა ფშავ-ხევსურებმა დაიკავეს შატილი, დაამარცხეს ქისტი ვარდანი და გამოყარეს ქისტები.

აღბათ XVII-XVIII საუკუნეებშია შეთხბული „ვეფხისა და მოყმის“ ბაღადის I ნაწილი (II ნაწილი – „იარებოდა დედა“ XX საუკუნისაა), სადაც ნახსენებია თოფი.

ხოლო თავად ვეფხისა და მოყმის შეტაკების სიუჟეტი ნა-სესხები უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნიდან“.

კიდევ უფრო ახალი ჩანს ჯარჯის ლეგენდა, რასაც გვიჩვე-ნებს ლექსიკა – „ხირიმი სპილოს ძვლიანი“, „თოფი სიათა“.

საყოფაცხოვრებო ლირიკა ან საფრფიალო ლექსები ყოველ დროში ითხმებოდა, ისევე როგორ ნატირლები.

ვერავინ იტყვის თუ კონკრეტულად რომელ დროში ცხოვ-  
რობდა ავტორი ლექსებისა „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ხვარამ-  
ბე“, „შენ ჩემო დიდო იმედო“, „ხომალდში ჩავჯექ“, „თებრონე  
მიდის წყალბედა“ ან როდის შეითხბა შემორჩენილი კაფიები,  
ერთსტროფიანი ლექსები, ანდაბები, ზღაპრები, როდის გაჩნდ-  
ნენ პერსონაჟები (მაგ., დევი, ნაცარქექია, ხარი წიქარა, ოჩო-  
კოჩი, ოჩოპინტრე, მინდია...).

ცხოველთა სამყარო, ნადირობა, წყალი და ტყე ადამიანს  
ყოველთვის უყვარდა, ფრინველი, ნადირი, მზე და მთვარე მისი  
ყოფისაგან განუყრელი იყო, მათგე ფიქრობდა მეოცნებე,  
მათით ცხოვრობდა და მათგე თხბავდა ზღაპრებსა და შაირ-  
სიტყვებს. წუთისოფელს, ქვეყნის სიავეს, სიბერეს ყველა დრო-  
ში უჩიოდნენ, ასევე – საგროოს გულგრილობას, განშორების  
სიმწარეს, სიკვდილსა და უბედურებას (მაგ., „სიკვდილმა ჩამო-  
იარა“), დალაცსა და ორგულობას. ლეგენდებს, ზღაპრებსა და  
ლექსებს თხბავდა წერა-კითხვის არმცოდნე, რომელსაც არ  
ჰქონდა განათლება, მაგრამ ჰქონდა ნიჭი.

ისინი ბეპირად, სიმღერით ან დეკლამაციით ვრცელდებო-  
და, არავინ იყო ჩამწერი.

ავრცელებდა მწყემსი და გუთნისდედა, მონადირე, მეომა-  
რი, შეყვარებული, ისევე როგორც ისინი იყვნენ მთქმელები.  
ამიტომ მათ უწმაწური ლექსიკაც ახლდა, რასაც ჰქონდა ეფექ-  
ტი.

იავნანური ლექსების ავტორები ალბათ უფრო ქალები იქ-  
ნებოდნენ.

ძველ დროში, როცა ხალხი წერა-კითხვის უცოდინარი იყო,  
გარდა სასულიერო და საერო ელიტისა, უფრო ვრცელდებოდა  
ბეპირი სიტყვა, ლეგენდა, ზღაპარი, საგმირო და საგრფიალო  
სიმღერა, ანდაბა, კაფია, ეპიტაფია.

მათ ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება. მაგრამ ასევე იქმ-  
ნებოდა სიტუაციის შესაბამისად (ომი, ლხინი, გლოვა, შრომა),  
თავისუფალი იმპოვიზირებით როგორც თამაში, გართობა,  
თვითგამოხატვა.

## ცეკვა და სიმღერა

გეპირი სიგყვა გადადის სიმღერაში, მოძრავი თამაშობანი – ცეკვაში, რაც საუკუნეების მანძილზე ჰქოვებდა წესრიგსა და სიმღერიას, ჰანგისა და მოქმედების სიტუაციებს.

საწესჩვეულებო, საგმირო, საგრაფიალო, სააკვნო სიმღერები დაკავშირებული იყო შესაბამის ხალხურ დღესასწაულებთან.

დროთა განმავლობაში ცვლილებათა პროცესი აყალიბებდა მრავალხმიან პოლიფონიას, განსხვავებით სპარსული ერთხმიანი, ბაიათის ტიპის სიმღერებიდან.

სიმღერაში ერთმანეთს ერწყმოდა ლექსი და ჰანგი.

ენის მსგავსად ხდებოდა მუსიკის, ფუძე-ჰანგის დიალექტიზება. ამიტომ განსხვავდება ერთმანეთისაგან მეგრული, სვანური, რაჭული, გურული, ხევსურული, კახური სიმღერები.

მუსიკასა და ცეკვაზე გავლენას ახდენდა ისტორიულ-კუთხობრივი დაყოფა, რელიეფი (მთა და ბარი), რეგიონი (აღმოსავლეთი და დასავლეთი), ენა (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური), რაც ცვლილ ინგონციას, მრავალხმიანობას, სასიმღერო ტექსტს, მელოდიკას.

ხმით ნატირალი (გვრინი) იმპროვიზებული რეჩიტატივი იყო და სწრაფად ქრებოდა. მაგრამ ცალკეულ ვარიანტებს იხსომებდა ხალხი.

სალოცავების შემდეგ სრულდებოდა ფერხული. ფერხულის რიტუალი ასევე ასახავდა ომის სცენებს, ქორწინებას, შრომის დიდებას, მოსავლიანობას.

მრავალხმიანია ჩრდილოკავკასიელი ხალხების მუსიკალური კულტურაც. პოლიფონიური ფორმების მსგავსება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს გენეტიკურ ერთიანობას, ურთიერთნათესაობას, ისევე როგორც ენობრივი სტრუქტურა, ანთროპოლოგია, ცეკვა-თამაშები.

ქართულ მუსიკას აკავშირებენ წინააზიასთან, ხმელთაშუა-ბლვისპირეთთან, იქაური ღმერთების კულტთან (მაგ., იავნანას – დიდი დედა-ნანას კულტთან).

პოლიფონია გადავიდა საეკლესიო საგალობლებშიც, რაც აისახა პიმნოგრაფიის სანოტო ნიშნებში (ნევმებში). მათ ეხებოდა ითანე პეტრიწი, უთითებდა მიქაელ მოდრეკილი (იხ. „ტექსტის მუსიკალური განკვეთა“ II წიგნში).

სახიობას, ცეკვა-სიმღერებს, გართობა-თამაშებს ახლდა როგორც ორიგინალური საკრავები (სალამური, ფანდური, ჩონგური), ისე შემოსული (მაგ., არღანი, ბურნა, დაფდაფი).

უძველესი ძვლის სალამურები აღმოჩენილია მცხეთაში (ძვ. წ. XV-XIV სს.), აჭარასა და უფლისციხეში (ძვ. წ. VII-VI სს.).

ე.წ. ყაბბეგელი მუსიკოსის საკრავი პგავს არფასა და ლირას (ძვ. წ. VI ს.).

ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა იცნობს საკრავთა მთელ სპექტრს, რაც ფიქსირებულია წერილობით წყაროებშიც – ავლი, ბუკი, ნესტვი, საყვირი, სტვირი, სალამური, ქნარი, ჩანგი, სპერამური, ქოსი, წინწილა, ბარბითი, ებანი, კითარა, ჩაღანა, ჭუნირი, ლარჭემი//სოინარი, დოლი, დაირა, ფანდური...

ისინი იყოფოდა ჩასაბერ, დასარტყმელ, ჩამოსაკრავ მუსიკალურ ინსტრუმენტებად და ანალოგი მოეპოვებათ ჩრდილო-კავკასიელ ხალხებთან.

სიმღერებისა და საკრავების მსგავსად ცეკვებიც უკავშირდებოდა გარკვეულ პროცესებსა და ცერემონიალებს, ეს იქნებოდა ქორწილი, ძეობა, შრომა, გლოვა თუ ბრძოლა (მაგ., ხანჯლური, მხედრული, ხორუმი).

ომის პროცესს, ვარჯიშს ომისათვის ასახავდა ფარიკაობა, რაც ასევე იქცა ცეკვის ხელოფნებად (მაგ., ხევსურული).

როკკვა-ცეკვის რიტმიკას ააქტივებდა საკრავები და ლექსად თქმული სიმღერა, საგმირო და საფრფიალო ჰანგები.

ფერხულები, რიგუალური ცეკვები აღმოჩენილია უძველეს ნივთებზე, პიფოსებსა და ბალთებზე, მუმარალებსა და თასებზე. ისინი ჩანს ანთროპომორფული ფიგურების დინამიკაში.

ბერიკაობა, ყევნობა, სასახლის სახიობანი იქცეოდა თეატ-რალიზებულ დღესასწაულებად, ნიღბების კარნავალად, სახალხო წარმოდგენებად.

სამაიას ცეკვა შემონახულია სვეტიცხოვლის ერთ-ერთ კედელზე (XVII ს.). ნაყოფიერების კულტს ეძღვნებოდა შიშველი ქალების ცეკვა, უწმაწური სიმღერები, პანგომიმური სექსუალური სცენები (მაგ., სვანური ლამარიობა და საქმისაი).

ცეკვა „ქართულს“, რომელსაც ადრე „ლეკურს“ ეძახდნენ, ქართველები ასრულებდნენ XVIII საუკუნეშიც.

მთელ კავკასიაში გავრცელებულია სვანური „ცერულის“ მსგავსი ცერით შესრულებული ცეკვები, ორ და სამსართულიანი ფერხულები.

ჰიბრიდული თბილისი ამკვიდრებდა სპარსულ-თათრულ ერთხმიან ბაიათებს, საკრავებს, ცეკვებს (მაგ., კინტოური, ყარაჩოხლური, შალახო, ბალდადური), სალექსო ფორმებსა და ჟანრებს.

უფელეს ხალხურ წარმოდგენებში, ისევე როგორც მსხვერპლშეწირვის რიგუალებში, არ არსებობდა შემსრულებელი და მაყურებელი – მასა ერთიანად და სტიქიურად მოქმედებდა და ასე აღწევდა ექსტაზს.

შემდეგ ხდება მათი გათიშვა, რაც იქცა სცენად და დარბაზად, მოქმედებად და ყურებად.

## რწმენა და სამართალი

კაცთა სიკვდილ-სიცოცხლეს ისევ განაგებდა, ისევ აწესრიგებდა ღმერთი, რომელიც მოქცეული იყო სამების ცნებაში, მასაში კი ერთვოდა წარმართული ნაკადი, სახეცვლილი უძვე-

ლესი ღვთაებანი (მაგ., ლაშარი, კოპალა, იახსარი, ქინიანთარი), თანამდევი წეს-ჩვეულებებით (მაგ., მსხვერპლშეწირვა) და რიტუალებით (მაგ., ხატობა).

ღმერთის ხება გადადიოდა ეკლესიაზე, წარმართულ ჯვარ-ხატებზე და კაცთა მიერ ფორმირდებოდა ადათად (მაგ., სისხლის ძიება), საეკლესიო და საერო სამართლად, რათა ვნებათა ორმტრიალი გონებას დაქვემდებარებოდა.

გონების ცნებაში იგულისხმება ელიტის სოციალური, ეროვნული, რელიგიური შეხედულებანი, იერარქიული ღირებულებანი.

წარმართული ღვთაებანი დრომ წარხოცა (მაგ., არმაზი და ზადენი). ნაწილობრივ შემორჩა ისინი, რომელთაც ძირი ქართველურ ტომებში უფრო ადრე ჰქონდათ (მაგ., ღვთისშვილები, დალი, ლამარა, მზექალა, კვირია, კერის/დედის კულტი).

ქრისტიანული წარმოშობისა და გახალხურებული იყო წმ. გიორგი (ჯგრაგი, ჯეგე, ლაშარი, გუდანი, ხახმატი, ლომისი).

ისინი წინ მიუძღვონენ საომრად შემართულ ლაშქარს.

ხალხს შემორჩა ნადირთდვთაებანი, დედისა და კერის სალოცავები, მესაქონლეობისა და მიწის მფარველი ძალები, ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის კულტები (მაგ., ბარბალე), შემორჩა ჯვართ ენა, როგორც ქურუმთა ბნელმეტყველების, იდუმალებისა და საკრალობის გაგრძელება, მზის კულტი.

ეპელსია განაგებდა კულტურას. მაგრამ არჩევდა შეგვებოდა წარმართულ გადმონაშთებს, ოღონდ ქრისტეს პრიმატობით, ქრისტეს აღიარებით.

ქართველთა საგრძნობი ნაწილი გამუსულმანდა. მათი წეს-ჩვეულებანი, შეძენილი ტრადიციები, ახალი წარმოდგენები ადგილს ვერ ჰქოვებდნენ ქართულ კულტურაში.

ხალხური, მასის წარმოდგენები ნაწილდებოდა დღეობათა კალენდრის მიხედვით (მაგ., მეკვლეობა, ნათლისდება, ბედობა, ბერიკაობა, ჯვართამაღლება), რაც არეული იყო საეკლესიო კალენდართან.

ხალხური ტრადიციების, ეკლესიის მოთხოვნათა, ერის ცნობიერების გათვალისწინებით დგებოდა საერო სამართალი, რომლითაც მეფე-მთავრები აწესრიგებდნენ კონფლიქტებს, სამემკვიდრეო უფლებებს და მართავდნენ ქვეყანას.

## სიკვდილი და გლოვა

სიკვდილის გარდაუვალობას ყველა შეგუებული იყო. ტრაგედიას ამსუბუქებდა სულთა საუფლოს რწმენა. მაგრამ მაინც არსებობდა გლოვა-ფირილი, საფლავის მორთვა, დაფირების წესი (მაგ., თუშური დალაი, სვანური ბარი, ასევე – მოთქმა, ქვითინი, გვრინი, კივილი), ძაბა-ფლასით შემოსვა, საფლავზე ქანდაკებების, ქვა-ჯვრების, სტელების, ლოდების, მატურების აღმართვა, მათი ეპიფაფიებით სახელდება.

დაბადებიდან გარდაცვალებამდე ადამიანის ცხოვრება ქრისტიანული წესებით იყო რიგულიზებული.

სხეულს შველოდა მკურნალი და დასტაქარი, წამლების მთელი სპექტრი, რომელთა რეცეპტები მოცემული იყო სააქიმო წიგნებში. სამკურნალო ტრადიცია გვარის საიდუმლო იყო.

როგორც ვთქვით, ქართველებს XIII საუკუნიდან პქონდათ რამდენიმე გამორჩეული სამედიცინო წიგნი.

დასტაქარები კაცები იყვნენ, ქალები – მეანები და თერაპევტები.

სხეულს მკურნალობდნენ შერჩეული ბალახებით, საკვებით, ცხელი აბაზანებით, შელოცვებით, მას შემდეგ, რაც ავადმყოფობის მიზებს მიაგნებდნენ.

ომი და ეპიდემიები, კონფლიქტები და ფათერაკები მოითხოვდა საექიმო ხელოვნებასა და წამლებს. მათ არაერთხელ ახსენებს რუსთაველი.

როცა ესენი ვერ შველოდა, მომაკვდავი ამბობდა აღსარებას, წერდა ანდერძს, ღვთის მსახური აძლევდა ნუგეშს, რათა სული მშვიდად გაპყროდა სხეულს.

მიცვალებულს განბანდნენ, შემოსავდნენ, წესს აუგებდა მღვდელი და ქრისტიანული რიგუალის დაცვით, გლოვითა და ქელებით ასაფლავებდნენ. მაგრამ ომის დროს, როცა მასობრივად იხოცებოდნენ მოლაშქრენი, ასეთი წესი ერთეულთა მიმართ თუ გაიმართებოდა.

დახოცილები, როცა ჯარი მარცხდებოდა, ველებზე, ტყეებში, ხევებში ეყარა, მტერი, ნადირი და ფრინველი ესეოდა. დაღუპულებს მხოლოდ გამარჯვების დროს ეღირსებოდათ მიწა, საძმო ორმო.

მძიმედ დაჭრილებიც მათ ბედს იშიარებდნენ.

ყველა სოფელს, ყველა ქალაქს თავისი სასაფლაო ჰქონდა, რომელიც მოცილებული იყო საცხოვრებელი ადგილისაგან. მეფე, მისი ოჯახის წევრები, ფეოდალები იმარხებოდნენ ეკლესიის ეზოში, კლესიის შიგნით (მაგ., სვეტიცხოველში არიან დამარხული ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, გელათიში – დავით IV, თამარი, გიორგი ლაშა).

ასე რომ – ელიფა ყველა სფეროში იცავდა წესრიგს და ავლენდა კულტურას, რაც გადაღიოდა მასებზე, მიუხედავად საშინელი პოლიტიკური სიტუაციისა.

ასე ცხოვრობდნენ ძველ საქართველოში.

\* \* \*

როცა თვეალს ვაკლებთ XII-XVIII საუკუნეების ქართულ კულტურას, აღმასვლასა და დაცემას, გავლენებსა და კონტაქტებს, მეფეთა, ხელისუფალთა და მასების ცხოვრებას, როცა ვიხსენებთ უამრავ ომს, უამრავ მსხვერპლს, მდინარეებად დაღვრილ სისხლს, მუდმივ შიშა და სიკვდილის სიახლოვეს, და-

ფანტვასა და ტყვევნას, დაყოფასა და რელიგიურ სახეცვლას, დალატსა და ერთგულებას, – კიდევ ერთხელ გვიპყრობს გაოცება და განციფრება თუ როგორ ვქმნიდით, ვწერდით, ვაშენებდით, ვმრავლდებოდით, როგორ შევინარჩუნეთ ქრისტიანული მორალი, ჰუმანური იდეალები, რწმენა და იმედი.

2017, ოქტომბერ-დეკემბერი  
2018, იანვარ-თებერვალი

# ლაგატებანი

## რუსთაველის ლექსი და სიტყვის ესთეტიკა

რუსთაველმა შექმნა ქართული ლექსი და ქართული სიტყვის ესთეტიკა, ომისა და გმირის კულტი, სიყვარულის, რაინდობისა და მეგობრობის მოდელები, რომელთა გადააზრება და მოღერნიბება XX საუკუნის ქართული მწერლობა, მისი საუკეთესო ნიმუშები.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუკეტს, პერსონაჟებს, მათ ხასიათებს, პოემის აზრობრივ კონცეფციას, რეალურს თუ სიმბოლურ-ალეგორიულს, სიცოცხლეს ანიჭებს ლექსის ვირტუოზული ფორმა და სიტყვის ესთეტიკა, ის არგისციმი და საგნების მეტაფორული ფერისცვალება, რაც რუსთაველამდე უცნობია.

## ლექსი და ფსიქიკა

რუსთაველის ლექსი ბატონობდა ქართულ პოეტიაში XVIII საუკუნის ბოლომდე ანუ, როგორც ათემბევინებს არჩილ მეუე – „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემბე შენობს“.

იგი 16-მარცვლიანია, ცეტიურით ორად გაყოფილი, მაღალი (4+4) და დაბალი რიგმიკისა (2+3+3), რომელსაც მიუბრუნდა ითსებ გრიშაშვილი და ერთხანს ისევ გავრცელდა პოეტიაში (მაგ., გალაკტიონის „მე და დამე“ და „გურიის მთები“).

რუსთაველის სტროფი კატრენულია – შედგება ოთხი ტაქ-პისაგან, რომლებიც ერთმანეთს ერითმება.

იგი ისევე დაამკვიდრა „ვეფხისტყაოსანმა“ ქართულში, როგორც დანტემ იტალიურში ტერციინის სამტაეპედი გარდამავალი რითმებით, როგორც დაქტილური ჰეგბამეგრი ჰომეროსმა ძველბერძნულში. ქართულში კატრენული სტროფის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებულია ორტაქპედი, როგორც არის ეს ფირფოუისის „შაპ-ნამეში“, ხოლო სონეტისა და ტრიოლე-

ფის სტროფიკა, მიუხედავად ცალკეული ჩინებული მაგალითებისა, შერჩა მხოლოდ ელიტურ ან ინტელექტუალურ პოეზიას, ისევე როგორც ბიბანტიური იამბიკოსა და სპარსული მუხამბაზის ხუთგაეპედი.

მათი პარალელი ხალხურ პოეზიაში არ გაჩენილა.

განსხვავებით ხალხურისაგან, რუსთაველის რითმები დიდი მელოდიკური სიზუსტით და ვირტუოზული შესამებით გვაოცებს, აქვს სილბონ ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

ამ მხრივ მას მხოლოდ გალაკტიონი თუ შეედრება, რომელმაც რუსთაველის ტრადიციას დაურთო ევროპული მოდერნისტული პოეზის გამოცდილება და მიჯრითი რითმა შეცვალა ჯვარედინი ბუსტი და ნაკლული რითმების მელოდიკით.

ხალხის ფანტაზია არ ენდობა გართულებულ ფორმებსა და წარმოდგენებს. მისთვის მთავარია სისადავე, ინსტინქტური სწრაფვების უეცარი გამოვლენა, შესაბამისად – ვერ გავრცელდა ინტელექტუალიზმებული ან უცხოური მოდელები.

ხოლო პოეტი, რომელსაც აქვს დიდი შემოქმედებითი ენერგია, სააზროვნო კულტურა და სიახლეთა აღქმის უნარი, ახდენს ამ ინსტინქტური მოცემულობის უნივერსალიზებას.

რუსთაველის ლექსის ევფონია, მისი კეთილხმიანობა, ნაირგვარობა და სიმღიდოვნობრივი სანიმუშობა დღესაც, თუმცა დიდი ხანია აღარ ბაძავენ და აღარ იმეორებენ.

რუსთაველის კატრენული სტროფი აღმოჩნდა ქართული ფსიქიკის შესატყვისი, რაღაც მეტრისა და რითმისათვის, განწყობილების შესაქმნელად, მოლოდინის რიგმიზებისათვის მთავარია ინტერვალები, როგორც ტაქტებს, ისე ტერფებს შორის, რითმებს შორის. მაგ., კატრენულ სტროფში, ყოველი 16 მარცვლის შემდეგ მსმენელი (მკითხველი) ელის რითმას, რომელიც მელოდიკურად აკავშირებს და აწესრიგებს სტრიქონებს.

ეს წესრიგი შეესაბამება ჩვენს ფსიქო-ნერვულ სისტემას, რაც ენაში არის კოდირებული, ენიდან კი გადადის ლექსის სტრუქტურაში.

როგორც შენიშნავს ნინო ნაკუდაშვილი, ფსიქოლოგთა და კვირვების მოხმობით, სხვადასხვა სიხშირისა და სიგრძის საბომები ფსიქო-ფიზიოლოგიურად რომ აღვიქვათ, უნდა არსებობდეს სტიქიური ინტერვალები, რაც გამოდის ენის პროსო-დიდან, პოტენციური მონაცემებიდან („ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა“).

მოკლე ინტერვალი უნდა იყოს 0,5 წამი, ოპტიმალური – 1 წამამდე, ხანგრძლივი – 2 წამამდე.

ამის შემდეგ როგორც მეტრის, ისე რითმის აღქმა ქრება, მათ დაშორებულ არსებობას ემოციის გამოწვევა არ შეუძლია.

პოეტი არ ქმნის ბაზისს მეტრისა და რითმისათვის – იგი მათ აღმოაჩენს და სრულყოფს.

ვერცერთი პოეტი წარმატებას ვერ მიაღწევს თუ იგი არ ამოდის მშობლიური ენის მისტიკიდან, თუ არ გამოავლენს მის ნიუასებს და გონებით ეცდება იდუმალების დარღვევას, ძალ-დატანებას სიტყვის რიტმიკაზე.

რუსთაველმა სალექსო ფორმა – მეტრი, სტროფიკა და გარითმვის წესი მიიღო ჰიმნოგრაფიული პოეტიდან.

მაგრამ მოახდინა მათი უნივერსალიზება, სრულქმნა და კანონიზება.

იამბიკოს ადგილი დაიკავა ნაციონალურმა ლექსმა და არაბულ-სპარსულმა სიტყვა შაირმა. იგი დაერქვა 16(8) მარცვლოვან ხალხურიდან მომდინარე სალექსო ფორმას, ხოლო მოშაირე – „სიტყვისმოქმედს“ (პოეტს).

ერთი შეხედვით, რუსთაველის პოემა, რომელიც სიცოცხლის გეიმია, რადიკალურად უპირისპირდება ჰიმნოგრაფების ასკეტურ-მისტიკურ სამყაროსა და იდეალებს. მაგრამ არის ცალკეული ასპექტები, რაც ავლენენ მათ შორის ნათესაურ კავშირებს.

ეს საკითხი სპეციალურად აქვთ შესწავლილი ჩვენს ფილოლოგებს (მაგ., გაიობ იმედაშვილს).

ნიკო მარი ერთდროს ამტკიცებდა, რომ რუსთაველი მუ-სულმანი იყო და „ვეფხისგყაოსნის“ მოვლენა მეტეორის უეცარ გაელვებას შეადარა.

თითქოს მას არ ჰქონდა არავითარი საწყისი წინარე ხანის ქართულ კულტურასთან.

ამ შეხედულების საპირისპიროა კორნელი კეკელიძის თე-ორია, რომელიც გვისაბუთებს, რომ საერო მწერლობის ფორ-მები, სახეები, თემები და მოტივები უკვე არსებობდა სასულიე-რო-საეკლესიო ქართულ მწერლობაში.

დღეს გარკვეულია, რომ რუსთაველი არის ქრისტიანი, იც-ნობს ბიბლიას, სახარებას, ნეოპლატონიზმს, ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, რომელსაც ასახელებს კიდეც.

იგივე ითქმის სიკეთესა და ბოროტებაბეჭე. მაგრამ მთავარი პოეტია, ადამიანები, საგნები და ემოციები.

რუსთაველი ამ ცოდნით გადადის რეალურ და პირობით აღმოსავლეთში, მუსულმანურ სამყაროში, რამაც ხორციელო-ბით, მიწიერი წნებებით, რაინდული სულით აღავსო ქრისტია-ნობის სულიერი ბეციური იდეალები.

სასულიერო მწერლობის ხოტბითი ფორმა გააგრძელეს შავთელმა, ჩახრუხაძემ, რუსთაველმა. მაგრამ შეიცვალა ობი-ექტი – ქრისტეს, წინასწარმეტყველების, მოციქულების, წმინ-დანების ადგილი დაიკავეს მეფებმა, გმირებმა, განსაკუთრე-ბული ძალისა და სილამაზის პერსონაჟებმა ანუ ბეცას შეენაცვ-ლა მიწა.

შეიცვალა სიტყვის ესთეტიკაც.

## სიტყვის ესთეტიზმი

რუსთაველმა რადიკალურად შეცვალა სიტყვის ესთეტიკა, რაც მოიგანეს ბიბლიის თარგმანებმა, პომილიებმა, პაგიოგრა-ფიულმა და ჰიმნოგრაფიულმა ტექსტებმა.

ისინი ეფუძნებოდნენ ასკეფურ-მისტიკურ რაციონალიზმს, რომელშიც მთავარი იყო საიქიო, უფალი და მათკენ მზირალი სული, ლექსიკაც შესაბამისი პქონდათ და სტერეოტიპული სახე-სიმბოლოებიც.

მორწმუნისა და მოწესისათვის ეს ყველაფური რეალურად არსებობს. ამიგომ ამ სივრცეში სიტყვას ეძღვევა რაციონალური სიბუსტე. ხოლო დეტალიზება სიმბოლურ-ალეგორიული განმარტებაა არსისა, მისი ერთი თვისების თუ ასპექტის ასსნა.

„ეფხისტყაოსანში“ თავად მასალა, თავად ობიექტი უკარნახებდა ავტორს, რომ უარეყო ასეთი სტილი. მაგრამ საოცარია, როგორ უცებ მოხდა ქართული სულიერების მეტამორფოზა, შვიდასწლოვანი გამოცდილების უკუგლება, ეკლესიური ცნობიერებისაგან განთავისუფლება.

ომი, გმირი, ქალ-ვაჟის რომანტიკული სიყვარული, არაქრისტიანული სამყარო, მეფეთა და სარდალთა ცხოვრება, სიმდიდრე და სიუხვე, არისტოკრატიული ცხოვრების წესი, ეტიკეტი და მეტყველება შესაბამის სახეთა სისტემას აყალიბებდა, სადაც უპირატესი იყო გრძნობათა მოძალება და სისხლის მისტერია.

პოემა ლირიკული ლექსი არ არის, რომ ავტორმა ერთი სტილი დაიცვას. იგი განსხვავებული აბრობრივი და ემოციური ნაკადებისაგან შედგება, რომელთაც ავლენენ განსხვავებული ნებელობის, ბიოგრაფიის, მისწრაფების პერსონაჟები.

რესთაველის ლექსიც დამღლელი იქნებოდა, რომ არ შედგებოდეს ორი განსხვავებული რიგმიკისაგან.

ბიბლიის ცალკეული წიგნები, განსაკუთრებით – ფსალმუნები, მუდამ მახლობელი იყო პოეტებისათვის. ისინი უფლის დიდებას, გრძნობათა დაღადისს, ხოგბასა და ქებას უცვლიდნენ ობიექტს და გადაპქონდათ სასურველ საგანმანათლებლობას, მაგრამ ინარჩუნებდნენ ლირიზმს, მოძალებულ გრძნობებს, პათეტიკას.

მაგრამ თავად სიტყვა იყო სადა და ნათელი, თხორბა – ცხადი და გამჭვირვალე, რაც შემდეგ აითვისეს რეალისტებმა.

მისი წესრიგისა და პარმონიის, სიზუსტის საწყისი იყო აპოლონური სტიქია, რაც სჭირდება ეპიკოსს სიუჟეტის გაშლისა და მოქმედების განვითარებისათვის, რათა მიაღწიოს დრამატიზმს.

„საწოლს დაწვა, ტირს, მგირალსა ცრემლი  
ძნელად ეხოცების,

ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;  
რა მიპლულნის, სიახლოვე საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდი დაიბახნის, მით პატიჟი ეოცების“.

ეს პერსონაჟის მდელვარე ფსიქიკის ჩვენებაა, როცა მასაბებაფონობს ეროსი და ურლვევს წონასწორობას. მაგრამ შეფოთვა და ფორიაქი გაღმოცემულია დისტანცირებით, ნათელი სიტყვებით, მეტაფორიზმებისა და სიმბოლიზმების გარეშე.

მოქმედების განვითარებისა და საგანთა ჩვენების უამს პოეტის მეტყველება უაღრესად სიტყვძუნწია, ლაკონური და გუსტი:

„დღისით ვლეს და საღამო-უამს გამოუჩნდეს  
დიდი კლდენი,

კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,  
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ სასდენი,  
ხე დიდრონი, თვალუწვდომი, მაღლა

კლდემდის ანაყრდენი“.

მსგავს მდვიმეში ცხოვრობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები.

ასეთ კლდის ნაპრალებში იყვნენ დაყუდებული ასურელი მამები.

ასევე ეპიკური სიდინჯით გადმოიცემა ომის დასაწყისი, რომელსაც უნდა მოჰყვეს სისხლისღვრა, კაცთა განუსჯელი ხოცია-კლეტა.

როგორც ქირურგი არ უნდა ღელავდეს ოპერაციის წინ, ისე მეომარსაც მშვიდი ნერვები უნდა ჰქონდეს. აქ გედმეტია გრძნობებზე საუბარი. მოქმედებას განაგებს სიკვდილ-სიცოცხლის ბედისწერა.

„შები ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად,  
საომრად აფეხილი ვიყავ მათად გამგეხელად,  
ერთსა წავსწდი უტევანსა, წავგრძელდი და  
წავე გრძელად“.

აქაც სიტყვიერ სიბუსტესა და არსტისტიმს არ ახლავს მე-  
ტაფორა და სიმბოლო. თავად ობიექტური სიტუაცია, მისი ლა-  
კონური ჩვენება წარმოქმნის ღრამატულ განცდებს.

პირობითად ასეთი ხატვის სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ  
ბიბლიური ტრადიცია, რომლის მსგავსი სურათებით სავსეა  
ძველი აღთქმა.

მაგრამ რუსთაველმა ასკეტურ-მისტიკური რაციონალიზმის  
სანაცვლოდ ცხოვრების ღრამატიზმი წამოსწია, ამქვეყნიური  
არსებობის შექ-ჩრდილები, რომელთაც ახლავს სისხლი და  
ცრემლი, როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება. ოღონდ ეს აჩ-  
ვენა ახალი პირობითობით, სადაც პირობითია არაბეთი, ინ-  
დოეთი თუ გულანშარო, ღრო და მანძილი და ავსებს ყოფითი  
დეტალები და კონტაქტები.

ომის სისასტიკე, სიყვარულის სიშმაგე, დაკარგვის სასო-  
წარკვეთა თუ გამარჯვების სიშლეები დიონისური სტიქია, რო-  
ცა პერსონაჟი ემორჩილება სულში დავანებულ დემონს, რო-  
მელსაც იგი სიმართლისა და დანაშაულის გზით მიჰყავს სა-  
სურველი მიზნისაკენ.

სადა და რთული სიტყვათ-სისტემა, კონკრეტიკა და პიპერ-  
ბოლიზება, სიბრძნე და შფოთვა, მათი მონაცვლეობა ისევე  
აუცილებელია დინამიკური თხრობა-ხატვისათვის, როგორც მა-  
ღალი და დაბალი შაირის ხშირი შენაცვლება.

სულთა საუფლოს კენ მშირალი პიმნოვრაფი ასე წერდა:  
„დანმთქა მე, ვითარცა ბრძენი,  
ჭამადთა სიმრავლემან წყუდიადისა უფსკრულთა,  
რამეთუ ვერ გელისხმა-ვყავ  
მარხვისა იგი ნიჭი,  
ჭემმარიგად ფრთოვანმქმნელი სულისაი“.

აქ ძველქართული ენის პათეტიკას ჰქონდავდა, გაშლის საშუალებას არ აძლევდა ეკლესიის მიერ კანონიზებული სტილი და თემატიკა, ასკეზი და მიღმა ქვეყანა.

რესთაველმა რაკი სიტყვა ცხოვრებისაკენ შემოაბრუნა, პათეტიკიდან, განცდიდან და მგრძნობელობიდან გამოიყვანა მოულოდნელი და უეცარი მეტაფორული სახეები. ისინი გარდა ქმნიდნენ რეალობას, ახალ სინამდვილედ აქცევდნენ. მათ კი ერთმანეთთან აკავშირებდა შედარება, განყოფდნენ ან ამსგავსებდნენ ეპითეტები, რაც არის ხატვისა და ჩვენების დინამიკა, თავისუფალი შემოქმედებითი ფანგაბირება.

უცხო საგანთა და სახელთა სიმრავლე კი რითმების კასკადითა და ალიგერიორებით ააქცირა:

„სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასული“;

„გველნი მომლით მოეკეცნეს, ბადი შეღმა შერაშენდა“;

„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“.

არისტოკრატიული და სამეფო გარემო, მეფეები და მეფეთა ასულები, სპასპეტები და მეომრები არ მეტყველებდნენ ისე, როგორც ეპისკოპოსები და ბერ-მონაბვნები, ან მასის რიგითი წევრები – ის სივრცეც ესთეტიზირებულია, სადაც პერსონაჟები მოძრაობენ, გადაადგილდებიან, ნაღირობენ და ომობენ.

როცა მხატვრულ სახეთა სისტემას ერთვის სიმბოლოები, მაშინ მეტყველება კიდევ უფრო რთულდება. მაგრამ აღქმას ააღვილებს მელოდიკა, რომელიც თითქმის გაუვებარ ინფორმაციასაც ემოციურად მისაღებს ხდის:

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“;

„ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი“;

ხოლო როცა სიმბოლო ამოხსნილია, მაშინ სიტყვათა თამაში, მეტრისა და რითმის რკალში მოქცეული, აღიქმება როგორც მინისპექტაკლი, სადაც პერსონაჟი ტრაგედიის გმირის მონოლოგს ამბობს:“

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,

გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დიღაგულისად

მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად“.

ასეთი გულისმომკვლელი ლირიზმი აფორიაქებდა შეყვა-  
რებულ და მეომარ თაობათა გულსა და გონებას, ნერგავდა ქა-  
ლის კულტს, გმირობისა და რაინდის იდეალს.

„ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ოთხჯერ იხსენიება სიტყვა  
„ქართული“, მაგრამ არავის შეპარვია ეჭვი, რომ ნესტანსა და  
ტარიელს, თინათინსა და ავთანდილს ქართული სული ედგათ.

რუსთაველის აღმოსავლეთი ისეთივე პირობითი საბურვე-  
ლი იყო, როგორც დაწესათვის ჯოჯოხეთი, სალხინებელი და  
სამოთხე.

ესთეტიზებული სიტყვა ავსებს და ამოძრავებს სტატიკურ  
სიტუაციას. მაგრამ როცა სიტუაცია, სიუჟეტი დრამატულია, მა-  
შინ მეტყველებას სამკაულებით გაშეალება და პირობითობა  
არ სჭირდება.

„ცოცხალ გიყო, შენ ინდოეთს, დმერთო, ხანი ვერა დაჰყო!

თუ ეცალო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!

სხვა ჩემებრი ვერა პპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“

როგორც რელიგიური მწერლობა, ისე ხალხური პოეზიაც  
გაურბის ორნამენტებს, ესთეტიზებას. ისინი სათქმელს ამბობენ  
გაშეალების გარეშე, პირდაპირ.

სიტყვის ესთეტიზება და ჰიპერბოლიზება აღმოსავლური  
მოვლენა იყო (შდრ – ქართული „ვისრამიანი“).

ასკეტიზმით გათანგულ და სასუფეველზე მღლცველ ბიზან-  
ტიას პოეგმა არჩია სენსუალური აღმოსავლეთი, სადაც შეიძ-  
ლებოდა თავისუფალი მოქმედება, მხურვალე განცდების გად-  
მოცემა, ადამიანურ ვნებათა, სევდა-სიხარულის პოეტიზება,  
რასაც რენესანსულ მგრძნობელობად, იდეალთა განახლებად  
მიიჩნევენ.

ქართული ენის მელოდიკას და პათეტიკას კარგად მოერგო  
აღმოსავლური ესთეტიზმი, ფერადი სიტყვა, რომელსაც კონ-  
ტექსტის გარეშეც აქვს თავისთავადი დირსება. დასავლურ პო-  
ეტიაში, მაგ., შექსპირთან, აბრობრივ-სიუჟეტური დრამატიზმით  
მოხდა კომპენსირება. ამიგომ საჭირო არ იყო ესთეტური თა-

მაში, ანდა – სიმბოლურ-ალეგორიული ქსელი, როგორც „პარ-სიფალში“.

დასავლურმა ლიტერატურაშ დაამკვიდრა ტექსტის ტრაგიკული ფინალი – მთავარი პერსონაჟი უნდა დაიღუპოს, როგორც ჯვარზე აცვეს იესო ქრისტე.

აღმოსავლურ ლიტერატურაში კონფლიქტებიდან და ქაოსიდან გმირი გამარჯვებული გამოდის (მდრ – „ტრისტან და იზოლდა“ და „გისირამიანი“, როგორც ერთი მასალის განსხვავებული გადაწყვეტა).

რუსთაველი ამ ტრადიციას ავითარებს და ამკვეთრებს.

გამარჯვებული ფინალი ანელებს ემციურ სიმწვავეს. ამიტომ იგი უნდა შეევსო სიტყვის ესთეტიკასა და მელოდიკას, სიბნელის ძლევის პროცესს.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ – გვეუბნება რუსთაველი. მაგრამ პოეტის ორნამენტული, ყვავილოვანი სიტყვა რაციონალურ სიზუსტესთან ერთად ავრცობს სავნის ნიშან-თვისებას, რათა ასეთი არტისტიზმით გვაჩვენოს და გვაგრძნობინოს მისი უცხო ფერისცვალება:

„გარდი ჭნებოდა, დვრებოდა, ალგისა შეო ირხეოდა,

ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გადიქცეოდა“;

„შინა შევიდა, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,

მელნისა გბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,

შეა ძოწისა და აყიქსა სჭერის მარგალიტი ტყუბები“.

პიპერბოლიზება, მზესთან შედარება და მზის დაჩრდილვა („მათ განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი“), გრძნობათა მოძალება, ცრემლთა ღვრა, დაბნელა, კაცთა და ნადირთა ხოცვაც აღმოსავლური მოვლენაა, ისევე როგორც ფერთა სიუხვე, პატიოსან თვალთა ელვარება, შვიდი ბეციური მნათობი.

ცრემლთა ღვრა სჩვეოდათ იმ ბერ-მონაბვნებსაც, რომლებიც აღმოსავლური ქრისტიანობის მიმღევარი იყვნენ.

ისინი არ ჰყვანან იმ ქართველ მთიელებს, შვილის სიკვდილზეც კი ცრემლი რომ არ უნდა დასდენოდათ.

როგორც შეპფერის წარმოსახულ გეოგრაფიულ გარემოსა და პერსონაჟებს, პოეტს შემოაქვს არაბულ-სპარსული ლექსიკა, რაც უცხო იყო ქრისტიანული მწერლობისათვის, მაგრამ, ცხადია, ძალიან კარგად იცნობდნენ არაბულ და სპარსულ სამყაროს. არც ინდოეთი იყო უცხო („ბალავარიანი“, „ამირანდარეჯანიანი“).

„ვეფისტყაოსანს“ შეინახავს აღმოსავლეთი – წერდა გალაკტიონი, რადგან ტიპოლოგიურად იყო აღმოსავლური მოვლენაა და დგას ფირდოუსისა და ნიბამი განჯელის გვერდით, თუმცა შენარჩუნებული აქვს კავშირი ანგიკურ და ქრისტიანულ კულტურებთან, თხრობის რაციონალური სტილი.

აღმოსავლეთის, განსაკუთრებით არაბულ-სპარსული კულტურის იგნორირება და მხოლოდ დასავლური ძირების ძიება არ არის გამართლებული გეოგრაფიული გარემოთი, პერსონაჟთა ბუნებით, სიუკეტით, სიტყვის ესთეტიკით.

პოეტის ქრისტიანული აღმსარებლობაც ისეა შებურული, რომ მის ამოხსნას დასჭირდა არა ერთი ერუდიგის ნიჭი და შრომა (მაგ., ვ. ნობაძის კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ა.კ. გაწერელიას, ე. ხინთიძიძის გამოკვლევები, გ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“).

მურმან თავდიშვილს კარგად და დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები რუსთაველის მიმართება ფირდოუსთან და ნიბამი განჯელთან, მათი მხატვრული კონსტრუქციების ათვისება და გადმოგანა, შეფარდება ქართულ სიტყვასთან, რამაც განაახლა მხატვრული აბროვნება და გამოავლინა უცნობი პოტენცია.

ასე მოხდა XX საუკუნეშიც, როცა გალაკტიონმა, კ. გამსახურდიამ და სხვა მოდერნისტებმა ამჯერად დასავლეთს მიმართეს. მაგრამ, ამასთანავე, აღადგინეს რუსთაველის ტრადიცია, რაც უარყვეს რომანტიკოსებმა და რეალისტებმა.

ახალი სინთეზის ფორმულა, რომლის საფუძველი რუსთაველის სიტყვის ესთეტიკიმი იყო, ასე გადმოსცეს:

„გაფიბის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაბაში,

ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“.

რუსთაველის ლექსმა და სიტყვის ესთეტიკაშ განსაზღვრა და მიმართულება მისცა ქართულ ლიტერატურას, ქართულ ცნობიერებას.

ისინი არაცნობიერადაც ჩვენი მეხსიერებისა და ინტელექტის ნაწილია. ამიტომ მხოლოდ ის ჰქოვებს წარმატებას, ვინც ამ მავისტრალს არ მოსწყდება და არ მოინდომებს ყველაფრის თავიდან დაწყებას.

\* \* \*

როგორც გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსნის“ რეალიები, ომისა და მიჯნურობის სიშმაგე, სწრაფვა და ძიება, მოქმედებითა და სიტყვით ფანგაბირება, მათი ვრცელი დინამიკა, – ავტორი არ შეიძლება ხანდაბმული ყოფილიყო.

სამეფო კარის, მეფეთა და სარდალთა გარემოს, ატრიბუტიკის, ეტიკეტის ხატვა და სფილის არისტოკრატიზმი, დიდი ცოდნა და კულტურა კი გვეუბნება, რომ ავტორიც მაღალი წრის წევრი იქნებოდა.

მაგრამ ასეთი უნაპირო ვნებათა დელვის ტექსტს არ და ვერც დაწერდა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი XIII საუკუნის დამდეგს და ვერც სახელმწიფო საქმით დატვირთული დიდებული.

„მწერლის გაზეთი“, 2016, 1-30 სექტემბერი

## სარგის ცაიშვილის „წერილები და გამოკვლევები“

სარგის ცაიშვილი, როგორც ფილოლოგი და ლიტერატორი, ავტორია არაერთი მონოგრაფიისა და სტატიისა, რომლებიც ეძღვნება თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თითქმის ყოველ პერიოდს. მეცნიერის თვალითახელვის არეში მოქცეულია ქართული კულტურის ევოლუციის სურათი. ამიგომ მისი ცალკეული ნაშრომები მხოლოდ კონკრეტული საკითხის კვლევა როდია, არამედ, ამასთანავე, პრობლემის ისტორიულ კონტექსტში ჩვენება, მისი მიმართების გარკვევა ზოგად პროცესთან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერის წიგნები - „წერილები და გამოკვლევები“ (ტ. I - „ვეფხისფყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია“, ტ. II - „ძველი ქართული მწერლობა“), „წინამორბედნი და თანამედროვენი“, რომელიც როგორც ანთგაციაშია ნათქვამი, ფაქტიურად „წერილებისა და გამოკვლევების“ მესამე ტომია. მათში განხილულია ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების არაერთი აქტუალური საკითხი. მეცნიერი ეხება არა მხოლოდ კლასიკოსთა შემოქმედებას, არამედ იმათაც, რომლებმაც მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის საგანმურში, სწავლობს ცალკეულ ფილოლოგიურ საკითხებს. მაგრამ ცენტრალური ადგილი ს. ცაიშვილის მეცნიერულ ნააბრევში უკავია შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც სწავლობს სიჭაბუკის წლებიდან დღევანდელობამდე.

შემოქმედების კვლევის საწყისი არის ტექსტი და არა ბიოგრაფია. თუ არ იქნა დადგენილი ავთენტური ტექსტი, ისე შეიძლება შეითხბას არაერთი მშვენიერი თეორია, ოდონდ სინამდვილისაგან დაცილებული. განსაკუთრებით ეს ეხება ძველ მწერლობას, რომელიც ხელნაწერებით ვრცელდებოდა, ე.ი. საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა კიდეც. ცალკეულ პირებს

თუ მთელს თაობებს შეჰქონდათ ახალი სტრიქონები თუ ეპიზოდები. ამდენად - გადამწერი პოტენციური თანაავტორის ხდებოდა. ტექსტის დადგენა ანუ მისი თავდაპირველი სახის აღდგენა ფილოლოგიის ურთულესი პრობლემაა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტოლოგიურ მომზადებას, არამედ ფართო კულტუროლოგიურ პორიტონგსაც. არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტია გამონაკლისი (შდრ. - პომეროსის პოემების ირგვლივ შექმნილი თეორიები).

სარგის ცაიშვილის კვლევა წლების მანძილზე მიმართულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თავდაპირველი სახის აღდგენისაკენ. მან არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა ამ პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტას. მათგან უმნიშვნელოვანესია „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ და „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენით იწყება რუსთველოლოგიის ისტორია. ამდენად მას დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ შემდეგ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა პოეტის ბიოგრაფიის აღდგენამ. პ. ინგოროვაშვილისთველოლოგიურ პრობლემათა გადაჭრის საფუძვლად მიიჩნია რუსთაველის ბიოგრაფიის შესწავლა. ბიოგრაფია, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ მთავარია ნაწარმოები. კვლევის სხვა მიმართულება იყო კულტუროლოგიური პრობლემების გააზრება. მაგრამ ტექსტის განსხვავებული წაკითხვანი არღვევდა ძველ თეორიებს და წარმოშობდა ახალს. ჭეშმარიტების დადგენა კი ვერ ხერხდებოდა. 30-იანი წლებიდან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სპეციალური კომისიის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი შესწავლის საგანი გახდა.

ამ თვალსაზრისით ყველაზე თანმიმდევრულია ს. ცაიშვილი, რომელიც წლების მანძილზე სწავლობს ვეფხისტყაოსნის ტექსტსა და ტექსტის ისტორიას. მან ლიტერატურული თუ მსოფლმხედველობრივი კვლევის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნია ტექსტის აღდგენა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეეძლო იმ პიროვნებას, რომელსაც სპეციალური საკითხების ცოდნის გარდა აქვს დიდი ფილოლოგიური და ლიტერატურული ერუ-

დიცია. ს. ცაიშვილი სწორედ ის მკვლევარია, რომლის წარმოდგენაში მოქცეულია თხუთმეტსაუკუნოები ქართული მწერლობა. მისი კალამი შეეხო არა მხოლოდ კლასიკოსებს, არამედ – ლიტერატურის თანამგზავრებსაც. ამიტომ ახლავს ესსეებსა, სტატიებსა და გამოკვლეულებს არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების შესწავლის, არამედ - მთლიანი პროცესის გააზრების მიზანიც. მაგრამ მკვლევარს ეს ყოველივე კიდევ იმიტომ დასჭირდა, რომ უფრო სრულყოფილად გადაეჭრა ვეფხისფყავის ტექსტის პრობლემა.

ს. ცაიშვილი, როგორც მკაცრი ფილოლოგი, დეტალურად სწავლობს პოემის ხელნაწერებს, აღწერს თითოეულ მათგანს, განსაზღვრავს მათ წარმომავლობას, ღირსებას, ვარიანტულ სახესხვაობას, მნიშვნელობას იმ იდეალური ტექსტისათვის, რომლის აღსადგენად ერთ წერტილში იკრიბება ყველა სტრიქონი (აյ არავერს ვამბობთ მასზე, როგორც პოემის ტექსტის აღდგენის ერთ-ერთ ხელმძღვანელზე). ამასთან ერთად დაჯგუფებულია ხელნაწერები ექვსი ძირითადი ნიშნით. 1. ხელნაწერები 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემამდე. 2. ხელნაწერები, რომლებიც სათავეს იღებენ პირველი ბეჭდური გამოცემისაგან. 3. შერეული რედაქციის ხელნაწერები. 4. „არტანუჯული“ ვარიანტი. 5. 1841 წლის გამოცემებიდან მომდინარე და 6. პოემის ფრაგმენტები. ის 164 ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, რამდენიმე საუკუნით სცილდება პოემის დაწერის დროს. ამიტომ ავტორისეული ტექსტის სრული აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ თანდათანობითი გაწმენდა, ინტერპოლატორთა მინიმუმამდე დაყვანა - აუცილებელი.

ს. ცაიშვილი რუსთველოლოგიაში ტექსტოლოგიური მიმართულების ყველაზე მკვეთრი გამომხატველია. მაგრამ, როგორც ითქვა, მისი ტექსტუალური კვლევა მოიცავს საკითხთა ვრცელ წრეს. სავსებით სამართლიანად მკვლევარს პოემის ტექსტი აქვს წარმოდგენილი რუსთველოლოგის ფუნდამენტად. მაგრამ თვით ეს პრობლემა გააზრებულია უაღრესად ფართო ასპექტში. ს. ცაიშვილმა არა მხოლოდ ხელნაწერები

შეისწავლა და დაახასიათა, არამედ წარმოადგინა პოემის ტექსტის, ნამდვილისა და ნაყალბევის კვლევის ისტორია (გახტანგ VI, თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, 1888 წლის გამოცემა, ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროვა, პ. ჭიჭინაძე, 1934, 1937, 1953 წლების გამოცემები...). არსებითად ეს არის რუსთველოლოგიური აზროვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორიაც, მაგრამ მკვლევარს ეს მხოლოდ ისტორიად არ სჭირდება, არამედ თანამედროვეობადც, რათა ძველი შეხედულებანი განხილულ იქნეს პრაქტიკული თვალსაზრისით, საღვეისო პრობლემასთან მიმართებით. ვიცოდეთ ის, რაც გაკეთდა (მცდარად თუ მართებულად), რათა უფრო სრულყოფილად წარმოჩნდეს ტექსტის ნიუანსები, ტექსტის აღდგენის მექანიზმი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსთველოლოგიის ვიწრო, სპეციფიკური საკითხების კვლევა, უამრავი ფაქტის, დეტალის, შეხედულების შეჯერება და ურთიერთიდაკავშირება, ფილოლოგიური სიზუსტე და ფაქტობრივი უნივერსალიზმი. ამ თვალსაზრისით ს. ცაიშვილის რუსთველოლოგიური გამოკვლევები სანიმუშოა და ისინი გვიჩვენებენ თუ როგორ შეიძლება იქცეს ტექსტოლოგია პოემის ამხსნელ მექანიზმად. მხოლოდ ის განბოგადებანი, ის თეორიები იქნება ფასეული, რომლებიც დაეფუძნება მსგავს ვრცელ, ზუსტ და უხვ ფილოლოგიურ მასალას. ამ კვლევის პრაქტიკული შედეგი არის ტექსტი, რომლის აღდგენა თანამედროვე დონეზე უკვე დამთავრდა (ცხადია, მომავალი მასში კორექტივებს შეიტანს). პოემის ტექსტის ფილოლოგიური გააბრება ერთგვარი „შავი სამუშაოც“ არის. მას შეიძლება არ ჰყავდეს მკითხველთა ფართო წრე, მაგრამ ს. ცაიშვილს აინტერესებს საბოლოო შედეგი, ის, რაც ურყევი აღმოჩნდება წლების შემდეგაც და ამდენად „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიას“ სახელმძღვანელო მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ არა მხოლოდ რუსთველოლოგისთვის, არამედ - ყოველი ფილოლოგისათვის, ვინც ტექსტის აღდგენაზე იმუშავებს.

აქ ისევ წამოიჭრება „ფილოლოგისა“ და „ლიტერატორის“ პრობლემა. ჩვეულებრივ, ისინი ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილი. ს. ცაიშვილი ამავე დროს ლიტერატორიცაა. მაგრამ რუსთველოლოგიში რჩება ფილოლოგად, აღბათ პრობლემის სირთულის გამო, რადგან მიიჩნევს, რომ ჯერ საჭიროა მყარი ცოდნის მიღწევა, მომავალ განმოგადებათა დოკუმენტური ბუსტი საფუძვლის შექმნა. ეს ტექსტისადმი დიდი სიყვარულისა და სიფრთხისის ნიშანიც არის, რათა არ მივაწეროთ ავტორს ისეთი რამ, რაც მას არ ეკუთვნის, არ დავიწყოთ ფანგაზირება „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე.

პოემის ტექსტის ისტორიისა და ხელნაწერების კვლევის პარალელურად ს. ცაიშვილი გადმოგვცემს ლიტერატურული პროცესის არაერთ თავისებურებას, კონკრეტულ ფაქტს აქცევს აბროვნების შემადგენელ ელემენტად, რათა აღწერას თავი აარიდოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრული სტრუქტურის, მისი სპეციფიკის გათვალისწინება, ვეფხისტყაოსნის ჩანართი სტროფების გამომქდარება კონცეფციური ანალიზით. მეცნიერი თვლის, რომ XV-XVIII საუკუნეთა ქართულმა მწერლობამ (გარდა დ. გურამიშვილისა) არასწორად გაიგო ვეფხისტყაოსანი, წინ წამოსწია მეორეხარისხოვანი ტენდენციები, საგმირო-სათავეებასავლო ამბების თხრობის ნიმუშად მიიღო პოემა, დაემორჩილა მის პოეტიკას. გამოვლენილია ცალკეულ ინტერპოლაციორთა წყაროები (ხალხური „ტარიელიანი“, „ქართლის ცხოვრება“, კლერიკალური განწყობილება, „სოფლისადმი მდურების“ მოტივი და ა.შ.).

როგორც ს. ცაიშვილი გვიჩვენებს, პირველ რიგში საჭიროა ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის აღდღენა. ამ მხრივ დიდი სამუშაო შეასრულეს წინამორბედმა მკვლევარებმა. პოემას ჩამოაცილეს გაგრძელებანი, აშკარად ნაყალბევი სტროფები. მაგრამ ისევ რჩება ცალკეული სადაცო საკითხები. ძირითადად ეს ეხება პროლოგს და დაბოლოებას. მაგრამ ისევ დავას იწვევს ბოგიერთი სტროფის ავთენტურობაც. მეცნიერი გადმოგვცემს პროლოგის შესწავლის ისტორიას, ცალკეულ მკვლევართა

სკეპტიკურ თვალსაზრისს, სუბიექტურ შეხედულებას, ხელნაწერთა მონაცემებს, მათგან დაყრდნობით აღადგენს სტროფების თანმიმდევრობას და წარმოგვიდგენს პროლოგის სამ ტიპს. შემდეგ ეხება პოემის ძირითად ტექსტს, აჩვენებს განსხვავებებს, აშკარად ნაყალბევ სტროფებს, ცალკეულ ხელნაწერთა წყაროებს. პოემის შუა მონაცემისათვის გამოყოფილია ხელნაწერთა ოთხი ძირითადი ჯგუფი. შესაბამისად - ტექსტის ოთხი რედაქცია, მაგრამ ასევე სათანადო ყურადღება ეთმობა პოემის გაგრძელებათა რედაქციებს, პლასტების დათარიღებას, შედგენილობის მიხედვით ხელნაწერთა კლასიფიკაციას („ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები“).

1712 წელს ვახტანგ მეექვსემ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტის აღდგენისათვის მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც იქცა რუსთველოლოგთა კამათის საფნად. მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგ. პ. ინგოროვა და ს. კაკაბაძე) მიიჩნევენ, რომ ვახტანგმა ძველი რედაქცია უცვლელად დაბეჭდა: ამდენად იყო არის ყველაზე სანდო წყარო. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ არის არა უცვლელი, არამედ - კრიტიკული გამოცემა. ს. ცაიშვილი ასაბუთებს, რომ ვახტანგმა XVII საუკუნეთა ხელნაწერების შემოკლების, ინტერპოლატორებისაგან ტექსტის გაწმენდის შემდეგ გამოსცა პოემა, მაგრამ ცხადია, ამ გამოცემას მრავალი ხარვეზიც ახლდა და რაც ყველაზე მთავარია - ტექსტის მიღმა აღმოჩნდა არაერთი რუსთველური სტროფი.

ს. ცაიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ვახტანგისეული რედაქცია და არაერთი სადაო საკითხი გადაჭრა. ისიც დადგინდა, რომ პოემის ხელნაწერთა ნახევარზე მეტი სათავეს იღებს ვახტანგის გამოცემიდან. ზოგიც - კომპილაციურია (15 ხელნაწერი). ასეთ ხელნაწერებს პოემის ტექსტის აღდგენისათვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებათ. მაგრამ რუსთველოლოგის ისტორიის განუყოფელი ნაწილია ყოველი ხელნაწერი და ამდენად მეცნიერი თვითეულ მათგანს გულდასმით ეხება. ასე აღდგება პოემის გავრცელების, მასთან მიმართების კულტუ-

რული აგმოსფეროც, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ს. ცაიშვილი ასკვნის: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა უნდა ითვალისწინებდეს ტექსტის ისტორიის მონაცემებს და სწორედ ამის გამო საფუძლად უნდა ავიღოთ ვეფხისტყაოსნის ოთხივე რედაქცია და მათში შემავალი ნუსხები“. ხოლო ტექსტის დახვეწისათვის (განსაკუთრებით შედგენილობის თვალსაზრისით) პრიორიტეტს ანიჭებს პირველ და მეოთხე რედაქციებს („ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“).

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სარგის ცაიშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“. ეს იყო მეცნიერის ერთ-ერთი პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი და იგი იქცა მომავალი კვლევის საფუძვლად და ორიენტირად. აյ უკვე დაისვა პოემის რედაქციათა ურთიერთობის, გაგრძელებათა ინტერპოლაციების საკითხები. ავტორი ეძებს ვეფხისტყაოსნის ყალბისმქმნელთა ვინაობას, მათ მიერ დაწერილ დამატებათა ტექსტებს. ათარი-ღებს ცალკეულ ჰლასტებს. მაგრამ ყოველი საკითხის კვლევა მოიცავს საკითხთა სპეციალურ წრესაც. ბოგჯერ ჭირს ყოველ მათგანზე გარკვეული პასუხის გაცემა. მაგ. ს. ცაიშვილი მსჯელობს ე.წ. „ხეარაბმელთა“ ეპიზოდზე, რომელზეც წერდა ალ. ბარამიძე ჯერ კიდევ 1928 წელს. ავტორი ეთანხმება ალ. ბარამიძეს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს XVI საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ. მაგრამ გაურკვეველი რჩება თუ ვინ იყო სარგის თმოველი, რომელსაც ხვარაბმელთა ამბავი გაულექ-სავი დარჩენია.

რუსთველოლოგიაში ისევ დავას იწვევს ე.წ. ინდოხატაელთა ამბავი. იგი სიუკეტის აუცილებელი ნაწილია. მაგრამ მოღწეული ტექსტი დამახინჯებული და შევსებული ჩანს. ს. ცაიშვილი აღნიშნავს ცალკეულ იდეულ და მხატვრულ შეუსაბამობას პოემის ძირითად ნაწილთან, გამოყოფს სუსტ ადგილებს, მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ დისპარმონიასთან ერთად მეცნიერი სავსებით მართებულად აღნიშნავს ცალკეულ ბრწყინვალე სტრიქონებს, რომლებშიც ჩანს რუსთველური

ძალა. ამიტომ ასკვნის, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი „რუსტავ-რაციული ტიპის ჩანართია“, რომელიც შეუთხმავთ XVI საუკუნემდე („ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“).

ს. ცაიშვილის დაკვირვებით, ინდო-ხატაელთა ამბავს, განსხვავებით ვახტანგისაგან, პოემის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა სულხან-საბა ორბელიანი („ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის“).

XX საუკუნეში, განსაკუთრებით პ. ინგოროვას „რუსთველიანას“ შემდეგ, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა პოეტის ბიოგრაფიის პრობლემაში. პ. ინგოროვამ „ვეფხისტყაოსანში“ დაინახა რუსთაველის ბიოგრაფიის პოეტური შიფრი, მისი თავგადასავლის მხატვრული რეალიზება. საერთოდ ბიოგრაფია ლიტერატურის ისტორიისათვის, მხატვრული აზროვნებისათვის მეორეხარისხოვანი საკითხია. იგი მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა შემოქმედების გასაღებად იქცევა, თუმცა არც მაშინ მხატვრული თვალსაზრისით ფასეულსა და საყურადღებოს არ იძლევა. ეს უფრო შემოქმედების ფსიქოლოგიის სფეროა, რომელიც ნაკლებად უკავშირდება ესთეტიკურ ღირებულებას. პ. ინგოროვას კონცეფცია მეცნიერებამ არ გაიზიარა, არ მიიღო იგი არც ს. ცაიშვილმა. აქ ერთ ფაქტსაც უნდა გაესვას ხაბი: ს. ცაიშვილი არ არის სენსაციების, აღმოჩენების, თვალისმომჭრელი თეორიების მოყვარული, ამგვარ ჰიპოთეზებს თუ მიგნებებს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით - „ფილოლოგიურ მითებს“, მეტწილად სწრაფად ეცლება საფუძველი, თუმცა დიდ პოპულარობას იხვეჭენ და კვლევის სტიმულსაც იძლევიან.

ს. ცაიშვილი ყოველთვის ამოდის ტექსტის ჩვენებიდან, დოკუმენტური მასალიდან. მისი დაკვირვება ფრთხილია და საბუთიანი, ფილოლოგიურად სანდო და ზუსტი. ამასთან ერთად გადმოცემის სტილსაც უნდა მიექცეს ყურადღება: მეცნიერი მსჯელობს სადა და უბრალო ენით, გადმოგვცემს პოზიტიურ ცოდნას, რომლის მიღმა მრავალი დოკუმენტი და სამეც-

ნიერო წყარო იგულისხმება. ამის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს „შოთა რუსთველი (ბიოგრაფიული ესკიზი)“.

სარგის ცაიშვილი ემხრობა იმ აბრს, რომლის თანახმადაც რუსთველი არის იგივე „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“. იგია გამოხატული იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ორი წმინდანის - იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე. თამარის დროს საქართველოს ჰყოლია რამდენიმე ვებირი და მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა მეჭურჭლეთუხუცესი (თანამედროვე ტერმინოლოგიით – ფინანსთა მინისტრი). მეცნიერი იშველიებს XVI-XVIII საუკუნეთა ცნობებსაც, აგრეთვე ხალხურ გადმოცემებს., აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ცნობები ძირითადად მართლდება. საერთოდ ს. ცაიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს რუსთველოლოგიურ საკითხთა გასარკვევად XVI-XVIII საუკუნეთა ცნობებს. ეს თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ იმხანის მწერლები უფრო ახლოს დგანან რუსთველის ეპოქასთან, ჩვენზე მეტი მასალებიც ექნებოდათ ხელთ. ხოლო როცა ამ პერიოდში გამოიქმულ შეხედულებებს მოეპოვება შესაბამისი არგუმენტი თვით პოეტის დროინდელ ისტორიაში, მაშინ უეჭველ სიმართლედ უნდა ვცნოთ.

ს. ცაიშვილი რუსთველს მიიჩნევს მესხური წარმომავლობის ფეოდალად, თორელთა გვარის წარმომადგენლად. საამისოდ მოაქვს არაერთი ფაქტი: ქვაბისხევის მონასტერში აღმოჩნდა XII საუკუნის ფრესკა, პოემის უძველეს ხელნაწერთა ფრა გმენტები ნაპოვნია მესხეთში, სახელი შოთა გავრცელებული იყო მესხეთის ფეოდალთა შორის, მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს მფლობელები იყვნენ თორელები და ჯაყელები და სხვ. ამასთან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფრესკა, რომელზეც გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“. ს. ცაიშვილის ვარაუდით, ვეფხისტყაოსნის ავტორი არის შოთა თორელი, სე ჭიაბერისა, რომელიც XII საუკუნის 80-იანი წლებიდან დაახლოებით 1204 წლამდე იყო მანდაგუროთუხუცესი. ხოლო შოთა მეჭურჭლეთუხუცესი უნდა ყოფილიყო 1205-1220 წლებში (საერთოდ თორელების საგვარეულოს იმქამად არაერთი მნიშვნე-

ლოვანი სახელო ეკავა), ფლობდა ქინვანსა და რუსთავს, რუსთველობაც აქედან მიუღია.

როგორც ითქვა, ს. ცაიშვილი არაერთხელ უბრუნდება ვახტანგისეულ გამოცემას, ვახტანგის შეხედულებებს, სპეციალურად განიხილავს ვახტანგ VI-ის თვალსაზრისს რუსთველის მიჯნურობაზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეექვსემ დაიცვა ვეფხისტყაოსნის ავტორი, უარყო მისი სპარსული წარმომავლობა. მაგრამ პოემაში ასახულ სიყვარულს მისცა მისტიურ-ალეგორიული განმარტება. ცხადია, ასეთი ინტერპრეტაცია, თუ ის სინამდვილეს შეეფერება, არც პოემისა და არც მეცნიერული აზროვნების ნაკლად არ ჩაითვლება, როგორც ეს მიაჩნდათ რუსთველოლოგებს (მაგ., „დვიაებრივი კომედია“ მთლიანად მისტიკური ხილვა). მაგრამ ამჯერად მართლაც იგრძნობა ტენდენცია, რომ კომენტატორმა რელიგიურ თვალსაზრისს შეუგურს ვეფხისტყაოსანი, მიანიჭოს მას ერთგვარი კანონიკური გაგება. ეს ერთის მხრივ, მაგრამ როგორც ასკენის ს. ცაიშვილი, მეორეს მხრივ ვახტანგ მეექვსე ამოდიოდა თავისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან, რომლის თანახმადაც ამქვეყნიური არსებობა წარმავალია, წარუვალია სწრაფვა დვიაებისაკენ.

ეს არის უმაღლესი სიყვარული. ამგვარი თვალსაზრისი ფართოდ გავრცელებულა XVIII საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში. ხოლო ყველაზე სრულად გამოხატა დავით გურამიშვილმა. კ. კეკელიძემ სიყვარულის მისტიკური გააბრება სუფისტურ მოძღვრებას დაუკავშირა, რომელიც სპარსული პოეტის საფუძველი იყო. ს. ცაიშვილი ცვლის ამ თვალსაზრისს, გამოიძებულად მიიჩნევს სუფიზმის მნიშვნელობას და აქცენტი გადააქვს ნეოპლატონურ ნაკადზე. მაგრამ ალბათ არც სუფიზმისა და შესაბამისად სპარსული პოეტის იგნორირება იქნება გამართლებული.

ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის არაერთ სხვა საკითხსაც ეხება (რუსთველის ბოგადსაკაცობრით მნიშვნელობა, მსოფლმხედველობა, პოემის პოეტიკა...). გვინდა გამოვყოთ ერთი მათ-

განი - როგორ გავიგოთ „ვეფხის“ მნიშვნელობა? თითქოს ეს კითხვა არც უნდა გაგვიჩნდეს, იმდენად ბუნებრივი და ნათელი გვეჩვენება პოემის სათაური. მაგრამ ს. ცაიშვილი ცხადყოფს, რომ „ვეფხის“ შესატყვისი ყოფილა ლათინური „ლეოპარდის“, ხოლო „ჯიქისა“ - ძველბერძნული „ტიგრის“ და ამდენად პოეტი წერს ლეოპარდის ტყავით შემოსილ რაინდზე. მაგრამ დროთა ვითარებაში მოხდა ტერმინთა შენაცვლება, სახეცვლა. დღევან-დელი მკითხველი პოემის „ვეფხს“ ლეოპარდად არ აღიქვამს, მაგრამ ს. ცაიშვილი მიუთითებს, რომ ეს არის ისტორიული სი-ნამდვილე (ასახელებს ნ. მარს).

სტატია „ვეფხი და „ჯიქი“ ვეფხისტყაოსანში“ 1965 წელს დაიწერა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა (ამ საკითხს სხვებიც შეეხ-ნენ). მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ტრადიციის ინერცია, პოემის ვეფხს ლეოპარდად (ავაბად) მაინც ვერ აღვიქვამთ. პოემის არაერთმა მთარგმნელმა (მაგ. ჰ. ბულენბიგმა) ვეფხი სწორედ ლეოპარდად თარგმნა. აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშ-ნოთ, რომ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ სწო-რედ ავაბად (ლეოპარდი) არის მორენას სიმბოლიკური ჰიპოს-ტას და არა ვეფხი.

პოემამ განუბომელი ბეგავლენა მოახდინა იმ დროის მწერ-ლობაზე, მოაქცია თავის ტყვეობაში და დათრგუნა კიდევც: გე-ნიოსს არა მხოლოდ წინ მიჰყავს აბროვნება, არამედ – უნე-ბურად ამუხრუჭებს კიდეც მას. უნდა მოვიდეს ახალი გენიოსი, რომელიც დაუპირისპირდება დიდ წინამორბედს და მისი ტყვე-ობისაგან გამოიხსნის მწერლობას. მაგრამ აქ თავს იჩენს ასე-თი პარადოქსი: ამჯერად იყო ხდება აბროვნების დიქტატორი და შემბოჭველი. ხოლო ისტორიის განვითარების ვრცელ პე-რიოდზე ჩანას დიდი სახელები. ისინი ქმნიან მაგისტრალურ ხაზს, რომლის გარშემო მწერლივდებიან ცალკეული ტალანტები, როგორც პროცესის თანამგბავრები. როგორც აღნიშნავს ს. ცა-იშვილი, პირველი პოეტი, რომელმაც რუსთველის შემდეგ ახა-ლი გზა გაკაფა ქართულ პოეტურ აზროვნებაში, არის დავით

გურამიშვილი (შდრ. ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება - „შოთა რუსთაველი - დავით გურამიშვილი“). ამიტომ იჩენს მკვლევარი ესოდენ დიდ ინტერესს „დავითიანის“ ავტორის მიმართ.

სარგის ცაიშვილი გადმოგვცემს ბიოგრაფიულ ცნობებს, იმ რთულ პოლიტიკურ აღმოსფეროს, არეულ დროს, რომელშიც მოუხდა ცხოვრება პოეტს. განსაკუთრებით საინგერესოა კულტურული გარემოს ჩვენება. ეს თუნდაც იმიტომ იქცევს ყურადღებას, რომ ნათელი ხდება თუ როგორ გადაეცა ქართული ეროვნული კულტურა დავით გურამიშვილს. მკვლევარი აანალიზებს დ. გურამიშვილის პოეზიის ძირითად ტენდენციებს, რომელთაგან უმთავრესია ქრისტიანულ კულტურასთან მიმართება. ეს იყო „დასავლური ხაზის“ კიდევ ერთი გამოვლენა. ისიც ცხადია, რომ XVI-XVIII საუკუნეებში ძლიერი იყო სპარსულენოვანი კულტურის ბეგავლენა. მაგრამ დ. გურამიშვილის „დასავლური ხაზი“ არის უფრო ტრადიციული ქრისტიანიზმი, პოეზიის რელიგიური გაგება, ვიღრე თანამედროვე ევროპეიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა რომანტიზმის ჰპოქაში. ს. ცაიშვილი გვიჩვენებს დ. გურამიშვილის თეოლოგიურ-მისტიკურ თვალსაზრისს, რეალური თხრობის გადასვლას სპირიტუალურ ხილვაში, მიმართებას ჰიმნოგრაფიასთან, ბიბლიასთან, ყოველ დებულებას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითებით. მაგრამ ამასთან ერთად მიმოიხილავს ფოლკლორული ნაკადის მნიშვნელობას, ეს იქნება ქართული თუ რუსულ-უკრაინული. ეს იყო თითქოს პარადოქსული შეხამება - ქრისტიანული მისტიკა და წარმართული მოტივებით შეფერილი ხალცური ლექსი. მკვლევარი ფოლკლორული ნაკადის ათვისების დროს გამოყოფს მელოდიის მნიშვნელობას.

დ. გურამიშვილამდე კარგა ხნით ადრე არჩილმა წამოაყენა ე.წ. „მართლის თქმის“ პრინციპი, რომელიც უპირისპირდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ სტილს, პოეტიკას, პერსონაჟთა ბუნებას. მაგრამ ეს იყო თეორიული უარყოფა, რომელსაც პრაქტიკული შედეგი თითქმის არ მოჰყოლია. რუსთველის ტრადიციები ნაწილობრივ დაძლია, ე.ი. ქართული ლექსი ახალ არეალ-

ში გაიაზრა დ. გურამიშვილმა. საამისოდ იგი როგორც ს. ცაი-შვილი ნათელყოფს, ემყარებოდა წინამორბედთა გამოცდილებას (თეიმურაბ I, არჩილი, ვახტანგ VI). მან დაძლია აღმოსაფლური პოეტის „ყვავილოვანი სტილი“ და ამ მხრივ, როგორც მიუთითებს სარგის ცაიშვილი, მომავლის პოეტის წინამორბედად იქცა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დ. გურამიშვილის პოეტია გვიან ჩაერთო მხატვრული აზროვნების პროცესში, არსებითად მაშინ როცა უკვე მწერლობის წინაშე სხვა იდეალები იდგა. თორებ ალბათ მისი ბეგავლენაც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა ბესიკ გაბაშვილის ლირიკას.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სარგის ცაიშვილის განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესის საგანია XVII-XVIII საუკუნეთა მწერლობა. როგორც ითქვა, ეს თუნდაც იმით იყო გამოწვეული, რომ პოემის ხელნაწერები, ვახტანგისეული გამოცემა, პირველადი ცნობები პოეტზე ამ ეპოქას მიეკუთვნება. ამავე დროს რუსთაველი ქცეულია ფერშად, მხატვრული აზროვნების ეტალონად, თუმცა არ არის გაცნობიერებული „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი არსი, მაგრამ მთავარი მაინც არის სულიერი ფასეულობანი. ს. ცაიშვილმა სპეციალურად შეისწავლა ამ ეპოქის თვალსაჩინო ოსტატების შემოქმედება (თეიმურაბ I, იოსებ ტფილელი, ფეშანგი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბესიკი). მაგრამ ამჯერად იძიება არა ფილოლოგიური პრობლემები, არამედ - მხატვრული სამყარო. მკვლევარი ცალკეულ ავტორს სწავლობს ორი მიმართულებით - ა) ადგენს ბიოგრაფიას, ბ) წარმოაჩენს ესთეტიკურ ღირებულებას. ცხადია, ამ მწერლებზე არაერთი გამოკვლევა არის დაწერილი, რომელთა ავტორები არიან გამოჩენილი სპეციალისტები (ჟ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ალ. ბარამიძე), მაგრამ ინტენსიურ კვლევა-ძიებას მოაქვს ახალი მონაცემები, უარიყოფა ძველი პიკოთებები, ფართოვდება აზროვნების პორიტონგი, ისახება ახალი იდეები.

ს. ცაიშვილი ახდენს დაგროვილი ცოდნის სისტემატიზებას, გადმოგვცემს თავის პირად დაკვირვებებს, აერთიანებს ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას, შემოქმედებას კითხულობს ბიოგრაფიის შუქჩე. მაგრამ იგი, როგორც უაღრესად ფრთხილი მკვლევარი, არ ქმნის თეორიებს, მისდევს ფაქტების ლოგიკას, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადმოგვცემს მხატვრულ სპეციფიკას. მკვლევარი შეცნობის პროცესს არ გვაცნობს - იგი შედეგების წარმოდგენით იფარგლება. ამიტომ მისი ნაშრომები ითლად იკითხება, თუმცა დაგვირთულია ფილოლოგიური მასალით. ს. ცაიშვილის ძირითადი მიზანი მაინც პოეტური აზროვნების ევოლუციის ჩვენებაა. იგი არაერთხელ უბრუნდება ამ პრობლემას, მსჯელობს კონკრეტული ავტორებისა და მაგალითების საფუძველზე. ამიტომ მიმართავს იმ სახელებს, რომელთაც საკვანძო მნიშვნელობა აქვთ XVI-XVIII საუკუნეთა მწერლობისათვის.

ამ მხრივ მსჯელობა შორს წაგვიყვანს. მაგრამ მაინც გვმართებს გამოვყოთ ბოგიერთი საკითხი - რასთაველის გავლენა XVI-XVIII საუკუნეთა ლიტერატურაზე, ვასტანგ VI-ის მიჯნურობის მისტიკურ-ალეგორიული თეორია, რელიგიურ-მისტიკური და ფოლკლორული ნაკადი დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, ბესიკის ლექსის კომპოზიცია, ეპიკური პოემების რღვევის პროცესი, რასთველური შაირის დამლევა და ა.შ. ყოველ მათგანს ს. ცაიშვილი ორიგინალურად აშუქებს და გვიჩვენებს არა ლოკალურ გარემოში, არამედ - განვითარების თვალსაზრისით, ეროვნულ თუ უცხო ლიტერატურათა ტრადიციებთან მიმართებით. მეცნიერის შეხედულებანი, დაკვირვების შედეგები უაღრესად ზუსტია. ეს არის მყარი ცოდნა, რომლის გადაფასება არ დასჭირდება მომავალ მკვლევარებს (როგორც ეს ხშირად მომხდარა ჩვენს ფილოლოგიაში).

ს. ცაიშვილი განიხილავს ბიოგრაფიულ საკითხებსაც, მაგრამ მათ მნიშვნელობას არ აზიადებს. მისთვის მთავარია შემოქმედება და არა ცხოვრება. ისტორიული ფონი, ბიოგრაფია საჭიროა იმდენად, რამდენადაც გვეხმარება პოეზიის გაგებაში,

საერთოდ უფრო ხშირად ბიოგრაფიულ დეტალებს იკვლევენ, ვიდრე შემოქმედებას. უნდა შევნიშნოთ, რომ 6. მარისა და კ. კეკელიძის ინერციით ძველი ქართული მწერლობის შესწავლა ძირითადად ფილოლოგიური მეთოდით წარიმართა, რამაც ჩრდილში მოაქცია სულიერი ფასეულობანი. ამიგომაა, რომ ჯერჯერობით არ დაწერილა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელშიც მხატვრული აბროვნების, ფორმებისა და იდეების განვითარების პროცესი იქნებოდა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით ს. ცაიშვილის გამოკვლევები არაერთ მნიშვნელოვან დებულებას გვთავაზობენ (ფილოლოგიური კვლევის დროსაც). ამისი ერთი მიზები ისიც არის, რომ მკვლევარი არ იფარებება რომელიმე პერიოდით. იგი სწავლობს ქართული მწერლობის თითქმის ყოველ მონაკვეთს და რაც მთავარია - თანამედროვე ქართულ მწერლობას. თანამედროვეობის შესწავლა თვითმიზანი როდია. იგი ნიშნავს აბროვნების დინამიკის განცდას და ამდენად თანამედროვე შეხედულებებით, ცოდნით, გემოვნებით აღჭურვილი მკვლევარი წარსულს აქცევს დღევანდელობის ნაწილად, სწორედ შემოქმედებითი თვალთახედვით აშენებს გარდასულ მოვლენებს.

ს. ცაიშვილი ნაკლებად ეხება ეწ. სასულიერო მწერლობას, რესიველამდელ ქართულ ლიტერატურას. მაგრამ ერთი ნაშრომი უნდა გამოვყოთ - „ზოგიერთი საკითხი რითმის ისტორიიდან“, რომელიც კარგა ხნის წინათ დაიწერა. მას შემდეგ არაერთი პოეტიკური ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუნდაც იმიტომ, რომ რითმის საკითხი უშეალოდ უკავშირდება რესთაველს და ამდენად მეცნიერი ფაქტიურად იკვლევდა ერთი რესთველოლოგიური პრობლემის გენეზისს.

XIX საუკუნის მწერალთაგან სარგის ცაიშვილი მომეტებულ ყურადღებას უთმობს ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა-ფშაველას. მაგრამ გვაცნობს კონკრეტულ დაკვირვებას და არა ბოგად პორტრეტს ან მათი შემოქმედების დასასიათებას. განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის წარმომავლობის

ძიება. ერთხანს თითქმის განმტკიცდა აზრი, რომ ჭავჭავაძეები ფშავიდან გავიღნენ კახეთში. ს. ცაიშვილს მოაქვს ახალი ფაქტი - ცნობა კახა თორელისა და მისი მეუღლის სიგელიდან (1260 წ.), რომლის თანახმად თემის ხეობაში, ქართლში, არსებულა ტოპონიმი „ჭავჭავის“. ამ ტოპონიმის არსებობას ადასტურებენ თანამედროვე მკვლევარებიც. ს. ცაიშვილს თვითონაც შეუმოწმებია, ამ ისტორიული პუნქტის ახლო-მახლო დღეს თუ ცხოვრობენ ჭავჭავაძეები. გაირკვა, რომ სოფ. ნულში მოსახლეობს ჭავჭავაძეთა გვარის 26 ოჯახი. ისტორიულად ისინი გლეხები ყოფილან. ხოლო კახელი ჭავჭავაძენი თავადები იყვნენ. მკვლევარი გამოიქვამს ვარაუდს, რომ ილიას წინაპრები აქედან გადავიდნენ კახეთში და იქ მიაღწიეს თავადობას. ვფიქრობთ, სიტყვა „ვარაუდი“ მეტისმეტი სიფრთხილის ნიშანია.

ს. ცაიშვილი ასაბუთებს თავის დებულებას ჭავჭავაძეთა წარმომავლობაზე და მისი გათვალისწინება უთუოდ მოუწევთ დიდი ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს. ასევე საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მიმართების გარკვევა ვეორებ ბრანდესისადმი, სახარების ერთი აფორიზმისადმი და სხვ.

„ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში“ ეხება თ. ჩხენკელის წიგნს - „ტრაგიკული ნიღბები“. მაგრამ ეს არ არის რეცენზია. იგი უფრო მსჯელობაა და აბროვნება დიდი პოეტის მსოფლგანცდის იმ თვისებებზე, რომლებიც თამაზ ჩხენკელმა წამოსწია. ისიც ნათელი ხდება, თუ რა ღრმად გრძნობს და განიცდის სარგის ცაიშვილი ვაჟა-ფშაველას პოეტიას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა დაკვირვება „დევების ქორწილზე“, „კოპალასა“, „ალუდა ქეთელაუზზე“ და „გველისმჭამელზე“. მაგრამ მეცნიერს უფრო აინტერესებს პოეტის მხატვრული აბროვნების მოდელი, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ნაწარმოები, იმ არსებ პოენა, რომელიც განსაზღვრავს შემოქმედის სილადეს. ამასთან დაკავშირებით იგი არასწორად მიიჩნევს თ. ჩხენკელის გატაცებას პოეტის ინტუიციური წვდომით და პეგელზე დაყრდნობით თვლის, რომ დიდ ხელოვანს ყველაფერი გააზრებული აქვს. თ. ჩხენკელი შენიშნავს, საეჭვოა, რომ 27

წლის ვაკა-ფშაველას გაცნობიერებული ჰქონოდა „ალუდა ქე-თელაურის“ მითოსური საფანელიო. ცხადია, გაუცნობიერებ-ლად შედევრი არ იქმნება, მაგრამ ნაწარმოებში მთავარი არის მაინც სტიქიური საწყისი, ის ძალა, რომელსაც გრძნობს ხელოვანი, მაგრამ აზრებად და ცნებებად აქცევს მეცნიერი, მკვლევარი. ამ მხრივ ალბათ ვაკა-ფშაველას ისევე როგორც არა ერთ დიდ ხელოვანს (გარდა ე.წ. ინტელექტუალისტებისა), შეცნობილი ვერ ექნებოდა ის სამყარო, რომელიც წინაპართა-გან სისხლისა და გენების დარად გადმოეცა. მაგრამ გენიალო-ბა ის არის, რომ ხელოვანს არაცნობიერადაც ყველაფერი მო-წესრიგებული აქვს თავის შემოქმედებაში. ამიტომაც აქვს მის აზროვნებას ის სიღრმე, რომელსაც ჩინებულად აჩვენებს ს. ცა-იშვილი სწორედ მითოსური სტრუქტურების ანალიზით.

სარგის ცაიშვილი, როგორც რუსთველოლოგი, ძირითადად ფილოლოგია. XVI-XVIII საუკუნეთა კვლევისას თავის ბუნება-ში აერთებს ფილოლოგია და ლიტერატორის. ხოლო XX საუკუ-ნის კულტურაზე მსჯელობისას მთლიანად ლიტერატურულ-ეს-თეტიკური პრობლემატიკით იფარგლება. ეს არის მისი მეც-ნიერული აზროვნების მეორე თვისება, მხატვრული ნიუანსების წვდომა ერუდიციასთან ერთად (და იქნებ უფრო მეტადაც) მოითხოვს გემოვნებას, ლიტერატურული აღქმის ფაქტი უნარს. ამიტომაა, რომ არაერთი მკვლევარი თავს არიდებს წმინდა მხატვრული პრობლემატიკის ანალიზს და მას ცვლის ფსევდო-აკადემიური ბოგადი მსჯელობით.

სარგის ცაიშვილი განიხილავს XX საუკუნის არაერთი თვალსაჩინო მწერლისა და პოეტის შემოქმედებას (გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, კ. გამსახურდია, ლ. ქია-ჩელი, ნ. ლორთქიფანიძე...), რომლებიც უტყუარი ლიტერატუ-რული გემოვნებითაა აღნეჭდილი. მკვლევარი, გარდა ქართუ-ლი სინამდვილისა, გვაცნობს ევროპულ და რუსულ მწერლო-ბას, ლიტერატურულ სკოლებს, სალექსო ფორმათა გენებისს, ქანრების ტრანსფორმაციას და მათ აკავშირებს კონკრეტულ მწერალთან, მათ ფონზე განიხილავს შემოქმედების პრობლე-

მატიკას. იგი მეტწილად გვთავაზობს ესეისტურ პორტრეტებს. ამიგომ ეხება არა იმდენად რომელიმე ნაწარმოებს, რამდენადც ავტორის მთლიან შემოქმედებას, ძირითად სულისკვეთებას, მამოძრავებელ იდეოლოგიურ თუ ესთეტიკურ ძალებს. მწერალი და მისი მხატვრული ნააზრევი დანახულია ეპოქისა და კულტურულ მოვლენათა ფართო კონტექსტში.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ტიციან ტაბიძის პოეტური დვაწწლი“. ეს სტაგია დაიწერა მაშინ, როცა ქართველი მკითხველი ხელახლა გაეცნო რეპრესირებული პოეტის შემოქმედებას, ე.ი. როცა ისევ ბაგონობდა ვულგარული სქემები და მხოლოდ ის-ის იყო იწყებოდა დოგმების რღვევა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ს. ცაიშვილის ნაშრომი და დღესაც იკითხება როგორც ნამდვილი შთაგონებისა და ღრმა ცოდნის ნაყოფი, ხოლო ეს იმასაც ნიშნავს, რომ მომავალშიც ასევე წაიკითხავენ. მკვლევარი შეეხო ტ. ტაბიძის პოეტურ ევოლუციას, ქართული სიტყვის განახლებას, „ცისფერი ორდენის“ მნიშვნელობას. სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ პოეტის შემოქმედება არ ეტევა რომელიმე სტილის ან მიმართულების ჩარჩოში და ვერც აღრეულ ტიციან ტაბიძეს განვითარებულ ეტაპებზე, როგორც მხოლოდ სიმბოლისტს. შემოქმედი მეცნიერი არ არის, რომ აინტერესებდეს რომელიმე ცნების ზუსტი დადგენა. მითუმეტეს - თეორიული პრინციპების განუხრელი ერთგულება. ამიტომ იყო ტ. ტაბიძე ერთხანს დადაიბმით გატაცებული, თუმცა დადაიბმი სიმბოლიზმის უარმყოფელი ძალა იყო. ამდენად თვლის ს. ცაიშვილი, რომ ცისფერყანწელთა მთავარი დამსახურება არის არა სიმბოლისტური სკოლის დაარსება (რომელსაც ესოდენი გატაცებით ქადაგებდნენ), არამედ - პოზიტიური წვლილი, რაც ქართული ლექსის განახლების პროცესში შეიტანეს.

საინტერესო ასპექტშია დანახული და განხილული „ცხენი ანგელოსით“, როგორც აღუშია წმ. გიორგის თეთრ მხედარზე. მაგრამ მასვე უნდა დაემატოს „აპოკალიფსის თეთრი იმედი“.

ს. ცაიშვილი ტ. ტაბიძის ესეებსაც ეხება. გამოყოფს პოეტის მიმართებას ვაჟა-ფშაველასთან. ცხადია, პოეტი წინაპრებს აფასებს თავისი პრინციპების მიხედვით და ნაკლებად აინტერესებს ლოგიკური სიზუსტე. ამდენად ტ. ტაბიძის მსჯელობაში შეიძლება დავინახოთ უფრო მეტი თავისუფალი ასოციაციები და დაუსაბუთებელი შეხედულებანიც. მაგრამ მთავარია სწორედ „ფართო ლიტერატურული პორიტონგი და მაღალი გემოვნება“, როგორც შენიშნავს მკვლევარი.

ამ ციკლის სტატიებსაც გასდევს ს. ცაიშვილის ლიტერატურული ანალიზის სპეციფიკა. იგი ყველგან ლიტერატურულ ფაქტებს ეხება, მხატვრულ აზროვნებას განიხილავს, გვესაუბრება როგორც დინჯი ეპიკოსი, სენსაციური იდეებისა და თეორიების გარეშე. ამიტომ არის მეცნიერის კვლევის შედეგი პოზიტივი, მომავალ მკვლევართათვის გასათვალისწინებელი.

წიგნში „წინამორბედნი და თანამედროვენი“ ერთი ნაწილი ეთმობა წერილების სერიას - „ქართული მეცნიერების სამსახურში“. იგი აერთიანებს ესეისტურ პორტრეტებს (თ. ბაგრატიონი, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, დ. ჩქოტუა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, ლ. ასათიანი, გ. წერეთელი, ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი, ნ. კეცხოველი, ი. გიგინეიშვილი...), რომლებშიც ავტორი გვიჩვენებს ცალკეულ მეცნიერთა დვაწლს, მათ დამსახურებას ერის წინაშე. ამ სერიის მეოხებით სარგის ცაიშვილი ავლენს თავის პატივისცემას წინამორბედებისა და უფროსი კოლეგებისადმი, იმასაც ცხადყოფს, რა გაკეთდა ქართულ ფილოლოგიაში, რას მიაღწია ეროვნულმა მეცნიერებამ. ეს კი ბუნებრივად გამოკვეთს სადღეისო ამოცანებს, თუ რას უნდა ესწრაფვოს მეცნიერი. აյ იმასაც უნდა მიეცეს ყურადღება, რომ სარგის ცაიშვილი გამოხატავს ფილოლოგიაში დამკვიდრებულ წესაც - საკითხის კვლევას უნდა ერწყმოდეს საკითხის ისტორიის ცოდნა.

მაგრამ სარგის ცაიშვილი არის ავრეთვე თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე, მისი ცალკეული ტენდენციის განმსჯელი და შემფასებელი, რადგან ყო-

ველი კვლევა-ძიება ნიშნავს არა მხოლოდ წარსულის რესტავრაციას, არამედ იგი წარმართულია მომავლის ლიტერატურის შესაქმნელადაც. მაგრამ აქცენტი კეთდება პრობლემატიკით (გრ. აბაშიძე) ან ბიოგრაფიულად მახლობელ მწერალზე (ა. სულაკაური, ნ. ლუმბაძე, გ. ასათიანი, ო. პაჭკორია), რათა ასე უფრო ნათლად და მკვეთრად გადმოსცეს მათ სტილსა და მსოფლგანცდაში არეკლილი დროის რიცმი.

„სტატიებისა და გამოკვლევების“ სამი ტომით სარგის ცაიშვილმა კიდევ ერთხელ წარმოსახა თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, რ. თვარაძის სიტყვით რომ ვიქვათ, როგორც მთლიანობა და მის საკითხთა ლაბირინთულ წყობას ახალი შუქი მოჰყინა.

ეურნ. „ცისკარი“, 1989, № 1.

## აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერები“

დასრულდა აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერების“ გამოცემა (გამომცემლობა „მერანი“). მკითხველის ხელთაა გამოჩენილი ფილოლოგისა და ლიტერატორის ნახევარსაუკუნოვანი შრომის შედეგი (1977-1981 წწ.).

პირველ ტომში განხილულია არეოპაგიტიკისა და რუსთველოლოგის პრობლემები, მეორე ტომი მოიცავს მონოგრაფიებს გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილზე, აგრეთვე – ესეისტერი წერილების მთელ ციკლს; მესამე ტომის პირველი წიგნი მთლიანად ეთმობა ქართულ კლასიკურ ლექსს, ხოლო მეორე წიგნი - „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას, ქართული და ბოგადი ვერსიფიკაციის საკითხებს.

უზვეულოდ ვრცელია აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ინტერესთა სფერო. იგი იკვლევს ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდებს, პოეზიასა და პროზას, კლასიკოსთა ბიოგრაფიებს, ცალკეულ ტექსტებს, ტექსტთა დეტალებს.

აკაკი გაწერელიამ შეაერთა კონკრეტული და ბოგადი კვლევის პრინციპები. ამიტომ სწოდება მისი თვალი ქართული მწერლობის მთავარ ხაზებს უძველესი ქამიდან დღევანდელობამდე. იგი ვრცელ კონტექსტში განხილავს საბიექტელ საკითხს და პოულობს მიმართებას მწერლური აზრის მამოძრავებელ ძალებიან; ა. გაწერელია ჩინებული მცოდნეა ანტიკური, რუსული და ევროპული ლიტერატურისა. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ესეი, რომლებშიც დიდი ცოდნითა და გემოვნებით იხატება ტოლსტოის, ლოსტონევსკის, რემარკის, ჰემინგუეის, ახ-მატოვას, ბელის, ტინიანოვის დაუკინგარი სახეები. და ბოლოს - აკაკი გაწერელია არის ქართული ლექსის თვალსაჩინო თეორეტიკოსი, პოეტიკის საუკეთესო სპეციალისტი. მის ნააზრევში ერთმანეთს ერწყმის მწერალი და ფილოლოგი, ლიტერატორი და თეორეტიკოსი. ინტერესთა ვრცელი სფერო, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება, ავლენს ავტორის ენციკლოპედიურ

ცოდნას. იგი ფლობს უმცირეს ნიუანსებსაც, არა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს ან ბიოგრაფიულ მასალებს. მაქსიმალური სიზუსტე და პირველწყაროთა ამომწურავი ცოდნა - ასეთია ა. გაწერელიას ფილოლოგიური კვლევის დევიზი, რასაც შესაშური კეთილსინდისიერებით ასრულებს კიდეც.

აკაკი გაწერელიას მსჯელობა ლოგიკურია, ნათელი და ემოციური. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ასეთი სტილის ერთგული რჩება ათეული წლების მანძილზე. მას არ შეუცვლია პოზიცია, ხელწერა, შეხედულებანი. იგი, როგორც კლასიკურ კულტურაზე ორიენტირებული, კონსერვატიულად არის განწყობილი, ეპოქის ცვალებადობა, ეამთა ცვლის სურათები მის სტილში არ არეკლილა, მის ენაში არ გახმიანებულა, თითქოს არც შეუქმნა მსჯელობის საკუთარი სტრუქტურა - იგი თავისთავად იშვა. ოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების ენა და სტილი ერთნაირად ლაპიდარულია, სადა და პოეტური. გულდასმითაც რომ ვეძებოთ, ვერ ვიპოვით წყალგამყოფ სტილურ ნიშნებს. ასეთი სიმტკიცე, მდგრადობა, სულ ერთია - მას პრინციპულობა დაერქმევა თუ კონსერვატიზმი - თანამედროვე თვალსაზრისით ეგებ სადაოც იყოს. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ა. გაწერელიას თვალთახედვა მიმართულია ტრადიციებისა და კლასიკური კულტურებისაკენ, დასრულებული და გამოკვეთილი ფენომენისაკენ. იგი ერთგულია რეალისტური სინათლისა, ჯანსაღი აზრისა და ფორმისა. მას არ უცდია აჩქარებული და ნერვიული ეპოქის რიფმის დაჭრა.

აქვე ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად წიგნის ბუმისა, დღევანდელობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გამოდის აკადემიზმის, არსებითად - ინტელექტის გააბსოლუტების წინააღმდეგ. ცოდნას უნდობლობა გამოეცხადა, მას ცელის განცდა, გრძნობა და ინტუიცია. დევალვაცია გადასწვდა ცნობიერების თითქმის ყოველ სფეროს. აღბათ ამ პროცესს არ დაერქმევა ინტელექტის კრიზისი, უფრო სწორად - ასე არაცნობიერად მჟღავნდება პროტესტი რაციონალიზმის, ფსევდოაკა-

დემიმმის, ჭეშმარიტებად მონათლულ ყალბ ფასეულობათა წინააღმდეგ, სწრაფვა უშუალობისა და სიჯანსაღისაკენ. ფორმალიტებულმა ენამ მეცნიერება მასების ინტერესებისაგან მოწყვიტა.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ აკაკი გაწერელიას ნაწერებზე, რომელიც ფრაბას სამეცნიერო შრომებშიც მწერლური სიფაქიზით ეკიდება. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მისგან. მან ხომ ფილოლოგიური და ლიტერატურული აბროვნება მაქსიმალურად მიუახლოვა მწერლობას. ანემიური სტილი აუფასურებს ბრწყინვალე აბრებსაც, თუმცა მახვილი და ცოცხალი აბრი ანემიურად ვერც გამოითქმება. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, მეტყველება და აბროვნება ერთმანეთისაგან განუთიშველია.

მინდა მკითხველს შევახსენო აკაკი გაწერელიას კვლევის ორი სპეციფიკური ნიშან-თვისება – ტრადიციონალიზმი და სკეპტიციზმი. იგი, როგორც გარდასულ კულტურათა მკვლევარი, სწორედ ტრადიციების ერთგულია და თავგამოდებული დამცველი. მისი სათაყვანებელი მწერლები XX საუკუნის მიღმა დგანან. იგი ენდობა იმ სიტყვას, რომელმაც საუკუნეთა ნესტება და სიცივეს, კაცთა კაპრიტებსა და უელობას გაუძლო და დღევანდელობამდე მოაგანა. ისტორია მისთვის უნივერსალური ცნებაა, როგორც პოეტური თხზვის, აბროვნების, ეთიკის ფუნდამენტი, მყარად მოცემული ჩვენს ფიქრებსა და ოცნებაში. ტრადიცია კი წარმოდგენილი აქვს როგორც რეალური სინათლე, წესრიგი, პროპორცია, ქრისტიანული სიკეთის ზეიმი. ეს თვისებანი მისი მსოფლგანცდის საწყისია, გადატანილი და გადაქსოვილი ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებზე.

მართალია, აკაკი გაწერელიას არ დაუწერია ესთეტიკური ტრაქტატები, არ შეუქმნია ლიტერატურული კვლევის ახალი მეთოდოლოგია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამოვკრიბოთ და შევაერთოთ სპეციფიკური აბრები, გაბნეული მრავალრიცხოვან ესეებსა და გამოკვლევებში და ასე აღვადგინოთ მისი ლიტერატურული კონცეფცია, წლების მანძილზე გამომუშავებული

და დაცული მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში. მის პოლემიკას ახასიათებს საგნისაღმი უსაბღვრო სიყვარული და თავგანწირვა. მისთვის უცხო და მიუღებელია მოდერნისტული სკოლები და ესთეტიკური პრინციპები. მათ ხომ ერთის მხრივ ქრისტიანულ მრწამსს დაუპირისპირეს ან კიდევ – შეუხამეს, მითოსი და წარმართობა, საგნის სიზუსტეს – შთაბეჭდილება, თვალსაბრისი საგანმცენებლად, სიჯანსაღეს – პათოლოგია, გრძნობების სიუხვეს – აზრების ხლართი, სინათლეს – სიბძელე, სიმშვიდეს – განგაში და ა.შ.

ა. გაწერელიას ამრით, მეცნიერი არ უნდა მოსწყდეს ფაქტებს, არ აქციოს ფილოლოგია ბელეტრისტიკად. იგი მაქსიმალურად ფრთხილი მკვლევარია, ეგებ ზოგჯერ მომეტებული სკეპტიკოსიც. მაგრამ, სამაგიეროდ, ა. გაწერელიას შეხედულებანი ფაქტთა ლოგიკას ემყარება და მათი უარყოფა შეიძლება მხოლოდ მეთოდოლოგიური გადატრიალების მეოხებით.

საერთოდ, ფილოლოგი სწავლობს ტექსტს, ტექსტის ორგვლივ არსებულ პრობლემატიკას, არამხატვრულ პლასტებს, მოდელირების პირველად წრეს, მაგრამ მისი შინაგანი მექანიზმი, ის, რაც შედევრს განასხვავებს სუროგატისაგან - არ აინტერესებს. „ლიტერატორი“ ღებულობს „ფილოლოგის“ დაკვირვებათა შედეგებს, ფაქტოლოგიურ მასალას, მას აღელვებს ტექსტის ესთეტიკური სული. ამიტომ მწერალთა მცირე ჯგუფი აინტერესებს და არა ყველა, ვისაც ხელი კალმისაკენ გაქცევია. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ა. გაწერელიას კვლევის სფეროში არ შემოსულა არალიტერატურული ტექსტები და მწერლობის მიღმა მდგარი ავტორები. სხვათა შორის, ამ პოზიციას სჭირდება გააჩრება, რათა ყოველი ბეჭდური სიტყვა ლიტერატურის ისტორიის ნაწილად არ ვაქციოთ, ყოველი გარდაცვლილი მწერალი – კლასიკოსობის პრეცენდენციალ. რაც წინ წავალთ, მით უფრო დასცილდება ერთმანეთს „ფილოლოგი“ და „ლიტერატორი“, თუმცა ბევრს ხელს აძლევს ამ თრი ცნების სინონიმურ წყვილად გამოცხადება. დღეს მთავარია ლიტერატურული

აზროვნება, ხოლო ფილოლოგიური კვლევა თანდათან გადადის მეორე პლანზე.

ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აკაკი გაწერელიას ლიტერატურულ-თეორიული გამოკვლევები და ესეისტური ნააზრევი.

მეცნიერის ყურადღების ცენტრშია საგნის არსი და არა ტერმინის თუ ცნების ლექსიკოგრაფიული სიბუსტით განსაზღვრა, რადგან როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს შეუძლებელია და სულსაც არაფერს ჰქმავებს. და საერთოდ ის, რაც სულსა და გონის არაფერს რვებს, ბედმეტია, სიცოცხლისათვის უსარგებლო, არსებითად - მცდარი, რადგან ნიუანსებით გაფაცების ქამს მთავარი ხელიდან გვეცლება. ტერმინით შენაცვლებით არსი არ იცვლება, რადგან სიცყვა საგნის პირობითი აღმნიშვნელია. ალბათ ესეც აძლევს საფუძველს აკაკი გაწერელიას ნიპილისტურად იყოს განწყობილი სტრუქტურალისტური კვლევის მიმართ.

მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ (სულ ერთია -ვეთანხმებით, თუ არა), რომ ტრადიციული ლიტერატურისმცოდნეობის დაბლევისა და უარყოფის ხმები დღეს სხვადასხვა მხრიდან გაისმის – მას აკრიტიკებენ სტრუქტურალისტები და აბრალებენ სქემატიზმსა და ბერელობას; ირონიით ახსენებენ მწერლები და ესეისტები – პედანტური აკადემიზმისა და ჭარბი ფილოლოგიურობის გამო, მის სასკოლო ხსიათსა და შეზღუდულობას ამხელენ ფილოსოფიისაკენ ორიენტირებული მოაზროვნენი. რაც შეეხება ფართო მასას – იგი თითქმის არც ეცნობა მას, რადგან მასში ვერ პოულობს პრაქტიკულსა და ემოციურს. ტრადიციულმა ლიტერატურისმცოდნეობამ ნელ-ნელა დაჰკარგა ნდობა ლიტერატორთა წრეშიც და იქცა პედაგოგიკის ნაწილად.

აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ნაწერები შეიძლებს სამ ნაწილად დაიყოს – 1. ფილოლოგიური, 2. ლიტერატურულ-ესეისტური, 3. თეორიულ-პოეტიკური. მე ამ პრინციპით მიმოვინდავ ოთხივე წიგნში შესულ მასალებს.

პირველი ტომი მთლიანად ფილოლოგიური ხასიათისაა და მოიცავს გამოკვლევებს, რეცენზიებსა და პოლემიკურ სტატიებს რუსთველოლოგიასა და არეოპაგიტიკაზე. ამ წიგნმა, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა, აკაკი გაწერელიას სამეცნიერო ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი გადაშალა. მართალია, იგი ყოველთვის იყო „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებული, მაგრამ ეხებოდა უფრო პოეტიკური თვალსაზრისით. ამჯერად კი მსოფლმხედველობრივ საკითხებს გადაწვდა, რადგან ამ სფეროშიც მრავალი უცნაური თეორია შეითხბა. „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, როგორც წერს ა. გაწერელია, ქართული კულტურის ცენტრალური პრობლემაა. მან გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე, რომელშიც დაიცვა და განავითარა ის თვალსაზრისი, რომ პოეტი ემყარება ქრისტიანულ აღმსარებლობას, ბიძლიურ წიგნებს, ახალ აღთქმას, თეოლოგთაგან კი ყველაზე მეტად – ფსევდოდიონისე არეოპაგელს. მან ზოგადი კონცეფცია კონკრეტულ დონეზე და-ამჟამავა და უტყუარი მაგალითებით დაადასტურა.

„ბეჭის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანგესთან“ ამ მიმართულებით ძიების ნაყოფია. ორი გენიოსის შედარებისათვის ამოსავალ წერტილად მიჩნეულია ფსევდოდიონისე არეოპაგელის ტრაქტატები. იშვიათი სიბუსტითაა მოძებნილი პარალელები, შემხვედრი დეტალები, მსგავს მიმართებათა სისტემა. აღნიშნულია ის პოზიტიური შედეგები, რაც მოჰყვა რუსთაველის ბიოგრაფიის ხანგრძლივ კვლევას, პოემაში ისტორიული რეალიების ძიებას. შემდეგ ნაჩვენებია ჩვენი დიდი პოეტის ქრისტიანული აღმსარებლობის დამადასტურებელი მაგალითები და ფსევდოდიონისეს მოძღვრების არსი.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, შალვა ნუცუბიძემ ფსევდოდიონისეს ტრაქტატები მიიჩნია რუსთველისა და ქართული რენესანსის იდეოლოგიურ წყაროდ. ა. გაწერელია ასეთი აბსოლუტიზების წინააღმდეგია, თანაც უარყოფს ფსევდოდიონისეს ნეოპლატონიკოსობას. ამით იგი გამორიცხავს ნეოპლატონიზმის პრობლემას XII საუკუნის ქართული კულტური-

სათვის. არსებითად მან მოარიგა და ახლებურად გაიაზრა, ახალი მასალებით შეავსო კ. კეკელიძისა (ბიბლიური ქრისტიანობა) და შ. ნუცუბიძის კონცეფციები (არეოპაგიტული ნეოპლატონიზმი), შექმნა თეორია, რომელიც დაბლვეულია უკიდურესობისა და ცალმხრივობისაგან. მისი მსჯელობა და დასკვნები ემყარება ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, რუსთაველისა და არეოპაგიტიკის გარშემო არსებულს. ავტორი ხშირად პოლემიკურად არის განწყობილი, განსაკუთრებით შ. ნუცუბიძის შეხედულებებისადმი, თუმცა მას ამჯერად არ ასახელებს. ა. გაწერელია კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ ფსევდო დიონისე „არც ერთს ჰუნქტში არ სწყდება ბიბლიის ჩვენებებს“. ხოლო ამ თეოლოგისათვის ქრისტეს შემდეგ ყველაზე ღიძი ავტორიზეთი პავლე მოციქულია. რუსთაველის „ერთი“ და „რომელმან“ კი – ქრისტიანული ღმერთია – „სამება ერთარსება“. ა. გაწერელიას ამრით, ფსევდოდიონისეს პროკლეს არცერთი „ფუნდამენტური დებულება“ არ გაუტიარებია.

შემდევ ნაშრომში განხილულია დანტეს მიმართება ფსევდოდიონისეს ტრაქტატებისადმი. აქაც მკვლევარი, ჩვეულებისამებრ, იშველიებს მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, რომლის მეშვეობით მოკლედ ახასიათებს „ლოთაგბრივ კომედიას“, პოეტის კოსმოლოგიურ წარმოდგენას, თხბულების ლაბირინტულ სტრუქტურას. მეცნიერი დეტალურად აჩვენებს, თუ რანაირად აქეს ათვისებული დანტეს ფსევდოდიონისეს ტრაქტატები და ეპისტოლები, როგორ ჰყავს წარმოდგენილი ანგელოსები („სარკენი“, „საყდარნი“), როგორ იმეორებს იგი, რუსთაველის დარად, დიდი თეოლოგის ტრიადებს, ორივე პოეტი ასახელებს დედამიწის ირგვლივ განლაგებულ შვიდ მნათობს, ანგელოსთა ფსევდოდიონისური იერარაქიის მსგავსად.

რუსთაველსა და დანტეს დიდი ხანია ერთმანეთს ადარებენ, მაგრამ კონკრეტული, ა. გაწერელიას სამართლიანი დასკვნით, რეალური საფუძველი მოძებნილი არ ყოფილა. ასეთი საფუძველი აღმოჩნდა ფსევდოდიონისე არეოპაგელის მოძღვრება.

მკვლევარმა ძიება განაგრძო და დაბეჭდა ახალი ნაშრომი „დაწე და პრეისტორიული საქართველო“. შეიძლება მას სტიმულს აძლევდა ისიც, რომ ფსევდოდიონისეს სახელი ქართულ სამყაროსთან აღმოჩნდა დაკავშირებული და იქნებ ამიტომ უნდოდა, გაეხატა მეტი სიახლოვე ფლორენციელი გენიოსისა საქართველოსადმი. ამჯერად ამოსავალია ანტიკური ხანა, ძველი კოლხეთი, არგონავტების მითი. „დვთაებრივი კომედიის“ ავტორი მედეას უბედურ ქალად მიიჩნევს, ხოლო იაზონს ჯოჯონებეთში ათავსებს. დანტე უარყოფს ანტიკურ ხანაში გაჩენილ და დამკვიდრებულ ცილისწამებას კოლხ ქალბე.

ამრიგად, აკაკი გაწერელიამ, როგორც მითოლოგიურ, ისე რელიგიურ პლანში აჩვენა ის საწყისები, რაც აერთებდათ რუსთაველსა და დანტეს.

რუსთაველის თემაზ აკაკი გაწერელია მიიყვანა არეოპაგიტიკასთან, რომელიც ჩვენში შალვა ნუცუბიძის ნაშრომთა მეოხებით დიდად პოპულარული გახდა (ფსევდოდიონისესა და პეტრე იბერის იდენტიფიკაცია, ქართული და აღმოსავლური რენესანსის იდეური საწყისების ძიება და ა.შ.). ისიც უნდა ითქვას, ქართველ მკვლევართაგან შ. ნუცუბიძის შემდეგ ა. გაწერელიამ შეიტანა თვალსაჩინო წვლილი ამ ფანგასტიკურად როგორ პრობლემების განათებაში.

ისმის კითხვა – როგორ უყურებს ჩვენი მკვლევარი „ნუცუბიძე-ჰონიაგმანის თეორიას?“ სხანს, თავიდან იგი ნეგატიურად იყო განწყობილი მისადმი, თუმცა თავისი პოზიცია არ გამოუხატავს. შემდეგ ივანე ლოლაშვილთან ხანგრძლივმა პოლემიკამ, მასალების ამომწურავამ შექმნავლამ, თანაგრძნობით გამსჭვალა ამ „ცნობილი თეორიისადმი“ – არსებითად დაიცვა იგი, ოღონდ არაპირდაპირი გმით. მართალია, უყოფმანოდ არ მიუღია ეს ინდენტიფიკაცია, მაგრამ თვლის დასაშვებად, შესაძლებლად, რომელსაც სჭირდება დამატებითი არგუმენტირება, მოგიერთი მოწინააღმდეგის (მაგ., რენე როკის) მიერ წარმოდგენილი საბუთების გაბათილება. მკითხველს აქვე უნდა

შევახსენო აკაკი გაწერელიას სკეპტიციზმი და ფილოლოგიური სიფრთხილე..

ა. გაწერელიამ ჩაიფიქრა ვრცელი მონოგრაფია – „პეტრე იბერიელი“. ამ წიგნიდან გამოაქვეყნა ორი გამოკვლევა – „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ და „ათენიადა – ევდოკია“. ორივე მათგანი შეტანილია პირველ ტომში.

„პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები“ ერთ კონკრეტულ პრობლემას ეძღვნება – გაირკვეს, თუ ვინაა ავტორი „პეტრე იბერიელის შესახებ ქართულად ნათარგმნ-გადმოკეთებული თხზულებისა“. ეს ტექსტი თითქოს ასურულად დაუწერია პეტრეს მოწაფეს -ბაქარია ქართველს V საუკუნეში, ხოლო ქართულად უთარგმნია მაკარი ხუცესს XIII თუ XIV საუკუნეში. მისი ნუსხა შემდეგში გადაუკეთებია და განუვრცია პავლე დეკანობს. ტექსტი მიღწეულია ორი რედაქციით და ორივე გამოსცა ნიკო მარმა 1896 წელს.

ა. გაწერელიას განხილული აქვს პირველადი ცნობები (ვახუშტი, პლ. იოსელიანი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე). ხოლო დიდ ყურადღებას უთმობს ნ. მარის გამოცემას. ნ. მარმა ხომ მისთვის ჩვეული ფართო ფილოლოგიური თვალიახედვით შეისწავლა „პეტრეს ცხოვრება“. მან პირველმა შეიტანა ეჭვი ბაქარიას ქართველობაში, წამოჭრა არაერთი საკითხი და დებულებანი, რომელებიც ფასეული აღმოჩნდა მომავალი კვლევისათვის. ა. გაწერელია ამტკიცებს, რომ „ბაქარია ქართველი“ პავლე ხუცესის გამონაგონი ავგორია. ამ მიზნით იგი უდარებს რ. რააბეს მიერ გერმანულად გამოცემულ (1896) „პეტრეს ცხოვრებას“ ქართულ ტექსტს. ამ ტექსტის ავტორი დაადგინა ედ. შვარტცმა (1912), იგი აღმოჩნდა იოანე რუფუსი, პეტრეს მოწაფე, რომელსაც ტექსტი ბერძნულად დაუწერია VI საუკუნის დასაწყისში. ამ გამოკვლევაში ვრცლად არის განხილული ნ. მარის, პ. კეკელიძის, ი. ჯავახიშვილის, პ. ინგოროვგას, ე. ჰონიგმანის, ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებანი.

ა. გაწერელიას მოაქვს ვრცელი პარალელური პასაკები იოანე რუფუსისა და მაკარი – პავლეს ტექსტებიდან და ასკვ-

ნის, რომ – „პეტრეს ცხოვრება“ თარგმანია, ხოლო პავლე ხუცესი – მისტიუკატორი, რომელმაც გამოიგონა „ბაქარია ქართველი“. ეს აბრი გაიმიარა ქართულმა მეცნიერებამ (ალ. ბარამიძე, ნ. ლომოური და სხვ.).

აკაკი გაწერელიას თვალსაზრისი არაერთხელ გააკრიტიკა და მიუღებლად ცნო იგანე ლოლაშვილმა, რომელმაც ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია სერიოზული განხილვის დირსადაც არ ჩათვალა! ამის პასუხად, საკუთარ შეხედულებათა დასაცავად და მათი დამატებითი არგუმენტირებისათვის, დაიწერა ვრცელი გამოკვლევები – „ისევ ბაქარია ქართველის გამო“, „ისევ პეტრე იბერიელის ქართული „ცხოვრების“ ირგვლივ“, „წიგნი არეოპაგიტიკის საკითხებზე“, „ცილისწამებათა კატალოგი თუ ფილოლოგიური გამოკვლევა?“ მათში თავს იჩენს მთელი რიგი ახალი საკითხები, პარალელურად მოპარექრის პოზიციის მხილებისა და თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისა. ეს პოლემიკა, რომელიც დაიწყო ერთი კონკრეტული საკითხის ირგვლივ, თანდათან გადაიჩარდა ფართო მასშტაბის დისკუსიაში და მასში მოექცა V-VI საუკუნეთა ქართული და ბიბანტიური კულტურების პრობლემები, რომელთაც, გარდა მეცნიერულისა, ეროვნული მნიშვნელობაც აქვთ.

აკაკი გაწერელიას ფილოლოგიური გამოკვლევები გაგრძელებაა ქართული მეცნიერების იმ ტრადიციისა, რომლის დამამკენილობებია ნ. მარი. მაგრამ აკაკი გაწერელია ყოველთვის ფაქტის, ღოკუმენტის ერთგულია, ფხიზელი რეალისტი, რომელიც ამოდის ტექსტიდან და მკითხველს არ ახვევს თავის შეხედულებას. ეგებ ასეთი კვლევა მოკლებული იყოს გარეგნულ ეფექტებს, სამაგიეროდ – მტკიცეა და უტყუარი.

მეორე ტომში თავმოყრილია ლიტერატურულ-ესეისტური გამოკვლევები, წერილები, პორტრეტები. იგი პირდაპირი გაგრძელებაა და დასრულებაა ა. გაწერელის ძველი I ტომისა (1962) და ამ წიგნთან ერთად თითქმის მთლიანად წარმოგვიდგენს ა. გაწერელიას, როგორც ლიტერატორს, სტილის ოსტატს. ეს წიგნი მრავალმხრივაა საგულისხმო და მნიშვნელოვანი.

ჯერ ერთი, ყველაზე პოპულარულია როგორც მწერალთა და მეცნიერთა, ისე მკითხველთა შორის, მეორე – იგი აღადგენს მივიწყებულ მეთოდებს ნაწარმოებთან, ხელოვანთან მიმართებისა, მესამე – ეს წიგნი დაწერილია მწერლის მიერ, რომელმაც იცის შემოქმედის სულის საიდუმლო, ძალუძს ამ იდუმალების სიტყვაში გაცხადება და, ამასთან ერთად, გვხიბლავს სულიერი პორიჩონტის სიფართოვით.

პირველი გამოკვლევა გრიგოლ ორბელიანს ეძღვნება. ა. გაწერელიას დიდი დამსახურება მიუძღვის ამ შესანიშნავი პოეტისა და სარდლის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში, როგორც მისი ბიოგრაფიისა და პოეზიის სისტემატიზაციის, საფუძვლის შემქმნელს მომავალ მკვლევართა და მწერალთათვის. ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოსცა მან გრიგოლ ორბელიანის წერილების ორგომეული, რომელმაც მისი ყურადღება წარმართა „კავკასიის ილიადასაკენ“ და დაიწყო შამილზე რომანის წერა, რათა დიდი სამეცნიერო ინფორმაცია მხატვრულ კალაპოტში მოექცია. შემდეგ ა. გაწერელიამ, ჯ. ჭემბურიძესთან ერთად, გამოსცა „სადღეგრძელოს“ ავტორის მხატვრული ნაწარმოების სრული კრებული; ხოლო გამოკვლევა, რომელიც ამ ტომშია შესული, სწორედ ამ გამოცემას წარუმდვარა. იგი გამოირჩევა დოკუმენტური მასალის სიუხვით, ცალკეული ლექსების ანალიზით. ამასთან ერთად დაწერილია როგორც მოთხოვთა: ჩვენს წინაშე ცოცხალი ადამიანის ფიგურა იკვეთება თავისი ლექსებით, ბრძოლებით, ვნებებით, ფიქრებით. ალბათ ეს იმანაც გამოიწვია, რომ ავტორმა სქემად აიღო პოეტის ბიოგრაფია და მისი მიღევნებით განიხილა ვრ. ორბელიანის მიმართება კონკრეტულ ადრესაგებთან, ბუნებასთან, სიყვარულთან, სამშობლოსთან, ღვთაებასთან, „შვილებთან“, ე.ი. მან ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ აჩვენა, არამედ – ერთი ახსნა მეორის მეშვეობით და პირიქით. ამით არსებითად ერთი კონკრეტული მწერლის შემოქმედების მაგალითზე განიხილა პოეზისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების პრობლემა.

მეორე გამოკვლევა ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს მონოგრაფია დაიწერა პოეტის საიუბილეოდ, 1945 წელს და მას შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა. ნაშრომი არაერთი პრობლემას მოიცავს და ახლებურად აშუქებს. საკმარისია ქვეთავების გახსენებაც, რათა საგრძნობი გახდეს მისი მრავალპლანიანობა.

აკაკი გაწერელია ამჯერადაც ამოდის ფაქტებიდან, საანალიზო მასალიდან, ღოკუმენტებიდან. იგი თავისი კონცეფციის საილუსტრაციო მასალად როდი მიმართავს დიდი პოეტის შემოქმედებას. ამიტომ უფრო კვლევისა და დაკვირვების შედეგებს გვაცნობს, ვიდრე მსჯელობის პროცესს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის, რაც ქაღალდზე აღიბეჭდა, მრავალი წლის ნაფიქრალია, თუმცა სწრაფად ფიქსირებული. ეს კი აძლევს ნაწერს სიმსუბუქს, სინათლესა და გამჭვირვალობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი“ (საინტერესოა, რომ ავტორმა მას „გამოკვლევის ცდა“ უწოდა). მასში ჯერ საუბარია შემოქმედის მიმართებაზე მითებთან. შემდეგ ნაჩვენებია, როგორ პროექტირდა ქართული მითოლოგის ფშაური ნაკადი, როგორი სტრუქტურით წარმოსდგა ვაჟის შემოქმედებაში (დევები და ქაჯები, იახსარი და კოპალა, ლაშარის ჯვარი, შავეთი, ბედისწერა). იგი, ისევე, როგორც „ეროსი ყაბბეგის მოთხოვობებში“, უაღრესად მახვილი დაკვირვების შედეგია. აქვე უნდა დავხსახელოთ „რუსთაველის ორი საგრფოს სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი“.

ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სტაგია თითქოს ამოვარდნილია ა. გაწერელია კვლევის სტილიდან, ე.ო. არაფრადიციონალური ბუნებისაა და იყენებს მითოლოგიური, ფსიქოანალიზური და სტრუქტურალისტური კრიტიკის მონაცემებს. ალბათ კლასიკისა და ტრადიციებისადმი ავტორის განუხრელი ერთგულებით უნდა აიხსნას, რომ მან თავისი ნიჭი და ერუდიცია ანალოგიური პრობლემებისაგან არ წარმართა, არადა – ამით ხომ განუზომლად მოიგებდა ჩვენი ლიტერატურული აზროვნება.

ამავე ტომში თავმოყრილია ჩინებული ესეები. ისინი ეძღვნება ნ. ბარათაშვილს, თ. დოსტოევსკის, ა. ახმაფოვას, გ. ლეონიძეს, პ. ვალერის, ა. შანიძეს, გ. ჩუბინაშვილს, ს. ჯანაშიას, კ. კეკელიძეს... მათში ავტორი წარმოგვიდგა, პირველ ყოვლისა, როგორც სიტყვის ოსტატი, დიდი კულტურის მწერალი. საერთოდ, ესეი სუბიექტურ შთაბეჭდილებათა ფიქსაციაა, მეცნიერისა თუ ხელოვანის მიმართებათა გამქდავნება, რომელსაც ხშირად არც ახლავს მტკიცება. იგი საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმაა, რომლის უეჭველ გაზიარებას არ გთხოვს, – მით უმეტეს – არ გაიძულებს ავტორი. მაგრამ ა. გაწერელის ესეები, პოეტურ ტალანტიან ერთად გვხიბლავს დიდი ერუდიციის სინათლით. ცოდნის მხატვრული მოდელირება, მწერლობად ქცევა – აი, ა. გაწერელის ესეების თვისება. ამიგომ მისი მსჯელობა სულაც არაა პარადოქსული, მხოლოდ პირად გემოვნებაზე დამყარებული. იგი თითქოს საყოველთაო თვალსაზრისის ნაწილად იქცევა, არგუმენტირების გარეშეც, რომლის არსებობა ტექსტის მიღმა იგულისხმება.

სამწეხაროდ, წიგნში ვერ მოხვდა ადრეულ კრებულებში დაბეჭდილი ცნობილი ესეები ა. ბელიბე, ი. ტინიანოვზე, თ. დოსტოევსკიზე, ე. ჰემინგუეიზე, კ. გამსახურლიაბე, გ. ტაბიძეზე, დ. კლდიაშვილზე, ვ. ბარნოვზე... ასევე ამ წიგნის მიღმა დარჩა „დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი“, „ტოლისტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“, მოგონება ტიციან ტაბიძეზე; ასე რომ მკითხველს საშუალება ეძლევა მხოლოდ ნაწილობრივი წარმოდგენა იქონიოს ა. გაწერელის ესეისტურ ნაწერებზე. დღეს, ტოტალური ინფორმაციის მოწოდის შედეგად, იკარგება დაწმენდილი სტილის გრძნობა, რაც იწვევს აუდიტორიისა და ლიტერატურის გათიშვას, რადგან მათ შორის ყრუ კედლად დგება ბუნდოვან ცნებათა ბარიერი. ამ თვალსაზრისითაც დიდად საგულისხმოა ავტორის ესეები.

ა. გაწერელის ესეებში, პირველ ყოვლისა, ადრესატის პორტრეტი და ხასიათის თვისებანია გამოსახული, ძუნწი, მაგრამ მრავლისმეტყველი ნიშნებით. ყოველი მეცნიერული თუ

მხატვრული ნააბრევი აღქმულია პიროვნების პრიზმიდან, ბიო-გრაფიიდან გამომდინარე. იგი ერთგულია ამ სფეროში XIX სა-უკუნის ფრანგული კრიტიკისა, რომელშიც ბიოგრაფია განუყ-რელია შემოქმედებისაგან და ორივე ერთად აღქმულია იმპრე-სიონისტული თვალთახედვით. ა. გაწერელიას ესეების დეტა-ლები ამხელენ ნატიფი გემოვნების პრობაიკოსს:

„მე ადვილად შევურიგდები სიკვდილის იდეას, თუ უფალი საიქიოში თამბაქოს მოწევის ნებას დამრთავსო, – წერდა ვ. რობანოვი.

რა ჯურის ვნებანი არ არხევენ აღამიანის ცხოვრების ნავს, ან რომელ ძეხორციელს დაუშოშმინებია ისინი?

დიდი ხანია ილია აგლაძე მარადიული დუმილის ქვეყანა-შია გადასახლებული, იქ არავინ არაფერბე დაობს და ყველა ვნების აფრები დამცხრალია.

თვითონ აფრებიც არ ჩანან.

და მინდა ერთხელ კიდევ აქედან გამოვაჯავრო და იმ მხატვარივით შევეკითხო: – ჩვენო ბატონი ილიავ, ახლა მაინც როგორ ფიქრობთ, ხრამული იგივე ორაგულიდ თუ სხვა ჯიშის თვეგზია ბოლოს და ბოლოს?!

და მეჩვენება, რომ ილია აგლაძე ისევ შეჰყრის ნაოჭებს თვალის უპეებთან ან უკვალოდ გააქრობს მათ თავისი ბონა-რიანი სათვალის მინებქვეშ“;

„იგი აღრე მოაკლდა ჩვენი მეცნიერების სარბიელს. სუსხიან წლებში მან ყური არ ათხოვა ეპიკურეს რჩევას: „იცხოვო უჩინრად“!

მ. გოგიძერიძეს არ სწყალობდა დუმილის ღმერთი, რო-გორც არა სწყალობდა იგი ჩვენი ნიჭიერი მოაზროვნის მუზის ღმერთის – სოკრატეს“;

„თუ მართლა ყველაფერი ეფემერულია, ერთადერთი გამო-სავალი ის რჩება, რომ გახელილი ან ნახევრად გახელილი თვალებით გვეძინოს. მაშინ ფარდის დაშვების წინ თვალების საბოლოოდ დახუჭვა უკანასკნელი აქტი იქნება სიბმარეულ-თან ჩვენი ცნობიერების შერიგებისა. გ. ქიქოძე მართლაც მო-

ჭურული თვალებით დადიოდა ჩვენს შორის და მეჩვენება, რომ მისი სქელი ქუთუთოების მთლიანად შეკვრამ უდრტვინველად დაასრულა შესანიშნავი პიროვნების როლი იმ „ადამიანურ კომედიაში“, რაზედაც სიკვდილის წინ გარსშემოკრებილთ ესაუბრებოდა რომის პირველი იმპერატორი“.

ცალკე უნდა გამოიყოს მემუარული ხასიათის „შეხვედრები იური ტინიანოვთან“, რომელშიც მოგონება, მეცნიერული ფაქტები და ცხოვრებისეული დეტალები ერთ მთლიან მოთხოვნად არის ქცეული.

ხელოვანისაგან განსხვავებით, მძიმეა მეცნიერის ხვედრი, ეს ერთგვარი „ტანტალოსის სასჯელია“, რადგან ლოგიკური აზრი მუდამ იცვლება, განსაკუთრებით ჰუმანიგარულ მეცნიერებებში და მისი ნაწერები დავიწყებას ეძლევა, იშვიათ შემთხვევაში – ვიწრო სპეციალობის ხალხი კითხულობს. მაგრამ ლიტერატორი, ფილოლოგისაგან განსხვავებით, უკავშირდება ფილოსოფიასა და მწერლობას, რომელთა მეშვეობით ძალუბს საკუთარ ნაწერს გამძლეობა შემატოს, აქციოს აზროვნების დოკუმენტად, ყველა დროისათვის საინტერესო მასალად.

მშვინიერება და ჭეშმარიტება, აი ორი უმაღლესი პოსტულაცი, ღვთაებრივი ძალა, რომლისკენაც ორიენტირი ქმნის სულიერ ფასეულობას. ალბათ მომავალში მაქსიმალურად უნდა შეერწყას მეცნიერული აზრი მხატვრულ ფორმას, სახე – ცნებას, მშვინიერება – ჭეშმარიტებას, ლოგიკა – ფანტაზიას, რომლის უდიდესი პეროლდები იყვნენ: ანტიკურ ხანაში – პლატონი, ახალ დროში – ნიცშე. სხვა მხრივ მეცნიერება დარჩება მეცნიერებისათვის, კასტის ხელში. ხალხი მას არ მიიღებს.

საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებული აკაკი გაწერელიას დიდი დამსახურება ქართული ლექსის კვლევის დაწესი. „ქართული კლასიკური ლექსი“, რომელიც 40-იან წლებში დაიბეჭდა ჯერ უკრნალ „მნათობში“, შემდეგ არაერთხელ ცალკე წიგნად, არის ფუძემდებლური მონოგრაფია. ამ ნაშრომით შეჯამდა ქართული ლექსის შესწავლის მრავალსა-კუნოვანი გამოცდილება. ავტორმა უმდიდრეს თეორიულ და

პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით დაადგინა ქართული ლექსის მახვილის, რიტმის, რითმის, სტროფისა და მეტრის კანონზომიერი ბუნება, ეროვნული ხასიათი.

ლექსი პოეზიის ეპიცენტრია, ამასთან ერთად – სასიცოცხლო წესრიგის ინტუიციური გაცხადება. იგი პირველ რიგში მიემართება ენას. ენა მისთვის არის მასალა, ხოლო ეს ენა ნაციონალური ცნობიერების, ფსიქიკისა და ხასიათის კოლექტიური დანალექია, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცემა ხელოვანს. ყოველი ერისათვის ლექსად თქმული სიტყვა განუმეორებელი ღირებულების მატარებელია, არც ქართველი ხალხია გამონაკლისი. ამიტომ ლიტერატორის ოცნებაა, ამოხსნას მშობლიური ლექსის ბუნება, რადგან იგი ეროვნული ცნობიერების მიკრომოდელია, მისი ყველაზე ღრმა და უმორესი ფენებიდან წამოსული. გარეგნულად ლექსის სტრუქტურა მარტივია, იოლია მისი აღქმა, მოსმენა და თვალით ათვისება. მაგრამ ამ სტრუქტურის თვითნებური შეცვლა არ ძალუდს პოეტს. რადგან იგი განსაზღვრულია და შებოჭილი გენეტური კოდებით.

აკაკი გაწერელიას მეცნიერული კვლევის მთავარი ორიენტირი პირველივე სტატიებიდან, ვიდრე ბოლოდროინდელ გამოკვლევებამდე, არის ქართული ლექსის სისტემა, მისი კლასიკური წყობა. საამისოდ იგი მიუბრუნდა უძველეს ტექსტებს, პირველად ფიქსირებულ ლიტერატურულ მასალას. ეს აუცილებელი იყო, რადგან ფესვები აწვდიან მაცოცხლებელ წვენსა და ძალას ტოტებსა და ფოთლებს. აკაკი გაწერელიამ პირველ რიგში ძველი ქართული ლექსი შეისწავლა, მაგრამ, ამასთან ერთად, XIX-XX საუკუნეთა გამოჩენილი სიტყვის ოსტატების პორტრეტები მოხატა. ამ მხრივაც მისი დაკვირვებანი, ცალკეული მიგნებული დეტალები მუდამ დარჩება დახვეწილი გემოვნების და სტილის ოსტატობის ნიმუშებად. იგი არ გასდევნებია ვრცელ ექსკურსებს. ამიტომ – მსჯელობა მუდამ ლაპიდარულია, ბუნწი და უმთავრესისაკენ წარმართული, დას-

კვნები – სადა და უბრალო, სენსაციურ ელფერს მოკლებული, სამაგიეროდ – მუსტი, მართალი და უტყუარი.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მიმოხილულია ლექსის თეორიის ზოგადი საკითხები, ლექსთწყობის სახეები, სასკოლო ანუ დოგმატიკური მეტრიკა, ე.წ. სმენითი ფილოლოგია, რუსული ფორმალიზმი; წარმოდგენილია ავტორის თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად ედება ქართული ლექსის, მისი ძველი ანუ ფიქსირებული საწყისების კვლევას. მას მოსდევს ქართული ვერსიფიკაციის შესწავლის ისტორია. ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა – რა გაკეთდა, რა პოზიტიური ცოდნა დაგროვდა. რა მემკვიდრეობა დაუხვდა მას, რათა შემდეგ უშეალოდ თავისი თვალსაზრისი გაეშალა.

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია ქართული ლექსის მახვილი, რიტმი, რითმა, სტროფი და საბომები, ლექსი, როგორც ენობრივი მასალის სტილიზება, უკავშირდება მახვილის ცნებას. ა. გაწერელიამ მიუთითა, რომ ქართულში მახვილი არაა მკვეთრი, განსხვავებით, ვთქვათ, რუსულისაგან, მაგრამ აქვს თავისი კანონბომიერება. იგი დინამიკურ-ექსპირატორულია, ორმარცვლიან სიტყვაში მოუდის პირველ მარცვალს (ქარი), სამმარცვლიანშიც პირველს (კალამი) ოთხმარცვლიანში – ბოლოდან მესამეს (სიხარული), ხუთმარცვლიანშიც – ბოლოდან მესამეს (მატარებელი), არსებითად – სიტყვას მოუდის ორი მახვილი და ა.შ. ალბათ ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი ქართულ ლექსში თუ პრობის რიტმში ქორე-დაქტილის კომბინაცია, როგორც თვით ენის ბუნების, მისი უღერადობის, მუსიკალობის შესატყვისი. ხოლო ყველაზე მთავარია ქართული მეტყველების დაქტილური რიტმი. ეს არის ერთ-ერთი პრინციპული დასკვნა ა. გაწერელიასი და როგორც ეს შემდეგ სხვებმაც აჩვენეს (მაგ. პ. ბერაძემ), არავისთვის სადაცო არ უნდა იყოს. ა. გაწერელიას თვალსაზრისი დაადასტურა ექსპერიმენტულმა ფონეტიკამაც. მაგრამ ასეთია ენობრივი მონაცემი სტატიკური მდგომარეობის ქამს. ხოლო ცოცხალ მეტყველებაში,

დეკლამაციაში თუ ლექსის თხზვის პროცესში შესაძლოა მახვილი გადაადგილდეს. როგორც არნ. ჩიქობავამ დაამტკიცა, ძველქართულში მახვილი მოძრავი უნდა ყოფილიყო, რაც იწვევდა სიტყვის ცვალებადობას. ა. გაწერელია მიიჩნევს, რომ მეტრისა და სტროფის ზეგავლენით, რათა შენარჩუნდეს რიტმი, რიტმული განწყობილება, შეიძლება მახვილმა ადგილი შეიცვალოს. ამის მაგალითები უხვად მოიპოვება გ. ტაბიძის პოეზიაში, მაგრამ საკმარისია მოვიტანოთ დ. გურამიშვილის ორტაქედი:

მე გასმევდი, მე გაჭმევდი, მე გაცმევდი ტანთ,

შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა, სხვისგან მონაფანთ.

ლექსი ემყარება ენის პროსოდიულ შესაძლებლობას. ის, რაც ენაში ფარულად და ხილულადაა მოცემული, მედავნდება პოეტის მიერ. ბოგჯერ პოეტი ძალას აფანს ენას, სიტყვებს, სინტაქსს, მახვილებს, ცხადია, პუნქტუაციასა და მართლწერასაც. ასეთი მიმდლავრება ავანტიურასთანაა წილნაყარი, დინების საპირისპირო სკლაპა და გამართლებულია მაშინ, როცა შეიქმნება ფასეული ნაწარმოები, როცა ათენა ამას ინებებს.

საერთოდ ხელოვნება ბუნებრივ სტილიზებას ემყარება, განსხვავებულ ყოფითი გარემოსა და მეტყველებისაგან, თუმცა მათგან იღებს სათავეს. სტილიზებულია ლექსი, ცეკვა, სიმღერა, საუკუნეთა მანძილზე არაცნობიერად შემუშავებულ პირობითობაზე დამყარებული. ესეც უნდა გავითვალისწინოთ, როცა გმსჯელობთ მახვილზე – ერთის მხრივ, სასაუბრო მეტყველებაში, მეორე მხრივ – ლექსში.

რითმა თანამედროვე პოეზიაში მწვავე დისკუსიის სავანია. იერიში ტრადიციულ ლექსზე დაიწყო რითმის უარყოფის ნიშნით. როგორც ა. გაწერელია შენიშნავს, რითმა უბრალო სამკაული როდია, არამედ სალექსო კონსტრუქციის ერთი უმთავრესი წევრი. სალხური წარმოდგენით, რითმა და ლექსი ერთმანეთისაგან განუყრელია, მაგრამ რითმაც, ისევე როგორც მეტაფორა თუ შედარება, უკავშირდება არაცნობიერ ფსიქიკას, თხზვის ინტუიციურ პროცესს. იგი არღვევს ცნობიერის მიერ დაწესებულ ნორმებს, შაბლონსა და ტრივიალობას და უეცარ

განწყობილებას გვაზიარებს, გადავიწყებულ ფაქტებს, მინავ-ლებულ შთაბეჭდილებებს, გამოავლენს გაურკვეველ, პიროვ-ნების სულში პასიურად არსებულ იმპულსებს, მაგრამ ეს მისი ფარული ფუნქციაა. გარეგნულად კი ამთავრებს სტროფს და ბეგრათა კანონბომიერი მონაცემებით, მთლიანი კეთილ-ხმოვანებით მსჯალავს მას. ეს კეთილხმოვანება, ბეგრათა პარმონია და წესრიგი, აგრეთვე დემონური იდუმალება კი შეე-სატყვისება გემოვნებას, მოძრაობის არსს და პიროვნებას აერ-თებს სიტყვაში დამალულ ყოფიერების სასიცოცხლო წრედათან.

დეტალურადაა განხილული რითმისა და მეტრის, რითმისა და სიტყვის ურთიერთმიმართება, რითმის ადგილი სტროფში, ევფონიური ბუნება, ქართული რითმის გენეზისი. „რითმა იწყე-ბა ტაქტის უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნიდან. ამიტომ ქარ-თული კლასიკური ლექსის კლაუზულა უმთავრესად ქორეული (ორმარცვლიანი) და დაქტილურია (სამმარცვლიანი), მაშასადა-მე, რითმებით ქორეულია ანუ ქალური და დაქტილურია“, წერს ა. გაწერელია და ეს დასკვნა უკავშირდება მსჯელობას რიტმის ბუნებაზე, მის დაქტილობაზე. ეს კი უფრო ნათლად უსვამს ხაზს, თუ როგორ ვლინდება იგი ლექსის განსხვავებულ კომპონენტთა სისტემაში. აკაკი გაწერელიამ შემდეგში გადასინჯა ქარ-თული რითმის გენეზისის საკითხი, შეცვალა ამ წიგნში განვი-თარებული შეხედულება (ვფიქრობ, „რითმის ევოლუციის სა-კითხის“ გადასინჯვა არ იყო მართებული).

აკაკი გაწერელია რითმას იკვლევს ვრცელ კონტექსტში, პოეტურ მასალასთან მიმართებით. მისი ანალიზი არის არა სტატისტიკური ფორმების აღრიცხვა, არამედ დინამიკური ძა-ლის ჩვენება, დამორჩილებული ესთეტიკურ პრინციპს. იგი გვასწავლის, რომ რითმა, თავისითავად აღებული, ფიქციაა და ღირებულებას იძენს მსოლოდ კონტექსტში, ჰეშმარიტ ქმნილე-ბაში. ამიტომ მისი მსჯელობა ეყრდნობა არა გამონაკლისებს ან უსუსურ ტექსტებს, არამედ – შედევრებს, რადგან ლიტერა-ტურის ბუნებას განსაბღვრავს შედევრები და კანონებიც მათ-გან უნდა გამოვიტანოთ. ამდენად ა. გაწერელიას არგუმენტი-

რება და რითმის ნიუანსების ანალიზი ესთეტიკურ მომენტსაც შეიცავს და ერთ-ერთი ხერხია მხატვრული კონცეფციის ამო-სახსნელად.

რითმის („სარითმო სიტყვის“) ანალიზი მუდამ აგრთან, მხა-ტვრულ ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ა. გა-წერელიას მხოლოდ სტრუქტურა კი არ აინტერესებს, არამედ სტრუქტურის ფუნქციაც. ჯერ მთლიან სისტემასთან მიმართება, შემდეგ ადგილი და როლი. ასეთი პრინციპის გატარება ძნე-ლია, რადგან იგი ნიუანსთა მეშვეობით მთელის აღდგენაა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის ფასეული მონაპოვარი.

სიტყვათა გარითმვა მათ შორის არსებული კავშირის აღ-დგენაა, უძველესი ერთობის ან კიდევ – ამ ერთობის ილუტიუ-რი ჩვენება, პირველ სათავესთან დაბრუნების მირაჟი, თამაშის ხელოვნება. ეს ხორციელდება ბგერების კანონბომიერი მონა-ცვლეობით. მაგრამ ბგერათა მაქსიმალური დამთხვევა, ეწ. ომონიმური რითმი (მკლავს – მკლავს, მონამა – მონამა) უფრო ცუდად ქდერს, ვიდრე მიახლოება აბრის მშვეობით გაჩენილ ბბართან ბგერათა ერთიან კომპლექსში (ბლვა – სხვა, ქარი – კარი). ამიტომ გარითმვა ისტორიულად ენის დიფერენცირების, განტოტვის, გაშლის მძლავრი ბერკეტიც იყო. ამჟამად კი აღადგენს ამ უძველეს პროცესს, რაც შერწყმის, დაბრუნების სიხარულს მუსიკალური ქდერადობით ავლენს, როგორც მატე-რის თვისებას, სიცოცხლის უნარად ქცეულს.

შემდეგ ვეცნობით სტროფის აგებულებას, მის თემატიკურ, მეტრულ და მარცვლებრივ თანაბრობას, ჰეტერომეტრულ (არათანაბარი) და იბომეტრულ (თანაბარი) სტროფებს, რითმის დანიშნულებას სალექსო მონაკვეთის ორგანიზებისათვის. წარმოდგენილია ურითმო იამბიკოს სილაბური სტროფი, რით-მიანი იამბიკოს სტროფები. ცნობილია -იამბიკო იყო ბიბანტი-ური რელიგიური პოეზიის ქართულენოვანი რეგიონი. ამიტომ იგი თანდათან დაირღვა როგორც ფორმის, ისე არსის თვალ-საბრისით. გზა გაიკაფა ხალხურმა, საუკუნეების ბნელ წიაღში სტიქიურად ფორმირებულმა ლექსმა და XI საუკუნიდან ლიტე-

რატურაში ყალიბდება სილაბურ-ტონური ლექსის კატრენული სტროფი. ნაშრომში განხილულია ორგაეპედი, სამტაეპედი და ა.შ. მაგრამ ქართული ლექსისათვის მთავარია კატრენული სტროფი, ალბათ არა მხოლოდ რესთაველის დიდი ზეგავლენის მეოხებით.

სტროფი ლექსის სტრუქტურულად დასრულებული მონაკვეთია. მეტყველებას ლექსად აქცევს რიტმი, რიტმის ორგანიზება და მისკენ განუხრელი სწრაფვა. იგი აერთებს მთავარ სალექსო კომპონენტებს, რომელთა დახვეწა წარმოშობს რაფინირებულ სისტემას. ა. გაწერელიას დასკვნით, სილაბურ-ტონურ, ე.ი. ქართულ ლექსთწყობაში რიტმს აყალიბებენ – მეტრი, მეტრისა და სიტყვის ურთიერთობა, გადატანა, რითმა, ტემპი და ინტონაცია. ამ ცნებათა სინთეზირება ინტუიციურია, ე.ი. პოეტი, განსხვავებით სპეციალისტისაგან, არ იცნობს მათ სპეციფიკას, მაგრამ გრძნობს და სმენის მეშვეობით, შინაგანი განწყობილების კარნახით, ავღენს რიტმის განუმეორებელ ბუნებას.

ა. გაწერელიას ვრცლად აქვს განხილული მეტრის ცნება, წიგნის დასასრულს კი – ქართული კლასიკური ლექსის საზომები, მეტრული სქემა და ტერფი, მათი ურთიერთიმიმართება, ტერფის გვარები – ქორე, დაქტილი, მეორე პეონი, აგრეთვე – ანაკრება და კლაუზულა, ცემურა, ტემპი და ინტონაცია. ყოველი დებულება დადასტურებულია კონკრეტული მაგალითებით, რომელთაც თავისთავადი პოეტური ღირებულებაც გააჩნიათ და სულაც არ არიან მკვდარი ილუსტრაციები, რადგან ერთია ფაქტის არსებობა, მეორე – მისი პოეტური ხარისხი. ლიტერატურას კი ქმნის ხარისხობრივი იერარქია, მაგრამ უმწეო ფაქტების კონსტანტაცია არაფერს ნიშნავს. ამჯერად ა. გაწერელია გვაწვდის მთავარს, არსებით ნიშნებს და მსჯელობას არ ტვირთავს დეტალებით. ამიტომ მკითხველი ითლად აღიქვამს მცნიერის ნააზრევს.

ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკი გაწერელია, როგორც თეორეტიკოსი, არ სცილდება ლიტერატურისმცოდნეობის სფეროს. იგი ლექსის თეორიის, რითმის თუ რიტმის ანალიზისას მუდამ

კონკრეტულ ლიტერატურულ მასალას ემყარება და არ იშვე-  
ლიებს ფილოსოფიისა თუ ფიქტურულობის მონაცემებს. ეს ავ-  
ტორის პრინციპული პოზიციაა, რადგან, მისი აზრით, ლიტე-  
რატურულ კვლევას აქვს თავისი საზღვარი და მისი დარღვევა  
არ არის სასურველი. ასეთი პოზიცია აუცილებელი იყო მაშინ,  
როცა ქართული ლექსის ბუნება უნდა დადგენილიყო. დღეს კი  
საჭიროა, ჩემის აზრით, გაფართოვდეს კვლევის სფერო, მეტი  
ყურადღება მიექცეს ქართულ ხალხურ, სვანურ, მეგრულ-  
ჭანურ სალექსო ფორმებს, სალექსო სტრუქტურის გენებისის  
პრობლემას როგორც ბოგადად, ისე ქართველურ არეალში,  
მის მიმართებას ეროვნულ ფსიქიკასთან, კონთან, ყოფიერ-  
ბასთან, ე.ი. არსებითად უნდა მოვახდინოთ ა. გაწერელიას  
პოეტიკური კონცეფციის უნივერსალიბება, ხოლო დისკუსია ამ  
კონცეფციის გარშემო, ბოლო ათწლეულში გაშლილი, გვიჩ-  
ვენებს, რომ ჩვენ თითქოს „მოჯადოებელი წრის“ ირგვლივ  
ვტრიადებთ.

აკაკი გაწერელიამ გაწმინდა ქართული პოეტიკა უსაგნო,  
დოგმატიკური ტერმინებისაგან; თანამედროვე ლექსითმცოდ-  
ნეობის, განსაკუთრებით რუს მკვლევართა შრომებზე დაყრდ-  
ნობით, ამოხსნა მისი რთული და მათემატიკურად ბუსტი მექა-  
ნიზმი, მაგრამ ლექსი ამასთან ერთად დარჩა მისთვის როგორც  
ესთეტიკური ფენომენი და არა განყენებული ჭვრეტის ან აბს-  
ტრაქტული კელების საგანი. ამიტომ ა. გაწერელიას მიერ დად-  
გენილი ფაქტები და დასაბუთებული დებულებანი უაღრესად  
ფუნქციონალურია, ე.ი. აქვთ გამოყენებითი, პრაქტიკული მნი-  
შვნელობა ლიტერატურულ პროცესთა აღსაღენად, მხატვრუ-  
ლი აზროვნების ევოლუციისათვის თვალის გასაღევნებლად.  
ჩვეულებრივ, ქართველი ლიტერატორი, როცა მსჯელობს ქარ-  
თული ლექსის სტრუქტურაზე, ემყარება ა. გაწერელიას პოე-  
ტიკურ კონცეფციის.

ა. გაწერელიას პოეტიკური შეხედულებანი ტრადიციებს  
ეფუძნება როგორც თეორიულად, ისე მასალის თვალსაზრი-  
სით. მაგრამ XX საუკუნემ, განსაკუთრებით მოდერნისტულმა

და ავანგარდისტებმა ხელოვნებამ, წარმოშვა ფილოლოგიაში ანალოგიური – ახალ ფორმათა ამხსნელი და შესატყვისი მიმდინარეობანი („ახალი კრიტიკა“, „ფსიქოანალიტური და იუნგიანური კრიტიკა“, „რუსული ფორმალიზმი, ეგზისტენციალური კრიტიკა, სოციოლოგიზმი, სტრუქტურალიზმი, „ტელეკელის“ ჯგუფი და ა.შ.). თვით სტრუქტურალისტური ლიტერატურისმცოდნეობა განსხვავებულ ნაკადებად იყოფა – სტრუქტურულ-ლინგვისტური (რ. იაკობსონი), სტრუქტურულ-გენეტიკური, რომელიც ორიენტირებულია „სიღრმის ფსიქოლოგიისა“ და მითოლოგიისაკენ (გ. ბაშლიარი, ლ. შპიტცერი...), სემიოტიკური (რ. ბარტი, ი. კრისტევა...), რომელიც თავის მხრივ გვაძლევს ორ სახესხვაობას – სტრუქტურულ-სემიოტიკურსა და ტექსტუალურ-სემიოტიკურს.

მეცნიერული აბრის თვისება ხომ სრულყოფისაკენ სწრაფვაა. ხელოვნებისაგან განსხვავებით აქ წინსვლა აღმასვლას ნიშნავს. როლან ბარტის მაგალითით რომ ვისარგებლოთ, კონცეფცია მოვალეონებს იაზონის ხომალდს „არგოს“: ვიდრე კოლხეთის ნაპირს მიაღწევდნენ, არგონავტებმა თანდათან შეცვალეს ხომალდის ყოველი ნაწილი, ძველისაგან დარჩა მხოლოდ სახელი და ფორმა. მსგავსად ამისა, ასე თანდათან, შეუმჩნევლად იცვლება კონცეფცია, მეცნიერული აბრი, შეხედულებათა სისტემა.

ამიდომ ადრე თუ გვიან აკაკი გაწერულია სტრუქტურალიზმს უნდა შეჯახებოდა და ეს მოხდა მაშინ, როცა ამ ლინგვისტიკაში ჩასახულმა და შემდეგ მეცნიერების სხვადასვა დარგებში შეჭრილმა მიმდინარეობამ ჩვენშიც შემოაგანა -ჯერ ლინგვისტიკაში (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), შემდეგ ლიტერატურისმცოდნეობაში. კონკრეტულად რუსთაველის ლექსთან მიმართებით მისი გამომხატველი გახდა აკად. გ. წერეთული. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ამოსავალი იყო სტრუქტურულ-ლინგვისტიკური, ე.ი. რ. იაკობსონის მეთოდი, არსებითად სტრუქტურალიზმის მხოლოდ ერთი ნაკადი.

გ. წერეთლის ნაშრომი „მეცნი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“ მნიშვნელოვანი იყო არა თავისი დასკვნებით (მაგ. „ოქტომბრის კვეთის“ ძიება „ვეფხისტყაოსანში“, რუსთაველის ლექსის სტრუქტურის ნაცვლად განხილულია 16-მარცვლოვანი ლექსის სტრუქტურა, მეცნიული თავისებურებანი მიჩნეულია პოეტის გენიალობის გამოვლენად და ა.შ.), არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ახალი თეორიული სამყაროს შემომტანი, უფრო საინტერესო ბოგადად, ვიდრე კონკრეტულ პლანში, მაგრამ ლოკალურ-ქართულ გარემოში. ა. გაწერელი-ამ მთელი წიგნი დაწერა გ. წერეთლის ამ ნაშრომის წინააღმდეგ – „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ბოგიერთი საკითხი“, დაიცვა თავისი შეხედულებანი, ლექსთმცოდნეობის ტრადიციული საფუძვლები, სტილი და ტერმინოლოგია.

უნდა გავიმეოროთ, რომ სტრუქტურალიზმმა ლიტერატურის თეორიას მრავალი სიახლე შემატა. მაგრამ კონკრეტული ტექსტის, კონკრეტული მწერლის შემოქმედების ანალიზი მას ნაკლებად გამოსდის (კიდევ ერთხელ გავიხსენთ რ. იაკობსონისა და კ.ლ. სტროსის „შარლ ბოდლერის „კატები““). ა. გაწერელისა პოლემიკას გ. წერეთელთან ჰქონდა უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის წინსვლისათვის და ამ მხრივ იგი უსათუოდ ცენტრალური მოვლენა იყო 70-იანი წლებში. აღმართ მომავალში უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული ამ დისკუსიის შედეგები. მე მგონია, ამ ორ საპირისპირო საწყისებზე (ტრადიციონალიზმი და სტრუქტურალიზმი) დაყრდნობით, მათი შერწყმით, ახალი მასალებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიქმნება მესამე სისტემა, არა მხოლოდ პოეტიკაში, არამედ მთელს ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.

„რჩეულ ნაწერებში“ შესულია პოლემიკური სტატიების მთელი სერია, მიმართული სხვადასხვა სპეციალობის მკვლევარებისადმი. მათში ავტორი იცავს თავის პოზიციას და კულტურის არაერთ სადისკუსიო საკითხს წამოჭრის. მართალია, პოლემიკას ახლავს გადაჭარბებული დაძაბულობა, მაგრამ

პრინციპული პრობლემები აღძრავენ პაექტობის აუცილებლობას. ამ პერმანენტულმა ბრძოლებმა მკვლევარს თითქოს ახალი სული შთაბერეს, არ მისცეს დაცხრომის, დამშვიდების საშუალება. ლიტერატორი, რომელსაც კმაყოფილება დაუფლებია, ვერაფერს დაწერს. მას უნდა სდევდეს უკმარობის მწვავე გრძნობა, საკუთარ თავზე ამაღლების სურვილი. ასეთი განცდა დამტანჯველია, მაგრამ აუცილებელიც.

ამდენად, ერთის მხრივ, პოლემიკურმა სიტუაციამ აკაკი გაწერელიას შეუნარჩუნა სიფხიზლის უნარი, შთააგონა მრავალი სტატია და გამოკვლევა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელი შეუშალა – დაემთავრებინა რომანი „შამილი“, მონოგრაფია „პეტრე იბერიელი“ და ა.შ. პოლემიკა ააქტივებს შინაგან ძალებს, მაგრამ მუდმივი კამათი არ იძლევა დროსა და საშუალებას ახალ წიგნთა დასაწერად, -ავტორი ხომ გართულია შექმნილის დაცვით, დამატებითი არგუმენტირებით,

მიუხედავად თავისი ასაკისა, აკაკი გაწერელია ჭაბუქური ხალისითა და ძალით ეჭიდება ჭართულ სიტყვას.

იყი ისევე დაუმცხრალია და საბრძოლველად შემართული, თითქოს პირველ სტრიქონებს წერდეს. დაღლა, შესვენება და შეჩერება მისი ბუნებისათვის ისევე უცხოა, როგორც მიღწეულით ტკბობა და დამშვიდება, რაღაც ძველი რომაელების თქმისა არ იყოს – „Ad augusta per angusta“ (მაღალ მიბნებს აღწევენ დიდ სიძნელეთა გადალახვით).

„ლიტერატურული საქართველო“, 22 ოქტომბერი, 1982.

## მესამე წიგნში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა

1. ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
2. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
3. ანგონ I, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980. ივ. ლოლაშვილის გამოცემა.
4. ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბ., 2017.
5. ბ. არველაძე, ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში, თბ., 2016.
6. არჩილიანი, I-II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა. ტფ., 1936-1937.
7. ალ. ბარამიძე, რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1975.
8. ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, I-II, თბ., 1983, 1993.
9. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I-VIII, 1945-1985.
10. ნ. ბართაია, ქართული საერო მწერლობის სათავეებთან ანუ ციფილიზაციათა გზაჯვარედინზე, თბ., 2011.
11. ნ. ბართაია, საქართველო და ირანი, თბ., 2011.
12. ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბ., 2010.
13. ი. ბერაძე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის, თბ., 1971.
14. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხეროთმოძღვრება, თბ., 1974.
15. ბესიკი, თბილებანი, თბ., 1962. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას გამოცემა.
16. ბიბლია, თბ., 2013.
17. თ. ბოლქვაძე, იდეოლოგიზებული ღირებულებები, თბ., 2005.
18. ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოცემა. თბ., 1956.
19. გ. გამსახურდია, ვეფხსისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.
20. გ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.
21. ნ. გაჩავა, ხალიჩა – მხატვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური ასპექტები, ავტორეფერატი, თბ., 2018.

22. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962.
23. აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I-IV<sup>o</sup>, თბ., 1977-1981.
24. გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983.
25. ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები თხმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.
26. მ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოდგაწეობა რუსეთში, თბ., 2002.
27. რ. გრასუ, ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია, ბათ., 2007.
28. პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბ., 1973.
29. დ. გურამიშვილი, დავითიანი, კიევი-თბილისი, 1980.
30. ბ. დარჩია, ბაგრატ ბატონიშვილი, თბ., 2011.
31. ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, თბ., 2009.
32. ლილი სჯულისკანონი, თბ., 1975.
33. ეტლთა და შვიდთა მნათობისათვის, აკ. შანიძის გამოცემა, თბ., 1975.
34. პ. ზაქარაია, ქართული ციხე-ქალაქები, თბ., 2004.
35. მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული სტროფები, თბ., 1991.
36. მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საიდუმლოებანი, თბ., 2000.
37. მ. თავდიშვილი, ფირდოუსი და რუსთაველი, თბ., 2009.
38. მ. თავდიშვილი, ნიბამი და რუსთაველი, თბ., 2011.
39. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
40. გ. თევგზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1979.
41. თეიმურაბ I, თხმულებათა სრული კრებული, ტფ., 1934. ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემა.
42. რ. თევარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.
43. გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
44. პ. ინგოროვა, თხმულებათა კრებული, I, IV, V, თბ., 1963-2012.
45. კასტელი დონ კრისტოფორო დე, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977. ბ. გიორგაძის გამოცემა.
46. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია III-XVIII სს. თბ., 2009.

47. პ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I-II, თბ., 1980-1981.
48. პ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I-XIV, თბ., 1945-1986.
49. ღ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975.
50. ღ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969.
51. ღ. ლაშქარაძე, ევროპეიმმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.
52. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949.
53. ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, თბ., 1935.
54. ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოფბენი, I-II, თბ., 1957-1964.
55. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
56. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981.
57. ლ. მენაბედე, XVII-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, თბ., 1997.
58. მესხეთი, I, ახალციხე, 1997.
59. ჭ. მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული კულტურა, თბ., 1986.
60. რ. მეტრეველი, საქართველო რესთაველის ეპოქაში, თბ., 2016.
61. რ. მეტრეველი, თამარ მეფე, თბ., 2018.
62. მოგბაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი, თბ., 2012.
63. გ. ნალირაძე, რესთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
64. ნ. ნათაძე, დროთა მიჯნაბე, თბ., 1974.
65. თ. ნაგროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1978.
66. ვ. ნობაძე, განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა, ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953.
67. ვ. ნობაძე, ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.
68. ვ. ნობაძე, ვეფხისტყაოსანის მზამეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.

69. ვ. ნობაძე, ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958.
70. ვ. ნობაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთის მეტყველება, პარიზი, 1963.
71. ვ. ნობაძე, ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1974.
72. შ. ნუცებიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958.
73. შ. ნუცებიძე, კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა, თბ., 1965.
74. შ. ნუცებიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, IV, თბ., 1976.
75. შ. ნუცებიძე, კრიტიკული ნარკვევები, ლიტერატურა და ფილოსოფია, თბ., 1969.
76. ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, I-IV, 1959-1965.
77. ს.ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, თბ., 1949.
78. ა. პარადისისი, ბალთაბარ კოსა, თბ., 1992.
79. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I-IV, თბ., 1991-2007.
80. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მ. თავდამვილის რედაქციით, თბ., 2016.
81. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1992.
82. საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, თბ., 1959.
83. გ. სარჯევლაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
84. საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1977.
85. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III-IV, თბ., 1979, 1973.
86. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2007.
87. საქართველოს რუკა, ტფ., 1923.
88. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბ., 1990.
89. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, I-III, თბ., 2010-2013.
90. ს. სიგუა, მხატვრული აზროვნება: გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007.
91. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.

92. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.
93. რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000.
94. ა. სონდულაშვილი, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2016.
95. გ. სოსიაძეშვილი, სამაჩაბლოს ისტორიიდან, თბ., 2005.
96. ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეთა ქართველი პიმნოგრაფები, თბ., 2003.
97. ფირდოუსი, შაპ-ნამე ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I-II, ტფ. 1916, 1934.
98. ფირდოუსი, შაპ-ნამე, სპარსულიდან თარგმნა ბ. შალვაშვილმა, თბ., 2011.
99. ქართველები, თბ., 2016.
100. ქართლის ცხოვრება, თბ., 1996.
101. ქართლის ცხოვრება, I, II, IV, ს. ყაუხჩიშვილის, გამოცემა, 1955-1973.
102. ქართული პოეზია, I-V, თბ., 1974-1979.
103. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, თბ., 1975-1989.
104. ქართული პროზა, II-VI, თბ., 1982-1984.
105. ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, I, თბ., 1984.
106. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966.
107. ქართული სამართლის ძეგლები, I-VIII, ის. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963-1985.
108. ქართული ხალხური საუნჯე, I, თბ., 1991.
109. მ. ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, სტამბული, 2012.
110. ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექსისა და სულხან-საბა თრბელიანის მიერ, მ. თოდუას გამოცემა, თბ., 1975.
111. ყურანი, სურა პირველი, სურა მეორე, თბ., 2009.
112. ყურანი, გ. ლობჟანიძის თარგმანი, 2006.
113. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1971.
114. ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეუშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.
115. ლ. ჩხეიძე, ქართული ქორეოგრაფიის გენეზისი, თბ., 2009.
116. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I-II, თბ., 1970.
117. ს. ცაიშვილი, მარადიული სახეები, თბ., 1981.

118. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარები, თბ., 1986.
119. გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973.
120. ო. ჭილაძე, ვარდის ფურცლობის ნიშანი, თბ., 1983.
121. გ. ჭემბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975.
122. ნ. ხაბარაძე, ლ. მელიქიშვილი, ლ. მინდაძე, თ. ხოხოძაშვილი, ნ. ბახსოლიანი, ქალი დროსა და სივრცეში, თბ., 2016.
123. რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება. ავტორეფერაცია. თბ., 2006.
124. ე. ხინითიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975.
125. ე. ხინითიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993.
126. ნ. ხაბარაძე, ლ. მელიქიშვილი, ლ. მინდაძე, თ. ხოხოძაშვილი, ნ. ბახსოლიანი, ქალი დროსა და სივრცეში, თბ., 2016.
127. ივ. ჯავახიშვილი, თბზუღაბაზ 12 ტომად, I-XII, თბ., 1977-1998.
128. ივანე ჯავახიშვილი – 140, თბ., 2017.
129. ი. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002.
130. ე. ჯაველიძე, ფუთუველი – სულიერ-რაინდული ძმობა, თბ., 2010.
131. ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 2010.
132. დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967.
133. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1965.
134. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, III, თბ., 2012, IV, 2012.
135. Атлас Мира, М., 1985.
136. Большая иллюстрированная энциклопедия Древностей, Прага, 1980.
137. А. Гуревич, Средневековый мир: культура безмолвствующего большинства, М., 1990.
138. Грузинская и русская средневековые литературы, Тб., 1992.
139. Т. Литаврин, Как жили Византийцы, М., 1974.
140. А. Скрипник, Культурология, М., 2006.

141. Н. Марр, Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы, ЖМНП, 1899, декабрь.
142. Н. Марр, Вступительные и заключительные строфы "Витязя в барсовой коже" Шоты из Руставы. Грузинский текст, русский перевод и пояснения с этюдом "Культ женщины и рыцарство в поэме", ТР, XII, СПб, 1910.
143. Коран, М., 1991.
144. Ю. Марр, К. Чайкин. Хакани. Низами. Руставели, Тб., 1966.
145. Сборник Руставели, Тб., 1938.
146. П. Тойнби, Постижение истории, М., 1991.
147. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, I-II, Тб., 1959.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

I. საერო მფლობელობა და ხორციელობის აარღობი:	
ანტიკური და აღმოსავლური იგაულსები	7
1. ომის პეროიქა	7
მხედრული სული. ტერიტორია. ალაფი და ხარკი	16
2. საერო მწერლობის წარმოშობა	
აღმოსავლურ-მაჰმადიანური ფაქტორი, ანტიკური ასოციაციები. არაბული უნივერსალიზმი. ტფილისი-შარვანი. გაქართულებული ბიზანტიური მო- დელები. რეალური და პირობითი აღმოსავლეთი. ხორ- ციელობის გაღმერთება	
3. პოლიტიკურ-კულტურული აპოთეოზი	42
ქართული მესიანიზმი. სპარსოფილური კრიტიკიზმი. ისტორიული მესსიერება. რენესანსული ტენდენციები	
4. საერო კულტურშემოქმედი	51
II. ისტორია და მთევალია: „ვეზეისტყაოსანი“	56
1. ავტორი და ტექსტი	57
ძირითადი პოსტულატები. რეალობის შიფრი. ავტორი. თარიღი. მისტიფიკაცია. ქართული ხედვა	
2. „ვეფხისგყაოსნის“ ონომასტიკა	70
პროცენტები. ეტიმოლოგია და სიმბოლიკა. გავრცელების დრო და არეალი. სამეფო წრე.	
3. არქეფიპები და სფილი	82
პოლივალენტური ტექსტი. დრო და სივრცე. სიუქეზური ძირები. არქეფიპების ჰიპერბოლური გაშლა. დრამატული კვანძები. საგან-სიტყვები და ასოციაციები. პათეტიკა და ესთეტიკიზმი.	
4. სემანტიკური მოდელები	107
ღმერთი და საწუთო. ომი, როგორც სპექტაკლი. სიყვარულის სტიქია და თავისუფლება. გმირის იდეალი.	
5. ტიპოლოგიურ-გენეტიკური რეალი	134

<b>III. ასპარეზია და მისთიპა: არეალის უმცირებელი</b>	137
(XII-XIII სს.)	
კონსერვაციის მიზანი. ტაბარი და სასახლე.	
ფრესკული მხატვრობა. ლითონზე კვეთა.	
სელნაწერთა დასურათება. სიტყვიური ტრადიცია.	
<b>IV. ორიენტირისა და სფიქულის დაკარგვება:</b>	159
სამასშტაბო პრიზის	
1. სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა (XIII ს-ის 20-30-იანი წლები)	
2. სახელმწიფოსა და კულტურის დაშლა	
3. რუსული ორიენტირი	
4. კულტურის ვაკუუმი	
5. გადარჩენილი ნაშთები	
6. უცნობი დასავლეთი	
<b>V. აღდგნენის ორიენტირი: საარსული მთავრიზები</b>	193
1. კულტურის დეფორმირება	193
ბაგრატ ბატონიშვილი. ამასის ბავი.	
ქართველები ოსმალეთსა და ირანში.	
ჯაყელების სამცხე-საათაბაგო. პერსპექტივა.	
2. ქართულ-სპარსული სიმბიოზი	212
რუსთაველისა და ფირდოუსის ტრადიციები. ნიბამი განჯელის რადიუსში. სპარსული თემატიკა. სალექსო ფორმები. არქიტექტურის სახეცვლა. ილუსტრირების სპარსული სტილი. პათეტიკა და ორნამენტალიზმი.	
3. კულტურის აგრესია	238
<b>VI. გულაგისა და ხელისუფლება:</b>	
ცაციონისალური ტადეაციები	241
1. კულტურშემოქმედი და გარემო	241
სწრაფვა დიფერენცირებისაკენ.	
კულტურული დისსალანსი. ქართული თემატიკა.	
„მართლის თქმის“ პრინციპი.	

დიდაქტიკა და ცოდნის აპოლოგია. სოფლის სამდურავი.	
საეკლესიო მხატვრობა. რუსთაველის დაძლევის ცდები.	
2. ძიების პროცესი და კონტრკულტურა .....	252
3. საღვთო ენა – კონსოლიდირების ბაზისი .....	282
4. წიგნი, სტამბა, სკოლა .....	286
ცოდნის მატერიალიზება. კათოლიკე მისიონერები.	
ქართველი მისიონერები. პირველნაბეჭდი წიგნები.	
ვახტანგ VI-ის სტამბა. ტექსტები და კალიგრაფები.	
სკოლა და წიგნი.	
<b>VII. ეპლატეიზმის სიმატობები: მოსარვი – მასამა რომი ..</b>	<b>307</b>
1. პოლიტიკიდან კულტურამდე .....	307
მფარველის ძიება.	
გეორგიევსკის ტრაქტატის ილუსტრები.	
ერთიანობის იდეის კრახი. რუსულ-ევროპული არეალი.	
2. დინასტიის დასასრული .....	321
3. ქართველის ბუნება და სახელმწიფო .....	326
<b>VIII. მასობრივი კულტურა:</b>	
<b>ტარეილის და ფერვალებები .....</b>	<b>334</b>
1. მასის ყოფა-ცხოვრება .....	335
სახლის ანტურაჟი. კვების სისტემა. სამოსი. საჭურველი.	
ოჯახის სტრუქტურა. ჰიგიენა.	
2. მასის სულიერი კულტურა .....	357
თამაში და სახიობა. ზეპირი სიტყვა. ცეკვა და სიმღერა.	
რწმენა და სამართალი. სიკედილი და გლოვა.	
<b>დამატებანი</b>	
რუსთაველის ლექსი და სიტყვის ესთეტიკა .....	370
სარგის ცაიშვილის „წერილები და გამოკვლევები“ .....	382
აკაკი გაწერელიას „რჩეული ნაწერები“ .....	402
მესამე წიგნში გამოყენებული ლიტერატურა .....	427



„ქართული კულტურის ისტორია“  
ოთხი წიგნისაგან შედგება:

- I. „არქაულ-წარმართული ქართველური კულტურა“  
(ძვ. წ. III ათასწლეული – ახ. წ. IV საუკუნე);
- II. „ქრისტიანულ-ბიზანტიური პერიოდი“ (V-XI სს.);
- III. „რენესანსი და ანტირენესანსი“ (XII-XVIII სს.);
- IV. „სინკრეტულ-ევროპული კულტურა“ (XIX-XX სს.).

ISBN 978-9941-8-0067-2

A standard one-dimensional barcode representing the ISBN number 978-9941-8-0067-2.

9 789941 800672